К 41879
2

საქართველოს სამართლის ზოგადი ისტორია

ნაწილი I ძველი სამყარო

ნაკვეთი I

ძველი აღმოსავლეთის ძველი საბერძნეთი

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი • 194

ᲓᲐᲛ 2017-29160

ს. Შ. ᲙᲔᲩᲔᲙᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ I

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ I

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ

К 41879/2

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

ᲡᲐᲯᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1946

წინასიტყვაობა

სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორიის კურსი ამოცანად ისახავს გამოიკვლიოს სახელმწიფოს და სამართლის განვითარება ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე. ამ კურსმა უნდა გვიჩვენოს პირველ სახელმწიფოთა და სამართლის პირველ სისტემათა წარმოშობის პროცესი და უნდა ასახოს ყველა ის არსებითი ცვლილება, რაც ხდებოდა პოლიტიკურ დაწესებულებებსა და სამართლებრივ სისტემებში სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობის მომენტიდან ჩვენს დრომდე.

ამრიგად, სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კურსის შინაარსს შეადგენს სახელმწიფოს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის და სამართლის სხვადასხვა სისტემის შესწავლა იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი სცვლიდნენ ერთმანეთს ისტორიაში.

ამ კურსის გადმოცემისას, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და არცაა აუცილებელი მოვიცვათ ყველა როდესმე ან ახლა არსებული სახელმწიფო და სამართლის სისტემა. კურსმა უნდა გააშუქოს მათგან მხოლოდ ისეთები, რომლებიც ტიპიურნი არიან საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურისათვის (საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები), ისეთი სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფო ფორმების ან სამართლის სისტემების განვითარების პროცესები განსაკუთრებით მკვეთრად და მკაფიოდ აშკარავდება, დასასრულ, მათგან ისეთები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დასტოვეს მთლიანად აღებულ კაცობრიობის ისტორიაში.

ამასთან სსრკ სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, ჩვენთვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გამოყოფილია საგანგებო კურსად და გადმოცემულია ცალკეულ სახელმძღვანელოში, ამიტომ სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორიის კურსში არ შეუქდება.

კურსი იყოფა სამ ნაწილად იმის შესაბამისად, რომ მსოფლიო ისტორია და სახელმწიფოს და სამართლის ისტორია იყოფა სამ ძირითად ეპოქად: ა) ძველი სამყარო, ბ) საშუალო საუკუნეები, გ) ახალი დრო.

პირველი ნაწილი მიძღვნილია ძველი სამყაროს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისადმი (მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი). გადმოცემა მოიცავს დროს დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასეული წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნის დასასრულამდე ჩათვლით.

მეორე ნაწილს შეადგენს საშუალო საუკუნეთა სახელმწიფოს და სამართლის ისტორია (ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი). განხილულია სახელმწიფოს და სამართლის ისტორია დასავლეთ რომის იმპერიის დაცემიდან (V საუკუნე) XVII-XVIII საუკუნეთა ბურჟუაზიული რევოლუციებამდე.

დასასრულ, მესამე ნაწილი შეიცავს ახალი დროის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიას (ბურჟუაზიული სახელმწიფო და სამართალი). აქ გადმოცემულია სახელმწიფოს და სამართლის ისტორია XVII-XVIII საუკუნეთა ბურჟუაზიული რევოლუციებიდან ჩვენს დრომდე.

ამჟამად გამოდის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელიც მიძღვნილია ძველი სამყაროს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისადმი (მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი). ეს პირველი ნაწილი შესდგება ორი ნაკვეთისაგან. პირველი ნაკვეთი შეიცავს ორ კარს — „ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო და სამართალი“ და „ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი“ (ორივე კარის ავტორია პროფ. ს. ფ. კ ე ჩ ე კ ი ა ნ ი). მეორე ნაკვეთი შეიცავს კარს — „ძველი რომის სახელმწიფოს და სამართლის ისტორია“ (ავტორია პროფ. ი. ს. პ ე რ ე ტ ე რ ს კ ი).

* * *

ჩვენს უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში რევოლუციამდე არ არსებობდა სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის ერთიანი კურსი, რომელიც მოიცავდა საერთოდ სახელმწიფოს და სამართლის მთელ განვითარებას, დაწყებული სახელმწიფოს და სამართლის ჩასახვით და გათავებული მათი ახლანდელი მდგომარეობით. მართალია, რუსული სამართლის ისტორიის კურსის გარდა, სწავლების პირველ წელს სტუდენტები შეისწავლიდნენ რომის სამარ-

თლის ისტორიის ვრცელ კურსს, ხოლო მეორე თუ მესამე წელს, გარდა ამისა, გადმოიცემოდა „უცხო სახელმწიფოთა სახელმწიფო სამართლის“ კურსის ისტორიული ნაწილი.

მაგრამ პირველი დასახელებული კურსთაგანი ვრცლად გადმოგვცემდა მხოლოდ მონათმფლობელური საზოგადოების სახელმწიფოს და სამართლის ისტორიას, იმასაც არა სრულად, და თუმცა ეხებოდა სამართლის სისტემას, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სამართლის განვითარების შემდგომ მსვლელობაზე, მაინც მეტად არასრულ წარმოდგენას იძლეოდა სამართლის განვითარებაზე ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში. რაც შეეხება უცხო სახელმწიფო სამართლის კურსის ისტორიულ ნაწილს, ეს კურსი ცნობებს სახელმწიფოს განვითარებაზე მხოლოდ იმდენად იძლეოდა, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო თანამედროვე სახელმწიფოს სამართლის შესასწავლად.

ამის შესაბამისად რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში პრაქტიკის არ იყო ისეთი სასწავლო წიგნები, რომლებიც მიძღვნილი ყოფილიყოს სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორიის მიმოხილვისადმი, ზოგიერთი გამოკლებით (კაპუსტინი), და მით უფრო არ იყო ისეთი მოცულობისა, როგორიც დასახულია ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ახლა მიღებული კურსით.

უცხო ლიტერატურაში მოიპოვება ცალკეული ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორიის მიმოხილვისადმი (მაგალითად, ამერიკული სამტომიანი ნაშრომი პროფ. ვიგმორისა — „მსოფლიოს სამართლებრივ სისტემათა პანორამა“, 1928 წ.), მაგრამ ეს ნაშრომები მეტწილად არასრულნი არიან, ისტორიის ყველა კარს არ მოიცავენ ან სამართლის მხოლოდ ცალკეულ დარგებს ეხებიან. ასეთია, მაგალითად, კოლექტიური ნაშრომები, რომლებიც გამოვიდა გერმანიაში მიმდინარე საუკუნის დამდეგს სერიით — „თანადროულობის კულტურა“: ა) „სამართლის საყოველთაო ისტორია“ კოლერისა და ვენგერისა, 1914 წ. და ბ) „სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის საყოველთაო ისტორია“ ფირკანდისა, ვერნერისა და სხვ., 1911 წ. ყველა ამ ნაშრომს, გარდა მათი უსრულობისა, მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებანი ახასიათებს.

* * *

დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებათა თანახმად, ყველა პოლიტიკური და სამართლებრივი მოვლენა, რომლებ-

ნაც შეისწავლის სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, უნდა აიხსნას საბოლოო ანგარიშით საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობებით. თხზულების — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობაში მარქსი ამბობს: „ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სამართლის ურთიერთობანი, ისე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თავიანთგან გაიგებიან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებული საზოგადო განვითარებიდან, არამედ, პირიქით, ცხოვრების მატერიალურ პირობებში არიან ფესვგადგმული, რომელთა ერთობლივობას ჰეგელი, ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგების მაგალითის მიხედვით, „სამოქალაქო საზოგადოების“ საერთო სახელწოდებას აძლევს, და რომ ამ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ“[1].

როგორც აღნიშნავს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, „... საზოგადოების განვითარების ისტორია არის, უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც სცვლიან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა“[2]. წარმოებითს ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ხდება ცვლილებანი საზოგადოებრივ წყობილებაში, აგრეთვე პოლიტიკურ დაწესებულებებსა და სამართლის სისტემებში. „ცვლილებანი წარმოების წესში გარდუვალად იწვევენ მთელი საზოგადოებრივი წყობილების, საზოგადოებრივი იდეების, პოლიტიკური შეხედულებების, პოლიტიკური დაწესებულებების ცვლილებას, — იწვევენ მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის გარდაქმნას“[3].

სახელმწიფოს და სამართლის ისტორია სწორედ ამ დებულებათა საფუძველზე უნდა დამუშავდეს. სამართალი და სახელმწიფო შესწავლილ უნდა იქნან როგორც ეკონომიური ბაზისის ზედნაშენი, მათი განვითარება უნდა გაშუქდეს და შეიძლება სწორად გაშუქდეს მხოლოდ საწარმოო ძალთა და საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 40.
[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 685.
[3] იქვე, გვ. 685.

წარმოებით ურთიერთობათა თვითეულ ტიპს შეესაბამება განსაკუთრებული, მისი შესაფერისი საზოგადოებრივი წყობილება, განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სამართლებრივი ზედნაშენი.

წერილში პ. ვ. ანენკოვისადმი მარქსი ამბობს: „აიღეთ ადამიანების საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრული საფეხური, და თქვენ მიიღებთ ურთიერთობისა და მოხმარების განსაზღვრულ ფორმას. აიღეთ წარმოების, ურთიერთობისა და მოხმარების განვითარების განსაზღვრული საფეხური, და თქვენ მიიღებთ განსაზღვრულ საზოგადოებრივ წყობილებას, ოჯახის, წოდებების ან კლასების განსაზღვრულ ორგანიზაციას, — ერთი სიტყვით, განსაზღვრულ სამოქალაქო საზოგადოებას. აიღეთ განსაზღვრული სამოქალაქო საზოგადოება, და თქვენ მიიღებთ განსაზღვრულ პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ოფიციალურ გამოხატულებას წარმოადგენს“[1].

სახელმწიფოს და სამართლის ისტორია უნდა გამოდიოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა აღნიშნული კავშირიდან და ურთიერთ შეპირობებულობიდან. საზოგადოების მდგომარეობა, მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი შეპირობებულია ისტორიული განვითარების იმ საფეხურით, რომელზედაც იმყოფება საზოგადოება, ხოლო ეს საფეხური განისაზღვრება მოცემული საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა ტიპით. „*წარმოების ურთიერთობანი, თავისი ერთობლიობით, წარმოქმნიან იმას, რასაც უწოდებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოებას, წარმოქმნიან საზოგადოებას, რომელიც იმყოფება ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, თავისებური განმასხვავებელი ხასიათის მქონე საზოგადოებას.* ანტიური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების ურთიერთობათა ასეთ ერთობლიობად წარმოადგენენ,—ერთობლიობად, რომელთაგან თვითეული ამასთან ერთად აღნიშნავს განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში“[2].

საზოგადოება განხილულ უნდა იქნას „... როგორც ცოცხალი, მუდმივს განვითარებაში მყოფი ორგანიზმი..., რომლის შესასწავ-

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XXV, стр. 22.

[2] Маркс и Энгельс, Соч., т. V, стр. 429.

ლად საჭიროა იმ საწარმოო ურთიერთობათა ობიექტური ანალიზი, რომლებიც ჰქმნიან მოცემულ საზოგადოებრივ ფორმაციას, საჭიროა მისი არსებობისა და განვითარების კანონების გამოკვლევა"[1].

ამრიგად, მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კურსს.

მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წარმოებით ურთიერთობათა ტიპს რომ არკვევენ, ამით განსაზღვრავენ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას, რომელსაც უნდა მიეკუთვნოს მოცემული კონკრეტული საზოგადოება, და მხოლოდ ამ საფუძველზე უნდა შეისწავლონ მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო წყობილება და სამართლის სისტემა.

ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიტიკური და სამართლებრივი ზედნაშენი დიდ როლს იძენს საზოგადოებრივ განვითარებაში. პოლიტიკური დაწესებულებანი აქტიურად ახდენენ ზემოქმედებას საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ მხარეზე, — ჰქმნიან ხელსაყრელ პირობებს ან აფერხებენ მის შემდგომ განვითარებას. აი ამიტომ სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კურსში ნაჩვენები უნდა იყოს, საზოგადოების რომელი კლასი და სახელდობრ რანაირად იყენებს ამა თუ იმ პოლიტიკურ წყობილებას, ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემას.

ზემოთ აღნიშნულ დებულებათა საფუძველზე სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კურსმა ისე უნდა გადმოგვცეს თავისი საგანი, რომ მოცემული იყოს სახელმწიფოს და სამართლის კონკრეტული ისტორია, და არა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ზოგად დახასიათებათა შემცველი სოციოლოგიური საქმეები. სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის სრული ძალა აქვთ იმ მითითებებს, რომლებიც მოცემულია პარტიისა და მთავრობის 1934 წ. 16 მაისის დადგენილებაში სსრკ სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ: „მოსწავლეთა მიერ ისტორიის კურსის მკვიდრად შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიული ამბების გადმოცემაში ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა, ისე რომ მოსწავლეებს აუცილებლად დაამახსოვრდეთ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, ისტორიული მოღვაწეები, ქრონოლოგიური თარიღები".

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები"..., გვ. 38—39.

* * *

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში საზოგადოების შესახებ საკმაოდ პოპულარულია „სოციოლოგიური“ მეთოდით გატაცება. ამ მეთოდის მომხრენი, სოციოლოგიურ განზოგადებებს გამოდევნებულნი, უგულებელჰყოფენ კონკრეტულ ისტორიულ პროცესს მთელი მისი თავისებურებებით, მოვლენებით, ფაქტებით, ისტორიული თარიღებით.

სამართლის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებთან განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა სოციოლოგიური მეთოდის ერთ-ერთი სახე — შედარებითი—ისტორიული მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გატაცებულნი მისწრაფებით—მოგვცენ ზოგადი დასკვნები და გამოავლინონ განვითარების კანონზომიერება, ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა ხალხის ცხოვრებიდან და ზოგჯერ ისეთი ხალხების ცხოვრებიდან აღებულ მოვლენებს, რომლებიც სულ სხვადასხვა პირობებში ცხოვრობდნენ და საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

სხვა ბურჟუაზიული ისტორიკოსები, პირიქით, აცხადებდნენ, რომ ისტორიის მიზანია მხოლოდ ინდივიდუალურის შეცნობა მთელი მისი თავისებურებით და ამიტომ ისტორია სრულიად არ უნდა ისახავდეს ამოცანად გამოავლინოს და შეისწავლოს ისტორიული პროცესის ზოგადი კანონზომიერებანი, არამედ უნდა დასჯერდეს ისტორიული ფაქტების შერჩევასა და აღწერას მთელი მათი განუმეორებელი თავისებურებით, მათი კონკრეტული განსაკუთრებულობით.

უკანასკნელ ათეულ წლებში ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შორის ფართო გავრცელება ჰპოვა წარმოდგენამ ისტორიული პროცესის „ციკლურობის“ შესახებ. მეცნიერნი იქიდან გამოდიან, რომ საზოგადოების პროგრესული განვითარება ხდება დროის მხოლოდ განსაზღვრული მონაკვეთის ფარგლებში, რომ საზოგადოება გადის განვითარების განსაზღვრულ წრეს, „ციკლს“, რომელიც ვითომ კვლავ და კვლავ მეორდება ისტორიაში. ამგვარ წარმოდგენათა გარდუვალი შედეგია კაპიტალისტური საზოგადოების ნიშნების გადატანა ადამიანთა საზოგადოების წარსულზე. მოძღვრება განსაზღვრული ციკლების განმეორებადობის შესახებ იწვევს იმას, რომ კაპიტალიზმს წარმოიდგენენ როგორც საზოგადოების განვითარების ისეთ სტადიას, რომელიც უკვე არაერთხელ გამოუვლიათ წარსულ-

ში ცალკეულ ხალხებს, როგორც ისეთ სტადიას, რომლის შემდეგ არ არის შემდგომი წინსვლა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ დაბრუნება „მეორადი“ ბარბაროსობისაკენ. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი კაპიტალიზმის მოვლენებს ხედავს ძველ საბერძნეთში (პიოლმანი), ძველ რომში (სალვიოლი, მომზენი და სხვ.), ფეოდალური ევროპის ქვეყნებში და ა. შ.

აქ თავს იჩენს მისწრაფება—წარმოიდგინონ ბურჟუაზიული ურთიერთობანი როგორც საზოგადოების ურყევი „ბუნებრივი“ კანონები, რომლებიც თავის ძალას ინარჩუნებენ ყველა დროში და ყველა ხალხთან. „არაფერი არაა ისე დამახასიათებელი ბურჟუასათვის, — ამბობს ლენინი, — როგორც თანამედროვე წესების ნიშნების გადატანა ყველა დროსა და ხალხზე“[1].

დამოუკიდებლად ამ მოდერნიზატორული ტენდენციებისა, რომლებიც დამახასიათებელია უკანასკნელი დროის მთელი რიგი ბურჟუაზიული ისტორიკოსებისათვის, ცალკე უნდა აღინიშნოს ისტორიის უხეში და განზრახული ფალსიფიკაცია, რასაც ახდენენ ფაშისტი ისტორიკოსები იმ მიზნით, რომ გაამართლონ სხვადასხვა გვარი ძალადობანი წარსულში და მოამზადონ ისინი მომავალი დროისათვის. ფაშისტი ისტორიკოსები მოურიდებლად ამახინჯებენ ფაქტებს იმისათვის, რომ გააზვიადონ გერმანელი ხალხის (იტალიელი ფაშისტები — იტალიელი ხალხის) როლი მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში და მიჩქმალონ და დაამცირონ სხვა ხალხთა ისტორიული როლი, განსაკუთრებით სლავთა როლი. გერმანელი ფაშისტების ნაწერებში შეხვდებით სრულიად მოულოდნელ და წარმოუდგენელ მტკიცებებს, რომლებიც თვითნებურად ასხვაფერებენ ფაქტებს და მიაწერენ ფანტასტიკურ „ნორდულ“ რასას ისეთ დამსახურებას, რაც ამ „რასას“ არასგზით არ შეიძლებოდა ჰქონოდა, იგი კიდევაც რომ არსებულიყო.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამხილოს ეს ფალსიფიკატორული ცდები, მიმართული იქითკენ, რომ დაამახინჯონ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ნამდვილი მნიშვნელობა და გადაასხვაფერონ ისტორიული ფაქტები. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1939 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაციის წინააღმდეგ“ დასაბამი მიეცა ამ მუშაობას ფაშისტი ცრუ-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, „ანი-არიან „ხალხის მეგობრები“..., გვ. 27.

ისტორიკოსებისა და მათი მოურიდებელი ოინების მხილების დარგში. ეს მუშაობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება. მან ყოველმხრივ უნდა მოიცვას სხვადასხვა ეპოქა და, მაშასადამე, განიხილოს დიდი ისტორიული მასალა. სრულიად უეჭველია, რომ იგი უნდა შეეხოს სახელიწიფოს და სამართლის საკითხებსაც.

* * *

ამ ნაშრომს ხელნაწერში გაეცნენ და მისი შინაარსის გამო მთელი რიგი პრაქტიკული შენიშვნები გამოსთქვეს პროფ. ვ. მ. კ ო რ ე ც კ ი მ, პროფ. ი. დ. ლ ე ვ ი ნ მ ა, პროფ. ვ. კ. ნ ი კ ო ლ ს კ ი მ („შესავალი"), პროფ. ვ. ი. ს ე რ ე ბ რ ო ვ ს კ ი მ და დოცენტმა ა. კ. ბ ო კ შ ა ნ ი ნ მ ა. ნაშრომის დასაბეჭდად მომზადებისას ავტორმა ისარგებლა ზოგიერთი ამ შენიშვნით და მათთვის მადლობას მოახსენებს ზემოთ დასახელებულ პირებს.

მ ე ს ა ვ ა ლ ი

მონათმფლობელური სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა

ვიდრე გადავიდოდეთ ცალკეულ მონათმფლობელურ სახელმწიფოთა და სამართლის სისტემათა ისტორიაზე, რომელიც ამ ტომის შინაარსს შეადგენს, საჭიროა შევჩერდეთ ზოგადი ფორმით იმ საკითხზე, თუ როგორ ხდება მონათმფლობელური სახელმწიფოებისა და მონათმფლობელური სამართლის წარმოშობა.

მონათმფლობელები და მონები პირველი კლასები არიან, რომლებიც სხვებზე ადრე გაჩნდნენ ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში. ამიტომ მონათმფლობელურ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესი, მონობის გაჩენით შეპირობებული, უმჭიდროესად არის დაკავშირებული პირველყოფილ — თემური წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესთან. სწორედ ამიტომ, რათა გავარკვიოთ ცალკეულ მონათმფლობელურ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესი (ამაზე იხ. ქვემოთ, სახელმძღვანელოს სათანადო თავებში, § § 15, 25, 42, 46), საჭიროა წინასწარ ზოგადი ფორმით გავეცნოთ პირველყოფილ—თემურ წყობილების ზოგიერთ თავისებურებას და მისი განვითარების კანონზომიერებებს.

§ 1. პირველყოფილ-თემური წყობილება და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები

1. პირველყოფილ-თემური წყობილების ზოგადი დახასიათება. კლასების წარმოქმნამდე და მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობამდე ადამიანთა საზოგადოება პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ-თ ე მ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს პირობებში არსებობდა.

„პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალე-

ბათა საზოგადოებრივი საკუთრება“ (სტალინი). პირველყოფილ-თემურ წყობილებაში საზოგად. საკუთრება რომ იქმნება, ამის მიზეზია საწარმოო ძალთა განვითარების მეტისმეტად დაბალი დონე, განცალკევებული პიროვნების სისუსტე, მისი უუნარობა—საკუთარი ძალებით იბრძოლოს არსებობისათვის. ადამიანები იძულებული იყვნენ ერთად მოეპოვებინათ საზრდო, ერთად დაეჭირათ თევზი, ერთად ენადირნათ, ერთად დაემზადებინათ წარმოების იარაღები. არავის შეეძლო მარტო წასულიყო ნადირზე მხოლოდ ხის და ქვის იარაღით აღჭურვილს ან თუნდაც მშვილდ-ისრის ამარა, რომელიც უფრო გვიან გაჩნდა. ნადირზე მიდიოდნენ ჯგუფად და მას სძლევდნენ ერთობლივი ღონისძიებებით. სადგომს, ნავს შრომის უმნიშვნელოვანეს იარაღებს აგრეთვე ერთად აკეთებდნენ. ასეთი კოლექტიური წარმოების შედეგად საერთო შრომის პროდუქტთა მითვისებაც კოლექტიური ხდება. „საერთო შრომა იწვევს წარმოების საშუალებათა, აგრეთვე წარმოების პროდუქტების საერთო საკუთრებას“ (სტალინი).

წერილში ვ. ზასულიჩისადმი კ .მარქსი ეხება წინა-კლასობრივ საზოგადოებაში საზოგადოებრივი საკუთრების გაჩენის მიზეზებს და ამბობს შემდეგს: „კოლექტიური ან კოოპერაციული წარმოების ეს პირველყოფილი ტიპი, რა თქმა უნდა, შედეგი იყო ცალკეული პიროვნების სისუსტისა, და არა წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებისა“[1].

პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ცნება, არ არის ექსპლოატაცია, არ არიან კლასები.

2. პირველყოფილ თემური წყობილების განვითარების ძირითადი ეტაპები. ენგელსი იყენებს მორგანის გამოკვლევას და პირველყოფილ-თემური წყობილების მთელ ისტორიას ჰყოფს ორ დიდ პერიოდად: ა) ველურობად და ბ) ბარბაროსობად.

ამ ორი პერიოდიდან თვითეული თავის მხრივ იყოფა სამ საფეხურად საწარმოო ძალთა განვითარების დონის შესაბამისად, არსებობის საშუალებათა წარმოების წარმატებათა შესაბამისად.

ველურობის ქვედა საფეხურია ადამიანისებრ არსებათა, თანამედროვე ფიზიკური ტიპის მქონე ადამიანის წინამორბედთა არსებობის ხანგრძლივი პერიოდი. ეს არის „ადამიანთა მო-

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XXVII, стр. 681.

დგმის ბავშვობა“ — ხილის, ფესვის, კაკლის და სხვათა შეგროვების პერიოდი. „ქვეყნად მცხოვრებ ხალხთაგან არავინ არ იმყოფება ამ დონეზე“ (ენგელსი).

ველურობის საშუალო საფეხურზე გადასვლა ხდება იმ მომენტიდან, როცა ადამიანი ცეცხლს დაეუფლა და როცა მან იწყო თევზის ხმარება საჭმლად. ჩნდება თანამედროვე ტიპის ადამიანი, წარმოიშობა მეთევზეობა და უმჯობესდება ნადირობა. ეს არის პირველყოფილი საზოგადოების ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან ავსტრალიელი ველურები.

ველურობის ზედა საფეხური „იწყება მშვილდ-ისრის გამოგონებით, რომლის მეოხებითაც ნანადირევი გახდა მუდმივი საზრდო, ხოლო ნადირობა — შრომის ერთი ნორმალური დარგთაგანი“ (ენგელსი).

ბარბაროსობის ქვედა საფეხური იწყება მეჭურჭლეობის გამოგონებით. ვითარდება მესაქონლეობის საწყისები და სათოხნი მიწათმოქმედება.

ბარბაროსობის საშუალო საფეხური იწყება აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მესაქონლეობაზე გადასვლით, ხოლო დასავლეთ ნახევარსფეროში — სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებით.

დასასრულ, ბარბაროსობის ზედა საფეხური იწყება რკინის მადნის გამოდნობით. იგი ხასიათდება ხელოსნობის განვითარებით და მიწათმოქმედების გაუმჯობესებით. ეს არის პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლის პერიოდი. ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური მოასწავებს ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ გადასვლას. „ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის ყველაზე მეტად აყვავებას ჩვენ ვხვდებით ჰომიროსის ქმნილებებში, განსაკუთრებით „ილიადაში“ (ენგელსი).

ამასთან ერთად პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარებაში ისახება შემდეგი ძირითადი ეტაპები: ა) პირველყოფილი ჯოგი, ბ) გვაროვნული თემი და გ) გვაროვნული თემის დაშლა.

ამასთან გვაროვნული თემების წარმოქმნას წინ უსწრებს უფრო პრიმიტიული ტიპის კომუნების გაჩენა, რომლებიც მოასწავებენ ჯოგური მდგომარეობიდან გვაროვნული თემების პირობებში ცხოვრებისაკენ გადასვლას.

პირველყოფილი ჯოგი მოიცავს ველურობის ქვედა საფეხურს. ეგვაროვნული თემი, რომელიც გაჩნდა ველურობის საშუალო საფეხურზე, ვითარდება ველურობის ზედა საფეხურზე და თავის სრულ აყვავებას აღწევს ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე. ბარბაროსობის ზედა საფეხურზე ხდება პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლა, რომელიც მომზადებულია პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრების ზოგიერთი მხარეებით ჯერ კიდევ ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე.

§ 2. პირველყოფილი ჯოგი — ველურობის ქვედა საფეხური

1. ადამიანები სულ ცოტა 400-500 ათასი წელია დედამიწაზე ცხოვრობენ. ამას ადასტურებს არქეოლოგთა ნაპოვნები; მათ შესძლეს ამოეღოთ ნიადაგიდან დედამიწაზე მცხოვრებ პირველ ადამიანისებრ არსებათა ძვლები. ამ ძვლების განლაგების სიღრმე (ზოგიერთ შემთხვევაში 30 მეტრზე მეტი მიწის ქვეშ) საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადამიანი დედამიწაზე დიდი ხანია არსებობს.

ამ ნაპოვნთა შორის უნდა მოვიხსენიოთ კუნძულ იავაზე 1891-1892 წლებში აღმოჩენილი ძვლები („პითეკანთროპი"), ბეიპინის ახლოს აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნაპოვნის ნაწილები (1921-1937 წწ.) („სინანთროპი"). ევროპაში 1907 წელს ქ. ჰაიდელბერგის ახლოს (გერმანია), მიწის ქვეშ 25 მეტრ სიღრმეზე იპოვნეს ყბა პირველყოფილი ადამიანისა, რომელიც სხეულის აგებულობით განირჩევა თანამედროვე ადამიანისაგან (ჰაიდელბერგელი ადამიანი). უნდა გაევლო სულ ცოტა 200-300 ათას წელს, რომ ყბაზე ამდენი მიწა დაშრეულიყო. უფრო მერმინდელ, მაგრამ აგრეთვე მეტად შორეულ პერიოდს ეკუთვნის პირველყოფილი ადამიანის ძვლები, რომლებიც იპოვნეს ქ. დიუსელდორფის ახლოს 1856 წელს (ნეანდერტალელი ადამიანი).

ადამიანები დიდხანს არსებობდნენ ეგრეთ წოდებულ პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ჯ ო გ ი ს პირობებში, ერთიანდებოდნენ რა პატარა მოხეტიალე ჯგუფებად. ისინი ერთად იცავდნენ თავს მათზე მოვლენილი საშიშროებისაგან და ერთობლივი ღონისძიებებით მოიპოვებდნენ საზრდოს. ისინი ჭკრეფდნენ ხილს, ფესვს, ლოკოკინას, კვერცხს, უფრო გვიან — ეწეოდნენ პრიმიტიულ ნადირო-

ბას, ამასთან ნადირობდნენ წვრილფეხა ცხოველებზე; ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში და ხეებზე; ტანისამოსი მათ თავდაპირველად სრულიად არა ჰქონდათ, უფრო გვიან იწყეს ნადირის ტყავში გახვევა. იარაღს წარმოადგენდა გაუთლელი ქვა და ჯოხი. თუმცა ძალიან პრიმიტიული იყო მათი შრომის იარაღი, მაგრამ ამ იარაღის არსებობა უკვე თავისთავად ამაღლებდა მათ ცხოველებზე. „არც ერთ მაიმუნის ხელს არასოდეს არ გაუკეთებია მეტად უხეში კაჟის დანაც კი“ (ენგელსი).

ენგელსი კაცობრიობის ცხოვრების ამ პერიოდს „ადამიანთა მოდგმის ბავშვობას“ უწოდებს. ეს იყო ველურობის ქვედა საფეხური.

2. ველურთა პატარა მოხეტიალე ჯგუფებში თავდაპირველად თავისუფალი და უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა არსებობდა. სქესობრივი ურთიერთობის უწესრიგობა არ გამორიცხავდა დროებითი წყვილადი კავშირების წარმოშობის შესაძლებლობას, ეს უწესრიგობა მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ სრულიად არ იკრძალებოდა სქესობრივი კავშირი უაღრესად ახლობელ ნათესავთა შორის. თავდაპირველად არათუ ძმას შეეძლო სქესობრივ ურთიერთობაში ყოფილიყო თავის დასთან, არამედ აგრეთვე მამას — ქალიშვილთან და ვაჟს — დედასთან; არ იყო ეჭვიანობის გრძნობიდან გამომდინარე აკრძალვაც.

§ 3. მეთევზეთა და მონადირეთა თემები ველურობის საშუალო საფეხურზე

1. ველურობის შუა საფეხურზე მყოფი თემის ზოგადი დახასიათება. იმ მომენტიდან, როცა ადამიანმა ისწავლა ცეცხლის გამოყენება და ამის გამო იწყო თევზის ხმარება საჭმელად, იწყება ველურობის საშუალო საფეხური. ცეცხლის დაუფლებამ ადამიანს, თევზის გარდა, კვების სხვა ახალი პროდუქტებიც მოუპოვა — სახამებლიანი ფესვები და ტუბერები, ცხელ ნაცარში ან პრიმიტიულ ღუმელებში გამომცხვარი. ცეცხლის დაუფლებამ, როგორც აღნიშნავს ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“, „საბოლოოდ ჩამოაშორა ადამიანი ცხოველთა სამყაროს“.

იარაღს უკვე რამდენადმე აუმჯობესებენ, თუმცა იგი ისევ მეტისმეტად ნაკლოვანი რჩება. ეს არის უხეშად გამოყვანილი ქვის დანა, ქვის ბუნიკი შუბისათვის, ძვლის კავი და სხვ. შუბისა და

კომბალის გაჩენის შემდეგ ადამიანის სარეწთა შორის შესამჩნევ ადგილს ჰპოვებს ნადირობა. ახლა ნადირობენ არა მარტო წვრილფეხა, არამედ მსხვილფეხა ცხოველებზეც (გარეული ხარი, მარტორქა, მამონტი). იარაღის პრიმიტიულობის გამო შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური ნადირობა, რომელიც სწარმოებს ჯგუფის ყველა მოზრდილი მამაკაცის ერთობლივი ღონისძიებებით. მეთევზეობა ახანგრძლივებს ადამიანების ერთ ადგილზე ყოფნას. მზადდება მათი ბინადრობაზე გადასვლა.

2. სისხლის-ნათესაობის ოჯახი. მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობის (პრომისკუიტეტი) პირველყოფილი მდგომარეობიდან ველურობის საშუალო საფეხურზე განვითარდა ჯ გ უ ფ უ რ ი ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა, ე. ი. ისეთი ქორწინება, რომლის დროსაც მამაკაცთა მთელი ჯგუფები და ქალთა მთელი ჯგუფები ურთიერთ იმყოფებოდნენ ცოლქმრულ ურთიერთობაში, ე. ი. ურთიერთ ეკუთვნოდნენ ერთიმეორეს. ჯგუფური ქორწინების დროს ოჯახი უმამო ოჯახს წარმოადგენდა, იგი დაფუძნებული იყო მარტოოდენ ქალთა ხაზით ნათესაობაზე, და ბავშვები ითვლებოდნენ არა მშობელთა ცალკეული წყვილის შვილებად, არამედ საერთოდ აღებული მთელი ჯგუფის შვილებად.

ამრიგად, პირველყოფილ ოჯახს არაფერი აქვს საერთო იმ ინდივიდუალურ ოჯახთან, რომელიც ქმრისა, ცოლისა და შვილებისაგან შესდგება და რომელიც ასე დამახასიათებელია ეგრეთწოდებული ცივილიზებული კაცობრიობისათვის.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, როგორც ბევრი ბურჟუაზიული მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ინდივიდუალური ოჯახი უხსოვარი დროიდან არსებობდა და რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების სათავეა მამაკაცისა და ქალის ისეთივე წყვილადი კავშირი, როგორიც შეადგენს ოჯახის ბირთვს ჩვენს დროში.

1861 წელს გამოსული თხზულების — „დედის უფლების" ავტორის, ბახოფენის გამოკვლევებმა, განსაკუთრებით კი მორგანის გამოკვლევებმა უეჭველად გვიჩვენეს, რომ ოჯახის პირვანდელი ფორმაა ჯ გ უ ფ უ რ ი ო ჯ ა ხ ი, რომლის დროსაც მამაკაცთა მთელი ჯგუფები ცოლქმრულ ურთიერთობაში იყვნენ ქალთა მთელ ჯგუფებთან.

ჯგუფური ოჯახის პირველი ფორმაა ს ი ს ხ ლ ი ს-ნ ა თ ე ს ა ო ბ ი ს ოჯახი.

ამ ოჯახში და-ძმანი სწორედ იმის გამო, რომ ისინი და-ძმანი არიან, ერთიმეორის ცოლ-ქმარნიც არიან. ოჯახის ასეთი ფორმის დროს სქესობრივი ურთიერთობა გამორიცხულია მხოლოდ მშობლებსა და შვილებს შორის, წინაპრებსა და ჩამომავლებს შორის, მაგრამ სქესობრივი ურთიერთობა და-ძმათა შორის სავსებით ნორმალურად ითვლება, უფრო მეტიც — ოჯახი სწორედ და-ძმათა ურთიერთკავშირზეა დაფუძნებული.

ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები ითვლებოდნენ არა მარტო თავიანთი ნამდვილი დედისა და ნამდვილი მამის შვილებად, არამედ მამის და დედის ყველა და-ძმის, აგრეთვე მამიდა-დეიდაშვილთა და ბიძაშვილთა, მამიდა-დეიდაშვილიშვილთა, ბიძაშვილიშვილთა და ა. შ. შვილებად. ისინი განურჩევლად ყველანი მათი დედ-მამანი იყვნენ.

ეს ოჯახი დიდი ხანია გადაშენდა, მაგრამ მისი შესაბამისი ნათესაობის სისტემა, რაც ახლაც დარჩენილია ზოგიერთ პირველყოფილ ხალხში (ჰავაის კუნძულების მკვიდრ მოსახლეობაში, ახალ ზელანდიაში მცხოვრებ მაიორებთან და სხვ.), გვაფიქრებინებს, რომ ოჯახის სწორედ ეს ფორმა იყო პირვანდელი საფეხური ოჯახის ისტორიაში. მაგალითად, ჰავაიელებთან ერთი და იგივე სახელწოდება ნიშნავს ცოლს, ცოლის დას, ძმის დას, რძალს, ცოლის ძმის ცოლს, ძმისწულისა და დისწულის ცოლს, თუმცა ჰავაიელთა ენა საერთოდ მდიდარია (უმცროსი და უფროსი შვილები ამ ენაში სხვადასხვანაირად იწოდებიან).

3. ენდოგამიური ჯგუფების გაჩენა — პუნალუა-ოჯახი. სისხლის-ნათესაობის ოჯახის გამრავლება რამდენიმე თაობის შემდეგ გარდუვალად იწვევს მის დაშლას ნაწილებად. საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე ხელს უშლის დიდი ჯგუფების გამოკვებას მოცემული ადგილის ფარგლებში, და ამიტომ გარდუვალი ხდება გამრავლებული ენდოგამიური ჯგუფების დანაწევრება. როგორ ხდება თავდაპირველად ეს დანაწევრება, სრული უტყუარობით ამის დადგენა შეუძლებელია. მაგრამ შეიძლება უეჭველად ჩაითვალოს: როცა ქორწინებრივ ურთიერთობათა აკრძალვა უკვე მოიცავდა არა მარტო მშობლებსა და შვილებს, არამედ და-ძმათა ურთიერთობაზედაც გავრცელდა, და როცა შეიქმნა წარმოდგენა, რომ ერთი დედის შვილებს შორის სქესობრივი ურთიერთობა დაუშვებელია, მაშინ პირველყოფილი სისხლის-ნათესაობის თემები ნაწევრდებოდნენ იმ გზით, რომ სისხლის-ნათესაობის ოჯახიდან

გამოიყოფოდა ორი ან რამდენიმე ეგზოგამიური ჯგუფი, ე. ი. ისეთი ჯგუფები, რომლებიც ქორწინებრივ ურთიერთობას ამყარებდნენ მოცემული გამრავლებული სისხლის-ნათესაობის ოჯახის გარეთ. ასე წარმოიქმნება ჯგუფური ოჯახის ახალი ფორმა, რომელსაც „პუნალუა“ ოჯახი ეწოდება.

ოჯახის ამ ფორმისათვის ქმრებისა და ცოლების ურთიერთსაზიარობა მთავარ განმასხვავებელ ნიშნად რჩება, მაგრამ ამასთან ქორწინებრივი ურთიერთობიდან გამოირიცხებიან თავდაპირველად ღვიძლი და-ძმანი, შემდეგ — დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და უფრო შორეულნიც. ოჯახის ამ ფორმის დროს ღვიძლი დების ჯგუფნი, აგრეთვე მეორე და მესამე შტოის დები და უფრო შორეულნი თავიანთი საერთო ქმრების საერთო ცოლებს შეადგენდნენ, მაგრამ ამ ქმრებს შორის ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყ ოფ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ მ ა თ ი ღ ვ ი ძ ლ ი (ხოლო შემდეგ არა მარტო ღვიძლი) ძ მ ე ბ ი. ჰავაიელებში, რომლებთანაც შემჩნეულ იქნა ოჯახის ეს ფორმა, აღნიშნული ქმრები ერთი-მეორეს უწოდებდნენ არა ძმებს, არამედ ახლობელ ნათესავებს, მეგობრებს, ჰავაიელთა ენაზე — „პუნალუას“. შეიძლებოდა ისეც ყოფილიყო, რომ ღვიძლი ძმების ან მეორე შტოის და ა. შ. ძმების ჯგუფს საერთო ცოლებად ჰყოლოდა ქალთა ჯგუფი, მაგრამ ამ ქალთა შორის ა რ ი ყ ვ ნ ე ნ ხსენებულ მამაკაცთა დ ე ბ ი. ეს ქალებიც ერთიმეორეს „პუნალუას“ უწოდებდნენ.

ცხადია, რომ პუნალუა-ოჯახი სისხლის-ნათესაობის ოჯახიდან წარმოსდგა. ძმებს სქესობრივი ურთიერთობა აღარ ჰქონდათ თავიანთ ღვიძლ დებთან, შემდეგ კი მეორე შტოის და უფრო შორეულ დებთან, და ქორწინებრივ აკრძალვათა ამ გაფართოებამ, სისხლის-ნათესაობის ოჯახის დანაწევრებასთან ერთად, გამოიწვია ოჯახის ახალი ფორმის წარმოშობა.

პუნალუა-ოჯახის დროს შვილები წინანდებურად ითვლებიან არა მარტო თავიანთი ნამდვილი დედის შვილებად, არამედ ყველა მისი დის შვილებადაც, და ყველა ღვიძლი დის შვილები ითვლებიან ერთიმეორის ღვიძლ და-ძმებად. მაგრამ დედის ძმათა შვილები უკვე არ ითვლებიან მის შვილებად; ისინი მის ძმისწულებად ითვლებიან, ხოლო მისი შვილებისათვის ისინი ბიძაშვილები არიან. რომელიმე მამაკაცის შვილები ითვლებიან არა მარტო თავისი მამის შვილებად, არამედ მისი ძმების შვილებადაც, მაგრამ არა თავისი მამის დების შვილებად; მათთვის ისინი დისშვილები არიან, ხოლო

მათი შვილები ბიძაშვილები. რას მოწმობს ნათესაობის ასეთი სისტემა? იმას, რომ დებს წინანდებურად საერთო ქმრები ჰყავთ, მაგრამ ამ ქმრებს შორის არ შეიძლება იყვნენ მათი ძმები; იმას, რომ ძმებს ჰყავთ საერთო ცოლები, მაგრამ ამ ცოლებს შორის არ შეიძლება იყვნენ მათი დები.

ასეთი ოჯახი ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ჰავაის კუნძულებზე, მაგრამ ნათესაობის ის სისტემა, რომელიც ამ დროს ჰავაიელებთან იყო, შეესაბამებოდა არა პუნალუა-ოჯახს, არამედ მათთან წინათ არსებულ სისხლის-ნათესაობის ოჯახს. ნათესაობის სისტემები საერთოდ უფრო წელა ვითარდება, ვიდრე თვით ოჯახის ფორმები. ნათესაობის ძველი სისტემა კვლავ რჩება ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ის ფორმა, რომელსაც იგი შეესაბამებოდა, უკვე სხვა ფორმამ შესცვალა. სწორედ ამიტომ ჰავაიელებთან, პუნალუა-ოჯახის არსებობისას, ჩვენ ვხედავთ ნათესაობის ისეთ სისტემას, რომელიც სისხლის-ნათესაობის ოჯახს შეესაბამება, ხოლო ამერიკელ ველურებთან — ნათესაობის სისტემას, რომელიც მათთან უკვე გამქრალ პუნალუა-ოჯახს შეეფერება.

პუნალუა-ქორწინება, როგორც ეტყობა, ფართოდ იყო გავრცელებული სულ სხვადასხვა ხალხთა შორის. მორგანი აღნიშნავს, რომ იულიოს კეისარი იძლევა ასეთი ქორწინების მაგალითს, როცა აგვიწერს ძველი ბრიტანელების ქორწინებრივ ჩვეულებებს, რომ ჰეროდოტე გვაუწყებს, მასაგეტებთან (ხალხი, რომელიც ცხოვრობდა კასპიისა და არალის ზღვებს შუა მდებარე ტერიტორიაზე) ცოლები საერთონი იყვნენო, და რომ პირველმა ზღვაოსნებმაც, რომლებიც სამხრეთ ამერიკის მკვიდრ მცხოვრებთ ეწვივნენ, მათთან შეამჩნიეს ჯგუფური ქორწინების მოვლენები, რაც პუნალუა-ქორწინების ფორმებს უახლოვდებოდა.

ასეთივე ჯგუფური ქორწინების საგულისხმო ნაირსახეობას, მის ერთ-ერთ დაბალ ფორმას, წარმოადგენს ავსტრალიელ ველურებთან შემჩნეული „კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი“ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა. მისი ყველაზე მარტივი ფორმა ნახეს ავსტრალიელებთან მაუნტ გამბირის რაიონში და სამხრეთ ავსტრალიის სხვა ტომებთან. მთელი ტომი იყოფა ორ „კლასად“ — ჯგუფად, მაგალითად, კ რ ო კ ე ბ ა დ და კ უ მ ი ტ ე ბ ა დ. სქესობრივი ურთიერთობა თვითეული ჯგუფის შიგნით აკრძალულია. ამავე დროს ყოველ კროკს ცოლად ჰყავს ყოველი კუმიტე და, პირიქით, ყოველი კუმიტე ყოველი კროკი —

ქალის ქმრად ითვლება. აქ მთელი ჯგუფი მამაკაცებისა, რომლებიც ზოგჯერ დიდ მანძილზე არიან გაფანტულნი, ქორწინებაში იმყოფება ქალთა მთელ ჯგუფთან. სადაც უნდა შეხვდეს კროკი—მამაკაცი კუმიტე—ქალს, მას შეუძლია ამ ქალთან სავსებით კანონიერი კავშირი დაამყაროს.

§ 4. გვარის წარმოშობა

1. **პირვანდელი, დედის გვარის წარმოქმნა.** სისხლის-ნათესაობის ოჯახიდან პუნალუა-ოჯახისაკენ გადასვლა ენდოგამიური ჯგუფებიდან ეგზოგამიურზე გადასვლას ნიშნავდა. პუნალუა—ქორწინებასა და „კლასობრივ“ ქორწინებაში ეგზოგამიური ჯგუფები ცოლქმრული ურთიერთობით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

სწორედ ეს ეგზოგამიური ჯგუფი შეიქნა გ ვ ა რ ი ს ჩანასახი ფორმა.

დაქორწინების აკრძალვამ, რომელიც ქალის ხაზით უაღრესად შორეულ ნათესავებს მოიცავდა, ხელი შეუწყო ნათესავთა ჯგუფის ცალკეულ ორგანიზაციად — გვარად გადაქცევას. ეს იყო ჯგუფი იმ პირებისა, რომლებიც დედის ხაზით სისხლით ნათესაობაში იყვნენ ერთიმეორესთან და არ უშვებდნენ ერთმანეთთან ცოლქმრულ ურთიერთობას (ეგზოგამია). გვარი წარმოიშვა ჯგუფური ოჯახიდან, ალბათ, პუნალუა-ოჯახიდან. ამ ოჯახში შემავალი ღვიძლი დების, ბიძაშვილების, დეიდა-მამიდაშვილების და უფრო შორეულ ნათესავ ქალთა ჯგუფი, მათი შვილებიანად და ძმებიანად დედის მხრიდან, შეადგენდნენ სწორედ იმ პირთა წრეს, საიდანაც შეიქმნა გვარი მისი პირვანდელი ფორმით.

ეს პირვანდელი გვარი არის დედის გვარი—ერთი გარკვეული დედათმთავრის, გვარის დამაარსებლის აღიარებული ჩამომავლობა. მამაკაცი ამ არქაულ გვარში სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიდან, სხვა გვარებიდან მოსული ელემენტი იყო. მამა მოცემული გვარის გარეთ იდგა, იგი სხვა გვარს ეკუთვნოდა, ვიდრე დედა. ამიტომ მამა თავისი შვილების ნათესავად არ მიაჩნდათ. მამასა და შვილებს შორის ახლო ნათესაური ურთიერთობა არ არის. ჯგუფი დაკავშირებული იყო ქალის ხაზით გამოანგარიშებული ნათესაობით. ნათესაობის ასეთი გამოთვლა იმით აიხსნებოდა, რომ ჯგუფური ოჯახის დროს მხოლოდ ბავშვის დედა იყო უტყუარად ცნობილი, მაშინ როცა, პირიქით, ყოველთვის როდი იცოდნენ, თუ ვინ იყო მისი მამა.

ამასთან გვარი თავიდანვე არა მარტო საზოგადოებრივი ჯგუფი იყო, რომლის საფუძველზედაც ყალიბდებოდა ჯგუფური ქორწინება, არამედ ადამიანთა გაერთიანებაც მეურნეობის ერთობლივად გასაძღოლად. პირვანდელი გვარი სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელშიც ყველა წევრი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლექტიური წარმოებით და ერთობლივი მოხმარებით. ამ სამეურნეო ორგანიზაციაში ქალი პირველ ადგილზე დგებოდა. შინაური კარჩაკეტილი მეურნეობა, რომელშიც განსაკუთრებულ როლს ქალი ასრულებდა, განმსაზღვრავი იყო საზოგადოებრივი ჯგუფის საერთო მეურნეობაში, ვიდრე მესაქონლეობა და საგუთნე მეურნეობა გაჩნდებოდა. ამდენად ქალი სამეურნეო საქმიანობის ცენტრი იყო. არსებობის საშუალებათა მოპოვებაში იგიც დიდ როლს ასრულებდა,—მამაკაცთან ერთად ჰკრეფდა ხილს, ფესვს, თოხნიდა მიწას.

ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პირვანდელი გვარი დედის, ან მატრიარქალური გვარი იყო და ქალს საზოგადოებაში უპირატესი ადგილი ეკავა.

„კომუნისტური შინამეურნეობა, სადაც დედაკაცები უმეტეს ნაწილად ან გამოუკლებლივ ერთსა და იმავე გვარს ეკუთვნიან, ხოლო მამაკაცები სხვადასხვა გვარებზე არიან განაწილებულნი, წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს უძველეს დროში საყოველთაოდ გავრცელებული ქალთა ბატონობისა, რომლის აღმოჩენა ბახოფენის... დამსახურებად უნდა ჩაითვალოს“[1].

2. მატრიარქატი და მისი გადმონაშთები. პირველყოფილ საზოგადოებაში მატრიარქატის არსებობას ადასტურებს მრავალი გადმონაშთი (ჩვეულება, რწმენა, წესი), რომელიც დარჩენილია სხვადასხვა ხალხსა და ტომში.

მატრიარქატის ნიშნებს ვხვდებით ამერიკის, ავსტრალიის და აფრიკის ბევრ ტომთან. ჰეროდოტეს მოწმობით, მატრიარქატის გადმონაშთები ახასიათებდათ ლიკიელებს. ლიკიელები იღებდნენ არა მამის, არამედ დედის სახელს. ლიკიელს რომ ჰკითხოთ, რომელ ოჯახს ეკუთვნიო, ის მოიყვანს დედის გენეალოგიას, ქალთა ხაზით დედის წინაპართა გენეალოგიას. მატრიარქატის გადმონაშთები შემჩნეული იყო აგრეთვე ძველ ეგვიპტელებთან და ძველ სპარტაში (იხ. ქვემოთ).

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1938. გვ. 50.

მატრიარქატის კვალი, როგორც მ. კოვალევსკიმ თავის შრომებში აღნიშნა, შემჩნეული იყო კავკასიის ხალხებთანაც. ასე, ჩერქეზებთან შვილს უფლება არა ჰქონდა ესა თუ ის კაცი საჯაროდ თავის მამად აღეარებინა. დიდ უხეშობად ითვლებოდა მამისათვის ეკითხათ, თუ როგორ ცხოვრობს მისი შვილი, ან შვილისათვის გამოეკითხათ მამის ამბავი. მამის ადგილი მატრიარქატის დროს დედის ბიძას ეკავა. ავსტრალიელ ტომებთან და ჩრდილო-ამერიკის ინდიელებთან, რომლებთანაც დედის გვარი რჩებოდა, დედის ძმას პირველი ადგილი ეკუთვნოდა მამრობითი სქესის ნათესავთა შორის. მას მამის ყველა უფლება ჰქონდა და მისი ყველა ვალდებულება აწვა თავისი დისწული ქალ-ვაჟების მიმართ. ასეთი წესი ჯერ კიდევ ამ ახლო წარსულში დამახასიათებელი იყო მალაელთა ოჯახისათვის. საქართველოს მთიელთა შორის, კერძოდ ფშაველებთან, დედის ძმა მამის ადგილს იკავებდა ყველა შემთხვევაში, როცა საქმე სისხლის აღებას ეხებოდა და განსაკუთრებით როცა დანაშაულის მსხვერპლი მისი დისწული ხდებოდა. ინგუშებთან არსებობდა ადათი, რომლის მიხედვითაც ინგუშს უფლება ჰქონდა სრულწლოვანების მიღწევისას საჩუქარი მოეთხოვა თავისი დედის ბიძისაგან. ასევე ქონების დამემკვიდრებისას გარდაცვლილის შვილს ბევრ პირველყოფილ ტომში განზე სტოვებდნენ დედის ძმისწულების სასარგებლოდ.

3. ტოტემიზმი. თვითეული დედის გვარი, ე. ი. იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან ქალთა ხაზით საერთო დედათმთავრისაგან ნამდვილი თუ ვითომდა წარმოშობით, ატარებს თავის განსაკუთრებულ გვაროვნულ სახელს, მეტწილად ცხოველის ან მცენარის სახელს. ამ გვაროვნულ სახელს ტ ო ტ ე მ ი ეწოდება, როგორც იგი იწოდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ტომ ოჯიბვესთან, სადაც პირველად შეამჩნიეს ასეთი სიმბოლური სახელის ხმარება.

ცხოველი თუ მცენარე, რომლის სახელითაც წოდებულია ტოტემური ჯგუფი, ამ ჯგუფის ყველა წევრის კულტის საგანს წარმოადგენს, აკრძალულია მისი მოსპობა, აკრძალულია მისი საჭმლად ხმარება. რადგან ნათესაური კავშირი პირველყოფილ ხალხებში ჩვენ მიერ აღებულ განვითარების სტადიაზე გამოიანგარიშება არა მამაკაცის, არამედ ქალის ხაზით, ტოტემური სახელებიც გადაეცემა არა მამისაგან მის შვილებს, არამედ მხოლოდ დედისაგან ამ უკანასკნელის ჩამომავლობას.

რით აიხსნება ტოტემიზმის ჩვეულება? უეჭველია, ამ ჩვეულების წარმოშობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნების ძალთა თაყვანისცემას, რაც დამახასიათებელია პირველყოფილი ადამიანის ცნობიერებისათვის, აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებასთან ადამიანის მჭიდრო კავშირის შეგნებას. ველურს არაერთხელ უხდება დარწმუნდეს მასზე ბუნების ცოცხალ ძალთა უპირატესობაში, იმ უპირატესობებში, რომლებიც ამა თუ იმ ცხოველს თუ მხეცს აქვს მის წინაშე. აქედან წარმოსდგება ბუნების ცოცხალ, აგრეთვე მკვდარ ძალთა კულტი, რომლებიც ველურთა თვალში ერთნაირად სულიერ არსებებს წარმოადგენენ.

ტოტემიზმის წარმოშობისათვის შეეძლო სხვა გარემოებასაც შეეწყო ხელი. ნათესავთა შორის სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა, როგორც ჩვენ დავინახეთ, იწვევს სხვა გვარის ქალთან დაქორწინების ჩვეულებას — ეგზოგამიას. ტოტემური სახელი აადვილებს ამ აკრძალვის განხორციელებას. საერთო წარმოშობით დაკავშირებული მამაკაცები და ქალები თავიანთი ტოტემის სახელს ატარებენ. ამრიგად, ტოტემი ხელს უშლის ეგზოგამიურ აკრძალვათა დარღვევას და ასრულებს იმ გამოსაცნობი ნიშნის ფუნქციას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, თუ რომელ გვარს ეკუთვნის ქალი. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ გვარისათვის ტოტემის მიკუთვნების ჩვეულების წარმოშობაზე გავლენა მოეხდინოს აგრეთვე ეგზოგამიის გავრცელებას, ე. ი. ერთი და იგივე გვარის წევრთა შორის ქორწინების აკრძალვას.

§ 5. გვარის განვითარება ველურობის ზედა საფეხურზე და ბარბაროსობის ძველა საფეხურზე

1. შრომის ახალი იარაღები და ახალი საწარმოო ძალები. მშვილდ-ისრის გამოგონებით იწყება ველურობის ზედა საფეხური. ამიერიდან ნადირობა აღარ არის შემთხვევითი და არასაიმედო საქმე, იგი „ნორმალური შრომის ერთ-ერთი დარგი“ ხდება. „ველურებისათვის,—წერს ენგელსი,—მშვილდ-ისარი იგივე იყო, რაც ბარბაროსებისათვის რკინის მახვილი, ხოლო განათლებული ხალხებისათვის თოფი: ეს იყო გადამწყვეტი იარაღი“[1]. ველურობის ზედა საფეხურზე ჩნდება სოფლებად დასახლების ჩანასახები.

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 25.

ᲛნიᲨვნელოვნად ვითარდება იარაღთა წარმოება, რომლებსაც უმთავრესად გახეხილი ქვისაგან აკეთებდნენ, აგრეთვე ოჯახში სახმარი საგნების წარმოება.

საზოგადოების გვაროვნული ორგანიზაცია რჩება და განაგრძობს გავითარებას როგორც ველურობის ზედა საფეხურზე ისე ბ ა რ ბ ა რ ო ს ო ბ ი ს ქ ვ ე დ ა ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე, რომელიც მეჭურჭლეობის გამოგონებით იწყება. ჩნდება თიხის პირველი ჭურჭელი, რომელსაც ნედლეულის მარაგის შესანახად და საჭმლის მოსახარშად ხმარობენ. უფრო სრულყოფილი ხდება ქვის იარაღი; შრომის ნაყოფიერება იზრდება. ნადირობის გვერდით, რომელიც მამაკაცის საქმეს შეადგენს, ჩნდება ჩანასახები მიწათმოქმედებისა, რომელსაც უმთავრესად ქალები მისდევენ. ქალი, გარდა ამისა, კვლავ დგას შინამეურნეობის სათავეში, რომელიც წინანდებურად ინარჩუნებს დიდ წონას გვაროვნული საზოგადოების საერთო მეურნეობაში.

2. წყვილად ქორწინებაზე გადასვლა. ჯგუფური ქორწინება შეუძლებელი ხდება, რაც უფრო ფართოვდება და უფრო აირ-დაირევა ქორწინებრივი აკრძალვა. ველურობისა და ბარბაროსობის მიჯნაზე, მეტწილად უკვე ველურობის უმაღლეს საფეხურზე, მის ადგილს თანდათან იკავებს წ ყ ვ ი ლ ა დ ი ოჯახი, რომლის დროსაც მამაკაცი ერთ ქალთან ცხოვრობს, მაგრამ ამასთან დაიშვება მრავალცოლიანობა და მამაკაცის ცოლქმრული ორგულობა. ძირითადი ნიშანი, რომელიც წყვილად ოჯახს მონოგამიური ოჯახისაგან განასხვავებდა, იყო „თანაცხოვრების განსაკუთრებულობის საწყისის არარსებობა“ (მორგანი). წყვილადი ქორწინების დროს ყოველ მხარეს ადვილად შეეძლო ცოლქმრული კავშირი დაერღვია. „ქმარს,— ამბობს მორგანი, — შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოეშორებინა თავისი ცოლი და მისთვის შეურაცხყოფის მიუყენებლად მოეყვანა სხვა ცოლი, ამავე დროს ცოლიც სარგებლობდა ასეთივე უფლებით— მიეტოვებინა თავისი ქმარი და აეყვანა სხვა ქმარი, იმ პირობით, რომ ამას არ დაერღვია მისი ტომისა და გვარის წესები“[1]. მაგრამ ვიდრე ცოლქმრული კავშირი გრძელდება, ქალს ჩვეულებრივ მოეთხოვება უსასტიკესი ერთგულება, და ამ ერთგულების დარღვევა სასტიკ სასჯელს იწვევს[2].

---

[1] М о р г а́ н, Древнее общество, Ленинград, 1935, стр. 269.

[2] ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 48.

წყვილადი ოჯახი ამასთან არ შეადგენს დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს. კომუნისტური მეურნეობა წინანდებურად რჩება. ჩვეულებრივ რამდენიმე წყვილადი ოჯახი ერთობლივად ცხოვრობს და ერთობლივად ეწევა საერთო შინამეურნეობას.

3. ზასულიჩისადმი მიმართულ თავის შავად შედგენილ მეორე წერილში მარქსი ამბობს: „საერთო სახლი და კოლექტიური საცხოვრებელი ბინა უფრო ძველი თემების ეკონომიური საფუძველი იყო იმ დროს, რომელიც დიდად უსწრებდა მწყემსური და სამიწათმოქმედო ცხოვრების დამკვიდრებას... მუშაობა თანაზიარად სწარმოებს, და საერთო პროდუქტი, განახლებისათვის გადადებული წილის გამოკლებით, თ ა ნ დ ა თ ა ნ ნ ა წ ი ლ დ ე ბ ა, მოხმარების საჭიროების შესაბამისად“[1].

მორგანი მოგვითხრობს ირიკეზებზე, რომ ისინი იშენებდნენ გრძელ ტევად სახლებს, რომლებიც იმდენად დიდი იყო, რომ 5-10 და 20 ოჯახსაც კი დაიტევდა, და თვითეული ასეთი შინამეურნეობა კოლექტიურ საწყისებზე სწარმოებდა. ამ ოჯახური თემის სათავეში იდგა ერთი ან ორი უხუცესი ქალი — დიდედა, რომელსაც ყველა მოპოვებული პროდუქტი შესანახად და გასანაწილებლად გადაჰქონდა.

3. დედის გვარის აყვავება. დედის გვარი, რომელიც ჯგუფური ქორწინების დროს წარმოიშვა, წყვილადი ოჯახის დროსაც რჩება. წყვილადი ოჯახის დროს ნათესაობა წინანდებურად დედის მიხედვით ითვლება და ბავშვი წინანდებურად იმ გვარს მიეკუთვნება, რომელსაც დედამისი ეკუთვნის. ამასთან ერთად კოლექტიურ საწყისებზე მოწყობილი შინამეურნეობა, სადაც ქალები, რომლებიც ამასთან ყველანი ერთსა და იმავე გვარს ეკუთვნიან, დიდ როლს ასრულებენ, კვლავ წარმოადგენენ გვარის სამეურნეო ცხოვრების ცენტრს, და არსებობის საშუალებათა მოპოვებაში ქალი ისევ არსებითს როლს ასრულებს.

წარმოშობისთანავე გვარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომელიმე სხვა გვართან, რომლის წევრებთან მას ეგზოგამიური ქორწინებრივი ურთიერთობა დაუმყარებია. უფრო გვიან, მოსახლეობის ზრდასა და პირვანდელი გვარების დაწვრილერთეულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ბინადრობასა და შრომის ზრდად ნაყოფიერებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფართოვ-

---

[1] Маркс и Энгельс, Сочинения, т. XXVII, стр. 694.

დება და მტკიცდება. ტომი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ორ გვარს შეიცავდა, გვარების გაცილებით უფრო მეტი რიცხვის კავშირი ხდება. გვარი „მთელი საზოგადოებრივი სისტემის ძირითად უჯრედად“ იქცევა (მორგანი); ეს სისტემა შესდგება ტომებისაგან, რომლებიც იყოფა ფრატრიებად და გვარებად და ერთიანდება ტომების კავშირებად (იხ. ქვემოთ). ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე დედისეული გვარი თავის აყვავებას აღწევს.

§ 6. გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილების თავისებურებანი

გვაროვნული წესწყობილება კაცობრიობის წინა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უნივერსალურ ფორმას წარმოადგენს: იგი ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სულ სხვადასხვა ხალხთა შორის, და მის კვალს ჩვენ ადვილად აღმოვაჩენთ იმ ხალხებში, რომლებიც დიდი ხანია საზოგადოების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე გადასულან.

გვაროვნული ორგანიზაციის ძირითადი ნიშნები მეორდება სხვადასხვა ხალხთან. ერთი და იგივე თავისებურებანი ახასიათებენ ირიკეზების დედის გვარსაც, ძველი ბერძნების და რომაელების პატრიარქალურ გვარსაც (პატრიარქალური გვარის შესახებ იხ. ქვემოთ, § 7), ძირითადად ერთი და იგივე ნიშნებით ხასიათდება ირლანდიელთა „კლანი“, არაბთა „ხაია“, დაღისტნელი მთიელების „ტოხუმი“ თუ ჩაჩნების „ტაიპე“.

როგორია გვარის ეს თავისებურებანი?

1. უწინარეს ყოვლისა, გვარი არის წმინდა პირადი, და არა ტერიტორიული კავშირი. მაშინ როცა სახელმწიფო თავის ქვეშევრდომებს ჰყოფს ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და მოქალაქეების სხვადასხვა ადგილას დასახლებისა და კავშირურთიერთობიდან გამოდის, გვარის წევრთა კავშირურთიერთობა დაფუძნებულია სისხლის-ნათესაობის საწყისზე, რასაც საერთო არაფერი აქვს ტერიტორიულ დასახლებასთან.

2. გაცილებით უფრო არსებითია გვაროვნული საზოგადოების სხვა ნიშანი — „გვარში არ არის „განსაკუთრებული აპარატი ძალადობის სისტემატურად გამოყენებისა და ძალადობისადმი ადამიანთა დამორჩილებისა“[1].

---

[1] Ленин, Лекция о государстве, Соч., т. XXIV, стр. 365.

გვაროვნულ საზოგადოებაში არ არსებობს საჯარო ხელისუფლება, რომელიც გამოცალკევებული იყოს საზოგადოებისაგან და, ასე ვთქვათ, თავს ადგეს მას იძულებისა და ძალადობის სისტემატურად გამოყენებისათვის. ჩვენ აქ ვხედავთ „ადათების ბატონობას, ავტორიტეტს, პატივისცემას, ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი... მაგრამ ვერსად ვერ ვხედავთ ისეთ ადამიანთა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომლებიც სხვების სამმართავად იყვნენ გამოყოფილნი“[1].

გვაროვნულ საზოგადოებაში „არც ჯარისკაცებია, არც ჟანდარმები და პოლიციელები, არც თავადაზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექტები ან მსაჯულები, არც ციხეებია და არც პროცესები, მაგრამ ყოველივე წესიერად მიმდინარეობს. ყოველივე უთანხმოებას და დავას სწყვეტს იმ პირთა ერთეული, რომელთაც ეს ეხება, — გვარი, ტომი ან გვარების გაერთიანება, სისხლის აღება მხოლოდ უკიდურეს, იშვიათ შემთხვევაში იხმარება; ამ სისხლის აღების ცივილიზაციაქმნილი ფორმა სიკვდილით დასჯაა, იგი ცივილიზაციის ყველა უპირატესობითა და ნაკლითაა დატვირთული. თუმცა გვაროვნულ წესწყობილებაში მეტი საზოგადო საქმეებია გასარჩევი, ვიდრე დღეს გვაქვს, თუმცა რამდენიმე ოჯახს საერთო შინაური მეურნეობა აქვს კომუნისტურად მოწყობილი, თუმცა იქ მიწა ტომის სამფლობელოს წარმოადგენს, მხოლოდ ბალჩებია მიკუთვნებული შინაური მეურნეობისადმი, მაგრამ მაინც იქ საჭირო არაა ჩვენი ფართო და დახლართული მმართველობის აპარატი, საქმეებს მონაწილეები სწყვეტენ და, უმრავლეს შემთხვევაში, ყოველივე საუკუნეებრივი ადათის წყალობით წესრიგდება. შეუძლებელია, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არსებობდნენ—კომუნისტური ოჯახი და გვარი ზრუნავენ მოხუცებულთა, სნეულთა და ომში დაავადებულთა შესახებ. ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი არიან, თვით დედაკაცებიც. ადგილი არ არის არც მონებისათვის და ჩვეულებრივ, არც უცხო ტომების ჩაგვრისათვის“.

გვარის უხუცესებს გვარის მთელი შემადგენლობა ირჩევს, და ისინი, ისე ვთქვათ, პირველნი არიან თანასწორთა შორის. მათი ძალაუფლება, რომელიც იძულების სპეციალურ აპარატს არ ემყარება, წმინდა მორალურ, მამობრივ ხასიათს ატარებს. ამასთან, გვა-

---

[1] **Ленин, Лекция о государстве, Соч., т. XXIV, стр. 365.**

[2] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 97—98.

რის წევრთა კრებას ყოველთვის შეუძლია გამოსცვალოს გვარის უხუცესი. გვარის საქმეებს გვარის წევრთა საერთო კრება სწყვეტს, ამასთან გვარის ყველა წევრს შეუძლია თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი ამ კრებაზე. არჩევითია აგრეთვე ტომის, ე. ი. გვარების კავშირის ყველა ორგანო.

ამერიკელი მკვლევარი მორგანი, რომელიც მრავალ წელს შეისწავლიდა ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების — იროკეზების ცხოვრებას, იუწყება, რომ მათთან როგორც სახემი, რომელიც გვარს მეთაურობდა (მამასახლისი მშვიდობიანი დროისათვის), ისე ყველა დანარჩენი წინამძღოლი არჩევითი იყო. მათ ირჩევდნენ გვარის ყველა მოზრდილი მამაკაცისა და ქალის თავისუფალი ხმისმიცემით. ჩვეულებრივ ირჩევდნენ გარდაცვლილი სახემის ძმას ან მის დისწულს (რადგან იროკეზთა გვარი დედისეული გვარი იყო). გვარს თავის შეხედულებისამებრ შეეძლო აგრეთვე გადაეყენებინა სახემი და წინამძღოლები. იროკეზები სახემს „ხალხის მრჩეველს“ უწოდებდნენ და ამით კარგად გამოხატავდნენ ამ თანამდებობის თავისებურებებს, რომელიც ყოველგვარ ერთხელისუფლებიანობას გამორიცხავდა. გვარის ყველა დიდმნიშვნელოვან საქმეს სწყვეტდა გვარის საბჭო, ე. ი. გვარის ყველა მოზრდილი წევრის, როგორც მამაკაცის, ისე ქალის, კრება.

გვარები იროკეზებთან „ფრატრიებად“ და ტომებად ერთიანდებოდნენ. სამი-ოთხი გვარი ფრატრიას შეადგენდა, ხოლო ორი ფრატრია ტომად ერთიანდებოდა. ფრატრიები პირვანდელი გვარებია, რომლებიც გაწვრილერთეულებულან მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შედეგად და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე გვარად დაყოფილან. ფრატრიას მმართველობის რაიმე არსებითი ფუნქციები არა ჰქონდა, მას ჰქონდა ნაწილობრივ საზოგადოებრივი, ნაწილობრივ კი რელიგიური ხასიათის მიზნები.

იროკეზებთან ორი ფრატრია შეადგენდა ტ ო მ ს, ე. ი. რამდენიმე გვარის კავშირს, რომელთა წევრები ერთსა და იმავე დიალექტზე ლაპარაკობენ. უმაღლესი ძალაუფლება ტომში ეკუთვნოდა ტომის საბჭოს. საბჭო შესდგებოდა ცალკეული გვარების ყველა სახემისა და წინამძღოლისაგან, მაგრამ იგი სხდომებს საჯაროდ მართავდა, ტომის ყველა წევრით გარშემორტყმული, ამასთან ტომის ყოველ წევრს შეეძლო სიტყვა აეღო და თავისი აზრი გამოეთქვა, ქალებსაც კი შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ორატორების მეშვეობით, რომლებსაც თვითონ აირჩევდნენ ხოლმე. მაინც

გადაწყვეტილება მხოლოდ საბჭოს წევრებს გამოჰქონდათ, ამასთან გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ერთხმივობა.

ტომის საბჭოს ეკუთვნოდა აგრეთვე უფლება—დაემტკიცებინა თანამდებობაში გვარების სახემები და წინამძღოლები, რომლებსაც გვარების საბჭოები ირჩევდნენ. ტომის საბჭოს შეეძლო აგრეთვე ყოველთვის გადაეყენებინა ისინი.

ზოგიერთ ტომთან ერთ-ერთი სახემი ტომის უზენაეს წინამძღოლად ითვლებოდა და თავისი მდგომარეობით დანარჩენ სახემებზე მაღლა იდგა. მაგრამ ამ წინამძღოლის ძალა-უფლება უმნიშვნელო იყო, მისი მოქმედება წინასწარ ხასიათს ატარებდა და ტომის საბჭოს შემდგომ დამტკიცებას საჭიროებდა. ამასთან ეს წინამძღოლი, რომელსაც ტომის საბჭო ირჩევდა, ყოველ დროს შეეძლო გადაეყენებინა ამ საბჭოს.

ირიკეზებთან, ტომობრივი ორგანიზაციის გვერდით, ჩვენ ვპოულობთ კიდევ ტომების კავშირს — კონფედერაციას. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ირიკეზთა ხუთ ტომს შეეკრა ერთიმეორესთან „სამარადისო კავშირი“ იმ საფუძველზე, რომ ეს ტომები ერთმანეთის თანასწორნი ყოფილიყვნენ და თვითეულ მათგანს თავის საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა. ტომთა კავშირის საქმეებს საკავშირო საბჭო განაგებდა, რომელიც ორმოცდაათი სახემისაგან შესდგებოდა. ამ ორმოცდაათი სახემიდან თვითეული ამავე დროს თავისი ტომის სახემიც იყო. ირიკეზების კონფედერაციას ერთპიროვნული მეთაური არა ჰყოლია. ტომების კავშირს მხოლოდ ორი მუდმივი თანამდებობა ჰქონდა დაწესებული; ეს იყო სამხედრო წინამძღოლთა თანამდებობა. ამრიგად, მხედართუფროსის ძალაუფლება დაყოფილი იყო თანაბარი უფლებამოსილობის მქონე ორ პირს შორის, ასე რომ ერთ მათგანს შეეძლო მეორის შეკავება და „ნეიტრალიზება“.

ასეთია ირიკეზების საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არ არსებობს ძალადობის განსაკუთრებული აპარატი და არ არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც გამოცალკევებული იყოს მოსახლეობის დანარჩენი მასისაგან და ამ აპარატს ემყარებოდეს. გვარის დაინტერესებული წევრები თვითონ სწყვეტენ გვარის ყველა საქმეს და ტომის ყველა საქმეს. უხუცესთა ავტორიტეტი და საუკუნეებრივ ადათთა ძალა ხელს უწყობენ ტომისა და გვარის შიგნით მშვიდობიანობის შენარჩუნებას, უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის თავიდან აცილებას.

მორგანი ახასიათებს ირიკეზების პირველყოფილ დემოკრატიას და შემდეგს ამბობს:

„ირიკეზთა გვარის ყველა წევრი პირადად თავისუფალი იყო და ვალდებული იყო დაეცვა ერთიმეორის თავისუფლება: ისინი თანაბარი პრივილეგიებითა და პირადი უფლებებით სარგებლობდნენ, ამასთან სახემები და წინამძღოლები ამ მხრივ რაიმე უპირატესობას არ ჩემულობდნენ, ეს იყო ნათესაობის ძაფებით დაკავშირებული ძმობა. თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა, თუმცა არასოდეს არ ყოფილა ფორმულირებული, შეადგენდა გვარის ძირითად პრინციპებს“[1]. ხოლო გვარი, თავის მხრივ, წარმოადგენდა მთელი საზოგადოებრივი სისტემის ძირითად უჯრედს, ორგანიზებული ინდიური საზოგადოების საფუძველს.

ძველ ბერძნებთანაც გვარების უხუცესებს — ა რ ქ ო ნ ტ ე ბ ს —გვარის კრება აირჩევდა და გადააყენებდა ხოლმე. ტომის სათავეში იდგა უხუცესთა საბჭო — ბ უ ლ ე. დასასრულ, ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომლებიც ტომს ეხებოდა, სწყვეტდნენ სახალხო კრებაზე — ა გ ო რ ა ზ ე, რომელშიც ყოველი მოზრდილი მამაკაცი მონაწილეობდა.

მხედართუფროსის ფუნქციებს ასრულებდა ტომის წინამძღოლი — ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი. ბაზილევსს ოდნავადაც არა ჰქონდა ისეთი ძალაუფლება როგორიც დამახასიათებელია მონარქებისათვის. ამიტომ სწორი არ არის გადმოიცეს ბერძნული სიტყვა „ბაზილევსი“ სიტყვით „მეფე“ ან „კოროლი“, ხოლო „ბაზილეია“—სიტყვით სამეფო. ბაზილევსის თანამდებობა არჩევითი იყო, მაგრამ ფაქტიურად იგი მემკვიდრეობით განუმტკიცდებოდა ერთ ოჯახს, რადგან ამ თანამდებობაზე საბჭო ჩვეულებრივ ირჩევდა ან ამტკიცებდა გარდაცვლილი ბაზილევსის ვაჟიშვილს.

ანალოგიურ ნიშნებს ვხვდებით ჩვენ ძველ რომაელთა გვაროვნულ საზოგადოებრივ წესწყობილებაშიც. თვითეულ ტომს ჰყავდა თავისი უხუცესთა საბჭო, თავისი სახალხო კრება და თავისი არჩევითი წინამძღოლი — რექსი. „იგი მხოლოდ მხედართმთავარი, ქურუმთუხუცესი და სამსჯავროს თავმჯდომარე იყო ზოგიერთი

---

[1] **Морган, Древнее общество, Ленинград, 1935, стр. 51.**

საქმის გარჩევის დროს. მას სრულიადაც არა ჰქონია სამოქალაქო უფლებამოსილობა ან ძალაუფლება მოქალაქეების სიცოცხლესა, თავისუფლებასა და საკუთრებაზე...“[1].

ამრიგად, გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, ასე ვთქვათ, საზოგადოების ზევით მდგომი საჯარო ხელისუფლების არარსებობა, ძალადობის სისტემატური გამოყენებისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული აპარატის არარსებობა.

3. გვარის წევრები ვალდებული არიან დაეხმარონ ერთი-მეორეს, დაიცვან ერთიმეორე ყოველგვარი საფრთხისა და ყოველგვარი თავდასხმისაგან, ერთად იძიონ შური ვინმესათვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო და ერთად აგონ პასუხი ვინმეს მიერ სხვა გვარის წევრისათვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. გვარის ყოველი წევრი უნდა დაიცვას გვარის ყველა დანარჩენმა წევრმა. აქედან წარმოსდგება ს ი ს ხ ლ ი ს ა ღ ე ბ ი ს ა დ ა თ ი, რომელსაც ერთად ახორციელებენ შეურაცხყოფილი გვარის წევრები იმ გვარის წევრთა მიმართ, რომელსაც შეურაცხმყოფელი ეკუთვნის.

გვარის წევრის მკვლელობა მთელ გვარს შეურაცხჰყოფდა და ზიანს აყენებდა საერთოდ მთელ გვარს, ამიტომ თავდაპირველად საერთოდ მთელი გვარი ეხმაურებოდა თავისი წევრის მკვლელობას, აღსდგებოდა მოკლულისათვის შურის საძიებლად.

თავდაპირველად მხარეთა მტრობა არაფრით არ წესრიგდებოდა. ასე, ბრაზილიელ ინდიელებთან სისხლის აღება რაიმე წესების დაუცველად ტარდებოდა, მოხუცებსაც და ბავშვებსაც არ ინდობდნენ. არაუკანელებთან (სამხრეთ ამერიკა) სისხლის აღება მთელი წლობით გრძელდებოდა და მამიდან შვილზე გადადიოდა. დრუზებთან (სირია) ხშირად ხდება გვარების განუწყვეტელი ომი, რომელიც რამდენიმე თაობის განმავლობაში გრძელდება.

შემდეგ ჩნდება ერთგვარი შეზღუდვა. შურისძიება მოკლულის მხოლოდ უახლოეს ნათესავთა მოვალეობა ხდება, რომელთა წრეს ადათი განსაზღვრავს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ უახლოეს ნათესავებს ჰქონდეთ შურისძიების უფლება: მეტად შორეულმა ნათესავებმაც კი მარჯვე შემთხვევისას მტერი ხელიდან არ უნდა გაუშვან.

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 129.

ადათი განსაზღვრავს აგრეთვე თუ ვის წინააღმდეგ უნდა იყოს შურისძიება მიმართული. ამ საკითხში ევოლუცია იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის აღება ნათესავთა სულ უფროდაუფრო ვიწრო წრით იზღუდება. ასე, ალბანელებთან შურისმაძიებელს შეუძლია მიზანში ამოიღოს ყოველი ნათესავი ხუთი უახლოესი ნათესავიდან. ერთ-ერთი მათგანის მოკვლით მტრობა თავდება. ინგუშებს სისხლის აღება შესაძლებლად მიაჩნდათ მოკლულის მხოლოდ ღვიძლი ძმების, ბიძებისა და ძმისწულების მიმართ, ამასთან მხოლოდ-დამხოლოდ მამის ხაზით.

თავდაპირველად ყოველგვარი უფლების დარღვევის გამო შეიძლებოდა სისხლი აეღოთ ყოველგვარი ზომის დაუცავად, განსაკუთრებით თუ პირს დანაშაულის ადგილას დაიჭერდნენ. დანაშაულის ადგილას შეპყრობილი ქურდი, მრუში შეეძლოთ დაუსჯელად მოეკლათ. შემდეგში წესდება ტალიონის პრინციპი („თანაბარს თანაბარი"), კიდევ უფრო გვიან შურისძიება შეიცვლება გამოსყიდვით. ჯერ მცირე დანაშაულთა მიმართ, მერე მკვლელობის შემთხვევებშიც. წესდება ადათი — შურისძიებისაგან თავი გამოისყიდონ დაზარალებულის ან მისი უახლოესი ნათესავების სასარგებლოდ შესატანის გაღებით. ამ შესატანს თავდაპირველად იხდიან ნატურით — პირუტყვით, მარცვლეულით და ა. შ., უფრო გვიან კი — ფულით.

საზღაურის ოდენობას ადათი განსაზღვრავს. საზღაურის ოდენობაზე გავლენას ახდენს მოკლულის ან დაზარალებულის მდგომარეობა. გვაროვნული საზოგადოების რღვევის სტადიაზე უკვე ყალიბდებიან კლასები, იქმნება არისტოკრატია. ამიტომ ამ გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლის მოკვლა ან შეურაცხყოფა უფრო მაღალი გამოსასყიდით ნაზღაურდება, ვიდრე უბრალო მეთემურის მოკვლა (იხ. § § 8 და 9).

4. გვაროვნული წესწყობილების შემდეგი თავისებურებაა გვარის წევრთა შორის ქორწინების დაუშვებლობა, ეგრეთ წოდებული ე გ ზ ო გ ა მ ი ა. რა იწვევს ამ ადათს? ის, რომ გვარი ჯგუფური ოჯახიდან წარმოსდგება და რომ გვარის წევრები ერთმანეთთან სისხლის-ნათესაობით არიან დაკავშირებულნი. აქედან გამომდინარეობს გვარის წევრთა შორის ქორწინების დაუშვებლობის აღიარება და, როგორც ამის შედეგი, — ეგზოგამია. თავდაპირველად შეუძლებელს ხდიდნენ ქორწინებას უახლოეს ნათესავებს შორის, ჯერ მშობლებსა და შვილებს შორის, მერე და-ძმებს შორის და ა. შ. აკრძალვათა წრე თანდათან ფართოვდებოდა, და ამას საბო-

ლოო ანგარიშით შედეგად მოჰყვა ქორწინებრივი კავშირის აკრძალვა ერთი და იგივე გვარის წევრთა შორის, ეგრეთწოდებული ეგზოგამია, ე. ი. ცოლის სხვა გვარიდან მოყვანის ჩვეულება.

5. დასასრულ, გვაროვნული წესწყობილების კიდევ ერთი თავისებურება, რაც აქ უნდა აღინიშნოს, არის განსაკუთრებული სახელის არსებობა, რომელსაც გვარი ატარებს.

ამასთან ერთად თვითეულ გვარს აქვს თავისი გვაროვნული რელიგიური კულტი, თავისი სასაფლაო, თავისი დღესასწაულები.

§ 7. პატრიარქალური გვარი და პატრიარქალური ოჯახი

1. ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე პირველყოფილ-თემურ წყობილებაში მომხდარ ცვლილებათა ზოგადი დახასიათება. პირველყოფილ-თემური წყობილების მდგომარეობაში დიდი ცვლილებები ხდება იმ დროს, როცა ადამიანთა საზოგადოება ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე გადადის. ეს გადასვლა აღმოსავლეთ ნახევარსფეროში დაკავშირებულია შინაურ ცხოველთა მოშინაურებასთან, დასავლეთში, ამერიკაში — სარწყავი მიწათმოქმედების გაჩენასთან. მესაქონლეობაზე გადასვლასთან ერთად ვითარდება მებოსტნეობაც — „მიწათმოქმედების მაუწყებელი“ (ენგელსი). ბალახსა და მარცვალს ჯერ საქონლის გამოსაკვებად შოულობენ, უფრო გვიან კი მარცვალი ადამიანის საზრდოდ ისმარება.

ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე პირველად ჩნდება საქსოვი დაზგა და პირველად იწყება ლითონის გამოდნობა. მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ კალასა და სპილენძს ადნობენ, რკინის იარაღის კეთება ჯერ კიდევ ვერ უსწავლიათ. ბარბაროსობის საშუალო საფეხური „ბრინჯაოს“ ხანაა პირველყოფილი კაცობრიობის ისტორიაში. პირველყოფილ ადამიანთა საწარმოო ძალების აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით ხდება შემდეგი ცვლილებანი პირველყოფილ-თემური წყობილების მდგომარეობაში:

ა) ჩნდება ეგრეთწოდებული პატრიარქალური ოჯახი, შუალედური გარდამავალი ფორმა წყვილადი ოჯახიდან მონოგამიაზე.

ბ) ჩნდება პატრიარქალური გვარი. ემხობა „დედის უფლება“ და დედის გვარი, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება „მდედრობითი სქესის დამარცხება, რასაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს“. დედის გვარს მამის (პატრიარქალური) გვარი სცვლის.

გ) ადამიანის შრომა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლის მეოხებით მას უფრო მეტ პროდუქტს აძლევს, ვიდრე ეს საჭიროა მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. გაჩნდა კერძო საკუთრება, და შესაძლებელი გახდა ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ — გაჩნდა მონობა. იწყება პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა (იხ. § 8).

2. პატრიარქალური ოჯახისა და პატრიარქალური გვარის გაჩენის მიზეზები. რა მიზეზებმა გამოიწვიეს პატრიარქალური ოჯახის და პატრიარქალური გვარის გაჩენა და ამასთან დაკავშირებული ცვლილებანი ქალის მდგომარეობაში? მიზეზი იყო ადამიანთა საზოგადოების გადასვლა მესაქონლეობაზე. ჩნდება ახალი ქონებრივი ფასეულობა — ჯოგი, რომელიც თავდაპირველად ტომისა და გვარის მფლობელობაშია, ხოლო შემდეგ ტომისა და გვარის საერთო მფლობელობიდან ცალკეული ოჯახების მეთაურთა საკუთრებად გადადის.

მამაკაცი, რომელმაც ამ ახლად აღმოჩენილ ქონებრივ ფასეულობას საკუთარ ხელში მოუყარა თავი, გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს ოჯახში როგორც ჯოგის მფლობელი, როგორც მესაქონლე და მხედარი. მეოჯახეობა თავის წინანდელ მნიშვნელობას ჰკარგავს, ხოლო ამასთან ერთად ეცემა ის მნიშვნელობაც, რომელიც ქალს წინათ ჰქონდა. ოჯახმა, როგორც ენგელსი წერს, „მთელი რევოლუცია განიცადა". ჯოგი ქონების შეძენის ახალი საშუალება იყო. მისი თავდაპირველი მოშინაურება და შემდგომი მოვლა მამაკაცის საქმეს წარმოადგენდა. ამიტომ მას ეკუთვნოდა ჯოგი და ჯოგში გაცვლილი საქონელი თუ მონები. ის ზედმეტი, რასაც ახლა ეკონომიური საქმიანობა იძლეოდა, მამაკაცს რჩებოდა, დედაკაციც სარგებლობდა, მაგრამ მას წილი არ ედო საკუთრებაში.

„ველური" მეომარი და მონადირე ოჯახში კმაყოფილი იყო მეორე ადგილით, პირველი დედაკაცს ეჭირა; „მშვიდი" მწყემსი გულზვიადად ეყრდნობოდა თავის სიმდიდრეს და პირველ ადგილს იჭერდა, ხოლო ქალს მეორეზე აყენებდა. ამ უკანასკნელს ჩივილი არ შეეძლო... იგივე მიზეზი, რომელმაც წინათ დედაკაცის ბატონობა უზრუნველჰყო ოჯახში, სახელდობრ ის, რომ დედაკაცის საქმიანობა ოჯახით იყო შემოფარგლული, ახლა მამაკაცის გაბატონებას იწვევდა იმავე ოჯახში: ქალის ოჯახური შრომა მცირემნიშვნელოვანი აღმოჩნდა მამაკაცის მწარმოებელ საქმიანობასთან შედარებით; ეს უკანასკნელი ყველაფერი იყო, პირველი მხოლოდ

მის უმნიშვნელო დამატებას წარმოადგენდა"[1]. „მამაკაცმა ოჯახშიც დაიპყრო საჭე, ქალს პატივი აეხადა, მამაკაცის მსახური და მისი გულისწადილის მონა გახდა, ბავშვების გაჩენის უბრალო საშუალებად იქცა"[2].

მამაკაცი გახდა პირუტყვის მესაკუთრე, შრომის იარაღთა მესაკუთრე, შემდეგში გაჩენილი მონების მესაკუთრე. მაგრამ ვიდრე ძველი დედის უფლება ბატონობდა, მას არ შეეძლო თავისი ეს ქონება მემკვიდრეობით თავისი შვილებისათვის გადაეცა, რადგან მატრიარქატის დროს მის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მისი დაძმები და მისი და-ძმისწულები ქალის ხაზით. სიმდიდრის ზრდასთან ერთად მამაკაცს აუცილებლად უნდა აღძროდა მისწრაფება—დაემხო მემკვიდრეობის მიღების ძველი წესი თავისი შვილების სასარგებლოდ, ამისათვის კი საჭირო იყო მატრიარქატის გაუქმება. მამაკაცი იყენებს თავის განმტკიცებულ მდგომარეობას იმისათვის, რომ მოსპოს მატრიარქატი. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რევოლუცია, რომელიც კაცობრიობას ოდესმე განუცდია"[3].

3. პატრიარქალური ოჯახის ძირითადი ნიშნები. საზოგადოებრივი საკუთრება პატრიარქალური გვაროვნული წყობილების დროსაც რჩება წარმოების საფუძვლად. მიწა ტომისა და გვარის საკუთრებად ითვლება, მიწის ცალკეული ნაკვეთები სარგებლობაში გადაეცემათ ოჯახებს. პატრიარქალური ოჯახის დამახასიათებელ თავისებურებას ის შეადგენდა, რომ ეს იყო დიდი ოჯახური თემი, რომელიც მამაკაცის უფროსობით იმყოფებოდა და აერთიანებდა ყველა მის ჩამომავალს, ზოგჯერ სამ და ოთხ თაობასაც კი. მოზრდილი შვილები და შვილიშვილები ცოლების შერთვისა და ბავშვების შეძენის შემდეგაც ცხოვრობენ თავიანთ მამასა და პაპასთან ერთად. ხდება ერთი წარმოშობის თითქო რამდენიმე პატარა ოჯახის თანაცხოვრება ერთ ჭერქვეშ ან ერთ ეზოში ოჯახის მამის — პატრიარქის უფროსობით. ასეთია სამხრეთ სლავთა „ზადრუგა", ძველ გერმანელთა Hausgenossenchaft, აღმოსავლეთ სლავთა „პეჩიშჩე" და „დვორიშჩე", ველიკოროსთა „დიდი ოჯახი".

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 163—164.

[2] იქვე, გვ. 58.

[3] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 57.

პატრიარქალურ ოჯახურ თემს ჩვეულებრივ მეთაურობს მისი ყველაზე მოხუცებული, ხოლო ზოგჯერ ყველაზე უნარიანი წევრი. ხშირად ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს სწყვეტენ თემის ყველა წევრის საერთო თანხმობით. მეურნეობას ერთად აწარმოებენ, ხოლო ქონება მთელი ოჯახის საერთო კუთვნილებად ითვლება. მიწათმფლობელობის განუყოფელობა საერთო წესია, რადგან პატრიარქალური ოჯახი ჩვეულებრივ შეადგენს ოჯახურ თემს. ქონების ეს განუყოფელობა და საადგილმამულო თემის შექმნა პირდაპირი შედეგია იმისა, რომ აუცილებელი იყო ერთობლივად გამოეყენებინათ შრომა საერთო მეურნეობაში, საერთო ძალ-ღონით გადაეწყვიტათ საერთო საწარმოო ამოცანები.

სოფლის მეურნეობის დაბალი ტექნიკის დროს მიწის დამუშავება რამდენიმე მოზრდილი მუშაკის ერთობლივ შრომას მოითხოვს. ამით აიხსნება ოჯახური საადგილმამულო თემის შექმნა და შენარჩუნება. ასე, მაგალითად, ძველ რუსეთში ოდესღაც არსებობდა „გასაკაფი“ მიწათმოქმედება, რომლის დროსაც ტყეს ამოძირკვავდნენ და დასწვავდნენ, ვიდრე დამუშავებას დაიწყებდნენ. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში აღმოსავლეთ სლავებთან ჩამოყალიბდა ოჯახური თემი, რომელსაც ჩრდილოეთში უწოდებდნენ „პეჩიშჩეს“, ხოლო სამხრეთში — „დვორიშჩეს“.

დაქორწინება პატრიარქალური ოჯახის დროს ხდება თავდაპირველად სასძლოს მოტაცების მეშვეობით, უფრო გვიან კი — ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით. რადგან წყვილადი ქორწინების წარმოშობის შემდეგ რჩება ნათესავების მიმართ წინათ დაწესებული ყველა ქორწინებრივი აკრძალვა, მამაკაცები უკვე განიცდიან ქალების ნაკლებობას. ქალის საფასური თავდაპირველად იყო ცოლის ნათესავებისათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მათ მოუვიდათ, რათა ნათესავებს შური არ ეძიათ მომტაცებლებზე. შემდეგში ცოლის შეძენა ყიდვა-გაყიდვის აქტად გადაიქცა. საქმრო სასძლოს ოჯახს უხდიდა „ურვათს“, „ქებინს“, „ვენოს“, „ლობოლოს“ (ტონგის ზანგებთან). ცოლის ყიდვით ქალი მამაკაცის საკუთრებად იქცეოდა, ხოლო ქორწინებისაგან წარმომდგარი ბავშვები მის საკუთრებად ითვლებოდნენ არა სისხლიერი კავშირის ძალით, არამედ როგორც ნამატი.

პატრიარქალურ ოჯახსა და პატრიარქალურ გვარში ქალი ჰკარგავს იმ მდგომარეობას, რომელიც მას დედის უფლებაზე დაფუძნებულ კოლექტივში ეჭირა, და მამაკაცის ხელქვეით ვარდება. ცო-

ლების ყიდვის გამო მყარდება მამაკაცთა უსაზღვრო ძალაუფლება მათზე, და ქმარი ცოლის მთელ ქონებას ეუფლება. მაშინაც კი, როცა ქმრის ქონება და ცოლის ქონება ცალ-ცალკეა, ცოლის ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ (მზითევი) ქმრის განკარგულებასა და გამგებლობაში გადადის.

პატრიარქალური ოჯახის განვითარების პირველ საფეხურთან სდევს მრავალცოლიანობის გაჩენა, რომლის წყაროს ქალების ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენს.

ცოლის მიმართ ქმრის ძალაუფლებისაგან წარმოსდგება მამის ძალაუფლება შვილებზე. მამა ხდება ბავშვის მესაკუთრე როგორც მისი დედის მესაკუთრე. ქმარს ეძლევა ცოლის მთელი ნამატის საკუთრების უფლება; აქედან წარმოსდგება სიკვდილ-სიცოცხლის უფლება, რომელიც ეკუთვნის მამას ახალდაბადებულის მიმართ.

პატრიარქალური ოჯახის გაჩენასთან დაკავშირებით მკვეთრად იცვლება მემკვიდრეობის წესიც: დამემკვიდრება ხდება უკვე არა დედის, არამედ მამის ხაზით მამაკაცის ნათესავთა სასარგებლოდ, უფრო ხშირად — მის ჩამომავალთა სასარგებლოდ.

§ 8. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა და მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა

1. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის დაწყება ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე. გვაროვნული წყობილების რღვევა იწყება მესაქონლეობის გაჩენასთან ერთად, როცა ხდება შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება: მეჯოგე ტომები გამოიყოფიან ბარბაროსთა დანარჩენი მასიდან. მეჯოგე ტომებთან არათუ საკმაო რაოდენობით ჩნდება საჭმელი — რძე, რძის პროდუქტები, ხორცი, არამედ სულ უფრო და უფრო მეტი ნედლეულიც: ცხოველთა ტყავი, მატყლი და სხვ., და ეს გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას ჰქმნის. თავდაპირველად გაცვლა-გამოცვლა ტომებსა და გვარებს შორის სწარმოებს, ხოლო როცა აღმოცენდება ოჯახების მეთაურთა ინდივიდუალური საკუთრება პირუტყვის მიმართ, ჩნდება გაცვლა-გამოცვლა ცალკეულ პირთა შორის.

წარმოების გადიდებამ ყველა დარგში — მესაქონლეობაში, მიწათმოქმედებაში — ადამიანის სამუშაო ძალა უნარიანი გახადა შოეპოვებინა გაცილებით უფრო მეტი პროდუქტი, ვიდრე ეს საჭირო იყო მისი არსებობის შესანარჩუნებლად. ამან სამუშაო ძალას

ღირებულება მისცა მისი ექსპლოატაციის შესაძლებლობის გამო. ომი ახლა გახდა საჭირო სამუშაო ძალის მოპოვების წყაროდ, სამხედრო ტყვეებს უკვე მონებად აქცევდნენ. ამრიგად, შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ გამოიწვია მონობის წარმოშობა და, მაშასადამე, საზოგადოების კლასებად დაყოფა. საზოგადოება დაიყო ბატონების კლასად და მონების კლასად, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასად.

ამასთან ერთად, მესაქონლეობის გაჩენამ შეაპირობა პატრიარქალური ოჯახის შექმნა და ოჯახის ქონების მიმართ ოჯახთა მამების კერძო საკუთრების წარმოშობა, რამაც „გარდატეხა მოახდინა ძველ გვაროვნულ წესწყობილებაში: ინდივიდუალი ოჯახი ძალად იქცა და მასთან მრისხანე ძალად, თვით გვარის წინააღმდეგ მიმართულად“[1].

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და მისი ნაყოფიერების ზრდას შედეგად ის მოხდევს, რომ ადამიანის შრომა უკვე იმაზე მეტს იძლევა, რაც ადამიანის გამოსაკვებად არის საჭირო. შრომის ეს ზრდადი ნაყოფიერება შეაპირობებს დაგროვების შესაძლებლობას და შესაძლებელს ხდის ქონებრივი უთანასწორობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წარმოშობას. ჩაისახება კერძო საკუთრება, ირღვევა ქონების საგვარეულო ერთიანობა, ჩნდება სასაქონლო წარმოება, ვითარდება გაცვლა-გამოცვლა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, კერძო საკუთრების და ქონებრივი უთანასწორობის გაჩენის შედეგად წარმოიშობა საზოგადოების დაყოფა კლასებად — თავისუფალ ადამიანებად და მონებად, მდიდრებად და ღირიბებად. ამ პროცესებმა დაარღვიეს გვაროვნული წესწყობილება და შეაპირობეს მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა.

2. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა ბარბაროსობის ზედა საფეხურზე. ბარბაროსობის ზედა საფეხური უკვე მთლიანად წარმოადგენს პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და ცივილიზაციაზე გადასვლის პერიოდს. გვაროვნულ საზოგადოებაში იქმნება წინააღმდეგობანი, რომლებიც სახელმწიფოს წარმოშობას იწვევენ.

ბარბაროსობის ზედა საფეხურზე იწყება რკინის მოპოვება და ხმარება, გამოიგონებენ რკინის მადნის გამოდნობას, ჩნდება რკი-

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 164.

ნის მახვილი, რკინის გუთანი, რკინის ცული. შრომის იარაღთა სრულყოფის მეოხებით შესაძლებელი ხდება მიწის დამუშავება დიდ ნაკვეთებზე. ჩნდება და უმჯობესდება ახალი ხელობანი. წარმოიშობა შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება—ხელოსნობა გამოეყოფა მიწათმოქმედებას. შრომის ახალ საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთად ჩნდება ქალაქები, ქვის კედლებით, ორმოებითა და კოშკებით გარემოცული, ქალაქები, რომლებიც ტომის ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენენ.

მატულობს ცალკეულ პირთა სიმდიდრე, იზრდება წარმოება და იზრდება შრომის ნაყოფიერება, რის გამო კიდევ უფრო მატულობს მუშახელის ღირებულება. მონობა, რომელიც ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე შემთხვევითი მოვლენა იყო, ახლა საზოგადოებრივი სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილი ხდება. მონები, რომლებიც წინათ უმთავრესად შინამეურნეობაში შრომობდნენ, ახლა მნიშვნელოვანი რაოდენობით მუშაობენ მინდვრებსა და სახელოსნოებში. ვითარდება გაცვლა-გამოცვლა, იზრდება და მტკიცდება გაცვლა-გამოცვლისათვის განკუთვნილი წარმოება — სასაქონლო წარმოება. ვაჭრობა სწარმოებს არა მარტო ტომის შიგნით და საზღვარზე, არამედ უცხო ქვეყნებთანაც. ჩნდება ლითონის ფული, რომელიც ჯერჯერობით კი არ იჭრება, არამედ წონით გადაიცვლება. ყოველივე ეს იწვევს საზოგადოების ახალ დაყოფას კლასებად: საზოგადოების თავისუფალ პირებად და მონებად დაყოფასთან ერთად ჩნდება განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მიწა უკვე აღარ არის თემური საკუთრება და თანდათან გადადის ცალკეული ოჯახების კერძო საკუთრებად.

მოსახლეობის ზრდადი სიმჭიდროე იწვევს მონათესავე ტომთა კავშირების შექმნას. კავშირის სათავეში დგება მხედართუფროსი. გვაროვნული წყობილება სამხედრო დემოკრატიის ხასიათს იძენს, რადგან ომი ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ომებს ახლა აწარმოებენ არა მარტო ტერიტორიის გასაფართოებლად ან შურის საძიებლად, არამედ პირდაპირი ძარცვის მიზნითაც. ომები აძლიერებენ უზენაესი მხედართუფროსის და სამხედრო არისტოკრატიის ძალაუფლებას. მხედართუფროსის ძალაუფლება თანდათან მემკვირდეობითს ხასიათს იძენს. მზადდება მემკვირეობითი მონარქიისაკენ და მემკვიდრეობითი დიდკაცობის ჩამოყალიბებისაკენ გადასვლა. გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილება თავის ნიადაგს ჰკარგავს, და მისი ორგანოები გვაროვნული მმართველობის საშუა-

ლებებიდან ძარცვისა და ძალადობის იარაღებად იქცევიან. „გვაროვნული წესწყობილება, — წერს ენგელსი, — თავისი თავის წინააღმდეგობად იქცევა: ტომების ორგანიზაციიდან, რომელიც თავის საქმეებს თავისუფლად აწესრიგებდა, იქცევა მეზობლების ძარცვაგლეჯის და ჩაგვრის ორგანიზაციად. ამისდა მიხედვით მისი ორგანოები, რომელნიც ხალხის ნებისყოფის იარაღს წარმოადგენდნენ, ბატონობის და ჩაგვრის დამოუკიდებელ იარაღებად იქცევიან საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, სიმდიდრის წყურვილს თანამეგვარეები მდიდრებად და ღარიბებად რომ არ გაეთიშა, რომ (აქ ენგელსს მოჰყავს ციტატი მარქსიდან) „საკუთრების სხვადასხვაობას ერთი და იმავე გვარის ფარგლებში ინტერესთა ერთობა თანამეგვარეების ანტაგონიზმად არ ექცია“[1].

3. კლასობრივი საზოგადოება — ცივილიზაცია — და მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა. გვაროვნული წესწყობილება თავისი დაღუპვის წინ იმყოფება. „ახლად გამაგრებულ ქალაქებს გარს მრისხანე კედლები ამაოდ როდი არტყია: მათს თხრილებში გვაროვნული წესწყობილების სასაფლაოა, მათი კოშკები უკვე ცივილიზაციის სფეროშია ატყორცნილი“[2]. ცივილიზაცია კიდევ უფრო ამწვავებს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებას, აძლიერებს შრომის დანაწილების ყველა წინათწარმოშობილ სახეს — ჰქმნის კლასს, რომელიც სპეციალურად ეწევა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას, ვაჭრების კლასს, „კლასს, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში, მაგრამ საერთოდ იპყრობს წარმოების მეთაურობას და მწარმოებლებს ეკონომიურად იმორჩილებს: იგი აუცილებელ შუამავლად გამოდის ორ მწარმოებელს შორის და ორივეს ექსპლოატაციას უშვრება“[3]. ჩნდება „პარაზიტების კლასი, ნამდვილი საზოგადოებრივი მუქთახორების კლასი, რომელიც მეტად მცირედი რეალური სამსახურისათვის ნაღებს ხდის როგორც შინაურ, ისე უცხო წარმოებას, ჩქარა იძენს უზარმაზარ სიმდიდრეს და სათანადო საზოგადოებრივ გავლენას და სწორედ ამიტომ ცივილიზაციის პერიოდში თანდათან მეტს პატივსა და წარმოების დამორჩილებას აღწევს“[4].

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 167.

[2] იქვე, გვ. 167.

[3] იქვე, გვ. 168.

[4] იქვე, გვ. 168.

ვაჭრობის ზრდა ლითონის ფულის გაჩენას იწვევს და ჰქმნის მის ფლობასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ ძალაუფლებას, არამწარმოებელი კლასის ძალაუფლებას მწარმოებლებზე და მათს წარმოებაზე. ჩნდება მევახშეობა, კრედიტი და პროცენტები, ხოლო ამასთან ერთად იქმნება ყოვლად ულმობელი დამოკიდებულება მოვალეებისადმი, ისე რომ კრედიტორს უფლებაც კი ეძლევა უწესივრო მოვალე მონად გაჰყიდოს.

ვითარდება მიწის კერძო ვაჭრობა; მიწა ყიდვა-გაყიდვის, გირავნობის საგანი ხდება. სიმდიდრე თავს იყრის მცირერიცხოვანი კლასის ხელში, მაგრამ ამასთან ერთად სულ უფრო და უფრო მატულობს ღარიბთა რაოდენობა. მონების რიცხვი უზომოდ იზრდება. ახალი ქონებრივი არისტოკრატია საბოლოოდ უკანა მხარეს მოაქცევს ძველ გვაროვნულ დიდკაცობას.

გვაროვნული წყობილება სრულიად უმწეო აღმოჩნდება ამ ცვლილებათა წინაშე. „განვითარების გზაზე შემდგარმა ფულის მეურნეობამ, — ამბობს ენგელსი, — დაშალა სოფლის თემების ნატურალური მეურნეობა. გვაროვნული წესწყობილება სრულიად ვერ ურიგდება ფულის მეურნეობას“[1].

სავაჭრო საქმიანობამ, ერთი მხრივ, მიწების გასხვისებამ და სამუშაოს გამოცვლამ, მეორე მხრივ, გამოიწვიეს მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა. გვარები და ტომები ერთი-მეორეში აირევნენ; თავისუფალ მოქალაქეთა შორის ცხოვრობდნენ მონები, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის — უცხოელები, ფრატრიისა და ტომის ფარგლებში სახლდებოდნენ გარეშეები,—სხვა ფრატრიებისა და ტომების წევრები. მოსახლეობის ახალი ჯგუფები — უცხო გვარელები — უუფლებონი იყვნენ; მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ გვაროვნული ორგანიზაციების მმართველობაში. ამასთან ერთად შეიქმნა ახალი მოთხოვნილებანი და ახალი ინტერესები, რომლებიც ძველ გვაროვნულ წყობილებას ეწინააღმდეგებოდნენ. გვარის ფარგლებში თავი იჩინა დაპირისპირებული ინტერესების შეჯახებამ, რომლის წინაშე გვაროვნული ორგანიზაცია უმწეო აღმოჩნდა. იგი თანასწორთა საზოგადოებას ჰგულისხმობდა, და როცა გვაროვნული საზოგადოების წიაღში შეიქმნა მდიდრებისა და ღარიბების, მონე-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 112.

ბისა და თავისუფალი პირების მკვეთრი დაპირისპირება, გვაროვნული ორგანიზაცია სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა კლასებად გათიშული საზოგადოებისათვის.

ასე, აღნიშნული პროცესების შედეგად საზოგადოების შინაგანი განვითარებიდან წარმოიშობა სახელმწიფო როგორც „იმის აღიარება, რომ საზოგადოება გარდუვალ წინააღმდეგობაში გაიხლართა თავის თავთან, რომ იგი შეურიგებელ მოპირდაპირე ძალებად გაითიშა, რომელთა შერიგება მას არ ძალუძს“[1]. სახელმწიფო წარმოიშობა იმ მოთხოვნილებიდან, რომ კლასების დაპირისპირებას ლაგამი ამოსდონ. ეკონომიურად გაბატონებული კლასი—მონათმფლობელები სახელმწიფოს დახმარებით პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება.

მონათმფლობელური სახელმწიფოს, როგორც ძალადობის სისტემატურად გამოყენების აპარატის, წარმოშობას თან ახლავს გვაროვნული წესწყობილების ორგანოთა გადაგვარება ან მათ მიერ წინანდელი მნიშვნელობის დაკარგვა და ხელისუფლების ახალი ორგანოების გაჩენა, რომლებიც საზოგადოებას თავს ადგანან და ეყრდნობიან შეიარაღებულ ძალას, საპყრობილეებს და სხვადასხვა იძულებითს დაწესებულებებს, რაც მონებისა და თავისუფალ ღარიბთა დასათრუგნავად არის ნავარაუდევი. ამასთან უფლებები, რომლებიც მოქალაქეებს ენიჭებათ, მათი ქონებრივი მდგომარეობით განიზომება. „ამით პირდაპირ ამბობენ, სახელმწიფო მფლობელი კლასების ორგანიზაციაა არამფლობელი კლასების წინააღმდეგ დასაცავად“[2].

ასე, ეგვიპტესა და ბაბილონში სახელმწიფოს წარმოშობას თან ახლდა მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების შექმნა, რომელიც ეყრდნობოდა მის განკარგულებაში გადაცემულ მუდმივს შეიარაღებულ ძალას (იხ. ქვემოთ). ათენში იგი გამოიხატება იმით, რომ უხუცესთა გვაროვნული საბჭო შეიცვლება არეოპაგით, ხოლო გვარ-ტომის წინამძღოლი ბაზილევსი — არქონტებით, მთელი მოსახლეობა დაიყოფა ოთხ ჯგუფად ქონებრივი ცენზის მიხედვით, ჩნდება არმია და პოლიცია (იხ. ქვემოთ), რომში — იმით, რომ უხუცესთა გვაროვნულ-ტომობრივი საბჭო გადაიქცევა დიდკაცობის წარმომადგენლობის ორგანოდ — სენატად, ხოლო გვარ-ტომის წინამძღოლი რექსი

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 145.

[2] იქვე, გვ. 175.

— შეფედ, მოსახლეობა დაიყოფა ჯგუფებად მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, მოეწყობა მუდმივი შეიარაღებული რაზმები.

4. მონოგამიური ოჯახი. თემურ საკუთრებაზე კერძო საკუთრების გამარჯვებას შედეგად მოსდევს აგრეთვე პატრიარქალური ოჯახის რღვევა და „ცივილიზაციისათვის“ დამახასიათებელი მონოგამიური ოჯახის შექმნა.

რადგან მამაკაცი მონოგამიურ ოჯახში ინარჩუნებს თავის ეკონომიურ უპირატესობას ქალზე, ეს ოჯახი ეფუძნება ქმრის ბატონობას ცოლზე. იგი არ გამორიცხავს ფაქტიურ მრავალცოლიანობას ოჯახის მეთაურისათვის, რამდენადაც მამაკაცი ინარჩუნებს შესაძლებლობას ფართოდ ისარგებლოს ქორწინების გარეშე კავშირურთიერთობით. წყვილადი ოჯახიდან წარმომდგარი მონოგამიური ოჯახი სრულიადაც არ იწვევს სქესობრივ ურთიერთობათა წინანდელი თავისუფლების გაქრობას. პირიქით, მონოგამიის მუდმივს თანამგზავრებს კლასობრივ საზოგადოებაში წარმოადგენენ პროსტიტუცია და ცოლქმრული ღალატი, თუმცა ქორწინებრივი კავშირი აქ, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე იგი წყვილადი ოჯახის დროს იყო. „მონოგამია წარმოიშვა იმიტომ, რომ მოხდა დიდი სიმდიდრის კონცენტრაცია ერთს ხელში, სახელდობრ ერთი მამაკაცის ხელში, რასაც დაემატა მოთხოვნილება ეს სიმდიდრე ამ მამაკაცის და არა სხვის შვილებს გადასცემოდა. ამისათვის საჭირო იყო ცოლის და არა ქმრის მონოგამია, ისე რომ ცოლის ეს მონოგამია სრულიადაც ხელს არ უშლიდა ქმრის აშკარა ან ფარულ პოლიგამიას“[1].

„ინდივიდუალური ქორწინება დიდი ისტორიული ნაბიჯის წინგადადგმვას წარმოადგენს. მაგრამ ამასთანავე იგი მონობასა და კერძო საკუთრებასთან ერთად იწყებს იმ ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელდება და რომელშიც ყოველი პროგრესი ნაწილობრივ რეგრესს შეიცავს, ხოლო ზოგიერთთა კეთილდღეობა და განვითარება სხვების უბედურებისა და უკანდახევის შემწეობით ხდება“[2]. ამრიგად, მონოგამია ემყარება ქმრის ბატონობას ოჯახში, მამაკაცის მიერ ქალის დამონებას.

თვითონ დაქორწინება გაბატონებულ კლასებში ანგარიშის საქმე გახდა და მთლიანად ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებით

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწ. წარმოშობა, გვ. 76.
[2] იქვე, გვ. 66.

განისაზღვრებოდა. ქორწინება გარიგებად გადაიქცა, და გაბატონებული კლასების პრაქტიკაში შეუწყნარებლადაა მიჩნეული, რომ მხარეთა ურთიერთი მიდრეკილება ქორწინების მთავარი საფუძველი იყოს.

ამრიგად, სქესების უთანასწორობა, მამაკაცის პოლიგამია, პროსტიტუციის ფართო განვითარება, ანგარიშით, და არა გულისთქმით დაქორწინება, — ასეთია მონოგამიის თავისებურებანი კლასობრივ საზოგადოებაში.

§ 9. მონათმფლობელური სამართლის წარმოშობა

1. წინაკლასობრივი საზოგადოების ადათები. სამართალი, როგორც გაბატონებული კლასის ნებისყოფის გამოხატულება, სახელმწიფოსთან ერთად წარმოიშობა.

იქმნება ყოფაქცევის ნორმების სისტემა, რომელთა შესრულებას უზრუნველჰყოფენ სახელმწიფო იძულების გამოყენებით. ეს ნორმები აწესრიგებენ კლასობრივი საზოგადოების საზოგადოებრივ ურთიერთობას.

წინაკლასობრივ საზოგადოებაში არ არის განსაკუთრებული აპარატი ძალადობის სისტემატურად გამოყენებისათვის, მაშასადამე, არ არის სამართლის ნორმებიც. მაგრამ აქაც იქმნება გარკვეული წესრიგი, მუშავდება ქცევის განსაზღვრული წესები, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას. ეს წესები არსად არ არის ჩაწერილი, ისინი დაუწერელი ადათებისაგან შესდგებიან.

ადამიანის ცხოვრების ყველა მხარე პირველყოფილ საზოგადოებაში დაწვრილებით წესრიგდება ნორმების რთული კომპლექსით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენენ საყოველდღეო წესებსაც, რელიგიის განკარგულებებსაც, ზრდილობისა და ზნე-ჩვეულებათა მოთხოვნებსაც.

ლებოკი „ცივილიზაციის საწყისებში“ წერს: „მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ველურის ყოველდღიური ცხოვრება კანონებივით სავალდებულო ადათების და უცნაური შეზღუდვებისა და პრივილეგიების ფრიად რთული და ხშირად მეტისმეტად უხერხული კოდექსით წესრიგდება“. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო იძულება არ არის, ამ წესებს სასტიკად იცავენ. მათი შესრულება უზრუნველყოფილია ჩვეულების, ტრადიციების ძალით, ავტორი-

ტეტით, პატივისცემით, რომლითაც გვარის უხუცესები სარგებლობენ, და სხვ. ყოველგვარ უთანხმოებასა და შეხლა-შემოხლას ადვილად აგვარებს იმათი კოლექტივი, ვისაც იგი ეხება.

აღზრდა, მემკვიდრეობით მიღებული მიდრეკილებანი, ბავშვობიდან შექმნილი ჩვეულებანი, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის ძალა თავის მძლავრ ზემოქმედებას ახდენენ. ყოველგვარი გადახვევა ყოფაქცევის ჩვეულებრივი, მტკიცედ დადგენილი წესისაგან საზოგადოების მძაფრ რეაქციას იწვევს და მტკივნეულად მოქმედებს თვითონ დამრღვევის შეგნებაზე.

პირველყოფილი საზოგადოების ერთ-ერთი ბურჟუაზიული მკვლევარი, ლ ე ტ ო ურ ნ ო, ეხება სისხლის აღების ადათის დარღვევის შედეგებს და ამბობს: „ნათესავთა სიკვდილისათვის შურისძიება უაღრესად წმინდა მოვალეობაა, რომლის შესასრულებლად მოწოდებულია ადგილობრივი მცხოვრები. თუ მან ეს მოვალეობა არ შეასრულა, მას ყოველი დედაბერი აბუჩად აიგდებს; თუ იგი უცოლოა, არც ერთი ქალიშვილი არ დაელაპარაკება მას; თუ მას ცოლები ჰყავს, ისინი მიატოვებენ მას; დედა-მისი კვნესას და ტირილს მოჰყვება, რომ ასეთი მახინჯი ვაჟი ჰშვა; მამა-მისი აითვალისწუნებს მას და იგი საყოველთაო ზიზღის საგანი გახდება“.

ამასთან, გვაროვნული საზოგადოების წევრი იმის სტიმულსაც კი მოკლებულია, რომ საუკუნეებრივ ჩვეულებებს გადაუხვიოს. ამ საზოგადოებაში ქონებრივი თანასწორობის გამო არ არსებობს კერძო ინტერესების დაპირისპირება, არ არსებობს საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ანტაგონიზმი, არ არსებობს წინააღმდეგობა პიროვნების ინტერესებსა და საზოგადოებრივი მთელის ინტერესებს შორის. ყოველივე ეს ადამიანში გამოიმუშავებს საზოგადოების დანარჩენ წევრებთან სოლიდარობის გრძნობას, მის ერთგულებას მთლიანად აღებული კოლექტივის ინტერესებისადმი.

ყოფაქცევის წესები, რომლებიც წინაკლასობრივ საზოგადოებაში არსებობენ, პირველყოფილი ადამიანის შეგნებას გარედან როდი აქვს მოხვეული, ეს წესები ბავშვობიდანვე ცხოვრობენ მის შეგნებაში, და იგი არ განიცდის მათ როგორც ისეთ რამეს, რაც ზღუდავდეს მისი საკუთარი ძალების გამოვლენას, რაც ეწინააღმდეგებოდეს მის პირად ინტერესებს. ის არა გრძნობს მოთხოვნილებას გადაუხვიოს ამ წესებს, სხვანაირად მოიქცეს, ვიდრე ეს მოცემული საზოგადოების ადათებითაა დადგენილი, მსგავსად იმისა,

როგორც ინსტინქტი ხელს უშლის ფუტკრებსა და ჭიანჭვლებს გადაუხვიონ ფუტკრების თუ ჭიანჭველების მთელი გუნდისათვის სასარგებლო ქცევას.

ენგელსი ამბობს: „ინდიელი არ სვამს საკითხს, უფლებას წარმოადგენს თუ ვალდებულებას საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, სისხლის აღება და შურისძიება; ეს საკითხი მისთვის ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც ის, უფლებაა თუ ვალდებულება ჭამა, ძილი და ნადირობა“[1].

2. ჩვეულებათა გამოდევნა საადათო სამართლის მიერ. ჩვეულებანი საადათო სამართლად იქცევიან. გვაროვნული საზოგადოების ძველი ჩვეულებანი საერთოდ მთელი კოლექტივის ინტერესებისათვის შექმნილ წესებს წარმოადგენენ. პირველყოფილ-თემური წყობილების დარღვევის შედეგად შექმნილი მონათმფლობელი კლასი ახალ შინაარსს სდებს ძველ ჩვეულებებში და აქცევს მათ ისეთ წესებად, რომლებიც გამოხატავენ ერთი გაბატონებული კლასის ნებისყოფას, და არა საერთოდ აღებული მთელი საზოგადოების ნებისყოფას. *

ამ წესების დაცვით ახლა საზოგადოების ყველა წევრი როდია დაინტერესებული. მოსახლეობის უმრავლესობა თავისთვის ვერავითარ სარგებლობას ვერ ხედავს იმაში, რომ მისდიოს იმ წესებს, რომლებიც ნაკარნახევია, საზოგადოებისათვის თავს მოხვეულია საზოგადოების დიფერენციაციის პროცესში გამოყოფილი მისი ზედაფენის მიერ. აი რატომაა, რომ ახლა უკვე საკმარისი არ არის ინდივიდზე ზემოქმედების ის საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წინაკლასობრივი საზოგადოების ყველა წევრის მიერ ჩვეულებათა განუხრელად შესრულებას.

გაბატონებული კლასების მიერ საზოგადოებისათვის ნაკარნახევი წესების ნებაყოფლობით შესრულება შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელი ხდება ძალადობის სისტემატურად გამოყენება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ამ წესების დაცვა საზოგადოების ყველა წევრის მიერ. ჩნდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანო — სასამართლო და სპეციალური თანამდებობითი

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწ. წარმოშობა, გვ. 161.

* თავისი აზრი ავტორს აქ სწორად ვერ გამოუთქვამს. გვაროვნული საზოგადოების ჩვეულებანი საადათო სამართლად (ე. ი. გაბატონებული კლასის ნებისყოფის გამომხატველ წესებად) არ შეიძლება გადაიქცეს. გვაროვნული საზოგადოების ჩვეულებანი, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს აქვე სათაურში, განიდევნებიან საადათო სამართლის მიერ. ქვემოთ ეს ავტორს სწორად აქვს ახსნილი.

ქართ. თარგმნის რედაქტორის შენიშვნა.

პირნი, რომელნიც პასუხისგებაში აძლევენ სამართლებრივი ნორმების დამრღვევებს, ჯარიმას ადებენ მათ, ვადასახადს ახდევინებენ მოსახლეობას, სიკვდილით სჯიან იმათ, ვინც დადგენილი წესების განსაკუთრებით მძიმე დარღვევა დაუშვა.

გაბატონებული მონათმფლობელი კლასი სასამართლოს მეშვეობით, ძველ ჩვეულებათა შეცვლასთან ერთად, ჰქმნის და საზოგადოებას თავს ახვევს სამართლის ახალ ნორმებს, ახალ საბადათო სამართალს, რომელსაც სასამართლო პრაქტიკა გამოიმუშავებს. უფრო გვიან ჩნდება კანონიც, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წერილობითი აქტით განმტკიცებული განკარგულება. თავდაპირველად კანონები უმთავრესად წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასების ინტერესებისადმი შეგუებულ ჩვეულებათა ჩანაწერს და სასამართლო პრაქტიკის ჩანაწერს. ისინი შეიცავდნენ აგრეთვე განკარგულებებს იმ გადასახადების შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გადაეხდევინებინათ გასამართლებისა და დასჯის მიზნით დანიშნულ მოხელეებს.

კლასობრივი ხასიათი სამართლის ნორმებისა, რომლებმაც გვაროვნული ჩვეულებანი გამოდევნეს, მათში მკაფიოდ და აშკარად იყო გამოხატული. კერძო საკუთრების გაჩენისა და კლასების წარმოშობის შემდეგ ყოფაქცევის წესები ასახავენ და განამტკიცებენ საზოგადოებრივ უთანასწორობას. გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის სამართლის ნორმები მესაკუთრეებს იცავენ და აშკარად არათანაბარ შეფასებას აძლევენ შეძლებული და ღარიბი კლასების ინტერესებს.

ასე, მაგალითად, გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა სისხლის აღების ჩვეულება. იგი თანაბრად ვრცელდებოდა გვაროვნული საზოგადოების ყველა წევრზე და თანაბრად იცავდა თვითეული მათგანის სიცოცხლეს. წარმოების განვითარებასთან ერთად ჩნდება შესაძლებლობა — თავი გამოისყიდონ სისხლის აღებისაგან, თუ იგი გვარის წევრს ემუქრება. გამომუშავდება ჩვეულება — სისხლის აღება შესცვალონ მოკლულის ოჯახისათვის რაიმე ძვირფასი საგნების (პირუტყვი და სხვ.) გადაცემით ან უფრო გვიან — ფულადი საზღაურის გადახდით (ე. წ. კომპოზიცია). ნატურით ან ფულით გადასახდელი საზღაურის ოდენობა კლასების წარმოშობის შემდეგ სხვადასხვანაირი წესდება საზოგადოების სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებისათვის. ასეთ განსხვავებას ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, „გორტის სამართალში“ (ჩვენს ერამდე V საუ-

კუნის შუახანების ძველ-ბერძნული მონათმფლობელური სამართლის ძეგლი). გარდა ამისა, მოკლულის ოჯახისათვის საზღაურის მიცემასთან ერთად, თავის სასარგებლოდ ჯარიმას ახდევინებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც.

ასე, სისხლის აღების წინანდელი ჩვეულების ნაცვლად ყალიბდება მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ხასიათის მქონე სისხლის სამართლის ნორმები.

კანონის იძულებითი განკარგულებებით ან სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებული საადათო სამართლის ნორმებით განმტკიცდება აგრეთვე ჩვეულება, რომ გარდაცვლილის ქონება მისი ოჯახის წევრებს ან თანამეგვარეებს გადაეცეს. ამასთან დგინდება დამემკვიდრების არათანაბარი წესი სხვადასხვა კლასობრივი მდგომარეობის პირთათვის (მაგალითად, თავისუფალი მოქალაქეებისა და მონებისათვის ბაბილონის მეფე ჰამურაბის კანონებით).

ახლადშექმნილი სამართლებრივი ნორმები დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ დაცულ იქნას კერძო საკუთრება, რომელიც წინაკლასობრივ საზოგადოებაში არ იყო და რომელიც ახლა განუხრელად ვითარდება და ხშირად სიკვდილით დასჯას ემუქრება მის ხელმყოფელს. სამართლებრივი ნორმები აკანონებენ უწესივრო მოვალეების მონებად გადაქცევას და კრედიტორს უფლებასაც კი ანიჭებენ მოჰკლას უწესივრო მოვალე.

იქმნება ნორმების კომპლექსი, რომელიც მთლიანად ასახავს პირველყოფილ-თემური წყობილების ნაცვლად დამკვიდრებული საზოგადოების კლასობრივ ხასიათს. კლასობრივი დაყოფის წარმოშობისა და მონათმფლობელური სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით ჩნდება ყოფაქცევის წესები, რომელთა შესრულებას უზრუნველჰყოფს სახელმწიფო იძულების მთელი ძალა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა[1]

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

Маркс, Сочинения, т. XXVII, стр. 677 и сл. (письмо к В. И. Засулич).

---

[1] აქ და ქვემოთ, ძველი აღმოსავლეთისა და ძველი საბერძნეთისადმი მიძღვნილი ნაწილების ბოლოს, ავტორი ოდნავადაც არ აცხადებს პრეტენზიას, თითქოს მის მიერ მითითებული ლიტერატურა სრული იყოს, და ასახელებს მხოლოდ ზოგიერთ ნაშრომს, რომელთა გაცნობა შეიძლება სასარგებლო გამოდგეს საგნის შემდგომი შესწავლისათვის.

ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა.

ლენინი, ლექცია სახელმწიფოს შესახებ.

Ленин, Письмо к Максиму Горькому (Соч., т. XVII, стр. 85).

სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ (ლენინიზმის საკითხები, გამოც. მე-11, განსაკუთრებით გვ. 688-690).

დამხმარე წიგნები. გამოკვლევები

Морган, Древнее общество, 1935.

Морган, Дома и домашняя жизнь североамериканских туземцев, 1934.

Ковалевский М. М., Очерк происхождения и развития семьи и собственности, М., 1939.

Ефименко П. П., Первобытное общество, 1938.

Равдоникас В. И., История первобытного общества, часть I, Ленинград, 1939.

Светлов В., О книге Энгельса „Происхождение семьи, частной собственности и государства" („Большевик" № 24, 1940 г., стр. 49—65).

Тэйлор Э., Первобытная культура, М., 1939 г.

ნაწილი პირველი

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო და სამართალი

თავი I

შესავალი შენიშვნები

უძველეს სახელმწიფოებსა და სამართლის უძველეს სისტემებს წარმოადგენენ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები და სამართლებრივი სისტემები.

§ 10. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების წრე

კლასობრივი საზოგადოებანი და სახელმწიფოები პირველად ჩაისახა აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (წინა აზია) და აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. აქ იყო უძველეს სახელმწიფოთა ადგილსამყოფელი, ცივილიზაციის აკვანი. წინა აზიაში, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში, მდებარეობდნენ ბაბილონი და ასირია, უფრო ადრე — სუმერი და აკადი. აქვე, ამ ქვეყნების მეზობლად, არსებობდნენ ხეთების სახელმწიფო, ფინიკია, ებრაელთა სამეფოები, სპარსეთი და ბევრი სხვა სახელმწიფო. აფრიკაში, მდინარე ნილოსის ხეობაში, მდებარეობდა ძველი ეგვიპტე.

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა რიცხვს უნდა მიეკუთვნონ აგრეთვე აზიის კონტინენტის სხვა ნაწილებში მდებარე სახელმწიფოები — ინდოეთი და ჩინეთი.

ნილოსის ველზე პირველი სახელმწიფოები ჯერ კიდევ IV ათასეულ წელს წარმოიშვნენ. ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფო ჩაისახა სულ ცოტა 3200 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ე. ი. წარმოიშვა 5000 წელზე მეტი ხნის წინათ. მან, ალბათ, 30 საუკუნემდე

იარსება. ამ ხნის განმავლობაში მან მოვლენებით მდიდარი ისტორია გამოიარა. იგი იშლებოდა და კვლავ ერთიანდებოდა, განიცდიდა უცხოელთა შემოსევებს, თვითონაც იპყრობდა უცხო ქვეყნებს. მან განიცადა უდიდესი რევოლუცია, რამაც მთლად შეარყია მისი სოციალური საფუძვლები, — პირველი რევოლუცია, რომელსაც კი კაცობრიობის ისტორია იცნობს. ეგვიპტემ თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგა 525 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა იგი სპარსელებმა დაიპყრეს. უფრო გვიან იგი შევიდა საბერძნეთ—მაკედონიის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო მერე — რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამრიგად, ეგვიპტე დაიღუპა რუსული სახელმწიფოებრიობის საწყისთა ჩასახვამდე 14 საუკუნით ადრე.

უძველესი კულტურის მეორე კერაა ბაბილონი, საკუთრივ სუმერთა სახელმწიფოები. ეს სახელმწიფოები, რომლებიც უფრო გვიან გაერთიანდნენ ბაბილონის მეთაურობით და რომლებმაც შექმნეს ერთიანი ბაბილონი, მდებარეობდნენ მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში, სპარსეთის ყურესთან. ამ პატარა ქვეყანას თავისი კულტურის სიძველით და განვითარების დონით შეეძლო წარმატებით გაეწია მეტოქეობა ეგვიპტისათვის.

ბაბილონიის დედაქალაქი ბაბილონი, რომელიც დიდი ხანია აღგვილია დედამიწის პირისაგან, მდებარეობდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახლა განლაგებულია ქალაქი ბაღდადი, ერაყის სახელმწიფოს მთავარი ქალაქი. ბაბილონიაც დაიპყრეს სპარსელებმა და სპარსეთის მონარქიის შემადგენლობაში მოაქციეს (538 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ასირია მდებარეობდა ბაბილონის ჩრდილოეთით; ერთ დროს იგი ბატონობდა ბაბილონზე. ასირია ისტორიულ სარბიელზე უფრო გვიან გამოვიდა, ვიდრე ბაბილონი, პირველი ცნობები მის შესახებ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასეული წლის დასასრულს არ სცილდება. ეს სახელმწიფო გამოირჩეოდა თავისი დაპყრობითი პოლიტიკით, რის შედეგადაც შეიქმნა ვეებერთელა ასირიის მონარქია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მთელი რიგი ქვეყნები და მათ შორის 600 წლის მანძილზე შედიოდა ბაბილონი, ხოლო ცოტა ხანს — ეგვიპტეც. ეს იყო ძველი დროის პირველი უნივერსალური მონარქია. ასირიელთა ბატონობას ბოლო მოეღო 605 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა ასირია დაპყრობილ იქნა ბაბილონისა და მიდიის მიერ.

ხეთების სახელმწიფო, რომლის შესახებ ცნობები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასეულ წელს წვდება, მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ასირეთისა და ბაბილონიის დასავლეთით, და ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს ძლიერი სამხედრო სახელმწიფო გამუდმებულ შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა თავის მეზობლებთან. XIII საუკუნის დასასრულს იგი ჰქრება გარედან შემოსევათა შედეგად. ხეთებისაგან ჩვენამდე მოაღწიეს სამართლის წიგნის ნაწილებმა, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ ამ მონათმფლობელური საზოგადოების სამართალზე (ისინი გადათარგმნილია რუსულ ენაზე დამატებაში, რომელიც დართული აქვს წიგნაკს „ხეთები და ხეთური კულტურა", სტატიების კრებული, მ., 1924).

ხეთების სახელმწიფოს სამხრეთით მდებარეობდა ებრაელთა სამეფო, რომელიც შეიქმნა დაახლოებით XI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე; იგი თავდაპირველად ერთიანი იყო, ხოლო შემდეგ დაიყო ისრაელთა და იუდეელთა სამეფოებად. იუდეელთა სამეფომ იარსება 586 წლამდე, როცა იგი დაიპყრო ბაბილონმა.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა ფინიკია, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ფინიკიელთა რამდენიმე სახელმწიფო — ქალაქი, რომლებიც წარმოიშვნენ ჯერ კიდევ III ათასეულ წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და სანაპიროზე მდებარე ფინიკიური კოლონიებიდან ყველაზე დიდი და ძლიერი იყო კართაგენი (აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე), რომელიც შემდეგში ფინიკიელთა ქალაქებისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

ინდოეთში სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ II ათასეულ წელში. ჩვენამდე მოაღწიეს ძველ-ინდურმა კანონებმა, ეგრეთ წოდებულმა მანუს კანონებმა, რომლებიც ასახავენ ინდოეთში არსებულ კასტურ წყობილებას; მოსახლეობა მკვეთრად იყოფოდა უმაღლეს, პრივილეგიურ კასტებად და შუდრების (მონების) დაბალ, სრულიად უუფლებო კასტად.

ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა აგრეთვე ჩინეთის სახელმწიფო, რომელიც, შესაძლოა, ეგვიპტესა და ბაბილონზე უფრო ადრე წარმოიშვა.

§ 11. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამახასიათებელი თავისებურებანი

ძველი აღმოსავლეთი პირველი, ყველაზე ადრინდელი ეტაპია მონათმფლობელური საზოგადოების ისტორიაში.

ძველი აღმოსავლეთის ცალკეულ სახელმწიფოთა მთელი თავისებურების მიუხედავად, ყველა იმ განსაკუთრებული მხარეების მიუხედავად, რომლებიც მათ ერთიმეორისაგან განასხვავებენ, ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებს ზოგიერთი საერთო ნიშანიც ახასიათებს. ეს საერთო ნიშნებია:

ა) პირველყოფილ-თემური წყობილების მნიშვნელოვანი გადმონაშთების შენარჩუნება, მათ შორის: 1) საადგილმამულო თემის შენარჩუნება და მიწის კერძო საკუთრების სუსტი განვითარება; 2) დიდი მნიშვნელობა კოლექტიური მონათმფლობელობისა, რომელიც დიდხანს რჩება მონების კერძო მფლობელობასთან ერთად (სახელმწიფო, სატაძრო მონები); 3) პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი კვალის არსებობა, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში მატრიარქატის კვალის არსებობაც კი.

ბ) მონობის პირველყოფილი ფორმები, როცა ოჯახური მონობის ნიშნები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და მონას რჩება შესაძლებლობა — მოიხმაროს და კიდევაც განაგოს თავისი ცალკეული ქონება და იყოლიოს თავისი ოჯახი.

გ) პოლიტიკური ზედნაშენის სახით დესპოტიის ჭარბობა, ე. ი. ისეთი სახელმწიფო წყობილებისა, რომელიც სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის განუსაზღვრელი ძალაუფლებით ხასიათდება.

§12. შემდგომი გადმოცემის საგანი — ეგვიპტე და ბაბილონი

შემდგომი გადმოცემისას ძველი აღმოსავლეთის ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოთაგან ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ორი სახელმწიფოთი — ეგვიპტითა და ბაბილონით. ისინი ეკუთვნიან ძველი აღმოსავლეთის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელთა შესახებაც მეცნიერებას მოეპოვება ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტალური და არქეოლოგიური მასალა და რომლებიც სხვებზე უკეთ არიან შესწავლილნი.

ეს სახელმძღვანელო თავის ამოცანად არ სთვლის მოიცვას ძველი აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფო და სამართლის ყველა სისტემა, რადგან იგი სასწავლო მიზნებს ისახავს. ამ მიზნებისათვის, როგორც ჩვენ გვგონია, საკმარისია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ძველი აღმოსავლეთის მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებზე, სადაც წარმოებითმა ურთიერთობამ და პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ზედნაშენმა სავსებით ტიპიური, მონათმფლობელური აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები მიიღეს.

თ ა ვ ი II

ძველი ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი

§ 13. ძველი ეგვიპტის შესახებ ისტორიული ცნობების წყაროები

ჩვენ მიერ ძველი ეგვიპტის ცოდნა დაფუძნებულია შემდეგი სამი წყაროდან მიღებულ მასალაზე:

ა) ცნობები, რომლებსაც იუწყებიან ბერძენი მწერლები. ძველ ეგვიპტეზე წერდნენ ჰეროდოტე (V საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ჰეკატეი (IV-III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), დიოდორე სიცილიელი (I ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), სტრაბონი (I ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მაგრამ ბერძნების ცნობები ძველ ეგვიპტეზე და მის ისტორიაზე აშკარად არასაკმაო და არასრული იყო, აგრეთვე არ იყო უტყუარი იმის გამო, რომ ბერძნები ეგვიპტურ კულტურას საკმაოდ ღრმად არ გასცნობიან. წყაროების ამავე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ეგვიპტის ისტორია, გადმოცემული ეგვიპტელ ქურუმ მანეფონის მიერ ბერძნულ ენაზე. მანეფონის თხზულება შედგენილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დასასრულს, მაკედონიის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. მანეფონისაგან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეგვიპტეში თანამიმდევრობით მეფობდა 30 დინასტია. მისგანვე მოდის ეგვიპტის დაყოფა სამ პერიოდად: ძველი სამეფო, საშუალო სამეფო, ახალი სამეფო. მანეფონის წიგნებს ჩვენამდე დედნებად არ მოუღწევია, ხოლო გადარჩენილი ასლები დამახინჯებულია ჩანართებითა და შესწორებებით, რომლებიც გაკეთებულია უფრო გვიან ტექსტის ებრაელ და ქრისტიან გადამწერთა მიერ.

ბ) ეგვიპტის შესახებ ჩვენი ცნობების მეორე წყაროა ბიბლია, ებრაული რელიგიური წიგნები, შედგენილი ებრაელი სამღვდელო-

ბის წარმომადგენელთა მიერ XI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდეგ. ეს მასალა არ არის საიმედო: იგი ამბებს ცალმხრივად აშუქებს, ეგვიპტის ისტორიის ფაქტებით მხოლოდ იმდენად არის დაინტერესებული, რამდენადაც ისინი დაკავშირებული არიან ებრაელი ხალხის ისტორიასთან, და აშკარად ტენდენციურ შეფასებას აძლევს მათ.

გ) ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ დოკუმენტები, წარწერები და მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებმაც ეგვიპტისაგან ჩვენამდე მოაღწიეს. სულ სხვადასხვა ტექსტის შემცველი დიდძალი პაპირუსი საშუალებას გვაძლევს კარგად გავეცნოთ მოსახლეობის საქმიანობის ხასიათს, ბაბილონის საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, სახელმწიფო წყობილებას, რელიგიურ შეხედულებებს, ეგვიპტის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას. როგორც ეგვიპტის შესახები ჩვენი ცოდნის წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ძეგლების, შენობათა კედლების და სხვათა მრავალრიცხოვან წარწერებს. ეგვიპტის კულტურას ბევრ შუქს ჰფენენ აკლდამების კედლებზე და სხვა ნაგებობებზე გაკეთებული ნახატები, აგრეთვე ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოღწეული ხელოვნების, ოჯახში სახმარი და რელიგიური კულტის საგნები.

მთელი ეს მასალა მისაწვდომი გახდა ფრანგ მეცნიერ შამპოლიონის გენიალური აღმოჩენის — მის მიერ ეგვიპტური იეროგლიფების საიდუმლოების გახსნის დროიდან.

§ 14. სოციალურ-ეკონომიური პირობები

ეგვიპტისა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის თავისებურებათა გასაგებად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნოთ ჰავისა და ნიადაგის ის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ამ ქვეყნებში აუცილებელს ხდიდნენ დიდ და რთულ ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა ორგანიზაციას.

ეგვიპტის ერთ-ერთ მთავარ საწარმოო ძალას მდინარე ნილოსი წარმოადგენდა. ნილოსი ყოველწლიურად შუა ივლისში ადიდდებოდა, და მისი წყლები მიმდებარე ვაკეს წალეკავდნენ. აუცილებელი იყო წყლების ეს გადმოდენა გამოეყენებინათ ნილოსის მიმდებარე უდაბური ვაკეების ვრცელ ტერიტორიათა მოსარწყავად. ამრიგად, მოსახლეობის მთელი კეთილდღეობა ამ მდინარის წყლე-

ბის გამოყენებაზე იყო დამოკიდებული. ეგვიპტეს ჯერ კიდევ ჰეროდოტე უწოდებდა „ნილოსის საჩუქარს“. ამიტომაც აქ უძველესი დროიდან აგებულ იქნა უზარმაზარი რაბებისა და არხების სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის სწორად მორწყვას. ასირიაში, ბაბილონში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში აგრეთვე მიმართავდნენ ნაგებობათა რთული სისტემის საშუალებით მინდვრების ხელოვნური მორწყვის სისტემას.

ირიგაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო იყო დიდძალი მუშახელის გამოყენება. ამის გამო ძალიან ადრე იწყეს სამხედრო ტყვეების მონებად გადაქცევა, და მონების დიდ მასებს ფართოდ იყენებდნენ რაბებისა და არხების აგების სამუშაოებზე. ეს გვიხსნის კლასობრივ საზოგადოებათა ადრეულ წარმოქმნას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხელოვნური მორწყვის მოწყობის აუცილებლობამ შეაპირობა აგრეთვე მიწის თემური საკუთრების ხანგრძლივად შენარჩუნება, რადგან მიწის კერძო საკუთრების განვითარება გარდუვალად შეუქმნიდა სიძნელეებს საირიგაციო ნაგებობათა ფართო გეგმის რაციონალურად გატარებას. აქედანვე წარმოსდგება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის მეტისმეტი ცენტრალიზმი, აქედან წარმოსდგება ბიუროკრატიისა და ქურუმების, როგორც საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზატორებისა და მიწათმოქმედების ხელმძღვანელების, უდიდესი როლი.

მარქსი სტატიაში „ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში“ შემდეგნაირად ახასიათებს აღმოსავლეთის ქვეყნების სახალხო მეურნეობის აღნიშნულ თავისებურებებს: „ჰავისა და ნიადაგის პირობებმა, განსაკუთრებით იმ უდაბნოს უზარმაზარმა სივრცეებმა, რომელიც გადაჭიმულია საჰარიდან არაბეთზე, სპარსეთზე, ინდოეთსა და სათათრეთზე აზიის მთაგორიან ზეგანამდე, არხებისა და წყლის ნაგებობათა საშუალებით წარმოებული ხელოვნური მორწყვის სისტემა აღმოსავლეთის მიწათმოქმედების საფუძვლად გადააქციეს, როგორც ეგვიპტესა და ინდოეთში წყალდიდობას მინდვრების მოსარწყავად იყენებენ, სწორედ ასევე მესოპოტამიაში, სპარსეთსა და სხვა ადგილებში იყენებენ წყლის მაღალ დონეს იმისათვის, რომ წყლით გაავსონ სარწყავი არხები. წყლის მოზოგვით და თანაზიარად გამოყენების ეს ელემენტარული აუცილებლობა... ბრძანებლურად მოითხოვდა მთავრობის მაცენტრალიზებელი ძალის ჩარე-

ვას. აქედან წარმოსდგება ის ეკონომიური ფუნქცია, რომელიც ყველა აზიურ მთავრობას ძალაუნებურად უნდა შეესრულებინა, სახელდობრ — საქვეყნო სამუშაოთა ორგანიზაციის ფუნქცია"[1].

ამრიგად, მორწყვის ორგანიზაცია „მბრძანებლურად მოითხოვდა მთავრობის მაცენტრალიზებელი ძალის ჩარევას". გაბატონებულ კლასს ზედმეტი პროდუქტის მისაღებად უნდა მოეწყო საქვეყნო სამუშაოები, ე. ი. შეექმნა საირიგაციო ნაგებობათა სისტემა.

ამასთანავეა დაკავშირებული მიწის თემური საკუთრების ჭარბობა, თემის ხანგრძლივად გაძლება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში მიწა — წარმოების ძირითადი პირობა — სახელმწიფო საკუთრება ხდება ან სოფლის თემების ხელში რჩება. პირველ შემთხვევაში მიწის რენტა გადასახადს ერთვის. მარქსიც და ენგელსიც აღნიშნავდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური სტრუქტურის ამ თავისებურებას, ამასთან მათ მიწის კერძო საკუთრების არსებობა „აღმოსავლეთის ცის გასაღებად" მიაჩნდათ. ბერნიეს ნაშრომს რომ გაეცნო, მარქსი 1853 წლის 1 ივნისით დათარიღებულ წერილში ენგელსს სწერდა: „ბერნიე აღმოსავლეთის ყველა მოვლენის ძირითად ფორმას სამართლიანად ხედავს... იმაში, რომ იქ მიწის კერძო საკუთრება არ არსებობს. ეს ნამდვილი გასაღებია აღმოსავლეთის ცისაც კი". ენგელსი 1853 წლის წერილში მარქსს პასუხად წერს: „მიწის საკუთრების არ არსებობა მართლაც გასაღებია მთელი აღმოსავლეთისა. ამაში მდგომარეობს მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორია. მაგრამ რატომ ვერ მივიდნენ აღმოსავლეთის ხალხები მიწის საკუთრებამდე, რატომ ვერ მივიდნენ ფეოდალურ საკუთრებამდეც კი? მე მგონია, რომ ამის მიზეზებია უმთავრესად ჰავა და ნიადაგის თვისება, განსაკუთრებით კი კავშირი უდაბნოთა დიდ ზოლთან, რომელიც გაჭიმულია საჰარიდან ირიბად არაბეთზე, სპარსეთზე, ინდოეთსა და თათრეთზე უშუალოდ აზიის ყველაზე მაღალ ზეგანამდე. მიწათმოქმედების პირველი პირობა აქ არის ხელოვნური მორწყვა, ეს კი ან თემების, ან საოლქში თუ ცენტრალური მთავრობის საქმეა"[2].

ჰქმნიან თუ არა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკის ეს პირობები წარმოების განსაკუთრებულ წესს? გვაქვს თუ არა ჩვენ აქ საქმე წარმოებით ურთიერთობათა განსაკუთრებულ ტიპთან?

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. IX, стр. 347—348.
[2] Маркс и Энгельс, Соч., т. XXI, стр. 490.

ასეთი დასკვნა ყოვლად უსაფუძვლო, სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. წყლის ხელოვნური სისტემებით შეეძლოთ ესარგებლნათ სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ—ეკონომიური ფორმაციების სხვადასხვა კლასებს და ისინი კიდევაც სარგებლობდნენ მით. მოხელეობა და ქურუმები, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელმძღვანელობდნენ მიწათმოქმედებასა და ხელოვნურ მორწყვას, თავიანთი ქვეყნის მონათმფლობელი კლასის შემადგენელ ნაწილს შეადგენდნენ, და აღმოსავლეთის სახელმწიფოს ამოცანები სრულიადაც არ ამოიწურებოდა საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის ფუნქციებით. სრულიად აუცილებელია გვახსოვდეს ამ სახელმწიფოს სხვა ფუნქციებიც. მათ შესახებ მჭევრმეტყველურად წერს მარქსი უკვე ციტირებულ სტატიაში ბრიტანეთის ბატონობაზე ინდოეთში. მარქსი ამბობს: „აზიაში უხსოვარი დროიდან მმართველობის მხოლოდ სამი დარგი არსებობდა: საფინანსო უწყება, ანუ თავისი საკუთარი ხალხის გაძარცვის უწყება, სამხედრო უწყება, ანუ მეზობელ ხალხთა გაძარცვის უწყება, და, დასასრულ, საქვეყნო სამუშაოთა უწყება“[1].

საქვეყნო სამუშაოები დაკავშირებული იყო სახელმწიფოს სხვა ამოცანასთან, „თავისი საკუთარი ხალხის გაძარცვის“, ე. ი. მისგან დამატებითი პროდუქტის ამოქაჩვის ამოცანასთან, ხოლო ამ უკანასკნელ ამოცანას სახელმწიფო სწყვეტდა გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის, რომელმაც თავისათვის მონების ფლობას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კოლექტიური საკუთრების ფორმა მისცა, ხოლო თავისათვის მიწის ფლობას — სახელმწიფო საკუთრების ფორმა.

ამრიგად, ეგვიპტე და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები სწორედ მონათმფლობელურ საზოგადოებებს წარმოადგენდნენ, სადაც ძირითადი კლასობრივი დაყოფა მონათმფლობელებად და მონებად დაყოფა იყო. მონები შეადგენდნენ უშუალო მწარმოებელთა მთავარ მასას, რომლებიც მუშაობდნენ საირიგაციო ნაგებობებზე, უზარმაზარ შენობათა აგებაზე, რასაც ეგვიპტელი მეფეები ახორციელებდნენ, მონებივე მუშაობდნენ თავისუფალ მოქალაქეებთან ერთად მინდვრებსა და სახელოსნოებში. „აზიაში და ძველ კლასიკურ ქვეყნებში კლასობრივი ჩაგვრის უპირატესი ფორმა მონობა იყო, ე. ი. არა იმდენად მასებისაგან მიწის საკუთრების ექსპრო-

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. IX, стр. 347.

პრიაცია, რამდენად მათ პიროვნებათა გადაქცევა კერძო საკუთრებად"[1]. „მონათმფლობელები და მონები პირველი დიდი დაყოფაა კლასებად" (ل ე ნ ი ნ ი). გასაკვირველი არ არის, რომ სწორედ ამ დაყოფას კლასებად, როგორც ძირითად და განმსაზღვრავ მოვლენას, ვხვდებით ჩვენ უძველეს კლასობრივ საზოგადოებებში, როგორიც არიან ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებანი.

არხებისა და რაბების ასაგებად მუშახელი სჭირდებოდათ და ამიტომ ტყვეებს მონებად აქცევდნენ ნაცვლად იმისა, რომ ისინი მოეკლათ. აქედან წარმოსდგება სამხედრო ტყვის სახელწოდება ძველეგვიპტურ ენაში — „სეკერანხი", რაც ნიშნავს „მოკლულ ცოცხალს". სამხედრო ტყვეთა დიდძალ მასებზე მეტყველებენ წარწერები, რომლებიც ჯერ კიდევ ძველ სამეფოს მიეკუთვნება. ასე, პალერმის ქვის წარწერიდან ჩვენ ვტყობილობთ შვიდი ათასი სამხედრო ტყვის ამბავს, მრავალ ტყვეზე მოგვითხრობენ წარწერები, რომლებიც V და VI დინასტიებს მიეკუთვნება. ტაძრებს ბლომად ჰყავდათ მონები, რომლებიც სატაძრო მეურნეობებში შრომობდნენ. ასე, ერთი პაპირუსის მონაცემებით, რამზეს III მეფობის დროს ამონის ტაძარში 80.000-ზე მეტი მონა ითვლებოდა. მართალია, ძველი სამეფოს ეგვიპტური აკლდამების რელიეფებზე ვერ ვხვდებით მონების გამოსახულებას, თუმცა არის გამოსახულება თავისუფალი გლეხებისა, რომლებიც მიწას ამუშავებენ. მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ აკლდამების კედლებზე გაკეთებულ ნახატებს მაგიური მნიშვნელობა ჰქონდათ და, რა თქმა უნდა, იქ არ უნდა ყოფილიყო გამოსახულება მიცვალებულისადმი მტრულად განწყობილი ადამიანებისა, როგორიც, უეჭველია, იყვნენ მისი მონები.

მონობას ეგვიპტეში თავისი თავისებურებანი ჰქონდა. ეს იყო მონობა ჯერ კიდევ არამთლიანად აღმოფხვრილი თემური ურთიერთობის პირობებში, სახელმწიფო და თემური საკუთრების ბატონობის პირობებში. გარდა ამისა, მონობას მთლიანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ის თავისებურებანი, რომლებიც მისთვის დამახასიათებელი იყო პატრიარქალური ყოფა-ცხოვრებისას „საში-

[1] Э н г е л ь с, Предисловие к американскому изданию „Положения рабочего класса в Англии" (М а р к с и Э н г е л ь с, Соч., т. XVI, ч. I, стр. 287).

ნაო“ მონობის პირობებში. ეგვიპტეში, ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ჩვენ გვაქვს „მონობის პირველყოფილი ფორმები“ (ლ ე ნ ი ნ ი).

აქ წარმოების ძირითად საშუალებათა — მიწის, საირიგაციო ნაგებობათა და სხვათა მსგავსად მონები კოლექტიურ საკუთრებას შეადგენდნენ. ისინი ეკუთვნოდნენ სახელმწიფოს, ტაძრებს, თემებს. კერძო მონათმფლობელობაც ვითარდება, მაგრამ მხოლოდ კოლექტიურის გვერდით, რომელიც დიდხანს სჭარბობს კერძო მონათმფლობელობას. ეგვიპტური მონათმფლობელობის მეორე თავისებურება ის არის, რომ მონებს რჩებათ ქონებრივი უფლებანი, ოჯახური უფლებანი. ვხვდებით მონებს, რომლებსაც მიწას ამუშავებინებენ ღალის გადახდის პირობით. მაგრამ უკვე თვითონ მათი პიროვნება ექსპროპრირებული იყო, და მონა პატრონის საკუთრებას შეადგენდა, მიუხედავად თავისი ქონების ფლობის შესაძლებლობისა და მიუხედავად უფლებისა — აღეძრა საჩივარი მასთან სასტიკად მოპყრობის გამო.

§ 15. ეგვიპტის სახელმწიფოს განვითარების მსვლელობა

1. ეგვიპტის სახელმწიფოს წარმოქმნა. ერთიანი სახელმწიფო ნილოსის ველზე ერთბაშად კი არ ჩამოყალიბებულა: თავდაპირველად შეიქმნა რამდენიმე ათეული პატარა პრიმიტიული სახელმწიფო, ეგრეთწოდებული ნ ო მ ე ბ ი (ნომები მათი მერმინდელი ბერძნული სახელწოდებაა, თავიდან ეგვიპტურად მათ ეწოდებოდათ „სეპატი“ ან „ხესპი“). ნომების შექმნას თან სდევდა რამდენიმე სასოფლო თემის გაერთიანება, ალბათ, ჭაობიანი ნიადაგის ამოშრობის სამუშაოთა ერთად ჩასატარებლად. ამას არაპირდაპირ ადასტურებს ის, რომ ნომის ეროგლიფი წარმოადგენს არხებით დასერილი მიწის გამოსახულებას.

თვითეულ ნომს გააჩნდა თავისი რელიგიური კულტი, თავისი მფარველი ღმერთები. მათი რელიგია თავისი ტოტემური წარმოშობის აშკარა კვალს ატარებდა: მთლიანად რჩებოდა კულტი საღრმთო ცხოველებისა, რომელთა როლში გამოდიოდნენ შავარდენი, ლომი, მორიელი, ტურა, ხარი, ძროხა, ყაჯირი და სხვ. ნომის სათავეში იდგა მისი მმართველი — ა ძ ი, რომელიც მთელი ძალაუფლებით იყო მოსილი. ნომის ეს მეთაური უეჭველად იყო გვარ-ტომის წინანდელ წინამძღოლთან მემკვიდრე. ნომებში უკვე გაჩნდა მდიდა-

რი დიდკაცობა, რომელმაც ხელთ იგდო საუკეთესო მიწები და რომელიც ექსპლოატაციას უწევდა საზოგადოებაში გაჩენილ მონებს და აზატ ღარიბებს.

ნომები ხშირად მტრობდნენ და ომებსაც კი აწარმოებდნენ ერთმანეთთან. ტერიტორიის ასეთი დაქუცმაცებულობა ნილოსის აუზში ხელს უშლიდა საირიგაციო სისტემის შემდგომ გაფართოებას. ნილოსის წყლების რეგულირებისათვის საჭირო იყო უფრო მსხვილ გაერთიანებათა შექმნა, ვიდრე ნომები იყვნენ. სარწყავი სისტემის აგების სამუშაოებზე მონების მნიშვნელოვანი რიცხვის გამოყენება მოითხოვდა შეექმნათ მეტად თუ ნაკლებად დიდი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა ლაგამამოდებული ჰყოლოდა ჩაგრულთა ეს მასები. ამიტომ ძალიან ადრე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასეული წლის შუახანებში), ნომების გაერთიანების შედეგად, ნილოსის ვაკეში ჩამოყალიბდა ორი დიდი სახელმწიფო — ზემო ეგვიპტე და ქვემო ეგვიპტე. გაერთიანება უფრო ადრე მოხდა ქვემო, ე. ი. ჩრდილოეთ ეგვიპტეში, უფრო გვიან — სამხრეთში. სამხრეთის ნომების კავშირი უფრო მტკიცე იყო, ვიდრე ჩრდილოეთის ნომების გაერთიანება. აქ გაერთიანება უფრო აუცილებელი იყო იმის გამო, რომ ნილოსს სამხრეთში ერთიანი მდინარება ჰქონდა, მაშინ როცა ჩრდილოეთით, დელტაში, იგი შვიდ ტოტად იყოფოდა.

ზემო ეგვიპტე ცდილობს გააერთიანოს მთელი საირიგაციო მეურნეობა, ამასთან იგი საჭიროებს ქვემო ეგვიპტის საძოვრებს და ამიტომ იწყებს ბრძოლას სამხრეთისა და ჩრდილოეთის გაერთიანებისათვის. ამ ბრძოლის შედეგად იმარჯვებს სამხრეთი, და ნილოსის აუზში იქმნება ერთიანი სახელმწიფო. ეს მოხდა დაახლოებით 3200 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ამასთან გაერთიანებული ეგვიპტის პირველ მეფედ წყაროები ასახელებენ მეფე მენესს. ეს მენესი, ალბათ, არის იგივე მეფე ნარმერი, რომლის გამარჯვებათა ამბავს გვამცნობს ჩვენამდე მოღწეული მემორიალური ტაბულა.

მაგრამ პირვანდელი დუალიზმის კვალი შერჩა მეფეების ტიტულებს, დაწესებულებათა და მოხელეთა სახელწოდებასა და დაყოფას. ეგვიპტის მეფეები ატარებდნენ ორ გვირგვინს: სამხრეთის ბოთლის ან კეგლის ფორმის თეთრ გვირგვინს და ჩრდილოეთის ქუდის სახის წითელ გვირგვინს ანდა ერთს — ორივესაგან შეერთებულ გვირგვინს.

2. **ძველი სამეფო.** ერთიანი ეგვიპტის შექმნის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი გახდა ქ. ტ ი ნ ი ს ი, რომელიც ზემო ეგვიპტეში მდებარეობდა. ტინისი იყო პირველი ორი დინასტიის ფარაონთა რეზიდენცია, დაახლოებით 400 წლის განმავლობაში (18 მეფე); ამიტომ ეგვიპტის პირველი ორი დინასტია ტინისის სახელწოდებას ატარებს. III დინასტიის დროს ქვეყნის დედაქალაქი გადატანილ იქნა ქალაქ მ ე მ ფ ი ს შ ი, რომელიც დელტასთან უფრო ახლოს მდებარეობდა. იწყება ძველი სამეფოს ეპოქა (III-VI დინასტიები, დაახლოებით 2800-2400 წ წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) —მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლებიანი, სასტიკად ცენტრალიზებული, ბიუროკრატიულად ორგანიზებული მონარქიის პერიოდი, სამხედრო ძლიერების განმტკიცების, დაპყრობათა და მძარცველურ ლაშქრობათა პერიოდი, პირამიდებისა და სხვა ნაგებობათა გრანდიოზული მშენებლობის პერიოდი. საბოლოოდ სძლევენ ყველა ადგილობრივს ცენტრიდანულ ძალას, ამთავრებენ ქვეყნის კონსოლიდაციას. უკვე თითქმის მთლიანად აღმოიფხვრება გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის ელემენტები საბოლოოდ ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებაში.

ტინისის დინასტიების დროს ჯერ კიდევ იძულებული არიან ჩაახშონ აჯანყებანი და მიიღონ რეპრესიული ზომები ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლიტიკური გაერთიანებით გამოწვეული უკმაყოფილების სხვა აფეთქებათა წინააღმდეგ. საზოგადოებაში ჯერ კიდევ რჩება წინაკლასობრივ გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ნაშთები. ამიტომ პირველი ორი დინასტიის ეგვიპტე განსაკუთრებულ ეტაპს შეადგენს ამ ქვეყნის ისტორიაში, და ჩვეულებრივ მხოლოდ III დინასტიიდან იწყებენ ძველი სამეფოს ისტორიას.

III დინასტიის უკვე პირველი მეფე ჯოსერი იშენებს უზარმაზარ აკლდამას საფეხურებიანი პირამიდის სახით და ამით იწყებს ვეებერთელა სამეფო აკლდამების მშენებლობის პერიოდს. ყველაზე დიდი პირამიდები დაკავშირებულია IV დინასტიის მეფეების—ხეოპსისა და ხეფრენის სახელებთან. უკვე ჯესერის დროს იწყება სამხედრო ლაშქრობანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ეგვიპტემ დიდ სამხედრო ძლიერებას მიაღწია.

V დინასტიის მეფეების დროს უკვე ხდება ერთიანობის პოლიტიკისადმი მტრული გამოსვლები ადგილობრივი დიდკაცობისა, ასახება ადგილების პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენციე-

ბი. ეს ტენდენციები ძლიერდება VI დინასტიის ფარაონების დროს. ფარაონების—პიოპი I და პიოპი II—სახელებთან დაკავშირებულია შეღავათის სიგელების გაცემა, რომლებიც ადგილობრივ სატაძრო ან სხვა მეურნეობებს ათავისუფლებენ სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებულ ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებისაგან, საერთო—ეგვიპტურ სამუშაოებში მონაწილეობის ვალდებულებისაგან. ასეთი სიგელი განსაკუთრებით ბევრი იქნა გაცემული მეფე პიოპი II დროს, რომელიც 90 წელს მეფობდა. ამრიგად ისახება ცენტრიდანული ძალების გაძლიერება, დეცენტრალიზაციის, ერთიანი ეგვიპტის ნაწილებად დაყოფის მისწრაფება.

VI დინასტიის შემდეგ იწყება ეგვიპტის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდი, როცა სუსტდება ცენტრალური ხელისუფლება, ფარაონის ხელისუფლება, როცა მის ხარჯზე ძლიერდება ცალკეული ნომების მეთაურთა — ადგილობრივ მმართველთა როლი და მნიშვნელობა. ადგილობრივი მმართველნი იძენენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ცხოვრობენ არა მეფის კართან, არამედ თავიანთ მამულებში და აკლდამებსაც კი იგებენ არა მეფეების აკლდამების გვერდით, როგორც ეს წინათ იყო, არამედ ადგილობრივ, თავიანთ ნომებში.

3. დაშლის პერიოდი. საშუალო სამეფო. ძველი ეგვიპტის დაშლის პერიოდი გრძელდება ორ საუკუნეზე მეტ ხანს (2400-2160). რა მიზეზებმა გამოიწვიეს ცენტრიდანული ძალების ასეთი გაძლიერება და ძველი ეგვიპტის დაშლა? მიზეზი ის იყო, რომ ნომების გაერთიანებას უკვე აღარ მოჰქონდა სარგებლობა ცალკეული ნომებისათვის მას შემდეგ, რაც დამთავრებულ იქნა საირიგაციო სისტემის აგება ნილოსის მთელი ვაკის მასშტაბით. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ცალკეულ ნომებს უკვე ემძიმებათ ფარაონის ძალაუფლება და ისინი ისწრაფვიან თავი დააღწიონ იმ ბეგარას, რომელსაც ისევ ადებს ნომების მოსახლეობას ეგვიპტის ცენტრალური მთავრობა. ბევრი ნომი უშუალოდ დაინტერესებული არ არის არც იმ ომებით, რომლებსაც ფარაონი აწარმოებს, არც იმ ნაგებობებით (აკლდამები, ტაძრები), რომლებსაც ის ახლა აშენებს. ნომები ისწრაფვიან თავი აარიდონ საერთო-ეგვიპტურ სამუშაოებში მონაწილეობას. ჩნდება სიგელები, რომლებიც ნომების ტაძრებს ათავისუფლებენ საერთო-ეგვიპტური ამოცანებისათვის განკუთვნილ სამუშაოთა შესრულებისაგან. როგორც ქურუმები, ისე ტაძრების მოსამსახურენი და მონები თავისუფლდებიან მეფის

დავალებით წარმოებული სამუშაოებისაგან და უფლებას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ინტერესებისათვის, ნომის მეურნეობის ინტერესებისათვის იმუშაონ. ამრიგად, ნომები მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელ მდგომარეობას მოიპოვებენ ეგვიპტის საერთო მთავრობის მიმართ. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას ნომებს შორის ომების განახლებაც კი მოსდევს.

ქვეყნის ასეთი მდგომარეობა იწვევს საწარმოო ძალთა დაცემას საირიგაციო სამუშაოთა შეწყვეტის გამო და ქვეყნის შიგნით საომარი მოქმედების შედეგად ცალკეულ ნაგებობათა გაფუჭების გამო. ამავე დროს კი მოსახლეობის ზრდა საჭიროს ხდიდა საირიგაციო სისტემის შემდგომ გაფართოებასა და გართულებას. უნდა შეექმნათ შესაძლებლობა — ყველგან დაემუშავებინათ ეგვიპტის არა მარტო დაბალი ველები, არამედ ნილოსის ველზე უფრო მაღლა მდებარე მინდვრებიც. სამხრეთში იწყება მოძრაობა ეგვიპტის ახალი გაერთიანების სასარგებლოდ. თავდაპირველად ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გერაკლეოპოლის ნომი, მაგრამ შემდეგ პირველ ადგილზე წამოიწევა თებეს ნომი, რომელიც ახერხებს სათავეში ჩაუდგეს მოძრაობას და წარმატებით დაამთავროს იგი. გერაკლეოპოლისა და თებეს მეტოქეობა იწვევს მათს შეიარაღებულ ბრძოლას ერთმანეთთან, რომელიც თებეს გამარჯვებით თავდება.

თებეს XI დინასტიის მეფეები დასაბამს აძლევენ ახალ ეპოქას ეგვიპტის ისტორიაში — საშუალო სამეფოს ეპოქას (2160-1750 წ.წ.), როცა ეგვიპტე კვლავ ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხდება. XII დინასტიის მეფეებმა, რომლებსაც ამენემხეტებისა და სენუსერტების სახელები ერქვათ, ჩაატარეს საირიგაციო სისტემის გაფართოების სამუშაოები, რაც აუცილებელი იყო მაღლა მდებარე მინდვრების მოსარწყავად. მათვე დაამთავრეს ფართო სამუშაოები ფაიუმის ოაზისის რაიონში, სადაც მოხერხდა დასამუშავებლად ვარგისი მიწის ფართობის 30.000 ჰექტარით გადიდება. ეს სამუშაოები დიდძალ მუშახელს მოითხოვდნენ, რის გამო ახდენენ საომარ ლაშქრობებს სამხედრო ტყვეების ხელში ჩასაგდებად და სახელმწიფოს კუთვნილი მონების რიცხვის გასადიდებლად. ასე, მეფე ამენემხეტი I მის მიერ დატოვებულ წარწერაში აცხადებს: „მე მომყავდა ნუბიელები, ხოლო აზიელებს ძაღლებივით ვარონიებდიო“. მისი ვაჟი, როგორც ერთი წყარო იუწყება, „მოდიოდა და მოიყვანდა უამრავ ტყვე ლიბიელს, ტეხენუს (ლიბიელთა ტომი) და ყოველგვარ პირუტყვს“.

4. გლეხებისა და მონების აჯანყება. ჰიქსოსების შემოსევა. ეგვიპტის მაღალი მინდვრების დამუშავებას შედეგად მოჰყვა ქონებრივ განსხვავებათა ზრდა სოფლად. სოფლის საზოგადოების შეძლებული ზედაფენა მდიდრდება, კერძო საკუთრებად იძენს მაღალ მინდვრებს და ფართოდ იყენებს მონების შრომას ამ მინდვრების დასამუშავებლად. უბრალო მეთემურების გვერდით სოფლად ჩნდებიან ახალი მდიდრები, ეგრეთ წოდებული „ძლიერი ნეძესები" („ნეძესი" ნიშნავს „პატარას" — ეს არის უბრალო მეთემური). ძლიერი ნეძესები ეპოტინებიან სათემო მიწებს, ისწრაფვიან დაანგრიონ ძველი სასოფლო თემები და გააძლიერონ მათ მიერ დაწყებული ექსპლოატაცია აზატი ღარიბი გლეხობისა. სოფლად ძლიერდება გაჩანაგების გზაზე შემდგარ მიწათმოქმედთა ფართო მასების უკმაყოფილება.

ახალი მდიდრების ამაღლებით უკმაყოფილო იყო მსახურეული და სამეფო კარის დიდკაცობა, რადგან იგი გამდიდრებული ნეძესების სახით შეხვდა საშიშ კონკურენტს, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო საუკეთესო ადგილები სამოხელეო აპარატში. დიდკაცობის უკმაყოფილება შეიძლებოდა მხოლოდ გაძლიერებულიყო იმ მხარდაჭერის შედეგად, რასაც მეფე ძლიერ ნეძესებს უწევდა.

მონებისა და აზატი გლეხობის უღარიბესი ფენების ექსპლოატაციის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა გრანდიოზული გადატრიალება, რევოლუცია, რომელმაც, როგორც სჩანს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნის შუახანებში მთლად შეარყია ეგვიპტური მონათმფლობელური საზოგადოების საფუძვლები და მისი სახელმწიფო ორგანიზაცია. ამ რევოლუციის ამბავს იუწყება ცნობილი ლეიდენის პაპირუსი, რომელშიც ბრძენ იპუვერის წინასწარმეტყველების სახით მოთხრობილია ამ რევოლუციის ამბები. აი რამდენიმე ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან[1]: „ადამიანთა გული მკაცრია, მთელ ქვეყანაში ჭირი მძვინვარებს, ყველგან სისხლი იღვრება... ბევრი გვამი დამარხულია (ნილოსის) მორევში. მდინარე (გადაქცეულა) აკლდამად, ხოლო დაბალზამების ადგილად მდინარე გამხდარა. კეთილშობილნი მწუხარებას შეუპყრია, მდაბიონი კი სიხარულს მოუცავს. ყოველი ქალაქი ამბობს: „დავცხოთ ჩვენს შორის ძლიერებსო" (ე. ი. წარჩინებულებს). მიწა თუნის კვერეულივით გადაბრუნებულა. ავაზაკი სიმდიდრის პატრონი (გამხდარა).

[1] ციტირებულია ვ. ვ. სტრუვეს თარგმანის მიხედვით.

(მდიდარი) მძარცველად გადაქცეულა. გულით ძლიერნი შიშით ფრინველებს დამსგავსებიან... ჭიმკრები, სვეტები, იაქთაღები დამწვარია, მეფის სასახლის კედლები-ღა დარჩენილა. სამხრეთის ხომალდი შფოთს მოუცავს, ქალაქები დანგრეულია. სამხრეთი უდაბნოდ ქცეულა... მთელი სამხრეთი შფოთის გამო ხარკს არ იხდის. არ არის მარცვლეული, ხილი, ირიშუ, ნახშირი, ანძები... ყუთები... ხელოსანთა ნაკეთობა, დისუს ნაყოფი, შავი ზეთი სახლისათვის. რა (უნდა ქნას) ხაზინამ უხარკებოდ...“

„საუცხოო სამოსამართლო პალატა... მისი აქტები დატაცებულია, მის განძთა საცავები დაცლილია. არქივები გახსნილია. მათი საგადასახადო დეკლარაციები დატაცებულია. მონები მონათა მფლობელები გამხდარან... (მოხელეები) დაუხოცავთ. მათი დოკუმენტები წაუღიათ. ოჰ, როგორ ვწუხვარ ამ დროის უბედურებათა გამო... მოსავლის აღმრიცხველნი, მათი ნუსხები მოსპობილია. ეგვიპტის მარცვლეული საერთო კუთვნილება გამხდარა. სამოსამართლო პალატის კანონთა გრაგნილები გადაუყრიათ. (მათ) ფეხით სთელავენ გზაჯვარედინებზე... ღარიბნი (მათ) ქუჩებში ლუქს აძრობენ... დიდი სასამართლო პალატა გასავლელი (ადგილი) გამხდარა. ღატაკნი დაიარებიან დიდ სასახლეებში... დიდებულთა ბავშვები ქუჩაში გამოუყრიათ. ვისაც თავისთვის სარკოფაგის გაკეთებაც კი არ შეეძლო, ის (ახლა) აკლდამის მფლობელი გამხდარა... აკლდამების მფლობელნი განუდევნიათ გორაკთა მწვერვალებისაკენ... ვისაც თავისთვის ქოხის აგებაც კი არ შეეძლო, ის ახლა სახლის პატრონი გამხდარა... კარისკაცნი მეფის სახლებიდან გაუძევებიათ... დიდკაცები საგვერდულებში ცხოვრობენ. ვინც კედელთან არ წოლილა, (ახლა) სარეცელის მესაკუთრე გამხდარა. სიმდიდრეთა მფლობელი (ახლა) ღამეებს წყურვილით დატანჯული ატარებს. ვინც (სასმელის) ნალექს გამოითხოვდა, (ახლა) მესაკუთრეა ჩაფებისა, რომლებსაც მიწაზე ანარცხებენ... საუცხოო სამოსის პატრონებს (ახლა) ძონძები აცვიათ. ვისაც რაიმე არასოდეს არ მოუქსოვია თავისთვის, ის (ახლა) ნატიფი ტილოს პატრონია. ვისაც თავისთვის არასოდეს ნავიც კი არ აუგია, ის (ახლა) ხომალდების მფლობელი გამხდარა. მათი ნამდვილი პატრონი კი შესცქერის ამ ხომალდებს, მაგრამ ისინი აღარ ეკუთვნიან მას... ის, ვისაც საჩრდილობელი არა ჰქონია, (ახლა) მისი მესაკუთრე გამხდარა. საჩრდილობელის (ყოფილი) პატრონები კი (მხოლოდ) ქარის ქროლვისას (გრილდებიან). ის, ვისაც უბრალო საკრავიც კი არ უნახავს, (ახლა) ქნარის პატრონი

გამხდარა. ის, ვისაც თავისი ქონება არა ჰქონია, (ახლა) სიმდიდრეთა მფლობელი გამხდარა. დიდებულნი ხოტბას ასხამენ მას... ხელქვეითნი მონების მესაკუთრენი გამხდარან. ვინც შიკრიკი იყო, ახლა სხვას დაარბენინებს. ის, ვისაც თავისი პური არა ჰქონია, ბელლის მესაკუთრე (გამხდარა). მისი საკუჭნაო სხვისი ქონებითაა გავსებული... კეთილშობილი ქალები გარბიან. უფროსები სიკვდილის შიშით დამხობილნი არიან. ქვეყნის უფროსები გაქცევით შველიან თავს... თავის ადგილზე არც ერთი მოხელე არ არის, ისინი დამფრთხალ ჯოგს ჰგვანან, რომელიც უმწყემსოდ დარჩენილა...".

ღარიბ-ღატაკებმა მოახდინეს მდიდრების ექსპროპრიაცია, გაანადგურეს სახელმწიფო აპარატი. აჯანყებულთა მასები, ალბათ, ისწრაფოდნენ ძირფესვიანად მოესპოთ ძველი კანონმდებლობა, ძველი სასამართლო წარმოება და ძველი საგადასახადო სისტემა. სახელმწიფო საწყობების მართვა, ჯოგების მოვლა მოშლილია, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ შეადგინოს ცნობები მდინარე ნილოსის წყლის დონის შესახებ, არავის ადარდებს ის, თუ რა პირი უჩანს მოსავალს. უცხოელი მონები ახლა თავისუფალნი გამხდარან და მონათმფლობელთა ქონებას დაპატრონებიან.

ეგვიპტეში გაჩაღებულმა საშინაო ბრძოლამ ჰიქსოსების აზიურ ტომს, რომელიც იმ დროს აფართოებდა თავისი ბატონობის ფარგლებს წინა აზიაში, გაუადვილა დაპყრობითი მოძრაობა დასავლეთისაკენ, ეგვიპტის მიმართულებით. დაახლოებით 1730 წელს ეგვიპტე ჰიქსოსების მეომარი ტომის დავლა გახდა; ისინი დაეუფლნენ მთელ ამ ქვეყანას და დაახლოებით 150 წელს ბატონობდნენ მასში.

ჰიქსოსების შესევას თან სდევდა ქალაქების მოსპობა, ნაგებობათა დანგრევა და სასტიკი მოპყრობა ეგვიპტის მოსახლეობასთან. მანეფონი იუწყება, დამპყრობლებმა ქალაქები დასწვეს და ტაძრები დაანგრიესო. ყველა მცხოვრებს მეტისმეტად სასტიკად ეპყრობოდნენ: ზოგს ჰკლავდნენ, სხვებს ცოლებიანად და ბავშვებიანად მონებად აქცევდნენ. შემდეგში მოპყრობა უფრო ასატანი გახდა. ეგვიპტე ძალებს იკრეფდა, რათა ჰიქსოსების უღელი დაემხო. დაიწყო მოძრაობა ძალების გაერთიანებისა და დამპყრობთა განდევნის ორგანიზაციისათვის. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ქალაქი თებე, რომელმაც შესძლო გაეერთიანებინა სამხრეთის ძალები, კავშირი შეეკრა ნუბიასთან და დაეწყო ომი ჰიქსოსებისაგან განთავისუფლებისათვის. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ეგვიპტემ

ებეს ნომის მეთაურობით მოახერხა განედევნა ჰიქსოსები ქვეყნის ფარგლებიდან და აღედგინა ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

5. ახალი სამეფო. ჰიქსოსებთან ბრძოლას შედეგად მოჰყვა ეგვიპტის ძლიერების განმტკიცება. ჰიქსოსები თავისი საზღვრებიდან რომ განდევნა, ეგვიპტემ ამასთან ერთად დაიპყრო აზიის ზოგიერთი ტერიტორია, რომელიც მათს ბატონობაში იყო... ეგვიპტის ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა, როცა ეგვიპტე იძენს ხელისუფლების კარგად ცენტრალიზებული სამხედრო — ბიუროკრატული აპარატის მქონე ძლიერი სამხედრო სახელმწიფოს ნიშნებს. ეს ეპოქა მოიცავს XVIII-XX დინასტიას (1580-1100 წელი ჩვენს ერამდე).

XVIII დინასტიის მეფეები (1580-1320) მარჯვე ლაშქრობებს ახდენენ აზიაში და სამხრეთისაკენ, ნუბიაში, ამასთან ხელთ იგდებენ უამრავ ტყვეს. იმ დროის გამოსახულებებზე ჩვენ ვხედავთ შავ ზანგებს, მიხაკისფერ ნუბიელებს, თეთრ ლიბიელებს, ყვითელ აზიელებს, როგორც სამხედრო ნადავლს. მონების რიცხვი ეგვიპტეში მატულობს, იზრდება და მტკიცდება კერძო მონათმფლობელობა. ეგვიპტის არმია არაჩვეულებრივად ძლიერი ხდება, ამასთან არმიაში ახლა შესამჩნევ როლს ასრულებენ ცხენებშებმული ეტლები; ცხენები ეგვიპტელებისათვის წინათ უცნობი იყო და მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდნენ ეგვიპტეში, როცა იგი ჰიქსოსებმა დაიპყრეს. ეგვიპტის იმპერია მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც გაჭიმულია 3.200 კილომეტრზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ეგვიპტის მეფის ძალაუფლება მტკიცდება სახელმწიფო აპარატის დიდი ცენტრალიზაციის გატარებასთან დაკავშირებით. ნომების მმართველები ახლა მთლიანად დაქვემდებარებული არიან ცენტრალური მთავრობისადმი.

ეგვიპტის მეფის ძლიერება და მისი დიდი საგარეო—პოლიტიკური მიღწევები კარგადაა გამოხატული ღმერთ ამონისათვის მიწერილი სიტყვებით, რომლებითაც იგი მიმართავს მეფე ტუტმოს III ერთ-ერთ წარწერაში: „მე შენ მოგმადლე ძალა და გამარჯვება ყველა ქვეყანაზე. შენი დიდება განვავრცე ყველგან, შენს წინაშე შიშისაგან კანკალებს მთელი ქვეყანა ცის ოთხივე ბოძამდე... მე შენთვის შევბოჭე ათეულათასობით ნუბიელი, ასეულათასობით აზიელი — მტრები შენი განვართხე შენს ფეხთა ქვეშ... მიწა სიგრძე—სიგანეზე, დასავლეთით და აღმოსავლეთით შენ გმორჩილებს...“ და ა. შ.

XVIII დინასტიის ერთ-ერთი ფარაონი ისწრაფვის გააძლიეროს თავისი ძალაუფლება და გასტეხოს ქურუმობის ძალა, რომელიც დამოუკიდებელ როლს ჩემულობდა სახელმწიფოში და რომელმაც, როგორც ეტყობა, დიდი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა; ამ მიზნით ფარაონი იწყებს რელიგიის რეფორმას, რომელიც მოწოდებულია აღმოფხვრას ძველი კულტები და შესცვალოს ისინი ღმერთ ატონის ერთიანი ახალი კულტით; ხსენებულ ღმერთს მზის დისკოს სახით ხატავდნენ. მეფე ამენხოტეპ IV (1419-1400), რომლის დროსაც ეს რეფორმა ხდება, იღებს ახალ სახელს—ეხნატონს (ატონისათვის სასიამოვნოს), აშენებს ახალ სატახტო ქალაქს, აგებს ახალ ტაძრებსა და ახალ სასახლეებს. მაგრამ ახალი კულტის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, და გადატრიალება ძველისაკენ დაბრუნებით დამთავრდა. მეფე — რეფორმატორ ეხნატონის ერთ-ერთი მემკვიდრის დროს აღდგენილ იქნა ამონის ძველი კულტი, და ფარაონი, რომელიც იძულებულია დაუთმოს ქურუმობის მოძალებას, თავის სახელს ტუტანხატონს ტუტანხამონით შესცვლის.

XIX დინასტიის მეფეები (1320-1200) განაგრძობენ დაპყრობითს ლაშქრობებს აღმოსავლეთისაკენ, ამასთან ამ დინასტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მეფეს, რამზეს II, მოუხდა შეიარაღებული შეტაკება ხეთების ძლიერ სახელმწიფოსთან. საომარი მოქმედება დამთავრდა იმით, რომ ეგვიპტის მეფე რამზეს II საზავო ხელშეკრულება დასდო ხეთების მეფე ხატუშილ II-თან (1272 წ.). ამ ხელშეკრულებით მხარეებმა იკისრეს დაეცვათ მშვიდობიანობა, დახმარებოდნენ ერთიმეორეს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავს დაესხმოდა ერთ-ერთ მხარეს, აგრეთვე გადაეცათ ერთმანეთისათვის საზღვარგარეთ გაქცეული შინაური მტრები.

6. ეგვიპტის სახელმწიფოს დაქვეითება. ახალი სამეფოს დასასრულს ეგვიპტეში ხდება მონების აჯანყებანი, რასაც, ეტყობა, მხარს უჭერენ არმიაში ჩაბმული დაქირავებული პირნიც — უცხოელები. ხდება შერყევები, რასაც თან სდევს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, უცხოელი მხედართუფროსების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ ამჯერად მეფეები მოახერხებენ მთლიანად აღადგინონ თავიანთი ძალაუფლება და ჩაახშონ აჯანყება, ამასთან თავიდან იცილებენ სახელმწიფო აპარატის შესუსტებასა და მოშლას, რაც აჯანყებამ გამოიწვია. მაგრამ საშინაო და საგარეო მდგომარეობის ეს განმტკიცება დროებითი იყო. მალე თავი იჩინა ცალკეული ნომების მისწრაფებამ — მოეპოვებინათ

დამოუკიდებლობა, — მოძრაობამ, რომელიც ადვილად აიხსნება მათი სურვილით, რომ თავი დააღწიონ ცენტრალური მთავრობის სასარგებლოდ განკუთვნილ ხარკებს. ისევე, როგორც ძველი სამეფოს მიწურულში, იწყება შეღავათის სიგელების დარიგება, რაც ერთიანი ეგვიპტის დაშლას იწვევს. ამასთან ერთად იზრდება თავისუფალი მოსახლეობის გაჩანაგება და უკმაყოფილება ეგვიპტის საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გამწვავებასა და ქონებრივი უთანასწორობის ზრდასთან დაკავშირებით. ეცემა ეგვიპტის სამხედრო ძლიერებაც; ქვეყანა იძულებულია თავის არმიაში სულ უფრო და უფრო მეტი უცხოელი დაქირავებული პირი ჩააბას. დაქირავებულთა მოზიდვა თავისთავად საფრთხეს უქმნის ეგვიპტის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და მთლიანობას. ეგვიპტე სრულიად აშკარა დაცემის ხანაში შედის.

ფარაონების ტახტზე ჩნდებიან უცხოელები, ალბათ, დაქირავებული ჯარების უფროსები. ლიბიელები და ნუბიელები ეგვიპტეში ხელთ იგდებენ სამეფო ხელისუფლებას. უფრო გვიან ეგვიპტეს ემუქრება ასირიის სახელმწიფოს ზრდადი ძლიერება. მრავალ წელს იგრძნობა ჩრდილოეთ ეგვიპტეში ასირიის ბატონობა. ეგვიპტის დაქვეითებას ბოლოსდაბოლოს შედეგად მოსდევს მისი დაპყრობა სპარსეთის სახელმწიფოს მიერ (525 წ.) და ძველი ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა.

§ 16. ძველი ეგვიპტის სახელმწიფო წყობილება

ეგვიპტეში მონათმფლობელურმა სახელმწიფომ მიიღო დესპოტიის თავისებური ფორმა, ე. ი. მონარქიისა, სადაც ძალაუფლებას ახორციელებს ცენტრალიზებული, ბიუროკრატიულად ორგანიზებული აპარატი, რომელიც მთლიანად დაქვემდებარებულია ერთი პირისადმი — სრულუფლებიანი დესპოტისადმი. სახელმწიფოს ამ ფორმის წარმოშობის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ქვეყნებში, რომლებიც ამ პოლიტიკურ ფორმას იცნობენ, დიდხანს რჩება საადგილმამულო თემი და სუსტად ვითარდება მიწის კერძო საკუთრება. ენგელსი ამბობს: „იქ, სადაც იგი (სახელმწიფო ხელისუფლება — ს. კ.) ჩნდება, როგორც აზიის არიელ ხალხებთან და რუსებთან — პერიოდში, როცა თემი მიწას თანაზიარად ამუშავებს ან, ყოველ შემთხვევაში, გადასცემს დროებითი სარგებლობისათვის

ცალკეულ ოჯახებს, სადაც, ამრიგად, ჯერ კიდევ არ შექმნილა მიწის კერძო საკუთრება, — იქ სახელმწიფო ხელისუფლება დესპოტიზმის ფორმით ჩნდება"[1].

1. მეფე — ფარაონი. ეგვიპტის სახელმწიფოს მწვერვალი იყო მეფე — ფარაონი, რომელსაც ღვთაებრივ ღირსებას მიაწერდნენ. მეფე იყო ღმერთი სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ, ღმერთის ჩამომავალი, „მარადისობის უფალი", „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გულის სიხარულის წყარო". მეფე კი არა კვდება, არამედ „თავის მარადიულ ჰორიზონტში შედის". თვითონ მეფის სახელი ამაოდ არ წარმოითქმოდა, მეფეს ჩვეულებრივ სახელით არ იხსენიებდნენ, არამედ მასზე იტყოდნენ — „მაღალი გვარეულობა", ეგვიპტურად — „პერო" (აქედან ებრაულ ტრანსკრიფციაში სიტყვა „პარ'ო", ხოლო ბერძნულში — „ფარაონი").

მეფეს თაყვანს სცემენ მზის ღმერთ რა-ს თანაბრად. მეფე მზეა, მზის შვილია; იგი ღმერთის მატერიალიზაციაა ქვეყნად. დაწყებული ფარაონ ხეფრენით, მეფის სახელს უერთდება დიდ ღმერთ რა-ს ტიტული და ღმერთ რა-ს შვილის ტიტული. მეფის სახელი იწერება ოვალში, რომელიც მზის სიმბოლოს წარმოადგენს.

მეფის ყოველი მოძრაობა დიდებული ცერემონიალით იყო გარემოსილი. მეფის წინაშე პირქვე ემხობოდნენ, მუცელზე წვებოდნენ, მის ფეხებთან მიწას ეამბორებოდნენ. დიდ პატივად ითვლებოდა მისი მუხლების მოხვევნა. ფრიად სასახელო იყო მეფესთან საუბარი. წარწერები იუწყებიან, ადამიანებს გული უწუხდებათ იმ ფიქრით გამოწვეული მღელვარებისაგან, რომ მათ მეფესთან მოუხდებათ საუბარი, ხოლო ერთ კარისკაცზე გადმოგვცემენ, მეფის ნახვის შესაძლებლობა რომ მიეცა, ბედნიერებისაგან გარდაიცვალაო.

თუ რაოდენ შორს მიდიოდა ფარაონის გაღმერთება და რამდენად განუსაზღვრელი იყო მისი ძალაუფლება, სჩანს იმ უზარმაზარ ნაგებობათაგან, რომლებსაც ეგვიპტელი მონარქები თავიანთ აკვანამებად აგებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ხეოპსის სახელგასთქმულ პირამიდს 54.000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი უკავია და 160 მეტრამდე სიმაღლე აქვს, რომ ამ პირამიდის თვითეული მხარის სიგრძე მეოთხედ კილომეტრამდეა, რომ მასზე დაგებულია ორ-მილიონზე მეტი ქვა, თვითეული 2½ ტონიანი.

---

[1] Энгельс, Франкский период (Маркс и Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, стр. 391).

მთელი ათეული წლების განმავლობაში ათეულათასობით ადამიანს აცდენდნენ ნაყოფიერი შრომისაგან და იძულებით ამუშავებდნენ ამ ვეებერთელა ნაგებობათა ასაშენებლად.

მეფეს ეკუთვნოდა საკანონმდებლო ხელისუფლების მთელი სისავსე. იგი ერთპიროვნულად ახორციელებს კანონმდებლობას, ამაში მას მხოლოდ ქვეყნის უმაღლესი წარჩინებულნი ეხმარებიან („მეფის ბრძანებათა მრჩეველნი"). კანონი არის ის, რასაც მეფე ბრძანებს, „ის, რაც მეფეს ნებავს". ყველა ვალდებული იყო ბრმად დამორჩილებოდა მის ბრძანებებს. ფარაონი იდგა აგრეთვე მთელი ადმინისტრაციული აპარატის სათავეში. ფარაონს ეკუთვნოდა უმაღლესი სამოსამართლო და უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება. როგორც ღმერთის ჩამომავალი, როგორც ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალი, ფარაონი უზენაესი ქურუმიც იყო.

მეფის ხელისუფლება რამდენადმე შესუსტდა დაშლის ეპოქაში, რომელიც დაიწყო ძველი სამეფოს მომდევნო ხანაში, როცა ქვეყანაში ცენტრიდანული ძალები განვითარდნენ და ნომებმა ერთგვარი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მაგრამ საშუალო სამეფოს ეპოქაში ფარაონების ძალაუფლებამ კვლავ მოიპოვა თავისი განუსაზღვრელი, მოცულობით განსაკუთრებული ხასიათი. ახალი სამეფოს ეპოქაშიც მთელი თავისი ძალით რჩება ფარაონის ყოვლის შემძლეობა; ფარაონი ეგვიპტის ისტორიის ამ პერიოდში მნიშვნელოვან სამხედრო ძალას ეყრდნობა.

2. ვეზირი — ჯატი. თავისი ძალაუფლების განხორციელებაში ფარაონი მოხელეთა უზარმაზარ არმიას ემყარება. უმნიშვნელოვანეს თანამდებობის პირს, რომელიც ამ არმიას მეთაურობდა, წარმოადგენდა „ჯ ა ტ ი". ისტორიკოსები მას ჩვეულებრივ უწოდებენ აღმოსავლეთში უფრო გვიან წარმოშობილ არაბულ სახელწოდებას — „ვეზირს", რომელიც ანალოგიურ თანამდებობას ახასიათებს.

ვეზირი (ჯატი) მთელი ბიუროკრატიული აპარატის ყოვლის შემძლე მეთაურია, რომელიც თავის სახით აერთებს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოსამართლო ხელისუფლებას. მას ჩვეულებრივ უწოდებდნენ „მთელი სახელმწიფოს, სამხრეთისა და ჩრდილოეთის უფროსს", ან „მეფის ყველა ბრძანებათა საიდუმლო მრჩეველს", ან კიდევ „მთელი ქვეყნის მმართველს". მას უწოდებდნენ აგრეთვე „ყველა დიდებულის ნამდვილ უფროსს", ხოლო

რადგან იგი მიწათმოქმედებასა და მასთან დაკავშირებულ ასტრონომიას განაგებდა, მას უწოდებდნენ „ცის საიდუმლოებათა მჭვრეტელს“.

ვეზირის თანამდებობა შეიქმნა IV დინასტიის დროს და იგი თავდაპირველად ეკავათ მეფის უახლოეს ნათესავებს, ხშირად მის ვაჟიშვილებს. V დინასტიიდან დაწყებული, ეს თანამდებობა უკავიათ არა მარტო მეფის ნათესავებს, არამედ სხვა პირებსაც. მაგრამ შემდეგშიც ვეზირი ინარჩუნებს „ირი-პატ“ ხარისხს, რაც „პრინცს“ ნიშნავს. ვეზირი დიდი პატივით სარგებლობდა: დიდებულნიც კი, მის დარბაზში რომ შევიდოდნენ, მიწაზე უნდა განრთხმულიყვნენ. როცა იგი მეფესთან სააუდიენციოდ მიდიოდა, უხუცესი დიდებულნი წინ მიუძღოდნენ მას და გზას უწმენდნენ. რელიგიური იდეოლოგია იცავდა ვეზირის მაღალ პრესტიჟს. იგი „სამართლიანობის წინასწარმეტყველად“, ღმერთ ტოტის უზენაეს ქურუმად ითვლებოდა. აღიარებული იყო, რომ მისი ბაგეებით თვითონ ღმერთი ტოტი, კანონთა ღმერთი მეტყველებდა. ამასთან ერთად მიაჩნდათ, რომ ღმერთ ტოტს ღმერთების პანთეონში დიდ ღმერთ რა-ს ვეზირის ადგილი ეკავა.

ვეზირის ხელში თავმოყრილი იყო სახელმწიფო მმართველობის ყველა ძაფი. ყველა მოხელე, რანგის დამოუკიდებლად, მას მოახსენებდა თავის საქმეებს, და ისინი ყველანი უშუალოდ მისგან იღებდნენ საჭირო მითითებებს. სახელმწიფო აპარატი ბიუროკრატიულად იყო მოწყობილი: მთელი მართვა-გამგებლობა ერთი ცენტრიდან გამომდინარეობდა, და ვეზირი იყო ამ ცენტრალიზებული აპარატის ყოვლის შემძლე მეთაური.

მეფეები თავიანთ ვეზირებს ინსტრუქციებს აძლევდნენ, და ამ ინსტრუქციებიდან ვხედავთ, თუ რამდენად ფართო და ყოვლისშემცველი იყო ვეზირის ძალაუფლება, რამდენად შორს მიდიოდა სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაცია ეგვიპტეში. ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ასეთ ინსტრუქციაში ნათქვამია: „ვეზირი, თავის დარბაზში საქმეებს რომ ისმენს, ყოველგვარი აქტის დროს სავარძელში უნდა იჯდეს. იატაკზე ხალიჩა უნდა ეფინოს, ზურგსუკან უნდა ედოს ბალიში, ფეხთქვეშ — ბალიში, ხელთ უნდა ეპყრას კვერთხი, მის წინ გადაშლილი უნდა იყოს ტყავის ორმოცი გრაგნილი. სამხრეთის დიდკაცები მის წინ დგანან ორივე მხარეზე, კაბინეტის უფროსი დგას მარჯვნივ, მომხსენებელი — მარცხნივ, მდივნები — გვერდით დგანან... ყველანი თავიანთ ადგილას არიან. თვი-

თეულს რიგრიგობით უნდა მოუსმინოს. ვეზირს უნდა მოხსენდეს ადგილის დახურვაც ამა და ამ საათს და მისი გახსნაც. მას მოახსენებენ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ციხე-სიმაგრეთა ამბავს. მას მოახსენებენ აგრეთვე ყოველივეს, რაც მეფის სასახლიდან გამოდის და ყოველივეს, რაც იქ შედის, ვინაიდან ყველაფერი შედის და გამოდის მისი შიკრიკის მეშვეობით. მას მოახსენებენ თავიანთ საქმიანობას უფროსები. შემდეგ იგი მეფესთან სათათბიროდ უნდა წავიდეს. იგი მოიხმობს ადგილობრივ მოხელეებს და დაგზავნის, ისინი მოახსენებენ მას თავიანთი უბნების მდგომარეობას. მასთან შედის ყოველი ანდერძი, და ის დაასვამს მას ბეჭედს... ყოველგვარი თხოვნა მეფის სახელზე ვეზირს უნდა გადაეცეს. ვეზირი ჰგზავნის ყოველ შიკრიკს მეფის სახლიდან კომენდანტებთან და სოფლის მამასახლისებთან. იგი აგროვებს ჯარს და განაგებს მეფის მცველ რაზმს მოგზაურობის დროს... სამეფო მაგიდის გამგე და სამხედრო საბჭო მიდიან მასთან, რომ მიიღონ ინსტრუქციები ჯარის მართვის შესახებ. ყველა მოხელე, პირველიდან უკანასკნელამდე, ვეზირის დარბაზში ცხადდება, რათა მას რჩევა სთხოვონ. იგი ჰგზავნის ხალხს ხეების მოსაჭრელად სამეფო სახლის განკარგულების თანახმად. იგი ჰგზავნის მოხელეებს იზრუნონ წყალმომარაგებისათვის მთელ ქვეყანაში... მას მოახსენებენ ყველაფერი, სამხრეთის ციხე-სიმაგრის მდგომარეობა და ყოველგვარი დაპატიმრება... იგი მოისმენს საქმეებს, რომლებიც ყველა ნომს ეხება. იგი ჰგზავნის მეფის ადმინისტრაციის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. ნომების დოკუმენტები მის დარბაზში ინახება. იგი მოისმენს ყველა მიწის საქმეებს... ის ნიშნავს სასამართლო დარბაზის ყველა პირს... იგი ადგენს ყველა ხარის სიას. იგი ათვალიერებს ურხებს ყოველი კვირის პირველ დღეს... მას მოახსენებენ ნილოსის დონეს და ა. შ.“.

ამასთან ერთად ვეზირი ხელმძღვანელობდა სასამართლო ფუნქციის განხორციელებას სახელმწიფოში. სასამართლო ეგვიპტეში განუყოფელი იყო მმართველობისაგან, ამიტომ ვეზირს უმაღლესი სასამართლო ხელისუფლებაც ეკუთვნოდა. იგი იყო ათთა დიდი საბჭოს თავმჯდომარე; ეს საბჭო, როგორც ეტყობა, ეგვიპტის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა და ამასთან ერთად მმართველობის ერთ-ერთ ორგანოსაც. ასევე ვეზირი გამოდიოდა ექვსთა დიდი პალატის, აგრეთვე სასამართლო ორგანოს, ხელმძღვანელად.

ვეზირი უშუალო მონაწილეობას იღებდა სამეურნეო მართვა-გამგეობლობაში, ვინაიდან იგი იყო მეფის ყველა საგანძურის, ყველა სახელმწიფო საწყობის უფროსი და მთელ სამეფო სამუშაოთა ხელმძღვანელი. ახალი სამეფოს ეპოქაში ვეზირი მთელი სამხედრო ძალების ხელმძღვანელის როლსაც ასრულებდა.

3. სახელმწიფო ქონებისა და შემოსავლის მმართველობა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მეორე დიდი თანამდებობითი პირის—ბეჭდის მცველის, ანუ მთავარი ხაზინადარის, „ქვემო ეგვიპტის მეფის ხაზინადარის“ როლი. სწორედ რომ ითქვას, ხაზინა ჩვენებური აზრით ეგვიპტეში არ ყოფილა: გადასახადები შეჰქონდათ ნატურით პურით, პირუტყვით, ფრინველით, ხილით, ლითონის ზოდებით და სხვ. ხაზინადარი განაგებდა სახელმწიფო საწყობებს, სადაც ინახებოდა მთელი ეს ნატურალური შემოსავალი. ამიტომ მას ეწოდებოდა „გამგე იმისა, რასაც ცა იძლევა, რასაც მიწა წარმოშობს და რაც ნილოსს მოაქვს“.

მთავარ ხაზინადარს ექვემდებარებოდა „ღმერთის“ (ე. ი. მეფის) ორი ხაზინადარი. ისინი განაგებდნენ ქვის სამტეხლოებს, სპილენძის სამადნოებს და სხვ. მათი მოვალეობა იყო ეზრუნათ სამეფო ნაგებობათა საჭიროებისათვის საშენი მასალის მიწოდებაზე. მათ ხშირად უნდა გაეგზავნათ ექსპედიციები ამ მასალებისათვის სხვა ქვეყნებში და გაეყოლებინათ ამ ექსპედიციებისათვის მცველი სამხედრო რაზმები. ამრიგად, მათ დაკისრებული ჰქონდათ სამხედრო და საზღვაო მინისტრთა ფუნქციები. ამ პირთა გარდა, ვეზირს ექვემდებარებოდნენ აგრეთვე „თეთრი პალატის“ ზედამხედველი და მეფის ორი ბეღლის ზედამხედველები.

სახელმწიფოს შემოსავალი შესდგებოდა „საკუთარი ხალხის გაძარცვით“ და სხვა ხალხთა გაძარცვით მიღებული სამუალებებისაგან. გლეხები ვალდებული იყვნენ მიეცათ მოხელეებისათვის მოსავლის, პირუტყვის, ფრინველის და სხვ. ნაწილი. ხელოსნები თავიანთ ნაკეთობათა ნაწილს იძლეოდნენ. გარდა ამისა, მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სამუშაოთა შესრულების მოვალეობა. არხების, რაბების და ჯებირების აგებაში, სასახლეების, ტაძრების, აკლდამების მშენებლობაში ჩვეულებრივ მონაწილეობდა დიდი რაოდენობა თავისუფალი მოსახლეობისა, რომელსაც ეკისრა ვალდებულება ემუშავნა სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

გადასახადები მოსავლის მეხუთე ნაწილს აღწევდნენ. დოკუმენტები ასახავენ მშრომელთა მძიმე მდგომარეობას. ერთ-ერთ მათგანში ფერადოვნად არის აწერილი ეგვიპტელი გლეხის გაჭირვება: „მატლები იპარავენ ნახევარ მარცვლეულს; ჰიპოპოტამები ნთქავენ მეორე ნახევარს, თაგვები მრავლდებიან მინდვრად, კალია მოზღვავდება... ხოლო მოხელე მოადგება ნაპირს, შემოუვლის სამკალს, მისი ამალა შეიარაღებულია ჯოხებით, ზანგები — შოლტებით. ისინი ამბობენ: „მარცვლეული მოგვეციო“. თუ არ არის, ისინი მეურნეს სცემენ.. მას შებოჭავენ და თხრილში გადააგდებენ... მის ცოლსა და ბავშვებს შეკრავენ“.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებულ შემოსავალს ემატებოდა სხვა ქვეყნებში ჩატარებულ სამხედრო ლაშქრობათა დროს ნაცარცვი მთელი ქონება. შემოსავლის ეს მუხლი მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით ახალ სამეფოს პერიოდში. ლიბანის ხე-ტყე, ნუბიის ოქრო, სპილოს ძვალი, მონები და ბევრი სხვა რამ მოედინებოდა ეგვიპტეში ლაშქრობათა შედეგად, როგორც სამხედრო ნადავლი.

დიდმნიშვნელოვანი იყო აგრეთვე „მეფის ყველა სამუშაოთა უფროსის“ როლი; იგი იყო მეფის თავისებური არქიტექტორი და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, რომელიც, შესაძლოა, თვალყურს ადევნებდა თავისუფალი მოსახლეობისათვის დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების წესსაც.

4. მოხელეთა აპარატი. შემდეგ მისდევდა მოხელეთა უზარმაზარი აპარატი დიდადგანვითარებული წერილობითი საქმისწარმოებით, მდივნებისა და მწერავების სიმრავლით, ფორმალიზმითა და უხვი სამსახურებრივი მიწერ-მოწერითურთ. ეს მოხელენი ეწეოდნენ მთელი ვეებერთელა სახელმწიფო მეურნეობის აღრიცხვას, მართავდნენ შეფის ადგილ-მამულებს და საწყობებს, განაგებდნენ პოლიციასა და სასამართლოს.

მოხელეთა რიგებში შესვლა, როგორც სჩანს, ეგვიპტის ყველა თავისუფალ ადამიანს შეეძლო. საშუალო სამეფოს ეპოქის ერთი ძეგლი შეიცავს ვიღაც დუაუს დარიგებას თავისი ვაჟისადმი, რომელიც მას სამეფო კარის სკოლაში მიუბარებია. მამა ჩამოთვლის იმ უპირატესობებს, რომლებიც, მისი აზრით, აქვს მოხელის პროფესიას სხვა პროფესიათა წინაშე, განსაკუთრებით ხელოსნის პროფესიის წინაშე. ამ დარიგების ტექსტიდან სჩანს, რომ მოხელეები შეიძლებოდა გამოსულიყვნენ ისეთი საზოგადოებრივი წრეებიდან,

რომელთა წარმომადგენლებისათვის — შესაძლებელი ბყო ეცემნათ. „მე მინახავს ცემა-ტყეპა. მიაპყარ შენი გული წიგნებს. ჭეშმარიტად, წიგნებზე უმაღლესი არა არის რა. როგორც წყალში, ისე იცურე წიგნებში, — მათში იპოვნი დარიგებას: „თუ მწერალი სასახლესთან იმყოფება, იქ ის მათხოვარი არ იქნება, არამედ გაძღება“. მე არ შეგულება სხვა თანამდებობა, რომელიც ამგვარი თქმის საბაბს იძლეოდესო“.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე III დინასტიის მეფობის დამლევს და IV დინასტიის მეფობის დამდეგს მცხოვრები ერთი დიდი ეგვიპტელი მოხელის, ვიღაც მეტენის ბიოგრაფიამ. ამ ბიოგრაფიიდან სჩანს, რომ მეტენმა თავისი სამსახური დაიწყო მწერავად საკვების საწყობებთან, შემდეგში იგი ადგენდა ნატურალურ შემოსავლის სიებს, კიდევ უფრო გვიან განაგებდა საწყობს, იყო გადასახადთა კონტროლიორი. ამრიგად, იგი კარიერას მეტად პატარა თანამდებობით იწყებს, მაგრამ, როგორც შემდეგ შევიტყობთ, სამსახურებრივი კიბის მწვერვალზე ადის: ახერხებს და აღწევს ქვემო ეგვიპტის სამეფო მეურნეობის მმართველის მდგომარეობას, მერე ზემო ეგვიპტის დანავლეთ საზღვრის ციხე-სიმაგრეთა უფროსის თანამდებობას, კიდევ უფრო გვიან — მეფის სასახლის უფროსის თანამდებობას. ის თავისი სამსახურისათვის დაუჯილდოვებიათ მამულით, ატარებდა „სამხრეთის დიდებულის“ ხარისხს და მიღებული კაცი ყოფილა სასახლეში.

ჯამაგირი მოხელეებს ნატურით ეძლეოდათ. ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოხელეებს ხშირად უზრუნველჰყოფდნენ დიდი მამულებით, რომლებსაც მეფე უბოძებდა მათ თავისი მიწებიდან, უფრო სწორად — სახელმწიფოს საადგილ-მამულო ფონდიდან. ზოგჯერ მეფე, დიდ მოხელეებს მიწას რომ უბოძებდა, ამასთან ერთად მათ უფლებას ანიჭებდა გლეხებისათვის გადაეხდევინებინათ გადასახადები თავიანთ სასარგებლოდ.

ქურუმებსაც დიდმნიშვნელოვანი მდგომარეობა ეჭირათ სახელმწიფოში, ამასთან არ იყო მკვეთრი განსხვავება მოხელეებსა და ქურუმებს შორის; ხშირად ქურუმები ინიშნებოდნენ სახელმწიფო თანამდებობაზე და მოხელეებს ეძლეოდათ ქურუმების ხარისხი. მაგალითად, ერთი ქურუმი იმავე დროს მეფის კარის კაპელმეისტერიც იყო, ხოლო სხვა შემთხვევაში უზენაესი ქურუმი ითვლებოდა აგრეთვე ფლოტის ადმირალად და ექიმების უფროსად. ქურუმთა ძლიერება განსაკუთრებით გაიზარდა ახალი სამეფოს ეპოქაში, რო-

ცა წარმატებითი ომების შედეგად მეფის ხაზინის გამდიდრებასთან ერთად უზომოდ მდიდრდება ტაძრების ხაზინაც. რამზეს III-ის დროიდან ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა, რომელიც გვაცნობს, თუ რაოდენი სიმდიდრე გააჩნდათ ეგვიპტის ტაძრებს. ჩვენ ვტყობილობთ, რომ ტაძრებს ჰქონდათ ეგვიპტის მთელი დასამუშავებლად ვარგისი მიწის 15%-მდე, ჰყავდათ 500.000-მდე სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, მოეპოვებოდათ ტილოს და სხვა ნაწარმის დასამზადებელი 53 სახელოსნო, ეკუთვნოდათ 88 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი, ჰყავდათ ათეულათასობით მონა; გარდა ამისა, დიდძალი გლეხი ხარკს იხდიდა მათ სასარგებლოდ. მემფისის ქურუმები ფლობდნენ მოკატამის მთებს ქვის სამტეხლოებიანად, საიდანაც მასალები მოჰქონდათ პირამიდების, აკლდამებისა და ქანდაკებებისათვის.

5. სამხედრო მმართველობა. არმია. მუდმივი არმია ეგვიპტეში ძველი და საშუალო სამეფოთა პერიოდში განისაზღვრებოდა ფარაონის პირადი მცველი რაზმით, რომელიც თან ახლდა მას თავის ქვეყანაში მოგზაურობისას, და რაზმებით, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ქვეყნის შიგნით აჯანყებათა ჩასახშობად (უმთავრესად ლიბიელი და ნუბიელი მსროლელნი). ადგილებზე ტაძრებისა და სახელმწიფო ხარკთამკრეფთა განკარგულებაში იყო თავისი მუდმივი შეიარაღებული ძალა. გარდა ამისა, ეგვიპტეში არსებობდა ნუბიელი ზანგებისაგან შედგენილი პოლიცია.

ომის შემთხვევაში ლაშქარს აგროვებდნენ. თვითეულ ნომს გამოჰყავდა რეკრუტების განსაზღვრული რაოდენობა; ამგვარივე მოვალეობა აწვათ ტაძრებს და მსხვილ მიწათმფლობელებს, რომელთა სასარგებლოდ დაწესებული იყო გლეხთა ბეგარა.

ჰიქსოსების განდევნის შემდეგ არმიაში ჩნდებიან „ეტლოსანთა“ რაზმები, ე. ი. ისეთ მეომართა რაზმები, რომლებიც იბრძოდნენ ცხენებშებმული ეტლებით. ამრიგად, არმია ასახავს საზოგადოებაში არსებულ ქონებრივ დიფერენციაციას.

ეგვიპტურ საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გამწვავება არმიის ქვეითს ნაწილებს გაბატონებული კლასისათვის არასაიმედო და საშიშ იარაღად ხდის. აი რატომ არის, რომ ეგვიპტეში ახალი სამეფოს დროს ფართო განვითარებას ჰპოვებს დაქირავებული ჯარების სისტემა. ამ სისტემამ შეაპირობა შემდეგში უცხოელი მხედართუფროსების ამაღლება და მათი გავლენის გაძლიერება ქვეყა-

რომელთა წარმომადგენლებისათვის — შესაძლებელი იყო ეცემნათ. „მე მინახავს ცემა-ტყეპა. მიაპყარ შენი გული წიგნებს. ჭეშმარიტად, წიგნებზე უმაღლესი არა არის რა. როგორც წყალში, ისე იცურე წიგნებში, — მათში იპოვნი დარიგებას: „თუ მწერალი სასახლესთან იმყოფება, იქ ის მათხოვარი არ იქნება, არამედ გაძღება“. მე არ შეგულება სხვა თანამდებობა, რომელიც ამგვარი თქმის საბაბს იძლეოდესო“.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე III დინასტიის მეფობის დამლევს და IV დინასტიის მეფობის დამდეგს მცხოვრები ერთი დიდი ეგვიპტელი მოხელის, ვიღაც მეტენის ბიოგრაფიამ. ამ ბიოგრაფიიდან სჩანს, რომ მეტენმა თავისი სამსახური დაიწყო მწერავად საკვების საწყობებთან, შემდეგში იგი ადგენდა ნატურალურ შემოსავლის სიებს, კიდევ უფრო გვიან განაგებდა საწყობს, იყო გადასახადთა კონტროლიორი. ამრიგად, იგი კარიერას მეტად პატარა თანამდებობით იწყებს, მაგრამ, როგორც შემდეგ შევიტყობთ, სამსახურებრივი კიბის მწვერვალზე ადის: ახერხებს და აღწევს ქვემო ეგვიპტის სამეფო მეურნეობის მმართველის მდგომარეობას, მერე ზემო ეგვიპტის დასავლეთ საზღვრის ციხე-სიმაგრეთა უფროსის თანამდებობას, კიდევ უფრო გვიან — მეფის სასახლის უფროსის თანამდებობას. ის თავისი სამსახურისათვის დაუჯილდოვებიათ მამულით, ატარებდა „სამხრეთის დიდებულის“ ხარისხს და მიღებული კაცი ყოფილა სასახლეში.

ჯამაგირი მოხელეებს ნატურით ეძლეოდათ. ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოხელეებს ხშირად უზრუნველჰყოფდნენ დიდი მამულებით, რომლებსაც მეფე უბოძებდა მათ თავისი მიწებიდან, უფრო სწორად — სახელმწიფოს საადგილ-მამულო ფონდიდან. ზოგჯერ მეფე, დიდ მოხელეებს მიწას რომ უბოძებდა, ამასთან ერთად მათ უფლებას ანიჭებდა გლეხებისათვის გადაეხდევინებინათ გადასახადები თავიანთ სასარგებლოდ.

ქურუმებსაც დიდმნიშვნელოვანი მდგომარეობა ეჭირათ სახელმწიფოში, ამასთან არ იყო მკვეთრი განსხვავება მოხელეებსა და ქურუმებს შორის; ხშირად ქურუმები ინიშნებოდნენ სახელმწიფო თანამდებობაზე და მოხელეებს ეძლეოდათ ქურუმების ხარისხი. მაგალითად, ერთი ქურუმი იმავე დროს მეფის კარის კაპელმეისტერიც იყო, ხოლო სხვა შემთხვევაში უზენაესი ქურუმი ითვლებოდა აგრეთვე ფლოტის ადმირალად და ექიმების უფროსად. ქურუმთა ძლიერება განსაკუთრებით გაიზარდა ახალი სამეფოს ეპოქაში, რო-

ცა წარმატებითი ომების შედეგად მეფის ხაზინის გამდიდრებასთან ერთად უზომოდ მდიდრდება ტაძრების ხაზინაც. რამზეს III-ის დროიდან ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა, რომელიც გვაცნობს, თუ რაოდენი სიმდიდრე გააჩნდათ ეგვიპტის ტაძრებს. ჩვენ ვტყობილობთ, რომ ტაძრებს ჰქონდათ ეგვიპტის მთელი დასამუშავებლად ვარგისი მიწის 15%-მდე, ჰყავდათ 500.000-მდე სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, მოეპოვებოდათ ტილოს და სხვა ნაწარმის დასამზადებელი 53 სახელოსნო, ეკუთვნოდათ 88 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი, ჰყავდათ ათეულათასობით მონა; გარდა ამისა, დიდძალი გლეხი ხარკს იხდიდა მათ სასარგებლოდ. მემფისის ქურუმები ფლობდნენ მოკატამის მთებს ქვის სამტეხლოებიანად, საიდანაც მასალები მოჰქონდათ პირამიდების, აკლდამებისა და ქანდაკებებისათვის.

5. სამხედრო მმართველობა. არმია. მუდმივი არმია ეგვიპტეში ძველი და საშუალო სამეფოთა პერიოდში განისაზღვრებოდა ფარაონის პირადი მცველი რაზმით, რომელიც თან ახლდა მას თავის ქვეყანაში მოგზაურობისას, და რაზმებით, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ქვეყნის შიგნით აჯანყებათა ჩასახშობად (უმთავრესად ლიბიელი და ნუბიელი მსროლელნი). ადგილებზე ტაძრებისა და სახელმწიფო ხარკთამკრეფთა განკარგულებაში იყო თავისი მუდმივი შეიარაღებული ძალა. გარდა ამისა, ეგვიპტეში არსებობდა ნუბიელი ზანგებისაგან შედგენილი პოლიცია.

ომის შემთხვევაში ლაშქარს აგროვებდნენ. თვითეულ ნომს გამოჰყავდა რეკრუტების განსაზღვრული რაოდენობა; ამგვარივე მოვალეობა აწვათ ტაძრებს და მსხვილ მიწათმფლობელებს, რომელთა სასარგებლოდ დაწესებული იყო გლეხთა ბეგარა.

ჰიქსოსების განდევნის შემდეგ არმიაში ჩნდებიან „ეტლოსანთა“ რაზმები, ე. ი. ისეთ მეომართა რაზმები, რომლებიც იბრძოდნენ ცხენებშებმული ეტლებით. ამრიგად, არმია ასახავს საზოგადოებაში არსებულ ქონებრივ დიფერენციაციას.

ეგვიპტურ საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გამწვავება არმიის ქვეითს ნაწილებს გაბატონებული კლასისათვის არასაიმედო და საშიშ იარაღად ხდის. აი რატომ არის, რომ ეგვიპტეში ახალი სამეფოს დროს ფართო განვითარებას ჰპოვებს დაქირავებული ჯარების სისტემა. ამ სისტემამ შეაპირობა შემდეგში უცხოელი მხედართუფროსების ამაღლება და მათი გავლენის გაძლიერება ქვეყა-

ნაში; ამასთან ეს სისტემა იწვევდა იმას, რომ უცხოელები თავიანთი ჯარების დახმარებით ცალკეულ შემთხვევებში ტახტს ეპატრონებოდნენ.

6. ადგილობრივი მმართველობა. ადგილებზე სახელმწიფო მართვა-გამგებლობას ნომების მეთაურები ახორციელებდნენ. თავდაპირველად, როცა ნომები დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ესენი იყვნენ ადგილობრივი მეფეები, მერე, ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ, ნომების მმართველები არიან მეფის მიერ დანიშნული თანამდებობითი პირები, რომლებიც მეფეს თავისი შეხედულებისამებრ გადაჰყავს ერთი ნომიდან მეორეში. ესენი თითქოს იყვნენ გუბერნატორები, რომლებიც ნომის ფარგლებში ახორციელებდნენ სამოსამართლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას და აგროვებდნენ გადასახადებს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. მათ ეწოდებოდათ „ოლქის გამგე“, „მინდობილობათა უფროსი“, ან „მეფის შემდეგ პირველი“. ადგილებზე იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი მოსამართლენი, მწერავები, საწყობთა გამგეები, სხვადასხვა უფროსები.

ძველი სამეფოს დაშლის პერიოდში ნომების მმართველებმა მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა მოიპოვეს ცენტრის მიმართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ნომები მეფეებისაგან იღებდნენ შეღავათის სიგელებს, რომლებიც ადგილობრივს სანომო მეურნეობას მეფის სასარგებლოდ განკუთვნილი სამუშაოებისაგან ათავისუფლებდნენ. ამაღლდება ადგილობრივი დიდკაცობა, რომელიც ერთგვარ დამოუკიდებლობას მოიპოვებს მეფის კარის მიმართ. თუ წინათ ნომების მმართველები და წარჩინებული გვარების წარმომადგენლები, რომლებსაც ადგილებზე მამულები ჰქონდათ, ისწრაფვოდნენ წყალობა მიეღოთ მეფის კართან და ცდილობდნენ, რომ მათი აკლდამები ყოფილიყო ფარაონების დიდებული აკლდამების გვერდით, ახლა ნომების მეთაურები და ადგილობრივი დიდკაცობა ცხოვრებას ისე ატარებენ, რომ ფარაონების კარზე არ ჩნდებიან, ხოლო თავიანთ აკლდამებს აგებენ ცენტრის დაშორებით, საკუთარ ნომებში.

7. სასამართლოს ორგანიზაცია. სასამართლო ორგანოები ეგვიპტეში მმართველობის ორგანოებისაგან არ ყოფილან გამოყოფილნი. ისინი სასამართლო ხელისუფლებას ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ, ხოლო ხშირად სასამარ-

ოლო საქმიანობას მმართველობის ცალკეულ ამოცანებთან ათავსებ-
დნენ. უფრო დაწვრილებით სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ
იხ. § 23 — „სასამართლო და პროცესი“.

§ 17. ძველი ეგვიპტის სამართალი. სამართლის წყაროები

ეგვიპტეში სამართლის უძველეს წყაროს, უეჭველია, ადათი
წარმოადგენდა. ეგვიპტის პირველი კანონმდებელი, როგორც ძველი
ბერძენი მწერალი დიოდორე სიცილიელი იუწყება, იყო ლეგენდა-
რული მნევისი (მენესი — პირველი დინასტიის პირველი მეფე).
მეორე კანონმდებელი, დიოდორეს ცნობით, იყო მეფე საზიხისი[1].
ჰეროდოტე და დიოდორე გადმოგვცემენ, რომ ამ მეფემ გამოა-
ქვეყნა კანონი, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა სესხის აღება
ისე, თუ საწინდრად თავისი მამის მუმიას არ მისცემდნენ ან თუ
სესხის უზრუნველყოფის საშუალებად თავის საკუთარ მუმიას არ
გახდიდნენ; ამ მუმიის დაკრძალვა არ შეიძლებოდა მოვალის სიკვ-
დილის შემდეგ, სანამ ვალს არ გადაიხდიდნენ.

დიდი კანონმდებლობაა დაკავშირებული რამზეს II სახელთან
(XIII ს. ჩვენს ერამდე), ბერძენი მწერლები მას სესოსტრისს უწო-
დებენ. ეს კანონმდებლობა მიზნად ისახავდა ეგვიპტის არმიის გან-
მტკიცებას, საზოგადოების კასტური ორგანიზაციის დამკვიდრებას
და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაციას.

ბოლოს, VIII საუკუნეში ჩვენს ერამდე ჩნდება მეფე ბოქჭო-
რისის (ბოკენ-რანეფის) უზარმაზარი კოდექსი, რომელიც 8 წიგნი-
საგან (40 გრაგნილისაგან) შესდგებოდა. ამ კანონებით პირველად
აიკრძალა მოვალეების მონებად გადაქცევა და ნება დაერთო გლე-
ხებს გაესხვისებინათ და დაეგირავებინათ თავიანთი მიწის ნაკვე-
თები. ამასთან ერთად პირველად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ
სამართლის გამოყენება ქურუმთა მონოპოლიურ საქმეს აღარ წარ-
მოადგენდა და ხელშეკრულებანი საღრმთო ფორმულების ენით
აღარ იწერებოდა.

---

[1] ალბათ, ძველი სამეფოს ეპოქის ერთ-ერთი მეფე.

ვეზირისა და სხვა უმაღლესი თანამდებობით პირთა საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან სჩანს, რომ ადმინისტრაციული განკარგულებანი შეავსებდნენ კანონს და, მაშასადამე, ადათისა და კანონის მსგავსად სამართლის წყაროთა როლს ასრულებდნენ.

რადგან უმაღლესი სასამართლო ძალაუფლება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების — მეფისა და ვეზირის ხელში იყო, სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა ახალი ნორმების დაწესება სამართლის ამა თუ იმ დარგში.

§ 18. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა

1. თავისუფალი მოქალაქენი. ა) ქურუმები, მოხელეები და სამხედრო დიდკაცობა ეგვიპტის საზოგადოების ზედაფენას შეადგენდნენ. ქურუმები ჯგუფებად იყოფოდნენ ეგვიპტეში არსებული მრავალი კულტის შესაბამისად. თვითეული ჯგუფის სათავეში იდგა ქურუმი, ღმერთის უზენაესი ან პირველი წინასწარმეტყველი; იგი მეთაურობდა ქურუმთა მთელ პერსონალს, რომელიც ამა თუ იმ ღმერთს ემსახურებოდა. ცალკეულ თანრიგს შეადგენდნენ მეფის ქურუმები, რომლებიც მეფე — ღმერთის კულტს განაგებდნენ.

დიდ როლს ასრულებდნენ მწერავები, რომელთა რიგებიდანაც გამოდიოდნენ ეგვიპტის უმაღლესი მოხელენი. ჩვეულებრივ, მწერავებისაგან ადგენდნენ აგრეთვე ადგილობრივს მსახურეულ დიდკაცობას.

ხელობა ეგვიპტეში უკვე XII დინასტიის დროს, ე. ი. მე-2 ათასი წლის დასაწყისში, ფაქტიურად მემკვიდრეობითი იყო. მაგრამ მოქალაქეთა იძულებითი მემკვიდრეობითი მიმაგრება გარკვეულ საქმიანობაზე იმ დროს არ ყოფილა. კასტები, ე. ი. მოსახლეობის ჯგუფები, რომელთა წევრები მემკვიდრეობით ინარჩუნებენ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას და რომელთაც არ შეუძლიათ სხვა ჯგუფში გადავიდნენ, იმ დროს ეგვიპტეში არ არსებობდნენ. ისტორიკოსებს საერთოდ საეჭვოდ მიაჩნიათ მათი არსებობა ეგვიპტეში. მაგრამ, უეჭველია, რომ ჯერ კიდევ X დინასტიის დროს ქურუმობა მემკვიდრეობითი ხდება, ხოლო XVIII დინასტიის დროს, ე. ი. ჩვენს ერამდე XVI—XIV საუკუნეებში უკვე ყალიბდება მთლიანად აღებული მოსახლეობის დაყოფა საქმიანობის მიხედვით და ხდება პრივილეგიებისა და ადგილმამულების მემკვიდრეობითი

მიმაგრება ზოგიერთებზე და ღალის გადახდის და ფიზიკურ სამუშაოთა შესრულების ვალდებულებათა დაკისრება სხვა ჯგუფებზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი მხედრებს, რომლებსაც მიწის ნაკვეთები დაურიგეს და უფლება მიეცათ უშუალოდ მეფისათვის მიემართათ საჩივრით.

ბ) თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი და ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი. თავისუფალ გლეხებს წყაროებში აღნიშნავენ სიტყვით „merit". ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობენ დამოუკიდებელ თემებად. ამასთან თვითეულს აქვს თავისი მიწის ნაკვეთი, რომლის სარგებლობისათვის გადასახადი შეაქვს ხაზინაში (რენტა—გადასახადი). სხვები მიმაგრებული არიან მიწაზე, რომელიც მეფეს ტაძრისათვის ან დიდი მოხელისა და მხედრისათვის უბოძებია. ეს გლეხები, სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოსაღებთა გარდა, მოსავლის ნაწილს უხდიან თავიანთ ბატონებს — ტაძრებს თუ კერძო პირებს. მათ უფლება არა ჰქონდათ მიწა მიეტოვებინათ და სხვაგან წასულიყვნენ, მაგრამ ისინი მათ მიერ დასამუშავებელი მიწის ნაკვეთებიდან შეეძლოთ აეყარათ, თუ ღალას წესიერად არ შეიტანდნენ. უფრო გვიან აყრა ასეთ შემთხვევებში აკრძალულ იქნა და გაჯოხვით შეიცვალა (იხ. ქვემოთ).

ძველ ეგვიპტეში საკმაოდ ბლომად იყვნენ თავისუფალი ხელოსნები. ისინი მუშაობდნენ სახელმწიფო სამადნოებსა და სახელოსნოებში და გაერთიანებული იყვნენ 10-10 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად განსაკუთრებული მმართველის მეთვალყურეობით.

ეგვიპტეში შუდამ იმყოფებოდა უცხოელთა ერთგვარი რაოდენობა. მათ ნება ჰქონდათ ეწარმოებინათ ვაჭრობა და საფინანსო ოპერაციები, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვეს საშუალო და განსაკუთრებით ახალი სამეფოს პერიოდში.

2. მონები. მონათმფლობელობა ეგვიპტეში კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. მონები მეფის, ე. ი. სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდნენ. მაგრამ მეფე, როცა ეგვიპტელ დიდკაცებსა და ქურუმებს სამფლობელოდ მიწას აძლევდა, ამასთან ერთად მათ გადასცემდა სახელმწიფო მონების განსაზღვრულ რაოდენობას. მაინც მონები ამ შემთხვევაში კერძო პირის საკუთრებად არ გადაიცემოდნენ. მიწასთან გადასაცემი ქონების აღწერილობაში მონები არასოდეს არ იხსენიებოდნენ.

მონობის წყარო სამხედრო ტყვეობა იყო. სამხედრო ლაშქრობანი მონათა რიცხვის შევსების მუდმივს წყაროს წარმოადგენდნენ. ახალი სამეფოს ეპოქაში ეგვიპტელ მხედრებს თან ბორკილებიც კი მიჰქონდათ ომში, რათა სამხედრო ტყვეები შეეკრათ.

მონებს ეგვიპტეში თავიანთი ოჯახი ჰქონდათ და თავიანთი ქონება. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათ სახელმწიფო საპატიმროში ამწყვდევდნენ და სახელმწიფოს ორგანოები სჯიდნენ. სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში მათ უფლება ენიჭებოდათ თავშესაფარი ეძიათ ტაძრებში და თავის ბატონზე შეეტანათ საჩივარი, რის შედეგადაც მონა შეიძლებოდა ტაძრის მსახურად, ღმერთებისათვის შეწირულ არსებად გადაქცეულიყო.

გააზატებული მონა ყველაფერში უთანაბრდებოდა თავისუფალ მოქალაქეებს. გააზატებულთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომლებიც თავიანთ უფლებებში თავისუფალ მოქალაქეებთან შედარებით შეზღუდული ყოფილიყვნენ, ეგვიპტეში არ არსებობდა.

§ 19. საკუთრების უფლება

ფორმალურად მთელი მიწა ძველ ეგვიპტეში მეფის საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ სინამდვილეში იყო მიწის მფლობელობის რამდენიმე კატეგორია, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმით ხასიათდებოდა.

უწინარეს ყოვლისა, ფარაონი მიწებს დროებითს სარგებლობაში, ფრანგ ეგვიპტოლოგ რევილიუს თქმით, — კვაზი-საკუთრებად, გადასცემდა: ა) ტაძრებს, ბ) მსახურეული დიდკაცობის წარმომადგენლებს, ქურუმებსა და მხედრებს.

ტაძრებისათვის გადაცემული მიწა ტაძრებისა და ტაძრის თანამდებობითი პირების საზიარო სარგებლობაში შედიოდა. XIX დინასტიის დროს იწყეს ამ მიწების გაყოფა ქურუმებს შორის, მათი წილისყრით განაწილება და პერიოდული გადაყოფა. ამ მიწებზე ცხოვრობდნენ გლეხები, რომლებიც ვალდებული იყვნენ დაემუშავებინათ მიწა და მიღებული მოსავლის განსაზღვრული ნაწილი მიეცათ სახელმწიფოსა და ტაძრისათვის. მიწებს მეფის მოხელენი განაგებდნენ, და მეფის ხარკთამკრეფი ტაძრის ხარკთამკრეფთან ერთად უშუალოდ მწარმოებელს ახდევინებდა რენტა—გადასახადს. როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, ხარკთამკრეფნი ბოროტად იყენებდნენ თავიანთ მდგომარეობას და, გადასახადების შეგროვებას-

თან ერთად, გლეხებს ხშირად თავიანთ სასარგებლოდაც ართმევდნენ ხარკს. გლეხებს, რომლებსაც არ შეეძლოთ გადაეხადათ ის, რასაც მათგან მოითხოვდნენ, მიწიდან აყრიდნენ. მხოლოდ ხორემხებმა (XIV საუკ. ჩვენს ერამდე) აკრძალა გლეხების აყრა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოსაღებს არ იხდიდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გლეხი გადასახადს არ შეიტანდა, მას ფიზიკური სასჯელი (გაჯოხვა) ემუქრებოდა. XIX-XX დინასტიიდან ქურუმები უკვე თვითონ განაგებდნენ მიწას, სახელმწიფოს ორგანოების მხრივ სრულიად ჩაურევლად.

ტაძრების გარდა, ცალკეული მხედრებიც და ქურუმებიც ღებულობდნენ მეფისაგან მიწას თავიანთი სამსახურის გასამრჯელოდ. რომელიმე დიდ მოხელეს რომ დანიშნავდა, ფარაონი მას ჯამაგირის ნაცვლად მიწას, ინვენტარს და მონებს აძლევდა. მაგრამ ამასთან სახელმწიფო მოხელეები განაგრძობდნენ ამ მიწის მართვას და მისგან შემოსავლის ნაწილის გადახდევინებას.

მთელი დანარჩენი სახელმწიფო მიწა, რომლებიც ტაძრებისათვის ან მხედრებისა და მოხელეებისათვის არ იყო გადაცემული, გლეხთა თემების მფლობელობაში იყო და მას უშუალოდ განაგებდა მამასახლისი — ქსერპი.

არასახნავი მიწა — ბაღები და განაშენიანებული ნაკვეთები (სახლები) — სხვა მდგომარეობაში იყო, ვიდრე სახნავი. ასეთ მიწებს მეფე გადასცემდა ისე, რომ მათ მიმღებთ არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდათ — სამსახური გაეწიათ. მეფეს შეეძლო ებოძებინა ეს მიწები იმისათვის, ვისთვისაც იგი მათ გადაცემას საჭიროდ მიიჩნევდა. როგორც ეტყობა, ასეთი ნაკვეთები წმინდა კერძო საკუთრებად გადაქცეულა, და სრულიად შეუზღუდავად შეიძლებოდა მათი ყიდვა-გაყიდვა.

XVIII დინასტიიდან მეფე უკვე სახნავ მიწებსაც ურიგებდა თავის ვეტერანებს როგორც უბრალო ნაბოძვარს და არა როგორც სამსახურის ეკვივალენტს.

ტაძრებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მფლობელობაში მყოფი მიწა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლებოდა ყიდვა-გაყიდვის, ბოძების, გაქირავების საგანი გამხდარიყო. საკუთრება მთელ რიგ შემთხვევებში მხოლოდ ნომინალურად იყო სახელმწიფოებრივი, ფაქტიურად კი, უეჭველია, კერძო ხდებოდა. დოკუმენტებში, რომლე-

ბიც ჯერ კიდევ IV დინასტიას და III დინასტიასაც კი განეკუთვნება, ვხვდებით მიწების, მათ შორის ყანების, სახლების ყიდვა-გაყიდვის, ბოძების, მემკვიდრეობის აქტებს.

მიწის საკუთრებად გადასვლა ხდებოდა მნიშვნელოვან ფორმალობათა დაცვით, რაზედაც იხ. ქვემოთ (სავალდებულებო სამართალი).

მოძრავი ნივთები კერძო საკუთრების საგანს შეადგენდნენ. ის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, რომელსაც მეფე მიწასთან ერთად უბოძებდა, მიწის მიმღები პირის კერძო საკუთრებად გადადიოდა და შეიძლებოდა გასხვისებულიყო.

რადგან ეგვიპტეში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სულის მოსახსენებელ კულტს, რაც დიდძალ ხარჯს მოითხოვდა, შეძლებული პირნი ამ კულტის მიზნებისათვის გამოჰყოფდნენ განსაკუთრებულ განუსხვისებელ ქონებას, რომლის შემოსავალს მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა. ეს ქონება თითქოს ოჯახურ საკუთრებას შეადგენდა, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და ოჯახის უფროსი წევრის გამგებლობაში იყო.

§ 20. სავალდებულებო სამართალი

ა. ხელშეკრულებათა ფორმა

ხელშეკრულებებს ეგვიპტეში დიდხანს ეძლეოდა საზეიმო ფიცის ფორმა, რომელსაც ქურუმთა და თანამდებობის პირთა წინაშე წარმოსთქვამდნენ. ამ რელიგიური სამოსისაგან ხელშეკრულებები მთლიანად მხოლოდ მეფე ბოკჰორისის დროს თავისუფლდება. მაგრამ წერილობით ხელშეკრულებათა ტექსტი შემდეგშიც ისევ ასახავს მათს წარმოშობას საზეიმო სიტყვიერი დაპირებიდან.

მეფე ბოკჰორისს, როგორც დიოდორე სიცილიელი იუწყება, დაუდგენია, რომ თუ ვინმემ სესხი უხელშეკრულებოდ მიიღო და უარი სთქვა თავის ვალზე, მას შეუძლია დაიფიცოს და ვალისაგან თავისუფალი გახდეს.

ბ. ცალკეული ხელშეკრულებანი

1. **ყიდვა-გაყიდვა.** უკვე ძველი სამეფოს ეპოქის სტელებზე ვხვდებით საქონლის გასაცვლელი ბაზრების გამოსახულებას, ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში მყიდველები ისე არიან გამოსახულნი,

რომ მათ ხელში მონეტები უჭირავთ. მაგრამ ვაჭრობას ძველი სამეფოს ეპოქაში უმთავრესად სახელმწიფო აწარმოებდა უცხოელებთან.

სავაჭრო ურთიერთობამ დიდი განვითარება ჰპოვა ახალი სამეფოს ეპოქაში, განსაკუთრებით XVIII დინასტიის პერიოდში (XVI-XIV სს. ჩვენს ერამდე).

რაც შეეხება მიწას, მისი განსხვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ უმაღლეს წოდებათა წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც შეეძლოთ თავისი სურვილსამებრ მოქცეოდნენ მიწას, რაც მათთვის მეფეს ებოძებინა ან ტაძრებს მიეჩინათ. გლეხებმა თავიანთი მიწის ნაკვეთის გაყიდვის უფლება მხოლოდ მეფე ბოკჰორის დროს მიიღეს (VIII საუკ.), როცა ეგვიპტეში კანონთა ახალი კოდექსი გამოიცა. მაგრამ ეს უფლება მხოლოდ იმ გლეხებს მიენიჭათ, რომლებიც ფლობდნენ მეფის მიერ ტაძრებისათვის ან მხედრებისა და მოხელეებისათვის ნაბოძები მიწის ნაკვეთებს. ის გლეხები კი, რომლებიც ფლობდნენ იმ მიწის ნაკვეთებს, რაც ტაძრებისათვის ან მეფის ცალკეული მსახურებისათვის არ ყოფილა დატაცებული, წინანდებურად მოკლებული იყვნენ ამ უფლებას.

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას სდებდნენ მნიშვნელოვან ფორმალობათა დაცვით. თანმიმდევრობით სამი აქტი სრულდებოდა: პირველი აქტი — ფულის შესახები აქტი, ე. ი. შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის იმაზე მითითებით, რომ საფასური მთლიანად გადახდილია (თანხა ჩვეულებრივ არ აღინიშნებოდა). გამყიდველი ვალდებულებას კისრულობდა გადაეცა საკუთრების უფლება, შეესრულებინა ამ მიზნისათვის საჭირო შემდგომი აქტები და დაეცვა მყიდველი მესამე პირთა მხრივ ნივთზე შესაძლო მოთხოვნების შედეგებისაგან. მეორე აქტი რელიგიურ ხასიათს ატარებდა და იყო ხელშეკრულების დადასტურება ფიცით, რომელსაც გამყიდველი სდებდა. ბოლოს, მესამე აქტით ხდებოდა მყიდველის შეყვანა მიწის მფლობელობაში. ეს სწარმოებდა სასამართლოს წინაშე, და შემდეგ მყიდველის სახელი აღინუსხებოდა საადგილმამულო წიგნებში გამყიდველის სახელის ნაცვლად. მეორე აქტი შემდეგში ხმარებიდან გავიდა, ასე რომ დარჩა პირველი და მესამე. საკუთრების უფლება მხოლოდ ნივთის გადაცემით, ე. ი. მიწის მფლობელობაში შეყვანით გადადიოდა.

გაყიდული ნივთის ფასის აღუნიშვნელობა ხელშეკრულებებში იმას არ მოწმობდა, თითქო კრედიტად გაყიდვის შემთხვევები არ ყოფილიყოს. კრედიტად გაყიდვისას, ალბათ, ცალკე ადგენდნენ სესხის ხელშეკრულებას ნაყიდობის თანხაზე.

2. სესხი. ეს იყო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გადაიცემოდა ნივთები (ფული, მარცვლეული და სხვ.) მსესხებლის საკუთრებად, ამასთან აღინიშნებოდა ვალდებულება — ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში დაებრუნებინათ იმავე ხარისხის იმდენივე ნივთი. ამ ხელშეკრულების ობიექტი ეგვიპტეში იყო როგორც ფული, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტები (მარცვლეული და სხვ.).

სესხის უზრუნველყოფას მეფე ბოკჰორისის კანონებამდე წარმოადგენდა მოვალის ან მისი რომელიმე ნათესავის პიროვნება. ვალის ვადაზე გადაუხდელობისას კრედიტორს შეეძლო მონად ექცია მოვალე ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი. უზრუნველყოფის სხვა სახე იყო მოვალის მამის ან სხვა ნათესავების მუმია ანდა თვითონ მოვალის მუმია.

მეფე ბოკჰორისის დროიდან საკალო კაბალა გაუქმებულ იქნა. ამასთან ერთად გლეხებს პირველად დაერთოთ ნება დაეგირავებინათ მიწა. ამავე დროს ბოკჰორისის კანონებმა კრედიტორს აუკრძალეს გირაოს სახით თვითნებურად დაპატრონებოდა მოვალის ქონებას, განსაკუთრებით მიწის დასამუშავებლად საჭირო იარაღებსა და პირუტყვს. გამონაკლისი დაშვებული იყო მხოლოდ ტაძრებისა და მეფისათვის, ე. ი. სახელმწიფოს ორგანოებისათვის მათ მიერ ვალის გადახდევინებისას.

ბოკჰორისმა შეზღუდა სესხის პროცენტების ოდენობა, დააწესა მაქსიმუმი 30% წლიურად ფულადი სესხისათვის და $33^1/_3$% წლიურად მარცვლეულის სესხისათვის და დაადგინა, რომ პროცენტების საერთო თანხა ვალის დაფარვამდე გასული დროის მანძილზე ვალის თანხას არ უნდა აღმატებოდა. აკრძალულ იქნა აგრეთვე პროცენტებზე პროცენტების დარიცხვა. გამონაკლისი დაშვებული იყო როგორც პროცენტების ოდენობის მხრივ, ისე პროცენტებზე პროცენტების დარიცხვის მხრივ იმ ვალისათვის, რომლითაც კრედიტორები იყვნენ ტაძრები ან სახელმწიფოს ორგანოები. ამ შემთხვევებში დაიშვებოდა პროცენტების საერთო თანხის აყვანა ვალის ოთხმაგი თანხის ოდენობამდე.

3. იჯარა. ეგვიპტეში ვხვდებით აგრეთვე ქონების ქირავნობის ხელშეკრულებებს, ე. ი. ქონების გადაცემას დამქირავებელზე დროებითი სარგებლობისათვის განსაზღვრული სასყიდლით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის განკუთვნილ მიწას მხოლოდ ერთი წლით იძლეოდნენ იჯარით. გაშენებული ნაკვეთებისათვის, ქალაქის სახლებისათვის და გასაშენებლად განკუთვნილი ნაკვეთებისათვის სხვადასხვა ვადები წესდებოდა. ყანის იჯარის საზღაური ჩვეულებრივ მოსავლის წილით განისაზღვრებოდა. მიწის დამუშავება საიჯარო ხელშეკრულებათა პირობებით მოიჯარის არა მარტო უფლებას შეადგენდა, არამედ მოვალეობასაც.

4. მინაბარი. მინაბარი, ე. ი. სხვისი ნივთების შენახვა, უფასო იყო. ეს იყო კეთილმეზობლური გარიგება, რომელსაც რელიგია მფარველობდა.

5. ამხანაგობა. ვხვდებით აგრეთვე ამხანაგობის ხელშეკრულებებს, ე. ი. ხელშეკრულებებს, რომელთა საშუალებით მათი მონაწილენი აერთიანებენ თავიანთ სახსრებს რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად. ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში მოიჯარის როლში გამოდის 15 კაცისაგან შემდგარი კომპანია.

§ 21. საქორწინო — საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი

ძველ ეგვიპტეში ოჯახს ახასიათებს მატრიარქატის მნიშვნელოვანი გადმონაშთების შენარჩუნება, რაც იმით აიხსნება, რომ აქ კლასობრივი საზოგადოება ადრე აღმოცენდა. ასე, ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული და-ძმათა დაქორწინება ერთმანეთთან. მეფის ოჯახებში ისეთი შემთხვევებიც კი იყო, რომ ფარაონები ქორწინდებოდნენ საკუთარ ქალიშვილებზე (რამზეს II) და თავიანთი მამების ქვრივებზე. შვილები ეგვიპტეში იწოდებოდნენ არა იმდენად მამობით, რამდენადაც „დედობით“ (ამის და ამის შვილი). ძველი სამეფოს დროის აკლდამებში მიცვალებულს ჩვეულებრივ გამოსახავდნენ არა თავის მამასთან, არამედ თავის დედასთან ერთად. ნათესავთა შორის დედის მამა და დედის ძმა ყველაზე მეტი პატივით სარგებლობდნენ.

ქალს ოჯახში მაღალი მდგომარეობა ეჭირა. წყაროებში იგი „სახლის მბრძანებლად“ იხსენიება. თავის მაღალ მდგომარეობას ქალი ძველი ეგვიპტის მთელი ისტორიის განმავლობაში ინარჩუ-

ნებდა. მაგრამ V დინასტიიდან ეგვიპტურ ოჯახში ხდება ცვლილებანი ქმრის უფლებათა განმტკიცებისა და გაფართოების მხრივ. ქალს, თუმცა მას წინანდებურად მაღალი მდგომარეობა უჭირავს, უკვე არა სცნობენ თავისი ქმრის თანასწორად. ჩნდება მამაკაცთა პოლიგამია, და ყოველ ეგვიპტელს, თუკი იგი ქურუმთა წოდებას არ ეკუთვნის, უფლება აქვს შინ მეორე ცოლიც მოიყვანოს. შეძლებული ეგვიპტელები ჰარამხანებს იჩენენ. მაგრამ ქალები, რომლებიც ეგვიპტელის ჰარამხანაში იმყოფებოდნენ, მის ცოლებად არ ითვლებოდნენ, ხოლო მათს ჩამომავლობას მისი ოჯახის წევრებად არ სცნობდნენ.

დაქორწინება ხელშეკრულების მეშვეობით ხდებოდა, ამასთან ქალი ხელშეკრულებაში დამოუკიდებელ მხარედ გამოდიოდა და პირობას თავისი სახელით სდებდა. არავითარი მითითება არ არსებობს, რომ ამასთან რაიმე რელიგიური ცერემონია სრულდებოდა.

საქორწინო ხელშეკრულებით ქალი არათუ ინარჩუნებდა თავის საკუთარ ქონებას, არამედ, გარდა ამისა, ქმარი ვალდებულებას კისრულობდა მიეცა მისთვის განსაზღვრული თანხა სახარჯოდ. ცოლის ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად ადგენდნენ მის დაწვრილებითს აღწერილობას და საწინდრად ქმრის მთელ ქონებას აცხადებდნენ. ზოგჯერ ქმარი ცოლს გადასცემდა ოჯახის ქონებას. მაგრამ ასეთი ხელშეკრულება ვეზირს უნდა დაემტკიცებინა.

სრულიად თავისუფალი იყო ძველ ეგვიპტეში გაყრა. გაყრის შემთხვევაში ცოლი ჩვეულებრივ იღებდა განსაზღვრულ თანხას, ხოლო ამ ქორწინებისაგან წარმომდგარი შვილები ინარჩუნებდნენ მამის ქონების დამკვიდრების უფლებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა გაყრა ქმრის მოთხოვნით ხდებოდა, მთელი მისი ქონება უფროს შვილზე გადადიოდა, რომელსაც იგი ყველა შვილს შორის უნდა გაეყო.

შვილები ეგვიპტეში ერთგვარი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ თავიანთი საკუთარი ქონება ჰქონდათ. არ არის აგრეთვე მითითება, რომ ქალიშვილები მათს მშობლებს გაეთხოვებინათ.

შვილების მოვალეობა იყო ერჩინათ თავიანთი მშობლები. ეს ვალდებულება ხელშეკრულებით დადასტურებას არ საჭიროებდა. მაგრამ ზოგჯერ მიმართავდნენ ხელშეკრულებას, რათა დაეზუსტებინათ ამ ვალდებულებათა მოცულობა. მშობლებიც ვალდებული

იყვნენ დახმარებოდნენ შვილებს მთელი თავიანთი საშუალებებით. ზოგჯერ ისინი სიცოცხლეშივე გადასცემდნენ შვილებს მთელ თავიანთ ქონებას.

ყველა შვილი თანაბრად იღებდა მემკვიდრეობას, ქალიშვილი ვაჟიშვილის თანაბრად. ერთგვარი უპირატესობა ეძლეოდა უფროს შვილს, მაგრამ მას აწვა ვალდებულება გაეყო ქონება ყველა მემკვიდრეთა შორის, და დამატებითი წილი სხვა არა იყო რა, თუ არა გაყოფის გასამრჯელო. თუ გარდაცვლილს შვილები არა ჰყავდა, ქონებას მისი და-ძმები ემკვიდრეობოდნენ. სულის მოსახსენებელი კულტისათვის გადადებული ქონება მშობელთა სიკვდილის შემდეგ გაუყოფელი რჩებოდა და მომავალშიც თავის მიზანს ემსახურებოდა.

ანდერძი ცნობილი იყო ეგვიპტური სამართლისათვის. სამკვიდროს დამტოვებელი დამამკვიდრებელი ცალკეულ განკარგულებებს იძლეოდა წილის ოდენობის შესახებ და ცოცხლად დარჩენილ მეუღლისათვის განკუთვნილი ქონების გამო. მას შეეძლო აგრეთვე ანდერძით დაეწესებინა განუსხვისებელი ქონება სულის მოსახსენებელი კულტისათვის და მემკვიდრეებისათვის დაეკისრებინა ვალდებულება — მიეტანათ მსხვერპლი ღმერთებისათვის მისი სიკვდილის შემდეგ.

რადგან ანდერძში მოცემული იყო ქონების აღწერილობა, მას ეწოდებოდა „imit per“, რაც ნიშნავს „ინვენტარს“. ანდერძი ხელს უწყობდა დამკვიდრებისას უფროსობის უფლების განმტკიცებას.

Vდინასტიამდე ქალს შეეძლო თავისი ქონება დამოუკიდებლად, ქმრის უმონაწილეობოდ ეანდერძებინა. შვილები კანონით არა მარტო მამის მემკვიდრენი ხდებოდნენ, არამედ დედისაც და აგრეთვე დედის ნათესავების მემკვიდრენიც.

§ 22. ძველი ეგვიპტის სისხლის სამართალი

სისხლის აღება გაუქმებულია. ფულადი გამოსყიდვა, თუ იგი არსებობდა, დიდი ხანია გაჰქრა. სასჯელი მეტად მკაცრია, სიკვდილით დასჯას ძალიან ფართოდ მიმართავენ. კანონი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სადარაჯოზე დგას. სიკვდილით სჯიდნენ დაწვის გზით ან მახვილით. წარჩინებულ პირთ, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, საშუალება ეძლეოდათ თვითონ მოეკლათ თავი, თვითმკვლელობა ჩაედინათ.

სახელმწიფოს წინააღმდეგ ღალატის, აჯანყებისა და შეთქმულების შემთხვევებში სიკვდილით ისჯებოდა არა მარტო დამნაშავე, არამედ დედამისიც, დებიც და მთელი ოჯახი იზიარებდნენ მის ბედს (პლუტარქი). ამასთან მეამბოხეს არ მარხავდნენ, მის სხეულს წყალში გადააგდებდნენ.

ბოკჰორისის კანონებით დაშვებულ იქნა სიკვდილით დასჯის შეცვლა მონად გადაქცევით.

სიკვდილით დასჯის გარდა სხვა სასჯელსაც მიმართავდნენ. იხმარებოდა დამასახიჩრებელი, ასოთდამზიანებელი სასჯელი: ხელების, ყურების, ცხვირის, ენის მოჭრა, კასტრაცია და სხვ. მიმართავდნენ აგრეთვე გაჯოხვას (100-ჯერ დაარტყამდნენ, ისე რომ ხუთი ღრმა ჭრილობა გაჩენილიყო).

არსებობდა დასჯა მძიმე იძულებითი სამუშაოთი, რასაც ზოგჯერ თან სდევდა გადასახლება. სჯიდნენ დაპატიმრებითაც. ზოგიერთ შემთხვევაში ფულად ჯარიმასაც მიმართავდნენ. იყო პატივისამსდელი სასჯელიც — სამარცხვინო ბოძთან დაყენება.

დამნაშავეს შეეძლო პატივება ეთხოვა მეფისათვის, მას შეეძლო აგრეთვე ეძებნა თავშესაფარი ტაძრებში.

სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გარდა, სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო რელიგიური კულტის წესების სხვადასხვა დარღვევისათვის, აგრეთვე ჯადოქრობისათვის. შელოცვა და სიყვარულის წამლის დამზადება ადამიანის მოჯადოების მიზნით ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. მძიმე დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე ღმერთისადმი შეწირული ცხოველის განზრახ მოკვლა, ყაჯირის, კატის, ბუს და მისთანათა მოკვლა, სიბინძურის გადაყრა ნილოსში, აკრძალული საგნების საჭმლად ხმარება, საფლავების გადათხრა, აბიდოსის ნაკრძალ ზონაში დამარხვა, აპისი-ხარის დაკრძალვის ადგილის გამოაშკარავება, თხის, ხბოს და სხვა ცხოველთა მსხვერპლად შეწირვა მანამდე, სანამ ქურუმები მათ შესაწირავად დანიშნავდნენ. მძიმე დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე სამკურნალო ხელოვნების დადგენილი წესების გადახვევა, როგორც ეს წესები გადმოცემულია ტოტ-ღმერთის საღმრთო წიგნებში, ახალი ცეკვის გამოგონება ან ახალი სიმღერის შეთხზვა.

სიკვდილით დასჯას იწვევდა აგრეთვე ფიცის გატეხა, მკვლელობა, ცრუ დასმენა. მამისმკვლელობისას დამნაშავეს სხეულიდან ხორცის ნაჭრებს ამოაგლეჯდნენ, შემდეგ მას ეკლებზე დასდებდნენ და მერე დასწვავდნენ.

მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სახელმწიფო საიდუმლოებათა გამხელა. ისჯებოდა ყალბისმქნელობა, რისთვისაც ხელს მოჭკვეთდნენ. იგივე სასჯელი იყო დაწესებული ქურდობისათვის. ასოთდამაზიანებელი სასჯელი იყო დაწესებული აგრეთვე ყალბი ბეჭდის, ყალბი ფულის გაკეთებისათვის (დამნაშავეს ორივე ხელს მოჭკვეთდნენ), ყალბი საზომისა და სასწორის ხმარებისათვის.

მრუშობის შემთხვევაში ქალს ცხვირს მოსჭრიდნენ. მის თანამოზიარეს დაასაჭურისებდნენ. იგივე ხვედრი მოელოდა გამაუპატივრებელს.

ისჯებოდა ეგვიპტეში უკანონო გზით არსებობის საშუალებათა მოპოვება და ცრუ განცხადებანი არსებობის საშუალებათა შესახებ.

§ 23. სასამართლო და პროცესი

სასამართლო გამოყოფილი არ იყო ადმინისტრაციისაგან. უმაღლესი თანამდებობითი პირნი უზენაესი მოსამართლენიც იყვნენ. ვეზირი თამჯდომარეობდა ათთა საბჭოს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ასრულებდა როგორც სამოსამართლო, ისე ადმინისტრაციულ ფუნქციებს; იგივე იყო თავმჯდომარე უფრო გვიან (V დინასტიიდან) შექმნილი უზენაესი „ექვსთა პალატისა", რომელსაც ქვეყნის ყველა სასამართლო დაწესებულების მომცველი უმაღლესი სასამართლო ძალაუფლება ჰქონდა.

დიოდორე მოგვითხრობს, რომ ახალი სამეფოს პერიოდში არსებობდა 30 მოსამართლისაგან შემდგარი უმაღლესი სასამართლო კოლეგია, რომელიც სხვადასხვა ქალაქის წარჩინებული მოქალაქეებისაგან შესდგებოდა.

ადგილობრივი სასამართლო დაწესებულებანი — ნომების სასამართლოები — საქმეებს არჩევდნენ ნომის მმართველის თავმჯდომარეობით.

ქვეყნის მთელი სასამართლო ორგანიზაცია საბოლოო ანგარიშით ექვემდებარებოდა მეფეს—სასამართლო ხელისუფლების უზენაეს მატარებელს. მეფეს შეეძლო პირადად გადაეწყვიტა ყოველგვარი საქმე, შეეძლო გაეუქმებინა ყოველგვარი გადაწყვეტილება

ან გადასაწყვეტად გადაეცა საქმე იმისათვის, ვისთვის გადაცემასაც იგი საჭიროდ დაინახავდა. მეფისათვის საჩივრით ან პატიების თხოვნით შეეძლო ყოველ თავისუფალ მოქალაქეს მიემართა. ფაქტიურად ეს ყველასათვის როდი იყო მისაწვდომი.

სისხლის სამართლის საქმეები აღიძრებოდა დაზარალებულის საჩივრით; მას უფლება ენიჭებოდა დაეცვა ბრალდება. დაზარალებულს თავის საჩივარში უნდა აღენიშნა როგორც სასჯელი, რომელიც მისი აზრით ეკუთვნოდა დამნაშავეს, ისე იმ საზღაურის ოდენობა, რომელსაც მას ახდევინებს. მაშასადამე, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ.

საქმეები წერილობით სწარმოებდა. მხარეებს შეეძლოთ განცხადებებში გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი საქმის გამო. მაგრამ გადაწყვეტილება უმოტივებოდ გამოცხადდებოდა. მოსამართლე ჰეშმარიტების გამოსახულებას, რასაც იგი კისერზე ატარებდა, მდუმარედ მიადებდა იმ მხარის შუბლზე, რომლის სასარგებლოდაც საქმე გადაწყდა.

სასამართლო დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენდნენ: მოწმეთა ჩვენებანი, მოწმეთა და მომჩივანის ფიცი, დათვალიერება (მაგალითად, საფლავთა წაბილწვის საქმეებში), წამება (ტკივილის მიყენება ხელ-ფეხისათვის). ამიანე მარცელინი იუწყება, ეგვიპტელები წამების ატანაში მეტად უდრეკნი იყვნენო.

თავი III

ძველი ბაბილონის სახელმწიფო

§ 24. ძველი აღმოსავლეთის შესახებ ისტორიული ცნობების წყაროები

გარდა ბერძენი მწერლებისა და ებრაული რელიგიური წიგნებისა (ამ წყაროთა მნიშვნელობაზე იხ. ზემოთ, § 13), ბაბილონის შესახებ ჩვენი ცნობების წყაროს წარმოადგენენ დოკუმენტები და მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ეხება შუამდინარეთის ქვეყნებს და მოპოვებულია მრავალრიცხოვანი გათხრების შედეგად.

ბევრი გათხრა მოხდენილ იქნა უშუალოდ შუამდინარეთის უძველესი ქალაქების — ურის, ურუკის, ლაგაშის და სხვათა მდება-

რეობის ადგილებში. ერთი უკანასკნელთაგანია ქალაქ მარის გათხრები, რაც 1933 წელს დაიწყო და რამაც 20 ათასზე მეტი ლურსმულ ნაწერებიანი ტაბულა მოგვცა.

ბაბილონის სამართლის შესასწავლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ექსპედიციის მიერ ქ. სუზში (ირანი) 1902 წლის იანვარში ნაპოვნს; ამ ადგილას აღმოჩენილ იქნა შავი ფიქალის სვეტი ბაბილონის მეფე ჰამურაბის კოდექსის მუხლებითურთ. ძვირფას მასალას შეიცავს აგრეთვე ასირიის მეფე ასურბანიპალის ბიბლიოთეკის ტაბლეტები, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებშია ნაპოვნი; ძველ-სუმერულ კანონთა ფრაგმენტები, რაც XX საუკუნეში იპოვნეს ურის გათხრების დროს და სხვ.

§ 25. ბაბილონის სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება (მეფე ჰამურაბამდე)

1. პირველი სახელმწიფოები სამხრეთ შუამდინარეთში. წინა აზიაში,მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში, ისევე როგორც ეგვიპტეში, შეიქმნა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ადრეული წარმოშობის წინაპირობები.

ნაყოფიერმა ნიადაგმა და წყლის სიუხვემ შეაპირობეს მოსახლეობის ადრეული გადასვლა მიწათმოქმედებაზე. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეუწყეს იმას, რომ მიწათ მოქმედებასთან ერთად განვითარებულიყო აგრეთვე მესაქონლეობა და მებაღეობა, რამაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ამ ქვეყნის მეურნეობაში.

ხელოსნობის განვითარებას დაბრკოლებას უქმნიდა ქვის, ლითონისა და ხე-ტყის უქონლობა ქვეყანაში. ამ მასალების ნაცვლად მშენებლობაში და სხვა მიზნებისათვის თიხასა და ლერწამს ხმარობდნენ. კერძოდ, თიხისაგან აკეთებდნენ ტაბლეტებს, რომლებზედაც სწერდნენ, ლერწამს იყენებდნენ ხომალდების აგებისას. მაგრამ ძალიან ადრე დაიწყეს მესოპოტამიაში ლითონის შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან, და ლითონის საგნები, განსაკუთრებით სპილენძისა, შუამდინარეთის მცხოვრებთათვის — სუმერიელებისათვის —ჩვენს ერამდე ჯერ კიდევ III ათასეული წლის შუახანებში გახდა ცნობილი.

დიდ სივრცეებზე მიწის წარმატებით დასამუშავებლად აქ საჭირო იყო რთული საირიგაციო სისტემის აგება. აქედან ადრე წარმოიშვა მრავალრიცხოვანი მონების საჭიროება, რომლებსაც აიძულებდნენ არხები გაეთხარათ და რაბები აეგოთ. ტიგროსისა და ევფრატის ქვემოწელში მცხოვრებ სუმერიელთა გვაროვნულმა თემებმა, რომლებიც ქონებრივ განსხვავებათა ზრდასთან ერთად გაძლიერებულ წინააღმდეგობათა გავლენით ირღვეოდნენ, იწყეს გაერთიანება დიდ ტერიტორიულ თემებად. ასეთი თემები სახელმწიფოებად იქცეოდნენ. ამ პატარა სახელმწიფოების — პატესიატების — ცენტრს წარმოადგენს რომელიმე ქალაქი — ქვეყნის მმართველი დესპოტის რეზიდენცია, ადგილობრივი რელიგიური კულტის ცენტრი. უახლოესმა გათხრებმა გამოაშკარავეს მთელი რიგი ასეთი ცენტრები, რომლებიც ჩვენს ერამდე IV ათასეულ წელს განეკუთვნება. თვითეული ამ სახელმწიფო-ქალაქის სათავეში იდგა შეუზღუდავი მბრძანებელი, რომელსაც უწოდებდნენ ი ს ა კ უ[1] ან პ ა ტ ე ს ი[2]. ასეთებია ე რ ი დ უ, უ რ ი, უ რ უ კ ი, ლ ა გ ა შ ი, შ უ რ უ პ ა კ ი, კ ი შ ი, ა ს უ რ ი და ბევრი სხვა.

უძველესი მათგანი, როგორც ეტყობა, იყო ქ. ერიდუ, რომელიც მდებარეობდა ყველა სხვა ქალაქის სამხრეთით, ორმდინარეთის განაპირა სამხრეთ ნაწილში (იმ დროს სპარსეთის ყურის ნაპირზე). ბაბილონური თქმულებებით, ეს იყო ადგილი, სადაც დასაბამი მიეცა მსოფლიოს შექმნას.

ეს ქალაქები მუდამ ომებს ეწეოდნენ ერთმანეთთან, ამასთან ხან ერთი, ხან მეორე მათგანი მოიპოვებდა ბატონობას სხვა ქალაქებზე და თავისი ძალა-უფლების ქვეშ გააერთიანებდა მთელი ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს.

ჰეგემონია ყველაზე ადრე აღმოჩნდა აკადელთა (სემიტელთა) ქალაქ კ ი შ ი ს ხელში. ეს, როგორც ეტყობა, იყო სემიტელთა უძველესი ქალაქი; მან თავისი ბატონობა განავრცო სუმერელთა (არასემიტური წარმოშობის ხალხთა) ქალაქებზე, რომლებიც სამხრეთით მდებარეობდნენ. სუმერელებს აკადელები სამხრეთ ორმდინარეთის მცხოვრებლებს უწოდებდნენ. სუმერელთა ენაზე მათს ქვეყანას კენჯი ეწოდებოდა.

---

[1] ი ს ა კ უ—აკადურად ნიშნავს „მოადგილეს“. ისაკუ — ღმერთის მოადგილე.

[2] პ ა ტ ე ს ი—სუმერულად ნიშნავს „მსახურს“. პატესი—ღმერთის მსახური.

კიშის შემდეგ ჰეგემოხია გადავიდა სუმერელთა ქალაქ ურუ-კის, მერე ურის ხელში. ვულეის გათხრებმა, რაც 1926-დან 1930 წლამდე სწარმოებდა, გამოააშკარავეს ურის მატერიალური კულ-ტურის მაღალი დონე მისი არსებობის ამ უძველეს პერიოდში.

2. ქ. ლაგაშის ამაღლება. ურუკაგინის რეფორმები. მთელი რი-გი ქალაქების ბატონობის შეცვლიდან დიდი ხნის გავლის შემდეგ ხდება ქ. ლაგაშის ამაღლება (III ათასეული წლის დასაწყისი); იგი იმორჩილებს ურს, ურუკს, ერიდუს, უფრო გვიან — ნიპურს. მას მოუხდა შეუპოვარი ბრძოლის ატანა თავის მუდმივს მეტოქესთან — ქ. უმასთან; ამ ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოვიდა.

დაახლოებით 2800 წელს ლაგაშში მოხდა ამბები, რომლებიც მოწმობენ მწვავე კლასობრივ ბრძოლას ქვეყნის შიგნით.

უეჭველია, რომ საზოგადოებაში ამ დროს უკვე დასახული იყო მკვეთრი ქონებრივი განსხვავება. გამდიდრების გზაზე შემდგარ ზედაფენასთან ერთად, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქ-ტების ფართო ვაჭრობას ეწეოდა, ჩვენ ვხედავთ მეთემურებს, რომ-ლებიც ჩანაგდებიან; ამ უკანასკნელებს მიწის სულ მცირე ნაკვე-თები აქვთ, არ ძალუძთ თავი ირჩინონ მათი დამუშავებით და ეძე-ბენ სამუშაოს სახელმწიფო და სატაძრო მეურნეობაში. უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ მონების შრომას, რომელიც გამოდევნის თავისუფალ მოქალაქეთა შრომას.

ამ პირობებში საზოგადოების ზედაფენა ეტანება სათემო მი-წებს, ისწრაფვის თავის კონტროლქვეშ დააყენოს თემი და დაბეგ-რის იგი გადასახადებით თავის სასარგებლოდ. სათემო მიწები და მონები, სათემო პირუტყვი სახელმწიფოს საკუთრებად ცხადდება და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტიურად მდიდრებისა და მმართველი ზედაფენის წარჩინებულ წარმომადგენელთა განკარ-გულებაში შედის.

ძველი ადათების წინააღმდეგ ყველგან ზედამხედველნი მიუ-ჩინეს. „ხომალდს მიუჩინეს ხომალდის ზედამხედველი. სახედრებს მიუჩინეს მწყემსების ზედამხედველი, ცხვრებს მიუჩინეს ფარეხის ზედამხედველი. ბადეებს მიუჩინეს მებადურთა ზედამხედველი“.

გაადიდეს გადასახადები, და ნატურალური გამოსაღების ნაცვ-ლად, როცა ასეთი არ იყო, უკვე ვერცხლს ახდევინებდნენ.

ძლიერდება ქურუმების როლი, ამასთან ,ლაგაშის მფარველი ღმერთის, ნინგირსუს ქურუმები, როგორც ეტყობა, ახდენენ პატესების ძალაუფლების უზურპაციას და, შესაძლოა, პატესიატს გადააქცევენ მოკლევადიან არჩევით თანამდებობად.

პატესები რომ გახდებიან, უზენაესი ქურუმები და პატესების ოჯახთა წევრები ითვისებენ სატაძრო მიწებს, თავიანთ მიწებზე ამუშავებენ სატაძრო ხარებს. ტაძრებისათვის მიტანილ შესაწირავს, — ტანისამოსს, ძაფს, მატყლს, ფრინველს — პატესები თავიანთ შემოსავალში ჩარიცხავენ.

ეპოქის დოკუმენტებში აღნიშნულია: „საწყობების გამგე — ქურუმებს შეეძლო უბრალო მხედრის ბაღიდან წაეღო ხეც და ხილიც“. მიცვალებულთა დაკრძალვისას ქურუმები აუტანელ გასამრჯელოს იღებდნენ თავიანთ სასარგებლოდ და სხვა პირთა სასარგებლოდ, რომლებიც დაკრძალვის კულტს მომსახურეობას უწევდნენ. ქურუმი თვითონ იღებდა 420 პურს, 72 საწყაო მარცვალს, 7 ტოლჩა ლუდს, 1 ხელ ტანისამოსს, 1 თიკანს და ერთ სარეცელს. მოზარე მოითხოვდა 36 საწყაო მარცვალს.

თუ მეთემური ჭასთან თხრილს გაიკეთებდა, პატესის მონას იქიდან მიჰქონდა წყალი პატესის ბაღებისათვის. ძლიერნი და ძალაუფლების მქონენი უტიფრად ძარცვავდნენ ღარიბ-ღატაკებს, ართმევდნენ მათ სახლებს, მარცვლეულს, პირუტყვს.

სახელმწიფოს ზედაფენის ამ აშკარა ძალადობამ და ბოროტმოქმედებამ, როგორც ეტყობა, გამოიწვიეს ღარიბ-ღატაკთა ფართო მოძრაობა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. პატეს ლუგალანდას ძალაუფლება ჩამოერთვა და ძალაუფლება სხვა პირის — ურუკაგინას ხელში გადავიდა. ურუკაგინა, პატესი რომ გახდება, აღადგენს ძველ წესებს, რომლებიც მდიდრებმა და ქურუმებმა გააუქმეს და რომლებსაც ისინი არღვევდნენ. „მან ხომალდს მოაშორა ხომალდის ზედამხედველი. სახედრებსა და ცხვრებს მოაშორა მწყემსთა ზედამხედველი. ბადეებს მოაშორა მებადურთა ზედამხედველი. ქურუმის საგადასახადო მარცვლეულს მოაშორა ბეღლის უფროსი“[1]. სატაძრო მიწები, რომლებიც მისმა წინამოადგილეებმა სასახლის მიწებად აქციეს, მან ტაძრებს დაუბრუნა.

მან ერთისამად და უფრო მეტად შეამცირა ქურუმთა საზღაური, რასაც ისინი გარდაცვლილის დაკრძალვისას იღებდნენ. ქუ-

---

[1] Струве, Хрестоматия, I, стр. 47.

რუმთა მოძალებასთან ბრძოლაში ურუკაგინა ცდილობდა აღმოეფხვრა ყველა მათი ბოროტმოქმედება, მათ მიერ სამეფო და სატაძრო ადგილ-მამულების დაპატრონება, მათი ძალადობა გლეხებისა და ხელოსნების მიმართ, მათი თვითნებობა.

თავიდან რომ ყოფილიყო აცილებული უფროსთა ბოროტმოქმედება და ძალადობა ხელქვეითთა მიმართ, ურუკაგინამ დაადგინა: „თუ მხედარს კარგი სახედარი ჰყავს და უფროსი მას ეუბნება: „მსურს შენგან ეს სახედარი ვიყიდოო,“ თუ მართლა ყიდულობს, მან (ე. ი. მხედარმა) უნდა უთხრას: „საფასურად კარგი ვერცხლი მომეციო“. თუკი ყიდვა ვერ მოხერხდა, უფროსმა მას (ე. ი. მხედარს) თავისი გულისწყრომა არ უნდა აგრძნობინოს“. ანალოგიური დადგენილება იქნა მიღებული იმ შემთხვევისთვისაც, თუ უფროსი შეეცდებოდა მხედრისათვის სახლი წაერთმია.

გარდა ამისა, ურუკაგინამ გააორკეცა საჯურსათო ულუფა კოლექტიურ ყანებში მომუშავე თავისუფალი მოქალაქეებისათვის (72 სარწყაო მარცვლეულის ნაცვლად — 144 სარწყაო).

ლაგაშში მომხდარმა გადატრიალებამ, როგორც ეტყობა, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია სხვა, მეზობელი ქალაქების გაბატონებულ ზედაფენაში. საფიქრებელია, რომ ამით იყო გამოწვეული ქალაქ უმას მიერ ლაგაშის წინააღმდეგ ატეხილი ომი (დაახლოებით 2800 წ.). ომს შედეგად მოჰყვა ლაგაშის დაშარცხება და აოხრება.

ქალაქ უმას პატესი, ლაგაშის გარდა, იპყრობს ლარსას, ურს, ურუკს, ამრიგად მთელი სუმირის ბატონი ხდება და „ქვეყნის მეფისა და უცხო ქვეყანათა პატესის“ ხარისხს მიიკუთვნებს. ამასთან ურუკი ქვეყნის დედაქალაქად გადააქციეს.

3. აკადის ბატონობა (2750-2500). მაგრამ შედარებით მალე ჰეგემონია სუმირში გადადის სემიტებით დასახლებულ ქალაქ აკადის ხელში. აკადი უკან დასწევს ქალაქ კიშს, ჰეგემონი ხდება ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სემიტურ ქალაქთა შორის და შემდეგ შეტევაზე გადადის სუმირის წინააღმდეგ. იქმნება „სუმირისა და აკადის“ ერთიანი მონარქია, რომელიც მთელ მერმინდელ ბაბილონიას აერთიანებს. აკადის ახალი დინასტიის დამაარსებელი იყო სარგონ I (შარუკინი). მან გაანადგურა ურუკი, დაიპყრო ური, ლაგაში, გაანადგურა უმა და ამრიგად გახდა ენლილის დიდი ისაკუ, ე. ი. დედამიწის სუმერული ღმერთის მოადგილე. იგი სალაშქროდ მიდის მეზობელ ელამში, თავისი ფლოტის დახმარებით

მკვიდრდება სამხრეთში ბახრეინის კუნძულებზე, ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთიდ იპყრობს თავრისა და ლიბანის ტერიტორიებს. იქმნება აკადის დიდი მონარქია, და ამის შესაბამისად მეფე სარგონი მიიკუთვნებს „დედამიწის ოთხი ქვეყნის მეფის“ ხარისხს, რაც განმტკიცდება მისი მემკვიდრეების დროს.

აკადელთა წარმატების მიზეზი მათი სამხედრო უპირატესობა იყო. მათ ჰყავდათ მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული არმია, რომელსაც სახალხო ლაშქარი ემატებოდა. მათ ჰქონდათ მშვილდი — იარაღი, რომელსაც სუმერელები არ ხმარობდნენ.

მაგრამ მათი წარმატების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სუმერის ქალაქებში გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ საზოგადოება გათიშა მძაფრად მტრულ ნაწილებად და აიძულა ზედაფენა ეცადნა დაემყარებინა მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც შესძლებდა უზრუნველეყო მის სასარგებლოდ თავისუფალ ღარიბ-ღატაკთა ექსპლოატაცია და მონური შრომის უფრო ფართოდ გამოყენება.

ქვეყნის საზღვრების გაერთიანება და გაფართოება აგრეთვე შესაძლებელს ხდიდა ორმდინარეთის სხვადასხვა ოლქთა შორის გაცვლა-გამოცვლის უფრო ფართოდ განვითარებას, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ამ გაერთიანებას აგრეთვე ხელი უნდა შეეწყო საირიგაციო სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

მეფე სარგონის დროს დიდი საამშენებლო სამუშაოები სწარმოებს. იგი აღადგენს ქალაქ კიშს და ახალი არხების გაყვანით აფართოებს საირიგაციო სისტემას. სავაჭრო კავშირურთიერთობის გასაადვილებლად მას ქვეყანაში შემოაქვს საზომ-სასწორთა ერთიანი სისტემა.

თავის გამარჯვებათა შედეგები რომ განამტკიცოს, იგი მის მიერ დაპყრობილი ქალაქების წარჩინებულ მოქალაქეებს ართმევს მიწებს და იქით თავის მომხრეებს ასახლებს. სუზში ნაპოვნი დიდი პირამიდული ქვის წარწერის ტექსტიდან სჩანს, რომ სარგონის ერთ-ერთ მემკვიდრეს, მის ვაჟს მანიშტუსს, დაუწყია კიშის მიდამოების მდიდარ მიწათმფლობელთაგან მიწების დიდი მასშტაბით შესყიდვა იქ აკადელი დიდკაცობის წარმომადგენელთა დასასახლებლად. მაგრამ ამ ღონისძიებებმა ვერ შეაჩერეს ცენტრიდანული ძალების განვითარება აკადის მეფეების იმპერიაში. ჯერ კიდევ სარგონის დროს იფეთქა აჯანყებამ სუმერთა ქალაქ კაზალაში,

რომელიც აჯანყების ჩახშობის შემდეგ დანგრეულ იქნა. უფრო გვიან, სარგონის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მოხდა აჯანყება, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყანა და გამოიწვია ის, რომ სარგონს ალყა შემოარტყეს აკადაში. ეს აჯანყებაც ჩახშობილ იქნა, მაგრამ სარგონის ვაჟს ურუმუშს დაპყრობილი ქვეყნები ისევ უწევენ წინააღმდეგობას.

აკადელი მეფეების მონარქია არასაკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა. ზედაფენის უფრო და უფრო გამდიდრება და მონური შრომის უფრო და უფრო ფართოდ გამოყენება აჩანაგებდნენ თავისუფალ გლეხებს, რომლებიც ჯარის ძირითად კადრებს შეადგენდნენ. თავის მიწის ნაკვეთს მოწყვეტილ გლეხს აღარ შეეძლო შეეძინა იარაღი იმისათვის, რომ ჯარში წასასვლელად გამზადებულ და აღჭურვილიყო. ამასთან ერთად, ჯარში წასული გლეხი მოკლებული იყო საშუალებას ჯარში ყოფნისას ერჩინა თავისი ოჯახი. ლაშქარი, რომელიც მოწოდებულია შეავსოს მუდმივი ჯარი, რაც დრო გადის, მით უფრო სუსტი ხდება, და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს აკადის სამეფოს თავდაცვის უნარიანობაზე. ამავე დროს კი ქვეყნის უფრო და უფრო ზრდადი სიმდიდრე იზიდავს შეომარ მეზობლებს, რომლებიც ყოველთვის მზად არიან სხვა ქვეყნების გაძარცვით ხელი მოითბონ.

4. გუტეების შემოსევა. დაახლოებით 2500 წელს ჩვენს ერამდე აკადის სამეფო მეომარი გ უ ტ ე ე ბ ი ს დავლა ხდება. ისინი ამ ქვეყანაში 100 წლამდე ბატონობდნენ. გუტეებმა, რომლებიც მოვიდნენ აღმოსავლეთიდან, ელამის ჩრდილოეთით მდებარე მთიანი ადგილიდან, ააოხრეს ყანები, დაანგრიეს ქალაქები და ტაძრები. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ალბათ, სხვებზე ნაკლებ დაზარალდა დამპყრობთა ნგრევითი ზემოქმედებისაგან. როგორც ეტყობა, აქ ცალკეულმა პატესიატებმა, მათ შორის ურ უ კ მ ა და ლ ა გ ა შ მ ა, ერთგვარი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს დამპყრობთა მიმართ. ქალაქ ლაგაშისათვის გუტეების ბატონობის პერიოდი მისი კულტურის ერთგვარ უეჭველ აყვავებასაც კი დაემთხვა.

გუტეების წინააღმდეგ გამათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ურუკის მეფე, რომელმაც დაამარცხა და განდევნა დამპყრობნი.

5. ურის ჰეგემონია. მაგრამ გუტეების განდევნის შედეგად არც ურუკი გაბატონებულა, რომლის პატესები ხელმძღვანელობდნენ მათთან ბრძოლას, და არც ლაგაში. ჰეგემონია ჩვენთვის უცნობ

გარემოებათა გამო ქ. ურის ხელში გადავიდა, რომლის პატესებმა თავიანთი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანეს არა მარტო მთელი სუმირი, არამედ ორმდინარეთის ჩრდილოეთი ნაწილიც, აგრეთვე ორმდინარეთის აღმოსავლეთით მდებარე ელამის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ურის დინასტიის (ურის III დინასტიის) ბატონობა გრძელდებოდა 2420-დან 2300 წლამდე. მას თან ახლდა ორმდინარეთის მატერიალური და სულიერი კულტურის უმაგალითო აყვავება.

ამასთან ერთად მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობა შემდგომი სწრაფი განვითარების გზით წარიმართა. გარდა სამხედრო ტყვეებისა, მონებად იქცევიან ვალაუვალნი პირნი, რომელნიც სამუდამოდ ჰკარგავენ თავისუფლებას კრედიტორის სასარგებლოდ. ჩნდებიან სუმერი მონები. ვითარდება მიწის კერძო საკუთრება, სახელმწიფო და სატაძრო მიწებს, არსებითად, იყენებს შეძლებულ მოქალაქეთა კოლექტივი, ამასთან ღარიბ-ღატაკნი, რომელნიც წარმოების საშუალებებს მოკლებული არიან, დაქირავებულ მოჯამაგირეებად იქცევიან.

ვაჭრობა ვითარდება და მეტად გაცხოველებულ ხასიათს იღებს. ქალაქებში აღმართულ იქნა საუცხოო ნაგებობანი — ტაძრები, სასახლეები, აკლდამები.

სახელმწიფოს ფარგლების გაფართოებას თან სდევს მართვა-გამგებლობის ცენტრალიზაცია და მეფეების ძალაუფლების გაძლიერება. ცალკეული ადგილების ისაკუპატესები დამოუკიდებელ მეფეთა მდგომარეობას ჰკარგავენ და უბრალო მოადგილეებად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაყენებულ პირებად იქცევიან.

მეფე შულგი, აკადის დინასტიის მეფეების მსგავსად, მიიღებს „ოთხი ქვეყნის მეფის“ ხარისხს და სიცოცხლეშივე თავს ღმერთად გამოაცხადებს. მეფეების ქანდაკებებს დგამენ ტაძრებში მათი თაყვანისცემისა და კულტისათვის.

მეფე მუდმივს ჯარს ეყრდნობა. ჯარი შეივსება ლაშქრით, რომელსაც მთელი მოსახლეობისაგან ადგენენ. ჯარის გასაძლიერებლად შექმნილი იყო ცალკეული რაზმი მშვილდოსნებისა, რომლებსაც დიდი მოქნილობა და მანევრიანობა ახასიათებდათ. მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისაგან განსხვავებით, რომელიც წინათ

სუმირში სჭარბობდა. ამ მსუბუქად შეიარაღებულმა ქვეითმა ჯარმა არსებითად გააადვილა სამხედრო ოპერაციები ელამის წინააღმდეგ, რაც მთიანი ადგილის პირობებში ტარდებოდა.

2300 წელს ქვეყანას შეესივნენ სუმირის აღმოსავლელი მეზობლები — ელამიტები. ურის მეფე დაატყვევეს და ელამის მთებში წაიყვანეს. ასე გათავდა ურის დინასტიის პერიოდი. დიდმა, დასაწყისში ძლიერმა სახელმწიფომ მტრის წინაშე სისუსტის ნიშნები გამოამჟღავნა. როგორც ეტყობა, ამ სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ზრდა იყო. ღარიბთა მასობრივი გაჩანაგება, რომლებსაც მონებად გადაქცევა ემუქრებოდა, გარდუვალად ახდენდა გავლენას სუმერთა ლაშქრის რაოდენობასა და ბრძოლის უნარიანობაზე.

6. ბაბილონის ამაღლება. ჰამურაბის მეფობა. ელამის მიერ ურის განადგურებას შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს ნაწილებად დაშლა. ჩრდილოეთ ნაწილში ჰეგემონია გადადის ქალაქ ისინის, ხოლო სამხრეთ ნაწილში — ქალაქ ლარსის ხელში. ამასთან, როგორც ისინის მმართველები, ისე ლარსის მმართველები თავისთავს თანაბრად სუმირისა და აკადის მეფეებად სთვლიან.

ძლიერდება დასავლეთ-სემიტური ხალხის — ამორეების მოძალება სუმირზე; მათი გავლენა ორმდინარეთში წინათაც, ჯერ კიდევ აკადის დინასტიის დროს, იჩენდა თავს.

ისინის მმართველთა შორის ვხვდებით ისეთებს, რომელთა სახელები მათს ამორეულ წარმოშობას ამჟღავნებენ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამორეები სწრაფად გაითქვიფნენ აკადელებში.

ამასთან ერთად სუმირის სამხრეთ ნაწილში, ლარსაში, ამორეელთა სხვა წინამძღოლი აღმოჩნდა მმართველი. ქვეყანა ამ პერიოდში სუსტად იყო ცენტრალიზებული: სუმირის ქალაქები ერთმანეთთან ბრძოლას ეწევიან ორმდინარეთში ბატონობისათვის.

III ათასეული წლის დამლევს აკადელები, რომლებიც დიდხანს დაქვეითებულნი იყვნენ, კვლავ წინა რიგში გამოდიან; მათ თითქოს განამტკიცეს თავიანთი ძალები ქვეყანაში ამორეელთა მოზღვავების შედეგად.

მაღლდება აკადელთა ახალი ცენტრი — ქალაქი ბაბილონი (აკადურად — „ღმერთის კარიბჭე“). სუმერელ შულგის მიერ დაპყრობილი და დანგრეული, იგი კვლავ გაშენდება. და მისი მშენებელი, ამორეელთა წინამძღოლი სუმუაბუმი ბაბილონის I დინასტიის დამაარსებელი ხდება.

ამიერიდან ეს ქალაქი მრავალი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებს სამხრეთ მესოპოტამიის ცენტრის მნიშვნელობას.

ბაბილონის ახალი დინასტიის უკვე პირველი მეფეები თავიანთ ძალაუფლებას უმორჩილებენ მთელ აკადს. ძალიან მალე მათი გავლენა სუმირის ქალაქებზედაც იწყებს გავრცელებას. მაგრამ სამხრეთისაკენ წინსვლისას ბაბილონის მმართველები წააწყდნენ ჩვენ მიერ ზემოთ არაერთხელ ნახსენებ მტერს — ელამს, რომელიც მუდმივ თავს ესხმოდა სუმირს. ქალაქები ლარსა და ური დამპყრობთა ხელში აღმოჩნდებიან, რომლებიც მალე იმორჩილებენ სამხრეთის ყველა ქალაქს. ქალაქი ბაბილონიც იძულებული იყო ელამისაგან თავისი დამოკიდებულება ეცნო.

მაგრამ ელამიტების ბატონობა ხანმოკლე გამოდგა. ბაბილონის მეფე ჰამურაბი (2067-2025) მათ ბრძოლით ართმევს სუმირის ქალაქებს. შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იგი მოახერხებს განდევნოს ელამიტები სამხრეთ ორმდინარეთიდან და გააერთიანოს მთელი ქვეყანა კვლავ ამაღლებული ცენტრის — ბაბილონის ძალაუფლების ქვეშ.

მისი ხანგრძლივი მეფობა (43 წელი) აღინიშნა არა მარტო ქვეყნის განთავისუფლებით ელამიტებისაგან და ქალაქ ბაბილონის ამაღლებით, არამედ მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო მოღვაწეობითაც — ვრცელი სამართლის წიგნის გამოცემით, რომელიც სამართლის სულ სხვადასხვა დარგს მოიცავს.

მის გამოცემას აუცილებელს ხდიდა ის გარემოება, რომ ბაბილონის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებულ იქნენ სულ სხვადასხვა ხალხები, რომლებიც განვითარებისა და კულტურის სხვადასხვა დონეზე იდგნენ. მაგრამ მთავარი მიზეზი, როგორც ეტყობა, იყო მისწრაფება — შეერბილებინათ უკიდურესობამდე გამწვავებული წინააღმდეგობანი თავისუფალ მოქალაქეთა შორის. გამდიდრებული მონათმფლობელნი ეწევიან მევახშეობას, ყიდულობენ სახლებს, იჯარით იძლევიან სახლებსა და მიწებს, მისდევენ სპეკულაციას.

ფრთამესხმულ, დიდად გავრცელებულ მევახშეობას შედეგად მოსდევს ვალაუვალ პირთა დაკაბალება, უკვე, არა მარტო უცხოელების, არამედ აგრეთვე თვითონ ბაბილონელების მონებად გადაქცევა. გაჭირვება აიძულებს მშობლებს მონებად გაჰყიდონ თავიანთი შვილები. ჩნდებიან მეწარმენი, რომლებიც მონა-ბაბილონელებს ყიდულობენ. ეს პროცესი თავისუფალ გლეხსა და ხელოსანს გაჩანაგებას, მონად გადაქცევას ემუქრება, ამას კი, თავის მხრივ, უნდა

შეერყია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და უკიდურესობამდე გაემწვავებინა წინააღმდეგობანი ბაბილონის საზოგადოების შიგნით.

ჰამურაბს თავისი კანონმდებლობით სურდა შეერბილებინა მდგომარეობის სიმწვავე, შეეჩერებინა გლეხთა და ხელოსანთა გაღატაკების პროცესი, შეემოკლებინა მევახშეთა მადა და ამით განემტკიცებინა ბაბილონის მონათმფლობელური საზოგადოება. უეჭველია აგრეთვე, რომ იგი ამოცანად ისახავდა შეერბილებინა თვითნებობა და აღმოეფხვრა კორუპცია, რაც სასამართლოებში სუფევდა და რითაც ფართოდ სარგებლობდნენ მევახშენი ღარიბ-ღატაკთა დასამონებლად და გასაძარცვავად.

§ 26. III—II ათასეული წლების ბაბილონის საზოგადოების საერთო დახასიათება

ძველი ბაბილონის კანონმდებლობისა დოკუმენტების სულ ზერელედ გაცნობაც კი ააშკარავებს ბაბილონის საზოგადოების მონათმფლობელურ ხასიათს. მონები და მონათმფლობელნი წარმოადგენენ ამ საზოგადოების ძირითად კლასებს.

მაგრამ მონათმფლობელურ წყობილებას აქ ზოგიერთი არსებითი თავისებურება აქვს.

პირველ თავისებურებას შეადგენს პირველყოფილ-თემური წყობილების მნიშვნელოვანი გადმონაშთების ხანგრძლივად შენარჩუნება ბაბილონის მონათმფლობელურ საზოგადოებაში.

ორმდინარეთის ნოყიერ ველებში საწარმოო ძალების სწრაფმა განვითარებამ, აგრეთვე აქ წარმოშობილმა აუცილებლობამ — ფართოდ გამოეყენებინათ მონების შრომა — საირიგაციო ნაგებობათა ფართო ქსელის შესაქმნელად და მოსაწესრიგებლად — გამოიწვიეს კლასობრივი საზოგადოების ადრეული აღმოცენება ბაბილონში. კლასობრივი საზოგადოება აქ ჩამოყალიბდა მაშინ, როცა მატრიარქატის მოვლენები მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი და კერძო საკუთრება სუსტად იყო განვითარებული.

ამიტომ მიწისა და მონების მიმართ თემური საკუთრება ბაბილონში რჩება კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც, ხოლო ჰავისა და ნიადაგის პირობები, რომლებიც აუცილებელს ხდიან ხელოვნურ მორწყვას არხებისა და რაბების სისტემის საშუალებით, ბაბილონში იწვევენ მიწის თემური

და სახელმწიფო საკუთრების ხანგრძლივად შენარჩუნებას, აგრეთვე მონების მიმართ კოლექტიური (სახელმწიფო, სატაძრო, საოთემო) საკუთრების ხანგრძლივად შენარჩუნებას. ეს შეადგენს ბაბილონის მონათმფლობელური წყობილების მეორე არსებითს თავისებურებას.

მიწის სახელმწიფო საკუთრების პირობებში ხდება მიწის რენტის შეერთება გადასახადთან. რენტა-გადასახადი სახელმწიფო ხაზინაში ხშირად შედის გლეხთა სხვადასხვა ნატურალური გამოსაღების სახით, აგრეთვე სხვა ხარკთა სახით, რომლებიც თავისუფალ მეთემურებს ეკისრებათ.

ბაბილონის საზოგადოებაში ვხედავთ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის თანდათანობითს, მაგრამ შედარებით ნელ განვითარებას. მიწის ნაკვეთების მოიჯარენი, უეჭველია, გამოდიან მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შედარებით დიდი მასშტაბით დამამზადებელთა როლში, რომლებიც იყენებენ არა მარტო მონების შრომას, არამედ დაქირავებული მოჯამაგირეების, მწყემსების და სხვა მისთანათა შრომასაც. უეჭველია, თავისუფალ ბაბილონელთა შორის რამდენადმე ვითარდება ხელოსნობაც. ჰამურაბის კანონები იხსენიებენ გზების მშენებლებს, კალატოზებს, ექიმებს, ვეტერინარებს, გემმშენებლებს, გემწამყვანებს და სხვ. (იხ. ქვემოთ, გვ. 139—140).

ფული ორმდინარეთში ძალიან ადრე ჩნდება, ჯერ კიდევ IV ათასეული წლის დამლევს. ჰამურაბის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს, თუმცა მეურნეობა ძირითადად კვლავ ნატურალური რჩება. ფულად იხმარება ვერცხლი, რომელსაც კი არ სჭრიან, არამედ წონით აწყავენ. მაგრამ ფულს, როგორც საგადამხდელო საშუალება და გაცვლა-გამოცვლის იარაღი, მეტოქეობას უწევს მარცვლეული.

მთელ რიგ შემთხვევებში კანონი ავალებს კრედიტორს მიიღოს მარცვალი და არ მოითხოვოს კუთვნილის ვერცხლით გადახდა. მაგალითად, მიკიტანი ვალდებული იყო მარცვლეული მიეღო ღვინოში და არ მოეთხოვა ვერცხლი, აგრეთვე მოვალეს, რომელსაც სესხი ვერცხლით აეღო, შეეძლო ვალი მარცვლეულით და სხვა პროდუქტებითაც კი დაებრუნებინა. სახელმწიფო თავის მოხელეებს ნატურით უხდის საზღაურს, — აძლევს მათ მიწებს, ბაღებს, პირუტყვს სახელმწიფოსადმი მათი სამსახურისათვის.

მიუხედავად ამისა, უეჭველია, სწარმოებდა ფართო სავაჭრო ოპერაციები უცხო ქვეყნებთან. ორმდინარეთში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ საკმაოდ არ მოიპოვებოდა ბევრი მასალა, რომელიც საჭიროა მშენებლობისა და ხელობისათვის (საშენი ხე-ტყე, ქვა, ლითონი). აქედან წარმოსდგება გაცვლა-გამოცვლის მწვავე მოთხოვნილება და საგარეო ვაჭრობის შედარებით მაღალი განვითარება.

სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდნენ ბაბილონის ფულიანი ადამიანები, ეგრეთ წოდებული დ ა მ კ ა რ ე ბ ი (იხ. § 30); ისინი თავიანთი ოპერაციების შემსრულებლებად იყენებდნენ განსაკუთრებულ სავაჭრო აგენტებს, რომლებსაც ჰამურაბის კანონებში შ ა მ ა ლ უ ეწოდება.

§ 27. სახელმწიფო წყობილება

1. პატესი-ლუგალი. ძველსუმერული სახელმწიფოების — პატესიატების სათავეში იდგა პატესი, ღმერთის მოადგილე ქვეყნად. მას მიეკუთვნებოდა ლ უ გ ა ლ ი ს ხარისხი, როცა მისი ბატონობა სცილდებოდა ერთ ქალაქს და მთელი ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილზე ვრცელდებოდა.

პატესი გვარ-ტომების უხუცესთა მემკვიდრეა. ეტყობა ამ სახელით თავდაპირველად აღინიშნებოდნენ გვარ-ტომების წინამძღოლები. როცა საზოგადოება კლასებად გაითიშა და სახელმწიფო წარმოიშვა, ეს უხუცესნი, რომლებსაც ხელმძღვანელი საზოგადოებრივი თანამდებობანი ეკავათ, პოლიტიკური ბატონობის ორგანოებად გადაიქცნენ, და რადგან თემის შენარჩუნებამ და ირიგაციის საჭიროებამ შეაპირობეს ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების აღმოცენება, მათმა ძალაუფლებამ დესპოტიის ხასიათი მიიღო.

პატესს, როგორც ქვეყნად ღმერთის მოადგილეს, განსაკუთრებულ ძლიერებას მიაწერდნენ, და მისგან მოელოდნენ სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის აუცილებელ მოქმედებას. როგორც დოკუმენტები მოწმობენ, პატესი ვალდებული იყო გაევსო არხები წყლით, გაემრავლებინა თევზი ტბორებში, ეშენებინა ბეღლები, წისქვილები, ანორები, საჩეხები საღრმთო ცხვრებისა და ბატკნებისათვის. პატესი ამასთან ერთად ქურუმის მოვალეობებსაც ასრულებდა. პატესი ადგილობრივი ღმერთის მთავარი ქურუმი იყო.

შესაძლებელი იყო, რომ ცალკეული პატესები ლუგალის ხელქვეითნი გამხდარიყვნენ, თუმცა ამასთან შედარებითს დამოუკიდებ-

ლობას ინარჩუნებდნენ. ასე, მაგალითად, დაახლოებით 2.900 წელს კიშის ლუგალმა მესილიმ თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ლაგაშის პატესი.

მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზის ვეებერთელა ტერიტორიებს რომ იმორჩილებდნენ, სამხრეთ ორმდინარეთის მეფეები, აკადის დინასტიით დაწყებული, თავისთავს სთვლიან ოთხი ქვეყნის მეფეებად (ალბათ, სუმირი, აკადი, სუბარუ, ამორეი) და მსოფლიოს მეფეებად. ისინი თავისთავს უკვე აღარ უწოდებენ ღმერთების მოადგილეებს, თვითონ ღმერთებად აცხადებენ თავს და განსაკუთრებულ მაგიურ ძალას მიეწერენ. უკვე პირველ აკადელ მეფე სარგონს მისი ქვეშევრდომნი თავიანთ ღმერთს უწოდებდნენ.

ეს გაღმერთება, რაც სარგონის დროს დაიწყო, შემდეგშიც განუწყვეტლივ გრძელდება. აკადის დინასტიის მეორე მეფე, ნარამსინი, თავისთავს მუდამ აკადის ღმერთს უწოდებს. გაღმერთება ურის დინასტიის დროსაც გრძელდება. მეფე შულგი ტაძარსაც კი იშენებს, რომელშიც მეფეს თაყვანსა სცემენ როგორც ღმერთს.

ჰამურაბის კანონებში (შესავალი) ნათქვამია, რომ ღმერთმა მარდუკმა მეფე ჰამურაბი დანიშნა, როგორც თავისი შვილი და მემკვიდრე, რათა ბაბილონი მართოსო. კანონები ჰამურაბის უწოდებენ „ბაბილონის მზეს“ და ამით თითქოს აახლოებენ მას მზის ღმერთ შამაშთან. ჰამურაბი იწოდება „ბაბილონის მზედ“, „სიმართლის მეფედ“, რომელსაც შამაშმა მართლმსაჯულება მიანდო. განსაკუთრებული ხარისხი „ილუ“ მეფეების ღვთაებრივი ღირსების აღმნიშვნელია.

თუ წინათ ქალაქებსა და ნაგებობებს ღმერთების სახელი ეწოდებოდათ, ბაბილონის I დინასტიის დროიდან თავს იჩენს ტენდენცია, ღმერთების სახელები მეფეების სახელებით შესცვალონ (ჰამურაბის არხი, ამიზადუგის კედელი, ქალაქი კურიგალზუ—III დინასტიის დროს).

ბაბილონის დინასტიის მეფეები ისეთივე სრულუფლებიანი პატესი-ლუგალები იყვნენ, როგორიც იყვნენ სხვა დინასტიებიდან გამოსული მათი წინამორბედნი, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას სამხრეთ ორმდინარეთის მთელ ტერიტორიაზე ავრცელებდნენ.

2. სასახლის მმართველი — ნუბანდა. ვეებერთელა სახელმწიფო ქონებას მოხელეთა დიდი შტატი განაგებდა.

სუმირ-აკადის ერთიანი მონარქიის შექმნამდე მთავარი თანამდებობითი პირი იყო სასახლის ზედამხედველი (მმართველი) — ნ უ ბ ა ნ დ ა. ცნობილი ფრანგი ასირიოლოგი ჟენუილიაკი შემდეგნაირად ახასიათებს მის ფუნქციებს: „იგი ერთსა და იმავე დროს არის საქვეყნო სამსახურის ორგანიზატორი, სამიწათმოქმედო სამუშაოთა ორგანიზატორი, მეფის ხაზინადარი, სასახლის მმართველი და საყოველთაო ნოტარიუსი“.

ურის III დინასტიის დროს სახელმწიფო მმართველობის საათავეში კვლავ დგას მეფის სასახლის მმართველი, რომელიც განაგებს ყველა საზოგადოებრივ სამუშაოს, მიწათმოქმედებას, ფინანსებს. მას ექვემდებარებიან ადგილობრივი მმართველები, რომლებსაც ევალებათ იზრუნონ გადასახადთა შეგროვებაზე და მეთვალყურეობა გაუწიონ მოსახლეობისათვის დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებას. ნუბანდა სარდლობს აგრეთვე ჯარებს.

მმართველობის ეს წესი, როცა მეფის სასახლის მმართველები უმაღლესი თანამდებობითი პირნი იყვნენ სახელმწიფოში და როცა, რამდენადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, გატარებულ იქნა მმართველობის მთელი აპარატის სასტიკი ცენტრალიზაცია, დარჩა მეფე ჰამურაბის დროსაც. ჰამურაბის დროიდან ჩვენამდე მოაღწია მეფის ვრცელმა მიწერმოწერამ ლარსის მმართველ სინიდინამთან; ეს მიწერმოწერა გვიჩვენებს, რომ მეფეს თვითონ უშუალოდ აინტერესებდა ოლქის უმნიშვნელოვანესი საქმეები და რომ იგი მმართველს მითითებებს აძლევდა სულ სხვადასხვანაირ საკითხებზე.

მაგრამ სუმირის ფარგლებს გარეთ მეფეების ძალაუფლების გაფართოებასთან ერთად აპარატი რთულდება. ნუბანდა ახლა თითქმის მხოლოდდამხოლოდ იმ სამუშაოთა ორგანიზაციას განაგებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის ბეგარასთან. არხების, სიმაგრეების, სასახლეების, ტაძრების მშენებლობა, სამიწათმოქმედო სამუშაოთა ორგანიზაცია, ომის წარმოება — აი ის საქმეები, რომლებსაც ნუბანდა ხელმძღვანელობს.

მეფესთან ჩნდება სხვა მმართველიც, მოადგილე — ისაკუ და ბევრი ქალაქის მმართველი. წყაროებში მოხსენებული არიან სხვა მმართველნიც, რომელნიც ჯარისკაცთა და შიკრიკთა თანხლებით დაიარებიან ქვეყანაში და მთავრობის დავალებებს ასრულებენ ქვეყნის სულ შორეულ ნაწილებში.

იხსენიებიან სხვადასხვა თანრიგის ქურუმები, რომლებიც, უეჭველია, მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო

მმართველობაში, სხვადასხვაგვარი აგენტები, მოსამართლეები, ბელლების მცველები, მწერავები, სხვადასხვაგვარი ზემდეგები და მისთანანი.

მწერავები („დუბ-სარ“, რაც ნიშნავს „ტაბლეტის დამწერს“) ჩვეულებრივ მონაწილეობას იღებდნენ ყოველგვარი დოკუმენტების შედგენაში. თავიანთი ოფიციალური თუ ნახევრადოფიციალური მდგომარეობის მეოხებით ისინი, უეჭველია, მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს სამართლებრივი ნორმების და სახელმწიფო, პირველ რიგში, სასამართლო აპარატის გამოყენებას მევახშეებისა და მდიდრების მიერ ღარიბ-ღატაკთა ჩაგვრის მიზნებისათვის.

3. ჯარი. არმია ჰამურაბამდე ძირითადად მოლაშქრეებისაგან შესდგებოდა. იყო მუდმივი ჯარიც, რომელიც დაქირავებული პირებისა და მონებისაგან შესდგებოდა. ეს ჯარი მეფის პირად გვარდიას შეადგენდა და პოლიციურ სამსახურს ეწეოდა.

ჰამურაბის დროს იქმნება მუდმივი ჯარი თავისუფალი მხედრებისაგან („რედუ“ და „ბაირუ“), რომლებსაც მიწის ნაკვეთები ეძლევათ სამხედრო სამსახურისათვის. მხედრის ლაშქრობაში ყოფნის დროს მას მუშახელი ეძლევა.

ჰამურაბის კანონები მიზნად ისახავენ დაიცვან მხედრები უფროსთან („დეკუ“ და „ლუბუტუ“) ძალადობისაგან და სიკვდილით დასჯას ემუქრებიან ამ უკანასკნელთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეცდებიან მიითვისონ მხედრის შრომა თუ ქონება (იხ. ქვემოთ, გვ. 170).

4. ადგილობრივი მმართველობა. სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოებასთან დაკავშირებით ვხედავთ მისწრაფებას — გაატარონ მმართველობის სასტიკი ცენტრალიზაცია. ცენტრალიზატორული ტენდენცია მთლიანად იჩენს თავს უკვე ურის III დინასტიის დროს. მეფეები ადგილობრივს პატესებს ჩამოართმევენ მათს საერო ძალაუფლებას და დაუტოვებენ მხოლოდ ქურუმის ღირსებას, ან გადააქცევენ მათ თავიანთ მოადგილეებად, დაქვემდებარებულ საოლქო მმართველებად — შ ა კ ა ნ ა კ ე ბ ა დ.

ამ საოლქო მმართველთა — შაკანაკთა გარდა, ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე ისეთ თანამდებობითს პირებს, რომლებიც უფრო პატარა ტერიტორიულ ერთეულებს მეთაურობდნენ. ესენი იყვნენ რ ა ბ ი ა ნ უ მ ჯ ი, რომლებიც მოხსენებული არიან ჰამურაბის კანონთა

23 და 24 მუხლებში. რაბიანუმები, ალბათ, იყვნენ ქალაქების მმართველები ან, როგორც ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერი ფიქრობს, ტერიტორიული სასოფლო თემების მეთაურები.

5. სასამართლოს ორგანიზაცია. სასამართლო ხელისუფლებას ბაბილონში, ისე როგორც ეგვიპტეში, ადმინისტრაციის ორგანოები ახორციელებდნენ. იყვნენ სპეციალურად სასამართლოს თანამდებობითი პირნი, მაგრამ ისინი, სასამართლოს გარდა, ადმინისტრაციული ხასიათის დავალებებსაც ასრულებდნენ. მეფე უზენაეს მოსამართლედ ითვლებოდა ,და შეეძლოთ მისთვის მიემართათ საჩივრით ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამო. უფრო დაწვრილებით სასამართლოს ორგანიზაციაზე იხ. § 36.

§ 28. ბაბილონის სახელმწიფოს მერმინდელი ბედი

1. კასიტების შესევა. ჰამურაბის მიერ შექმნილ უზარმაზარ იმპერიას თავისი დამაარსებლის შემდეგ დიდხანს არ გაუძლია. მისი სიკვდილიდან 75 წლის შემდეგ, 1950 წელს, ბაბილონის შეესივნენ კ ა ს ი ტ ე ბ ი — მთიელი ტომები, რომლებიც ბაბილონიაში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მივიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ დამარცხება განიცადეს და შემდეგ უკან დაიხიეს, ისინი თანდათან ფეხს იკიდებენ ამ ქვეყანაში როგორც ჯარისკაცები, ვაჭრები, გლეხები და ა. შ. და ამით ამზადებენ კასიტების მიერ ბაბილონის მერმინდელ დაპყრობას.

კასიტების შეჭრამ 1950 წელს ბიძგი მისცა ბაბილონიისაგან მისი ცალკეული ნაწილების ჩამოშორებას და ბაბილონიის იმპერიის თანდათანობით დაშლას.

ელამიტები კვლავ გამოჩნდებიან ლარსაში და დაეუფლებიან ურსა და ურუკს. ჩრდილოეთით, აკადაში, დიდი აჯანყება ხდება ბაბილონის წინააღმდეგ. სამხრეთით გამოცალკევდება „ზღვის ქვეყანა“, რომლის მეფეები თანდათან იპყრობენ სუმირის ვაკეებს. ამავე დროს ბაბილონის მეფეების ძალაუფლებისაგან თავისუფლდება და დამოუკიდებლობას მოიპოვებს ასური, რომელიც ასირიის ცალკეულ მონარქიას შეჰქმნის.

დასუსტებული ბაბილონი 1806 წელს მსხვერპლი ხდება ხეთების ძლიერი სამხედრო სახელმწიფოსა, რომელიც ბაბილონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ხეთები აიკლებენ და გაძარცვავენ ქვეყანას, დაანგრევენ ქალაქ ბაბილონს და მალე წავლენ. მაგრამ

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, და ბაბილონი ხდება კასიტების დავლა, რომლებმაც თავიანთი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ბატონობა დაამყარეს ამ ქვეყანაში (1750-1175 წწ.).

კასიტების გამარჯვება გააადვილა არა მარტო ბაბილონის დასუსტებამ, არამედ იმ გარემოებამაც, რომ, როგორც ზევით ვთქვით, უფრო ადრე, 1950 წელს, კასიტების ჯარების პირველი შეჭრის შემდეგ, კასიტები დიდი რაოდენობით შეაღწევენ და სახლდებიან ბაბილონიაში, ხდებიან იქ მოჯამაგირეებად, ჯარისკაცებად და სხვ. ბაბილონიაში ცოტანი როდი იყვნენ მონა-კასიტებიც. ამის გამო კასიტების ჯარებმა მხარდაჭერა ჰპოვეს ქვეყნის შიგნით.

კასიტებმა ჯერ დაიპყრეს ბაბილონიის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო შემდეგ, ცოტათი უფრო გვიან, მისი სამხრეთი ნაწილიც — „ზღვის ქვეყანა“, და, ამრიგად, მთელი ბაბილონია ერთ მთლიან სახელმწიფოდ გააერთიანეს.

კასიტები ორმდინარეთში დაახლოებით 600 წელს ბატონობდნენ. მათი ბატონობის პერიოდი ბაბილონის საზოგადოების დაქვეითებისა და რეგრესის პერიოდი იყო. კასიტები, რომლებსაც გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობა მთლიანად ჯერ კიდევ ვერ აღმოეფხვრათ, ბაბილონიაში თავიანთი ბატონობის ორგანიზაციის დროსაც ინარჩუნებენ გვაროვნულ-ტომობრივ დაყოფას. კასიტთა ეპოქის დოკუმენტები (ე. წ. „კუდურუ“, იხ. ქვემოთ, § 31) მიწის თემური საკუთრების მტკიცედ შენარჩუნებას მეტყველებენ. ეს დოკუმენტები მოწმობენ, რომ კასიტების ცუდად ორგანიზებული სახელმწიფო აპარატი თავისი ამოცანების შესრულებისას სასოფლო თემებს ეყრდნობოდა. უხუცესთა მოვალეობას შეადგენდა: მუშახელის მიწოდება საირიგაციო ნაგებობათა ასაგებად და მოსაწესრიგებლად და გზების შესაკეთებლად, მხედრების შეგროვება, მეფის საქონლისათვის საძოვრების გამოყოფა და სხვ.

კასიტთა ბატონობის პერიოდში ფართო განვითარებას ჰპოვებენ სიგელები, რომლებიც შეღავათებს ანიჭებენ ტაძრებსა და ცალკეულ პირებს და ათავისუფლებენ მათ საერთო-სახელმწიფოებრივი ბეგარისაგან. ეს ცხადჰყოფს ცენტრიდანული ძალების მნიშვნელოვან განვითარებას, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს, მოწმობს საზოგადოების გამდიდრებული ზედაფენის გავლენის გაძლიერებას.

დაქვეითების მაჩვენებელია აგრეთვე მობრუნება ნატურალური მეურნეობის ელემენტების გაძლიერებისაკენ. ხშირდება მარცვლეულითა და პირუტყვით ანგარიშსწორების შემთხვევები.

ქვეითდება აგრეთვე ბაბილონის სულიერი კულტურა-ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა. კასიტების დამკვიდრების შედეგად ბაბილონიის შენაძენს, შეიძლება ითქვას, შეადგენს მხოლოდ ცხენის მოხმარება: ცხენი ბაბილონში თუმცა წინათაც იყო ცნობილი, მაგრამ მხოლოდ ახლა იწყეს მისი ფართოდ გამოყენება სატრანსპორტო საშუალებად.

ასირიის ამაღლებას, რაც XV საუკუნეში დაიწყო, შედეგად ის მოსდევს, რომ კასიტების ბაბილონია თავისი ძლიერი ჩრდილოელი მეზობლის გავლენაში მოექცევა; ასირია ‘პარსეთის ყურის ნაპირებისაკენ ისწრაფვის.

კასიტების ექვსი საუკუნის ბატონობის შემდეგ ბაბილონის ტახტზე XII საუკუნის დასაწყისში კვლავ გამოჩნდებიან აკადის დინასტიის მეფეები, რომლებიც განდევნიან კასიტებს და უმკლავდებიან ბაბილონიის დაპყრობას მოწადინებულ სხვა ხალხთა შემოტევას. მაგრამ ეს მეფეები იძულებული იყვნენ ასირიის ჰეგემონია ეცნოთ.

2. ახალი ბაბილონიის მონარქია. ბაბილონის დაცემა. შემდეგ ბაბილონიის დაპყრობას ცდილობს ქალდეველთა სემიტური ტომი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან, არაბეთიდან მოვიდა. ასირიელებსა და ქალდეველებს შორის ჩაღდება ბრძოლა ბაბილონიაში ბატონობისათვის. უპირატესობა დიდხანს რჩება ასირიას, რომელიც თავის გავლენას ბაბილონიაში მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს (XII–VII ს ს.). მაგრამ VII საუკუნის მიწურულს ბაბილონია აღსდგება იმ დროს დასუსტებული ასირიის წინააღმდეგ, გაერთიანდება მიდიასთან და ბოლოს მოუღებს ასირიის არა მარტო ბატონობას, არამედ თვითონ ასირიის სახელმწიფოს არსებობასაც. ჩ. 612 წელს აღებულ იქნა ასირიის სატახტო ქალაქი ნინევია, ხოლო 605 წელს მთლიანად მოსპობილ იქნა ასირიის მონარქია.

ამ დროს ბაბილონში უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული ქალდეველთა სემიტური ტომის გავლენა, და ბაბილონის ტახტს ქალდეველი მეფეები იკავებენ.

ასე შეიქმნა ახალი ბაბილონიის მონარქია, რომელმაც იარსება 538 წლამდე, როცა ორმდინარეთი სპარსელებმა დაიპყრეს.

ბაბილონმა ასირიის ტერიტორია მიდიასთან გაიყო, მნიშვნელოვანი ძალა მოიპოვა და თავისი საზღვრების გაფართოების შედეგად შესძლო დიდი მონაწილეობა მიეღო მსოფლიო ვაჭრობაში. ბაბილონმა თავისი ისტორიის ამ პერიოდში კვლავ მიაღწია მაღალ ეკონომიურ განვითარებას, ამასთან მატულობს მონების რიცხვი, რომლებსაც ახლა ხშირად შესაძლებლობას აძლევენ დამოუკიდებლად იმუშაონ და ივაჭრონ, ოღონდ პატრონს ღალა უნდა უხადონ. იზრდება მევახშეობა, სპეკულაცია. ვითარდება ფართო სამშენებლო საქმიანობა, რომელსაც მეფეები ეწევიან და რომლის მთავარი მიზანია ბაბილონიის გამაგრება მიდიის მხრივ შესაძლო თავდასხმებისაგან.

მაგრამ ბაბილონმა ვერ გაუძლო ძლიერი მეზობელი სახელმწიფოს შემოტევას, და ახალი ბაბილონის სამეფოს არსებობა შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა. 538 წელს ჩვენს ერამდე ბაბილონმა სამუდამოდ დაჰკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა; იგი სპარსეთის მსოფლიო მონარქიის შემადგენლობაში მოექცა.

თავი IV
ძველი ბაბილონის სამართალი
§ 29. სამართლის წყაროები

1. ორმდინარეთის სახელმწიფოებში ფორმალური აზრით სამართლის უძველეს წყაროებს, უეჭველია, ა დ ა თ ი* წარმოადგენდა. სამართლის ნორმები თავდაპირველად დაუწერელი იყო. სავალდებულებო სამართლებრივ ხასიათს კლასობრივ საზოგადოებაში ქცევის ის წესები იძენდნენ, რომლებიც საზოგადოებაში გამომუშავდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთნაირი ან ანალოგიური შემთხვევების, ერთნაირად გადაწყვეტის ხანგრძლივი განმეორების შედეგად. ბაბილონში ბევრი ადათი, რაც ჯერ კიდევ პირველყოფილთემურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა, პირველ ხანებში სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც რჩება, მაგრამ არსებით ცვლილებებს განიცდის კლასობრივი ხასიათის შესაბამისად, რომელიც საზოგადოებამ მიიღო. საზოგადოების მდიდარი ზედაფენის ერთ-ერთ ცდაზე— გაეტეხა ძველი ადათების ძალა შეძლებულთათვის ხელსაყრელი ახალი ადათების შექმნით, მოგვითხრობს დოკუმენტი, რომელიც ურუკაგინის რეფორმებს ეხება (იხ. ზემოთ, § 25).

---

* იგულისხმება კლასობრივი საზოგადოების ადათი, რაც სულ სხვაა, ვიდრე ის ადათი, ქცევის ის წესი, რომელიც წინაკლასობრივ საზოგადოებაში არსებობს.
ქართ. თარგ-ს რედაქტორი.

იგივე დოკუმენტი შეიცავს მითითებას, რომ სუმირში მატრიარქატის დროიდან შემორჩენილი იყო პოლიანდრის (მრავალქმრიანობის) ადათი, რასაც სახელმწიფო ამიერიდან აღარ სცნობს და სიკვდილით დასჯით ემუქრება იმ ქალებს, რომლებიც მას განაგრძობენ. გვაროვნული საზოგადოებიდან მომდინარე ადათის მეორე მაგალითად გამოდგება სასძლოს მოტაცების ჩვეულება, რასაც ძველი სუმერული კანონები იხსენიებენ და რის შენარჩუნებაც დაშვებულია კანონმდებლის მიერ, ოღონდ იმ პირობით, რომ მოტაცებას თან არ სდევდეს ძალადობის გამოყენება.

2. მაგრამ, ადათის გვერდით, ძალიან ადრე ჩნდება სამართლის მეორე წყარო — კ ა ნ ო ნ ი.

ეს წყარო უკვე სავსებით ძალაში იყო ურუკაგინის დროს (XXIX ს.) და, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა. ურის დინასტიის დროიდან ჩვენამდე მოაღწიეს სუმერული კანონების კოდექსის ნაწყვეტებმა. ეს კანონები ეხება შვილად აყვანის, ქალის მოტაცების, გემის პატრონისათვის მიყენებული ზარალის, დამქირავებლის მიერ ხარის პატრონისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხებს.

ურის დინასტიის დროის სუმერულმა კოდექსმა, უეჭველია, გავლენა მოახდინა ჰამურაბის მერმინდელ კანონებზე. მაგრამ ამ კანონებს ემჩნევა ძველ-სუმერული სამართლის სასტიკ დებულებათა მნიშვნელოვანი შერბილება.

3. ჰამურაბის კანონები (მათი გამოცემის მიზეზებზე იხ. ზემოთ, § 25, პ. 6) ვრცელ საკანონმდებლო ძეგლს წარმოადგენენ. ჰამურაბის კოდექსის მუხლთა საერთო რიცხვს 282-ს ანგარიშობენ. სუზში 1902 წელს ნაპოვნ ტექსტში მუხლების ნაწილი გადაშლილი აღმოჩნდა. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შევსებულ იქნა შემდგომი ნაპოვნით, ნაწილობრივ კი უფრო ადრინდელი ნაპოვნით.

რამდენიმე მუხლი, რაც ქვაზე ჯერ მოიპოვება, აღდგენილ იქნა ასურელ მეფე ასურბანიპალის ბიბლიოთეკიდან გადარჩენილი და უფრო ადრე ნაპოვნი ტაბლეტების მეოხებით, რომლებიც ჰამურაბის კანონთა ტექსტებს შეიცავდნენ, ხოლო სუზში სვეტის აღმოჩენის შემდეგ იქვე მალე აღმოჩენილ იქნა ისეთივე მასალის სხვა სტელის კიდევ 3 ნატეხი, რომელიც იმავე ტექსტს შეიცავდა, რის მეოხებით შესაძლებელი გახდა კანონების რამდენიმე მუხლის აღდგენა. 1914 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა ნიპურში წარმოებული გათხრებისას ნაპოვნი ტაბლეტი, რომელიც კო-

დექსის 90-162 მუხლების ტექსტს შეიცავდა. ამ ტაბლეტმა შესაძლებელი გახადა შეევსოთ კანონთა ტექსტი თერთმეტი ახალი მუხლით იმათი რიცხვიდან, რაც ძირითად ტექსტს აკლდა.

ამჟამად მთლიანად ან თითქმის მთლიანად უცნობი რჩება 21 მუხლი, ხოლო ოთხ მუხლში რჩება მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზები.

ჰამურაბის კანონები ითანამფლობელური საზოგადოების კოდექსს წარმოადგენენ. სასტიკი ზომებით იცავს იგი კერძო საკუთრებას მონებზე, სდევნის გაქცეული მონების დამალვას, ზრუნავს მათზე დასმული ნიშნების შენარჩუნებისათვის. მონის ჯანმრთელობის დაზიანება ან მისთვის სიცოცხლის წართმევა განიხილება როგორც მისი პატრონისათვის მიყენებული ზარალი და იწვევს არა დასჯას, არამედ მხოლოდ ვალდებულებას, რომ ანაზღაურებულ იქნას მიყენებული ზარალი. კოდექსი მიზნად ისახავს ყოველმხრივ დაიცვას მონათმფლობელთა ინტერესები, მონათმფლობელური სახელმწიფოს, ბაბილონის რელიგიური ორგანიზაციის ინტერესები, მონათმფლობელთა საკუთრება. მონებს ყველაზე დაბალი მდგომარეობა უკავიათ ბაბილონის საზოგადოებაში, თუმცა ამასთან ერთად ბაბილონში მონებისადმი დამოკიდებულებას ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ისეთი სისასტიკე, როგორიც თავს იჩენს შემდეგ, უფრო განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებაში — ძველი რომის საზოგადოებაში.

4. ჰამურაბის კოდექსის სისტემა. ჰამურაბის კოდექსი სამართლის სულ სხვადასხვა საკითხს ეხება. მაგრამ გადმოცემა მეტად დაშორებულია სიზუსტესა და სისრულეს. სამართლებრივი ნორმები გადმოცემულია კაზუისტიკურად, საკმაო განზოგადებათა მოუხდენლად. კოდექსი თავისი გადმოცემის უსრულობისა და კაზუისტიკურობის გამო ბევრ შემაფიქრებელ კითხვას ჰბადებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ჰამურაბის კანონები წარმოადგენენ სასამართლოს გადაწყვეტილებათა ან ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე მეფის მიერ გაცემულ ყველაზე მნიშვნელოვან განკარგულებათა ჩანაწერს.

[illegible]ოჟუაზიული მეცნიერნი ფიქრობენ, ჰამურაბის სასამართლო[illegible]ული თავის გადმოცემაში არავითარ სისტემას არ მისდევსო. ასეთი დასკვნა მნიშვნელოვნად აიხსნება იმით, რომ ჰამურაბის კოდექსში სამართლებრივი ნორმების გადმოცემისას მართლაც არ ტარდება სამართლებრივი მასალის ის განსხვავება, რომელიც ჩვეუ-

ლებრივია სამართლის ბურჟუაზიული სისტემებისათვის. მასში განსხვავებული არ არის სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი, შესამჩნევი არ არის კერძო და საჯარო სამართლის განსხვავება, არ არის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის განსხვავება. მაინც მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არის ბურჟუაზიული იურისტებისათვის ჩვეულებრივი დაყოფა სამართლისა, სწორი არ იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს ჰამურაბის კოდექსში არავითარი სისტემა არ იყოს და კანონმდებელი სამართლებრივი მასალის გადმოცემისას არავითარ წესრიგს არ მისდევდეს.

სისტემა აქ, უეჭველია, არის, და მისი შემჩნევა ძნელი არ არის, თუ კოდექსს ანალიზი გავუკეთეთ.

გადმოცემა სასამართლოს საკითხებით იწყება. ამისადმი მიძღვნილია კოდექსის პირველი ხუთი მუხლი, რომლებიც შეადგენენ თითქოს პირველს, მის შესავალ ნაწილს. ეს მუხლები მთელი გადაჭრილობით ილაშქრებენ სასამართლოებში გამეფებული თვითნებობის წინააღმდეგ. ისინი მოსამართლეს ემუქრებიან სასტიკი სასჯელით სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეცვლისათვის, ბრალმდებლებს — მძიმე სასჯელით — არაკეთილსინდისიერი ბრალდებისათვის, ხოლო მოწმეებს — სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ეს მუხლები საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ მოსამართლეთა და მოწმეთა იმ ფართოდ გავრცელებული მოსყიდვის სავალალო სურათი, რომელსაც ბაბილონში სისტემატურად მიმართავდა შეძლებული ზედაფენა.

შემდეგ იწყება ვრცელი ნაწილი, რომელიც მიძღვნილია საკუთრების საკითხების მოწესრიგებისადმი (მუხლები 6-126). ამას ეკუთვნის არა მარტო ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საკუთრების სხვადასხვა სახის, კერძოთ საადგილმამულო საკუთრების მდგომარეობას, არამედ ის ნორმებიც, რომლებიც ითვალისწინებენ საკუთრების დაცვას, კერძოდ, აწესებენ სასჯელს ქურდობისა და ძარცვისათვის, პასუხისმგებლობას ხის მოჭრისათვის, ყანის წანახედისათვის და სხვ. ამავე ნაწილს ეკუთვნის ყველა მუხლი, რომლებიც აწესრიგებენ საკუთრების შეძენის წესებს, სხვისი საკუთრებით სარგებლობის წესებს — სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტესობა და სხვ. ამ მეორე ნაწილს მოსდევს ქორწინებისა და ოჯახისადმი მიძღვნილი ნაწილი (მუხლები 127-195). აქ განხილულია არა მარტო დაქორწინების ფორმისა და წესების, მრავალცოლიანობის დაშვების პირობების, გაყრის პირობების, მეუღლეთა პირადი

და ქონებრივი ურთიერთდამოკიდებულების, აგრეთვე მშობლებისა და შვილების საკითხები,არამედ ამასთან ერთად გათვალისწინებულია ოჯახის და ოჯახური ურთიერთობის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულიც. ამ ნაწილის შემადგენლობაშივე, უშუალოდ მზითევისა და საქმროს წინასაქორწინო საჩუქრის შესახები მუხლების მიყოლით, არის მუხლები, რომლებიც ქონების მემკვიდრეობას განიხილავენ.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ნაწილს მისდევს პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობათადმი, უფრო სწორად რომ ითქვას, პიროვნებისა და მისი ჯანმრთელობის დაცვისადმი მიძღვნილი ნაწილი (მუხლები 196-214). ამ ნაწილს მიჰყვება კოდექსის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც მიძღვნილია შრომისადმი და შრომის იარაღებისადმი (მუხლები 215—282). ეს ნაწილი შეიცავს მუხლებს, რომლებიც აწესებენ ექიმის, ვეტერინარის, მშენებლის, გემის პატრონის გასამრჯელოსა და პასუხისმგებლობას, მუხლებს, რომლებიც ეხება ხარის დაქირავებას და მრქინავი ხარისათვის პატრონის პასუხისმგებლობას, სასოფლო-სამეურნეო მუშებს, ხელოსნებს, მწყემსებს, სასჯელს სასოფლო-სამეურნეო იარაღთა მოპარვისათვის, სახედრის, საზიდრის, გემის დაქირავებას და, დასასრულ, მონებს. ეს უკანასკნელი ნაწილი, მასში განხილული საკითხების მთელი სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, გაერთიანებულია იმ საგნის ერთიანობით, რომლისთვისაც იგი მიძღვნილია. მის ყველა მუხლში, ვიმეორებთ, ლაპარაკია შრომაზე და შრომის იარაღებზე.

ამრიგად, ჰამურაბის კოდექსის სისტემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. სასამართლო.
II. საკუთრება.
III. ქორწინება და ოჯახი.
IV. პიროვნების დაცვა.
V. შრომა და შრომის იარაღები.

კანონმდებლობასთან ერთად სამართლის წყაროთა მნიშვნელობა ჰქონდათ სხვადასხვაგვარ ადმინისტრაციულ განკარგულებებსაც, პირველ რიგში მეფის განკარგულებებს, რომლებიც ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში გაიცემოდა. ჩვენამდე მოაღწია მეფე ჰამურაბის მიწერ-მოწერამ ლარსის გუბერნატორ სინიდინამთან. ეს

მიწერმოწერა ქვეყნის მმართველობაში მეფის ყოველმხრივი ჩარევის მაგალითად გამოდგება და მეფის განკარგულებების, როგორც სამართლის წყაროს მნიშვნელობის დადასტურებას წარმოადგენს.

§ 30. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა

1. მონათმფლობელნი: ავილუმი და მუშკენუ. მონათმფლობელნი ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ, რომელთა წარმომადგენლებს სხვადასხვანაირი მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში: ა) ა ვ ი ლ უ მ ე ბ ა დ, რაც ნიშნავს „მამაკაცის შვილს“, ანუ „ადამიანის შვილს“, და ბ) „მ უ შ კ ე ნ უ ე ბ ა დ“, რაც აკადურად ნიშნავს „წვრილმან ხალხს“. უკანასკნელი კატეგორიის მონათმფლობელებს უფრო დაბალი მდგომარეობა ეკავათ ავილუმებთან შედარებით.

იმის ზუსტად დადგენა, თუ რით იყო გამოწვეული ავილუმისა და მუშკენუს განსხვავება, შეუძლებელი ხდება.

იმ საკანონმდებლო მასალისა და დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, უეჭველად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

ა) როგორც ავილუმს, ისე მუშკენუს ჰქონდა მონების მიმართ საკუთრების უფლება და, მაშასადამე, ისინი ბაბილონიის მონათმფლობელი კლასის წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ.

ბ) მთელ რიგ შემთხვევებში უფრო მძიმე სასჯელი იყო დაწესებული, როცა დაზარალებული იყო ავილუმი, და უფრო მსუბუქი სასჯელი იყო დაწესებული იმ შემთხვევებში, როცა მუშკენუ იყო დაზარალებული. ასე, მაგალითად, ავილუმის ფიზიკური დაზიანებისათვის (თვალის დათხრა, კბილის ჩამტვრევა და სხვ.) დამნაშავე პასუხს აგებს ტალიონის პრინციპის მიხედვით, ე. ი. მას ემუქრება ასოთდაზიანება. ხოლო თუ დაზარალებული არის მუშკენუ, დამნაშავე ჯარიმის გადახდით დააღწევს თავს. ჩხუბში მუშკენუს უცაბედად მოკვლისთვის ნაკლებ ჯარიმას იხდიან, ვიდრე ავილუმის მოკვლისათვის. ესევე ითქმის მთელ რიგ სხვა დანაშაულთა შესახებაც.

გ) მუშკენი ექიმ-ქირურგს მკურნალობისათვის ნაკლებს უხდიდა, ვიდრე ავილუმი; გაყრის შემთხვევაში იგი ცოლს გასაყრელ საფასურს ნაკლებს აძლევდა, ვიდრე ავილუმი (იხ. ქვემოთ, გვ.280).

დ) მაგრამ ამასთან ერთად შეიძლება აღინიშნოს მუშკენუს საკუთრების განსაკუთრებით ენერგიული დაცვა კოდექსის მთელი რიგი მუხლებით, სახელდობრ 8, 15, 16 მუხლებით, სადაც ლაპარაკია მუშკენუს ქონების მოპარვაზე, მისი მონების მოპარვასა და გადამალვაზე, ამასთან კანონმდებელი ამ მუხლებში მუშკენუს ქონებას სასახლისა და ტაძრების ქონების გვერდით იხსენიებს, რითაც თითქოს ხაზგასმით აღნიშნავს თავის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ სახის ქონებისადმი.

ე) მუშკენუს მონების მიმართ, ისევე როგორც სასახლის მონების მიმართ, დაწესებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს მონები თავისუფალ ქალებზე დაქორწინდნენ, ამ ქორწინებისაგან წარმომდგარი შვილები თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან. ამ დებულებით, უეჭველია, ილახებოდა მუშკენუს ინტერესები, ვინაიდან იგი ჰკარგავდა უფლებას ჩამომავლობის მიმართ, რომელიც შეიძლებოდა მისი მონის ქორწინებისაგან წარმოშობილიყო.

ამრიგად, ჰამურაბის კანონების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მუშკენუები თავისი მდგომარეობით ბაბილონის თავისუფალ მოქალაქეთა უფრო დაბალ ჯგუფს შეადგენენ, ვიდრე ავილუმები. რადგან მათ უფლება ჰქონდათ მონები ჰყოლოდათ, ისინი მონათმფლობელთა კლასს უნდა მიეკუთვნონ, მაგრამ ამასთან ერთად ცხადია, რომ ბაბილონის მონათმფლობელთა შორის ისინი რამდენადმე არასრულფასოვანი მოქალაქეების, მეორეხარისხოვანი მოქალაქეების ჯგუფს შეადგენდნენ.

ისეთი დოკუმენტალური მასალით, როგორიც ისტორიულ მეცნიერებას ძველი ბაბილონის შესახებ მოეპოვება, ძნელია სრული გარკვეულობით ითქვას, რით იყო გამოწვეული მონათმფლობელი კლასის დაყოფა ბაბილონიაში ავილუმებად და მუშკენუებად და რას წარმოადგენდა ეს დაყოფა.

თვითონ სიტყვა „მუშკენუს“ მკვლევარნი ზოგჯერ გადაუთარგმნელად სტოვებენ, ზოგჯერ კი იძლევიან თარგმანს, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ამ არასავსებით ნათელი საკითხის განმარტების ცდას. ასე, ი. მ. ვ ო ლ კ ო ვ ი ჰამურაბის კანონების თავის თარგმანში სიტყვა „მუშკენუს“ გადმოგვცემს სიტყვით „გააზატებული“. კ ე ლ ე რ ი გერმანულ თარგმანში სიტყვა „მუშკენუს“ გადმოგვცემს სიტყვით „მინისტერიალი“, ვინაიდან ფიქრობს, რომ მუშკენუები სასახლის მსახურნი იყვნენ, რომელთა მდგომარეობა საშუალო საუკუნეთა მინისტერიალების ანალოგიური

ყო. აკადემიკოსი ვ. ვ. ს ტ რ უ ვ ე ფიქრობს, რომ მუშკენუებად უნდა ვიგულისხმოთ იმ ქალაქებისა და ოლქების მცხოვრებნი, რომლებიც დაპყრობილი იყვნენ ბაბილონის მიერ, ე. ი. უმთავრესად სუმირის მცხოვრებნი[1]. აკადემიკოსი სტრუვე „მუშკენუს“ სთარგმნის სიტყვით „ქვეშევრდომი“. ჰამურაბის კანონთა უახლოესი ფრანგი მთარგმნელი კ რ ი უ ვ ე ლ ი ე სიტყვა „მუშკენუს“ სრულიად გადაუთარგმნელად სტოვებს.

ავილუმისა და მუშკენუს განსხვავების მნიშვნელობაზე თავისი შეხედულების დასადასტურებლად აკადემიკოსი სტრუვე იმ მოვლენაზე მიუთითებს, რომელიც, მისი აზრით, არ არსებობდა ბაბილონში, სახელდობრ, თითქოს კერძო საკუთრება ჰქონდათ მხოლოდ მუშკენუებს, ე. ი. სამხრეთის ეკონომიურად უფრო განვითარებული ქალაქების მცხოვრებლებს, და ფორმალურად არა ჰქონდათ ჩრდილოეთში, ბაბილონელებს, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო თემური მონათმფლობელობის ელემენტები და სადაც ინდივიდუალური მფლობელობა „გადმონაშთის სახით განიხილებოდა როგორც ტაძრის ან მეფის ქონება“[2]. თავის ამ აზრს, თითქოს მონების მიმართ კერძო საკუთრება მხოლოდ მუშკენუებთან არსებობდა და თითქოს ავილუმების მიერ მონების ინდივიდუალური ფლობა განიხილებოდა როგორც ტაძრების ან სასახლის საკუთრება ამ მონების მიმართ, ავტორი ადასტურებს ჰამურაბის კანონების 15, 16და 175 მუხლებზე მითითებით, სადაც სასახლის მონები და მუშკენუს მონები სამჯერ არიან ერთმანეთთან შეპირისპირებულნი და ამავე დროს ცალკე ნახსენები არ არიან ავილუმების მონები, აგრეთვე მე-8 მუხლზე მითითებით, სადაც ისევ შეპირისპირებულია სასახლის ქონება და მუშკენუს ქონება, ხოლო ავილუმების ქონება სრულიადაც არ არის მოხსენებული.

თუმცა 15, 16და175 მუხლებში მართლაც სამჯერ მეორდება სასახლის მონის და მუშკენუს მონის შეპირისპირება და ამავე დროს სრულიად არ იხსენიებიან ავილუმის მონები, მაგრამ სამართლის წიგნის მთელ რიგ სხვა მუხლებში მონები ზოგადი ფორმით არიან მოხსენებულნი და სპეციალურად მუშკენუს მონებზე არავითარი მითითება არ მოიპოვება. ასეთია 199, 205, 213, 214, 217, 223, 231, 252 მუხლები. მუხლი 219, პირიქით, იხსენიებს მხოლოდ

---

[1] История древнего мира, т. I (Древний Восток), 1936, стр. 105.

[2] История древнего Востока, 1941, стр. 96.

მუშკენუს მონებს და არ იხსენიებს სასახლის მონებს. აქედან, გვგონია, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ მუხლები 15, 16 და 175 ითვალისწინებენ მხოლოდ განსაკუთრებულ, საგანგებო შემთხვევებს რომლებიც მუშკენუს და სასახლის მონებს ეხება და ავილუმის მონებს არ ეხება (სიკვდილით დასჯა მონის გაქცევის ხელშეწყობისათვის და მონის დამალვისათვის, ალბათ, მონების მხოლოდ ზემოაღნიშნულ კატეგორიებს ეხება (15, 16); ასევე 175 მუხლში გადმოცემული წესიც მონის და თავისუფალი ქალის ქორწინებისაგან წარმოშობილ ჩამომავლობაზე). სასახლის მონები და მუშკენუს მონები რომ ამოსწურავდნენ მონების ყველა კატეგორიას, მაშინ 15, 16 და 175 მუხლებში მოცემული ფორმულირება განმეორებული იქნებოდა ყველა სხვა შემთხვევაშიც, სადაც კი ლაპარაკია მონებზე. ნამდვილად კი ყველა შემთხვევაში, გარდა აღნიშნული სამი შემთხვევისა, სასამართლოს წიგნი ლაპარაკობს მხოლოდ მონებზე ან განსაკუთრებით მუშკენუს მონებზე.

ნაკლებად წარმოსადგენია აგრეთვე, რომ ავილუმების „კოლექტიური მფლობელობის ობიექტი ყოფილიყვნენ არა მარტო მონები, არამედ ყოფილიყო სხვა მოძრავი საკუთრებაც“[1] ან რომ „ეს ქონება გადმონაშთის სახით განიხილებოდეს როგორც სატაძრო ან სამეფო ქონება“. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ მხოლოდ მუშკენუებს ჰქონდეთ კერძო საკუთრება მონების და პირუტყვის მიმართ და იგი არა ჰქონოდეთ ავილუმებს. ეს სავსებით როდი ეთანხმება დოკუმენტებს და ჰამურაბის კანონების სხვა მუხლებს.

როგორც ეტყობა, ავილუმების კუთვნილი მონებისა და პირუტყვის მოუხსენებლობა 8, 15 და 16 მუხლებში აიხსნება არა იმით, რომ ავილუმებს მონებისა და მოძრავი ქონების მიმართ კერძო საკუთრება არა ჰქონდეთ, არამედ სხვა მიზეზებით. რა მიზეზებია ეს?

როგორც ჩვენ გვგონია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კანონებში მოწესრიგებული როდია ყველა საკითხი, რომლებიც შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ და წარმოიშვებოდა პრაქტიკაში. ცხადია, რომ კოდექსს დიდი ხარვეზები აქვს. ძნელია დარწმუნებით აიხსნახ, რით არის გამოწვეული ეს ხარვეზები. შესაძლებელია, რომ კოდექსში არ ჩაუწერიათ ის, რაც სხვა კანონებით ან მთავრობის აქტებით იყო მოწესრიგებული, ან ის, რაც უდავოდ, საყოველთაოდ ცნობილად ითვლებოდა და რის დადასტურებაც საჭიროდ არ იყო

[1] История древнего мира, т. I, (Древний Восток), 1936, стр. 105.

მიჩნეული. შესაძლებელია, რომ თავს იჩენდა არა საკმაო იურიდიული კულტურა, იმის უუნარობა თუ უსურველობა, რომ მოეცათ სავსებით ზოგადი, ყოვლისმომცველი ფორმულირება. სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ სასამართლოს წიგნი წარმოადგენდეს სასამართლოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ჩანაწერს ან სასამართლოს პრაქტიკის განზოგადოებას. ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია, რომ კანონი მხოლოდ ზოგიერთ ურთიერთობას ეხებოდა და მოუხსენებლად და გაუშუქებლად სტოვებდა თავისი მნიშვნელობით „მომიჯნავე“ სხვა ურთიერთობებს.

მონათმფლობელთა შორის ცალკე გამოიყოფიან ე. წ. დ ა მ კ ა რ ე ბ ი, ბაბილონელი მევახშენი და მოვაჭრენი, ბაბილონის საზოგადოების ფულიანი ადამიანები. ჰამურაბის კოდექსი მათ არაერთხელ იხსენიებს და ადასტურებს მათს მნიშვნელოვან როლს სხვადასხვაგვარ ფულადსა და სავაჭრო ოპერაციებში. მათ მიმართავენ როცა ფული სჭირდებათ. ისინი ჰამურაბის კანონებში იხსენიებიან იმ შემთხვევებში, როცა საქმე კრედიტორს ეხება. ისინივე, ალბათ, ყიდულობდნენ მიწებს, ამასთან კანონი მათ ნებას რთავს შეისყიდონ ხოლმე პრინციპულად გაუსხვისებელი „ილკუს“ ნაკვეთებიც (იხ. ქვემოთ, § 31).

სახელმწიფოში დიდი წონა ჰქონდათ ქ უ რ უ მ ე ბ ს. ტაძრებს უამრავის სიმდიდრე გააჩნდათ. მათ ყველგან მოეპოვებოდათ შენობები, მინდვრები, მარცვალსაცავები, ჯოგები. ისინი აწყობდნენ სახელოსნოებს, ეწეოდნენ მევახშეობასა და ვაჭრობასა. მათთვის მუშაობდა დიდძალი მონა. კანონებით დადგენილია ტაძრების პრივილეგიები, რომლებიც სასახლის პრივილეგიების გვერდით იხსენიება. ტაძრები თავიანთ სასარგებლოდ იღებდნენ განსაკუთრებულ გადასახადებს, გამოსაღებებს საკულტო წესებისათვის, იღებდნენ შესაწირავებს.

ქვეყანაში ბლომად იყვნენ ქურუმები, შემლოცველები, მკითხავები, ასტროლოგები, მგალობელნი და მისთანანი, რომლებიც რელიგიურ კულტს ასრულებდნენ და ტაძრების უამრავ ქონებას განაგებდნენ.

ქურუმებს დიდხანს ეპყრათ ხელთ იუსტიცია და, ისინი, უეჭველია, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მართვა-გამგებლობაშიც. მათი როლი სახელმწიფოში თუნდაც იქიდან სჩანს, რომ

ბაბილონში იყო დღესასწაულები, როცა მეფეებს—თავიანთი ღირსების ნიშნები უნდა მოეხსნათ ქურუმთა წინაშე, რათა შემდეგ კვლავ მიეღოთ ისინი ქურუმთა ხელიდან.

ქურუმთა უმაღლეს თანამდებობებს წარჩინებული პირები იკავებდნენ, ხშირად მეფის ნათესავებიც კი.

მონათმფლობელური მეურნეობის განვითარებას, რასაც თან სდევდა ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია, რომელიც მთლიანად ჰამურაბის დროს განხორციელდა, შედეგად მოჰყვა ქურუმთა როლის ერთგვარი შემცირება. მონათმფლობელი კლასის ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული არიან ცენტრალიზაციით, განსაკუთრებით სასაზღვრესთან დაახლოებული წრეები, ისწრაფვიან, რათა რამდენადმე შეზღუდონ ქურუმთა გაძლიერებული გავლენა, და ამაში, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, ერთგვარ წარმატებას აღწევენ.

2. მონები. მონები—ვარდუმები—თავიანთი პატრონის საკუთრებას შეადგენდნენ. მათ გაჰყიდიან, გაასაჩუქრებენ, გააქირავებენ, მემკვიდრეობით გადასცემენ. მონას შეეძლო პროტესტი განეცხადებინა გაყიდვის წინააღმდეგ, და ამ შემთხვევაში საქმეს სასამართლო გაარჩევდა.

მონობის წყაროებს წარმოადგენდნენ არა მარტო სამხედრო ტყვეობა და მონა ქალისაგან დაბადება, არამედ მშობლების მიერ თავიანთი შვილების მონებად გაყიდვა, აგრეთვე მოვალის ვალაუვალობა. სავალო კაბალა და მშობლების მიერ შვილების გაყიდვა იწვევდა თანატომელების, ბაბილონელთა მიერ ბაბილონელთა დამონებას.

თავდაპირველად სავალო კაბალა არავითარი ვადით არ ყოფილა შეზღუდული, ასე რომ ვალაუვალი პირი სამუდამოდ ჰკარგავდა თავისუფლებას. ჰამურაბიმ დაადგინა, რომ სავალო მონობა მოვალის ცოლისა და ვაჟისათვის არ შეიძლებოდა სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელებულიყო (იხ. ქვემოთ, გვ. 143).

მაგრამ ახალი ბაბილონის ეპოქაში იყო შემთხვევები, რომ ვაჟიშვილი 10 წლის განმავლობაში რჩებოდა ორი ქურუმი ქალის მონად, ვიდრე აღიარებული იქნებოდა, რომ მან თავისი მამის ვალი მუშაობით აანაზღაურა.

ბაბილონში მონას უფლება ჰქონდა მინიჭებული თავისი ქონება ჰქონოდა. მას შეეძლო გარიგება მოეხდინა ამ ქონების გამო. მაგრამ იგი მაინც ვერ ჩაითვლება თავისი ქონების მესაკუთრედ.

მონის სიკვდილის შემდეგ ეს ქონება მთლიანად მისი პატრონის ხელში გადადიოდა. მონისათვის ცალკეული ქონების ფლობის უფლების მინიჭება მიზნად ისახავდა დაეინტერესებინა მონა თავისი მუშაობის შედეგებით და ამით გაედიდებინა მისი შრომის ნაყოფიერება. ამავე მიზნით მონათმფლობელი მონის გაქირავებისას ხშირად პირობას დასთქვამდა, რომ ქირის ნაწილი მონას დარჩენოდა, რათა იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის ხარისხი ცუდი აღმოჩნდებოდა, დამქირავებელს შესძლებოდა თავის სასარგებლოდ დაეკავებინა მონის კუთვნილი წილი.

მონების გაქცევა რომ თავიდან აეცილებინათ, მათ დაღავდნენ. არსებობდა „გაუსხვისებელი" მონის განსაკუთრებული ნიშანი; პატრონის დაუთანხმებლად ამ ნიშნის[1] მოცილება სასტიკ სასჯელს იწვევდა (მუხლები 226, 227). მონის მოპარვა, გაქცეული მონის დამალვა, აგრეთვე ნაპოვნი მონის დაკავება სასტიკად ისჯებოდა. გაქცეული მონის შეპყრობისათვის, პირიქით, დაწესებული იყო კანონით დადგენილი გასამრჯელო (მუხლები 15, 16, 17, 19).

ბაბილონში დაშვებული იყო მონების გააზატება. მონის განთავისუფლებისას ხდებოდა მისი შუბლის გაწმენდის განსაკუთრებული ცერემონია, ე. ი. მისი მონური მდგომარეობის ნიშნის მოცილება.

§ 31. საკუთრების უფლება

1. საადგილმამულო საკუთრება. მიწა ბაბილონში, როგორც წესი, სახელმწიფოს და თემის საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ საკმაოდ ადრე, კოლექტიურ სახელმწიფო და სათემო საკუთრებასთან ერთად, ბაბილონში ჩნდება მიწის კერძო საკუთრებაც. მინდვრების გაყიდვა ჰამურაბიმდე დიდი ხნით ადრეა ცნობილი. იგი ასახულია დოკუმენტებში, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე XXVI საუკუნეს განეკუთვნება.

ჰამურაბის ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწია მრავალმა დოკუმენტმა, რომლებიც მოწმობენ კერძო საკუთრების საკმაოდ ფართოდ

---

[1] ვოლკოვთან — „დაღი". უფრო ზუსტად დადგენა იმისა, თუ მონების რომელი კატეგორიები ატარებდნენ „გაუსხვისებელთა" დაღს, შეუძლებელი ხდება.

გავრცელებას ბაბილონში; ასეთებია სახლების, მინდვრების, ბაღების, მონების და სხვათა გაყიდვის აქტები. ამ დოკუმენტების ნაწილი მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებში ინახება[1].

სახელმწიფო მიწები განიხილება როგორც მეფის მიწები, როგორც სასახლის კუთვნილი მიწები. ამ მიწების ნაწილს მეფე გადასცემს წვრილ მიწათმოქმედთ ნატურის ფასად, — მიამაგრებს მათ მიწაზე, ზოგ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს უთმობს არა მარტო მიწის ნაკვეთს, არამედ მთელ საჭირო ინვენტარსაც. სხვა ნაწილს მეფე აძლევს თანამდებობის პირებსა და მხედრებს მათი სამსახურის ასანაზღაურებლად.

ა) „ი ლ კ უ“ — ქ ო ნ ე ბ ა. ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ მხედარს ყოველთვის როდი შეუძლია თვითონ დაამუშაოს მიწა, და ამიტომ მიწის ნაკვეთთან ერთად მას აძლევენ მუშა-ხელს მიწაზე მიმაგრებულ მიწათმოქმედთა რიცხვიდან, ალბათ, დაპყრობილი მიწების მცხოვრებთა რიცხვიდან.

მოხელეებისა და მხედრებისათვის დათმობილი ნაკვეთები მათ რჩებათ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ისინი სამსახურს ასრულებენ, და მემკვიდრეობით გადადის მათს შვილებზე, თუ ამ უკანასკნელთ იგივე სამსახური დაეკისრათ.

ეს მიწები, აგრეთვე მოხელისა ან მხედრისათვის დათმობილი სახლები და ინვენტარი შეადგენენ ქონების განსაკუთრებულ ჯგუფს —ეგრეთწოდებულ „ილკუ“—ქონებას. ილკუ ისეთი ქონებაა, რომელსაც მეფე იძლევა სამსახურის გაწევის პირობით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის განსაკუთრებულ ვალდებულებათა შესრულების პირობით.

მიწები, სახლები და სხვა ილკუ-ქონება ამოღებულია ბრუნვიდან: არ შეიძლება მათი არც ყიდვა, არც გაყიდვა, არც ცოლისა თუ ქალიშვილისათვის ანდერძით მიცემა, არც ტყვეობიდან მხედრის გამოსასყიდლად მოხმარება, არც თავისი ვალის გადასახდელად გამოყენება. თუ ვინმე განიზრახავს იყიდოს მხედრის ყანა, ბაღი და სახლი, ხელშეკრულება ძალამოკლებულად ითვლება: ასეთ ნასყიდობის დასადასტურებლად შედგენილი ტაბლეტი დამტვრეულ უნდა იქნას, და მყიდველი მთელ თავის გადანახადს ჰკარგავს. ყანა, სახლი, ბაღი მათს პატრონს უბრუნდება.

---

[1] იხ. დოკუმენტების პუბლიკაცია ა. პ. რიფტინის წიგნში, Старовавилонские юридические и административные документы в собраниях СССР, М.-Л., 1937.

ჰამურაბის სამართლის წიგნით მე-40 მუხლით ადგენს მხოლოდ ორ გამონაკლისს, როცა ილკუ-ქონების გაყიდვა დასაშვებად ითვლება: ჯერ-ერთი, იგი შეიძლება მიეყიდოს დ ა მ კ ა რ ე ბ ს, მეორეც, ილკუ-ქონების სხვა მფლობელებს იმ ვარაუდით, რომ მყიდველი კისრულობს გამოსაღებთა გადახდას ხაზინის სასარგებლოდ. ამრიგად, ნებადართულია მიეყიდოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველჰყონ ამ ქონების ფლობასთან დაკავშირებულ გამოსაღებთა შეტანა.

რათა ილკუ-ქონების გაყიდვის აკრძალვას გვერდი არ აუარონ, კანონი კრძალავს ილკუს ნაკვეთის, ბაღის ან სახლის გაცვლასაც. მხარეები, რომლებმაც გაცვლა მოახდინეს, წინანდელ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებულნი. თუ ილკუ-ქონების მფლობელს გაცვლისას დამატებითი საზღაური მისცეს, ეს საზღაური მის სასარგებლოდ რჩება.

ბ) ი ლ კ უ-ქ ო ნ ე ბ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი. ილკუ-ქონების მფლობელი ვალდებულია პირადად შეასრულოს სამხედრო სამსახური სახელმწიფოს სასარგებლოდ. თუ იგი შემცვლელს დაიქირავებს, რომელსაც თავის მაგივრად გაჰგზავნის სამსახურში, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს და მისი სახლი გადაეცემა იმას, ვინც მან თავის შემცვლელად დაიქირავა (მუხ. 26).

თუ მხედარი ტყვედ მოხვდა, ილკუს ნაკვეთი ან ბაღი მის მოზრდილ ვაჟს გადაეცემა სამსახურის გაწევის პირობით. თუ მისი ვაჟი მცირეწლოვანია და სამსახურს ვერ გასწევს, დედამისს უტოვებენ ყანისა და ბაღის ნაწილს, რომ მან ვაჟის აღზრდა შესძლოს.

მხედარი ვალდებულია დაამუშაოს მისთვის გადაცემული ილკუ-მიწა. თუ ამ მიწას იგი დაუმუშავებლად დასტოვებს სამი წლის განმავლობაში და ვინმე სხვა დაეუფლება მას და იკისრებს ამ მიწის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, მაშინ პირვანდელი მფლობელი ჰკარგავს ყველა თავის უფლებას მიწის მიმართ (მუხ. 30).

გ) მ ი წ ი ს თ ე მ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა. თემური საკუთრება დიდხანს რჩება სახელმწიფო (სასახლის და სატაძრო) საკუთრების გვერდით. მის ხანგრძლივად შენარჩუნებას აქ ხელს უწყობდა ის, რომ აუცილებელი იყო წყლის ერთობლივი ორგანიზებული მოხმარება მინდვრების მოსარწყავად.

მიწა, რომელიც თემის საკუთრებას შეადგენდა, განაწილებული იყო სოფლებს შორის. ტერიტორია, რომელზედაც განლაგებული იყო თემი, უფრო პატარა ტერიტორიულ ერთეულებად ნაწილდებოდა. სათემო მიწა იყოფოდა პარცელებად, რომლებიც ნაწილდებოდა მოცემული ადგილის მცხოვრებლებს — „მეზობლებს“ შორის, როგორც ისინი იწოდებიან დოკუმენტების ტექსტებში. მიწებს, ალბათ, წილის ყრით ანაწილებდნენ; მიწას დროებით იძლეოდნენ, ხდებოდა მისი პერიოდული გადაყოფა, ამასთან თემის ხელმძღვანელებს მისი ჩამორთმევის უფლება ჰქონდათ.

თემის ცალკეულ წევრებს მიწის მხოლოდ დროებით სარგებლობის უფლება ჰქონდათ, არ შეეძლოთ იგი გაესხვისებინათ ან მემკვიდრეობით გადაეცათ. ზოგ შემთხვევაში დაიშვებოდა სათემო მიწის გასხვისება; გასხვისება უფრო ხშირად მეფის სასარგებლოდ ხდებოდა.

მიწის გასაყიდად, როგორც სჩანს, საჭირო იყო მეზობლების თანხმობა. ამ წესის ნაშთს წარმოადგენდა გაყიდული მიწის უკან შესყიდვის უფლება, რომელიც მეზობლებს რჩებოდათ.

კასიტური ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწიეს ეგრეთწოდებულმა „კუდურუმ“ (კუდურუ ნიშნავს „საზღვარს“, „მიჯნას“), ქვა-დოკუმენტებმა (ზოგჯერ $^3/_4$ მეტრამდე სიმაღლისა), რომლებიც, დაინტერესებულ პირთა ბეჭდებით დამოწმებულნი, იდგმებოდნენ ნაკვეთების საზღვარზე და მათი მფლობელების უფლებათა დამადასტურებელნი უნდა ყოფილიყვნენ. კუდურუს ასლი ჩვეულებრივ ტაძრებში ინახებოდა, ხოლო უფრო გვიან, ნაცვლად იმისა, რომ ქვები მინდორში დაედგათ, მათ ტაძარში ათავსებდნენ. ნაკვეთების საზღვრები მოქცეული იყო ღმერთების მფარველობაში, განსაკუთრებით ღმერთ ნინიბისა, რომელიც „საზღვრებისა და სასაზღვრო ქვების მეუფე“ იყო.

ამ ქვა-დოკუმენტებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ მეფე, როცა მიწებს კერძო მფლობელებს უბოძებდა, ხშირად მათ იძენდა თემებისაგან—bitu-საგან, ტერიტორიული „მეზობელი“ თემებისაგან. ეს გარემოება დასტურდება იმით, რომ მეთემურნი ხშირად აღინიშნებოდნენ ტერმინით „ეზობლები“.

ზოგჯერ კუდურუ იდგმებოდა იმ კერძო საკუთრების დაცვის მიზნითაც, რომელიც შეძენილი იყო ცალკეული პირებისაგან შესყიდვის გზით, ბოძების, გაცვლის, გაყიდვის ან მზითვად გადაცემის გზით.

თემები კასიტურ ეპოქაში არ ყოფილან ახალი რამ, რაღაც დამპყრობთა მიერ შემოტანილი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. თემები, უეჭველია, კიდევ უფრო მეტად დამახასიათებელია ბაბილონის საზოგადოებისათვის კასიტების მიერ ბაბილონის დაპყრობამდე.

ეს სჩანს ჰამურაბის კანონების თუნდაც 23 და 24 მუხლებიდან, რომლებიც თემს — alu-ს ვალდებულებად აკისრებენ აუნაზღაუროს ზარალი გაძარცვით დაზარალებულს, როცა დამნაშავე ვერ უპოვნიათ. თემისათვის რაბის გარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ჰგულისხმობენ 53 და 54 მუხლები.

მეფე მანიშტუსუს (XXVI საუკ.) ობელისკის ცნობილ წარწერებიც ადასტურებენ, რომ მეფე თემებისაგან მიწებს ყიდულობდა. ამრიგად, სოფლური თემები ორმდინარეთში დიდიხანია არსებობდნენ და ხანგრძლივად რჩებოდნენ.

სათემო მიწის კერძო საკუთრებად გადასვლა თავის გამოხატულებას ჰპოვებდა კუდურუში. კუდურუ აღნიშნავდა, მაგალითად, რომ მეფემ გაასაჩუქრა თემის კუთვნილი მიწა, რისთვისაც თემმა საზღაური მიიღო.

სათემო მიწის დათმობა ხდებოდა როგორც საზღაურით, ისე უფასოდ. მიწაში ზოგჯერ იხდიდნენ არა ფულს, არამედ პროდუქტებსა და საგნებს, როგორიც იყო: მარცვლეული, ზეთი, პირუტყვი, ტანისამოსი, საზიდარი. მიწის უფასო გადაცემა ხდებოდა იმ საბაბით, რომ თემს რაიმე მომსახურება გაუწიეს.

მიწა, რომელსაც მეფე კუდურუს თანახმად გადასცემდა, კერძო მემკვიდრეობითი საკუთრება ხდებოდა. მაგრამ მესაკუთრეს ეკისრებოდა ზოგიერთი ვალდებულება მეფის სასარგებლოდ (ვალდებულებანი, დაკავშირებულნი საირიგაციო ნაგებობათა სათანადოდ შენახვასთან, გზებისა და ხიდების მშენებლობასთან და სხვ.), ვალდებულებანი თემის სასარგებლოდ (გამოსაღების ხე-ტყით, ბალახით, ჩალით, მარცვლეულით გადახდევინების უფლება, საძოვრების, პირუტყვის სადგომების და სხვათა მოთხოვნის უფლება), ვალდებულებანი მეზობლების სასარგებლოდ (ცალკეულ შემთხვევებში წყლის სარგებლობის უფლება და სხვ.).

მეფის მიერ მიწის ბოძებას ზოგჯერ თან ახლდა აქტი, რომელიც აწესებდა სხვადასხვაგვარ შეღავათს, როგორიც იყო: მეფის არხებისათვის ზრუნვისაგან, ახალ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოებისაგან განთავისუფლება, წყალსაცავების სათანა-

დოდ შენახვისათვის ზრუნვისაგან განთავისუფლება, პირუტყვისა და საზიდრების რეკვიზიციისაგან, ტაძრების სასარგებლოდ გამოსაღებისაგან, ყოველგვარი სამუშაოსაგან, გზებისა და ხიდების აგების ხელშეწყობისაგანაც კი განთავისუფლება.

მიწის კერძო საკუთრებას ჩვეულებრივ იძენდნენ განსაკუთრებულ ფორმალობათა შეუსრულებლად, დოკუმენტის შედგენის შედეგად, რასაც მყიდველი თავის ბეჭედს დაასვამდა. ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვისას კუდურუს, ზოგიერთ გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივ არ ადგენდნენ; კუდურუს ადგენდნენ ან—მაშინ, როცა იყო საშიშროება, რომ მიწაზე რატომღაც პრეტენზიას განაცხადებდა თემი სათემო მიწებს შორის მისი მდებარეობის გამო ან სხვა მიზეზით, ან მაშინ, როცა საქმე ეხებოდა საზღვრისპირა მიწას, რომელსაც შეიძლებოდა მტრები დასხმოდნენ თავს, და სხვ.

ზოგჯერ კუდურუ სპობდა დავას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სწარმოებდა ოჯახის წევრებს შორის ან ორ ოჯახს შორის.

2. კერძო საკუთრების დაცვა. კერძო საკუთრებას ბაბილონში უაღრესად გადამჭრელი ზომებით იცავდნენ. ქურდს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, თუ იგი ვერ შესძლებდა კანონით დაწესებული უდიდესი ჯარიმის გადახდას.

მესაკუთრეს შესაძლებლობა ენიჭებოდა აგრეთვე მოეთხოვა თავისი ნივთი ყოველი პირისაგან, ვისაც იგი აღმოაჩნდებოდა. ამ შემთხვევაში, თუ ნივთის მფლობელი იტყოდა, რომ ნივთი მან იყიდა, მესაკუთრეს სასამართლოსთან უნდა მიეყვანა მოწმეები, რომლებიც შესძლებდნენ დაედასტურებინათ, რომ სადავო ნივთი მისი კუთვნილებაა, ხოლო პირს, რომელსაც ნივთი აღმოაჩნდა, უნდა მიეყვანა გამყიდველი და მოწმენი, რომელთა დასწრებითაც მან ნივთი იყიდა.

თუ მოწმეთა დაკითხვა დაადასტურებდა, რომ სხვისი ნივთი იქნა გაყიდული, მესაკუთრე უკან მიიღებდა თავის ნივთს, ხოლო მყიდველი გამყიდველისაგან მიიღებდა იმას, რაც მან ამ ნივთში გადაიხადა, გამყიდველი კი ქურდად იქნებოდა მიჩნეული და სიკვდილით დაისჯებოდა, როგორც ქურდი. თუკი ნივთის მფლობელი, რომლის წინააღმდეგაც მესაკუთრე დაობდა, ვერ შესძლებდა მიეთითებინა იმ პირზე, ვინც მას ნივთი მიჰყიდა, და ვერ შესძლებდა წარმოედგინა მოწმეები, რომლებიც ნივთის გაყიდვას დაადასტუ-

რებდნენ, ხოლო მესაკუთრე მოწმეთა ჩვენებით დაამტკიცებდა, რომ ნივთი მისია, მაშინ ნივთის მფლობელი მიჩნეული იქნებოდა ქურდად და სიკვდილით დაისჯებოდა. თუ, პირიქით, მოსარჩლე, რომელიც ნივთზე პრეტენზიას აცხადებდა, ვერ შესძლებდა დაემტკიცებინა თავისი საკუთრების უფლება, იგი სიკვდილით დაისჯებოდა როგორც ცილისმწამებელი.

§ 32. სავალდებულებო სამართალი

ა. სახელშეკრულებო ვალდებულებანი

1. ზოგადი ვალდებულებანი. ჰამურაბის ეპოქა საკმაოდ განვითარებული სახელშეკრულებო სამართლით ხასიათდება. სხვადასხვა ხელშეკრულებათა რიცხვი, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და პრაქტიკაში ვხვდებით, საკმაოდ დიდია. ეს მოწმობს ბრუნვის შედარებით დიდ განვითარებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებობას და მევახშეობის მნიშვნელოვან როლს ბაბილონის მონათმფლობელურ საზოგადოებაში. უეჭველია, ჩვენ აქ უკვე ვხვდებით საკმაოდ რთულ ურთიერთდამოკიდებულებასა და ანგარიშსწორებას, ზოგჯერ მონაწილეთა დიდ რიცხვს, რაც სავაჭრო ურთიერთობისა და კრედიტის მნიშვნელოვნად განვითარებას მოწმობს.

ხელშეკრულებათა დასადებად რაიმე რთული ან საჯარო ფორმა არ იყო საჭირო. მაგრამ წერილობითი ფორმა სავალდებულო იყო ცალკეულ შემთხვევებში (იხ. ქვემოთ, გვ. 153). მონის ყიდვა-გაყიდვისას აუცილებელი იყო მოწმეთა დასწრება, მყიდველის ფიცი. დამახასიათებელი იყო განუხრელად გატარებული ფორმა წერილობითი ხელშეკრულებებისა, რომლებიც მოკლედ, გარკვეული განმეორებითი წესით გადმოგვცემდნენ გარიგების რაობას. როგორც ეტყობა, მიღებული იყო საქმიანი დოკუმენტების განსაზღვრული ფორმულირება. ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაყოფის და ზოგიერთ სხვა აქტებში ვხვდებით ფიცს, რასაც უნდა დაედასტურებინა გარიგების ურღვეობა და მხარეთა განზრახვა, რომ ისინი გარიგებას არაფერში არ გადაუხვევდნენ. ჩვეულებრივ ფიცულობდნენ ადგილობრივს ღმერთებს, მაგრამ ხშირად ღმერთების სახელებს დაუმატებდნენ მეფის, როგორც ღვთაებრივი არსების სახელს. გარდა ამისა, დოკუმენტების შედგენაში მონაწილეობენ მოწმენი, რომლებმაც უნდა დაადასტურონ დოკუმენტის შედგენა. მოწმეთა

რიცხვი უდრის ორ-სამ კაცს, ზოგჯერ გაცილებით მეტია. მაგრამ მოწმეები მხოლოდ იხსენიებიან ხელშეკრულებებში, ხელს კი არ აწერენ მათ. მოწმეებთან ერთად დოკუმენტში იხსენიება აგრეთვე მწერავი, რომელიც მას ადგენს. მხარეები დოკუმენტებს ამოწმებდნენ აგრეთვე თავიანთი ბეჭდების დასმით.

ხელშეკრულებანი, ისე როგორც ბაბილონის ყველა საქმიანი დოკუმენტი, თიხაზე იწერებოდა, რომელსაც დაწერის შემდეგ მზეზე გააშრობდნენ ან ცეცხლში გამოსწვავდნენ. ამნაირად დამუშავებული თიხა მტკიცე, მკვიდრ ტაბლეტად გადაიქცეოდა; ბევრი ასეთი ტაბლეტი დღევანდლამდე შენახულა მიწაში. თიხაზე სწერდნენ ლერწმის გრიფელით, რის გამო ნაწერის შრიფტი სხვადასხვა მიმართულებით განლაგებული სოლების გარეგნობას იღებდა (ლურსმული ნაწერი). ზოგჯერ ამზადებდნენ კონვერტიან ტაბლეტებს: ტაბლეტს ჩასდებდნენ თიხის გარსში, რომელზედაც განიმეორებდნენ მის ტექსტს და დაასვამდნენ ბეჭდებს. ამ გზით ცდილობდნენ დაეცვათ დოკუმენტი ყალბისქმნისაგან: იქმნებოდა ორი ტექსტი, რომელთაგან ერთი მიუწვდომელი რჩებოდა, სანამ კონვერტს არ ააგლეჯდნენ.

ხელშეკრულებათა შეუსრულებლობისათვის სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირი პასუხისმგებლობა იყო დაწესებული. თავდაპირველად მოვალე, როგორც სჩანს, პასუხს აგებდა თავისი პიროვნებით და თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში თავისუფლებას ჰკარგავდა. ასეთი პასუხისმგებლობა ბაბილონის I დინასტიის ეპოქაში მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მიმართ დარჩა. სხვა შემთხვევებში ხელშეკრულების შეუსრულებლობა მხოლოდ წმინდა ქონებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა, ოღონდ ზოგჯერ მეტად მძიმე პასუხისმგებლობას, რაც გამოიხატებოდა ვალდებულებით — სამმაგი და ექვსმაგი ოდენობითაც კი აენაზღაურებინათ კონტრაგენტის ზარალი.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე პასუხისმგებლობის გამო კრედიტორები ხშირად ცდილობდნენ სესხის ხელშეკრულებასთან შეერთებინათ სხვა ხელშეკრულებანი (პირადი დაქირავების, მინაბარის და სხვ. ხელშეკრულებანი).

2. ცალკეული ხელშეკრულებანი. ყ ი დ ვ ა-გ ა ყ ი დ ვ ა და გ ა ც ვ ლ ი ლ ო ბ ა. ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლილობის აქტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, უფრო ხშირად მხარეთა არავითარ

ვალდებულებას არ აწესებენ (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხელშეკრულებებში), არამედ უბრალოდ აღნიშნავენ მხარეთა ნებასურვილს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

ნივთის გადაცემას, როგორც ეტყობა, თან ახლდა ჯოხის სიმბოლური დადება, რაც მოიხსენიება ხელშეკრულებაში. ეს წესი მოგვაგონებს იმ ჩვეულებებს, რომლებსაც უფრო გვიან ვხვდებით რომაელებთან: ისინი სადავო ნივთს სიმბოლურად დაადებდნენ ჩხირს—vindicta.

ყიდვა-გაყიდვის საგნებს წარმოადგენენ როგორც მოძრავი ნივთები (მარცვლეული, ცხოველები, მონები), ისე უძრავი ქონება — ყანები, ბაღები, სახლები. ვხვდებით ბავშვთა ყიდვა-გაყიდვის აქტებს.

ხშირად ვხვდებით დავალიანებულ მესაკუთრეთა მიერ უძრავი ქონების გაყიდვის აქტებს. ეს უძრავი ქონება გადადის მევახშეებისა და სპეკულიანტების ხელში, რომელთა როლში ხშირად გამოდიოდნენ კულტის მსახურნი. ასე, მაგალითად, ერთი ქურუმი ქალი, რომელიც ჰამურაბის და მის მემკვიდრე სამსუილუნის მეფობის წლებში ცხოვრობდა, ცხრა უძრავი მამულის მესაკუთრე აღმოჩნდა. ვიღაც ძმებს შილი-იშტარს და ავილ-ილის ოცი წლის განმავლობაში უძრავი ქონების შესყიდვის ოცდახუთი აქტი შეუსრულებინათ.

ვხვდებით დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობენ სახლის ერთი ნაწილის შესყიდვას, მაგალითად, სიპარის მეფე იმერუნის დროის (XXII საუკ.) ერთ დოკუმენტში დამოწმებულია სახლის ქვედა სართულის ყიდვა-გაყიდვა, სადაც მოთავსებული იყო სახამრო, მაშინ როცა ზედა სართული გამყიდველის საკუთრებად რჩებოდა.

ჰყიდნენ და სცვლიდნენ აგრეთვე ამა თუ იმ პირის კუთვნილი სატაძრო შემოსავლის წილს. პირს, რომელსაც უფლება ჰქონდა წლის რომელიმე ნაწილის განმავლობაში მიეღო სატაძრო შემოსავალი, შეეძლო გაეყიდა, გაესაჩუქრებინა, გაეცვალა თავის ეს უფლება.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის, გასაყიდი საგნის აღნიშვნასთან ერთად, არსებითია აგრეთვე ფასის აღნიშვნა. აქტებში, რომლებიც ჰამურაბის ეპოქაზე უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება, ეს მითითება ხშირად არ არის. ჰამურაბის ეპოქის აქტებში მუდამ ვხვდებით გასაყიდი საგნის ფასს. საფასურს იხდიდნენ არა

მარტო ვერცხლით, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც (მარცვლეულით, ზეთით და სხვ.). ამასთან ვერცხლს წონით იძლევიან, მოჭრილი მონეტა არ ყოფილა.

დოკუმენტები საშუალებას გვაძლევენ წარმოდგენა ვიქონიოთ მიწის, სახლის, მონების, კვების პროდუქტების და სხვათა ფასის შესახებ.

ფასებს კანონმდებელი არ აწესრიგებდა. ჩვენამდე მოაღწია ბაბილონის I დინასტიის ეპოქაში, ჰამურაბამდე ცოტა ხნით ადრე გაკეთებულმა ოფიციალურმა წარწერამ, სადაც აღნიშნულია მოხმარების ძირითადი პროდუქტების ფასები. ჰამურაბის ეპოქაში ეს ფასები არ დარჩენილა, და ჩვენ ვხედავთ, რომ მატყლი ჰამურაბის დროის ხელშეკრულებათა მიხედვით ერთიორად უფრო ძვირად იყიდება, ხოლო ზეთი ერთისამად უფრო ძვირადაც კი, ვიდრე წარწერაშია ნაჩვენები. მტკიცე ტარიფი კანონით დაწესებული იყო ფინიკის ღვინის ნისიად გასაყიდად.

მონების ფასი მეტად სხვადასხვანაირი იყო მონის ასაკის, სქესის, გაწვრთნილობის მიხედვით. მონებში ზოგჯერ იხდიდნენ მხოლოდ 4—6 სიკლს, ზოგჯერ 51 და 57 სიკლსაც კი, ე. ი. თითქმის 1 მინას. აღნიშნულია გარიგებანი, რომლებიც განეკუთვნება ჯერ კიდევ XXVI საუკუნეს ჩვენს ერამდე, სადაც მოზრდილი მონის ფასად დაწესებულია 20 სიკლი (მესამედი მინა). ესევე ფასი ფიქსირებულია ჰამურაბის კანონებში იმ თანხის განსასაზღვრავად, რასაც იხდიდნენ მონის სიკვდილით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ნაღდზე ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა გარდა, ვხვდებით ნისიად გარიგებებს, როცა ნაყიდი ნივთის საფასურის გადახდას გარკვეული ვადით გადასდებენ, ვხვდებით აგრეთვე ყიდვა-გაყიდვას, როცა გადასახდელს განაწილვადებენ.

ყიდვა-გაყიდვის აქტებში ხშირად მიუთითებენ იმ საფუძვლებზე, რომლებსაც ემყარება გამყიდველის საკუთრების უფლება, ზოგჯერ აქტში მიუთითებენ საკუთრების უფლების მთელ რიგ წინასწარ გადასვლებზე. ჩვეულებრივ, ყიდვა-გაყიდვის აქტები შეიცავენ მხარეთა ვალდებულებას ან ყოველ შემთხვევაში გამყიდველის ვალდებულებას არ გადათქვას თავისი სიტყვა გასაყიდი ნივთის შესახებ. აქტებში მხარეები სწერენ: „გამყიდველს არ შეუძლია თქვას: „ეს ბაღი ჩემია“ ან „ეს ჩემი მონაა“. ნაკისრ ვალდებულებათა დასადასტურებლად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, ისევ

როგორც ბევრ სხვა ხელშეკრულებას, დაეყოლებენ ფიცს. ზოგჯერ წესდება ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მხარე განიზრახავს გარიგების შეცილებას.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში ზოგჯერ დათქმულია გარანტიები ევიქციის შემთხვევისათვის (ე. ი. იმ შემთხვევისათვის, თუ მყიდველისაგან ნივთს მესამე პირნი მოითხოვენ). ზოგჯერ გამყიდველი თავის პიროვნებას სდებს საწინდრად, ზოგჯერ აღუთქვამს მყიდველს მატერიალური საზღაური მესცეს ევიქციის შემთხვევაში.

მონის ყიდვა-გაყიდვის მხრივ გათვალისწინებულია ნაყიდი მონის თვისების გარანტიები. გარიგება გაბათილდება, თუ ერთი თვის განმავლობაში მონას აღმოაჩნდება ავადმყოფობა, რომელსაც კოდექსში ეწოდება „ბენუ“ (როგორც ფიქრობენ, ეპილეფსია). ხელშეკრულებებში ვხვდებით აგრეთვე დათქმას, რომ გარიგება ბათილდება მონის გაქცევის შემთხვევაში. გარანტიის ვადა ამ შემთხვევაში სულ მოკლე წესდება: სამი დღე ან ერთი დღეც კი.

ჰამურაბის კანონებით ცალკეული შემთხვევებისათვის დადგენილია ყიდვა-გაყიდვის შემდეგი აკრძალვანი და შეზღუდვანი:

1) მხედრებსა და მოხელეებს არ შეეძლოთ გაესხვისებინათ მიწები, რომლებსაც ისინი თავიანთი სამსახურისათვის მეფისაგან მიიღებდნენ. ეს მიწები, არსებითად, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდნენ და ამის გამო მფლობელებს მათი გაყიდვა არ შეეძლოთ. ეს იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი ილკუ-მიწები. ასევე მხედრებსა და მოხელეებს უფლება არა ჰქონდათ გაეყიდათ ხარები და ცხვრები, რომლებიც მათ მეფისაგან იმავე წესით ჰქონდათ მიღებული მათთვის გადაცემული მიწების დასამუშავებლად (მუხ. 35 და 36).

2) იკრძალებოდა ილკუ-სახლების, ე. ი. სახელმწიფოს მიერ სამსახურისათვის გადაცემული სახლების გაყიდვა (მუხ. 71).

3) 150 და 171 მუხლების მიხედვით ქვრივს არ შეეძლო გაესხვისებინა ქონება, რომელიც შეადგენდა მის მზითევს (შერიკტუს) ან ქმრის ნაჩუქარს (ნუდუნუს) (იხ. ქვემოთ, § 33). ქვრივს შეეძლო ამ ქონებით ესარგებლნა თავისი შვილების ინტერესებისათვის, მაგრამ უფლება არა ჰქონდა გაეყიდა იგი.

4) ასეთსავე მდგომარეობაში იყო შერიკტუ, რომელსაც მამა თავისი ქალიშვილ-ქურუმს აძლევდა: მისი არც გაყიდვა შეიძლებოდა და არც ვალების დასაფარავად გამოყენება, თუ ამაზე მამა თანახმა არ იყო (იხ. ქვემოთ, § 34).

ბ) ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ა. ჰამურაბის კოდექსი დაწვრილებით აწესრიგებს აგრეთვე ქირავნობის, როგორც ქონებრივი, ისე პირადი ქირავნობის, ხელშეკრულებას.

მუხლებში, რომლებიც აწესრიგებენ ქონებრივ ქირავნობას, გათვალისწინებულია მიწის, ბაღების, საცხოვრებელი სახლების, საზიდრის, გემის, ხარების, სახედრების იჯარა (გაქირავება). აქირავებდნენ აგრეთვე მონებსაც.

მ ი წ ი ს ა და ბ ა ღ ე ბ ი ს ი ჯ ა რ ი ს ხელშეკრულებანი მოკლევადიანია: ნორმალური ვადაა ერთი წელი. მაგრამ ბაღის იჯარის ვადა ზოგჯერ 5 წლამდე გაგრძელდება, სახელდობრ იმ შემთხვევებში, როცა იჯარადარი ვალდებულებას კისრულობს ახალი ნარგავებით გაამრავლოს ბაღის მცენარეულობა. პრაქტიკაში ეს ვადა ზოგჯერ სამ წლამდე მოკლდებოდა.

მინდვრებსა და ბაღებს აქირავებდნენ როგორც გარკვეული წინასწარ ფიქსირებული საზღაურით, ისე იმ პირობით, რომ მიწის მესაკუთრეს მოსავლის ნაწილი გადასცემოდა. პირველ შემთხვევაში წესდებოდა მტკიცე საიჯარო ქირა მინდვრის ან ბაღის თითო ერთეულ ფართობზე: ამდენი და ამდენი გური განზე, ამდენი და ამდენი კა სარზე[1]. ეს საფასური შეიძლება დაწესდეს აგრეთვე მეზობელი მინდვრის ან მინდვრების შემოსავლის შესაბამისად. მაგრამ ვხვდებით ანგარიშსწორების სხვა ფორმასაც: საზღაურს იხდიან მოსავლის გარკვეული წილის სახით, ჩვეულებრივ ½ ან ⅓ მინდვრისათვის და ⅔—ბაღისათვის. ყამირის გაქირავებისას ჩვეულებრივ პირველ წელს და ხშირად პირველ ორ წელსაც კი იჯარადარი არაფერს არ იხდის, შემდგომ წლებში საიჯარო ქირა მთლიანად უნდა შემოვიდეს. საიჯარო ქირა მისი გამოანგარიშების ყველა ფორმის დროს ნატურით შეჰქონდათ.

იჯარადარი მინდვრის მესაკუთრისათვის საზღაურის გადახდისაგან არ თავისუფლდებოდა, თუ იგი მინდორზე პურეულს არ მოიყვანდა. ამ შემთხვევაში იჯარადარს მესაკუთრისათვის იმდენივე უნდა გადაეხადა, რამდენსაც მისი მეზობელი იხდიდა (მუხ. 42). თუკი იგი მინდორს სრულიად დაუმუშავებელს დასტოვებდა, გარდა საზღაურის გადახდისა, იჯარადარს მინდორი უნდა დაემუშავებინა და ასეთი სახით უნდა გადაეცა მესაკუთრისათვის (მუხ. 43). უდაბური მინდვრის (ყამირის) იჯარით აღების შემთხვევაში იჯარა-

---

[1] გური=300 კა=250,6 ლიტრი; განი=1.800 სარ.=6,5 ჰექტ.

დარს იგი უნდა გაეფხვიერებინა და გაემარგლა და, გარდა ამისა, მესაკუთრისათვის უნდა მიეზომა 10 გური პური თითო განში (მუხ. 44). ანალოგიური წესები იყო დადგენილი აგრეთვე ბაღის იჯარის შემთხვევებისთვისაც (მუხ. 62—63).

კანონის ყველა ამ მუხლში აშკარავდება ერთგვარი ზრუნვა მესაკუთრეებისათვის, რომლებიც იჯარით იძლეოდნენ თავიანთ ბაღებსა და მიწის ნაკვეთებს. ვისი ინტერესებს იცავდა კანონი ამ შემთხვევებში? შესაძლოა, რომ კანონს მხედველობაში ჰქონდა უზრუნველეყო ინტერესები მხედრებისა, რომლებსაც ყოველთვის როდი შეეძლოთ თვითონ დაემუშავებინათ თავიანთი მიწები და რომლებიც იძულებული ხდებოდნენ იჯარით გაეცათ ისინი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უხვი მოსავლისას, რასაც ბაბილონის ნოყიერი ნიადაგი იძლეოდა, მინდვრის იჯარით აღება მეტად ხელსაყრელი იყო იჯარადარისათვის, განსაკუთრებით როცა საიჯარო ქირა წინასწარ მტკიცე ოდენობით წესდებოდა.

ბევრ შემთხვევაში მოიჯარადეთა როლში გამოდიოდნენ მნიშვნელოვანი სახსრების მქონე ადამიანები, რომლებიც მიწის მთელი რიგი ნაკვეთების იჯარით აღების გზით დიდ შემოსავალს იღებდნენ. ამრიგად, ბაღებისა და მინდვრების დაქირავება ხშირად წარმოადგენდა ბაბილონის ღარიბ-ღატაკთა ხარჯზე შეძლებული ადამიანების გამდიდრების საშუალებას. სასამართლოს წიგნი განამტკიცებს ამ წესებს, რომლებიც ხელსაყრელია ბაბილონის მონათმფლობელებისათვის, მაგრამ ამასთან ერთად ისწრაფვის აცილებულ იქნას მიწათმოქმედთა და მებაღეთა სრული გაჩანაგება, და ადგენს ზემოაღნიშნულ წესებს, რომლებიც ერთგვარ საზღვარს უდებენ მდიდრების მადას.

კანონი ეხება აგრეთვე საკითხს, თუ როგორია პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა ნათესები ქარიშხალმა ან წყალდიდობამ დააზიანა. შედეგები სხვადასხვანაირია ანგარიშსწორების პირობებისა და წესის მიხედვით. თუ მტკიცე საფასური იყო დადგენილი და იგი წინასწარ მიიღო მინდვრის მესაკუთრემ, მთელი ზარალი იჯარადარს აწვება. ხოლო თუ საფასური არ ყოფილა მიღებული ან საზღაური მოსავლის წილის სახით იყო ნაგულისხმევი, მესაკუთრეს და იჯარადარს მოსავლის დარჩენილი ნაწილი უნდა გაეყოთ თვითეულს წილის შესაბამისად, რაც ხელშეკრულებით იყო დაწესებული.

ბ) ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ა. ჰამურაბის კოდექსი დაწვრილებით აწესრიგებს აგრეთვე ქირავნობის, როგორც ქონებრივი, ისე პირადი ქირავნობის, ხელშეკრულებას.

მუხლებში, რომლებიც აწესრიგებენ ქონებრივ ქირავნობას, გათვალისწინებულია მიწის, ბაღების, საცხოვრებელი სახლების, საზიდრის, გემის, ხარების, სახედრების იჯარა (გაქირავება). აქირავებდნენ აგრეთვე მონებსაც.

მ ი წ ი ს ა და ბ ა ღ ე ბ ი ს ი ჯ ა რ ი ს ხელშეკრულებანი მოკლევადიანია: ნორმალური ვადაა ერთი წელი. მაგრამ ბაღის იჯარის ვადა ზოგჯერ 5 წლამდე გაგრძელდება, სახელდობრ იმ შემთხვევებში, როცა იჯარადარი ვალდებულებას კისრულობს ახალი ნარგავებით გაამრავლოს ბაღის მცენარეულობა. პრაქტიკაში ეს ვადა ზოგჯერ სამ წლამდე მოკლდებოდა.

მინდვრებსა და ბაღებს აქირავებდნენ როგორც გარკვეული წინასწარ ფიქსირებული საზღაურით, ისე იმ პირობით, რომ მიწის მესაკუთრეს მოსავლის ნაწილი გადასცემოდა. პირველ შემთხვევაში წესდებოდა მტკიცე საიჯარო ქირა მინდვრის ან ბაღის თითო ერთეულ ფართობზე: ამდენი და ამდენი გური განზე, ამდენი და ამდენი კა სარზე[1]. ეს საფასური შეიძლება დაწესდეს აგრეთვე მეზობელი მინდვრის ან მინდვრების შემოსავლის შესაბამისად. მაგრამ ვხვდებით ანგარიშსწორების სხვა ფორმასაც: საზღაურს იხდიან მოსავლის გარკვეული წილის სახით, ჩვეულებრივ ½ ან ⅓ მინდვრისათვის და ⅔—ბაღისათვის. ყამირის გაქირავებისას ჩვეულებრივ პირველ წელს და ხშირად პირველ ორ წელსაც კი იჯარადარი არაფერს არ იხდის. შემდგომ წლებში საიჯარო ქირა მთლიანად უნდა შემოვიდეს. საიჯარო ქირა მისი გამოანგარიშების ყველა ფორმის დროს ნატურით შეჰქონდათ.

იჯარადარი მინდვრის მესაკუთრისათვის საზღაურის გადახდისაგან არ თავისუფლდებოდა, თუ იგი მინდორზე პურეულს არ მოიყვანდა. ამ შემთხვევაში იჯარადარს მესაკუთრისათვის იმდენივე უნდა გადაეხადა, რამდენსაც მისი მეზობელი იხდიდა (მუხ. 42). თუკი იგი მინდორს სრულიად დაუმუშავებელს დასტოვებდა, გარდა საზღაურის გადახდისა, იჯარადარს მინდორი უნდა დაემუშავებინა და ასეთი სახით უნდა გადაეცა მესაკუთრისათვის (მუხ. 43). უდაბური მინდვრის (ყამირის) იჯარით აღების შემთხვევაში იჯარა-

[1] გური=300 კა=250,6 ლიტრი; განი=1.800 სარ.=6,5 ჰექტ.

დარს იგი უნდა გაეფხვიერებინა და გაემარგლა და, გარდა ამისა, მესაკუთრისათვის უნდა მიეზომა 10 გური პური თითო განში (მუხ. 44). ანალოგიური წესები იყო დადგენილი აგრეთვე ბაღის იჯარის შემთხვევებისთვისაც (მუხ. 62—63).

კანონის ყველა ამ მუხლში აშკარავდება ერთგვარი ზრუნვა მესაკუთრეებისათვის, რომლებიც იჯარით იძლეოდნენ თავიანთ ბაღებსა და მიწის ნაკვეთებს. ვისი ინტერესებს იცავდა კანონი ამ შემთხვევებში? შესაძლოა, რომ კანონს მხედველობაში ჰქონდა უზრუნველეყო ინტერესები მხედრებისა, რომლებსაც ყოველთვის როდი შეეძლოთ თვითონ დაემუშავებინათ თავიანთი მიწები და რომლებიც იძულებული ხდებოდნენ იჯარით გაეცათ ისინი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უხვი მოსავლისას, რასაც ბაბილონის ნოყიერი ნიადაგი იძლეოდა, მინდვრის იჯარით აღება მეტად ხელსაყრელი იყო იჯარადარისათვის, განსაკუთრებით როცა საიჯარო ქირა წინასწარ მტკიცე ოდენობით წესდებოდა.

ბევრ შემთხვევაში მოიჯარადეთა როლში გამოდიოდნენ მნიშვნელოვანი სახსრების მქონე ადამიანები, რომლებიც მიწის მთელი რიგი ნაკვეთების იჯარით აღების გზით დიდ შემოსავალს იღებდნენ. ამრიგად, ბაღებისა და მინდვრების დაქირავება ხშირად წარმოადგენდა ბაბილონის ღარიბ-ღატაკთა ხარჯზე შეძლებული ადამიანების გამდიდრების საშუალებას. სასამართლოს წიგნი განამტკიცებს ამ წესებს, რომლებიც ხელსაყრელია ბაბილონის მონათმფლობელებისათვის, მაგრამ ამასთან ერთად ისწრაფვის აცილებულ იქნას მიწათმოქმედთა და მებაღეთა სრული გაჩანაგება, და ადგენს ზემოაღნიშნულ წესებს, რომლებიც ერთგვარ საზღვარს უდებენ მდიდრების მადას.

კანონი ეხება აგრეთვე საკითხს, თუ როგორია პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა ნათესები ქარიშხალმა ან წყალდიდობამ დააზიანა. შედეგები სხვადასხვანაირია ანგარიშსწორების პირობებისა და წესის მიხედვით. თუ მტკიცე საფასური იყო დადგენილი და იგი წინასწარ მიიღო მინდვრის მესაკუთრემ, მთელი ზარალი იჯარადარს აწვება. ხოლო თუ საფასური არ ყოფილა მიღებული ან საზღაური მოსავლის წილის სახით იყო ნაგულისხმევი, მესაკუთრეს და იჯარადარს მოსავლის დარჩენილი ნაწილი უნდა გაეყოთ თვითეულს წილის შესაბამისად, რაც ხელშეკრულებით იყო დაწესებული.

ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა ეძლეოდა ბაბილონში აგრეთვე სხვისი მიწის ნაკვეთზე გავლის უფლების მინიჭებასაც. ამგვარ ხელშეკრულებებში ზუსტად აღინიშნება საზღვრები, რომელთა ფარგლებში დაშვებულია გავლის უფლება, და ფიქსირებულია საიჯარო ქირა, ჩვეულებრივ 2—3 გური მარცვალი ან 5კა. ზეთი, თუ მიწა კერძომფლობელური იყო, და 15 გური, თუ მიწა ტაძარს ეკუთვნოდა. ამ ხელშეკრულებებს, ისე როგორც სხვა საიჯარო ხელშეკრულებებს, 1 წლის ვადით სდებდნენ.

ჩვეულებრივ ამავე ვადით სდებდნენ საცხოვრებელ სახლების ქირავნობის ხელშეკრულებებს. გამონაკლისის სახით ამგვარი ხელშეკრულებანი ექვსი თვის ვადითაც იდებოდა.

ჰამურაბის კანონებში საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილია ერთი მუხლი (78-ე). იგი ამბობს: „თუ დამქირავებელი ბინის მესაკუთრეს წინასწარ გადაუხდის მთელი წლის საიჯარო ქირას, ხოლო სახლის მესაკუთრე მოითხოვს, რომ დამქირავებელმა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გავიდეს ბინიდან, მაშინ სახლის მესაკუთრე ჰკარგავს მის მიერ მიღებულ მთელ საიჯარო ქირას იმისათვის, რომ იგი აიძულებდა დამქირავებელს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გასახლებულიყო ბინიდან“.

კანონის მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ მოძრავი ქონების ქირავნობას, აწესებენ, ჯერ ერთი, ქირავნობის ფასის ნიხრებს, მეორეც, ზოგიერთ შემთხვევაში—იმ პასუხისმგებლობის მოცულობას, რაც დაკავშირებული იყო დაქირავებული ნივთის დაღუპვასა ან გაფუჭებასთან. კანონები შეიცავენ აგრეთვე ნიხრებს ხარის სარგებლობისათვის (3—4 გური მარცვლეული წელიწადში), სახედრის, საზიდრის, გემის სარგებლობისათვის. დამქირავებლის პასუხისმგებლობა დაწესებულია ხარის დაქირავების, გემის დაქირავების მხრივ. უეჭველია, რომ პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა მოძრავი ნივთების დაქირავების სხვა შემთხვევებზეც.

ხარის დამქირავებელი ხარის დაღუპვისათვის პასუხისმგებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდა, თუ ხარი დამქირავებლის დაუდევრობის ან ცუდად მოპყრობის შედეგად (ცემისაგან) დაიღუპებოდა. ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ ხარი მინდვრად ლომს დაეგლიჯა, დამქირავებელი პასუხისმგელობისაგან თავისუფლდებოდა (მუხ. 244). ასევე იყო ხარის სიკვდილის შემთხვევაშიც, თუ დამქირავებელს ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა (მუხ.

249). ხარის დაზიანებაც, როგორც ეტყობა, დამქირავებლის პასუხისმგებლობას იწვევდა აგრეთვე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ,ამაში ბრალი მიუძღვოდა. კანონი ნიხრავს ამ პასუხისმგებლობას. ფეხის მოტეხისა ან კისრის დაშავებისათვის ოჯარადარს პატრონისათვის ხარში ხარი უნდა მიეცა. ხარის თვალის დაზიანებისათვის მას უნდა გადაეხადა ხარის ღირებულების ნახევარი. უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი დაზიანებისათვის მას უნდა გადაეხადა ხარის ღირებულების $^1/_5$ (თუ დამქირავებელი ხარს რქას მოსტეხდა, კუდს წააგლეჯდა ან ნესტოებს დაუზიანებდა).

ჰამურაბის კანონები ცალკე არ ჩერდებიან მონების დაქირავებაზე, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები მოწმობენ, რომ ამგვარი გარიგება გავრცელებული იყო.

მშობლების მიერ თავიანთი შვილების ან უფროსი ძმების მიერ უმცროსი ძმების გაქირავება მონებად გადაცემას არ წარმოადგენდა. მაგრამ ამ შემთხვევებში, ოჯახში მათი დამოკიდებული მდგომარეობის გამო, სახლის უფროსს შესაძლებლობა ეძლეოდა დაედო ხელშეკრულება მათი სამუშაო ძალის გაქირავების შესახებ და თავის სასარგებლოდ მიეღო მათი მუშაობის მთელი ქირა.

ბ) პ ი რ ა დ ი ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ა. ბაბილონში ქირაობდნენ აგრეთვე თავისუფალ მოქალაქეთა მუშახელს, ასე რომ მონების შრომასთან ერთად, რაც სჭარბობდა ბაბილონის საზოგადოებაში, თავისუფალთა დაქირავებულ შრომასაც იყენებდნენ მეურნეობაში.

თავისუფალ მოქალაქეთა ქირავნობის ხელშეკრულებას მონების ქირავნობის ხელშეკრულების ანალოგიით ადგენდნენ. დამქირავებელი თითქოს ქირაობდა მუშაკს მისგანავე, მსგავსად იმისა, როგორც იგი სხვა შემთხვევებში მონას მონათმფლობელისაგან ქირაობდა. ეს მოწმობს ბაბილონის საზოგადოების მონათმფლობელურ ხასიათს. როგორც ეტყობა, თავდაპირველად დაქირავება ვრცელდებოდა მარტოოდენ არათავისუფალ ადამიანებზე — მონებზე და მოვალის ოჯახის წევრებზე, რომლებიც კაბალაში იყვნენ მიცემულნი, და მხოლოდ შემდეგში იწყეს ქირავნობის ხელშეკრულების გამოყენება თავისუფალი ადამიანების მიმართ, რომლებიც იძულებული ხდებოდნენ მოჯამაგირეებად დამდგარიყვნენ.

ჰამურაბის კანონები ხელოსანთა სხვადასხვა კატეგორიებს იხსენიებენ და ამით ცხადჰყოფენ შრომის საკმაოდ შესამჩნევ დანაწილებას და ხელობის ერთგვარ განვითარებას ქალაქში: კანონებში აღნიშნულნი არიან მეაგურენი, ქვის მთლელნი, ფეიქარნი, ხურო-

ები, დაბაღები, გემმშენებელნი, კალატოზნი, გემზე მომუშავენი და ა. შ. ხელოსანთა მთელი რიგი კატეგორიებისათვის წესდება მათი შრომის საფასურის ნიხრი. ამ ნიხრს ფაქტიურად არ იცავენ, და წელიწადში 9—11 სიკლის ნაცვლად, რაც კანონით გათვალისწინებულია, მუშაკებს ქირაობენ 6—7 სიკლად წელიწადში. დამახასიათებელია, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის კანონით უფრო მაღალი ხელფასია დაწესებული, ვიდრე ხელოსნებისათვის. ეს მოწმობს სოფლის მეურნეობის უფრო მეტ მნიშვნელობას ხელობასთან შედარებით. მაგრამ მწყემსისათვის უფრო ნაკლები საფასურია დაწესებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკებისათვის. ხელფასს იხდიდნენ ვერცხლით, მარცვლეულით ან ზეთით. ჩვენამდე მოღწეულ ხელშეკრულებებში მუშაკთა ხელფასი განსაზღვრულია $^1/_2$ გური, ერთი გური, $1^1/_2$ გური მარცვლეულით თვეში, ვერცხლით კი—2-დან 10-მდე სიკლით წელიწადში; ზოგჯერ ამას ემატება მუშაკის ტანისამოსი დამქირავებლის ხარჯზე.

კანონები აწესებენ აგრეთვე ექიმების, ვეტერინარების, სახლის მშენებლების, გემთმშენებლების შრომის ნიხრს. ექიმის საზღაური იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ ვის უწევდა იგი მომსახურებას— ავილუმს, მუშკენუს თუ მონას.

შრომის საზღაურს, როგორც წესი, მხოლოდ ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ იხდიდნენ. თუ დაქირავებული მუშაობას ვადაზე ადრე შესწყვეტდა, იგი საზღაურის მიღების უფლებას ჰკარგავდა. მაგრამ ვხვდებით ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავენ პირობას, რომ სამუშაოს საზღაური მთლიანად თუ ნაწილობრივ წინასწარ იქნას გადახდილი, აგრეთვე ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავენ პირობას, რომ მხარეებს უფლება ენიჭებათ ვადამდე შესწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება. მაინც, უფრო ხშირად დამქირავებელი დათქვამდა უფლებას — დაეკავებინა ხელფასი ქირავნობის ვადის გასვლამდე და ამგვარად ცდილობდა უზრუნველეყო თავი მუშახელით ხელშეკრულების მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში.

ხშირად პირადს ქირავნობას აერთებდნენ სესხის ხელშეკრულებასთან. დამქირავებელი მუშაკს სესხის სახით წინდაწინ აძლევდა ხელფასის ნაწილს სესხის პირობით. ეს დამქირავებლისათვის უზრუნველჰყოფდა შესაძლებლობას — მიეღო სამუშაოზე დაქირავებულის წინააღმდეგ ყველა ის ღონისძიება, რასაც კანონი უშვებდა უწესივრო მოვალეების წინააღმდეგ, ე. ი. შესაძლებლობას

აძლევდა მას სამუშაოდ ვადაზე გამოუცხადებლობისას მუშაკი კაბალაში ჩაეგდო. ქირავნობისა და სესხის ასეთ შეერთებას ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში ახდენდნენ, როცა დამქირავებლისათვის საჭირო იყო უზრუნველეყო მუშახელით რაიმე სასწრაფო, გადაუდებელი სამუშაო, მაგალითად, პურეულის მომკა.

დაქირავებულს ცალკეულ შემთხვევებში მიანდობდნენ მატერიალურ ფასეულობას, და კანონი ამასთან დაკავშირებით განსაზღვრავს დაქირავებულის პასუხისმგებლობას ამ ფასეულობის დაცულობისათვის. ასე, მწყემსი პასუხს აგებს მისთვის მინდობილი ხარისა და სახედრის დაკარგვის გამო, —ანაზღაურებს ხარს ხარით და სახედარს სახედრით. უფრო მეტი, კანონით იგი პასუხს აგებს ჯოგის შემცირებისა ან არასაკმაო ზრდის გამო, თუ ეს მოხდებოდა იმ მიზეზით, რომ ნამატის რაოდენობა არ შეესაბამებოდა მწყემსთან დადებული ხელშეკრულების პირობებს. მწყემსი აგრეთვე პასუხს აგებს მის მიერ მოპარული და გაყიდული პირუტყვისათვის. მოპარული მან 10-მაგი რაოდენობით უნდა აანაზღაუროს. მწყემს პასუხისმგებლობა აწევს აგრეთვე ავადმყოფობისაგან პირუტყვის დაღუპვისათვის, თუ ავადმყოფობა პირუტყვს მწყემსის დაუდევრობის გამო შეეყარა. მაგრამ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ პირუტყვის დაღუპვაში მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის. „თუ საჩეხეში მეხი ჩამოვარდა ან თუ ცხოველი ლომმა დაგლიჯა, — ამბობს კანონი, — მწყემსმა უნდა დაიფიცოს, რომ იგი დამნაშავე არ არის, და ზარალი საჩეხეს პატრონს დაეკისრება“ (მუხ. 266).

გათვალისწინებულია აგრეთვე პასუხისმგებლობა ყანის ზედამხედველად დაქირავებული პირისა, რომლისთვისაც პატრონს, როგორც ეტყობა, მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი მიუნდვია. თუ ზედამხედველი ამ ინვენტარს თავისი ყანისათვის გამოიყენებს, მან მთელი მოსავალი ინვენტარის პატრონს უნდა გადასცეს. თუ ზედამხედველი მისთვის მინდობილ პირუტყვს ვინმეს ქირით დაუთმობს ან თესლს მოიპარავს და ყანაში არაფერი არ აღმოცენდება, მან ყანის პატრონს უნდა გადაუხადოს 60 გური მარცვალი თვითეულგან ყანაში. თუ მას გადასახდელი არაფერი გააჩნია, იგი მწყემსად რჩება ვალის ასანაზღაურებლად. ხოლო თუ ეს ზედამხედველი მარცვლეულს ან საკვებს მოიპარავდა თუ მას დანაშაულზე წაუსწრებენ, მას ხელებს მოჰკვეთენ.

გათვალისწინებულია აგრეთვე პასუხისმგებლობა გემზე მომუშავისა, რომელიც კისრულობს გემით ტვირთის გადატანას. თუ ამ მომუშავის გამო გემი და გადასატანი ტვირთი ჩაიძირა, გემზე მომუშავემ მთელი ზარალი უნდა აანაზღაუროს. თუ გემი ჟონვას დაიწყებს და მეჩეჩზე გაირიყება, გემზე მომუშავემ მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაიხადოს.

კანონებით დაწესებულია ექიმის პასუხისმგებლობა ქირურგიული მკურნალობისათვის, რასაც შედეგად მოჰყოლია ავადმყოფის დაბრმავება ან სიკვდილი, ვეტერინარის პასუხისმგებლობა ოპერაციისაგან ხარის თუ სახედრის სიკვდილისათვის, სახლის მშენებლის პასუხისმგებლობა მისი არამკვიდრად აგებისათვის. თუ სახლი დაინგრა, მშენებელს სრული პასუხისმგებლობა აწევს მთელი მატერიალური ზარალისათვის და მან სახლი თავის ხარჯზე უნდა აღადგინოს. თუ ამასთან სახლის პატრონი დაიღუპა, მშენებელი სიკვდილით დაისჯება, ხოლო თუ სახლის პატრონის შვილი მოკვდა, „ტოლისათვის ტოლის“ პრინციპის მიხედვით (ტალიონი) სიკვდილით ისჯება მშენებლის შვილი; იმ შემთხვევაში, თუ მონა დაიღუპა, მან მონაში მონა უნდა მისცეს. გემმშენებელიც პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუ გემი საკმაოდ მტკიცე არ აღმოჩნდება და ავარიას განიცდის ნაოსნობის პირველსავე წელს: გემმშენებელმა ეს გემი უნდა დაშალოს და თავის ხარჯზე ახალი მტკიცე გემი ააგოს.

დ) ს ე ს ხ ი. ჰამურაბის კოდექსში ბევრი მუხლია მიძღვნილი ს ე ს ხ ი ს ხელშეკრულებისადმი. ამ ხელშეკრულებას მეტად ფართოდ იყენებდნენ I დინასტიის დროის ბაბილონში. მევახშეობა ამ დროს ბაბილონში ძალიან იყო გავრცელებული; იგი იწვევდა დავალიანებული გლეხების სრულ გაჩანაგებას და მონებად გადაქცევას. ჰამურაბის კანონებამდე ვალაუვალი მოვალენი სამუდამოდ სავალო კაბალაში ხვდებოდნენ, ასე რომ გაჩანაგებული ღარიბნი მალე ჰკარგავდნენ თავისუფლებას. ეს მოვალენი ემუქრებოდა ბაბილონის მონათმფლობელური სახელმწიფოს სიმტკიცეს: იგი აუსტებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ვინაიდან ამცირებდა თავისუფალ მოქალაქეთა კადრებს, რომლებსაც შეეძლოთ ჯარის რიგები შეევსოთ, და ქვეყანაში ჰქმნიდა ბაბილონელი მონების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ კონტაქტი დაემყარებინათ ბაბილონის თავისუფალ ღარიბ-ღატაკ-

უკმაყოფილო ელემენტებთან და რომელნიც ამიტომ განსაკუთრებით საშიშნი იყვნენ ბაბილონის მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის.

ამიტომ ჰამურაბის კანონმდებლობა გამსჭვალულია მისწრაფებით — შეკვეცოს მევახშეთა მადა, შეძლებისადაგვარად შეამსუბუქოს მოვალის მდგომარეობა, შეაჩეროს სავალო მონობის ზრდა.

თუ წინათ მოვალეს, რომელსაც არ შეეძლო თავის დროზე გადაეხადა თავისი ვალი, მთელ მის სიცოცხლეში მონად აქცევდნენ, ახლა ჰამურაბის კანონები სპობენ სამუდამო კაბალას და სამი წლის ვადას აწესებენ ყოველგვარი ვალის მუშაობით ასანაზღაურებლად. მუხ. 117, რომელსაც, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, ამბობს: „თუ ვინმეს აქვს ვალი და ფულად გაუყიდია ან სავალო კაბალაში მიუცია თავისი ცოლი, ვაჟი ან ქალიშვილი, იმათ მათი მყიდველის ან კრედიტორის სახლში (მხოლოდ) სამ წელს უნდა იმსახურონ; მეოთხე წელს ისინი გააზატებულნი იქნებიან“. მუხლი არაფერს ამბობს თვითონ მოვალეზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, თვითონ მოვალესაც, თუ იგი თავისი ვალის ასანაზღაურებლად კაბალაში ვარდებოდა, სამ წელზე მეტ ხანს არ უნდა ემუშავნა. ანალოგიურ დებულებას შეიცავენ ძველ-ებრაული კანონებიც, სადაც მოვალე თავისუფლად იყო აღიარებული სავალო კაბალის ექვსი წლის გასვლის შემდეგ.

კანონი იცავს აგრეთვე კრედიტორის სასტიკი მოპყრობისაგან მოვალეს და მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც იძულებულნი გამხდარან ვალი მუშაობით აენაზღაურებინათ. მუხ. 116 ადგენს, თუ დაწინდრებული მოკვდა საწინდრად წამყვანის სახლში ცემისა ან ცუდი მოპყრობისაგან, თუ დაწინდრებული თავისუფალი მოქალაქის შვილი იყო, სიკვდილით უნდა დაისაჯოს კრედიტორის შვილი, ხოლო თუ იგი მონაა, კრედიტორმა უნდა გადაიხადოს მესამედი მინა ვერცხლი და, გარდა ამისა, იგი ჰკარგავს მთელ გაცემულ სესხს.

შემდეგ, ჰამურაბის კანონები იცავენ მოვალეს კრედიტორის მიერ მისი ქონების თვითნებურად ხელში ჩაგდებისაგან. კრედიტორს უფლება არა აქვს, თუ მოვალე თანახმა არ არის, წაიღოს პური მისი ბეღლიდან ან საკუჭნაოდან, ხოლო თუ კრედიტორი ამას იზამს, მან უნდა დააბრუნოს მთელი წაღებული პური და ამასთან იგი ჰკარგავს მთელ გაცემულ სესხს (მუხ. 113).

კანონები შეღავათებს აძლევენ მოვალეებს, რომლებიც დაზარალებულან ქარიშხლისაგან, წყალდიდობისა ან წყლის ნაკლებობისაგან. მოვალეს, რომელსაც აღნიშნული მიზეზების გამო, მოსავალი არ მოუვიდა, გადაედება ვალის გადახდის ვადა და იგი თავიხუფლდება ამა წლის პროცენტების გადახდისაგან. მოვალე, როგორც კანონი ამბობს, „ამა წელს პურს არ მისცემს მსესხებელს და მას შეუძლია დაასველოს თავისი დოკუმენტი[1], იგი ვალდებული არ არის ამა წლის პროცენტებიც გაიღოს“ (მუხ. 48).

უეჭველია, მოვალისათვის დიდი შეღავათი იყო აგრეთვე 96-ე მუხლში გადმოცემული დებულება, რომ მოვალეს, რომელსაც სესხად მიუღია მარცვალი თუ ფული, თუ მას კრედიტორთან ანგარიშის გასასწორებლად მარცვალი და ფული არა აქვს, შეუძლია თავისი ვალი ყოველგვარი ქონებით გაისტუმროს, როგორიც კი მას გააჩნია. ამის ანალოგიურად ფულადი სესხის პროცენტების მხრივ გათვალისწინებულია, რომ პროცენტები შეიძლება გადახდილ იქნას არა მარტო ფულით, არამედ მარცვლეულითაც. მოვალეს, რომელსაც კრედიტორი ავიწროებს, ვალის დასაფარავად შეუძლია შესთავაზოს მას აგრეთვე თავისი ბაღის ნაყოფი (ფინიკი, როგორც ნათქვამია კოდექსის 66-ე მუხლში) თუ კრედიტორი — „დამკარი“ არ დასთანხმდება, რომ აიღოს ყველა ფინიკი, რაც კი ბაღში აღმოჩნდება, მოვალეს შეუძლია ფინიკი თვითონ წაიღოს, კრედიტორს ზუსტად გაუსწოროს ანგარიში ხელშეკრულების პირობათა მიხედვით და ყველაფერი, რაც კი ფინიკისაგან დარჩება, თვითონ წაიღოს.

ჰამურაბის კანონები შეიცავენ აგრეთვე დებულებებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ აცილებულ იქნას მევახშეთა ბოროტმოქმედება სესხად ვერცხლის და მარცვლის გაცემისას და გაცემული სესხის უკან მიღებისას. თუ მევახშე ფულის პროცენტად გასესხებისას ნაკლებ ფულს მისცემს, ან ნაკლები სარწყაოთი მიუზომავს მარცვალს, ან, პირიქით, ვალის დაფარვისას მეტ ფულს გადაახდევინებს ან მარცვალს მეტი სარწყაოთი აზომავს, იგი დაჰკარგავს ყოველივეს, რაც მის მიერ სესხად იყო გაცემული. როგორც ეტყობა, არსებობდა ფულისა და მარცვლის აწონის კონტროლი, რომელიც ხორციელდებოდა ფულის და მარცვლის სესხად

[1] დაასველოს, რათა გადახდის ახალი ვადა ჩასწეროს.

მიცემის დროს. ყოველ შემთხვევაში, გამოცხადებულია, რომ მევახშე, რომელსაც ფული თუ მარცვალი სესხად გაუცია ისეთ დღეს, როცა კონტროლი არ მოქმედებდა, ჰკარგავს ყოველივეს, რაც მას სესხად ჰქონდა გაცემული (მუხლი 95).

სესხის პროცენტი დიდი იყო. კანონით წესდება პროცენტების შემდეგი ოდენობა, როგორც მაქსიმალური: მარცვლეულისათვის 33⅓ (100 კა 1 გურ მარცვალში)[1], ფულისათვის კი — 20% (1 სიკლ ვერცხლში ⅙ ნაწილი + 6 შე, ე. ი. 36 შე)[2]. ამ პროცენტების გადამეტებისათვის კრედიტორს უმუქრებოდა ყოველივე იმის დაკარგვა, რაც მას სესხად ჰქონდა გაცემული.

მევახშენი, როგორც ეტყობა, გვერდს უვლიდნენ ამ კანონიერ მაქსიმუმს და ცდილობდნენ გადაეხდევინებინათ მოსავლისათვის უფრო მაღალი პროცენტი, ვიდრე კანონით იყო ნებადართული. ჰამურაბის სამართლის წიგნი ისწრაფვის აღკვეთოს მევახშეთა ცდები — გვერდი აუარონ პროცენტების კანონიერ მაქსიმუმს. ასე, გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა მევახშე აცხადებს, პროცენტები არ მიმიღიაო, და ამნაირად ცდილობს ხელმეორედ მიიღოს იგი (მუხ. 92). კანონი ეხება სხვა ხერხებსაც, რომლებსაც მიმართავდნენ პროცენტების ნორმის გასადიდებლად (ნაწილობრივი გადახდა, როცა კრედიტორს მოვალისათვის არ მიუცია ფულის მიღების ხელწერილი და ამრიგად შეუნარჩუნებია შესაძლებლობა ხელმეორედ მოეთხოვა უკვე გადახდილი თანხა, აგრეთვე სესხის მთელი თანხის პროცენტები; ნაწილობრივი გადახდა, რის შემდეგ კრედიტორი ახალ დოკუმენტში მიაწერდა კაპიტალის პროცენტებს და ამით აიძულებდა მოვალეს ეხადა პროცენტთა პროცენტი) (მუხ. 93). პროცენტთა პროცენტები ზოგადი ფორმით აკრძალული არ იყო, მაგრამ დაუშვებლად ითვლებოდა, თუ მათი გადახდა მოტყუებით დაეკისრებოდა მოვალეს. კრედიტორის მოტყუებითი მოქმედების ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მას ორმაგად უნდა დაებრუნებინა ყოველივე ის, რაც მას უსაფუძვლოდ მიეღო.

ხშირად ვალს საწინდრით უზრუნველჰყოფდნენ. მოვალის ქონების რაიმე ნაწილი (მისი ყანა, ბაღი, მისი მონა და ა. შ.) ან მთელი მისი ქონება იმის გარანტია უნდა ყოფილიყო, რომ მოვალე თავის ვალდებულებებს წესიერად შეასრულებდა. თუ მოვალე ვალს

---

[1] 1 გური — 300 კა.
[2] 1 სიკლი — 180 შე.

ვადაზე არ დააბრუნებდა, კრედიტორს შეეძლო თავისი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა დაწინდული ქონების შემოსავლით ან მისი გაყიდვით.

ჰამურაბის კოდექსი საწინდრის მოწესრიგებით ცდილობდა თავიდან აეცილებინა მოვალის გაჩანაგება და ისწრაფვოდა დაეცვა იგი მევახშეთა ძალადობისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან. ამ აზრითაა შედგენილი კოდექსის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ყანის დაწინდებას: კანონმდებელს სურს აიცილოს დაწინდებული ყანიდან კრედიტორის მიერ მოსაკლის ისეთი რაოდენობით დაპატრონება, რომელიც ვალს აღემატება. მუხ. 49 ამბობს: „თუ ვინმემ დამკარს სესხად გამოართვა ფული და გადასცა მას პურეულის ან გუნჯუთის დასამუშავებლად ვარგისი მინდორი და უთხრა: „დაამუშავე მინდორი, აიღე მასზე პური თუ გუნჯუთი და თავად წაიღე“, და თუ დამკარი მინდორში მოიყვანს პურს ან გუნჯუთს, ეს პური და გუნჯუთი, რაც მინდორში მოსულა, მკის დროს უნდა წაიღოს მინდვრის პატრონმა და მისცეს დამკარს მისგან გამორთმეულ ფულში პროცენტებიანად და დამკარის მიერ მინდვრის დასამუშავებლად გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.“ მუხ. 50 ადგენს ასეთსავე წესს მოვალის მიერ უკვე დამუშავებული მინდვრის მიმართ.

შემდეგ, კანონი ნებას რთავს მოვალეს, რომელსაც მინდორი დაუწინდრებია, გადაიხადოს ვალი და პროცენტები არა ფულით, არამედ მარცვლეულით ან გუნჯუთით. კანონმდებელს ამით სურს თავიდან აეცილოს მოვალეს მარცვლეულის ნაჩქარევად და ამის გამო არასელსაყრელად გაყიდვა კრედიტორთან ანგარიშის გასასწორებლად.

ე) მ ი ნ ა ბ ა რ ი. ჰამურაბის კანონებში გათვალისწინებულია აგრეთვე ნივთების შენახვის ხელშეკრულება, ანუ მინაბარი. შესანახად იძლეოდნენ ფულს, მარცვლეულს, ფინიკს, მონებს, ლითონს, დოკუმენტებს. ნივთების შენახვის ხელშეკრულება უნდა დაედოთ მოწმეთა დასწრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთის მიმბარებელს არ შეეძლო სასამართლოში სარჩელი წარედგინა.

დაწესებული იყო შენახვის საზღაური, თუ ეს ხელშეკრულება უსასყიდლო იყო, რომის „depositum“-ის მსგავსად. საქართველოს ცნობილი ისტორიკოსი კიუკი „ბაბილონის სამართლის გამოკვლევებში“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შენახვის ხელშეკრულება ბაბილონში უსასყიდლო იყო. ეს დასკვნა დაფუძნებულია იმ მოსაზრე-

ბაზე, რომ მუხლები 120 და 121, რომლებიც მიძღვნილია მარცვლეულის შენახვისადმი და ითვალისწინებენ შენახვის საზღაურს, ქირავნობაზე ლაპარაკობენ, და არა მინაბარზე. მაგრამ კოშაკერი, კრიუველიე და სხვები ფიქრობენ, რომ მუხლები 120 — 121, ისევე როგორც შემდგომი მუხლები, მარცვლეულის შენახვის ხელშეკრულებაზე ლაპარაკობენ. თუ მათ დავეთანხმეთ, უნდა უარვყოთ კიუკის მოსაზრება შენახვის ხელშეკრულების უსასყიდლობის შესახებ.

მარცვლეულის შენახვისათვის 121-ე მუხლში საზღაურად დაწესებულია 4 კა წელიწადში 1 გურ მარცვლეულზე (1, 66%). მარცვლეულის დანაკლისისათვის მიმბარებელი ვალდებულია მესაკუთრეს მარცვლეული ორმაგი რაოდენობით გადაუხადოს. ასეთივე პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული იმ შემთხვევაშიც, როცა რაიმე ნივთის მიმბარებელი უარჰყოფს მის მიღებას: იგი ვალდებულია ორმაგი რაოდენობით გადაიხადოს ამ ნივთის ღირებულება. ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე უძველესი რომაული სამართალიც (XII ტაბულის კანონები).

ჰამურაბის კანონების მიხედვით ნივთის შემნახველი ნივთის მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებს ნივთის დაკარგვისათვის მოპარვის შედეგად, თუნდაც იგი მოეპარათ შემნახველის ნივთებთან ერთად. ამ შემთხვევაში მიმბარებელი იხდის მოპარული ნივთის ღირებულებას, თვითონ კი მას უფლება ეძლევა მოძებნოს და მოსთხოვოს ნივთი ქურდს (მუხ. 125). ნივთის უსაფუძვლოდ მოთხოვნისათვის, როცა იგი სრულიად არ ყოფილა მიბარებული, ასეთი მოთხოვნის წაყენებაში დამნაშავე იხდის ამ ნივთის ორმაგ ღირებულებას (მუხ. 126). მონის მიმბარებელი, როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, პასუხს აგებს მონის გაქცევის შემთხვევაში, მაგრამ პასუხს არ აგებს მისი სიკვდილის შემთხვევაში, თუმცა, ალბათ, ცალკეულ შემთხვევებში პასუხისმგებლობა მონის სიკვდილისათვისაც წესდებოდა.

მინაბარის განსაკუთრებული ნაირსახეობა გათვალისწინებულია კოდექსის 112-ე მუხლით, სახელდობრ, შემთხვევა, როცა გზაში მყოფი მოგზაური ვინმეს მიაბარებს ფულს, ოქროს, ძვირფას ქვებს ან სხვა ნივთებს, რათა ნივთების მიმბარებელმა ისინი დათქმულ ადგილას მიიტანოს. თუ ამ შემთხვევაში პირი, რომელსაც ნივთები მიანდეს, მიითვისებს მათ, ამ პირმა უნდა გადაიხადოს მიბარებულის ხუთმაგი ღირებულება.

ეს ხელშეკრულება, თუმცა შეიცავს ნივთების შენახვის ხელშეკრულების ელემენტებს, მაინც ბევრ რამე თავისებურს წარმოადგენს და უფრო მინდობილობის ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს (იხ. ქვემოთ), ე. ი. ისეთ ხელშეკრულებად, რომლის ძალითაც ერთი მხარე ვალდებულებას კისრულობს მეორე მხარის ხარჯზე და სახელით შეასრულოს დავალებული მოქმედება.

ნივთების შენახვის სხვა ნაირსახეობას წარმოადგენდა ისეთი შენახვა, როცა პირს, რომელმაც ნივთები შესანახად მიიღო, უნდა დაებრუნებინა არა იგივე ნივთები, არამედ სხვა ნივთები, რომლებიც შესანახად მიბარებულის სრულ ეკვივალენტს შეადგენდნენ. შენახვის ასეთი ფორმა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ნივთების მიმართ, რომელთა განსაზღვრა შეიძლება გვაროობითი ნიშნებით, ისეთი ნივთებისა, როგორიცაა ვერცხლი, ოქრო, მარცვალი, ფინიკი და მისთანანი. ეს ხელშეკრულება ერთგვარად უახლოვდება სესხის ხელშეკრულებას, რადგან აქაც, ისე როგორც სესხის ხელშეკრულების დროს, ერთი მხარის მიერ გადაცემული ნივთები მეორე მხარის საკუთრებად გადადის. რომში შენახვის ხელშეკრულების ამ ნაირსახეობამ მიიღო სახელწოდება depositum irregulare.

3) მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა. მინდობილობის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე მეორის ხარჯზე და სახელით ვალდებულებას კისრულობს რაიმე იყიდოს ან გაყიდოს, დაიქირავოს, სესხად გასცეს და ა. შ. ჰამურაბის კოდექსში, მის იმ ნაწილში მაინც, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არ არის არცერთი მუხლი, მიძღვნილი მინდობილობის ხელშეკრულებისადმი. მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტი მოწმობს, რომ ამ ხელშეკრულებას ძველი ბაბილონის სამართალი იცნობდა. იძლევიან მინდობილობას მისცენ ვინმეს მარცვლეული იმის ანგარიშზე, ვინც მინდობილობას იძლევა, მიიტანონ მარცვლეული საკურთხეველში, დანიშნულ ადგილას მიიტანონ მოსავალი ყანიდან და სხვ.

იმ პირს, რომელმაც მინდობილობა მიიღო, ანგარიში უნდა ჩაებარებინა დაკისრებული დავალების შესრულებაში. ყოველ შემთხვევაში [illegible] ეპენტებიდან სჩანს, რომ ვინც დავალებას იკისრებდა ეშო�e კრედიტი, გაეყიდა ნივთი და სხვ., იგი სათანადო პირს აცნობებდა თავის ღონისძიებათა შედეგებს. მინდობილობის მიმცემი ზოგჯერ ცდილობდა თავიდან აეცილებინა კონტრაგენტის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ამ მიზნით მას სესხის სა-

ზით აძლევდა დავალების შესასრულებლად საჭირო ფულს, რითაც შესაძლებლობას იქმნიდა ენერგიულად მოეხდინა ზეგავლენა არაწესიერ კონტრაგენტზე.

ზ) ამხანაგობის ხელშეკრულება. ნიპურის ტაბლეტი, რაც პენსილვანიის უნივერსიტეტმა იპოვნა და 1914 წელს გამოაქვეყნა, შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ჰამურაბის კოდექსში შეიცავდა ამხანაგობის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ მუხლებს. მაგრამ მთლიანად, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა, 99-ე მუხლმა მოაღწია, რომელიც ამხანაგობის წევრთა შორის მოგებისა და ზარალის განაწილების წესზე ლაპარაკობს. ეს მუხლი ამბობს: „თუ ვინმემ მეორეს ფული მისცა ამხანაგობის („ტაპპუტუმ“) საფუძველზე, მათ ღმერთების წინაშე თანაბრად უნდა გაიყონ მოგება თუ ზარალი, როგორიც კი აღმოჩნდება“.

ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან სჩანს, იდებოდა სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, სესხის ერთად გასაცემად, ცხოველის (ხარის, ცხვრის და სხვ.) ერთად საყიდად.

მესამე პირთა წინაშე თვითეული ამხანაგი მთლიანად აგებდა პასუხს, თუ მეორე ამხანაგი თავის წილ ვალდებულებას არ შეასრულებდა.

ამხანაგებს შეეძლოთ ფულის ნაცვლად შესატანის სახით შეეთავაზებინათ თავიანთი მომსახურება, თავიანთი კრედიტიც კი, ე. ი. წამოწყებისათვის საჭირო ფულის სესხად მიღების შესაძლებლობა. ასე, ერთ ტაბლეტში, რომელიც ბაბილონის I დინასტიას განეკუთვნება (ჰამურაბის ხანიდან დაახლოებით 100 წელზე უფრო გვიან) გადმოცემულია ოთხ პირს შორის დადებული ამხანაგობის ხელშეკრულების პირობები; ამ პირთაგან მხოლოდ ერთი იძლევა წამოწყებისათვის (ოქროს ნივთის შეძენა გადასაყიდად) საჭირო ფულს. დანარჩენი მონაწილეებიდან ერთი პირი ამხანაგობის მონაწილეა როგორც მთელი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი, ხოლო ორი სხვა პირი ამხანაგობაში მონაწილეობს იმისათვის, რომ მათ საქმისათვის საჭირო სახსრები გამონახეს.

რადგან მოგება და ზარალი ამხანაგებს შორის თანაბრად ნაწილდება (მუხ. 99), ალბათ, ნაგულისხმევი იყო, რომ ამხანაგების შენატანი თავისი ღირებულებით თანაბარია. მოგებისა და ზარალის

განაწილება ხდებოდა „ღმერთების წინაშე“, ე. ი. ტაძარში. აშკარაა, თავიანთ ანგარიშწორებას მხარეები ადასტურებდნენ ფიცით სხვა დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის დროს.

თ) დ ა მ კ ა რ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა შ ა მ ა ლ უ ს თ ა ნ. თავისებური სახელშეკრულებო ურთიერთობა მყარდებოდა ბაბილონის ფულიან ხალხ-დამკარებსა და ვაჭრობის აგენტ-შამალუებს შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ეს უკანასკნელნი სავაჭრო მიზნით გაემგზავრებოდნენ. ეს ხელშეკრულებანი არ შეიძლება გავაიგივეოთ სესხის ხელშეკრულებებთან, თუმცა სესხთან მსგავსების ზოგიერთი ნიშანი შეიძლება შევამჩნიოთ. მე მგონია, ისინი არ შეიძლება გავაიგივეოთ აგრეთვე, როგორც ამას შვრებაკიუკი, ამხანაგობის ხელშეკრულებებთან, რადგან მხარეთა ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულებებით აშკარად განსხვავდება იმისაგან, რაც დაწესებულია ამხანაგობის ხელშეკრულებისათვის კოდექსის 99 მუხლით. ისინი ყველაზე უფრო მოგვაგონებენ საკომისიო ხელშეკრულებას, მაგრამ ბევრ თავისებურ რამეს შეიცავენ, და ამიტომ ყველაზე უფრო სწორი იქნება ისინი სამართლის სხვა სისტემებიდან არცერთ ჩვენთვის ცნობილ რუბრიკაში არ მოვაქციოთ და განვიხილოთ ეს ხელშეკრულებანი როგორც ხელშეკრულებათა ცალკეული თავისებური ნაირსახეობა.

ჰამურაბის კოდექსში, არსებითად, გათვალისწინებულია დამკარის ორი სახის ხელშეკრულება შამალუსთან: ერთი სახეა ის ხელშეკრულება, როცა დამკარი შამალუს აძლევს ფულს სავაჭრო მიზნებით მოგზაურობისათვის (მუხ. 100), მეორე სახეა ის ხელშეკრულება, როცა დამკარი შამალუს გასაყიდად აძლევს მარცვლეულს, მატყლს, ზეთს და სხვა საქონელს (მუხ. 104).

პირველ შემთხვევაში შამალუს, რომელმაც სავაჭრო ოპერაციებისათვის ფული მიიღო, თუ მისი ოპერაციებისაგან მოგება დარჩა, უნდა გადაეხადა დამკარისაგან მიღებული კაპიტალის პროცენტები და გაენაწილებინა მისთვის მიღებული მოგება, ამასთან მხედველობაში მიეღო გზაში ყოფნის დროს გაწეული ხარჯები. თუ იგი თავისი მოგზაურობის შედეგად ვერავითარ მოგებას ვერ მიიღებდა, მას ორმაგად უნდა დაებრუნებინა დამკარისაგან მიღებული ფული (მუხ. 101). კოდექსის ამ დადგენილებიდან სჩანს, თუ რამდენად გადაჭრით იცავდა კანონმდებელი ბაბილონის შეძლებული ფენების — მონათმფლობელ — დამკარების ინტერესებს. თუ შამალუ უმოგებოდ ბრუნდებოდა, მას დამკარისათვის მთლიანად უნდა

აენაზღაურებინა თავისი მარცხი დამოუკიდებლად იმისა, იყო იგი დამნაშავე თუ არ იყო სავაჭრო ოპერაციის არახელსაყრელად დაბოლოებაში.

იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდებოდა მოვალეობისაგან — ორმაგად დაებრუნებინა კაპიტალი, თუ დამკარი მას კაპიტალს უპროცენტებოდ აძლევდა. მაგრამ მას ამ შემთხვევაში კაპიტალი მთლიანად უნდა დაებრუნებინა, თუნდაც რაიმე შემთხვევითი გარემოებისაგან მოსვლოდა ზარალი (მუხ. 102). ოღონდ, მას დამკარისათვის არაფერი არ უნდა დაებრუნებინა იმ ერთადერთ შემთხვევაში, როცა მას გზაში მტერი გაძარცვავდა და დაეკარგებოდა ყველაფერი, რაც თან ჰქონდა. ამ შემთხვევაში მას განსაწმენდელი ფიცი უნდა მიეცა, რის შემდეგ იგი დამკარის წინაშე ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლად იქნებოდა მიჩნეული.

უნდა აღინიშნოს, რომ, სავაჭრო მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯების გარდა, დამკარი კისრულობდა შამალუს სამგზავროდ გამზადებისა და გზაში მისი კმაყოფის ხარჯებს. ასეთი იყო ჩვეულება, რომელიც ჯერ კიდევ ურის დინასტიის დროიდან დამყარდა და ბაბილონის I დინასტიის დროსაც დარჩა, როგორც ეს მაშინდელი დოკუმენტებიდან სჩანს.

მხარეთა ანგარიშსწორებაზე იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებით გადასცემდნენ არა ფულს, არამედ საქონელს, კანონი თითქმის არაფერს ამბობს. ამ შემთხვევაში, როგორც ეტყობა, შამალუ სხვაგან არ მიემგზავრებოდა; მის მიერ დამკარისაგან მიღებული საქონელი, ალბათ, იქვე, ადგილობრივ იყიდებოდა. ამიტომ მისთვის საჭირო აღარ იყო მოგებიდან გამოექვითა სამგზავრო ხარჯები, როგორც ამას შამალუ შვრებოდა დამკარისაგან ფულის მიღების დროს. კანონი მოითხოვდა, რათა შამალუს, რომელმაც საქონელი მიიღო და ამაში ფული გადაიხადა, დამკარისათვის გამოერთმია ფულის მიღების ხელწერილი. კანონი ყოველნაირად უწყობს ხელს მონათმფლობელთა გვლენიან ჯგუფს — დამკარებს და აწესებს, რომ შამალუსათვის საქონელში გადახდილი ფული არ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული მხარეთა ანგარიშსწორების დროს, თუ შამალუს დამკარისათვის ხელწერილი არ ჩამოურთმევია.

თუ შამალუ დამკარისაგან ფულს მიიღებდა და შემდეგში ამას უარჰყოფდა, როცა დამკარი მას „ღმერთისა და მოწმეთა წინაშე“ ფულის მიღებაში ამხილებდა, შამალუ ვალდებული იყო სამმაგი

რაოდენობით დაებრუნებინა დამკარისათვის მთელი გამორთმეული ფული. თუ, პირიქით, შამალუ დააბრუნებდა მისთვის დამკარის მიერ მიცემულ მთელ ფულს, ხოლო დამკარი უარჰყოფდა შამალუსაგან ფულის მიღებას, „ღმერთისა და მოწმეთა წინაშე“ დამკარის მხილებისას მას შამალუსათვის ექვსმაგი რაოდენობით უნდა დაებრუნებინა მთელი მისგან მიღებული ფული.

ბ. ვალდებულებანი ზიანის მიყენების გამო

ჰამურაბის კანონებით სხვა პირის ქონებისა თუ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ზოგიერთ შემთხვევაში იწვევდა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ამრიგად, ვალდებულებანი წარმოსდგებოდა არა მარტო ხელშეკრულებებიდან და კანონის დადგენილებებიდან, არამედ მეორე პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტიდანაც.

ამას განეკუთვნება შემდეგი შემთხვევები:

ა) მუხლები 53 — 55 ითვალისწინებენ ვალდებულებას აენაზღაურებინათ საირიგაციო ნაგებობისადმი დაუდევარი დამოკიდებულით მიყენებული ზიანი. მუხლი 53 ამბობს: „თუ ვინმეს დაეზარა გაამაგროს თავისი საგუბარი და იმის გამო, რომ მან საგუბარი არ გაამაგრა, მისი საგუბარი გაირღვა და წყალმა ყანის ნაკვეთი წალეკა, იმან, ვისი საგუბარიც გაირღვა, უნდა აანაზღაუროს ამ გარღვევით მოსპობილი პურეული“. თუ მას არ ძალუძს პურეულის ანაზღაურება, ფულად გაჰყიდიან მას და მის ქონებას და ფულს გაიყოფენ ყანის ნაკვეთების პატრონები, რომელთა პურეულიც წყალმა წალეკა (მუხ. 54). ასეთივე პასუხისმგებლობა აწევთ იმ შემთხვევაშიც, როცა ვინმე თავის წყალსატევს მოსარწყავად გახსნის და დაუდევრობით დაუშვებს, რომ წყალმა მეზობლად მდებარე ყანა წალეკოს. ამ შემთხვევაში დამნაშავე ვალდებულია მიუზომოს პურეული თავისი მეზობლის მოსავლის შესაბამისად. თუ წალეკილია დამუშავებული ყანა, დამნაშავემ დაზარალებულს უნდა მიუზომოს 10 გური პურეული თითო განზე.

ბ) დაწესებული იყო აგრეთვე მწყემსის პასუხისმგებლობა, თუ იგი დაუშვებდა, რომ საქონელს ეძოვა სხვის მინდორში ამ უკანასკნელის პატრონის ნებადაურთველად. მწყემსს მინდვრის მესაკუთრისათვის 20 გური პურეული უნდა გადაეხადა განმიწაში. თუ მწყემსი საქონელს მინდორში მას შემდეგ გამორეკავდა, როცა სა-

ქონელი მინდვრიდან გაიყვანეს და ქალაქს საჩეხეში დაამწყვდიეს (ალბათ, წლის გარკვეული დროის დადგომისას), მწყემსს მომკამდე უნდა დაეცვა მინდორი, რომელშიც იგი საქონელს აძოვებდა, და მკის დროს მინდვრის პატრონისათვის უნდა მიეზომა 60 გური მარცვლეული განზე. ამ შემთხვევაში ჯარიმა, დანაშაულის მეტი სიმძიმის გამო, ერთისამად უფრო მეტი იყო, ვიდრე პირველ შემთხვევაში (მუხ. 57 და 58)[1].

გ) გათვალისწინებული იყო აგრეთვე პასუხისმგებლობა სხვის ბაღში ხის მოჭრისათვის. დამნაშავე ვალდებული იყო ხის მოჭრისათვის ნახევარი მინა ვერცხლი გადაეხადა (მუხ. 59).

დ) ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე 240-ე მუხლში გათვალისწინებული ვალდებულება გემის პატრონისა, თუ იგი თავისი გემით წყალადმა მგზავრობისას დაეჯახებოდა წყალდაღმა მიმავალ, მდინარეებით წარტაცებულ გემს და ჩასძირავდა მას. ჩაძირული გემის პატრონს ფიცით უნდა დაედასტურებინა მის მიერ გემთან ერთად დაკარგულის ღირებულება, და მეორე გემის პატრონი ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის მთელი დაღუპულის ღირებულება.

ე) დასასრულ, ამგვარივე ვალდებულებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ვალდებულება — გადაეხადათ მკურნალობისათვის ჩხუბის დროს გაუფრთხილებლობით მიყენებული ჭრილობის შემთხვევაში (მუხ. 206), ვალდებულება გადაეხადათ მონის და მონა-ქალის ღირებულება (20 სიკლი) მათი უცაბედი მოკვლის შემთხვევაში (მუხ. 208, 214) ან იმ შემთხვევაში, თუ ხარი განგმირავდა მონას ხარის პატრონის მიერ საჭირო ზომების მიუღებლობის გამო (მუხ. 251).

§ 33. ქორწინება და ოჯახი

1. ზოგადი შენიშვნები. დაქორწინება ბაბილონში ხელშეკრულებით ხდებოდა. უხელშეკრულებოდ იგი არანამდვილად ითვლებოდა. „თუ მამაკაცი მოიყვანს ცოლს უხელშეკრულებოდ,—ამბობს მუხ. 128, — ეს ქალი მისი ცოლი არ არის". დაშვებული იყო თავისუფალი მოქალაქის დაქორწინება მონა-ქალთან (მუხ. 170). ასეთი

---

[1] მუხ 58 მოცემულია კრიუველიეს თარგმანით, რომელიც განსხვავდება ვოლკოვის თარგმანისაგან.

ქორწინებიდან წარმომდგარი შვილები თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ასევე დაიშვებოდა თავისუფალი ქალის დაქორწინება მონასთან (სასახლის ან მუშკენუს მონასთან). შვილები ამ შემთხვევაშიც თავისუფალ ადამიანებად ითვლებოდნენ. ოღონდ ამ შემთხვევაში ქორწინების დროს შენაძენი ქონების ნახევარი ქმრის სიკვდილის შემდეგ ეძლეოდა მონის პატრონს, ხოლო ცოლი თავისი შვილებისათვის ქონების მხოლოდ მეორე ნახევარს დაემკვიდრებოდა.

საქმრო მომავალ სიმამრს ჩვეულებრივ აძლევდა ერთგვარ გამოსასყიდ ფასს სასძლოსათვის — ეგრეთ წოდებულ ტ ი რ ხ ა ტ უ ს და, გარდა ამისა, საქორწინო საჩუქარს — ბ ი ბ ლ უ ს — სასძლოს ოჯახს. სასძლოს თავისი მამისაგან ეძლეოდა მზითევი — შ ე რ ი კ ტ უ, რომელიც საქმროს გადაეცემოდა. მზითევი თავისი ოდენობით ჩვეულებრივ აღემატებოდა გამოსასყიდ ფასს. ტირხატუ იმ დროის გადმონაშთია, როცა ცოლს ყიდვით შეიძენდნენ ხოლმე. მაგრამ ჰამურაბის დროს ქორწინება უკვე არ იყო ცოლის შესყიდვა ბაბილონში. ტირხატუ — გამოსასყიდი ფასი არ წარმოადგენდა ქორწინების ხელშეკრულების სავალდებულო პირობას (მუხ. 139). ქორწინება წარმოიშობოდა არა გამოსასყიდი ფასის გადახდის გამო, არამედ ხელშეკრულების დადების გამო. ამრიგად, ქალი განიხილებოდა სრულიადაც არა როგორც საქონელი ყიდვა-გაყიდვით შეძენილი, არამედ როგორც მეტნაკლებად დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულებანი ქორწინების ხელშეკრულების გამო. სასძლოს ოჯახისათვის განკუთვნილი საჩუქარი (ბ ი ბ ლ უ) გვარისაგან, ოჯახური თემისაგან სასძლოს გამოსყიდვის გადმონაშთს წარმოადგენდა.

თუ საქმრო უარს იტყოდა დაქორწინებაზე, იგი გამოსასყიდ ფასსა და საქორწილო საჩუქარს ჰკარგავდა სასძლოს მამის სასარგებლოდ. მამას, თუ იგი უარს იტყოდა ქალიშვილის გათხოვებაზე, ყოველივე მის მიერ მიღებული ორმაგად უნდა დაებრუნებინა. ამრიგად, გამოსასყიდმა ფასმა დაჰკარგა სასძლოს, როგორც საქონლის საფასურის მნიშვნელობა, როგორიც მას თავდაპირველად ჰქონდა, იგი სასძლოს წინანდელი ყიდვა-გაყიდვის გადმონაშთს წარმოადგენდა, მაგრამ ამასთან ერთად იძენდა უპირობის ჯარიმის ხასიათს, როგორც დაქორწინების შესახებ მხარეთა მიერ მიცემული დაპირების უზრუნველყოფის საშუალება.

მზითევი — შერიკტუ — ქალიშვილს ეძლევა მისი გათხოვებისას; ასეთსავე საჩუქარს იძლევა მამა, როცა ქალიშვილს ქურუმად ან სატაძრო ხასად სწირავს. ქალიშვილი, რომელსაც შერიკტუ მიუღია, უკვე არ მონაწილეობს მამის ქონების დამემკვიდრეობაში მისი სიკვდილის შემდეგ (მუხ. 183, იხ. ქვემოთ).

ქალიშვილის მიერ ქორწინების გამო მიღებული შერიკტუ მისი საკუთრება ხდება, თუმცა ქმრის სარგებლობაში გადადის. ცოლის სიკვდილის შემდეგ შერიკტუ მისი შვილების ხელში გადადის; თუ მას შვილები არა ჰყავს, შერიკტუ გარდაცვლილის მამას უბრუნდება, მაგრამ უკანასკნელი ვალდებულია დაუბრუნოს ქმარს გამოსასყიდი ფასი.

მზითევი უბრუნდება ცოლს ქმრის სიკვდილის შემთხვევაში (მუხ. 171 და 172), აგრეთვე ქმრის ინიციატივით გაყრის შემთხვევაში, როცა ქალის ყოფაქცევაში საამისო საბაბი არ არის ან როცა გაყრა ხდება ცოლის უშვილობისა ან ავადმყოფობის გამო, აგრეთვე ქმრის მიზეზით გაყრის შემთხვევაში (მუხ. 142). მზითევი ქმრის სასარგებლოდ რჩება, თუ გაყრა ცოლის საძრახისი ყოფაქცევის გამო ხდება.

ქმრის მიერ ცოლისათვის ქორწინების დროს მიცემულ საჩუქარს ნ უ დ უ ნ უ ეწოდებოდა. მისი დანიშნულება იყო ცოლის უზრუნველყოფა ქმრის სიკვდილის შემთხვევაში. ეს სჩანს 172-ე მუხლიდან, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ნუდუნუ არ არის, ცოლს უფლებას ანიჭებს მიიღოს მემკვიდრეობითი წილი შვილების თანაბრად. ქმრის ასეთი საჩუქარი იყო არა მარტო მოძრავი ნივთები, არამედ უძრავი ქონებაც — მინდორი, ბაღი, როგორც ეს სჩანს 150-ე მუხლიდან, სადაც, სხვათა შორის, ქმრის საჩუქრის მიმართ სახელწოდება ნუდუნუ არ იხმარება.

2. ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ქორწინების ძირითადი ფორმაა მონოგამია; მაგრამ დაიშვება ამ ძირითადი ფორმისაგან გადახვევებიც. ქმარს შეუძლია ხელმეორედ შეირთოს ცოლი, ხოლო პირველი ცოლი მონად დაიტოვოს სახლში, თუ ცოლი „იწყებს განუსჯელად ქცევას, თავისი სახლის გაპარტახებას ან თავისი ქმრის უგულებელყოფას"; ამ შემთხვევაში ქმარს შეუძლია აგრეთვე გაეყაროს თავის ცოლს. თუ ცოლი უშვილოა, ქმარს შეუძლია ხასა აიყვანოს, თუნდაც ცოლის ყოფაქცევაში არავითარი ნაკლი არ იყოს; მაგრამ ეს მხევალი ცოლის თანაბარ მდგომარეობას არ უნდა ჩემულობდეს. დასასრულ, ქმარს შეუძლია მეორე ცოლი მოიყვანოს იმ შემთხვე-

ვაში, თუ პირველი ცოლი დაავადდა, მაგრამ ამასთან მან ავადმყოფი ცოლი არ უნდა უკუაგდოს. თუ იგი ქმართან დარჩენას არ მოისურვებს, ქმარმა მას მზითევი უნდა დაუბრუნოს, და მას შეუძლია თავის მამის სახლში დაბრუნდეს.

ქმარს უფლება არა აქვს გარედან აიყვანოს ხასა, თუ ცოლმა მას შესთავაზა მონა-ქალი, რომელმაც მას შვილები შესძინა. ამ შემთხვევაში ცოლს უკვე არ შეუძლია გაჰყიდოს ეს მონა-ქალი: გაყიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მონა-ქალი უშვილო რჩება.

ცოლს შედარებით მაღალი მდგომარეობა უკავია: იგი სავსებით უფლებაუნარიან პიროვნებად ითვლება. მზითევი მის საკუთრებად რჩება, იგი ქმრის მხოლოდ დროებითს სარგებლობასა და გამგებლობაშია. ცოლს შეუძლია აგრეთვე თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს ის ქონება, რომელსაც იგი ქმრისაგან საჩუქრად მიიღებს (ნუდუნუ); ეს ქონება ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოლის საკუთრებად რჩება, და მას შეუძლია უანდერძოს იგი თავის იმ შვილთაგანს, რომლისთვისაც გადაცემას მოისურვებს („იმას, ვინც მას ყველაზე მეტად უყვარს"), ნათქვამია კანონის ტექსტში (მუხ. 150).

ცოლი თავისუფლად სდებს გარიგებას, ყიდულობს და იჯარით იღებს ქონებას, ეწევა ხელობას, ვაჭრობას, მევახშეობას. თვითონ ქორწინების ხელშეკრულება, როგორც დავინახეთ, იდება ისეთი ხელშეკრულების ფორმით, რომლის პირობები მხარეთა შეთანხმებით წესდება. მაგრამ სქესების თანასწორუფლებიანობამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა. ქმრისათვის, როგორც ვნახეთ, დასაშვებია მრავალცოლიანობა. ამავე დროს ცოლს მეუღლური ორგულობისათვის სიკვდილით დასჯა ემუქრება — მდინარეში დახრჩობა. გაყრა თავისუფალია ქმრისათვის და გაძნელებულია ცოლისათვის.

გაყრა მამაკაცისათვის ყოველ დროსაა შესაძლებელი. ქალს კი უფლება აქვს გაყრა მხოლოდ განსაკუთრებულ, საგანგებო შემთხვევებში მოითხოვოს: ა) თუ მას უსაფუძვლოდ ბრალს დასდებენ მრუშობაში, ბ) თუ ქმარი ორგულობას გამოიჩენს და უგულებელჰყოფს მას როგორც ცოლს (მუხ. 142), გ) თუ ქმარი სახლსა და ადგილს დასტოვებს, დ) თუ ცოლი ავად არის და ქმარი შინ ხასას მოიყვანს.

გარდა ამისა, ქმარს ცოლის მიმართ მნიშვნელოვანი პირადი ძალაუფლება აქვს. ქმარს შეუძლია კაბალაშიც კი მისცეს ცოლი ქორწინებამდე აღებული თავისი პირადი ვალის გადასახდელად,

თუკი ცოლს ამისაგან თავი არ დაუცავს ქორწინების ხელშეკრულების პირობებით (მუხ. 117, 151); ქორწინების დროს აღებული ვალისათვის პასუხისმგებელია ორივე მეუღლე, მაგრამ ქმარს მაინც სახსრების უქონლობისას შეუძლია კაბალაში მისცეს როგორც შვილები, ისე ცოლი.

თუ ქმარი ტყვედ მოხვდა, ცოლს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ხელმეორედ გათხოვდეს, როცა მას არსებობის საშუალებანი არ გააჩნია, ამასთან თუ ქმარი ტყვეობიდან დაბრუნდა, ცოლი ვალდებულია დასტოვოს მეორე ქმარი და პირველს დაუბრუნდეს. თუკი ცოლს არსებობის საშუალებანი აქვს („თუ სახლში არის რაიმე საზრდო", — როგორც კანონი ამბობს), ცოლს უფლება არა აქვს გათხოვდეს ქმრის დაკარგვების შემთხვევაში; თუ ქალი ამას იზამდა, იგი წყალში უნდა გადაეგდოთ.

გაყრისას ქმარი ვალდებული იყო მთლიანად დაებრუნებინა ცოლისათვის მისი მზითევი (შერიკტუ) და მიეცა ქონების ნაწილი შვილების სასარგებლოდ, ხოლო უშვილო ცოლისათვის დაებრუნებინა გამოსასყიდი ფასიც (ტირხატუ); თუ გამოსასყიდი ფასი დაქორწინებისას არ ყოფილა მიცემული, ქმარი უხდის ცოლს თითქოს გასაყრელ ფასს ერთი მინა ვერცხლის რაოდენობით. მუშკენუსათვის ეს ფასი მცირდება 1/3 მინა ვერცხლამდე.

ქვრივს, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, უფლება არა აქვს სასამართლოს ნებადაურთველად ხელმეორედ გათხოვდეს. მოსამართლენი ასწერენ მისი პირველი ქმრისაგან დარჩენილ ქონებას და მეურვეს დანიშნავენ; არც ცოლს, არც მის მეორე ქმარს უფლება არა აქვთ რაიმე გაჰყიდონ ამ ქონებიდან, რომელიც მისი შვილებისათვის არის განკუთვნილი.

3. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა. ოჯახი ჯერ კიდევ ატარებს პატრიარქალურ ყოფაცხოვრების ნიშნებს, რაც აშკარავდება ქმრის როგორც ზემოაღნიშნული ძალაუფლებით ცოლის მიმართ, ისე მისი ძალაუფლებით შვილების მიმართ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ძალაუფლება მეტად დაშორებულია რომაელი ოჯახის უფროსის patria potestas-გან.

შვილების მდგომარეობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი არ არის; ისინი მამის ფართო ძალაუფლების ობიექტს წარმოადგენდნენ; მამას უფლება აქვს ქურუმად მისცეს ქალიშვილი, მონებად გაჰყიდოს თავისი შვილები, კაბალაში მისცეს შვილები თავისი ვალის ასანაზღაურებლად.

ქალიშვილების ქურუმებად შეწირვამ შედარებით ფართო გავრცელება ჰპოვა ბაბილონში. ამასთან ტაძრის ზოგიერთი მსახური ქალი ეწოდა ეგრეთწოდებულ „რელიგიურ“ პროსტიტუციას, რომელიც ჯგუფური ქორწინების უეჭველი ნაშთი იყო. „ფულის გულისათვის სხეულის დანებება, — ამბობს ენგელსი, — თავდაპირველად სარწმუნოებრივი აქტი იყო; ეს აქტი სიყვარულის ქალღმერთის ტაძარში ხდებოდა და ფული ტაძრის სალაროში შედიოდა“[1]. ენგელსი ჰეტერიზმს უწოდებს „მემკვიდრეობას, რომელიც ჯგუფობრივმა ცოლქმრობამ ცივილიზაციას უანდერძა“[2].

ბაბილონში ფართო გავრცელება ჰპოვა შვილად აყვანამ. იგი ძალიან ხშირად ნაკარნახევი იყო სურვილით — შეეძინათ მუქთი მუშა-ხელი ოჯახისათვის. მონა 10 სიკლზე ნაკლები არ ღირდა, და ისინი არც ისე ბევრნი იყვნენ, როგორც მერე საბერძნეთში და განსაკუთრებით რომში. უშვილოებს, რომლებისადმი მიძღვნილია კოდექსის 191-ე მუხლი, შვილად აყვანისათვის სხვა მოტივებიც შეიძლებოდათ ჰქონოდათ. შვილად აყვანა ხდებოდა აგრეთვე იმ მიზნით, რომ კანონიერი მდგომარეობა მოეპოვებინათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის, კერძოდ მონა-ქალისაგან წარმომდგარი ბავშვებისათვის. შვილად აყვანა ზოგიერთ შემთხვევაში ანდერძის მაგიერობასაც ეწოდა (იხ. ქვემოთ).

ჰამურაბის კოდექსი აღნიშნავს იმ პირობებს, როცა მშვილებელი უფლებას ჰკარგავდა უარი ეთქვა ნაშვილებზე. მეორე მხრივ, კოდექსი აღნიშნავს იმ შემთხვევებს, როცა ნაშვილებზე უარის თქმა გამართლებულად და კანონზომიერად ითვლებოდა.

მშვილებელს არ შეეძლო ნაშვილებზე უარი ეთქვა, ჯერ ერთი, თუ იგი, ბავშვს რომ იშვილებდა და აღზრდიდა, მას თავის სახელს მისცემდა ან თავისი შვილების რიცხვში მოაქცევდა, როცა ასეთები ჰყავდა (მუხ. 185, 190), მეორეც, თუ მშვილებელი საჭურისი იყო ან ქურუმი ქალი, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი მდგომარეობით ან ფიზიკური მონაცემების გამო არ შეეძლო საკუთარი შვილები ჰყოლოდა (მუხ. 187), მესამეც, თუ მშვილებელი ხელოსანი იყო, რომელიც აღზრდიდა და თავის ხელობას შეასწავლიდა

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 67.

შვილობილს (მუხ. 188). შვილება, თუ იგი შვილად აყვანილის მშობლების მიმართ ძალდატანებით იყო განხორციელებული, არანამდვილად ითვლებოდა (მუხ. 186).

მშვილებელს შეეძლო უარი ეთქვა შვილობილზე, თუ შვილად აყვანის შემდეგ მას საკუთარი ბავშვები დაებადებოდა (იხ. 191). მაგრამ ამ შემთხვევაში მას შვილობილისათვის უნდა მიეცა იმის 1/3 ნაწილი, რაც მოძრავ ქონებაში მისი შვილების მემკვიდრეობითს წილს შეადგენდა. „ყანიდან, ბალიდან და სახლიდან იგი ვალდებული არ არის რაიმე მისცეს-მას“.

კოდექსი აღნიშნავს აგრეთვე იმ შემთხვევებს, როცა შვილობილს შეეძლო მიეტოვებინა თავისი მშვილებელი. შვილობილს შეეძლო დაბრუნებულიყო თავის მშობლებთან, თუ მის მშვილებელ ხელოსანს მისთვის თავისი ხელობა არ შეუსწავლებია ან თუ მშვილებელს შვილობილი არ მოქცევია თავისი შვილების რიცხვში მისი საკუთარი შვილების თანაბრად.

§ 34. მემკვიდრეობითი სამართალი

მემკვიდრეობა თავდაპირველად ადათებით წესრიგდებოდა, შემდეგ იგი ნაწილობრივ მოწესრიგებულ იქნა კანონით — ჰამურაბის სამართლის წიგნით.

მემკვიდრეებად თავდაპირველად მიჩნეული იყვნენ გარდაცვლილის მხოლოდ ვაჟები, ქალიშვილებს კი დამემკვიდრების უფლება მხოლოდ მაშინ ენიჭებოდათ, თუ გარდაცვლილს ვაჟები არა ყავდა, როგორც ეს ჩანს მეფე გუდეას ქანდაკების ერთ წარწერიდან, რომელიც განეკუთვნება XXV საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ე. ი. ბაბილონის I-დინასტიის წინა პერიოდს.

შემდეგში ქალიშვილები მემკვიდრეობითი უფლებების მხრივ გათანასწორებულ იქნენ ვაჟიშვილებთან. ამასთან ერთად, თუ გარდაცვლილს პირდაპირი მემკვიდრეები არა რჩებოდა (შვილები და შვილიშვილები), მემკვიდრეებად უკვე აღიარებდნენ გარდაცვლილის ძმებს, ხოლო თუ ისინიც არ იყვნენ, მაშინ მემკვიდრეობა მამის ძმების ხელში გადადიოდა.

თუ სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის მომენტისათვის რომელიმე ვაჟიშვილთაგანი ცოცხალი არ აღმოჩნდებოდა, მის ნაცვლად მემკვიდრეობას მიიღებდნენ გარდაცვლილი ვაჟის შვილები — სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები.

შვილები მამის თუ დედის ქონებას თანაბრად დაემკვიდრებოდნენ. უფროს ვაჟს არავითარი უპირატესობა არა ჰქონდა დანარჩენთა წინაშე. შვილობილნი გარდაცვლილის საკუთარი შვილების თანაბრად იღებდნენ მემკვიდრეობას. თუ მამას ორი ან რამდენიმე ცოლი ჰყავდა, მემკვიდრეობა ყველა შვილს თანაბრად ეძლეოდა. მონა-ქალის შვილები, თუ მამამ ისინი თავის შვილებად სცნო, დანარჩენი შვილების თანაბრად იღებდნენ მოძრავ ნივთებს (მამის სახლის ქონებას), მაგრამ არ მონაწილეობდნენ უძრავი ქონების გაყოფაში (მუხ. 170). ოღონდ, თავისუფალი ქალისაგან შობილ შვილებს შეეძლოთ აერჩიათ ის ნივთები, რომლებიც მათი წილი უნდა ყოფილიყო.

თუკი მამა მონა-ქალისაგან შობილ შვილებს არა სცნობდა, ისინი ქონების დამემკვიდრეობაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მამის სიკვდილის შემდეგ მათ დედასთან ერთად თავისუფლება ენიჭებოდათ (მუხ. 171). ასეთი მდგომარეობა ჯერ კიდევ ძველი სუმერული კანონებით იყო დადგენილი.

ცოლიანი შვილები, რომლებმაც მამის სიცოცხლის დროს მიიღეს წინასაქორწინო შესატან—ტირხატუსათვის განკუთვნილი სახსრები, ვალდებული იყვნენ მამის ქონების გაყოფისას თავისი უცოლო ძმებისათვის გამოეყოთ, გარდა მათი წილისა, ტირხატუს გადასახდელად საჭირო სახსრები (მუხ. 166). ხასის ქალიშვილი, რომელმაც გათხოვებისას მზითევი მიიღო, არ მონაწილეობდა მამის ქონების დამემკვიდრეობაში (მუხ. 183), ისევე, როგორც, ალბათ, სხვა ქალიშვილებიც, რომლებმაც მზითევი მიიღეს. ხოლო თუ მზითევი არ ყოფილა მიცემული, ხასის ქალიშვილს მამის სიკვდილის შემდეგ თავისი ძმებისაგან საჩუქრად უნდა მიეღო მზითევი — შერიკტუ მამის ქონების ოდენობის შესაბამისად (მუხ. 184). სხვა ქალიშვილები, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მემკვიდრეობას ძმების თანაბრად იღებდნენ.

ქალიშვილ-ქურუმს, რომელმაც მამისაგან მზითევი — შერიკტუ მიიღო, უფლება ჰქონდა მხოლოდ ესარგებლნა ამ ქონებით, მაგრამ უფლება არა ჰქონდა გაესხვისებინა იგი, თუ ნაჩუქრობის პირობებით მამას მისთვის ეს [illegible]ლება არ მიუნიჭებია. ამიტომ ქალიშვილ-ქურუმისათვის შერ[illegible]კუს სახით დათმობილი უძრავი ქონება მამის სიკვდილის შემდეგ მისი ძმების ხელში გადადიოდა, და ისინი ვალდებული იყვნენ მიეცათ მისთვის სარჩო მისი წილის ოდენობის შესაბამისად. თუ ისინი ამაზე უარს იტყოდნენ, ქურუმ-ქალიშვილს

უფლება ჰქონდა სხვანაირად გამოეყენებინა თავისი უძრავი ქონება, მაგრამ უფლება არა ჰქონდა გაეყიდა იგი, და მისი სიკვდილის შემდეგ ეს ქონება მისი ძმების ხელში გადადიოდა (მუხ. 178). სხვა მდგომარეობა იქმნებოდა ქურუმი ქალისათვის, თუ მამა შერიკტუს მიცემისას მას უფლებას მიანიჭებდა ეს შერიკტუ თავისი შეხედულებისამებრ მოეხმარა (მუხ. 179). თუ ქურუმი-ქალიშვილი მამისაგან შერიკტუს არ მიიღებდა, იგი მამის ქონებას სხვა შვილების თანაბრად ეუფლებოდა, მაგრამ მას უფლება ჰქონდა მხოლოდ ესარგებლნა თავისი წილით, ამ წილის გასხვისება კი არ შეეძლო, და მისი სიკვდილის შემდეგ ეს წილი მისი ძმების ხელში გადადიოდა (მუხ. 180).

მაგრამ იყვნენ ქურუმი ქალების ისეთი ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებს ეძლეოდათ არა სრული მემკვიდრეობითი წილი, არამედ ამ წილის მხოლოდ 1/3 (მუხ. 181). ოღონდ, ზოგიერთ მათგანს (ღმერთ მარდუკის ქურუმ-ქალებს), ყველა სხვა ქურუმი ქალისაგან განსხვავებით, ეძლეოდა უფლება არა მარტო ესარგებლნა თავისი მემკვიდრეობითი წილით, არამედ კიდევაც მოეხმარა იგი თავისი შეხედულებისამებრ (მუხ. 182).

გარდაცვლილი დედის მზითევს ყველა მისი შვილი თანაბრად იყოფდა, ეს მზითევი მათი მამის ხელში არ გადადიოდა (მუხ. 167). თუ დედა უშვილო მოკვდებოდა, ქმარი სიმამრისაგან მიიღებდა გამოსასყიდ ფასს — ტირხატუს, თვითონ კი მას მზითევს დაუბრუნებდა (მუხ. 163).

თუ ქვრივი ხელმეორედ გათხოვდებოდა, კანონი იცავდა პირველი ქორწინებიდან წარმომდგარი მისი შვილების ინტერესებს. ამ შემთხვევაში ქვრივს შვილების სასარგებლოდ უნდა დაეტოვებინა ნუდუნუ (მუხ. 172) და, გარდა ამისა, მისი სიკვდილის შემდეგ პირველი ქორწინებიდან წარმოშობილ შვილებს უფლება ჰქონდათ დამემკვიდრეობოდნენ მის შერიკტუს მეორე ქორწინებიდან წარმოშობილი შვილების თანაბრად (მუხ. 173).

იყო თუ არა მემკვიდრე ცოლი, რომელიც თავისი ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოცხალი დარჩებოდა? ჰამურაბის კანონებით ცოლს, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოცხალი დარჩებოდა, ეძლეოდა მზითევი (შერიკტუ) და ქმრის საჩუქარი (ნუდუნუ) და განაგრძობდა ცხოვრებას თავისი გარდაცვლილი ქმრის სახლში. მაგრამ მას არ შეეძლო გაეყიდა მიღებული ქონება; ეს ქონება მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილების ხელში უნდა გადასულიყო

(მუხ. 171—ბ). თუ ქმარი მას საჩუქარს (ნუდუნუს) არ მისცემდა, მას ეძლეოდა მზითევი და, გარდა ამისა, საჩუქრის ნაცვლად, მემკვიდრეობის წილი შვილების წილის თანაბრად (მუხ. 172—ა).

მონის ქონება მისი სიკვდილის შემდეგ მისი პატრონის ხელში გადადიოდა. მაგრამ თუ სასახლის მონა ან მუშკენუს მონა ცოლად შეირთავდა თავისუფალ ქალს, მონის სიკვდილის შემთხვევაში ცოლი თავის სასარგებლოდ ინარჩუნებდა მზითევს — შერიკტუს, ხოლო მთელი დანარჩენი ქონება შუაზე გაიყოფოდა: ერთი ნახევარი მონის პატრონს ეძლეოდა, მეორე ნახევარი კი ქვრივს გადაეცემოდა შვილების აღსაზრდელად (მუხ. 176). ეს, როგორც ეტყობა, სასახლის მონებისა და მუშკენუს მონების პრივილეგია იყო, რომელიც დანარჩენ მონებზე არ ვრცელდებოდა.

ანდერძს ჰამურაბის კანონები პირდაპირ არ იხსენიებენ. მაგრამ მემკვიდრეობის მიმცემს, უეჭველია, რჩებოდა უფლება შეექნა უპირატესობანი ზოგი მემკვიდრის სასარგებლოდ და სხვა მემკვიდრეთა საზარალოდ. ასე, მაგალითად, მუხ. 150 ითვალისწინებს ქვრივის უფლებას გადასცეს ნუდუნუ ერთ-ერთ თავის შვილს თავისი სურვილისამებრ, მუხ. 165 მამას უფლებას ანიჭებს თავის სიცოცხლეში დასაჩუქრებით გაადიდოს რომელიმე შვილის წილი მამის ქონებაში დანარჩენი შვილების საზარალოდ.

მაგრამ აქ ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა საანდერძო განკარგულებაზე ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. მთელ რიგ შემთხვევებში ანდერძის როლს ასრულებდა შვილება, რომლის შედეგადაც შვილობილი შვილად ამყვანის მემკვიდრე ხდებოდა.

კოდექსის მუხლებიდან (მუხ. 168, 169) სჩანს, რომ მამას შეეძლო „უარეყო“ თავისი შვილი და, მაშასადამე, სავსებით წაერთმია მისთვის მემკვიდრეობა. მაგრამ ამისათვის, საჭირო იყო, რომ: ა) შვილს რაიმე მძიმე დანაშაული ჩაედინა, ამასთან არაერთხელ; ბ) ნება დაერთო სასამართლოს, რომლისთვისაც უნდა მიემართნა მამას, თუ იგი აპირებდა თავისი შვილისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევას.

§ 35. დანაშაული და სასჯელი

1. სასჯელი. ჰამურაბის კანონებში უკვე არ იხსენიება სისხლის აღების ადათი, რომელიც დამახასიათებელი იყო გვაროვნული საზოგადოებისათვის. გვაროვნული სისხლის აღება უკვე მთლიანად გამოდევნილია ზოგ შემთხვევაში სასჯელით, რასაც ადებენ დამნა-

შავეებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სხვა შემთხვევებში — საზღაურით, რასაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს ან მის ნათესავებს.

ჰამურაბის კანონები ინარჩუნებენ გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობათა საკმაოდ ბევრ გადმონაშთს. მათ უნდა მიეკუთვნოს: ა) მთელი ტერიტორიული თემის პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის იმ შემთხვევებში, როცა დამნაშავის ვინაობა უცნობია (მუხ. 23, 24), ბ) შვილების პასუხისმგებლობა მათი მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის (მუხ. 116, 210, 230), გ) დამნაშავის განდევნა მოცემული ადგილიდან ან „სახლიდან" (მუხ. 154, 158).

გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობათა გადმონაშთს ჰამურაბის კანონებში წარმოადგენს აგრეთვე ტ ა ლ ი ო ნ ი ს პრინციპი („თანაბარისათვის თანაბარი"), რასაც იყენებდნენ მთელ რიგ შემთხვევებში სასჯელის ზომის განსასაზღვრავად (თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ძვლის მოტეხა ძვლის მოტეხისათვის), აგრეთვე ჯარიმა დაზარალებულის სასარგებლოდ. მაგრამ პრინციპი „თანაბარისათვის თანაბარი" შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეც და დაზარალებულიც ბაბილონის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან (ავილუმი). ხოლო თუ დაზარალებულია მუშკენუ ან მონა, მაშინ დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ფულადი ჯარიმა ან აანაზღაუროს ქონებრივი ზარალი.

ასე, მაგალითად, თუ ავილუმი თვალს დასთხრის ავილუმს, თვითონ მას უნდა დასთხარონ თვალი (მუხ. 196). თუ იგი ძვალს გადაუტეხს ავილუმს, თვითონ მას უნდა მოსტეხონ ძვალი (მუხ. 197). ხოლო თუ იგი თვალს დასთხრის მუშკენუს ან ძვალს გადაუტეხს მას, ავილუმი მუშკენუს ჯარიმის სახით უხდის ერთ მინა ვერცხლს (მუხ. 198); თუ ესევე შეემთხვევა მონას, დამნაშავე იხდის მისი ღირებულების ნახევარს და ამასთან, რა თქმა უნდა, არა მონის, არამედ მისი ბატონის სასარგებლოდ.

ამრიგად, კოდექსით დაწესებული სასჯელი აშკარად კლასობრივ ხასიათს ატარებს. ეს თავს იჩენს არა მარტო იმით, რომ ტალიონის პრინციპის გამოყენება შეზღუდულია, არამედ იმითაც, რომ ერთი და იგივე დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელს, დამნაშავისა და დაზარალებულის კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით, აშკარად გამოხატული უთანასწორობა ახასიათებს. ასე, მაგალითად, თუ ავილუმი ყბაში გაარტყამს მისი საზოგადოებრივი მდგომარეო-

ბის თანასწორ მეორე ავილუმს, იგი ვალდებულია გადაუხადოს მას ერთი მინა ვერცხლი. ხოლო თუ ვინმე ყბაში გაარტყამს მასთან შედარებით უფრო მაღალი მდგომარეობის პირს, დამნაშავეს საჯაროდ სამოცჯერ გაარტყამენ ხარის ტყავის მათრახს. თუ მონა ყბაში გაარტყამს თავისუფალ მოქალაქეს, მას ყურები უნდა მოსჭრან.

მუშკენუ მეორე მუშკენუს გარტყმისათვის გაცილებით ნაკლებს იხდის, ვიდრე ავილუმი იმ შემთხვევაში, თუ იგი მეორე ავილუმს გაარტყამს. იგი იხდის არა მინა ვერცხლს, არამედ ათ სიკლს, ე. ი. ექვსჯერ ნაკლებს.

თუ ვინმე გაარტყამს ავილუმის ფეხმძიმე ქალიშვილს და ამის შედეგი იქნება მუცლის მოწყვეტა, იგი იხდის ათ სიკლ ვერცხლს; თუ იგივე შეემთხვევა მუშკენუს ქალიშვილს, ჯარიმა მცირდება ხუთ სიკლამდე, ხოლო თუ შეემთხვევა მონა ქალს — ორ სიკლ ვერცხლამდე (მუხ. 209, 211, 213).

თუ გარტყმას შედეგად მოჰყვება ავილუმის ქალიშვილის სიკვდილი, სიკვდილით დაისჯება იმის ქალიშვილი, ვინც მას გაარტყა, ხოლო თუ გარტყმისაგან დაიღუპება მუშკენუს ქალიშვილი, საქმე ნახევარი მინა ჯარიმით განისაზღვრება. დასასრულ, თუ გარტყმისაგან დაიღუპება მონა ქალი, ჯარიმა ერთ მესამედ მინა ვერცხლამდე მცირდება.

კოდექსის კლასობრივი ხასიათი აშკარავდება ქურდობისათვის დაწესებული სასჯელითაც. ქურდობისათვის ჯარიმდება ის პირი, ვისაც შეუძლია ჯარიმის გადახდა, და სიკვდილით ისჯება ხელმოკლე პირი, ვისაც არ ძალუძს გადაიხადოს ჯარიმა, რომელიც უდრის მოპარულის ათმაგი და 30-მაგ ღირებულებასაც კი.

სასჯელი პირველ რიგში მიზნად ისახავს მონათმფლობელური წყობილების დაცვას ბაბილონში. სიკვდილით დასჯა ემუქრება მონის მოპარვაში დამნაშავეს, აგრეთვე იმას, ვინც დამნაშავეა გაქცეული მონის დამალვაში ან თავისთან დატოვებაში.

მონა ვალდებული იყო სიტყვაშეუბრუნებლივ დამორჩილებოდა თავის ბატონს. კანონი ნებას რთავს მონათმფლობელს სასტიკად დასაჯოს მონა სულ მცირედი ურჩობისათვის. „თუ მონა ეტყვის [illegible]ავის ბატონს“ — „შენ ჩემი ბატონი არა ხარო“, — ამბობს სამა[illegible]ლის წიგნის უკანასკნელი, 282-ე მუხლი,—ბატონი მას ყურს მოსჭრის“.

ჰამურაბის კანონებისათვის ცნობილია შემდეგი სახეების სასჯელი მათ მიერ ზათვალისწინებულ დანაშაულობათათვის: სიკვდი-

ლით დასჯა, ასოთდაზიანება, ფიზიკური სასჯელი (გამათრახება), უპატიობის ნიშნის დასმა, მშობლიური ადგილიდან ან მშობლიური სახლიდან გაძევება, ფულადი ჯარიმა, დასასრულ, თანამდებობიდან დათხოვნა და მომავალში მისი დაკავების აკრძალვა.

სიკვდილით დასჯას ფართოდ მიმართავენ. 30-ზე მეტ შემთხვევაში კანონები სიკვდილით დასჯას აწესებენ, ამასთან სხვადასხვა შემთხვევაში დამნაშავეს ემუქრება წყალში დახრჩობა, დაწვა, სარზე ჩამოგება, ჩამოხრჩობა.

ასოთდაზიანებას მიმართავდნენ, უწინარეს ყოვლისა, ტალიონის განხორციელებისას. ამის დამოუკიდებლად ხშირად აზიანებენ დამნაშავის სხეულის იმ ნაწილებს, რომელთა საშუალებითაც ჩადენილია დანაშაული, თითქოს „სიმბოლური“ ტალიონის წესით. ასე, მაგალითად, შვილობილს, რომელმაც მამაზე უარი სთქვა, მოსჭრიან ენას, გამოუცდელ ექიმ-ოპერატორს მოჰკვეთენ ხელს, ძიძას, რომელსაც ბრალი მიუძღვის ბავშვის სიკვდილში, დასჭრიან ძუძუებს, ვაჟიშვილს, რომელმაც თავის მამას გაარტყა, მოჰკვეთენ ხელს და ა. შ.

2. დანაშაულნი. გადავდივართ ცალკეულ დანაშაულთა განხილვაზე.

ჰამურაბის კანონებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იქ არ არის დადგენილებანი ისეთ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც კანონმდებელს თითქოს განსაკუთრებით მძიმედ უნდა მიეჩნია: თითქმის არაფერია ნათქვამი სახელმწიფო დანაშაულებზე, არაფერია ნათქვამი რელიგიურ დანაშაულებზე, თითქმის არაფერია ნათქვამი განზრახ მკვლელობაზე.

კანონმდებელი ეხება მხოლოდ იმ პირთა დამალვის შემთხვევას, რომლებმაც ხელი აღმართეს სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ. „თუ მიკიტანი-ქალის სახლში თავს იყრიან შეთქმულები და იგი არ გადასცემს მათ მეფის სასახლეს, ეს ხამარი-ქალი სიკვდილით უნდა დაისაჯოს“, — ამბობს სამართლის წიგნის 109-ე მუხლი[1]. სამართლის წიგნში არის აგრეთვე მუხლი, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოყალიბებული რელიგიურ-პოლიტიკური სისტემის დაცვას, — ეს არის მუხლი 110; იგი დაწვის გზით სიკვდილით დასჯას უქადის ქურუმ-ქალს, რომელიც სამიკიტნოს გახსნის ან იქ დასალევად შევა.

---

[1] ვოლკოვის თარგმანში ამ მუხლმა სხვა, უფრო ფართო აზრი მიიღო: ნაცვლად სიტყვისა „შეთქმული“ იქ არის სიტყვა „დამნაშავე“.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მუხ. 26, რომელიც სიკვდილით დასჯის შიშით წინადადებას აძლევს „რედუს“ ან „ბაირუს“ ხელისუფალთა პირველ ბრძანებისთანავე გავიდენ სალაშქროდ და უკრძალავს ამ მეომრებს თავიანთი ნაცვლად დაქირავებული პირები გაგზავნონ ჯარის რიგებში.

უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს ყველაზე მძიმე დანაშაულობებზე არაფერი უთქვამს მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯა ამ შემთხვევებში თავისთავად იგულისხმებოდა, რის გამო კანონმდებელს შეეძლო ამ დანაშაულობებზე არ შეჩერებულიყო.

კოდექსში არის მუხლები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს მიერ დაწესებული სამართლის სწორი მოქმედებისაკენ. ამას ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, მუხლი, რომელიც სჯის თავისი განაჩენის შემცვლელ მოსამართლეს (ალბათ, იგულისხმება ქრთამის ამღები მოსამართლის მოქმედება). მოსამართლემ, რომელმაც განაჩენი შესცვალა მას შემდეგ, რაც განაჩენი გამოტანილია და ტაბლეტზეა დაწერილი, უნდა გადაიხადოს სარჩელის ღირებულება 12-ჯერადი ოდენობით; გარდა ამისა, იგი ჰკარგავს თავის თანამდებობას და მომავალში მისი დაკავების უფლებას. გათვალისწინებულია აგრეთვე სასჯელი ცრუ ბრალდებისათვის (სიკვდილით დასჯა) და ცრუმოწმეობისათვის, რისთვისაც დაწესებულია სიკვდილით დასჯა, თუ ბრალდებულს სიკვდილით დასჯა ემუქრება, და ჯარიმა სარჩელის თანხის რაოდენობით, თუ საქმე ქონებრივ დავას ეხება.

+ ა) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთ რომ ვეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ განზრახ მკვლელობაზე ზოგადი ფორმით კანონები არაფერს ამბობენ[1]. მაგრამ იქიდან, რომ უცაბედი მკვლელობისათვის მთელ რიგ შემთხვევაში დაწესებულია დამნაშავის სიკვდილით დასჯა (ან მისი ვაჟიშვილის თუ ქალიშვილის სიკვდილით დასჯა), უნდა დავასკვნათ, რომ განზრახ მკვლელობისათვის არ შეიძლებოდა სხვა სასჯელი, თუ არა დამნაშავის სიკვდილით დასჯა.

ამ დასკვნას პირდაპირ ადასტურებს აგრეთვე სამართლის წიგნის 1-ლი მუხლის შინაარსი, სადაც მკვლელობაში ცრუ ბრალდებისათვის დამნაშავეს სიკვდილი მიესჯება (როგორც ეტყობა, იგივე

[1] განზრახ მკვლელობად იგულისხმება მკვლელობა, როცა მკვლელს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მის მოქმედებას შეიძლებოდა დაზარალებულის სიკვდილი მოჰყოლოდა ან როცა მას პირდაპირ სურდა მისი სიკვდილი.

სასჯელი, როგორც ემუქრებოდა ბრალდებულს), და მე-3 მუხლის შინაარსი, სადაც ცრუ ჩვენებისათვის ისეთ საქმეზე, რომლის გამო ბრალდებულს სიკვდილით დასჯა ემუქრება, დაწესებულია დამნაშავის სიკვდილით დასჯა. კანონი ცალკე აღნიშნავს ცოლის მიერ ქმრის მოკვლას, რისთვისაც ცოლს სარზე ჩამოაგებდნენ (მუხ. 153).

კანონი აწესებს სასჯელს აგრეთვე იმ შემთხვევებისათვის, როცა მკვლელობა განუზრახველად მოხდა.

ასე, მაგალითად, ცუდად აგებული სახლის ჩამონგრევით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში სიკვდილით ისჯება სახლის მშენებელი, თუ ჩამონგრევისაგან დაიღუპა სახლის პატრონი, და სიკვდილით ისჯება მშენებლის შვილი, თუ დაიღუპა პატრონის შვილი. ხოლო თუ სახლის ჩამონგრევის შედეგად მოკვდა მონა, მშენებელი პატრონს მონაში აძლევს მონას, ე. ი. საქმე ქონებრივი ზიანის ანაზღაურებით იფარგლება. გათვალისწინებულია აგრეთვე ექიმის პასუხისმგებლობა უხეირო მკურნალობისათვის. თუ ექიმ-ქირურგს ავადმყოფი შემოაკვდება ან თუ იგი თვალიდან ბისტის მოცილებისას თვალს დაუზიანებს მას, ექიმს ხელს მოჰკვეთენ. მაგრამ თუ ექიმს მონა შემოაკვდება, საქმე იმით განისაზღვრება, რომ პატრონს აუნაზღაურდება ზიანი — ექიმმა მონაში მონა უნდა მისცეს.

მოვიხსენიებთ აქ კიდევ ძიძას, რომელიც ბავშვის სიკვდილის მიზეზი ხდება იმით, რომ დაქირავებით ძუძუს აწოვებს კიდევ მეორე ბავშვსაც პირველის მშობლების ნებადაურთველად. დასასჯელად დამნაშავეს ძუძუს მოსჭრიან.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან, გარდა მკვლელობისა კანონი ითვალისწინებს აგრეთვე სხეულის სხვადასხვა დაზიანებას და აწესებს მათთვის სასჯელს, როგორც დავინახეთ, ტალიონის პრინციპის მიხედვით თანაბარი კლასობრივი წარმოშობის პირთათვის და ჯარიმას იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულ პირს უფრო დაბალი სოციალური მდგომარეობა უკავია, ვიდრე დამნაშავეს. გათვალისწინებულია აგრეთვე ფეხმძიმე ქალის ცემის შემთხვევა, თუ მას შედეგად მუცლის მოწყვეტა მოჰყვა (იხ. ზემოთ). სასჯელი ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც უკვე ვნახეთ, სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, თუ როგორია დაზარალებულის კლასობრივი მდგომარეობა, და იმის მიხედვით, გარტყმას შედეგად მოჰყვა მხოლოდ მუცლის მოშლა თუ დაზარალებულის სიკვდილი.

ბრალის საკითხები ზოგჯერ როლს ასრულებენ პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს. კოდექსში ვხვდებით სუბიექტური ბრალეულობის აღიარების ჩანასახებს. ასე, მაგალითად, მუხ. 206 ამბობს: „თუ ვინმემ გაარტყა მეორეს ჩხუბის დროს და ჭრილობა მიაყენა, მან უნდა დაიფიცოს, რომ ძლიერ გაარტყა უცაბედად, და მაშინ იგი მხოლოდ ექიმს უხდის მკურნალობის საფასურს“. თუ ასეთ გაუფრთხილებელ გარტყმას შედეგად სიკვდილი მოჰყვება, როგორც შემდგომი — 207 და 208 მუხლებიდან სჩანს, დამნაშავე იხდის ჯარიმას, რომლის ოდენობა გარდაცვლილის კლასობრივი მდგომარეობით განისაზღვრება.

თუ ხარი გზაში ვინმეს ურჭენს და დაზარალებული მოკვდება, პატრონს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მაგრამ ხარის პატრონი პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ქალაქის ხელისუფალთა დასწრებით გააფრთხილეს, რომ მისი ხარი მარჭენალია, და თუ მან, მიუხედავად ამისა, არავითარი ზომა არ მიიღო უბედურების თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ჰამურაბის კანონებით სასჯელი ედება ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფერში არ არიან დამნაშავენი, ასე რომ სწორი არ იქნებოდა დაგვესკვნა, თითქოს კანონი სასჯელის დადებისას სუბიექტურ მხარეს ითვალისწინებდეს. ასე, ჰამურაბის კანონებით, თუ სახლის მშენებელი სახლს ისე ააგებს, რომ იგი ჩამოინგრევა და სახლის პატრონის შვილს გაჭყლეტს, ტალიონის ზუსტად განხორციელების მიზნით სიკვდილით ისჯება მშენებლის შვილი (მუხ. 230). ასევე, როგორც ვნახეთ, სიკვდილით ისჯება დამნაშავის ქალიშვილი იმ შემთხვევაში, როცა ფეხმძიმე ქალის გარტყმამ მისი სიკვდილი გამოიწვია (მუხ. 210).

სხვისი ბრალისათვის სრულიად უდანაშაულო ადამიანთა პასუხისმგებლობის ეს შემთხვევები მოწმობენ, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული (იხ. გვ. 162), რომ მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მომდინარე წარმოდგენანი დანაშაულისათვის კოლექტიური, პირველ რიგში ოჯახური პასუხისმგებლობის შესახებ.

ბ) დ ა ნ ა შ ა ულ ნ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულნი განსაკუთრებით სასტიკად ისჯება. სასახლის ან ტაძრის ქონების მოპარვისათვის ზოგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა წესდება (მუხ. 6), სხვა შემ-

თხვევებში (ხარის, ცხვრის, სახედრის, ღორის ან ორჩხომელას მოპარვისათვის) — ჯარიმა მოპარულის ღირებულების 30-ჯერადი ოდენობით. თუ ქურდს არ ძალუძს გადაიხადოს ეს ჯარიმა, მას სიკვდილით სჯიან (მუხ. 8). მუშკენუსაგან მოპარვისას ქურდს უნდა გადაეხადა მოპარულის 10-ჯერადი ღირებულება, ხოლო თუ ქურდი ამ თანხას ვერ გადაიხდიდა, მასაც სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა (მუხ. 8).

კედლის შენგრევის გზით ქურდობისათვის დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა ზედ კედელთან: მას ადგილობრივ ჩამარხავდნენ (მუხ. 21). ხანძრის დროს ქურდობისათვის დამნაშავეს ცეცხლში შეაგდებდნენ (მუხ. 25). შესაძლოა, რომ ამ შემთხვევებში ხდებოდა დაკანონებული თვითგასამართლება, რომელიც გამოსავალს აძლევდა თავის ინტერესებში შელახული მესაკუთრის გააფთრებას.

სიკვდილით დასჯა ემუქრება აგრეთვე იმას, ვინც მცირეწლოვანებისა და მონებისაგან რაიმეს შეისყიდის ან მათ შესანახად ნივთებს გადასცემს მოწმების დაუსწრებლად და უხელშეკრულებოდ (მუხ. 7). როგორც ეტყობა, ეს სასტიკი წესი იქითკენ იყო მიმართული, რომ თავიდან აეცილებინათ ნაქურდალის შესყიდვა და გაეადვილებინათ ქურდის გამომჟღავნება.

განსაკუთრებით ენერგიულად იცავდნენ საკუთრებას მონების მიმართ. სასახლის ან ტაძრის მონის, აგრეთვე მუშკენუს მონის მოპარვისათვის დამნაშავე, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, სიკვდილით ისჯებოდა (მუხ. 15). ასეთივე სასჯელი იყო დაწესებული გაქცეული მონის გადამალვისათვის, აგრეთვე ნაპოვნი მონის თავის სახლში დაკავებისათვის (მუხ. 18). ძველი სუმერული კანონები ერთი თვის განმავლობაში მონის დამალვისათვის აწესებდნენ ვალდებულებას მიეცათ მონაში მონა ან გადაეხადათ ჯარიმა 25 სიკლი.

მდაღავს, რომელიც გაუსხვისებელ მონას ნიშანს მოაცილებდა, ხელს მოჰკვეთდნენ, ხოლო ამისათვის შემგულიანებელ პირს სიკვდილით დასჯიდნენ (იხ. ზემოთ, § 30).

კანონში ცალკე იყო აღნიშნული გუთნის მოპარვა, აგრეთვე ჭურჭლისა და წყლის მისაღებად საჭირო მოწყობილობის მოპარვა. დაწესებული იყო ფულადი ჯარიმები.

კანონი, მონების მიმართ საკუთრებას რომ იცავს, ამავე დროს იცავს მცირეწლოვან ბავშვებს მათი მოტაცებისა და მონებად გაყი-

დვისაგან. კოდექსის ერთ-ერთი მუხლი ამბობს: „თუ ვინმემ მოიპარა ავილუმის მცირეწლოვანი ვაჟი, იგი სიკვდილით დაისჯება“ (მუხ. 14).

ქურდობასთან ერთად კანონი განასხვავებდა ძარცვას, რისთვისაც დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა (მუხ. 22). თუ მძარცველი იქვე არ შეიპყრეს, დაზარალებულს უნდა ეჩვენებინა აღგილი, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, და იმ თემს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ძარცვა, მთლიანად უნდა აენაზღაურებინა მისთვის ზარალი, ხოლო თუ გაძარცული მოკლულ იქნა, ამ თემს მოკლულის ნათესავებისათვის უნდა გადაეხადა ერთი მინა ვერცხლი (მუხ. 23 — 24).

კანონები მკაცრი ზომებით იცავდნენ მხედრებს, რომლებმაც მეფის „ილკუ“ — ნაკვეთები მიიღეს, უფროსთა მხრივ მათი ქონების ხელყოფისაგან.

უფროსი, რომელიც მხედრის ქონებას მიითვისებდა ან აიძულებდა მხედარს დაქირავებით ემუშავნა და მის გასამრჯელოს მიისაკუთრებდა, სიკვდილით ისჯებოდა (მუხ. 35).

დიდი ჯარიმები იყო დაწესებული, როგორც უკვე ვნახეთ, სხვის ბაღში ხის მოჭრისათვის (მუხ. 59), აგრეთვე წანახედისათვის, ე. ი. სხვის ყანაში შესული საქონლის მიერ ნათესების ვაფუჭებისათვის (მუხ. 57, 58).

გ) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი ო ჯ ა ხ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ოჯახის წინაალმდეგ მიმართული დანაშაულთაგან და სქესობრივ დანაშაულთაგან ჰამურაბის კანონები ეხებიან ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევას და ახლო ნათესავებთან და მოყვარეებთან სქესობრივ კავშირს, სჯიან აგრეთვე ქვრივის ხელმეორე დაქორწინებას.

ერთგულების დარღვევისათვის ცოლს, აგრეთვე მისი დანაშაულის თანამონაწილეს შეჰკრავდნენ და წყალში გადააგდებდნენ (მუხ. 129). მაგრამ ქმარს შეეძლო ეპატიებინა თავისი ცოლისათვის, და ამ შემთხვევაში მეფე აპატიებდა თანამონაწილეს. ხოლო თუ სხვა მამაკაცთან კავშირს დაამყარებდა არა ცოლი, არამედ საცოლო, სიკვდილით მხოლოდ დამნაშავე მამაკაცი ისჯებოდა. როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი იყო მამაკაცის ძალადობა (მუხ. 130)[1].

---

[1] ვოლკოვის თარგმანში ძალადობის ნიუანსი გადმოცემული არ არის.

თუ ვინმე ცოლს ბრალად დასდებდა ქმრისადმი ღალატს, მას თავი უნდა გაემართლებინა ამ ბრალდებისაგან „წყალში ჩაშვებით", ე. ი. განსაკუთრებული გამოცდით წყალში, რომლის დროსაც მას, როგორც ეტყობა, წყალში დახრჩობის საფრთხე ემუქრებოდა.

თუ გამოცდა მისთვის კეთილად ჩაივლიდა, იმას, ვინც უსაფუძვლოდ ბრალად სდებდა ქალს მრუშობას, თმას მოკრეჭდნენ შერცხვენილობის ნიშნად.

ისჯებოდა მხოლოდ ცოლის ღალატი. ქმარს შეეძლო დაუსჯელად ეღალატნა ცოლისათვის და ზოგ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, შეეძლო სახლში ხასაც კი მოეყვანა. კანონი, როგორც ვხედავთ, გამოდიოდა ოჯახში ქალზე მამაკაცის ბატონობიდან.

ეს მკვეთრად აშკარავდება იმითაც, რომ კანონი ქმრისათვის უშვებდა მონოგამიის დარღვევას და ამავე დროს სიკვდილით დასჯით ემუქრება ქვრივს, თუ იგი სასამართლოს ნებადაურთველად ხელმეორედ გათხოვდება, როცა მას პირველი ქმრისაგან მცირეწლოვანი შვილები ჰყავს (მუხ. 135—ბ).

ცოლქმრული ერთგულების დარღვევასთან ერთად კანონი სჯის აგრეთვე, როგორც ნათქვამი იყო, სქესობრივ კავშირს ახლო ნათესავებსა და მოყვარეებს შორის. ასე, კავშირი დედასთან მამის სიკვდილის შემდეგ ისჯება ორივე დამნაშავის დაწვით. მამის კავშირი ქალიშვილთან იწვევს მამის გაძევებას მოცემული ადგილიდან. თუ მამა თავის ვაჟის ცოლთან კავშირს დაამყარებს, ამისათვის იგი სიკვდილით ისჯება წყალში დახრჩობის გზით, ვაჟის საცოლესთან კავშირისათვის მამას უნდა გადაეხადა ჯარიმა ნახევარი მინა ვერცხლი და მზითევი უნდა დაებრუნებინა სასძლოსათვის (მუხ. 156). გერის კავშირი დედინაცვალთან მამის სიკვდილის შემდეგ ისჯებოდა გერის გაძევებით სახლიდან. მაგრამ ეს კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯებოდა, თუ დედინაცვალს შვილები ჰყავდა.

სისხლის სამართლის კანონი ეხება აგრეთვე მშობლებისა და შვილების ურთიერთობას. კანონი სასტიკად იცავს მამის ძალაუფლებას და აწესებს, რომ ვაჟს, რომელმაც თავის მამას გაარტყა, ხელს მოჭკვეთენ (მუხ. 195). მაგრამ, მეორე მხრივ, კანონმდებელი იცავს შვილებს მშობლების შესაძლო თვითნებობისაგან: იგი აწესებს, რომ მამას შეუძლია უარჰყოს შვილი და წაართვას მას მემკვიდრეობა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილი განმეორებით ჩაიდენს რაიმე სერიოზულ დანაშაულს (მუხ. 168, 169). ძველი სუმერული კანო-

ნები ამ მხრივ უფრო სასტიკი იყო: ისინი ნებას იძლეოდნენ გაეძევებინათ შვილი, რომელიც თავის მშობლებს უარჰყოფდა. „თუ ვინმემ უთხრა თავის მამას და თავის დედას — „შენ არა ხარ მამაჩემი, არა ხარ დედაჩემი“, — ამბობს სუმერული კანონი, — იგი დასტოვებს სახლს, ყანას, ბაღს, მონებს, ხაბაკ-ხუბაკს, პირუტყვს“.

სისხლის სამართლის კანონები ეხება აგრეთვე მშობლებისა და მათი შვილობილის ურთიერთდამოკიდებულებას. ისინი სასტიკი სასჯელით იცავენ მშვილებელის ძალაუფლებას: ზოგ შემთხვევაში შვილობილს, რომელმაც უარჰყო თავისი მამა ან თავისი დედა, ენის მოჭრა ემუქრება (მუხ. 192), ხოლო ნაშვილევს, რომელიც, თავის მშობლებს რომ იპოვნის, განიზრახავს დასტოვოს მშვილებელი, თვალის დათხრა ემუქრება (მუხ. 193).

§ 36. სასამართლო და პროცესი

1. სასამართლოს წყობილება. უძველეს პერიოდში სასამართლო ხელისუფლებას შუამდინარეთის სახელმწიფოებში, როგორც სჩანს, ქურუმები ახორციელებდნენ. ჰამურაბის დროს, ადმინისტრაციის რეფორმასთან ერთად, ჩატარდა სასამართლოს რეფორმაც. ეს რეფორმა იმით გამოიხატა, რომ სასულიერო მოსამართლენი, ქურუმები, საერო პირებით შესცვალეს. ჰამურაბის უახლოესი წინამორბედების დროს, ნაწილობრივ მისი მეფობის პერიოდშიც, ერთსა და იმავე დროს ვხვდებით როგორც საერო, ისე სასულიერო მოსამართლეებს. მაგრამ ჰამურაბის მემკვიდრეთა დროს დოკუმენტებში ქურუმთა სასამართლო უკვე არ იხსენიება. როგორც სჩანს, ჰამურაბის დროს საერო მოსამართლეებს საბოლოოდ გამოუდევნიათ სასულიერო მოსამართლენი. ეს რეფორმა, ალბათ, უშუალოდ დაკავშირებული იყო ბაბილონში მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და ცენტრალიზაციის გაძლიერებასთან. ამასთან მეფე, რომელმაც ახალი კანონები გამოსცა, დაინტერესებული იყო იმით, რომ სამართალი უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ პირებს განეხორციელებინათ. ამრიგად, ქურუმების და მონათმფლობელთა სხვა დაჯგუფების ბრძოლა ხელისუფლებაში მონაწილეობის ფარგლებისათვის ქურუმთა დამარცხებით დამთავრდა.

მაგრამ საერო მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღებას მთლიანად არ მოუსპია ქურუმების სასამართლო ძალაუფლება. პენსილვანიის უნივერსიტეტის მიერ ნიპურში წარმოებული გათხრე-

ბისას იპოვნეს ტაბლეტი, რომლიდანაც სჩანს, რომ, თუმცა პროცესი ტაძარში არ ხდება, მაინც ქურუმები ისევ მონაწილეობენ სასამართლო პროცედურაში. ზოგიერთ შემთხვევაში საკმარისი არ იყო მოწმეთა ჩვენება საერო სასამართლოს წინაშე: ჩვენება უნდა განმეორებულიყო ქურუმთა წინაშე ტაძარში. ქურუმები ჰამურაბის დროს ისევ იწოდებიან „ტაძრის მოსამართლეებად". მაგრამ სინამდვილეში ისინი მხოლოდ დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ სასამართლო პროცესში.

მოწმეთა გაგზავნა ტაძარში და ქურუმთა ზოგიერთი სხვა მოქმედება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იყო საჭირო (მაგალითად, როცა ხდებოდა ქონების გაყოფა მემკვიდრეებს შორის ან გაყოფა ერთმანეთთან ამხანაგობის ხელშეკრულებით დაკავშირებულ პირთა შორის, და საჭირო იყო შეედგინათ ქონების აღწერილობა ან როცა არ იყო საქმის გამო სხვა საკმაოდ დამამტკიცებელი საბუთები).

ქურუმები დამხმარე ფუნქციებს სასამართლო პროცესში ახალი ბაბილონის მონარქიის ეპოქაშიც კი ასრულებენ. ბაბილონის ისტორიის ამ უფრო გვიან პერიოდში ქურუმები ხელს უწყობენ იმას, რომ აიძულონ მოპასუხე სასამართლოში გამოცხადდეს, ეხმარებიან სასამართლოსათვის საჭირო ცნობების შეგროვებაში და თავის მხრივ გადასცემენ სასამართლოს დოკუმენტებს, რომლებიც მხარეებმა მათ ჩააბარეს თავიანთი პრეტენზიების დასადასტურებლად; ისინი ეხმარებიან აგრეთვე გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სასამართლო ფუნქციებს ბაბილონში ძველთაგან ასრულებდნენ ადმინისტრაციის ორგანოები. შაკანაკუ — ოლქის მმართველი — როგორც სჩანს, მოსამართლის როლში გამოდიოდა იმ შემთხვევებში, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი იყვნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა დავა აღიძრებოდა იმის გამო, რომ მოვალე დაკავებულ იქნა კრედიტორის მიერ, დავაში, რომელიც გამომდინარეობდა ქმრისა და მისი ავადმყოფი ცოლის ურთიერთდამოკიდებულებიდან, ბავშვისა და მისი დედის მეორე ქმრის ურთიერთდამოკიდებულებიდან, აგრეთვე იმ შეცდომის შემთხვევაში, რომელიც დაშვებულ იქნა გაყიდული უძრავი ქონების ფართობის ზომის გამო. შაკანაკუ ჩვეულებრივ ასამართლებდა საბჭოსთან ერთად, რომელიც შესდგებოდა ზოგჯერ ექვსი, ზოგჯერ ათი კაცისაგანაც კი.

რაბიანუ-ქალაქის მმართველი, რომელიც მოწოდებული იყო წესრიგი დაეცვა ქალაქში, — ზოგჯერ აგრეთვე გამოდიოდა მოსამართლის როლში, როგორც ქალაქის ოთხი თუ რვა უხუცესისაგან შემდგარი კოლეგიის მეთაური, ამიტომ მას ზოგჯერ ეწოდება თავმჯდომარე („რაბი ზიკატიმ"). იგი ზოგჯერ ასამართლებდა სხვა ერთპიროვნულ მოსამართლეებთან ერთად.

კოლეგიები, რომლებსაც მეთაურობდნენ შაკანაკუ და რაბიანუ, შესდგებოდა ზოგჯერ უხუცესებისაგან, ზოგჯერ ადგილობრივი დიდკაცობისაგან, ნოტაბლებისაგან, ზოგჯერ ვაჭრებისაგან — დამკარებისაგან. ზოგიერთ აქტში მოხსენებული არიან სასამართლო კოლეგიები, რომლებსაც „პუხრუმი" ეწოდება. ეს კოლეგია განირჩევა სხვა კოლეგიებისაგან, მაგრამ მისი ზუსტი შემადგენლობა უცნობია; იგი იხსენიება ჰამურაბის კოდექსის მე-5 მუხლში.

გარდა ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოებისა, რომელიც ეწეოდა გასამართლებას სხვადასხვა კოლეგიის დახმარებით, არსებობდნენ პროფესიული მოსამართლენი; თუმცა ისინი სასამართლო ფუნქციებთან ერთად ზოგიერთ ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებდნენ. ამგვარი მოსამართლენი იყვნენ ყოველ ოლქში და უშუალოდ ემორჩილებოდნენ მეფეს. ყოველი ოლქის სასამართლოები შესდგებოდა რამდენიმე მოსამართლისაგან: სასამართლებს ოთხი, რვა მოსამართლე. მოსამართლეებს დაკისრებული ჰქონდათ მეფის ქონების მართვის ზოგიერთი ფუნქცია, ქალაქების კუთვნილი ქონების კონტროლი.

მოსამართლეებს ჰყავდათ თანაშემწეები („რაბიშუ"), რომლებსაც იხსენიებენ ჯერ კიდევ ურის II დინასტიის დოკუმენტები. თვითეულ სასამართლოში იყო მოსამართლის რამდენიმე თანაშემწე. ისევე როგორც მოსამართლე, ისინიც ზოგიერთ საკონტროლო ფუნქციას ასრულებდნენ. მოსამართლის განკარგულებაში იყო აგრეთვე „მოსამართლის ჯარისკაცი"; ეს იყო ერთგვარი პოლიციელი მოხელე, რომელიც მოსამართლის დავალებებს ასრულებდა. ამგვარივე მოხელე იყო ზემოთნახსენებ სასამართლო კოლეგიებთანაც.

სასამართლოსთან იყო აგრეთვე მწერალი — სასამართლოს მდივანი; იგი ინახავდა გადაწყვეტილებათა შემცველ ტაბლეტებს, იღებდა მათგან ასლებს. ეს იყო „სასამართლოს მდივანი, არქივარიუსი ან, ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარიის მოსამ-

სახურე, მდივანთა კორპორაციის წევრი"[1]. ესევე მდივნები ასრულებდნენ მართვა-გამგეობის ზოგიერთ ფუნქციას, ქირაობდნენ და იჯარით სცემდნენ მიწებს, ხელმძღვანელობდნენ მონების ჯგუფებს და სხვ.

უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება ბაბილონში მეფეს ეკუთვნოდა; მისთვის უნდა მიემართნათ აპელაციით იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი არ იყვნენ. მასვე ეკუთვნოდა შეწყნარების უფლება. მეფე თვითონ კისრულობდა საქმის წარმოებას გაჭიანურების შემთხვევაში ან როცა საქმეთა გარჩევაზე უარისთქმის გამო საჩივარი შემოვიდოდა. მეფის სასამართლოში შედიოდა აგრეთვე ძმების და დების დავა მემკვიდრეობის გაყოფის გამო.

მეფე სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდა ან თვითონ ან „მეფის მოსამართლეთა" მეშვეობით, რომლებიც მისი დავალებით მოქმედებდნენ. „მეფის მოსამართლეებს" ირჩევდნენ ან პროფესიულ მოსამართლეთა წრიდან, ან ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელთა წრიდან. ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ქალაქ ბაბილონის მოსამართლეს შეეძლო მეფის მოსამართლის როლშიც გამოსულიყო.

2. პროცესი. სისხლის სამართლის პროცესს და სამოქალაქო პროცესს, როგორც სჩანს, ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ. ბრალდებას მხარს უჭერდა კერძო პირი; საზოგადოებრივი ბრალდება და პროკურატურის ანალოგიური რაიმე არ ყოფილა.

ფულად ჯარიმას, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ეკუთვნოდა დანაშაულისაგან დაზარალებულ პირს, დაზარალებულის ინიციატივით ახდევინებდნენ და, როგორც სჩანს, ეს ჯარიმა მთლიანად ან ნაწილობრივ მის სარგებლობაში გადადიოდა. როგორც ეტყობა, თანაბარ საფუძველზე განიხილავდნენ როგორც მოთხოვნას, რომელიც შეეხებოდა, მაგალითად, ბაღის დაუდევარი იჯარადარის ან ხარის იჯარადარის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ისე მოთხოვნას, რომელიც შეეხებოდა ჯარიმას ქურდობისათვის ან ძვლის მოტეხვისათვის, გარტყმისათვის, ჯარიმას მარქენალი ხარის რქენით გამოწვეული სიკვდილისათვის.

სასამართლოში დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენდნენ: ფიცი, მოწმეთა ჩვენებანი, წერილობითი აქტები, აგრეთვე ორდა-

---

[1] დახასიათება, მოცემული კიუკის მიერ „ბაბილონის სამართლის გამოკვლევებში", გვ. 367.

ლიები (ეჭვმიტანილის გამოცდა წყლით). ჰამურაბის კოდექსიდან სჩანს, რომ ორდალიებს მიმართავდნენ, ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, როცა ცოლს ვინმე ბრალად დასდებდა მრუშობას; მაშინ ცოლი „თავისი ქმრის გულისათვის წყალში უნდა ჩაშვებულიყო“, ე. ი. მას წყლით გამოცდა უნდა გადაეტანა. მეორეც, იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს ბრალად დასდებდნენ ჯადოქრობას. „თუ ვინმე არ დაამტკიცებს ბრალდებას ჯადოქრობაში, მაშინ ის, ვისზედაც ეჭვი მიიტანეს ჯადოქრობაში, მდინარესთან მივა და წყალში ჩაეშვება. თუ მდინარე დაეუფლა მას, ის, ვინც მას ბრალი დასდო, მიიღებს მის სახლს, ხოლო თუ მდინარემ ეს კაცი უდანაშაულოდ გამოაცხადა და იგი უვნებელი დარჩა, მაშინ ის, ვინც მას ბრალდებად წაუყენა ჯადოქრობა, სიკვდილით ისჯება, ხოლო ვინც მდინარეში ეშვება, თავისი ბრალმდებლის სახლს მიიღებს“ (მუხ. 2). ფიქრობდნენ, რომ წყალს, როგორც წმინდა სტიქიონს, უნარი ჰქონდა ემხილებინა ჯადოქარი და ცოლი, რომელმაც თავის ქმარს უღალატა. ფიცს მიმართავდნენ მაშინ, როცა ეჭვი არსებობდა და როცა სხვა დამამტკიცებელი საბუთები არ იყო; ფიცულობდნენ ღმერთებს და მონარქის სახელს. მოწმენი მუდმივად გვევლინებიან გასამართლებაზე როგორც სასამართლო დამამტკიცებელი საბუთი. ზოგიერთ შემთხვევაში მხარეს ექვსი თვის ვადა ეძლეოდა მოწმეების სასამართლოში მოსაყვანად.

კანონები მკაცრი ზომებით სდევნიან არაკეთილსინდისიერ ბრალდებას და მოწმის ცრუ ჩვენებას, ცდილობენ დაიცვან სრულიად უდანაშაულო ადამიანები მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობისაგან, რაც სასამართლოებში სუფევდა. ასე, სასამართლოს წიგნის I მუხლი ამბობს: „თუ ვინმემ ბრალი დასდო მეორეს და მკვლელობა დასწამა, მაგრამ ეს ვერ დაამტკიცა, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს“. ცრუმოწმეობა ისეთ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სიკვდილით დასჯას იწვევდა, სიკვდილით ისჯებოდა (მუხ. 3), სხვა საქმეებზე იმ სასჯელს იწვევდა, რომელიც ემუქრებოდა ბრალდებულს მსჯავრის დადების შემთხვევაში (მუხ. 4). განცხადება ვითომდა შესანახად გადაცემული ნივთის ვითომდა დაკარგვის შესახებ იწვევდა ვალდებულებას — ორმაგად გადაეხადათ მოთხოვნილი ნივთის ღირებულება (მუხ. 126). დაუმტკიცებელი ბრალდება მრუშობაში იწვევდა შემარცხვენელ სასჯელს დამნაშავისათვის (მუხ. 127).

სასამართლოს ოქმები თიხის ფირფიტაზე იწერებოდა და შეიცავდა მოდავე მხარეთა ჩვენებას, მათს ფიცს, სასამართლოს განაჩენის არსს და მოწმეთა ვინაობას. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალის განსამტკიცებლად მხარეს ჩვეულებრივ აკისრებდნენ ვალდებულებას — ხელმეორედ არ აღეძრა იგივე საქმე. მოპასუხეს ან მოსარჩლეს მოსამართლის ბრძანებით წერილობით უნდა ეკისრნა სათანადო ვალდებულება და გადაეცა იგი მოპირისპირე მხარისათვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავეს დაედებოდა ჯარიმა, რომლის ოდენობას მოსამართლე განსაზღვრავდა (ზოგჯერ 2 სიკლი, ზოგჯერ ½ მინა), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავეს შერცხვენის ნიშნად შუბლზე თმას მოპარსავდნენ, როგორც ამას მონებს უშვრებოდნენ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, განსაკუთრებით თ. XIV.

М а р к с К., Британское владычество в Индии (Сочинения, т. IX, стр. 346 и сл.).

М а р к с К., Формы, предшествующие капиталистическому производству, журнал „Пролетарская Революция“ № 3—1939 г. (არის ცალკეული გამოცემაც).

М а р к с К. и Э н г е л ь с Ф., Переписка (Сочинения, т. XXI, стр. 482 и сл., 487 и сл., 493 и сл., 500 и сл.).

Источники

С т р у в е В. В., Хрестоматия по древней истории, т. I. М., 1936.

Ж а р и н о в Д. А. и Н. М. Н и к о л ь с к и й и др. Древний мир в памятниках его письменности, ч. I, Восток, 1915.

С т р у в е В. В., Речение Ипувера, Лейденский папирус, № 344, М., 1935.

В о л к о в И. М., Законы вавилонского царя Хаммураби, 1914.

Р и ф т и н А. П., Старо-вавилонские документы в собраниях СССР, М—Л., 1937.

Kohler, Peiser, Ungnad, Hammurabi's Gesetz, Bd, I—VI.

C r u v e i l h i e r P., Commentaire du Code d'Hammourabi, Paris, 1938 (текст, перевод и комментарий).

Пособия. Исследования

Дарест Р., Исследования по истории права. СПБ. 1894.

Сергеевич, Законы царя Хаммураби и Библия о несвободных людях. Журнал Министерства Юстиции, 1908, кн. 9.

Волков И., Кодекс Хаммураби. Журнал Министерства Народного Просвещения, 1909, февраль.

Гусаков А. Г., Законы царя Хаммураби (Известия Петербургского Политехнического Института, 1904, 1).

Галанза П., Конспект лекций по курсу „Всеобщая история государства и права" под редакцией проф. Е. Коровина, выпуск I, Москва, 1940 г.

Revillout E., Cours du droit égyptien, 1884.

Revillout E., Précis du droit égyptien, 1899—1900.

Pirenne J., Histoire des institutions et du droit privé de l'ancienne Egypte, t. I, Bruxelles, 1932, t. II. Bruxelles, 1934.

Scharf A. und Seidl E., Einführung in die ägyptische. Rechtsgehichte dis zum Ende des Neuen Reichs, I. Iuristischer Teil Glückstadt Hamburg New Jork, 1939 (ägyptologische Torschungen, Heft 10).

Kohler J., Das Recht der orientalis chen Völker („Allgemeine Rechtsgeschichte von J. Kohler und Leopold Wenger", 1914, ss. 57 u. ff.).

Cuq, Etudes suf le droit babylonien, Paris, 1929.

Cruveilhier F., Introduction au Code d'Hammourabis, Paris, 1937.

Schäffer, The social legislation of the primitive Semites, New-Haven, 1915.

Müller, Die Gesetze Hammurabis, 1903.

Koschaker, Rechtsvergleichende Studien zur Gesetzgebung Hammurabis, Leipzig, 1917.

Пособия и исследования, относящиеся к общей истории древнего Египта и древнего Вавилона

Акад. В. В. Струве, История древнего Востока, 1941.

Тураев Б. А., История древнего Востока, под ред. В. В. Струве и И. Л. Снегирева, т. I и II, 1935.

Авдиев В. И., История древнего Востока, М., 1943.

Струве В. В., Рабство в древнейшем Сумире. „Известия" Гос. Академии Истории Материальной Культуры (ГАИМК), вып. 97, 1934 г.

Снегирев И. Л. и Ю. П. Францев, Древний Египет, Л., 1938.

Брэстед Дж. Г., История Египта, т. I и II, 1915.

Авдиев В. И., Сельская община и искусственное орошение в древнем Египте („Историк-марксист" 1934 г., № 6).

Никольский Н. М., Община в древнем Двуречье („Вестник древней истории", 1938, № 4).

Матье М. Э., Следы матриархата в Древнем Египте („Вопросы истории доклассового общества", Сборник статей к 50-летию книги Энгельса „Происхождение семьи, частной собственности и государства". М.—Л., 1936).

Moret A., Histoire de l'Orient, t. I—II, Paris, 1936.

Meyer Ed., Geschichte des Altertums. Bd. I, 1913, Bd. II, 1928.

Hall H., The ancient history of Near East, VI ed., 1936.

Dykmans G., Histoire économique et sociale de l'a cienne Egypte, t. I, II, 1936.

Dairaines Serge, Un socialisme d'état quinze siécles avant J.-C., Paris, 1934.

Capart, Histoire de l'Orient ancies, 1936.

Delaporte L., La Mésopotamie. Les civilisations babylonienne et assyrienne, 1923.

კარი მეორე

ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი

თავი V

მესაკალი მნიშვნელობა

§ 37. გეოგრაფიული მდებარეობა და გუნებრივი პირობები

მონათმფლობელურმა სახელმწიფომ და სამართალმა განვითარების უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს ძველ საბერძნეთში.

ძველი ბერძნები დასახლებულ იყვნენ უმთავრესად ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში (ამ კუნძულის მთელი ტერიტორიის დაახლოებით ¼), ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ბერძენთა ბევრი ახალშენი იყო აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ნაწილებში (ბოსფორი და დარდანელი, სამხრეთ იტალია, სიცილია და ა. შ.).

მიწა საბერძნეთში უნაყოფიერია, ხვნა-თესვა მხოლოდ ვაკეებში იყო შესაძლებელი, პურეული ცოტა მოდიოდა, და საჭირო იყო მისი გარედან შემოტანა. მთების კალთებზე ყურძენი და ზეთის ხილი ხარობდა, მაგრამ ამ კულტურების დამუშავება ბევრ შრომას მოითხოვდა ნიადაგის სიმწირის გამო. წყალი საკმარისად არ იყო; მუდმივი ბრძოლა სწარმოებდა წყლისათვის. მესაქონლეობა წვრილფეხა ჯიშების — თხისა და ცხვრის მოშენებით განისაზღვრებოდა.

ამასთან ერთად საბერძნეთი შედარებით მდიდარი იყო მთამადნეულით: რკინით, ვერცხლითა და ოქროთი, აგრეთვე თიხით და საშენი მასალებით (ქვითა და მარმარილოთი).

საბერძნეთის გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან უწყობდა ხელს ზღვაოსნობის განვითარებას. საბერძნეთის სანაპირო ხაზი მეტისმეტად დასერილია და ამ ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბევრ მოხერხებულ ნავსაყუდელსა და ყურეს წარმოქმნის. გარდა ამისა, მეზობელი ეგეოსის ზღვა დასერილია მრავალი კუნძულით, რომლებიც შედარებით მცირე მანძილზე მდებარეობენ ერთიმეორისაგან.

ყოველივე ამან, აგრეთვე მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელმა პირობებმა და ამასთან დაკავშირებით პურეულის შემოტანის აუცილებლობამ განსაზღვრეს ხელოსნობის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ადრეული განვითარება საბერძნეთში.

საბერძნეთის ეკონომიურ განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე საბერძნეთის შედარებითმა სიახლოვემ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც უფრო ადრე გამოვიდნენ ისტორიულ სარბიელზე. ამ ქვეყნებთან ბერძენთა კავშირურთიერთობას, უეჭველია, ხელსაყრელი გავლენა უნდა მოეხდინა თვით საბერძნეთის განვითარებაზე.

§ 38. საბერძნეთის სახელმწიფო — მონათმფლობელური „პოლისი"

მონათმფლობელურმა სახელმწიფომ ბერძენთა სამყაროში „პოლისის" თავისებური ფორმა მიიღო. ეს იყო სახელმწიფო—ქალაქი, ე. ი. სახელმწიფო, შემდგარი რამდენიმე სოფლისაგან, რომლებიც ერთი საქალაქო ცენტრის ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი. ბერძნების მონათმფლობელურ სახელმწიფოთა სიპატარავე იმით აიხსნება, რომ ეს სახელმწიფოები ჩამოყალიბდა, როგორც შედარებით პატარა კოლექტივების მომცველი გვაროვნულ-ტომობრივი თემების დაშლის უშუალო შედეგი. ამავე დროს არ იყო ეკონომიური თუ სამეურნეო-ორგანიზაციული წანამძღვრები რამდენადმე ფართო პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმოქმნისათვის. ხელოსნობა დაფუძნებული იყო მონური შრომის ვიწრო ბაზისზე, და მას საკმაოდ მაღალი განვითარებისათვის არასოდეს არ მიუღწევია. სანაპირო ქალაქების ვაჭრობა უმთავრესად საგარეო, ზღვისიქითურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ, რაც უნდა გაფართოებულიყო მონურ შრომაზე დამყარებული ხელოსნობა, დიდი შინაური ბაზრის შექმნის საჭიროება არ არსებობდა.

საბერძნეთის ბუნება თავის მხრივ ხელს უწყობდა ბერძნული ოლქების განცალკევებას. ქვეყანა ძნელადგადასასვლელი მთაგრეხილებითაა დასერილი, ასე რომ ერთი ოლქიდან მეორეში ხეობებითა და ვიწრო ბილიკებით გადადიოდნენ. ვიწრო ყელი ისტმი (კორინთი) ჰყოფდა ქვეყნის ერთ ნაწილს მეორისაგან. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მონათმფლობელური პოლისის სახელმწიფოებრივი ფორმის განმტკიცებას.

ბერძენთა მიერ ხმელთაშუაზღვის რაიონების კოლონიზაციას, რაც ჯერ კიდევ VIII საუკუნეში დაიწყო, შედეგად მოჰყვა ის, რომ ბერძენთა კოლონიები შორს გაიშალნენ დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც. ამ ადრეული კოლონიზაციის მიზეზები იყო, ერთი მხრივ, მისწრაფება — განევითარებინათ ზღვისიქითური ვაჭრობა და შეექმნათ მისთვის ახალი დასაყრდენი პუნქტები, ხოლო, მეორე მხრივ, მიწის ნაკლებობა სამშობლოში იმის გამო, რომ იგი მწირი იყო და უკვე ხდებოდა მისი კონცენტრაცია მდიდრების ხელში.

კოლონიები ჩვეულებრივ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ პოლისებს, რომლებიც თავის მეტროპოლიასთან პოლიტიკურად დაკავშირებული არ იყვნენ. ამრიგად, ძველ ბერძენთა სამყარო შესდგებოდა მრავალი სახელმწიფოსაგან, რომლებიც მდებარეობდნენ როგორც საკუთრივ საბერძნეთის და მისი მომიჯნავე კუნძულების ტერიტორიაზე, ისე შორს, მის ფარგლებს გარეთ.

დასავლეთში ბერძენთა ახალშენები მდებარეობდნენ არა მარტო იტალიის სამხრეთ ნაპირებზე, სიცილიის კუნძულებზე და კორსიკაზე, არამედ საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზეც (მასილია, აწინდელი მარსელი); აღმოსავლეთში ბერძენთა კოლონიზაცია მოედო შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს (ოლვია, ხერსონესი და სხვ.) და მდინარე დონის შესართავსაც კი (ტანაისი).

სახელმწიფო წყობილება როგორც მეტროპოლიის ქალაქებში, ისე ამ კოლონიურ ახალშენებში მეტად სხვადასხვანაირი იყო და ხშირ ცვლილებებს განიცდიდა. ზოგში სჭარბობდა ტირანიის სახელმწიფო ფორმა, რომლის დროსაც ძალაუფლება ერთ პირს— ტირანს ეკუთვნოდა, ზოგში — დემოკრატია, როცა სახალხო კრებებს იწვევდნენ და ხელისუფლების არჩევითს ორგანოებს ინარჩუნებდნენ, ზოგში კიდევ — არისტოკრატია, როცა ძალაუფლება დიდკაცობის მცირერიცხოვან წარმომადგენელთა ხელში გადადიოდა, ან ოლიგარხია, რომლის დროსაც ხელისუფლების ორგანოები აშკარად განმტკიცებული იყო მდიდარ მოქალაქეთა წარმომადგენლებზე. სახელმწიფოს ფორმების ნაირნაირობის მხრივ ბერძენთა პოლისების შესწავლა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ამ ფორმების განხილვას მიუძღვნა თავისი „პოლიტიკა“ სახელგანთქმულმა ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ.

შემდგომ გადმოცემაში, საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდის (ჰომიროსის საბერძნეთი) განხილვის შემდეგ, გაშუქე-

ბული იქნება ბერძენთა მხოლოდ ორი პოლისი — ათენი და სპარტა. ბერძნების სახელმწიფოთა შორის ესენი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოებია, რომლებმაც შესამჩნევი გავლენა მოახდინეს ბერძნების სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობის ბედ-იღბალზე. მათგან ერთი (ათენი) მონათმფლობელური დემოკრატიის ნიმუშს წარმოადგენს, ხოლო მეორე (სპარტა) — მონათმფლობელური არისტოკრატიის ნიმუშს.

თავი VI

ჰომიროსის საბერძნეთი და პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლა

§ 39. გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფანი და სისხლის აღების ადათი ჰომიროსის დროის ბერძნებთან

საბერძნეთის უძველესი ლიტერატურული ძეგლები — სახელგანთქმული პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, რომლებიც, როგორც ეტყობა, XI — IX საუკუნეებს განეკუთვნება, ასახავენ ძველ ბერძენთა გვაროვნულ ყოფაცხოვრებას. არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც მოახდინეს შლიმანმა გასული საუკუნის 70-იან წლებში და ევანსმა XX საუკუნის დამდეგს, გამოააშკარავეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კრეტოს კუნძულზე კიდევ უფრო ძველი კულტურა, ვიდრე ჰომიროსის საბერძნეთის კულტურაა. მაგრამ ამ „კრეტო-მიქენური“ კულტურის ხასიათი და ჰომიროსის დროის კულტურასთან მისი დამოკიდებულება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენენ. ამ კულტურის თავისებურებათა ყოველმხრივ გახსნას მნიშვნელოვნად აძნელებს ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული წარწერები გაშიფრული არ არის, და ამიტომ იძულებული ვართ მარტო არქეოლოგიურ მასალას დავჯერდეთ. ჩვენი მიზნებისათვის, ძველი ბერძნების სახელმწიფოთა და მათი წარმოშობის პროცესის შესასწავლად, საკმარისია დავიწყოთ ჰომიროსის პოემებით და არ ვცადოთ უფრო შორს ჩავიხედოთ იმ ხალხთა ისტორიის სიღრმეში, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ.

ჰომიროსის პოემები, რომლებიც, ალბათ, საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა და კოლექტიური ხალხური შემოქმედების პროდუქტს წარმოადგენენ, ასახავენ II ათასეული წლის დამლევს და I ათასეული წლის დამდეგს მომხდარ ამბებს.

რას წარმოადგენდა საბერძნეთი თავისი ისტორიის ამ „ჰომიროსულ“ ეპოქაში? მოსახლეობა იყოფოდა ტომებად (ფილები), ფრატრიებად და გვარებად (გენები). ტომები უკვე გაერთიანებული იყვნენ პატარა ხალხებად. ჰომიროსთან ფრატრია სამხედრო ერთეულს წარმოადგენს: ბერძენთა ჯარები ტომებისა და ფრატრიების მიხედვით ეწყობოდნენ. ფრატრიას თავისი სალოცავები და დღესასწაულები ჰქონდა. კაცი, რომელიც არც ერთს ფრატრიას არ ეკუთვნოდა (afraetor), უგვარტომო კაცი კანონგარეშე იდგა და მოკლებული იყო საზოგადოების მხრივ დაცვას. ეს იყო კაცი „უუფლებო“, „უსახლკარო და უგვარო“ („ილიადა“, IX, 63).

სისხლის აღების ადათი ჯერ კიდევ სრულ ძალას ინარჩუნებს. ნათესავის მკვლელობის შურისუძიებლად დატოვება უპატიობა იყო, შურუგებელი სიკვდილი მოკლულისათვის უბედურებად ითვლებოდა („ოდისეა“ XI, 380; XI, 145). ოდისევსის მიერ მოკლული ანტინოის მამა ნათესავებს ასეთი სიტყვით მიჰმართავს:

მაშ, მოგიწოდებთ,—ვიდრე პილოსს არ გაქცეულა
ან ელიდაში ღვთაებრივში ის არ წასულა,
სადაც ეპელნი ბატონობენ,—მას შევუტიოთ!
თუ არ ვიქმთ ასე, სამუდამოდ სახელს შევირცხვენთ:
სირცხვილის ლაქა დაგვაჩნდება ჩვენც და ჩვენს შვილთაც,
რომ შვილების და ღვიძლი ძმების მკვლელნი დავზოგეთ.
მე კი სიცოცხლის სიამესა არად მივიჩნევ,
სიკვდილს მოვუხმობ და დაღუპულთ კვალსა გავყვები.
„ოდისეა“ XXIV, 433—438.

მკვლელს შურისძიების თავიდან აცილება მხოლოდ იმ გზით შეუძლია, თუ იგი სხვაგან გადაიხიზნება ან საზღაურს გადაუხდის მოკლულის ნათესავებს, თუ ეს უკანასკნელნი ამას დასთანხმდებიან.

საზოგადოებრივი ხელისუფალნი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ მკვლელის დევნაში; ალბათ, ისინი მხოლოდ შუამავლობდნენ სისხლის აღების გამოსასყიდის ოდენობის განსაზღვრაში. არქილევსის ფარზე გამოსახული იყო მოკლულის ნათესავთა სასარგებლოდ ანაზღაურების გამო გამართული დავის გარჩევის სცენა. მაგრამ აქ საქმე ეხებოდა არა საურავის ოდენობას, არამედ იმას, გადახდილი იყო თუ არა საურავი. დავას არჩევდნენ ტომის წინამძღოლი — ბაზილევსი (იხ. ქვემოთ, § 41) და ტომის უხუცესები ხალხის დასწრებით.

მოედნის ქვაზე, შეკრებილი ხალხის წინაშე,
ორნი ვაჟკაცნი ერთმანეთსა ედავებოდნენ,

მოკლული კაცის სისხლისათვის მიზეზის შესახებ:
ერთი ფიცავდა—ყველაფერი გარდვიხადეო,
ხოლო მეორე: არაფერი მიმიღიაო.

„ილიადა“ XVIII, 497—500.

სამართალი ჯერ კიდევ არ იყო. სიტყვა—nomos—კანონი—ჰომიროსის პოემებში აღარ გვხვდება. ჰომიროსის დროინდელი ბერძნები მიმართავენ სამართლიანობას, ადათებს—dike.

§ 40. შრომის დანაწილება და კლასობრივი დაყოფანი

მოსახლეობის მთავარი საქმიანობა—მესაქონლეობა და მიწათმოქმედებაა. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ასლი. მთავარ სიმდიდრეს პირუტყვი და მიწა შეადგენს. პირუტყვი ფასეულობის საზომია: ხარი იყო საქონლის საგადასახდელო საშუალება. ხარს იძლეოდნენ აგრეთვე როგორც სასძლოს გამოსასყიდს; ხარი იყო ტყვეთა გამოსყიდვის საშუალებაც. გარდა ხარისა, იხსენიება ცხვარი, თხა, ღორი, სახედარი, ჯორი, ცხენი. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზეთისხილის, ხეხილის, ვენახის გაშენებას.

უკვე გაჩნდა ხელოსნობა. შეიქმნა ქალაქები, რომლებიც კედლებით იყვნენ გარშემოვლებულნი. მაგრამ შრომის დანაწილება და ვაჭრობა ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. მეურნეობა ძირითადად ნატურალური ხასიათს ატარებს, და პროდუქტები უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის მზადდება. ბევრი ხელოსანი ჯერ კიდევ მუშაობს არა საკუთარ სახელოსნოში, არამედ დამკვეთლის სახლში და მისი მასალითა და იარაღით სარგებლობს. ხელოსნები მოგზაურობენ, მათ თავიანთი მუდმივი სახლი არ გააჩნიათ. მათ შინ იწვევს გვაროვნული დიდკაცობა. „ოდისეაში“ ვკითხულობთ:

მითხარ, უცხოელს ვინ მოიწვევს თავის ბინაში,
თუ თვითონ ეხლა მოსულია უცხო ქვეყნიდან;
მოიწვევს იმათ, ვინც საქმისთვის სარგო არიან:
მისანს, ან მკურნალს ცუდ სენთაგან, ანდა ხუროსა,
ან ღვთაებრივსა აედს უხმობს, ტკბილად მომღერალს:
აი, ბრწყინვალე ვაჟკაცები დედამიწისა!

„ოდისეა“ XVII, 382—386.

ექიმების, მკითხავების, მომღერლების, ხომალდთა მშენებლების გარდა, იხსენიებიან აგრეთვე ხუროები, მექოთნეები, მჭედლები, დაბაღები. მაგრამ ზოგიერთი ხელოსნური წარმოება უკვე მთლიანად გამოცალკევებულია სოფლის მეურნეობისაგან. ასეთია

მჭედლების ხელობა, რომლებიც აკეთებენ იარაღს, ჯაჭვკურტაკს, ეტლს. შრომის დანაწილებას დიდი წარმატებისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია: დაბალი სცვლის მეიარაღეს და ტყავით გააწყობს ფარს, ხურო დურგლადაც გამოდის და ა. შ.

ჰომიროსის საბერძნეთში იწყება რკინის ხმარება, რაც მიქენის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ რკინა ბრინჯაოსთან ერთად იხსენიება, ამასთან „ოდისეაში“ გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე „ილიადაში“.

უკვე გაჩნდნენ მონები. თავდასხმებსაც კი ახდენენ, რათა დანარცხებულნი მონებად აქციონ. მეფე-ბაზილევსებს * და წარჩინებულ ადამიანებს სახლში უკვე რამდენიმე ათეული მონა ჰყავთ თვითეულს. მაგრამ მონობა ჰომიროსის დროინდელ ბერძნებთან შინაური ხასიათს ატარებს. მონები უმთავრესად არიან შინაყმები, სახლეულნი, ზოგჯერ ესენი არიან მწყემსები, ზოგჯერ ისინი ასრულებენ ხელოსნურ სამუშაოს ან მუშაობენ სოფლის მეურნეობაში. ასე, ბაზილევს ალკინოის სახლში 50 მხევალი დასაქმებული იყო მარცვლეულის ფქვაზე, აგრეთვე რთვა-ქსოვაზე. ოდისევსისთან მონები ჯოგებს მწყემსავდნენ, მინდვრისა და ბაღის სამუშაოს ასრულებდნენ. მაგრამ მომკელები უმთავრესად არიან არა მონები, არამედ დაქირავებული მუშები, მოჯამაგირენი — ფეტები. ფეტებს ჩვეულებრივ ქირაობენ ერთი წლით განსაზღვრულ ფასად. მათი მდგომარეობა ადვილი რიდია. ისინი უმთავრესად მძიმე სამუშაოებს ასრულებენ და თავიანთ აუტანელ ვალდებულებათა შედეგად ხშირად კაბალაში ვარდებიან. როგორც ჰომიროსის „ოდისეადან“ სჩანს, ფეტს მონას უტოლებენ.

მონებს შორის გამოიყოფიან ბატონთა დაახლოებულნი, თავიანთი მდგომარეობით პრივილეგიურნი. მათ აკისრებენ მეურნეობის მართვას, სხვა მონების ზედამხედველობას. ზოგჯერ ასეთ მონებს აქვთ თავიანთი სახლი, ჰყავთ თავიანთი პირუტყვი; ასეთი იყო, მაგალითად, ევმეი, ბაზილევს ოდისევსის საყვარელი მონა.

ჰომიროსის საბერძნეთში უკვე თავს იჩენს მნიშვნელოვანი ქონებრივი უთანასწორობა. ჩნდება საზოგადოების ფენა, რომელიც დიდძალ სიმდიდრეს ეპატრონება — საუკეთესო მიწებს, პირუტყვს,

---

* „მეფე-ბაზილევსის“ ხმარება შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ამან მხოლოდ გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს. ბაზილევსი მეფე არაა. იხ. ამის შესახებ ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი: „ოჯახის, კერძო საკუთრ. და სახელ. წარმოშობა“, IV. „ბერძნული გვარი“, 3. მხედართმთავარი. ქ ა რ თ. თ ა რ გ მ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი.

მონებს, ლიათონს როგორც ზოდის, ისე ნაკეთობის სახით. გმირები და ბაზილევსები გამოირჩევიან თავიანთი სიმდიდრით. ისინი ფლობენ საუკეთესო მიწებს, „პურისმოსავლიან ყანებს“, „მსხმოიარე ბაღებს“. მიწა ძირითადად ჯერ კიდევ შეადგენს ტომის საკუთრებას და გვარების წევრებს ფორმალურად მხოლოდ სარგებლობაში ეძლევათ პერიოდული ხელახალი გაყოფის პირობით. მაგრამ წარჩინებული და მდიდარი გვარების წარმომადგენელთა ნაკვეთები („კლერები“) გამოირჩევიან ზომითაც და ხარისხითაც, ხოლო ბაზილევსებს თავიანთ სასარგებლოდ ეძლევათ კიდევ განსაკუთრებული ნაკვეთი — „ტემენოსი“. გარდა ამისა, თემის რიგითი წევრების ეკონომიური დამოკიდებულება, რომლებიც იძულებული იყვნენ ბაზილევსებისა და გვაროვნული დიდკაცობის წარმომადგენლებისაგან აეღოთ ინვენტარი, პირუტყვი, თესლი, ხშირად იწვევდა მათ მიერ მიწის ნაკვეთების დაკარგვას. მდიდარ მიწათმფლობელებთან, მრავალი ნაკვეთის მფლობელებთან ერთად, ჩნდებიან მიწის ნაკვეთს მოკლებული მოჯამაგირენი — ფეტები. დიდკაცობა ითვისებს აგრეთვე სამხედრო ნადავლის უდიდეს ნაწილს. ასე ჰომიროსის ეპოქაში გვაროვნულ საზოგადოებას უკვე ემჩნევა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც თან სდევს მქონებელი დიდკაცობის გამოცალკევება. გმირები და ბაზილევსები ჰომიროსთან მათი სიმდიდრის პატივსაცემად იწოდებიან მსუქან, ქონიან ადამიანებად. ვინც მდიდარია, ის უკეთესი, კეთილშობილი, მამაციც არის. ღარიბნი კი ჰომიროსის პოემებში გლახა, ცუდ, უბადრუკ ადამიანებად იწოდებიან.

ჰომიროსის საბერძნეთში ხდება პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად რჩება ძველი პატრიარქალური ყოფაცხოვრება. მდიდარი ოჯახების წევრები მონებთან ერთად პირადად მონაწილეობენ წარმოებითს შრომაში. ბაზილევს მენელაის ცოლი ელენე და ბაზილევს ოდისეის ცოლი პენელოპა განთქმული იყვნენ რთვისა და ქსოვის ოსტატობით. თეაკიის ბაზილევს ალკინოის ქალიშვილი ნავსიკა მხევლებთან ერთად მიდის ზღვაში სარეცხის ამოსავლებად. ოდისევსის მამა, ლაერტი, ბაღსა და ბოსტანში მუშაობს. თვითონ ოდისევსი გუთნით ხნავს

მჭედლების ხელობა, რომლებიც აკეთებენ იარაღს, ჯაჭვკურტაკს, ეტლს. შრომის დანაწილებას დიდი წარმატებისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია: დაბალი სცვლის მეიარაღეს და ტყავით გააწყობს ფარს, ხურო დურგლადაც გამოდის და ა. შ.

ჰომიროსის საბერძნეთში იწყება რკინის ხმარება, რაც მიქენის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ რკინა ბრინჯაოსთან ერთად იხსენიება, ამასთან „ოდისეაში“ გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე „ილიადაში“.

უკვე გაჩნდნენ მონები. თავდასხმებსაც კი ახდენენ, რათა დანარცხებულნი მონებად აქციონ. მეფე-ბაზილევსებს * და წარჩინებულ ადამიანებს სახლში უკვე რამდენიმე ათეული მონა ჰყავთ თვითეულს. მაგრამ მონობა ჰომიროსის დროინდელ ბერძნებთან შინაური ხასიათს ატარებს. მონები უმთავრესად არიან შინაყმები, სახლეულნი, ზოგჯერ ესენი არიან მწყემსები, ზოგჯერ ისინი ასრულებენ ხელოსნურ სამუშაოს ან მუშაობენ სოფლის მეურნეობაში. ასე, ბაზილევს ალკინოის სახლში 50 მხევალი დასაქმებული იყო მარცვლეულის ფქვაზე, აგრეთვე რთვა-ქსოვაზე. ოდისევსისთან მონები ჯოგებს მწყემსავდნენ, მინდვრისა და ბაღის სამუშაოს ასრულებდნენ. მაგრამ მომკელები უმთავრესად არიან არა მონები, არამედ დაქირავებული მუშები, მოჯამაგირენი — ფეტები. ფეტებს ჩვეულებრივ ქირაობენ ერთი-წლით განსაზღვრულ ფასად. მათი მდგომარეობა ადვილი როდია. ისინი უმთავრესად მძიმე სამუშაოებს ასრულებენ და თავიანთ აუტანელ ვალდებულებათა შედეგად ხშირად კაბალაში ვარდებიან. როგორც ჰომიროსის „ოდისეადან“ სჩანს, ფეტს მონას უტოლებენ.

მონებს შორის გამოიყოფიან ბატონთა დაახლოებულნი, თავიანთი მდგომარეობით პრივილეგიურნი. მათ აკისრებენ მეურნეობის მართვას, სხვა მონების ზედამხედველობას. ზოგჯერ ასეთ მონებს აქვთ თავიანთი სახლი, ჰყავთ თავიანთი პირუტყვი; ასეთი იყო, მაგალითად, ევმეი, ბაზილევს ოდისევსის საყვარელი მონა.

ჰომიროსის საბერძნეთში უკვე თავს იჩენს მნიშვნელოვანი ქონებრივი უთანასწორობა. ჩნდება საზოგადოების ფენა, რომელიც დიდძალ სიმდიდრეს ეპატრონება — საუკეთესო მიწებს, პირუტყვს,

---

* „მეფე-ბაზილევსის“ ხმარება შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ამან მხოლოდ გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს. ბაზილევსი მეფე არაა. იხ. ამის შესახებ ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი: „ოჯახის, კერძო საკუთრ. და სახელ. წარმოშობა“, IV. „ბერძნული გვარი“, 3. მხედართმთავარი. ქ ა რ თ. თ ა რ გ მ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი.

მონებს, ლიდონს როგორც ზოდის, ისე ნაკეთობის სახით. გმირები და ბაზილევსები გამოირჩევიან თავიანთი სიმდიდრით. ისინი ფლობენ საუკეთესო მიწებს, „პურისმოსავლიან ყანებს“, „მსხმოიარე ბაღებს“. მიწა ძირითადად ჯერ კიდევ შეადგენს ტომის საკუთრებას და გვარების წევრებს ფორმალურად მხოლოდ სარგებლობაში ეძლევათ პერიოდული ხელახალი გაყოფის პირობით. მაგრამ წარჩინებული და მდიდარი გვარების წარმომადგენელთა ნაკვეთები („კლერები“) გამოირჩევიან ზომითაც და ხარისხითაც, ხოლო ბაზილევსებს თავიანთ სასარგებლოდ ეძლევათ კიდევ განსაკუთრებული ნაკვეთი — „ტემენოსი“. გარდა ამისა, თემის რიგითი წევრების ეკონომიური დამოკიდებულება, რომლებიც იძულებული იყვნენ ბაზილევსებისა და გვაროვნული დიდკაცობის წარმომადგენლებისაგან აეღოთ ინვენტარი, პირუტყვი, თესლი, ხშირად იწვევდა მათ მიერ მიწის ნაკვეთების დაკარგვას. მდიდარ მიწათმფლობელებთან, მრავალი ნაკვეთის მფლობელებთან ერთად, ჩნდებიან მიწის ნაკვეთს მოკლებული მოჯამაგირენი — ფეტები. დიდკაცობა ითვისებს აგრეთვე სამხედრო ნადავლის უდიდეს ნაწილს. ასე ჰომიროსის ეპოქაში გვაროვნულ საზოგადოებას უკვე ემჩნევა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც თან სდევს მქონებელი დიდკაცობის გამოცალკევება. გმირები და ბაზილევსები ჰომიროსთან მათი სიმდიდრის პატივსაცემად იწოდებიან მსუქან, ქონიან ადამიანებად. ვინც მდიდარია, ის უკეთესი, კეთილშობილი, მამაციც არის. ღარიბნი კი ჰომიროსის პოემებში გლახა, ცუდ, უბადრუკ ადამიანებად იწოდებიან.

ჰომიროსის საბერძნეთში ხდება პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად რჩება ძველი პატრიარქალური ყოფაცხოვრება. მდიდარი ოჯახების წევრები მონებთან ერთად პირადად მონაწილეობენ წარმოებითს შრომაში. ბაზილევს მენელაის ცოლი ელენე და ბაზილევს ოდისეის ცოლი პენელოპა განთქმული იყვნენ რთვისა და ქსოვის ოსტატობით. თეაკიის ბაზილევს ალკინოის ქალიშვილი ნავსიკა მხევლებთან ერთად მიდის ზღვაში სარეცხის ამოსავლებად. ოდისევსის მამა, ლაერტი, ბაღსა და ბოსტანში მუშაობს. თვითონ ოდისევსი გუთნით ხნავს

მიწას. თვითონ იკეთებს საწოლს და დიდი ოსტატობით ამზადებს ტივს ზღვაში სანაოსნოდ. აქილევსი და პატროკლე თვითონ აკეთებენ საჭმელს თავიანთი სტუმრებისათვის („ილიადა“, IX, 200).[1] ნესტორის უმცროსი ქალიშვილი სტუმარს მომსახურეობას უწევს აბანოში („ოდისეა“, III).

ჯერ კიდევ რჩება დიდი პატრიარქალური ოჯახი. ასეთია ნესტორის ოჯახი, სადაც ერთად ცხოვრობენ ცოლიანი ვაჟები და გათხოვილი ქალიშვილები, მაგრამ დიდი პატრიარქალური ოჯახის გვერდით უკვე ჩნდება პატარა მონოგამიური ოჯახიც, რომელიც ქმრისა, ცოლისა და მათი უცოლო ვაჟებისა და გაუთხოვარი ქალიშვილებისაგან შესდგება (ოდისევსის, მენალაის ოჯახი).

§ 41. ჰომეროსის დროის ბერძენთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ბერძნების საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჰომეროსის ეპოქაში შემდეგი იყო.

1. უხუცესთა საბჭო. ხელისუფლების მუდმივი ორგანო იყო უ ხ უ ც ე ს თ ა ს ა ბ ჭ ო — ბულე, რომელიც თავდაპირველად შესდგებოდა, ალბათ, გვარის უხუცესებისაგან, ხოლო შემდეგში მათი წრიდან სპეციალურად არჩეული პირებისაგან. როგორც გვაროვნული თემების წარმომადგენლები, ისინი მონაწილეობენ სხვა ტომებთან მოლაპარაკებაში, ფიცს სდებენ თემების სახელით, მონაწილეობენ გვაროვნულ-ტომობრივ სასამართლოში. მათგანვე შესდგება ბაზილევსთან არსებული თათბირი, რომელიც ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს განიხილავს. ეს თათბირები ჩვეულებრივ იმართებოდა ლხინზე, რასაც ბაზილევსი აწყობდა ხოლმე („შენ დაიწყე აგამემნონ. უხუცესთათვის ლხინი გამართე“ — „ილიადა“, IX, 70). ჰომეროსის უხუცესთა საბჭო უკვე არის არა მოხუცთა საბჭო, არამედ გვაროვნული დიდკაცობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთა საბჭო.

2. სახალხო კრებები. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად სახალხო კრებას (agora) იწვევდნენ. აქ განიხილავდნენ ომისა და ზავის საკითხებს, საომარი მოქმედების მსვლელობის, ჯარში გავრცელებული ეპიდემიების და სხვა საკითხებს. ყოველ

[1] „ილიადა და ოდისეა“ როგორც აქ ისე ქვემოთ მოყვანილია რუსული თარგმანის მიხედვით.

მამაკაცს შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი კრებაზე. მაგრამ სინამდვილეში სიტყვებით თითქმის მხოლოდ დიდკაცობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. კრება იწონებს ან უარჰყოფს უხუცესთა მიერ წინასწარ მომზადებულ გადაწყვეტილებას. კრების რიგითი წევრები გადამწყვეტ წინააღმდეგობას ხვდებიან დიდკაცობის წარმომადგენელთა მხრივ, როცა ცდილობენ თავიანთი აზრი გამოსთქვან, ტერსიტის მსგავსად, რომელიც ტროასთან შემდგარ სამხედრო კრებაზე გამოხატავდა მასების განწყობილებას, ჩიოდა წარჩინებულთათვის მინიჭებულ უპირატესობათა გამო და მოითხოვდა ჯარების სამშობლოში დაბრუნებას. ოდისევსი ტერსიტს შეძახილებს გინებითა და კვერთხის გარტყმით შეხვდა. ეს იყო მისი ჩვეულებრივი მოპყრობა ხალხის წრიდან გამოსული ადამიანებისადმი. „თუ მეფეს ან წარჩინებული გვარის მხედარს შეხვდებოდა, მის წინაშე დადგებოდა და ალერსიანი სიტყვით გააჩერებდა მას. ხოლო თუ ხალხის წრიდან გამოსულ, ხმამაღლა მოლაპარაკე კაცს შეხვდებოდა, კვერთხს გაარტყამდა და მრისხანე სიტყვით აგინებდა: „დაეგდე უძრავად, ბედუკუღმართო, და ყური უგდე, რას იტყვიან სხვები — ისინი, ვინც შენზე უფრო ბრძენნი არიან“ („ილიადა“, II, 188 — 189).

გარდა ამისა, კრებაში ხმის მიცემა არ ხდებოდა, გადაწყვეტილებას იღებდნენ ხმაურიანი მოწონებით, ყვირილით, რასაც ჰომიროსი ადარებს ზღვის ტალღების შხივილს ან ქარით შერხეული ყანის შრიალს („ილიადა“, II, 144 და შემდ.). ასეთ პირობებში ბაზილევსებს და უხუცესებს, რომლებიც კრებას ხელმძღვანელობდნენ, ადვილად შეეძლოთ მისთვის თავიანთი ნება-სურვილი მოეხვიათ თავს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჰომიროსის საბერძნეთში ჯერ კიდევ შერჩენილა პირველყოფილი დემოკრატია, მაგრამ გმირებსა და ბაზილევსებს უკვე აქვთ დამახასიათებელი უპირატესობა ხალხის მასაზე.

კრებაზე ჩვეულებრივ ისხდნენ. ორატორი შუაასპარეზზე გამოდიოდა და შულტას გამოართმევდა კვერთხს ნიშნად იმისა, რომ იგი საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებდა. ადათების საწინააღმდეგოდ ითვლებოდა, კრება მზის ჩასვლისას მოეწვიათ.

3. ბაზილევსი. მთელ ორგანიზაციას მეთაურობდა გვარ-ტომის წინამძღოლი — ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი. ეს იყო ტომის მხედართუფროსი, უზენაესი მოსამართლე და უზენაესი ქურუმი. მაგრამ მისი ძალა-

უფლება წმინდა მამობრივ ხასიათს ატარებდა. პრინციპულად იგი იყო პირველი თანასწორთა შორის და ფაქტიურად მოქმედებდა უფრო ხშირად არა ერთპიროვნულად, არამედ გვარ-ტომის დიდკაცობის წარმომადგენლებთან ერთად. ბაზილევსი მონარქი არ ყოფილა, მას არ ჰქონდა შეუზღუდავი მონარქიული ძალაუფლება, რასაც მას ხშირად მიაწერენ ბურჟუაზიული მეცნიერნი.

ბაზილევსის როლის სწორ გაგებასთან ახლოს იყო ჰეგელი, როცა ამბობდა, რომ მეფის ხელისუფლება ბერძნებთან „ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მონარქიას, რადგან მისი საჭიროება საზოგადოების მხოლოდ შემდგომი განვითარებით აშკარავდება“ (ჰეგელი, სამართლის ფილოსოფია, გვ. 218).

მარქსი წერს: „ევროპელი მეცნიერები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მეფეების ლაქიებად არიან დაბადებულნი, ბაზილევსისაგან თანამედროვე მონარქს ჰქმნიან“. ენგელსი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს ასეთი გაიგივება.[1]

ბაზილევსის თანამდებობა პრინციპულად არჩევითია. მაგრამ მისი ადგილის დაკავებისას უკვე უპირატესობას აძლევენ გარდაცვლილი ბაზილევსის შვილს, და ამრიგად თანამდებობა მემკვიდრეობით განმტკიცდა ერთ ოჯახში. მემკვიდრეობითობას არჩევითობა ყველგან როდი გამოუდევნია. ასე, ოდისევსის მამა, ლაერტი, როგორც სჩანს, არ ყოფილა ბაზილევსი — მეფე, ასე რომ სავსებით შესაძლებელია, რომ ოდისევსი ბაზილევსად თავისი ღირსშესანიშნავი თვისებებისათვის აირჩიეს.

ბაზილევსი უწინარეს ყოვლისა იყო ჯარის უზენაესი წინამძღოლი ომში. ბაზილევსები წინამძღოლობდნენ ომში, თვითონ მონაწილეობდენ ბრძოლებში, ზოგჯერ დუელში გამოდიან მტრის ჯარის ბაზილევსთან თუ გმირთან. ომში მეფე-ბაზილევსის ძალაუფლება უფრო ფართოა, ვიდრე მშვიდობიან დროს. ომში მას სიკვდილ-სიცოცხლის უფლება აქვს მინიჭებული („ილიადა“, II; 391, XV, 384 და შემდ.). მაგრამ ომის დროსაც მას უხდება ანგარიშის გაწევა ხალხის მასის აზრთან; ამ მასას იწვევენ კრებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

შემდეგ, ბაზილევსს ეკუთვნოდა სასამართლო ხელისუფლება. რა საქმეებს არჩევდა იგი ერთპიროვნულად, ამის დადგენა ძნელია.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 106.

როგორც ეტყობა, მეტწილ შემთხვევებში ბაზილევსი ასამართლებდა უხუცესებთან ერთად ხალხის მასის დასწრებით. „ოდისეაში“ ყოველნაირად შექებულია ბაზილევსი, რომელიც მართლმსაჯულია და იცავს თემის წევრებს თვითნებობისა და ძალადობისაგან („ოდისეა“, XIX, 111 და შემდ.).

ბაზილევსს ეკისრებოდა აგრეთვე ვალდებულება შეეწირა მსხვერპლი, ხელმძღვანელობა გაეწია რელიგიური ცერემონიებისათვის და გზმოსულიყო ხალხის წარმომადგენლად ღმერთების წინაშე.

ბაზილევსის სასარგებლოდ დაწესებული იყო მოსახლეობის გამოსაღები და სხვადასხვა საჩუქარი. გამოსაღები შეჰქონდათ, მაგალითად, უცხოელთა მისაღებად და მათ დასაჩუქრებლად ბაზილევსის მიერ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად („ოდისეა“, XIII; 14 — 15, XIX, 196). გარდა ამისა, ტომის წევრებს შეჰქონდათ შესატანი ბაზილევსის სასარგებლოდ მისი ქორწინების გამო და სხვა შემთხვევებში. ომის დროს ბაზილევსებს ეძლეოდა ნადავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლხინზე მათ ეკუთვნოდათ საპატიო ადგილი და საუკეთესო კერძები, აგრეთვე ყველაზე დიდი ჯამი ღვინო. ბაზილევსს ეძლეოდა აგრეთვე მიწის განსაკუთრებული ნაკვეთი — ტემენოსი, რომელიც მას შეეძლო დაემუშავებინა მონების საშუალებით, მაგრამ შეეძლო იჯარითაც გაეცა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მეფე-ბაზილევსის შემდგომ გამდიდრებას, თუმცა იგი უამისოდაც გვაროვნული დიდკაცობის ყველაზე მდიდარ წრეებს ეკუთვნოდა.

მეფე-ბაზილევსები არავითარ გვირგვინს არ ატარებდნენ. მათი ღირსების განმასხვავებელი ნიშანი იყო კვერთხი — მდიდრულად მორთული ჯოხი, რომელიც, სხვათა შორის, მათ გარდა სახალხო კრებაში ეპყროთ გამომცხადებლებს და ორატორებს, ხოლო ტაძრებში — ქურუმებს. ამრიგად, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გმირული ეპოქის ბერძნების საზოგადოებრივ წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ სავსებით შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ძალა, მაგრამ მისი რღვევა უკვე დაწყებული იყო“.

ქონებრივ განსხვავებათა ზრდა უკვე იწვევს „მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის ჩანასახთა“ გაჩენას, უკვე ჩნდება და ვითარდება მონობა, ომი იქცევა ძარცვისა და პირუტყვის, მონების და სხვა ფასეულობათა ხელში ჩაგდების მუდმივ საშუალებად. გვაროვნული

საზოგადოება სამხედრო დემოკრატია ხდება. საზოგადოება დგას სახელმწიფოს, როგორც ისეთი დაწესებულების შექმნის წინ, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს ქონებრივი უთანასწორობა და გაამარადისოს მდიდრების უფლება ღარიბთა ექსპლოატაციისა.

თ ა ვ ი VII

სპარტის სახელმწიფო წყობილება და სამართალი

§ 42. სპარტის სახელმწიფოს წარმოშობა

სპარტის სახელმწიფო წარმოიშვა IX საუკუნეში ჩვენს ერამდე. ამ სახელმწიფოს წარმოქმნას ხელი შეუწყეს ტომების გადაადგილებამ, რაც ხდებოდა იმ დროს ბალკანეთში, და ჩრდილოეთიდან მოსულთა მიერ ევროტის ხეობის მცხოვრებთა დაპყრობამ. დამარცხებული ტომები დაიმონეს და გადააქციეს სახელმწიფო მონებად —ი ლ ო ტ ე ბ ა დ (იხ. ქვემოთ, § 44, პ. I). ნაკლებ მოსავლიანი მთიანი ტერიტორიების მცხოვრებნიც სპარტელებს დაუმორჩილეს და სხვასხვა ხარკით დაბეგრეს. მათ პ ე რ ი ე კ ე ბ ი ს სახელწოდება მიიღეს (იხ. ქვემოთ, § 44, პ. I).

სპარტის საზოგადოებრივი განვითარება შენელდა. ხანგრძლივად რჩებოდა თემური წყობილების ელემენტები; ნელა ვითარდებოდა საქალაქო ცხოვრება და ხელოსნობა. სპარტა, რომელიც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე მდებარეობდა, აგრარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა: მიწათმოქმედება მოსახლეობის ძირითად მოსაქმეობას შეადგენდა. დამონებული მოსახლეობის დიდძალ მასაზე ბატონობის შენარჩუნების აუცილებლობა განაპირობებდა სახელმწიფოს მთელი ცხოვრების სამხედრო წყობილებას, რის შედეგად სპარტამ სამხედრო-სამიწათმოქმედო სახელმწიფოს თვისებები მოიპოვა.

საზოგადოებრივი წესებისა და სახელმწიფო წყობილების დამყარებას უკავშირებენ ლეგენდარული კანონმდებლის ლიკურგის სახელს; მას მიაწერენ განსაკუთრებული დოკუმენტის — რეტრის შედგენას (რეტრა სიტყვასიტყვით ნიშნავს ხელშეკრულებას), რაც განამტკიცებდა სპარტის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საფუძვლებს.

კანონმდებლობა, რომელსაც ლიკურგს მიაწერენ, ჩნდება მწვავე ბრძოლის ვითარებაში, რაც ჩაღდებოდა სპარტის საზოგადოებაში. ამ ბრძოლის შესახებ წყაროებში მხოლოდ მეტისმეტად მცირე და ყრუ მითითებანი მოიპოვება.

როგორც სჩანს, სპარტის საზოგადოების ქონებრივ დიფერენციაციამ, რამაც დაარღვია პირველყოფილ-თემური წყობილების პრიმიტიული თანასწორობა და წარმოშვა კლასობრივი დაყოფანი, გამოიწვია ღარიბ-ღატაკთა მღელვარება და აშკარა გამოსვლები, რის შედეგადაც შეიქმნა კანონები, რომლებიც მიმართული იყო მომწიფებულ წინააღმდეგობათა შერბილებისაკენ. გადაყოფილ იქნა თუ არა ამასთან მიწა, როგორც ამას პლუტარხი იუწყება, ამის თქმა ძნელია.

სპარტა ინარჩუნებს გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების ბევრ გადმონაშთს როგორც საზოგადოებრივ, ისე სახელმწიფო წესწყობილებაში. სახელმწიფოს სათავეში დგას ორი მეფე, დიდ როლს ასრულებს უხუცესთა საბჭო, იწვევენ ხოლმე სახალხო კრებას.

VIII საუკუნეში სპარტა აფართოებს თავის ტერიტორიას დასავლეთით, — იწყებს დაპყრობითს ომს მესენიის მიმართ. ამ ომის მიზანი იყო ახალი მიწების დაპატრონება და აღნიშნული ქვეყნის მცხოვრებთა დამორჩილება სპარტელებისადმი, მათი ილოტებად გადაქცევა. ომი სპარტელებისათვის წარმატებით დამთავრდა, მაგრამ VII საუკუნის შუახანებში მესენიელები აჯანყდნენ, და სპარტელები იძულებული გახდნენ ახალი ლაშქრობანი მოეხდინათ მესენიაში. ეს ლაშქრობანი ცნობილია მესენიის მეორე ომის სახელწოდებით.

VIII საუკუნეში, მეფეების პოლიდორისა და თეოპომპის დროს, ჩატარდა სახელმწიფო წყობილების რეფორმები. გააძლიერეს უხუცესთა საბჭოს უფლებანი, მას მიანიჭეს სახალხო კრების დადგენილებათა გაუქმების უფლება, და შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანო — ეფორატი.

სპარტა წარმოადგენდა პოლისს — სახელმწიფო—ქალაქს, რომელიც რამდენიმე სასოფლო დაბის გაერთიანებით შეიქმნა. თავისი სამხედრო ძლიერების მეოხებით სპარტამ თავის გარშემო გააერთიანა სამხრეთ საბერძნეთის, ეგრეთ წოდებული პელოპონესის მთელი რიგი სხვა ქალაქები, რომლებსაც პელოპონესის კავშირი ჰქონდათ შედგენილი. ამ კავშირის შემადგენლობაში, ჩამორჩენილ სამიწათმოქმედო პოლისებთან ერთად, შედიოდნენ აგრეთვე მნიშ-

ვნელოვანი, ეკონომიურად განვითარებული ბერძნული ქალაქები, როგორიც იყო კორინთი და მეგარა, რომლებიც ფართო ვაჭრობას ეწერდნენ ხმელთაშუა ზღვაზე.

§ 43. სპარტის სახელმწიფო წყობილება

სპარტას მართავდნენ ხელისუფლების შემდეგი ორგანოები: 1) ორი მეფე, 2) უხუცესთა საბჭო — გერუსია, 3) სახალხო კრება — აპელა და 4) ეფორები.

სპარტა მონათმფლობელური არისტოკრატიის ნიმუში იყო. სახალხო კრებას აქ იშვიათად იწვევდნენ და იგი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა. ძალაუფლება ეკუთვნოდა მეფეებს, რომლებსაც ტახტი მემკვიდრეობით ეკავათ, წარჩინებული გვარების ერთ მუჭა წარმომადგენლებს, რომლებიც სიკვდილამდე იყვნენ გერუსიის წევრები, და ხუთ ეფორს; ამათ, მართალია, სახალხო კრება ირჩევდა, მაგრამ, რაკი მათი არჩევისას ხმისმიცემა სწორად არ ტარდებოდა, ისინი მართვისას ჯეროვან კონტროლს არ განიცდიდნენ და თავიანთი საქმიანობის ანგარიშს მხოლოდ თავიანთ მემკვიდრეებს აბარებდნენ.

1. მეფის ხელისუფლება. სპარტის სახელმწიფოს სათავეში იდგა ორი მეფე, რომელთა ძალაუფლება, უეჭველია, წარმოსდგა ჰომეროსის ეპოქის გვარ-ტომების წინამძღოლთა ძალაუფლებიდან. ორი მეფის ძალაუფლება, ალბათ, წარმოიშვა ორი ტომის გაერთიანების შედეგად, რომელთაგან თვითეულმა თავისი წინამძღოლი შეინარჩუნა.

სპარტის საზოგადოების გაბატონებული ზედაფენის მიზანი ამასთან იყო უზრუნველეყო თავისი ფაქტიური გავლენა სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე და არ დაეშვა ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლების შექმნა.

სახელმწიფოს ფაქტიური ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა არა მეფეებს, არამედ ეფორებს, რომელთა ხელშიც თანდათან გადადიოდა უფლებამოსილობა, რაც ოდესღაც მეფეებს ეკუთვნოდა (იხ. ქვემოთ, გვ. 199). ორი სამეფო გვარის მუდმივი მტრობა ერთმანეთთან საგრძნობლად უწყობდა ხელს მეფის ხელისუფლების როლისა და მნიშვნელობის შესუსტებას სპარტაში.

მეფეს, რომელიც სალაშქროდ მიდიოდა, ეკუთვნოდა სამხედრო წინამძღოლის ფართო ძალაუფლება. მისგან გამომდინარეობდა ყვე-

ბა განკარგულება, და მას მოახსენებდნენ ყველა საქმეს. ლაშქრობის დროს იგი მოქალაქეთა მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლებას იძენდა. მაგრამ ლაშქრობაში მეფეს მეთვალყურეობას უწევდა ორი ეფორი, რომლებიც ამ მიზნით ახლდნენ მას. მეფეს ეკუთვნოდა აგრეთვე ქურუმის უზენაესი ხელისუფლება. ყველა სათანადო შემთხვევაში მეფეები მსხვერპლს სწირავდნენ სახელმწიფოს სახელით, რისთვისაც მათ განკარგულებაში გადაცემული იყო ზვარაკთა საჭირო რაოდენობა. სასამართლო ხელისუფლებაც ოდესღაც სრული მოცულობით ეკუთვნოდა მეფეებს. შემდეგში მეფის სასამართლო ფუნქციები განისაზღვრა ისეთი საქმეების გარჩევით, როგორიც იყო ქალიშვილებისათვის მემკვიდრეობის გადაცემა, შვილად აყვანა და საზოგადოებრივი გზები. ეს სწორედ ისეთი საქმეები იყო, რომლებიც მთელი თემის ინტერესებს ეხებოდა ან რომლებსაც შეეძლოთ მთლიანად აღებული გვარის ან ტომის ინტერესები შეელახათ. ბუნებრივია, რომ ამ საქმეებში მეფე ინარჩუნებდა თავის სასამართლო ხელისუფლებას როგორც გვარ-ტომის წინანდელი წინამძღოლის მემკვიდრე.

ეფორები და მეფეები ყოველთვიურად შეეფიცებოდნენ ერთმანეთს, ამასთან მეფეები ფიცს სდებდნენ, რომ დადგენილი კანონების მიხედვით იმეფებდნენ, ხოლო ეფორები სახელმწიფოს სახელით ფიცს სდებდნენ, რომ მეფის მიერ თავისი ფიცვის დაცვისას სახელმწიფო ურყევად დაიცავდა მეფის ხელისუფლებას. ამის დამოუკიდებლად ეფორები ყოველ 8 წელში ერთხელ ვარსკვლავების მიხედვით მარჩიელობდნენ, და, თუ მარჩიელობა მეფისათვის არახელსაყრელი გამოდგებოდა, ეფორები მეფის წინააღმდეგ სამოსამართლო დევნას დაიწყებდნენ და უფლებამოსილნი იყვნენ ჩამოერთმიათ მისთვის ძალაუფლება.

მეფეების სასარგებლოდ დაწესებული იყო სხვადასხვაგვარი გამოსაღები. პერიეკები მათ უხდიდნენ მეფეებზე ჩარიცხულ მიწის ნაკვეთების გამოსაღებს, მეფეებს უთმობდნენ აგრეთვე ზვარაკთა ნაწილს, მათ აძლევდნენ გოჭებს ღორის თვითეული ნამატიდან. მეფეები იღებდნენ აგრეთვე სამხედრო ნადავლის მნიშვნელოვან ნაწილს.

მეფეები პატივით იყვნენ მოსილნი. მათ უთმობდნენ საპატიო ადგილებს საზოგადოებრივ თამაშობათა დროს. ყველანი უნდა ამდგარიყვნენ მათ წინაშე. მაგრამ ეფორები მეფეების დასწრებით განაგრძობდნენ თავიანთ სავარძლებში ჯდომას. მეფეებს დიდ-

ზეიმით, სხვადასხვა ცერემონიით კრძალავდნენ, ამასთან წესდებოდა საყოველთაო გლოვა დაკრძალვის შემდეგ 10 დღის განმავლობაში.

2. გერუსია. სახელმწიფო ხელისუფლების მეორე ორგანო სპარტაში იყო უხუცესთა საბჭო — გერუსია (ლაკონურ დიალექტზე —გეროხია). უეჭველია, გერუსია თავის დასაბამს იღებს გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციისაგან, ტომების უხუცესთა საბჭოსაგან, მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში ეს ორგანო შესდგებოდა უკვე არა გვაროვნულ-ტომობრივი დემოკრატიის წინამძღოლებისაგან, არამედ გაბატონებული კლასის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებისაგან. გერუსია 28 წევრისაგან შესდგებოდა. ორივე მეფეც შედიოდა გერუსიის შემადგენლობაში და მათ უფლება ჰქონდათ მიეცათ ხმა ამ საბჭოში. ამრიგად, მეფეებთან ერთად გერუსიის წევრთა რიცხვი 30-ს აღწევდა.

გერუსიის წევრებს (გერონტებს) ჩვეულებრივ ირჩევდნენ წარჩინებული გვარების წარმომადგენელთა წრიდან. შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ მხოლოდ ის მოქალაქენი, რომლებსაც 60 წლის ასაკისათვის მიეღწიათ და რომლებიც უკვე თავისუფალი იყვნენ სამხედრო სამსახურის გაწევის მოვალეობისაგან. არჩევა ხდებოდა სახალხო კრებაზე, ამასთან არჩევნების ჩატარების წესი მეტისმეტად პრიმიტიული იყო. ირჩევდნენ ყვირილით, და არჩეულად ის კანდიდატი ითვლებოდა, რომელსაც სხვა კანდიდატზე უფრო ძლიერად უყვიროდნენ. ეს წესი, უეჭველია, მეტად ფართო გასაქანს აძლევდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას იმათი მხრივ, ვინც არჩევნებს ხელმძღვანელობდა. გერონტებს მთელი მათი სიცოცხლის პერიოდისათვის ირჩევდნენ; ისინი არავის წინაშე არ იყვნენ პასუხისმგებელნი.

გერუსიის კომპეტენცია შემდეგი იყო. გერუსია წინასწარ განიხილავდა იმ საქმეებს, რომლებიც სახალხო კრებაზე უნდა ყოფილიყო გარჩეული. მეფეების პოლიდორისა და თეოპომპის დროს გერუსიამ მიიღო უფლება უარეყო სახალხო კრების ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მისთვის არასასურველი იყო, დაედო თავისებური veto ამ გადაწყვეტილებებისათვის. პლუტარხი იუწყება: „მეფეებმა პოლიდორმა და თეოპომპმა წინანდელ რეტრას დაუმატეს შემდეგი: „თუ ხალხი პირდაპირს გზას აცდება, დეე გერონტებმა და მეფეებმა კრება დასტოვონ“. გერონტებს ეკუთვნოდა უფლება გამოსულიყვნენ სიტყვებითა და წინადადებებით სახალხო

კრებაზე, ამასთან გერუსიის სახელით წამოყენებული წინადადებანი ჩვეულებრივ წინასწარ განსაზღვრავდნენ კრების დადგენილებებს. გერონტები მონაწილეობდნენ აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებაში.

გერუსია სასამართლო დაწესებულებაც იყო. იგი არჩევდა სისხლის სამართლის საქმეებს, მათ შორის სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებს. გერუსია სასამართლო ინსტანცია იყო მეფეების წინააღმდეგ აღძრული პროცესებისათვის. ქონებრივი დავის საქმეებს გერუსია არ განიხილავდა, ასეთი საქმეები ეფორების განსჯადობას ექვემდებარეობდა.

გერუსიის მოწვევა თავდაპირველად მეფეების უფლებას შეადგენდა, მერე (V — IV საუკ.) ეს უფლება ეფორების ხელში გადავიდა. გაურკვეველია, ვინ იწვევდა გერონტებს იმ შემთხვევებში, როცა ისინი სასამართლო კოლეგიის როლში გამოდიოდნენ, ე. ი. როცა დამოუკიდებლად, უეფორებოდ და უმეფეებოდ მოქმედებდნენ.

გერუსიის მნიშვნელობა განუხრელად მცირდებოდა ეფორების როლის გაძლიერებასთან ერთად. უკვე პელოპონესის ომის დროს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო ომისა და ზავის საკითხები, გერუსიის უმონაწილეობოდ წყდებოდა.

3. სახალხო კრება. გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების უეჭველ გადმონაშთს წარმოადგენდა აგრეთვე სახალხო კრება — ა პ ე ლ ა. მაგრამ, ათენისაგან განსხვავებით, სახალხო კრება სპარტაში რამდენადვე მნიშვნელოვან როლს არასოდეს არ ასრულებდა.

სახალხო კრებაში მონაწილეობდა ბველა სრულუფლებიანი მოქალაქე, რომლებსაც 30 წლის ასაკისათვის მიეღწიათ, ე. ი. მხოლოდ სპარტელები, ამასთან ის სპარტელები, რომლებსაც შეენარჩუნებინათ თავიანთი მიწის ნაკვეთები და მათს ფლობასთან დაკავშირებული პოლიტიკური უფლებანი. არც ილოტები და არც პერიეკები არ მონაწილეობდნენ სახალხო კრებაში. სახალხო კრებას იწვევდნენ თავდაპირველად მეფეები, შემდეგში — ეფორები. კრების თავმჯდომარეობდნენ იგივე პირები, რომლებიც მას იწვევდნენ. სახალხო კრებებზე სიტყვებითა და გამოდიოდნენ წინადადებებით მხოლოდ თანამდებობის პირნი და სხვა ქვეყნების ელჩები. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სახალხო კრებაზე სიტყვა სხვა პირებსაც

შეეძლოთ მიეღოთ. მაგალითად, ალკივიადეს, რომელიც არც სპარტის მოქალაქე იყო და არც ათენის ელჩი, შესაძლებლობა მიეცა ელაპარაკნა სპარტის სახალხო კრებაზე.

კრების რიგითს მონაწილეებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ გერონტების, ეფორების ან მეფეების მიერ წამოყენებულ წინადადებათათვის ხმის მიცემაში. უფრო გვიან, როგორც სჩანს, პრაქტიკა შეიცვალა, და სიტყვებს კრების ცალკეული წევრებიც წარმოსთქვამდნენ ხოლმე. ხმის მიცემა ყვირილით ხდებოდა. თუ შედეგები საეჭვო აღმოჩნდებოდა, ხმისმიცემას ამოწმებდნენ კრების წევრების სხვადასხვა მხარეს გასვლით.

კრებას იწვევდნენ, სულ ბევრი, თვეში ერთხელ. როცა განსაკუთრებული გარემოებანი მოითხოვდნენ სახალხო კრების მიერ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას, გარდა მორიგი კრებისა იწვევდნენ საგანგებო კრებებს, რომლებშიც მონაწილეობას ყველა მოქალაქე როდი იღებდა, არამედ მათგან მხოლოდ ისინი, ვინც იმ დროს ქალაქში აღმოჩნდებოდა. ეს იყო ეგრეთწოდებული მცირე სახალხო კრება (mikra apella). ფიქრობენ, რომ მცირე სახალხო კრება სპარტის ყველაზე წარჩინებული და გავლენიანი გვარების წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა.

სახალხო კრების კომპეტენციას შეადგენდა, უწინარეს ყოვლისა, თანამდებობის პირთა — ეფორების, გერონტების, ალბათ, აგრეთვე არმიისა და ფლოტის უფროსების (გარმოსტის, ნავარხის) და სხვათა არჩევა.

ომის შემთხვევაში სახალხო კრება სწყვეტდა, თუ ორი მეფიდან რომელი წასულიყო სალაშქროდ. კრებას გამოჰქონდა აგრეთვე გადაწყვეტილება ტახტის დამემკვიდრების საკითხზე. დავის წამოჭრის შემთხვევაში. შემდეგ, სახალხო კრება, როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, მონაწილეობდა კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში, — ადასტურებდა ან უარჰყოფდა მაღალი თანამდებობის პირთა წინადადებებს. სახალხო კრება სწყვეტდა აგრეთვე ომისა და ზავის, სხვა სახელმწიფოებთან კავშირის საკითხებს, ირჩევდა ელჩებს და ა. შ. აქვე, სახალხო კრებაზე, განიხილავდნენ პელოპონესის კავშირის საქმეებს. ამ შემთხვევაში კავშირის სხვა ქალაქები სპარტის სახალხო კრებაში თავიანთ ელჩებს ჰგზავნიდნენ. დასასრულ, სახალხო კრება იღებდა ახალ მოქალაქეებს, მას აგრეთვე უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მოქალაქეობის უფლება ცალკეული სპარტელებისათვის.

სახალხო კრება გამოდიოდა აგრეთვე როგორც სამოსამართლო ორგანო იმ შემთხვევაში, როცა აღიძრებოდა საკითხი თანამდებობის პირის მოხსნისა მისი დანაშაულთათვის. მაგრამ ბრალდებას აღძრავდნენ არა ცალკეული პირნი, არამედ რომელიმე მაღალთანამდებობის პირთაგანი, და სახალხო კრების როლი საქმის გარჩევისას იმით განისაზღვრებოდა, რომ დაედასტურებინა ან უარეყო ბრალმდებლის წინადადება.

4. ეფორები. სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ სპარტის სახელმწიფოში ეფორებს. თავდაპირველად ესენი იყვნენ მეფეების მოადგილენი სამოქალაქო სასამართლოში და მათ ნაცვლად ახორციელებდნენ სამოქალაქო იურისდიქციას. შემდეგში ეფორების ძალაუფლება თანდათან გაფართოვდა და მან მეტად დიდ ფარგლებს მიაღწია, ასე რომ მეფის ძალაუფლებაც კი მოიხარა მის წინაშე.

წყაროები გადმოგვცემენ, რომ ეფორების თანამდებობა ხელისუფლების სხვა ორგანოთა ერთდროულად კი არ დაწესებულა, არამედ უფრო გვიან, თეოპომპისა და პოლიდორიის დროს შეიქმნა. ალბათ, ეს თანამდებობა წარმოიშვა არა როგორც მეფეების ნებაყოფლობითი აქტი, არამედ იმ ბრძოლის შედეგად, რამაც, სხვათა შორის, გამოიწვია ერთ-ერთი მეფის, პოლიდორის მკვლელობა.

ეფორების ძალაუფლების გაძლიერება, ისინი რომ სამოქალაქო სამეთა მოსამართლეებიდან სპარტის სახელმწიფოს ყოვლისშემძლე ხელმძღვანელები გახდნენ, სპარტის დიდკაცობის მიერ იყო მოწყობილი: მას ეშინოდა მეფის ძალაუფლების გაძლიერებისა და არა სჯეროდა, რომ მეფეები, რომლებსაც ტახტი მემკვიდრეობით ეკავათ, ყოველთვის მზად იქნებოდნენ მისი მითითებანი შეესრულებინათ; ამიტომ დიდკაცობამ ამჯობინა ძალაუფლება აშკარად თავისი კაცებისათვის გადაეცა და ისინი დიქტატორული უფლებამოსილობით აღეჭურვა.

სახელდობრ როდის მოხდა ეფორების ძალაუფლების გაძლიერება, ამის დადგენა შეუძლებელია წყაროებში ცნობების ნაკლებობის გამო. ფიქრობენ, პირველი ცვლილებანი მათს მდგომარეობაში დაკავშირებულია იმასთან, რომ გააუქმეს მეფეების უფლება ეფორების დანიშვნისა და დააწესეს მათი არჩევითობა, მაგრამ ამ რეფორმის დრო არ არის გამორკვეული. V საუკუნის მეორე ნახე-

ვარში ეფორებმა, უეჭველია, უკვე მიაღწიეს თავიანთი ძლიერების მწვერვალს, და V—IV საუკუნეებში ისინი, უდავოა, სპარტის სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენენ.

ეფორი ხუთი იყო. მათ ყოველწლიურად ირჩევდნენ სახალხო კრებაზე ყველა მოქალაქეთა რიცხვიდან. არჩევის წესი ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ იმის მიხედვით, რომ არისტოტელე არჩევნებს „ბავშვურს“ უწოდებს, შეგვიძლია ვიგულვოთ, რომ აქ გერონტების „არჩევნების“ ანალოგიური რამ ხდებოდა. ეფორები ერთიან კოლეგიას შეადგენდნენ და თავიანთ გადაწყვეტილებებს ხმების უმრავლესობით იღებდნენ. ეფორთა კოლეგიის სათავეში იდგა პირველი ეფორი, რომლის სახელითაც იწოდებოდა წელიწადი.

ეფორების უფლებანი, როგორც ნათქვამია, მეტად ფართო იყო, ხოლო სპარტაში წერილობითი კანონების უქონლობას შეეძლო მხოლოდ ხელი შეეწყო მათი ძალაუფლების მოცულობის გაფართოებისათვის და გასაქანი მიეცა თვითნებობისათვის ამ ძალაუფლების განხორციელებაში. ეფორები იწვევდნენ როგორც გერუსიას, ისე სახალხო კრებას და ხელმძღვანელობდნენ ამ ორგანოების საქმიანობას. გერუსიასა და სახალხო კრებას ისინი იწვევდნენ მეფეების დაუკითხავად და ზოგჯერ მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ. საგარეო ურთიერთობა მთლიანად ეფორების ხელში იყო, ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას უცხოეთის ელჩებთან და აყენებდნენ ომისა და ზავის საკითხს სახალხო კრების წინაშე. ომის გამოცხადების შემთხვევაში ისინი ხელმძღვანელობდნენ ჯარების მობილიზაციას, ისინივე იძლეოდნენ ბრძანებას სალაშქროდ გასვლის შესახებ. ორი ეფორი, როგორც ზემოთ ვთქვით, მიჰყვებოდა მეფეებს ლაშქრობაში და მეთვალყურეობას უწევდა მას.

ქვეყნის საშინაო მართვაც ეფორების ხელში იყო. მათ ეკუთვნოდა ფართო პოლიციური ხელისუფლება, რომელიც დაპირობებული იყო ზნეჩვეულებათა და დისციპლინის დაცვის სასტიკი მეთვალყურეობის სისტემით, რასაც ეფორები ახორციელებდნენ. ეს მეთვალყურეობა მეფეებზედაც კი ვრცელდებოდა. დისციპლინისა და დამკვიდრებულ ზნეჩვეულებათა ყოველგვარი დარღვევა მეტად მკაცრად ისჯებოდა. თავის თანამდებობის შესრულებას რომ იწყებდნენ, ეფორები მიმართავდნენ მოქალაქეებს მოთხოვნით — გაეპარსათ ულვაში და დამორჩილებოდნენ კანონს, ე. ი. ყველაფერში დაეცვათ ის სასტიკი საბანაკო დისციპლინა, რომელიც დაწესებული

იყო სპარტაში. მაგრამ თვითონ ეფორებს ეს დისციპლინა თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნდათ. დამახასიათებელია, რომ ეფორებს თავისი ცალკეული ტაბლა ჰქონდათ, ასე რომ დანარჩენ სპარტელთა უბრალო საჭმელ-სასმელი მათთვის სავალდებულო არ იყო.

ეფორები კონტროლს უწევდნენ ყველა თანამდებობის პირს და ყოველწლიურად ამოწმებდნენ მათს ანგარიშებს. მათ შეეძლოთ ყოველი პირი მოეხსნათ თანამდებობიდან და მიეცათ სამართალში. მათ შეეძლოთ კერძო პირები თვითონ გაესამართლებინათ და დაესაჯათ, ხოლო თანამდებობის პირთ ასამართლებდა გერუსია ან სახალხო კრება, მაგრამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ეფორები. ეფორებს შეეძლოთ აგრეთვე მეფეები გადაეყენებინათ თანამდებობიდან და სამართალში მიეცათ: ეფორების კონტროლისაგან მეფეებიც არ იყვნენ თავისუფალნი. ეფორების ხელში იყო სამოქალაქო იურისდიქცია, ამასთან სამოქალაქო საქმეებში ეფორები გამოდიოდნენ არა როგორც კოლეგია, არამედ როგორც ერთპიროვნული მოსამართლენი.

თავიანთ საქმიანობაში ეფორები ანგარიშს აბარებდნენ თავიანთ შემცვლელებს ერთი წლის ვადის გავლის შემდეგ, რა ვადითაც მათ ირჩევდნენ.

§ 44. სპარტის სამართლის ძირითადი თვისებანი

1. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა. ა) ი ლ ო ტ ე ბ ი. სპარტის სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში, როგორც დავინახეთ, დიდ როლს ასრულებდნენ დაპყრობანი, რომელთა შედეგადაც მოხდა დაპყრობილი ტომების დამონება და თემის თავისუფალი წევრების არათავისუფალ ილოტებად და არასრულუფლებიან პერიეკებად გადაქცევა.

ანტიური მწერლები ილოტებს უფრო ხშირად მონებს უწოდებდნენ. მაგრამ ილოტების მდგომარეობაში ბევრი რამ იყო თავისებური, რაც მათ ანტიური საზოგადოების მონებისაგან განასხვავებდა.

ენგელსი მარქსისადმი 1882 წ. 22 დეკემბერს მიწერილ წერილში ამბობს: „უეჭველია, ბატონყმობა და დამოკიდებულება არ წარმოადგენენ რაიმე სპეციფიკურად საშუალო საუკუნეებრივ-ფეოდალურ ფორმას. ჩვენ მათ ვხვდებით ყველგან ან თითქმის

ყველგან, სადაც დამპყრობელი აიძულებს წინანდელ მცხოვრებს მის სასარგებლოდ დაამუშაოს მიწა. მაგალითად, თესალიაში ამას ძალიან ადრე ჰქონდა ადგილი"[1].

ასეთივე მდგომარეობა, როგორც თესალიაში იყო, შეიქმნა სპარტაშიც. ენგელსი სპარტის შესახებ ამბობს: „სპარტაში, მის საუკეთესო ეპოქაში მაინც, არ არსებობდნენ შინაური მონები, ყმა ილოტები კი ცალკე ცხოვრობდნენ მამულში"[2].

ილოტები სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდენ. მაგრამ ცალკეულ სპარტანელს, რომლის განკარგულებაშიც ილოტი იმყოფებოდა, შეეძლო მოეკლა იგი, შეეძლო ხელისუფალთა ნებართვით გაეაზატებინა, შეეძლო სხვა სპარტელისათვის გადაეცა, ალბათ, ისევ ხელისუფლების ორგანოთა ნებართვით. მას უფლება არა ჰქონდა ილოტი საზღვარგარეთ გაეყიდა.

ილოტს თავისი მიწა არა ჰქონდა. იგი სახელმწიფოს მიერ სპარტელისათვის გადაცემულ ნაკვეთზე მუშაობდა, მაგრამ მას თავისი მეურნეობა და თავისი საწარმოო იარაღები ჰქონდა. მიწის მოსავლიდან მას ბატონისათვის ღალა უნდა გადაეხადა — 82 მედიმნი მარცვლეული და განსაზღვრული რაოდენობა ღვინო და ზეთი წელიწადში. როგორც სჩანს, ეს მოსავლის 50% შეადგენდა. და თუ ბატონი მეტს მოითხოვდა, იგი ზნეჩვეულებათა საწინააღმდეგო, მაგრამ სამართლის თვალსაზრისით მისთვის სავსებით შესაძლებელ ქმედობას ჩაიდენდა.

ღალის გადახდევინების გარდა, პატრონს შეეძლო აგრეთვე გამოეყენებინა ილოტი საოჯახო სამუშაოზე, საძოვრებზე და ა. შ. ილოტები, გარდა ამისა, სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ არმიაში როგორც მსუბუქად შეიარაღებული მხედრები. გარდა ილოტებისა, საოჯახო სამუშაოს ასრულებინებდნენ, როგორც ეტყობა, მონებსაც სამხედრო ტყვეთა წრიდან, რომლებსაც სახელმწიფო ჩვეულებრივ საჯარო ვაჭრობით ჰყიდდა.

ილოტებზე თავიანთ ბატონობას სპარტელები სასტიკი ტერორის მეთოდებით იცავდნენ. ისინი არ სჯერდებოდნენ ილოტების სიკვდილით დასჯის ცალკეულ შემთხვევებს და დროდადრო მასობრივად ჰკლავდნენ უფრო ძლიერ და გაბედულ ილოტებს (ე. წ.

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XXIV, стр. 605 и 606.

[2] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 65.

კრიპტიები). ილოტებისადმი მოპყრობა საშინელი სისასტიკით ხასიათდებოდა. ჰრიენელი მირონი იუწყება: „ილოტებს ყოველწლიურად სრულიად უდანაშაულოდ რამდენიმეჯერ სცემდნენ, რათა მათ არასოდეს არ დაევიწყნათ, რომ ისინი მონები არიან. გარდა ამისა, თუ რომელიმე ილოტს ჰქონდა უფრო ვაჟკაცური სახე, ვიდრე ეს მონებს შეეფერებოდა, მათთვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯა, ხოლო ბატონებს სჯიდნენ, თუ ისინი არ დააცხრობდნენ ილოტებს, რომლებიც თავიანთი ღონით გამოირჩეოდნენ“.

ილოტებისა და პერიეკებისადმი ტერორის გამოყენებას ეფორები ხელმძღვანელობდნენ. ეფორები ყოველწლიურად აცხადებდნენ ომს ილოტების წინააღმდეგ, და ამით თითქოს ცდილობდნენ გაემართლებინათ მათთადმი სასტიკი მოპყრობა. პერიეკების მიმართაც მათ უფლება ჰქონდათ ნება დაერთოთ მოეკლათ ისინი განუსაზღვრელი რაოდენობით სრულიად გაუსამართლებლად. თითქოს ტერორის რეჟიმისათვის ხაზის გასასმელად სპარტელებმა ქალაქის ცენტრში ააგეს შიშის ტაძარი, ამასთან სწორედ ამ ტაძრის ახლოს იქნა მოთავსებული ეფორების საერთო ტაბლა სისიტია. დამახასიათებელია, რომ ათენელებს თავიანთი ქალაქის მოედანზე აღმართული ჰქონდათ მოწყალების სამსხვერპლო.

გასაკვირველი არ არის, რომ ილოტები, რომლებიც დიდი რაოდენობით იყრიდნენ თავს ყანებში, ძალიან ხშირად ახდენდნენ აჯანყებას, რისთვისაც ყოველგვარ ხელსაყრელ გარემოებას იყენებდნენ. მაგალითად, აჯანყებამ, რომელიც 464 წელს დაიწყო და 10 წელს გრძელდებოდა, იფეთქა სპარტაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს. ვინაიდან ამ აჯანყებამ საშიში ხასიათი მიიღო, სპარტელები იძულებულნიც კი იყვნენ ათენისათვის მიემართნათ და დახმარება ეთხოვათ.

ქსენოფონტე ახასიათებს ილოტების სულიერ განწყობილებას და სწერს, რომ ისინი მზად იყვნენ დაუყოვნებლივ შეეჭამათ თავიანთი ბატონები კანიანად და თმიანად. იგივე ხსნის, თუ რატომ მუდამ შეიარაღებულნი დადიოდნენ სპარტელი მხედრები, და სწერს: „ისინი ყოველთვის შუბიანად დადიან, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ხდება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მონებს იარაღს არ აძლევენ“.

ლიბანიუსი იუწყება, რომ სპარტელები მუდამ ფხიზლად იყვნენ და დროზე იღებდნენ სიფრთხილის ზომებს ილოტების წინააღმდეგ, — სალხებში ოსტატურად აკეთებდნენ ურდულებს, ხოლო

ლაშქრობაში, ხელიდან არ უშვებდნენ შუბებს, რათა ამ იარაღს მოკლებულ ილოტზე უფრო ღონიერნი ყოფილიყვნენ. ფუკიდიდე პირდაპირ აცხადებს, რომ სპარტელები თავიანთ მეტწილ ღონისძიებებს მუდამ მიმართავდნენ ილოტებისაგან თავის დასაცავად.

ილოტები შეიძლებოდა სახელმწიფოს გაეაზატებინა. გააზატებული ილოტები ნ ე ო დ ა მ ო დ ე ბ ა დ იწოდებოდნენ. მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით.

ილოტების რიცხვი ბევრად აღემატებოდა სპარტელთა რიცხვს; სპარტელთა რიცხვი V საუკუნეში 8 ათასს არ აღემატებოდა, ხოლო შემდეგში ამაზე გაცილებით ნაკლები იყო.

ბ) პ ე რ ი ე კ ე ბ ი. პერიეკები პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ, მაგრამ პირადად თავისუფალნი და სხვა მხრივ უფლებაუნარიანნი იყვნენ. მათ შეეძლოთ შეეძინათ საკუთრება და მოეხდინათ გარიგებანი. პერიეკები მწირ ადგილას ცხოვრობდნენ, და ამიტომ მათს მთავარ მოსაქმეობას ვაჭრობა და ხელობა შეადგენდა.

პერიეკები სამხედრო ბეგარას იხდიდნენ; ისინი არმიაში უნდა გამოცხადებულიყვნენ როგორც მძიმედშეიარაღებული მხედრები. პერიეკების მიმართ დაწესებული იყო სახელმწიფოს ზედამხედველობა, რომელსაც ახორციელებდნენ განსაკუთრებული თანამდებობითი პირნი — გ ა რ მ ო ს ტ ე ბ ი. ამის დამოუკიდებლად სპარტის უმაღლეს თანამდებობითს პირებს — ეფორებს უფლება ჰქონდათ მინიჭებული პერიეკები განუსაზღვრელი რაოდენობით გაუსამართლებლად დაესაჯათ სიკვდილით.

გ) ს პ ა რ ტ ე ლ ე ბ ი. მხოლოდ სპარტელები სარგებლობდნენ პოლიტიკურ უფლებათა მთელი სისავსით. ისინი ყველანი უზრუნველყოფილი იყვნენ მიწის ნაკვეთებით, დაპყრობილი მიწის წილით, რომელიც მათ გადაეცემოდათ მიწის დამმუშავებელ ილოტებთან ერთად. ეს ნაკვეთები თავდაპირველად თანაბარი იყო, მაგრამ შემდეგ თავი იჩინა უთანასწორობამ სპარტელთა ქონებრივ მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, სპარტელები „თანასწორებად“ იწოდებოდნენ.

„თანასწორნი“ ცხოვრობდნენ ქალაქ სპარტაში; იგი თითქოს სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, რომელიც ამ ქვეყანას მბრძანებლობდა.

სპარტის საზოგადოებრივ წესწყობილებას ახასიათებდა სამხედრო-საბანაკო წყობილების თავისებური ნიშნები, რომლებიც შე-

პირობებული იყო იმ აუცილებლობით, რომ სპარტელები მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ დაეცვათ თავიანთი ბატონობა დამონებული მოსახლეობაზე. მოქალაქენი ვალდებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ ტრაპეზებში, ეგრეთწოდებულ სისიტიებში. არავის არ ჰქონდა უფლება შინ ეჭამა; მეფესაც კი, რომელიც ის-ის იყო ლაშქრობიდან დაბრუნებულიყო, ნებას არ აძლევდნენ შინ ესადილნა ცოლთან ერთად, და მოითხოვდნენ სისიტიაში გამოცხადებულიყო. საზოგადოებრივი სუფრის მოწყობის ხარჯებისათვის ყოველ სპარტელს შესატანი შეჰქონდა ნატურითა და ფულით. ის მოქალაქენი, რომლებსაც სიღარიბის გამო არ შეეძლოთ ეს შესატანი გადაეხადათ, გამოირიცხებოდნენ „თანასწორთა“ რიცხვიდან და „ჰიპომეიონების“—დაქვეითებულთა ჯგუფში გადადიოდნენ. სუფრა უბრალო იყო, საჭმელში რაიმე ზედმეტობა არ იყო დაშვებული; ძველ სამყაროში განთქმული იყო სპარტული შავი სალაფავი. ვისაც სურდა სისიტიის მონაწილე გამხდარიყო, მას ირჩევდნენ ფარული კენჭისყრით პურის ბურთულების საშუალებით, რომლებსაც ვაზაში ჩააგდებდნენ. საჭირო იყო ერთხმად არჩევა, და, თუ აღმოჩნდებოდა წინააღმდეგ მიცემული თუნდაც ერთი ხმა (გასრესილი ბურთული), კანდიტატს უარჰყოფდნენ.

ყოველი სპარტელი მთელ თავის ცხოვრებას ატარებდა გარკვეული, სასტიკად დადგენილი განწესის მიხედვით, სასტიკი დისციპლინის შესაბამისად, როგორც ჯარისკაცი.

აღზრდა სპარტაში სახელმწიფოს საქმე იყო. ვაჟებს შვიდი წლის ასაკიდან მოაცილებდნენ ოჯახს და ისინი სავალდებულო წვრთვნას გადიოდნენ ცალკე თანამდებობითი პირების — პედონომების ხელმძღვანელობით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას, მტკიცე, ამტანი მხედრის თვისებათა გამომუშავებას, აგრეთვე დისციპლინას, ხელისუფლებისა და უფროსებისადმი მორჩილების ჩვევის გამომუშავებას. ბავშვებს აჩვევდნენ აეტანათ მძიმე საჭმელი, ეტარებინათ ხამი ტანისამოსი, ეცხოვრათ უბრალო ბინებში და სიტყვა-შეუბრუნებლივ დამორჩილებოდნენ უფროსებს. ბავშვები ერთად ცხოვრობდნენ და ეჩვეოდნენ ერთობლივად თამაშსა და დროს გატარებას. მათ ძირში უკრეჭდნენ თმას, აჩვევდნენ ფეხშიშველებს, ჩვეულებრივ უტანისამოსოდ ევლოთ. მათ ერთი წლიბ ეძლეოდათ მხოლოდ თითო ლაბადა. მათი კანი გარუჯული და ხეშეში იყო. ისინი თბილ აბაზანებს არასოდეს არ ღებულობდნენ და ზეთს არ იცხებდნენ. ისინი ერთად

იწვნენ ლერწმის საწოლებზე, ლერწამს აგროვებდნენ ევროტის ნაპირებზე, ამასთან გლეჯდნენ ხელით, დანის გამოუყენებლად. პლუტარქი იუწყება: „ყველაფერი, რაც კი მათ მოჰქონდათ, ნაქურდალი იყო. ზოგნი ამისათვის ბაღებში შეიპარებოდნენ, ზოგნი სისიტიაში, ამასთან ცდილობდნენ სავსებით გამოეჩინათ თავიანთი მამაცობა და სიფრთხილე. ვინც ჩავარდებოდა, მას უმოწყალოდ ამათრახებდნენ, როგორც უხეირო, უგერგილო ქურდს. ბავშვები ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო მოხერხებულად დაემალათ თავიანთი ქურდობა“. 20 წლის ასაკამდე გრძელდებოდა სპარტელის ეს აღზრდა და სამხედრო სწავლება. 20-დან 60 წლამდე ყოველი სპარტელი ვალდებული იყო სამხედრო სამსახური გაეწია. ცოლის შერთვა მას მხოლოდ 30 წლის ასაკის მიღწევისას შეეძლო, როცა იგი სავსებით სრულწლოვანად ითვლებოდა და პოლიტიკურ უფლებებს იძენდა. მხედრის მამაცობა და სიმტკიცე ყველაზე მეტად ფასობდა. ქსენოფონტე (V-IV საუკ. ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი) ამბობს, რომ სპარტელები სახელოვან სიკვდილს ნაძრახ სიცოცხლეზე უფრო მეტად აფასებდნენ. იგი ამტკიცებს, რომ სპარტაში სამარცხვინოდ ითვლებოდა სადილად ლაჩრის გვერდით ჯდომა ან მასთან პალესტრას თამაში.

2. **საკუთრება.** სპარტელებს, რომლებიც ბატონობდნენ დამონებული მოსახლეობის დიდძალ მასებზე, ბუნებრივია, უნდა ეზრუნათ სპარტის მცირერიცხოვან სრულუფლებიან მოქალაქეთა შორის სოლიდარობის შენარჩუნებისათვის. საკუთრება მათთან თემური რჩება, და სპარტის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ზრუნვა იქით იყო მიმართული, რომ თავიდან აეცილებინა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის გაჩენა „თანასწორთა“ შორის, როგორც თავიანთ თავს უწოდებდნენ სრულუფლებიანი სპარტელები.

სათემო მიწა დაყოფილი იყო მიზომილ ნაკვეთებად, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა. ამასთან ერთად, როგორც არისტოტელე იუწყება, არსებობდა სხვა მიწებიც, რომელთა გასხვისება თუმცა შესაძლებლად ითვლებოდა, მაგრამ სამარცხვინოდ იყო მიჩნეული. ეს, ალბათ, იყო პერიეკებით დასახლებულ ოლქებში შეძენილი მიწები, ისეთი მიწები, რომლებიც სახელმწიფოს ებოძნა სპარტის დიდკაცობის წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებული დამსახურების გამო. აქედან წარმოსდგება საადგილ-მამულო მფლობელობის უთანასწორობა, რომელიც დროთა განმავლობაში

მკვეთრ ფორმებს იღებს. შესაძლოა, რომ უთანასწორობას იწვევდა აგრეთვე ნაკვეთების გაყოფა შვილებს შორის, რაც აჩანაგებდა მრავალშვილიან ოჯახებს.

გადმოგვცემენ, რომ სპარტაში არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც, სიმდიდრის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, სასიძოებს არ უნდა ეძებნათ მდიდარი სასძლოები, არამედ უნდა შეერთოთ ღარიბი ქალები.

გარდა მიწის საკუთრების საერთოობისა, ქონების პირველყოფილი საზიაროობის გადმონაშთები თავს იჩენენ იმით, რომ დასაშვებად ითვლებოდა გამოეყენებინათ სხვისი მონები, სხვისი სანადირო ძაღლები და ცხენები, სანოვაგეც კი წამოეღოთ სხვისი საკუჭნაოებიდან.

ლიკურგს მიაწერენ კანონებს ფუფუნების წინააღმდეგ, მაგალითად, ბრძანებას იმის შესახებ, რომ ყოველი სახლის სახურავი მხოლოდ ცულით ყოფილიყო გაკეთებული, კარები კი — მხოლოდ ხერხით, რაიმე სხვა იარაღის გამოუყენებლად. ქსენოფონტე იუწყება, რომ ლიკურგმა აკრძალა ვაჭრობის წარმოება, რომ სპარტელებს ოქრო და ვერცხლი არა ჰქონდათ და რომ ლიკურგმა შემოიღო უაღრესად მძიმე რკინის მონეტა, რომელიც ურმებით გადაჰქონდათ. ვაჭრობასა და ხელობას უმთავრესად პერიეკები ეწეოდნენ. სპარტელები კი თავიანთი ადგილმამულების შემოსავლით ცხოვრობდნენ, და სპარტას, როგორც ვთქვით, აგრარული ქვეყნის ხასიათი ჰქონდა.

3. **ოჯახი.** „სპარტაში გაბატონებულია წყვილადი ცოლქმრობა, რომელიც სპარტანული მსოფლმხედველობის მიხედვით შეცვლილია სახელმწიფოს მიერ და „ჯგუფობრივი ცოლქმრობის ზოგიერთ ნაშთს შეიცავს“[1].

უშვილო ქორწინება უქმდებოდა, ჩამომავლობის უყოლობისას შეიძლებოდა მეორე ცოლის შერთვა. ზოგიერთი სხვა მოვლენაც მოწმობს მატრიარქატის გადმონაშთების შემონარჩუნებას სპარტაში, მაგალითად, ის ფაქტი, რომ რამდენიმე ძმას აქ შეეძლო ერთი საერთო ცოლი ჰყოლოდა, რომ სათაკილოდ არ ითვლებოდა თავისი ცოლის დათმობა სხვა მამაკაცისათვის, რომლისაგან მოსალოდნელი იყო კარგი ჩამომავლობა, და სხვ.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 63.

ქალს სპარტის საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა ეკავა. ქალები დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე და იძენდნენ დიდ სიმდიდრეს, როცა სპარტაში ქონებრივი უთანასწორობა მნიშვნელოვნად განვითარდა. ქალის საპატიო მდგომარეობა უმთავრესად აიხსნება მატრიარქატის ნაშთებით სპარტაში. მაგრამ ამასთან ერთად თავის გავლენას ახდენდა ის გარემოება, რომ ილოტები თავისი ბატონებისაგან განცალკევებით ცხოვრობდნენ და რომ ამიტომ სპარტელები მათი ცოლებით ვერ სარგებლობდნენ.

ქალების აღზრდა სპარტაში სხეულის წრთობისა და დისციპლინის გამომუშავების იმავე მიზნებს ისახავდა, როგორსაც ჭაბუკების აღზრდა. ქალიშვილები ვალდებული იყვნენ ევარჯიშნათ გიმნასტიკაში და ჭაბუკებთან ერთად მონაწილეობდნენ ცეკვაში.

§ 45. სპარტის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებანი IV—III საუკუნეებში

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სპარტა ინარჩუნებდა სამხედრო-სამეწარმოქმედო სახელმწიფოს თავისებურ ნიშნებს.

ცვლილებანი მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებაში დაისახა მხოლოდ IV—III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა უკვე პელოპონესის ომის შედეგად (431—404 წ წ.), რომელშიაც ერთმანეთს შეეჯახა ბერძენთა ორი ყველაზე ძლიერი პოლისი — სპარტა და ათენი და ერთიმეორეს შეებრძოლა მათს ხელმძღვანელობაში მყოფი ბერძნული ქალაქების ორი კავშირი — პელოპონესისა, ერთი მხრივ, და ათენისა, მეორე მხრივ.

სპარტა ისწრაფვოდა გაეფართოებინა პელოპონესის კავშირის ფარგლები და მოექცია მასში ბერძენთა მთელი რიგი სხვა ქალაქები. თავის ამ მისწრაფებაში სპარტა შეეჯახა ბერძენთა მეორე ძლიერი სახელმწიფოს — ათენის აგრესულ ცდებს — განეხორციელებინა ექსპანსია ბერძენთა სამყაროში და დაემყარებინა თავისი ჰეგემონია, მეთაურობა ბერძენთა მთელ სამყაროში. ჰეგემონიისათვის ბრძოლა გართულდა კონკურენციით, რომელსაც საზღვაო ვაჭრობაში ერთმანეთს უწევდნენ ათენი და პელოპონესის კავშირის ზოგიერთი ქალაქი, განსაკუთრებით ქალაქები კორინთი და მეგარა.

ომი 27 წელს გრძელდებოდა და სპარტის გამარჯვებით და დაძლეული ათენისათვის დიდი კონტრიბუციის დადებით დამთავრდა. ამ ომის შედეგი სპარტისათვის იყო დიდძალი ოქროს მოზღვავება ამ ქვეყანაში, რამაც დააჩქარა ის ქონებრივი დაყოფა, რომელიც სპარტის საზოგადოებაში ხდებოდა. პლუტარქი იუწყება: „მარტო ოქროსა და ვერცხლს მთელს ელადაში იმდენს ვერ იპოვნი, რამდენიც მხოლოდ ლაკედემონში მოიპოვება. მართლაც, უკვე დიდიხანია მიედინება იგი იქ ყველა ბერძენისაგან, ხშირად ბარბაროსებისაგანაც“. სპარტის საზოგადოებაში შეიჭრება გამდიდრების წყურვილი, იზრდება ქონებრივი უთანასწორობა, ირღვევა წინანდელი უბრალო ცხოვრება. სრულუფლებიანი სპარტელების რიცხვი, რომლებსაც მიწის ნაკვეთები აქვთ, სწრაფად კლებულობს. სპარტელები წინათაც მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენდნენ, რომელიც ბატონობდა დამონებული მოსახლეობის დიდძალ მასაზე. სპარტის სახელმწიფოს წარმოშობისას მათი რიცხვი 10.000 კაცს არ აღემატებოდა. V საუკუნის დამდეგს ეს რიცხვი 8.000-მდე ეცემა, IV საუკუნის დამლევს სპარტელი ჯთასი კაცი თუ იქნება, კიდევ უფრო გვიან მათი რიცხვი ძლივს აღწევს 700-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულუფლებიან სპარტელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩანაგდა და ამის გამო „დაქვეითებულთა“ — ჰიპომეიონთა მდგომარეობაში ჩავარდა, ე. ი. ისეთ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებსაც თავიანთი სიღარიბის გამო პოლიტიკური უფლებები დაუკარგავთ.

IV საუკუნის პირველ ნახევარში გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც დაშვებულ იქნა სახლებისა და მიწის ნაკვეთების ბოძება და ანდერძით დატოვება, რაც წინათ სასტიკად იყო აკრძალული. მიწისა და სახლების გაყიდვა წინანდებურად დაუშვებელი რჩებოდა, მაგრამ ბოძების დაშვება ფართო შესაძლებლობას ჰქმნიდა იმისათვის, რომ ქონება ერთის ხელიდან მეორის ხელში გადასულიყო. ვაჭრობის წარმოების აკრძალვას, რაც სპარტაში არსებობდა, გვერდს უვლიდნენ, და იგი სრულიადაც ვერ აფერხებდა ფულადი სიმდიდრის დაგროვებას, სავაჭრო გარიგებათა მნიშვნელოვანი რაოდენობით განხორციელებას. საზოგადოებაში ფეხს იკიდებს ფუფუნება, მატულობს ნაყიდი მონების რიცხვი, ირღვევა ცხოვრების უბრალო სამხედრო-საბანაკო წყობა, რაც სპარტაში დიდი ხნიდან იყო დამკვიდრებული.

მაგრამ მხედართუფროს (ნავარხი) ლისანდრის ცდები (IV საუკ. დასაწყისი) — მთლიანად მოესპო ლიკურგის ძველი კონსტი-

ტუცია, მემკვიდრეობითის ნაცვლად მეფის არჩევითი ხელისუფლება დაემყარებინა და გაეუქმებინა ვაჭრობის მხრივ და სიმდიდრის დაგროვების მიმართ ლიკურგის მიერ დაწესებული აკრძალვანი, მარცხით დამთავრდა. ამჯერად სპარტის ძველი წესწყობილების მომხრეებმა გაიმარჯვეს.

მაგრამ სპარტის საზოგადოებაში ქონებრივი უთანასწორობის ზრდა და წინააღმდეგობათა გამწვავება აუცილებელს ხდიდნენ, რომ დღის წესრიგში დასმულიყო ძირეული რეფორმები. გაჩანაგებული სპარტელები მოითხოვდნენ მიწის გადაყოფას და ერთი მუჭა სპარტელების განუსაზღვრელი ბატონობის მოსპობას. პირველი ცდა — მოეხდინათ გადატრიალება სპარტის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებაში, დაკავშირებულია კინადონის სახელთან და მოხდა 399 წელს. კინადონი ეკუთვნოდა ჰიპომეიონთა რიცხვს, ე. ი. არ შედიოდა სრულუფლებიან სპარტელთა შემადგენლობაში. მან მოაწყო შეთქმულება, მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა, რადგან მთავრობამ შეიტყო, რომ გამოსვლა მზადდებოდა, და შეთქმულები შეიპყრეს.

243 წელს ძირეული რეფორმების პროექტი წარმოადგინა მეფე აგისმა. მან წამოაყენა წინადადება მოესპოთ ვალები და მოეხდინათ მიწის გადაყოფა. მაგრამ სპარტის წყობილების რეფორმის ეს ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან აგისი გაუბედავად მოქმედებდა და ცდილობდა სპარტის კონსტიტუცია არ დაერღვია, რის გამო იგი მსხვერპლი გახდა სპარტის დიდკაცობისა, რომელმაც შეინარჩუნა თავისი პრივილეგიები და მოჰკლა აგისი და მისი ოჯახი.

235 წელს აგისის პროგრამის განხორციელებას ხელი მოჰკიდა მეფე კლეომენ III. იგი თავის წინამორბედზე გაცილებით უფრო ენერგიულად მოქმედებდა. მან გაუქლიტა ეფორები, რომლებიც რეფორმას წინააღმდეგობას უწევდნენ, მოსპო ეფორატი და უხუცესთა საბჭო, გააძევა სპარტის დიდკაცობის ბევრი წარმომადგენელი, ამასთან ერთად მოქალაქეობა მიანიჭა სპარტის რამდენიმე ათას მცხოვრებს, ხოლო შემდეგ მოახდინა მიწის კონფისკაცია და გადაყოფა. სპარტის დიდკაცობამ დასახმარებლად მოუწოდა მაკედონიის მეფეს, რომელმაც დაამარცხა კლეომენის ჯარი და აიძულა იგი სპარტიდან გაქცეულიყო.

III საუკუნის მიწურულს ჩაღდება ფართო მოძრაობა, რომელშიც თავისუფალ ღარიბებთან ერთად მონაწილეობას იღებენ სპარტელი მონები — ილოტები. აჯანყებას შედეგად მოჰყვება ძალა-

უფლების გადასვლა ტირან ნაბისის ხელში, რომელიც შეუდგა ვალების მოსპობას და მიწების გადაყოფას. აჯანყება ჩახშობილ იქნა 192 წელს მეზობელი ქალაქების ჩარევის გამო, რომლებიც ბერძნული ქალაქების ახეის კავშირში შედიოდნენ.

ამის შემდეგ სპარტა თვითონ შედის ახეის კავშირში, და სწყვეტს თავის განცალკევებულ არსებობას როგორც სავსებით დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო 146 წელს, რომისადმი საბერძნეთის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით, სპარტა მთლიანად ჰკარგავს თავის პოლიტიკურ თავისთავადობას.

თ ა ვ ი VIII

ათენის დემოკრატიის წარმოშობა და განვითარება VI—V საუკუნეებში (პელოპონესის ომამდე)

§ 46. ათენის სახელმწიფოს წარმოშობა. პირველი ეტაპები

1. თეზეოსის რეფორმები. ათენის სახელმწიფო წარმოიშვა გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილების დაშლისა და სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ მისი გამოდევნის შედეგად. ეს პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსის დროის საბერძნეთში დაიწყო, დამთავრდა VII—VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

პირველი ნაბიჯი ათენის სახელმწიფოს შექმნის გზაზე იყო რეფორმები, რომლებსაც ლეგენდარულ გმირ თეზეოს მიაწერდნენ.

თეზეოსის დროს მოხდა ცალკეული ტომობრივი სოფლების შეერთება ერთ მთელად, რომლის ერთიანი ცენტრი ათენი შეიქნა, მოხდა ყველა ტომის შეერთება ერთიან ხალხად, ე. ი. ის, რასაც ბერძნები „სინოიკისმს“ უწოდებდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ათენში დაარსდა ცენტრალური მმართველობა, რომელსაც გადაეცა წინათ ცალკეული ტომების გამგებლობაში მყოფი საქმეების ნაწილი. მაშინვე შეიქმნა ათენის საერთო სამართალი, რის შედეგად უცხოტომელი, სხვა ტომის ტერიტორიაზე რომ იმყოფებოდა, უკვე არ იყო მოკლებული ყოველგვარ დაცვას, როგორც ეს წინათ იყო. დასასრულ, დამოუკიდებლად იმისა, რომ არსებობდა დაყოფა გვარებად, ფრატრიებად და ტომებად, მთელი ხალხი დაყოფილ იქნა სამ ჯგუფად — ე ვ პ ა ტ რ ი დ ე ბ ა დ, ანუ კეთილშობილებად, გეო-

მორებად, ან მიწათმფლობელებად, და დ ე მ ი უ რ გ ე ბ ა დ, ან ხელოსნებად, ამასთან კეთილშობილებს მიენიჭა განსაკუთრებული უფლება დაეკავებინათ თანამდებობანი. გვაროვნულ საზოგადოებაში აშკარად იქნა აღიარებული დიდკაცობის პრივილეგიური მდგომარეობა.

2. არქონტის თანამდებობის შემოღება. შემდგომი ნაბიჯი სახელმწიფოს შექმნის გზაზე იყო ბაზილევსის ძალაუფლების მოსპობა მისი წინანდელი მნიშვნელობით. ბაზილევსი, როგორც გვაროვნული დემოკრატიის გადმონაშთი, მით უფრო არასასურველი ხდება არისტოკრატიისათვის, რაც უფრო მტკიცდება ამ უკანასკნელის პოზიციები. ამიტომ ბაზილევსისა და უფრო გვიან გაჩენილ მხედართუფროს — პოლემარქის თანამდებობათა გვერდით დაწესებულ იქნა ახალი თანამდებობა — ა რ ქ ო ნ ტ ი ს ა. ბაზილევსს სცვლის არჩევითი არქონტი.

თავდაპირველად არქონტებს მთელსიცოცხლივ ირჩევდნენ, მერე, VIII საუკუნის შუახანებიდან, ამ თანამდებობას 10 წლის ვადით განსაზღვრავდნენ და, დასასრულ, 683 წლიდან ყოველწლიურად ირჩევდნენ 9 არქონტს, რომელთა შორის ნაწილდებოდა წინანდელი, მთელი სიცოცხლის პერიოდისათვის არჩეული მმართველების ძალაუფლება. ერთი მათგანი — პირველი არქონტი (შემდეგში არქონტი-ეპონიმი) კოლეგიის სათავეში იდგა და აღჭურვილი იყო უფლებამოსილობით — ზედამხედველობა გაეწია შინაგანი მმართველობისათვის და სასამართლო უფლებამოსილობით ოჯახურ საქმეებში. მისი სახელით აღინიშნებოდა ის წელი, რომლის განმავლობაშიც მართავდა არქონტების უწყებული კოლეგია (იხ. ქვემოთ, § 53, პ. 5).

ბაზილევსი მეორე არქონტი გახდა. მას შერჩა მხოლოდ ქურუმის ფუნქციები, აგრეთვე რელიგიურ საქმეთა განსჯა. ამრიგად, ბაზილევსი უკვე აღარ იყო გვაროვნული დემოკრატიის ბელადი და მას უმთავრესად ქურუმის ხელისუფლება შერჩა.

მესამე არქონტის — პ ო ლ ე მ ა რ ქ ი ს ხელში გადავიდა სამხედრო ხელისუფლება.

კოლეგიის დანარჩენი ექვსი წევრი, რომლებიც ფ ე ს მ ო ფ ე ტ ე ბ ი ს სახელწოდებას ატარებდნენ, უმთავრესად სასამართლო ფუნქციებს ასრულებდა.

3. არეოპაგი. ნაუკრარიები. ტომის უხუცესთა საბჭოს ადგილი დაიკავა მთავრობის ახალმა ორგანომ — ა რ ე ო პ ა გ მ ა, რომელიც

ყველაზე წარჩინებული და მდიდარი ოჯახების წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. ეს საბჭო იკრიბებოდა არეის გორაკზე, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელწოდებაც. არქონტების ინსტიტუტის შემოღების შემდეგ არეოპაგი ყოფილი არქონტებით შეივსებოდა, მაგრამ იგივე, თავის მხრივ, ირჩევდა არქონტებს. ამრიგად, ძალაუფლება მთლიანად შერჩათ ევპატრიდებს, ძველი გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლებს.

ცოტა უფრო გვიან, საზღვაო ვაჭრობის დასაცავად ფლოტის შექმნასთან ერთად, როცა მოსახლეობას დაეკისრა სამხედრო ხომალდების აგებისა და მათი ეკიპაჟების მომარაგების ვალდებულებანი, ქვეყანა დაყოფილ იქნა პატარა ტერიტორიულ ოლქებად — ნ ა უ კ რ ა რ ი ე ბ ა დ, რომელთაგან თვითეულს ფლოტისათვის ერთი ხომალდი უნდა განემზადებინა. თვითეული ასეთი ოლქის სათავეში იდგა ნ ა უ კ რ ა რ ი ი ს პ რ ი ტ ა ნ ი.

ამრიგად, მოსახლეობა დაყოფილ იქნა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, ამა თუ იმ გვარისა და ტომისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, აგრეთვე გაჩნდა ხელისუფლების ახალი ორგანო, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციასთან არ იყო დაკავშირებული.

4. დრაკონტის კანონები. 621 წელს ათენში პირველად ჩნდება დაწერილი სამართალი. ეს არის დრაკონტის კანონები, რომლებიც დიდი სისასტიკით განირჩევიან.

ზუსტად არ არის გამორკვეული, რა პირობებში გამოიცა ეს კანონები — იყო მათი გამოცემა შედეგი ევპატრიდების წინააღმდეგ წამოყენებული მოთხოვნისა, რომელთათვის წერილობითი სამართლის უქონლობა უაღრესად ფართო თვითნებობის შესაძლებლობას ჰქმნიდა, თუ იგი ნაკარნახევი იყო ევპატრიდების სურვილით — განემტკიცებინათ და სასტიკი ტერორის ზომებით დაეცვათ თავიანთი პრივილეგიები.

§ 47. სოლონის რეფორმები

1. ბრძოლა ათენში სოლონის რეფორმების წინახანებში. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება განუხრელად არყევს და არღვევს გვაროვნულ საზოგადოებრივ წყობილებას, თითქოს ამომჭმელ მჟავასავით მოქმედებს მასზე. თავდაპირველად თვითეული ტომი და თვითეული გვარი თავის ტერიტორიაზე ცხოვრობს, რო-

მელიც მათ ეკუთვნით. ახლა, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების გამო, გვარისა და ტომის ტერიტორიაზე ჩნდებიან უცხოტომელები, რომლებიც ხშირად დიდ სიმდიდრეს იძენენ და მნიშვნელოვან წონას აღწევენ საზოგადოებაში. მაგრამ ყველა ეს უცხოტომელი სრულიად უუფლებოა, რადგან ისინი გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის გარეთ დგანან. ამრიგად, გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილება უკვე აღარ შეეფერება საქმეთა ახალ ვითარებას. მონების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, ამავე დროს გვაროვნული წყობილება არ იცნობს ისეთ საშუალებებს, რომ მორჩილებაში, ლაგამამოდებული იყოლიოს არათავისუფალი მოსახლეობის დიდი მასები. საზოგადოებაში ხდება მდიდრებად და ღარიბებად დანაწილება, ერთთა ხელში სიმდიდრის ზრდა მეორეთა გაჩანაგებასა და გაღატაკებას იწვევს. გვაროვნული ორგანიზაციები, რომლებიც გულისხმობენ საზოგადოების ყველა წევრის ქონებრივ თანასწორობას, უძლურნი ხდიან იმ წინააღმდეგობათა წინაშე, რაც ახლა თავს იჩენს მოსახლეობაში. ყოველივე ეს აუცილებელს ხდის გვაროვნული წყობილების დაღუპვას და სახელმწიფოს წარმოშობას.

წვრილ მიწათმოქმედთა დავალიანება საყოველთაო მოვლენა იყო, მიწათმოქმედნი ვერ ახერხებდნენ გადაეხადათ მათგან კუთვნილი ვალები. მიწა დასერილი იყო ბოძებით, რომლებითაც აღინიშნებოდა მიწის დაწინდება. დიდძალი თავისუფალი გლეხობა მოხვდა მეექვსედელთა მდგომარეობაში — ისეთ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებიც ვალდებული იყვნენ $^5/_6$ მოსავალი მათ მიერ იჯარით აღებული მიწის მესაკუთრისათვის ეძლიათ. ღარიბნი, რაკი მათ არ შეეძლოთ თავიანთ კრედიტორებთან ანგარიში გაესწორებინათ, იძულებული ხდებოდნენ თავიანთი შვილები კაბალაში გაეყიდათ ან თვითონ დაკაბალებულიყვნენ.

წინააღმდეგობათა გამწვავება რღვევის პროცესით მოცულ გვაროვნულ წყობილებაში, დავალიანებული გლეხობის გაჩანაგება და ღარიბთა საყოველთაო დავალიანება VII საუკუნეში იწვევენ რევოლუციურ აფეთქებას, აშკარა გამოსვლას გვაროვნული არისტოკრატიის წინააღმდეგ. ქალაქში განმტკიცდნენ მონათმფლობელური კლასის ვაჭარ-მრეწველთა წრეები: სახელოსნოების, ხომალდების პატრონები, მევახშენი, სხვადასხვაგვარი მეწარმენი. ისინი ისწრაფვიან უკან დასწიონ ძველი გვაროვნული დიდკაცობა, ხელთ იგდონ ძალაუფლება. ისინი ფართოდ იყენებენ გლეხთა მასების და

ქალაქის ღარიბ-ღატაკთა უკმაყოფილებას და სათავეში უდგებიან მოძრაობას, მიმართულს არისტოკრატიის ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც გვაროვნული წყობილების ნაშთებს ებღაუჭება.

პლუტარქი VII—VI საუკუნეთა ამ რევოლუციის შესახებ იუწყება: „მკვეთრმა უთანასწორობამ მდიდრებსა და ღარიბებს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია, და სახელმწიფო სავსებით შერყეული იყო კრიზისით, მთელი ხალხი მდიდრების ვალში იმყოფებოდა“. „უკმაყოფილოთა შორის ყველაზე ენერგიულმა ელემენტებმა შეადგინეს მრავალრიცხოვანი კავშირი და პირობა დასდეს მოესპოთ აუტანელი მდგომარეობა. ამ მიზნით მათ გადასწყვიტეს გაეთავისუფლებინათ მოვალენი, დაეყოთ მიწა და მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება“.

ამ ბრძოლამ, რასაც შედეგად მოჰყვა მონათმფლობელი კლასის საქალაქო ვაჭრული წრეების გამარჯვება, პოლიტიკურ ასპარეზზე წამოსწია სოლონი, რომელიც არქონტად აირჩიეს და საგანგებო უფლებამოსილობით აღჭურვეს. მან 594 წელს გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ფულიანი ვაჭარი ხალხის ბატონობა, მაგრამ ამასთან ერთად შეარბილეს მევახშეობის რღვევითი მოქმედება ათენში.

სოლონი წარჩინებული გვარიდან წარმოსდგებოდა, მაგრამ ვაჭრობას ეწეოდა და თავისი მდგომარეობით ათენის საზოგადოების „საშუალო“ წრეებს ეკუთვნოდა. მისი რეფორმები ნაკარნახევია პირველ რიგში მონათმფლობელი კლასის საქალაქო წრეების ინტერესებით, მაგრამ ატარებენ ნახევრულობის, კომპრომისებისადმი მიდრეკილების ნიშნებს: ისინი ჯერ კიდევ მეტად დიდ გავლენას უტოვებენ ძველ საადგილმამულო არისტოკრატიას.

2. სისაქფია. სოლონს არ დაუკმაყოფილებია გლეხთა მასების ძირითადი მოთხოვნა; არ მოუხდენია მიწის გადაყოფა. მაგრამ მან გაატარა სავალო უფლების რეფორმა, ეგრეთ წოდებული ს ი ს ა ქ ფ ი ა. ყველა ვალი გაუქმებულად გამოცხადდა, და მომავლისათვის აიკრძალა ისეთი სავალო ვალდებულებანი, რომელთა ძალითაც დაწინდრდებოდა თვითონ მოვალის პიროვნება. ყველა პირს, რომლებიც კი კრედიტორების კაბალაში იყვნენ, თავისუფლება ეძლეოდა, ხოლო სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გაყიდულნი მონობიდან გამოისყიდეს და სამშობლოში დააბრუნეს. მერმისისათვის მხოლოდ სახელმწიფო ინარჩუნებდა უფლებას — გაეყიდა მონებად

თავისი უწესივრო მოვალეები. მიწა გაათავისუფლეს იმ ბოძებისაგან, რომლებითაც იგი მთლიანად დასერილი იყო და რომლებიც, როგორც სჩანს, საგირავნო ყადაღის ნიშნებს წარმოადგენდნენ.

3. მოსახლეობის დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვით. ამასთან ერთად სოლონმა ყველა მოქალაქე დაჰყო 4 ჯგუფად მათი ქონების ოდენობის მიხედვით და, ამრიგად, შემოიღო სახელმწიფოს ეგრეთ წოდებული თიმოკრატიული (საცენზო) წესწყობილება. პირველ ჯგუფში ჩაირიცხებოდნენ ისინი, ვინც იღებდა 500 მედიმნზე არანაკლებ შემოსავალს ან სხვა პროდუქტების სათანადო რაოდენობას წელიწადში[1] (პენტაკოსიომედიმნები), მეორე ჯგუფში ჩაირიცხებოდნენ ისინი, ვინც იღებდა არანაკლებ 300 მედიმნისა (ცხენოსნები) და მესამეში — ისინი, ვინც იღებდა 200 მედიმნზე არანაკლებ შემოსავალს წელიწადში (ზევმიტები). ყველა დანარჩენი მოქალაქეები ეკუთვნებოდა მეოთხე ჯგუფს (ფეტები). მხოლოდ სამი პირველი ჯგუფის მოქალაქეებს შეეძლოთ დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობანი, უმაღლესი თანამდებობანი კი (არხონტები, არეოპაგის წევრები) მხოლოდ პირველი ჯგუფის მოქალაქეებს შეეძლოთ დაეკავებინათ. მეოთხე ჯგუფს შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში, სადაც თანამდებობის პირებს ირჩევდნენ, მაგრამ თვითონ მეოთხე ჯგუფის მოქალაქენი (ფეტები) არ შეიძლებოდა რაიმე თანამდებობაზე არჩეული ყოფილიყვნენ. მცირეშემძლებული და ღარიბი მოქალაქენი, ამრიგად, მთლიანად არ ყოფილან პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას ჩამოშორებულნი. სახალხო კრებაში „ირჩევდნენ ყველა მოხელს, აქ უნდა ჩაებარებინათ მათ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში, აქ იქმნებოდა კანონები, აქ კი მეოთხე კლასი უმრავლესობას წარმოადგენდა“[2].

ეს რეფორმა, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „გვაროვნული წყობილების ახალი დამარცხება“; მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი ამიერიდან შეთავსებული იყო მათს ქონებრივ ცენზთან.

4. საბჭო და გელიეა. სოლონმა შეჰქმნა აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანო — ოთხასის საბჭო, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევდნენ პირველი სამი ჯგუფის მოქალაქეთაგან,

---

[1] მედიმნი—52,5 ლიტრი.

[2] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 117.

100 კაცს თვითეული ტომისაგან, თვითეული გვარ-ტომის ფილისაგან. ეს იყო დათმობა გვაროვნული დიდკაცობისადმი, სოლონის რეფორმების ნახევრულობის ერთ-ერთი გამოსატულება. სოლონმა დასტოვა აგრეთვე წინათ არსებული არეოპაგი — გვაროვნული არისტოკრატიის დასაყრდენი. არეოპაგს შეუნარჩუნეს კანონების დაცვის ზედამხედველობა და სახალხო კრების მოღვაწეობის კონტროლი, რაც მას წინათ ეკისრებოდა. სოლონმა კიდევაც გააფართოვა არეოპაგის სამოსამართლო ფუნქციები. ეს ორი საბჭო — ოთხასის საბჭო და არეოპაგი, — სოლონის საკუთარი სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა დამსგავსებოდნენ ორ ღუზას, რომლებიც სახელმწიფო ხომალდს ქარიშხლის შედეგებისაგან დაიცავდნენ.

გვარისა და ტომის ყრილობები სოლონის დროისათვის გადაიქცნენ კანონმდებლობისა და სახელმწიფო მმართველობის რეგულარულ ორგანოებად, ე კ ლ ე ს ი ა დ. აქ წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეები და ირჩევდნენ თანამდებობის პირებს. ოთხასის საბჭო, როგორც სჩანს, მხოლოდ ამზადებდა სახალხო კრებათა გადაწყვეტილებებს და არეოპაგთან ერთად წარმართავდა და კონტროლს უწევდა მის მოღვაწეობას, როგორც კონსერვატიული და შემკავებელი ელემენტი სახელმწიფო წყობილებაში.

სოლონმა შეჰქმნა აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო — ბ ე ლ ი ე ა, რომელმაც, ფართო სამოსამართლო ხელისუფლების გარდა, შემდეგში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც მოიპოვა როგორც ორგანომ, რომელიც მონაწილეობდა საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში და კონტროლს უწევდა თანამდებობის პირთა არჩევას (იხ. ქვემოთ). ამ სასამართლოს წევრთა შემადგენლობაში დაშვებულ იქნენ ოთხივე ჯგუფის მოქალაქენი.

მოსახლეობის დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვით და შეძლებული კლასის უპირატესობათა აშკარად აღიარება ნიშნავდა ათენის სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, გვაროვნული წყობილების ნაშთების შემდგომ ლიკვიდაციას. მაგრამ სოლონმა შეინარჩუნა ათენის საზოგადოების დაყოფა 4 ტომად — ფილად, რაც გვაროვნული წესწყობილებიდან მომდინარეობდა, და ამგვარად მას მთლიანად არ მოუსპია გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ნაშთები.

სოლონის მიერ დამყარებული სახელმწიფო წყობილება 30 წლის განმავლობაში უცვლელად რჩებოდა, მაგრამ შემდეგ, რეაქ-

ციის დროებითი წარმატების გავლენით, არქონტების რიცხვი 10 მდე იქნა გადიდებული, ამასთან დაპირობებულ იქნა, რომ 5 მათგანს ევპატრიდებისაგან აირჩევდნენ, 3-ს გეომორებისაგან და 2-ს დემიურგებისაგან.

§ 48. პიზისტრატისა და პიზისტრატიდების ტირანია

უფრო გვიან (560 — 527 წწ.) იწყება ტირან პიზისტრატისა, და მისი შვილების — პიზისტრატიდების მმართველობა, რომლებიც ძირითადად განაგრძობდნენ სოლონის პოლიტიკას. დარჩა ყველა წინათ არსებული დაწესებულება: წინანდებურად ყოველწლიურად ირჩევდნენ არქონტებს, იკრიბებოდა არეოპაგი და სახალხო კრება, ტირანები მხოლოდ იმისთვის ზრუნავდნენ, რომ სახელმწიფო თანამდებობებზე მათი მომხრენი ყოფილიყვნენ.

პიზისტრატმა ძალაუფლება დაიპყრო უკმაყოფილო გლეხობაზე დაყრდნობით, და თუმცა პიზისტრატი თავისი სოციალური მდგომარეობით და მისწრაფებებით იმავე პოლიტიკის გამტარებელი იყო, რა პოლიტიკასაც სოლონი ემსახურებოდა, მან მაინც მიიღო მთელი რიგი ზომები, რომლებიც მიმართული იყო გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ. გლეხებს იაფი კრედიტი მისცეს. შეამსუბუქეს ზოგიერთი გადასახადი, შემოიღეს გამსვლელი მოსამართლების ინსტიტუტი, რათა გლეხებს არ დასჭირებოდათ თავიანთ საქმეებზე ქალაქში წასვლა.

პიზისტრატი აწარმოებდა დიდი გაქანების საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეეფერებოდა მონათმფლობელი კლასის ვაჭართა წრეების ინტერესებს (სამხედრო ფლოტის შექმნა, კუნძულ ნაქსოსის დაუფლება). ათენში მან ააგო მთელი რიგი შენობები, რომლებმაც დაამშვენეს ქალაქი და ამასთან სამუშაო გაუჩინეს ქალაქის უმუშევარ ღარიბ-ღატაკებს.

პიზისტრატის შვილები ძირითადად განაგრძობდნენ მამის პოლიტიკას, მაგრამ ნაკლები მოხერხებით ეწეოდნენ მას. მათ სახსრების გამოსაძებნად მოუხდათ საგადასახადო ტვირთის გაძლიერება. გავლენიანი მონათმფლობელებისათვის სამძიმო გახდა ტირანიის რეჟიმი, რომლის დროსაც მთელი ძალაუფლება ფაქტიურად ერთი პირის ხელში იყო თავმოყრილი. მოხდა დიდკაცების აშკარა აჯანყება ტირანების წინააღმდეგ. მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ათენის საზოგადოების ფრიად ფართო წრეებმა. მათ

მეთაურობდა კლისთენი, რომელიც ალკემაინიდების წარჩინებული ოჯახიდან წარმოსდგებოდა. სპარტის მეფის ხელშეწყობით შესძლეს გაეძევებინათ პიზისტრატიდი გიპიუსი და ბოლო მოეღოთ ტირანიისათვის. არისტოკრატიის შემდგომი ცდა — სპარტის ჯარების დახმარებით შეენარჩუნებინა ძალაუფლება, მარცხით დამთავრდა, დიდკაცობის წინააღმდეგ აჯანყდა ხალხი. სპარტელები გაძევებულ იქნენ ათენიდან, და ძალაუფლება კლისთენს გადაეცა.

§ 49. კლისთენის რეფორმები

509 წელს კლისთენი, სახელმწიფო ძალაუფლებას რომ დაეპატრონება, ატარებს სახელმწიფო წყობილების რეფორმებს, რომლებიც იწვევენ გვაროვნული წყობილების იმ ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციას, რაც კიდევ შემორჩენილი იყო ათენში სახელმწიფო ორგანიზაციის გვერდით. კლისთენის მიზანი იყო საბოლოოდ აღმოეფხვრა რეაქციული მონათმფლობელი დიდკაცობის გავლენა, ხოლო ამისათვის იგი, გვაროვნული ორგანიზაციის ნაშთების ლიკვიდირებასთან ერთად, ისწრაფვოდა გლეხობის ხარჯზე გაეძლიერებინა ქალაქის მოსახლეობის როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. კლისთენის რეფორმა სოლონის რეფორმების განგრძობა და დამთავრება იყო.

კლისთენმა შემოიღო მოსახლეობის ტერიტორიული დაყოფა. ამასთან მოსპო ოთხ ფილად მოსახლეობის ძველი დაყოფის პოლიტიკური მნიშვნელობა. მთელი მოსახლეობა მან დაჰყო 10 ტერიტორიულ ფილად. გვაროვნული ორგანიზაციებისადმი კუთვნილება ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავდა, ხოლო გადამწყვეტი ხდებოდა მოქალაქეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. თვითეული ფილა კლისთენმა დაჰყო სამ მესამედად (ტრიტიები) და დააწესა ფილების ტერიტორიული შემადგენლობა ისე, რომ თვითეული ფილა მთლიან ტერიტორიას კი არ წარმოადგენდა, არამედ აუცილებლად იყო სამი ცალკეული ტერიტორიული ერთეულის შეერთება: თვითეულ ფილაში შედიოდა ერთი ტრიტია ქალაქ ათენის და მისი მიდამოების ტერიტორიიდან, ერთი ტრიტია — ზღვისპირა ტერიტორიიდან (პ ა რ ა ლ ი ა) და ერთი ტრიტია — ქვეყნის შიდა, შუათანა ნაწილიდან. ამრიგად, თვითეულ ფილაში $^2/_3$ ეკუთვნოდა ქალაქის მოსახლეობას ან ქალაქისაკენ მსწრაფ მოსახლეობას, და მხოლოდ $^1/_3$—სოფლის მოსახლეობას. ამრიგად, უმრავლესობა თვითეულ ფილაში უზრუნველყოფილი ჰქონდა ქალაქს სოფლის საზიანოდ. ტრიტიები დ ე მ ე ბ ა დ იყოფოდა. თვითეულ დემში იყო არჩევითი

მამასახლისი—დ ე მ ა რ ქ ი, რომელიც განაგებდა დემის საქმეებს და რომელსაც სისრულეში მოჰყავდა სადემო კრებათა დადგენილებანი.

ოთხასის საბჭო გაუქმებული იქნა, და მის ნაცვლად შეიქმნა ხუთასის საბჭო, რომელიც შესდგებოდა 10 ტერიტორიული ფილის წარმომადგენლებისაგან; თვითეული ფილიდან არჩეული იყო 50 წევრი.

ამრიგად, კლისთენის რეფორმამ სავსებით გააქარწყლა გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფის ყოველგვარი მნიშვნელობა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის.

არქონტების კოლეგია უცვლელად დარჩა. რეფორმა არ შეხებია აგრეთვე არეოპაგს, კონსერვატიული ელემენტების ამ დასაყრდენს. მაგრამ არქონტების კოლეგიამ მალე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა ათი სტრატეგის კოლეგიის შექმნის გამო. სტრატეგებს თავდაპირველად ირჩევდნენ თითოს ყოველი ფილიდან, შემდეგ კი — ყველა ფილიდან, ამ უკანასკნელთა წარმომადგენლობის დამოუკიდებლად. სტრატეგები თავდაპირველად იყვნენ სახელმწიფოს სამხედრო ძალთა წინამძღოლები, მაგრამ ძალიან მალე ამ თანამდებობის პირთა კომპეტენცია დიდად გასცილდა სპეციალურად სამხედრო საკითხების ფარგლებს, და სტრატეგები ათენის სახელმწიფოს ყველაზე გავლენიან თანამდებობით პირებად გადაიქცნენ.

რადგან უმაღლეს თანამდებობათა დასაკავებლად სოლონის მიერ დაწესებული ქონებრივი ცენზი მთლიანად იქნა შენარჩუნებული, სახელმწიფოს მმართველობა ფაქტიურად დარჩა მონათმფლობელი კლასის ზედაფენის ხელში, მიუხედავად იმისა, რომ კლისთენის რეფორმა წარმოადგენდა ერთგვარ ნაბიჯს წინ სოლონის რეფორმასთან შედარებით ათენის დემოკრატიის ჩამოყალიბებაში.

კლისთენმა შემოიღო აგრეთვე ეგრეთწოდებული ო ს ტ რ ა კ ი ზ მ ი—„თიხის ნატეხების სასამართლო“. მისი საშუალებით სახალხო კრებამ შესაძლებლობა მიიღო სახელმწიფოდან 10 წლით გაეძევებინა მოქალაქენი, რომლებმაც, ხალხის აზრით, მეტისმეტი გავლენა მოიპოვეს სახელმწიფოში და საშიშნი გახდნენ დემოკრატიისათვის. წინასწარი კენჭისყრისას ვინაობას არ ასახელებდნენ, მხოლოდ აყენებდნენ კითხვას, ხომ არ არის ვინმე ათენში, ვინც საერთო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად რამდენიმე ხნით

გაძევებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოდან. ამის შემდეგ ხდებოდა დახურული კენჭისყრა თიხის ნატეხებით, რაც განსაზღვრავდა გასაძევებელი პირის ვინაობას (იხ. ქვემოთ, გვ. 236).

§ 50. ათენის დემოკრატიის განვითარება V საუკუნეში

1. ათენის საზღვაო კავშირის შექმნა საბერძნეთ-სპარსეთის ომების შემდეგ. V საუკუნის პირველ ნახევარში ათენის სახელმწიფოს ბერძენთა მთელ სამყაროსთან (ელადასთან) ერთად მოუხდა სპარსეთის ძლიერ სახელმწიფოს შემოტევასთან გამკლავება. სპარსეთის სახელმწიფო VI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა; მისი ფარგლები სწრაფად ფართოვდება მცირე აზიის, ეგვიპტის, შუა აზიის ტერიტორიების დაპყრობის შედეგად. სპარსეთის მონათმფლობელური სახელმწიფო იჩენს მისწრაფებას ახალი ტერიტორიები დაიპყროს დასავლეთით, რის გამო იგი ეჯახება საბერძნეთს, რადგან მას იზიდავს ბერძენთა სავაჭრო ქალაქების სიმდიდრე.

პირველი ლაშქრობა საბერძნეთის წინააღმდეგ მოხდენილ იქნა 492/91 წლებში. ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა იმის გამო, რომ სპარსეთის ფლოტი ძლიერი ქარიშხლის შედეგად დაიღუპა. ამის შემდეგ საბერძნეთის ნაპირებისაკენ ახალი არმია გაიგზავნა, რომელიც გადასხდა ათენის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დაბა მარათონთან. მარათონის ხეობაში მოხდა ბრძოლა, რომელიც სპარსელების დამარცხებით დამთავრდა (490 წ.). სპარსელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, მაგრამ 480 წელს სპარსელები კვლავ დაესხნენ თავს საბერძნეთს. ხმელეთზე და ზღვაში წარმოებული შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ბერძნებმა ამჯერადაც შესძლეს სპარსელთა უკუგდება.

საბერძნეთ-სპარსეთის ომების შედეგი იყო ათენის ამაღლება, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების უმაგალითო განმტკიცება. ათენი სათავეში ჩაუდგა ბერძნების სახელმწიფოთა საზღვაო კავშირს, რომელიც საბერძნეთ-სპარსეთის ომების დროს შეიქმნა და, რომელიც თავის შემადგენლობაში, ბერძენთა რამდენიმე ასეულ პოლისს აერთიანებდა. კავშირი შექმნილი იყო სპარსელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოსაწყობად. კავშირის წევრებს უნდა აეგოთ ხომალდები სრულიად-საბერძნეთის ფლოტისათვის და მის შესანახად შეეტანათ თანხა საერთო სალაროში (უნდა ეხადათ

„ფოროსი“ — გადასახადი). შემდეგში ფლოტის აგება ათენს დაეკისრა, ხოლო კავშირის წევრები ფულის გადახდას სჯერდებოდნენ. ფლოტის ხელმძღვანელობაც ათენს გადაეცა.

საერთო სალარო კუნძულ დელოსზე იყო, აქვე იკრიბებოდა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყრილობები.

454 წელს ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენში იქნა გადატანილი, და ათენი ფულს უკვე თავისი შეხედულებისამებრ ხმარობდა, ზოგჯერ საკუთარი საჭიროებისათვის ხარჯავდა. უკმაყოფილო სახელმწიფოთა ცდები — წინააღმდეგობა გაეწიათ შექმნილი მდგომარეობისათვის, მარცხით დამთავრდა: აჯანყებულნი ძალის საშუალებით ჩააჩუმეს.

შესატანის ოდენობას მოკავშირეთათვის ათენი განსაზღვრავდა. უკმაყოფილოებს შეეძლოთ ათენის სასამართლოში ეჩივლნათ. ათენის სასამართლოს დადგენილება ამ საკითხზე საბოლოოდ ითვლებოდა. ხაზინადარს, რომელიც საკავშირო სალაროს განაგებდა, ათენის მოქალაქეთაგან ირჩევდნენ ათენის სახალხო კრებაზე და იგი ამ კრებას აბარებდა ანგარიშს. არსებითად, ათენი კავშირის უბრალო წევრი როდი იყო, სინამდვილეში იგი მოკავშირე ბერძნული ქალაქების მიმართ აშკარა ბატონობას ახორციელებდა. ათენის საზღვაო კავშირი ნამდვილად ათენის ბატონობის ფორმა იყო; ათენი დიდი საზღვაო სახელმწიფოს მეთაური გახდა. ამასთან ათენი ისწრაფვოდა ჩამოეგდო შუღლი მოკავშირეთა შორის და გაეადვილებინა თავისი ბატონობა მათ მიმართ, რისთვისაც სხვადასხვა მდგომარეობას ჰქმნიდა სხვადასხვა ქალაქისათვის, აწესებდა შეღავათებს ზოგიერთისათვის და უფრო მძიმე მდგომარეობას ჰქმნიდა სხვებისათვის.

შემდეგ ათენმა იწყო ფართოდ ჩარევა მოკავშირე ქალაქების საშინაო საქმეებში, განავრცო მათზე ათენის სამართლის მოქმედება, შემოიღო მათთან ათენის მონეტა და ათენის საზომები, აგრეთვე სავალდებულო გახადა მოკავშირე ქალაქების მიმართვა ათენის სასამართლოსათვის ჯერ ისეთ საქმეებზე, რომლებიც კავშირის საქმეებს ეხებოდა ან საკავშირო წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, მერე კი ათენის სასამართლოს დაუმორჩილა ყველა საქმე, სადაც კი სხვადასხვა მოკავშირე ქალაქის მოქალაქენი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, და ბოლოს და ბოლოს დაავალა მოკავშირეებს — ყველა სამოსამართლო დავის გამო ათენს გამგზავრებულიყვნენ. მოკავშირეთა მოქალაქენი, ათენში რომ ჩადიოდნენ, ამდიდრებდნენ ათენის ხაზინას, რადგან ათენში მათ გამოჩენას თან

ხდევდა მათგან სხვადასხვა გამოსაღების გადახდევინება. ათენი დიდი საზღვაო სახელმწიფოს ხალხმრავალი, გაცხოველებული ცენტრი გახდა, ხოლო ათენის სახელმწიფოს ხაზინაში უხვად შედიოდა ფული მოკავშირეთა სახსრებიდან.

ბევრ მოკავშირე პოლისში ათენმა თავისი მეთვალყურეებიც კი დანიშნა, ხოლო ზოგიერთში ჯარის გარნიზონები ჩააყენა და თავისი კოლონიები (კლერუხიები) მოაწყო.

ათენის მონათმფლობელურმა დემოკრატიამ იწყო თავისი კეთილდღეობის განმტკიცება სხვა ბერძნულ პოლისებზე ბატონობის შედეგად შემოსავლის მიღების გზით.

50 წელი, რაც მოიცავს დროს საბერძნეთ-სპარსეთის ომების დამთავრებიდან პელოპონესის შინაომის დასაწყისამდე (479—431 წწ.), იყო ათენის წარმოებისა და ვაჭრობის, მატერიალური და სულიერი კულტურის უმაღლესი განვითარების პერიოდი. ეს იყო „ოქროს ხანა“ ათენის ისტორიაში. ეს ხანა საგრძნობლად დაკავშირებული იყო ათენის დემოკრატიის გამოჩენილი მოღვაწის, პერიკლეს სახელთან.

ათენის ვაჭრობის ბრუნვამ უდიდეს ფარგლებს მიაღწია. „ყველაფერი, რაც კი არის საუკეთესო იტალიაში, სიცილიაში, კიპროსზე, ეგვიპტეში, ლიბიაში, პონტში, პელოპონესსა და სხვა ადგილებში, ყველა თავს იყრის აქ, ათენში, ზღვაზე ჩვენი ბატონობის მეოხებით“, — აი რა არის ნათქვამი V საუკუნის დამლევის ერთ პოლიტიკურ ტრაქტატში. ათენისა და მისი ნავსადგურის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გადიდდა უცხოელთა მოზღვაველებაც ათენში.

2. ათენის სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაცია V საუკუნეში. საბერძნეთ-სპარსეთის ომების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო აგრეთვე ათენის სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაცია. ომის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ გაძლიერდა როლი ზღვისპირა მოსახლეობისა (მეზღვაურებისა, ლოცმანებისა, მენიჩბეებისა), რომელმაც გადაიტანა ქვეყნის თავდაცვის მთელი სიმძიმე. შეიარაღებული მასები, რომლებმაც სამშობლო იხსნეს სპარსელთა შემოსევისაგან, პრეტენზიას აცხადებენ, უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმეებში, ვიდრე ეს მათ წინათ ჰქონდათ მინიჭებული. მონათმფლობელური კლასის ვაჭარ-მრეწველთა წრეები ეყრდნობიან მცირეშეძლებული მოსახლეობის ამ უფართოეს ფენებს და განიმტკიცებენ თავიანთ პოზიციებს. მათი პირდაპირი

ინტერესია დემოკრატიის გაფართოება ათენში, რაც უზრუნველ-ჰყოფს ხელისუფლებისაგან რეაქციული, მიწათმფლობელი პარტიის ჩამოშორებას.

უკვე საბერძნეთ-სპარსეთის ომების დროს ათენის სახელმწიფო წესწყობილებაში მოხდა შემდეგი არსებითი ცვლილებანი. ხმის მიცემით არქონტების არჩევა 487 წელს შეიცვალა მათი წილის ყრით არჩევით. მეორე არსებითი ცვლილება შემოიღო არისტიდემ, რომელმაც მხედრებსაც მიანიჭა უფლება—პირველი კლასის მოქალაქეებთან ერთად არჩეული-ყოფილიყვნენ არქონტებად. ეს რეფორმა მოწმობს, რომ ხდება ათენის სახელმწიფოს დემოკრატიზაცია, მაგრამ ამასთან ერთად გვიჩვენებს არქონტების როლის დაცემას, რაც დაკავშირებული იყო სტრატეგების მნიშვნელობის გადიდებასთან.

საბერძნეთ-სპარსეთის ომების შემდეგ გატარდა დიდმნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებმაც გააფართოვეს ათენის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებანი. ეს იყო ე ფ ი ა ლ ტ ი ს ა და პ ე რ ი კ ლ ე ს რეფორმები.

ეფიალტი თავს დაესხა, უწინარეს ყოვლისა, არეოპაგს, რომელიც ყოფილი არქონტებისაგან შესდგებოდა და რეაქციული მიწათმფლობელი დიდკაცობის დასაყრდენს წარმოადგენდა. აეროპაგს ეფიალტის რეფორმამდე (462 წ. ჩვენს ერამდე) ეკუთვნოდა უფლება კონტროლი გაეწია სახალხო კრების მოღვაწეობისათვის. არეოპაგს უფლება ჰქონდა veto დაედო სახალხო კრების დადგენილებებისათვის. ეს უფლება მას ახლა ჩამოართვეს და გელიეას გადასცეს. არეოპაგი აგრეთვე კონტროლს უწევდა თანამდებობის პირთ და თვალყურს ადევნებდა კანონების შესრულებას. ეს ფუნქციები ხუთასის საბჭოს და სახალხო კრების ხელში გადავიდა, მაგრამ უმთავრესად — გელიეას ხელში. შემცირდა აგრეთვე არეოპაგის სამოსამართლო კომპეტენცია; მას ხელიდან გამოეცალა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საქმეები — თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განხილვა; აეროპაგს შერჩა მხოლოდ რელიგიური საქმეები, მათ შორის მკვლელობაში ბრალდების საქმეთა სამოსამართლო გარჩევა, რამდენადაც მკვლელობა ბერძნებს ღმერთების შეურაცხყოფად მიაჩნდათ.

მოხდა თანამ ბათა დასაკავებლად საჭირო ცენზის შემდგომი დაკლება: არისტოტელე იუწყება, რომ 457/6 წ. არ ონტად პირველად აირჩიეს ზევგიტი.

პერიკლეს დროს შემოღებულ იქნა საზღაური სხვადასხვა

თანამდებობის შესრულებისათვის. ამან მცირე შეძლების მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცა დაეკავებინათ თანამდებობანი სახელმწიფოში, აგრეთვე ხელი შეუწყო იმას, რომ თავი ერჩინა მრავალრიცხოვან ლუმპენპროლეტარიატს, რომელიც გაჩანაგებულ გლეხთა და ხელოსანთა წრიდან გაჩნდა ათენში.

ხუთასის საბჭოს, სახალხო კრებების და გელიეას როლი გაძლიერდა. ხუთასის საბჭოს და გელიეას კომპეტენცია გაფართოვდა, სახალხო კრებებს ხშირად იწვევენ, და გადიდდა იმ საქმეების წრე, რომლებიც სახალხო კრებას ექვემდებარებ[illegible]

თავი IX

ათენის სახელმწიფო წყობილება V — IV საუკუნეებში

ათენის სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ორგანოები იყო: ა) საბჭო — ბულე, ბ) სახალხო კრება და გ) არჩევითი თანამდებობითი პირნი — სტრატეგები, არქონტები და სხვ. კანონმდებლობაში და მმართველობის კონტროლში ერთგვარ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ცალკეული სამოსამართლო ორგანოები: ა) არეოპაგი (462 წ. რეფორმამდე) და ბ) გელიეა.

§ 51. საბჭო — ბულე

1. საბჭოს შემადგენლობა. საბჭო — ბულე — შესდგებოდა 500 წევრისაგან — ბულევტებისაგან. მათ ირჩევდნენ კენჭისყრით, 50 კაცს თითო ფილიდან 30 წლის ასაკმიღწეულ მოქალაქეთაგან. ბულევტებად არჩეული პირები წინანდელი მოწვევის საბჭოში გადიოდნენ შემოწმებას — დოკიმასიას, რომელსაც უნდა გამოერკვია არჩეულის აზრთა მიმართულება და ყოფაქცევა, აგრეთვე მის მიერ თანამდებობის დაკავების უფლება.

გარდა ამისა, თანამდებობის შედგომის წინ საბჭოს წევრები — ბულევტები ფიცს სდებდნენ, რომ კეთილსინდისიერად მოეპყრობოდნენ თავიანთ მოვალეობას და კანონთა შესაბამისად შეასრულებდნენ თანამდებობას.

თავისი მოვალეობის შესრულებისათვის ბულევტს ყოველ დღიურად ეძლეოდა 5 ობოლი ფაქტიური სამსახურის თვითეული დღისა და კიდევ 1 ობოლი — სადილისა[1]. სხდომებისას ისინი

[1] ობოლი—ვერცხლის ფული, დაახლოებით 6 კაპიკი ოქროთი.

თავზე ატარებდნენ ტვიას გვირგვინებს, სხვა თანამდებობით პირთა მსგავსად, თეატრებში მათ განსაკუთრებულ საპატიო ადგილებს უთმობდნენ.

სამსახურის ვადის გათავებისას ყოველი ბულევტი წარადგენდა თავისი მუშაობის ანგარიშს. თუ ბულევტის უფლებამოსილობის ვადის გასვლამდე მის წინააღმდეგ რაიმე ბრალდება აღიძრებოდა, საბჭოს წევრები გარიცხავდნენ მას თავიანთი წრიდან ზეთისხილის ფოთლების ხმისმიცემით. საბჭოდან გარიცხული შეეძლოთ დაეპატიმრებინათ და სამართალში მიეცათ ჩვეულებრივი წესით.

თანამდებობის პირთ, განსაკუთრებით სტრატეგებს, უფლება ჰქონდათ გამოსულიყვნენ მოხსენებებით საბჭოში და შეეძლოთ თავიანთი წინადადებანი წარედგინათ. ამ გზით ისინი იძენდნენ შესაძლებლობას — გავლენა მოეხდინათ საბჭოს დადგენილებებზე, ხოლო საბჭოს მეშვეობით — სახალხო კრების დადგენილებებზეც.

2. საბჭოს კომპეტენცია. საბჭოს კომპეტენციას უმთავრესად შეადგენდა: ჯერ ერთი, იმ საქმეთა მომზადება და წინასწარ გარჩევა, რომლებიც სახალხო კრების განსახილველად შედიოდა, მეორეც, მიმდინარე საქმეთა გამგებლობა სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგში. ეს იყო ათენის სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობითი და ადმინისტრაციული ორგანო.

იმ საქმეებზე, რომლებიც სახალხო კრების განსახილველად უნდა შესულიყო, საბჭო აძლევდა თავის დასკვნას და სახავდა წინასწარ გადაწყვეტილებას, რაც შემდეგ წარედგინებოდა სახალხო კრებას; ეს იყო ეგრეთწოდებული პრობულევმა. საბჭოს მიერ საქმის წინასწარ განუხილველად სახალხო კრებას არ შეეძლო თავის გადაწყვეტილებათა გამოტანა.

საბჭოს ეკისრებოდა აგრეთვე სახალხო კრების დადგენილებათა სისრულეში მოყვანა. მას მტკიცედ უნდა დაეცვა სახალხო კრების მითითებანი, მაგრამ ხშირად სახალხო კრება ფართო სარბიელს სტოვებდა საბჭოს დამოუკიდებელი საქმიანობისათვის და ზოგჯერ შეუზღუდავ უფლებამოსილობითაც კი აღჭურავდა მას (boule autocrator).

საბჭოს ფართო უფლებები ეკუთვნოდა ფინანსური მმართველობის დარგში. იგი განსაზღვრავდა სახელმწიფო შემოსავლის წყაროებს, განაგებდა სახელმწიფო ხაზინაში შესატან ყველა გადასახადს, ახდევინებდა სახელმწიფო ვალებს, ჰყიდდა კონფისკებულ ქონებას, ანაწილებდა დახმარებას მოქალაქეთა სასარგებლოდ. იგივე

განსაზღვრავდა მოკავშირეთა მიერ შესატანი თანხების ოდენობას. საბჭო სდებდა ხელშეკრულებებს, როცა იჯარით გასცემდა სახელმწიფო შემოსავალს.

იგი გადასცემდა „ქალღმერთის (ათინა-პალადის) ხაზინადრებს“ და სხვა ღმერთების ხაზინადრებს ფასეულობას, სატაძრო ქონებას, ქალღმერთი ათინა-პალადის ქანდაკებას და მათგან უკან იბარებდა ფასეულობას.

საბჭოს ზედამხედველობაში იყვნენ სამხედრო ფლოტი და ცხენოსანი ჯარი. მას ეკისრა ვალდებულება ეზრუნა ახალი ხომალდების ყოველწლიურად აგებისათვის და მათი საჭირო საჭურვლით აღკაზმვისათვის.

საბჭო განაგებდა აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობას. იგი იღებდა ელჩებს და შეიყვანდა მათ სახალხო კრებაში, სდებდა ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან, საზეიმო ფიცით ადასტურებდა ამ ხელშეკრულებებს, იგივე მოისმენდა ათენის ელჩების ანგარიშებს მათ მიერ შესრულებულ დავალებათა შესახებ.

საბჭოს უნდა ეზრუნა აგრეთვე სალოცავებისათვის, დღესასწაულთა მოწყობისათვის, საზოგადოებრივ ნაგებობათათვის.

როგორც უმაღლესი მთავრობითი დაწესებულება, საბჭო იღებდა თანამდებობის პირთა ანგარიშებს და აძლევდა მათ საჭირო მითითებებს. ანგარიშების მისაღებად იგი გამოჰყოფდა 10 ლოგისტისაგან შედგენილ კომისიას. თავის მხრივ საბჭოც აბარებდა ფინანსურ ანგარიშს სახალხო კრებას.

საბჭოს ეკუთვნოდა აგრეთვე სამოსამართლო ხელისუფლება. მასთან შედიოდა განცხადებანი სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ. მაგრამ IV საუკუნეში საბჭოს განაჩენები გელიეას დასამტკიცებლად უნდა შესულიყო. მაინც, საბჭო ინარჩუნებდა უფლებას 500-მდე დრახმა ჯარიმა დაედო თანამდებობის პირთათვის. მაგრამ საბჭოს დადგენილებანიც თანამდებობის პირთა დაჯარიმების შესახებ არ იყო საბოლოო, შეიძლებოდა მათი გასაჩივრება სასამართლოში.

3. პრიტანები. რადგან უხერხული იყო მმართველობის მიმდინარე საქმეებს გაძღოლოდნენ ესოდენ ხალხმრავალი კრების საშუალებით, როგორიც ხუთასის საბჭო იყო, უკანასკნელი იყოფოდა 10 კომისიად, რომელთაგან თვითეული შესდგებოდა რომელიმე ერთი ფილის 50 წარმომადგენლისაგან. ეს კომისიები რიგრიგობით იდგნენ ხელისუფლების სათავეში წლის ერთი მეათედი ნაწილის მან-

ძილზე და ერთმანეთს სცვლიდნენ იმ წესრიგით, რასაც კენჭისყრა განსაზღვრავდა. კომისიების გამოყოფა მონათმფლობელი კლასის გავლენიან წარმომადგენლებს უადვილებდა ზეგავლენა მოეხდინათ საბჭოზე და კონტროლი გაეწიათ მისი მოქმედებისათვის. საბჭოს წევრები, რომლებიც შეყვანილი იყვნენ ამ კომისიების შემადგენლობაში ამა თუ იმ თვეს, პ რ ი ტ ა ნ ე ბ ა დ იწოდებოდნენ, ხოლო თვითეული კომისიის მორიგეობის თვეს — პ რ ი ტ ა ნ ი ა ეწოდებოდა.

პრიტანების ადგილსამყოფელი იყო ბაზრის მოედანზე მდებარე განსაკუთრებული მრგვალი შენობა, რომელსაც სკიასი ან ფოლოსი ეწოდებოდა. აქ ისინი მთელ დღეს იყვნენ, აქვე სადილობდნენ ერთად, აქ მიჰქონდათ მსხვერპლი, აქვე იღებდნენ თანამდებობის პირთა მოხსენებებსა და ცნობებს.

თავიანთი მოღვაწეობისათვის პრიტანებს სახალხო კრება საპატიო სამადლობელი დეკრეტით აჯილდოებდა. IV საუკუნის პირველ ნახევარში ასეთ დეკრეტს უბოძებდნენ ერთი რომელიმე ფილის პრიტანებს, რომლებიც სახალხო კრების აზრით ყველაზე უკეთ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, შემდეგ ისევ იწყეს დეკრეტით თვითეული ფილის პრიტანების დაჯილდოება.

პრიტანების მოღვაწეობის დამოუკიდებლად საბჭო სრული შემადგენლობით იკრიბებოდა განსაკუთრებულ შენობაში—ბულევტერიაში, ხოლო ზოგჯერ აკროპოლში — დემეტრა ელევსინელის ტაძარში, პირეის გემსაშენებზე და სხვა ადგილებში. სხდომები საჯარო იყო, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში საბჭო დახურულ სხდომებს აწყობდა.

4. საბჭოს და სახალხო კრების თავმჯდომარე და მდივნები. პრიტანები თავიანთ წრიდან კენჭისყრით ერთი დღით ირჩევდნენ თავმჯდომარეს — ე პ ი ს ტ ა ტ ს, რომელიც არ შეიძლებოდა ამ თანამდებობაზე ხელმეორედ არჩეულიყო მოცემული პრიტანიის განმავლობაში. ეპისტატი ამავე დროს ხუთასის საბჭოს თავმჯდომარეც იყო. იგივე თავმჯდომარეობდა სახალხო კრებას, ინახავდა სახელმწიფო ბეჭედს და სალოცავთა გასაღებს, სადაც მოთავსებული იყო ხაზინა და არქივი. იგი მუდამ ფოლოსში იმყოფებოდა მისი შეხედულებისამებრ დანიშნული პრიტანების მესამედ ნაწილთან ერთად. IV საუკუნეში საბჭოს და სახალხო კრების თავმჯდომარეობა ეპისტატიდან გადავიდა სხვა პირის — ცხრა პ რ ო ე დ რ ი ს ერთ-ერთის ხელში; პროედრებს ირჩევდნენ კენჭისყრით საბ-

ჭოს ან სახალხო კრების ყოველი სხდომის წინ. ცხრა პროედრიდან ერთ-ერთი კენჭისყრის ძალით ხდებოდა თავმჯდომარე — პროედრების ეპისტატი, ხოლო დანარჩენები მის თანაშემწეებად ითვლებოდნენ. პროედრების ეპისტატად ვინმე წელიწადში მხოლოდ ერთჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, პრისტანიის ეპისტატს შერჩა უფლება მოეწვია სახალხო კრებები, ხოლო ამ კრებების მთელი ხელმძღვანელობა პროედრების ეპისტატის ხელში გადავიდა.

საბჭოს განკარგულებაში იყვნენ მდივნები, რომელთაგან ერთი არქივებს ინახავდა და საბჭოს სხდომების ოქმებს აწარმოებდა, ამასთან ჩასწერდა საბჭოს და სახალხო კრების ყველა დადგენილებას, მეორე მდივნის მოვალეობას შეადგენდა მოეხსენებინა საქმეები სახალხო კრებისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მდივნების რიცხვი, ისე თვითეული მათგანის მოვალეობათა მოცულობა არაერთხელ შეცვლილა IV საუკუნის განმავლობაში.

§ 52. სახალხო კრება

1. სახალხო კრებათა შემადგენლობა. სახალხო კრებაში ათენის მხოლოდ სრულუფლებიანი მოქალაქენი მონაწილეობდნენ. მონები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას. პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ აგრეთვე უცხოელები — მეტეკები (იხ. § 61, პ. 2). პერიკლეს 451 წლის კანონის მიხედვით, მოქალაქეობის უფლებათა ცნობისათვის საჭირო იყო ათენელი მამაკაცისა და ქალისაგან წარმოშობა. შერეული ქორწინებით წარმომდგარი შვილები მოკლებული იყვნენ მოქალაქეობის უფლებებს. ამავე დროს ასეთ ქორწინებათა რიცხვი, ათენში უცხოელების გაჩენასთან დაკავშირებით, განუხრელად მატულობდა. პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ ქალებსაც.

ათენის დემოკრატია, ამრიგად, იყო დემოკრატია მოსახლეობის უმცირესობისათვის, და არა უმრავლესობისათვის. უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ფაქტიურად სახალხო კრებაზე სიარული შეეძლოთ მხოლოდ ათენისა და ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ, და სრულიადაც არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მასში სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს. ჩვეულებრივ სახალხო კრებას ესწრებოდა ქალაქ ათენის მცხოვრებთა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირე-

ნობა. აი რატომ იყო, რომ უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა მისაღებათაც კი საკმარისი იყო, რათა კრებას მხოლოდ 6000 წევრი დასწრებოდა.

სახალხო კრებაში მონაწილეობა გაძნელებული იყო გლეხისათვის, რომელსაც ამისათვის მთელი დღით უნდა მიეტოვებინა წარმოებითი შრომა; ამას არ ამართლებდა ის გასამრჯელოც, რასაც IV საუკუნის დასაწყისიდან იძლეოდნენ სახალხო კრებაზე გამოცხადებისათვის. სახალხო კრებაში სჭარბობდა ათენის ღარიბ-ღატაკთა დეკლასირებული მასა, რომლის მოსყიდვა და თავის ზეგავლენაში მოქცევა სავსებით მისაწვდომი იყო შეძლებული მოქალაქეებისათვის და რომელსაც ადვილად იყენებდნენ ათენელი მონათმფლობელნი.

2. კრებების დრო და ადგილი. თავდაპირველად სახალხო კრებას იწვევდნენ თვეში ერთხელ, შემდეგ, IV საუკუნეში, — თვეში 4 ჯერ ან წელიწადში 40 ჯერ.

ყოველი პრიტანიის ერთ-ერთ კრებას ეწოდებოდა Kyria ekklesia —მთავარი კრება. ამ კრებაზე სწარმოებდა თანამდებობის პირთა საქმიანობის შემოწმება, თანამდებობის პირთა ეგრეთწოდებული ეპიქეიროტონია (იხ. ქვემოთ, § 53), შემდეგ განიხილავდნენ მოსავლის მდგომარეობის საკითხს და ქვეყნის უშიშროების საკითხს. ამავე კრებაზე შეჰქონდათ განცხადებანი სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ და განიხილავდნენ წინადადებებს ქონების კონფისკაციის შესახებ. მოისმენდნენ ზოგიერთ სხვა საქმესაც. მეექვსე პრიტანიის მთავარ კრებაზე ისმებოდა საკითხი, ხომ არ არის აუცილებელი ვინმეს ოსტრაკიზმი.

სხვა კრება განკუთვნილი იყო მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა თხოვნის შესატანად. ყოველ მოქალაქეს შეეძლო თხოვნით მიემართა სახალხო კრებისათვის თავისი პირადი საქმეებისა და სახელმწიფოებრივი საქმეების გამო. მესამე და მეოთხე კრებები განკუთვნილიყო დანარჩენი საქმეების განსახილველად, ამასთან დღის პროგრამის სამი საკითხი კულტის შესახები უნდა ყოფილიყო, სამი საკითხი — ჰეროლდების და ელჩების მიღებისა და სამი — სხვა სახელმწიფოებრივ საქმეთა შესახებ.

გარდა მორიგი კრებებისა, გაუთვალისწინებელ გარემოებათა შემთხვევაში იწვევდნენ საგანგებო კრებებს.

კრებების ადგილი V და IV საუკუნეებში ჩვეულებრივ იყო პნიქსის გორაკი, ხოლო ოსტრაკიზმისათვის და, ალბათ, სხვა შემთხვევებში, როცა საქმე შეეხებოდა რაიმე nomos ep'andri-ს,[1]— „აგორა"[2]. მერე ცალკეულ შემთხვევებში, ხოლო უფრო გვიან მუდმივად კრებებს თეატრში იწვევდნენ, პნიქს კი კრების ადგილად მხოლოდ იმ შემთხვევებში იყენებდნენ, როცა არჩევნები ხდებოდა. ზოგჯერ სახალხო კრებას ათენის ნავსადგურ პირეიში იწვევდნენ.

3. სახალხო კრებების მოწვევა და საქმეთა განხილვის წესი. სახალხო კრების მოწვევა ეკისრებოდა პრიტანებს, რომლებიც ხუთი დღით ადრე აცხადებდნენ კრების პროგრამას. მოქალაქეებს იწვევდნენ განსაკუთრებული ჰეროლდები, ხოლო კრების დაწყების წინ იძლეოდნენ განსაკუთრებულ სიგნალს, რათა კრების მონაწილენი თავის დროზე მოსულიყვნენ. წესრიგს თვალყურს ადევნებდა 30 კაცი—„ხალხის შემგროვებელნი", რომლებიც პოლიციელი აგენტების—ტოქსოტების დახმარებას ემყარებოდნენ. ისინივე ექვს ლექსიარქთან ერთად თვალყურს ადევნებდნენ, რათა კრებაზე არ შემოსულიყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ამის უფლებას მოკლებული იყვნენ, რისთვისაც ლექსიარქებს ხელთ ჰქონდათ მოქალაქეთა სიები.

რადგან კრების დასწრებისათვის 395 წლიდან შემოღებული იყო გასამრჯელო, ყოველ მოქალაქეს კრებაზე გამოცხადებისას ეძლეოდა განსაკუთრებული მარკა (zymbolon) რომელიც ადასტურებდა, რომ იგი კრებას დაესწრო, და გასამრჯელოს მიღების უფლებას აძლევდა მას. გასამრჯელო სახალხო კრების დასწრებისათვის, რაც დაწესებულ იქნა IV საუკუნის დასაწყისშივე, თავდაპირველად უდრიდა ერთ ობოლს, მაგრამ მალე გადიდებულ იქნა სამ ობოლამდე. არისტოტელეს დროს კი (IV საუკუნის მესამე მეოთხედი) ეს გასამრჯელო ავიდა ცხრა ობოლამდე პირველი კრების დასწრებისათვის და ექვს ობოლამდე — ყველა დანარჩენი კრების დასწრებისათვის.

დამსწრენი კრების დროს ისხდნენ, ამასთან აუცილებელი არ იყო მსხდარიყვნენ ფილების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხმას აძლევდნენ რაიმე nomos ep'andri-ს—განსაკუთრებულ კანონს, რომელიც ცალკეულ მოქალაქეს ეხებოდა.

---

[1] დადგენილება ცალკეული პირის შესახებ.

[2] მოედანი ათენში.

კრების დაწყების წინ მსხვერპლს შესწირავდნენ და ლოცვას წარმოსთქვამდნენ. ყოველი საქმის განხილვა საბჭოს წინასწარი დასკვნის — პრობულევმის გამოცხადებით იწყებოდა. შემდეგ ხმას მისცემდნენ საკითხს, ეთანხმება კრება პრობულევმას თუ მას სურს განიხილოს საკითხი. თუ კრება თანახმა იქნებოდა, საკითხი გადაწყვეტილად ითვლებოდა საბჭოს წინადადების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში კამათი დაიწყებოდა.

კრებაზე ყოველ მის მონაწილეს შეეძლო ელაპარაკნა. სინამდვილეში კრებაზე სიტყვებს წარმოსთქვამდნენ უმთავრესად პროფესიონალი პოლიტიკოსები — „დემაგოგები", რომელთა როლში უფრო ხშირად გამოდიოდნენ მონათმფლობელი კლასის ზედაფენის წარმომადგენლები, სხვადასხვა საწარმოთა პატრონები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, დაბალი კლეონი, ლამპის მკეთებელი ჰიპერბოლი, ჩანგის მკეთებელი კლეოფონტი, ძენძით მოვაჭრე ევკრატი, ბოსტნეულით მოვაჭრე ლისიკლი და სხვ. კლეონის შესახებ არისტოტელე სწერს „ათენის პოლიტიაში": „მან პირველმა მორთო ტრიბუნაზე ყვირილი, ლანძღვა-გინება და ლაპარაკი ხალხის წინაშე, ამასთან აიკრა გიმატია" (ე. ი. წინსაფარად აიკრა ლაბადა, როგორც ხელოსნები იქცეოდნენ). ხოლო ქვემოთ არისტოტელე, ათენის დემოკრატიისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, აშკარად ამუქებს ფერადებს და განაგრძობს: „კლეოფონტის[1] შემდეგ განუწყვეტლივ სცვლიდნენ ერთი-მეორეს დემაგოგები, ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად სურდათ ეჩვენებინათ თავიანთი ზვიადობა და ეამებინათ ბრბოსათვის, და რომლებსაც მხოლოდ მოცემული მომენტის ხელსაყრელობა ამოძრავებდა"[2].

ტრიბუნაზე რომ ავიდოდა, ორატორი თავზე გვირგვინს ჩამოიცვამდა იმის ნიშნად, რომ იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ასრულებდა. თუ თავმჯდომარე სცნობდა, რომ ორატორი ისეთ საგნებზე ლაპარაკობს, რომლებიც საქმეს არ ეხება, რომ იგი იმეორებს ნათქვამს, ხმარობს მეტად მკაცრ გამოთქმებს და სხვ., მას შეეძლო მისთვის სიტყვა წაერთმია და დაეჯარიმებინა 50 დრახმით. კამათის დამთავრებისას ჩამოაყალიბებდნენ წინადადებებს, ამასთან თავმჯდომარე არ დაუშვებდა ისეთი წინადადებისათვის ხმისმიცემას, რომელიც მას უკანონოდ მიაჩნდა.

---

[1] ათენის პოლიტიკური მოღვაწე V საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.
[2] არისტოტელე, ათენის პოლიტიკა, 28, 3 და 4.

ყოველ მოქალაქეს შეეძლო მიეთითებინა წინადადების უკანონობაზე და ხმისმიცემიდან და განხილვიდანაც კი მოეხსნა კრებაზე შეტანილი ყოველგვარი წინადადება, თუ განაცხადებდა, რომ იგი აღძრავდა სასამართლო ბრალდებას წინადადების ავტორის წინააღმდეგ (graphe paranomon) (იხ. ქვემოთ, გვ. 234—235).

გარდა ამისა, არსებობდა შვიდი ნომოფილაკის თანამდებობა, რომლებსაც კრების თავმჯდომარესთან ერთად თვალ-ყური უნდა ედევნებინათ, რომ კრების დადგენილებანი კანონების საწინააღმდეგო არ ყოფილიყო.

კრებაზე ხმისმიცემა ჩვეულებრივ ხელის აწევით ხდებოდა (ქეიროტონია). ფარული ხმისმიცემა თიხის ნატეხების, ცერცვების, კენჭების საშუალებით მხოლოდ იმ საკითხის გადაჭრისას ხდებოდა, რომელიც ცალკეულ პირს ეხებოდა, სახელდობრ ოსტრაკიზმის საკითხის გადაჭრისას, სასამართლო განაჩენის გამოტანისას და სხვ.

4. სახალხო კრების კომპეტენცია. სახალხო კრების კომპეტენცია მეტად ფართო იყო. იგი გაფართოვდა ათენის წყობილების დემოკრატიზაციასთან ერთად, რაც საბერძნეთ-სპარსეთის ომების შემდეგ მოხდა.

სახალხო კრება არა მარტო საკანონმდებლო ორგანო იყო, იგი აგრეთვე მმართველობის სხვადასხვანაირ ფუნქციებს და სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებდა.

სახალხო კრებების დადგენილებებში განირჩეოდა: კანონები, რომლებიც ზოგად ნორმებს ჰქმნიდნენ, და პსეფიზმები, დადგენილებანი, რომლებიც ცალკეულ კერძო საკითხს ეხებოდნენ.

კანონმდებლობისათვის დაწესებული იყო შემდეგი მეტად რთული პროცედურა. ყოველწლიურად ახალი წლის პირველ სახალხო კრებაში შეიძლებოდა წამოეყენებინათ წინადადება კანონების შეცვლისა და ახალი კანონების გამოცემის შესახებ. კრება ღია ხმისმიცემით გადაწყვეტდა, მიაჩნია თუ არა მას საჭიროდ შეიტანოს ცვლილებანი არსებულ კანონებში. თუ გადაწყვეტილება დადებითი იქნებოდა, მოქალაქეს, რომელმაც წინადადება წამოაყენა, საშუალება ეძლეოდა წარედგინა, ხუთასის საბჭოში კანონის სათანადო პროექტი. ხუთასის საბჭო თავის დასკვნას აძლევდა პროექტის გამო, რის შემდეგ კანონპროექტი საბჭოს დასკვნითურთ შედიოდა მოცემული წლის მესამე სახალხო კრების განსახილველად.

კანონპროექტს, ხუთასის საბჭოსათვის მის გადაცემასთან ერთად, საყოველთაო გასაცნობად გამოფენდნენ მოედანზე, გმირების ქანდაკებათა ახლოს.

თუ სახალხო კრება კანონპროექტის განხილვის შედეგად მას მოიწონებდა, ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ იგი მაშინვე კანონის ძალას მოიპოვებდა. იგი უნდა შესულიყო კიდევ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში — გელიეაში და იქ საბოლოოდ განიხილებოდა ნომოფეტების განსაკუთრებულ კოლეგიაში, რომელსაც გელიეას წევრთაგან შეადგენდნენ, ამასთან სახალხო კრება ნიშნავდა აგრეთვე ძველი კანონების ხუთ განსაკუთრებულ ოფიციალურ დამცველს — სინდიკებს ანუ სინეგორებს. ნომოფეტების რიცხვი ერთნაირი არ იყო და დამოკიდებული იყო მათი განსახილველი მასალის ხასიათზე. საქმეებს სასამართლო პროცესის სახით არჩევდნენ: ახალი კანონის წარმომდგენნი ძველი კანონების ბრალმდებელთა როლში გამოდიოდნენ, ხოლო სინდიკები — ამ კანონების დამცველთა როლში. ნომოფეტები საქმეს ხმის მიცემით სწყვეტდნენ, ამასთან ნომოფეტების მიერ კანონპროექტის მოწონების შემთხვევაში პროექტი კანონად იქცეოდა. ამრიგად, გადამწყვეტი ხმა კანონთა გამოცემის საქმეში გადავიდა გელიეას ხელში, რომელმაც მიიღო veto-ს უფლება სახალხო კრების საკანონმდებლო განზრახულობათა მიმართ.

მონათმფლობელი კლასის ზედაფენამ გელიეაზე ზეგავლენის მოხდენით შესაძლებლობა მოიპოვა კონტროლი გაეწია სახალხო კრების მოღვაწეობისათვის. ამ ზედაფენას იმის შესაძლებლობაც კი ჰქონდა, რომ აღეკვეთა ამა თუ იმ ღონისძიების განხილვა სახალხო კრებაში, თუ ეს განხილვა მისთვის არასასურველი იყო. ამისათვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ გრაფე პარანომონ — სახალხო კრებაში წარდგენილ წინადადებათა არაკანონიერებაში ბრალდების გამო აღძრული პროცესი. ყოველ მოქალაქეს შეეძლო გამოსულიყო სახალხო კრებაში წამოყენებული ყოველგვარი წინადადების წინააღმდეგ, სახალხო კრების ყოველგვარი დადგენილების წინააღმდეგ და ნომოფეტების კოლეგიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგაც კი. ფიცქვეშ მას შეეძლო განეცხადებინა, რომ აღძრავს ბრალდებას არა კანონიერებაში იმის წინააღმდეგ, ვინც შეიტანა წინადადება ახალი კანონის გამოცემის შესახებ. შედეგი ის იყო, რომ წინადადების შემდგომ განხილვას ან კანონის ძალაში შესვლას, თუ იგი მიღებული იყო, შეაჩერებდნენ სასამართლოს

მიერ საკითხის გარჩევამდე. სასამართლო ამ შემთხვევაში იმართებოდა ექვსი დაბალი არქონტის, ეგრეთ წოდებულ ფესმოფეტების თავმჯდომარეობით (იხ. § 53, პ. 5).

ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე როგორც ეტყობა, მიუთითებდა წინააღმდეგობებზე კანონპროექტსა და ათენის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების საფუძვლებს შორის. თუ მოსამართლენი საჩივარს სწორად მიიჩნევდნენ, დამნაშავეს ფულადი ჯარიმა დაედებოდა, ხოლო განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში სიკვდილით დასჯაც კი ემუქრებოდა. ის, ვინც სამჯერ იყო მსჯავრდადებული გრაფე პარანომონიით, უფლებას ჰკარგავდა შემდეგში შეეტანა რაიმე წინადადება სახალხო კრებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, დაწესებული იყო, რომ თუ ბრალდებული თავის სასარგებლოდ ხმების ერთმეხუთედ ნაწილს მაინც ვერ მიიღებდა, მას უსაფუძვლო ბრალდებისათვის 1000 დრახმით აჯარიმებდნენ.

კანონმდებლობისა და მმართველობის გარდა, სახალხო კრება მონაწილეობას იღებდა სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაშიც.

V საუკუნეში სახალხო კრება თვითონ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებს განიხილავდა. სხვა განცხადებებს სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ ჩვეულებრივ უგზავნიდა განსახილველად სასამართლოს, ამასთან ჯერ გადაწყვეტდა საკითხს, საერთოდ მიღებულ უნდა იქნას თუ არა ესა თუ ის განცხადება. სახალხო კრება განიხილავდა აგრეთვე სხვაგვარ დანაშაულთა გამო შემოსულ საჩივრებს, მაგრამ ისე, რომ სახალხო კრების დადგენილება ამ შემთხვევებში არ გამორიცხავდა საჭიროებას, რომ მომჩივანს შემდგომ მიემართა სასამართლოსათვის. მაგრამ ასეთ საჩივარს (მას ეწოდებოდა „პრობოლე“) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომჩივანისათვის, რადგან საჩივრისადმი სახალხო კრების დადებითი დამოკიდებულება არა მარტო მორალურად დააკმაყოფილებდა მას, არამედ ამასთან ერთად მომჩივანს წარმატების დიდ შანსებს უქმნიდა იმ შემთხვევაში, თუ იგი სასამართლოს მიმართავდა. ამგვარ საჩივრებს იმ შემთხვევებში მიმართავდნენ, როცა ბრალდება ათენის სახელმწიფოს განსაკუთრებით გავლენიან მოქალაქეთა წინააღმდეგ აღიძრებოდა და როცა საშიში იყო, რომ მოსამართლენი საქმეს ამ პირთა წინააღმდეგ ვერ გადაწყვეტდნენ მაშინაც კი, როცა ისინი აშკარად დამნაშავენი იყვნენ. საჩივარი „პრობოლე“ ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც შეჰქონდათ, მაგალითად

თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო, დაბეზღების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში (დამბეზღებელთ ათენში გასამრჯელო ეძლეოდათ მსჯავრდადებულთა კონფისკაციაქმნილი ქონებიდან, ამიტომ იყვნენ ადამიანები, რომელნიც სპეციალურად გართული იყვნენ იმით, რომ აღძრავდნენ ბრალდებებს პოლიტიკურ და თანამდებობრივ დანაშაულში, ეგრეთ წოდებული ს ი კ ო ფ ა ნ ტ ე ბ ი).

სახალხო კრებაში ხორციელდებოდა აგრეთვე ოსტრაკიზმი „თიხის ნატეხების სასამართლო". ერთ-ერთ სახალხო კრებაზე წამოაყენებდნენ საკითხს, ხომ არ მიაჩნია ხალხს საჭიროდ გააძევოს ვინმე სახელმწიფოდან, ვინც თავისი გავლენისა და წარჩინებული მდგომარეობის გამო საშიში გახდა არსებული სახელმწიფო წყობილებისათვისო. თუ ხალხი ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებდა, ხდებოდა ფარულად ხმის მიცემა თიხის ნატეხებით (ბერძნულად თიხის ნატეხი — „ოსტრაკონონი") იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ სახელდობრ ვინ უნდა ყოფილიყო გაძევებული. ის, ვისი სახელიც აღმოჩნდებოდა მეტწილ ნატეხებზე, უნდა გაძევებულიყო ათენის სახელმწიფოდან 10 წლით, მაგრამ ამასთან ინარჩუნებდა ყველა უფლებას თავისი ქონების მიმართ. ოსტრაკიზმს რომ ძალა ჰქონოდა, ნატეხებით ხმისმიმცემთა რიცხვი ექვს ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. როგორც პლუტარქი ამბობს, „ოსტრაკიზმი არ იყო დასჯა უვარგისობისათვის, არამედ ზვიადობისა და მეტისმეტად დიდი ძალის დამორჩილებისა და გატეხის საშუალებას წარმოადგენდა" (პ ლ უ ტ ა რ ქ ი, არისტიდე, 7).

§ 53. თანამდებობის პირნი

ა. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. თანამდებობათა დაკავების წესი. თანამდებობის პირთ ათენში ან აირჩევდნენ, ან წილის ყრით განაწესებდნენ თანამდებობაზე. არჩევნები ხდებოდა ღია ხმისმიცემით სახალხო კრებაზე. თანამდებობებს, მცირეოდენი გამოკლებით, ერთი წლით იკავებდნენ.

ასარჩევი იყო უწინარეს ყოვლისა ყველა სამხედრო თანამდებობის პირნი: 10 სტრატეგი, 2 გიპარქი, ტაქსიარქები, ფილარქები, აგრეთვე კატალოგისტები — პირნი, რომელნიც მხედართა გასაწვევ

სიებს განაგებდნენ. აირჩევდნენ აგრეთვე ეფებების[1] ეპიმელეტებს[2] და სოფრონისტებს — პირებს, რომლებიც ახალგაზრდობის სამხედრო სწავლებას განაგებდნენ.

არჩევნების გზით იკავებდნენ აგრეთვე უმნიშვნელოვანეს თანამდებობათ საფინანსო მმართველობის დარგში. სახალხო კრება ირჩევდა სახელმწიფო ხაზინადრებს — ელენოტამიებს, სათეატრო ხარჯებისათვის განკუთვნილი ფულის (ფეორიკონ) შემნახველებს, სამხედრო ხაზინადრებს, სახელმწიფო ბიუჯეტის გამგეს.

თანამდებობის პირთა რიცხვს, რომლებსაც ხელის აწევით ირჩევდნენ, ეკუთვნოდნენ აგრეთვე წყაროების გამგე, გემების მშენებელი, მისტერიების გამგე და 10 პირი, რომლებიც დიონისის დღესასწაულს განაგებდნენ. სახალხო კრებაში ირჩევდნენ ხელის აწევით — ქეიროტონიით. სტრატეგების არჩევნებს წინ უძღოდა კანდიტატურების წინასწარი განხილვა ხუთასის საბჭოში.

სტრატეგებს თავდაპირველად ირჩევდნენ თითოს ყოველი ფილიდან, შემდეგ მათი არჩევა იწყეს მთელი მოსახლეობიდან; მთელი მოსახლეობიდან ირჩევდნენ აგრეთვე გიპარქებსა და ელენოტამიებს. პირიქით, ფილების მიხედვით ირჩევდნენ 10 ტაქსიარქსა და 10 ფილარქს.

რაც შეეხება კენჭისყრით დასაკავებელ თანამდებობათ, თავდაპირველად კენჭისყრით ზოგ შემთხვევაში ირჩევდნენ ცალკეული ფილებიდან (არქონტებს), სხვა შემთხვევებში არჩევნები ხდებოდა დემების მიხედვით. შემდეგ ყველა შემთხვევაში კენჭისყრით არჩევა ხდებოდა ფილების მიხედვით.

კენჭისყრა სწარმოებდა არჩევნებთან ერთად ტეზეის ტაძარში. კენჭს უყრიდნენ ყველას, ვისაც სურდა თავისი კანდიტატურა წამოეყენებინა, ამასთან კენჭის საყრელად ხმარობდნენ ორი ფერის პარკს — შავსა და თეთრს.

არავის შეეძლო ერთსა და იმავე დროს ორი თანამდებობა დაეკავებინა ან ორჯერ დაეკავებინა ერთი და იგივე თანამდებობა. გამონაკლისს შეადგენდა ყველა სამხედრო თანამდებობა.

ჩვეულებრივი თანამდებობითი პირების გარდა (არქონტები ამ სიტყვის ფართო გაგებით) ცალკეულ შემთხვევებში არჩევდნენ განსაკუთრებულ მზრუნველებს (ეპიმელეტებს), რომლებიც მოწოდე-

---

[1] 18—20 წლის ასაკის ჭაბუკები, რომლებიც სამხედრო სწავლას გადიოდნენ.

[2] მზრუნველები.

ბული იყვნენ შეესრულებინათ ხალხის სპეციალური დავალებანი, მაგალითად, თვალყური ედევნებინათ ნაგებობათათვის, ყოფილიყვნენ ელჩებად და სხვ. თუ ეს დავალება 30 დღეზე მეტხანს გრძელდებოდა, მზრუნველები თანამდებობის პირთა ყველა უფლებას მოიპოვებდნენ და მათგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდნენ.

2. დოკიმასია. თანამდებობაზე ხმისმიცემით ან წილის ყრით არჩეული ყველა პირი ვალდებული იყო გაევლო განსაკუთრებული შემოწმება, ეგრეთწოდებული დოკიმასია, რომელსაც უნდა გამოევლინა კანდიტატის თვისებანი და ჰქონდა თუ არა მას თანამდებობის დასაკავებლად საჭირო პირობები. დოკიმასია იყო საიმედო საშუალება, რომელიც გაბატონებულ წრეებს ყოველთვის შეეძლოთ გამოეყენებინათ იმისათვის, რომ თავიდან მოეცილებინათ მათთვის არასასურველი კანდიდატი.

არქონტები დოკიმასიას გადიოდნენ საბჭოს წინაშე და სასამართლოს წინაშე, დანარჩენი თანამდებობითი პირნი — მხოლოდ სასამართლოს წინაშე. დოკიმასია იმაში მდგომარეობდა, რომ გამოსაცდელ პირს აძლევდნენ გარკვეულ კითხვებს, რომელთა მიზანი იყო იმის დადგენა, აკმაყოფილებს თუ არა კანდიტატი მოცემული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო პირობებს (ასაკი, ცენზი, აქვს თუ არა დავალიანება სახელმწიფოს სასარგებლოდ და სხვ.), აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ გამოერკვიათ კანდიტატის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფიზიონომია (ასრულებდა თუ არა სამხედრო სამსახურს ყველა შემთხვევაში, როცა ეს საჭირო იყო, ასრულებდა თუ არა თავის საფინანსო ვალდებულებებს სახელმწიფოს სასარგებლოდ, პატივს სცემს თუ არა მშობლებს, თაყვანს სცემს თუ არა ღმერთებს და სალოცავებს, შეუძლია თუ არა მიუთითოს, სად არიან მისი ნათესავები დაკრძალულნი). თავისი ახსნა-განმარტება გამოსაცდელ პირს შეეძლო მოწმეთა ჩვენებით დაედასტურებინა.

დოკიმასია თავდებოდა ხმისმიცემით — ღია ხმისმიცემით საბჭოში და ფარულით — გელიეაში. ამრიგად, ყველა თანამდებობითი პირი თითქოს უნდა დაემტკიცებინათ თანამდებობაში ამ კოლეგიურ ორგანოებს. გარდა ამისა, თანამდებობის შედგომის წინ თანამდებობის პირნი ფიცს სდებდნენ.

3. თანამდებობათა ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის სხვა პრინციპები. ა) თანამდებობანი, როგორც წესი,

უ ს ა ს ყ ი დ ლ ო იყო. პრიტანებს, არქონტებს, მოსამართლეებსა და ბევრ სხვა პირს გასამრჯელო ეძლეოდათ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის. მაგრამ უმნიშვნელოვანესი თანამდებობა — სტრატეგის თანამდებობა — უსასყიდლო იყო. ეს მცირეშეძლებულთ საშუალებას ართმევდა დაეკავებინათ ეს თანამდებობა. გარდა ამისა, მის დასაკავებლად საჭირო იყო ცენზი — უძრავი ქონების ფლობა.

ბ) კ ო ლ ე გ ი უ რ ი თანამდებობანი სჭარბობდნენ ერთპიროვნულს. ერთპიროვნული იყო ყველაზე ძველი თანამდებობანი (არქონტი-ეპონიმი, ბაზილევსი, პოლემარქი). ერთპიროვნული თანამდებობანი წესდება აგრეთვე ათენის დემოკრატიის დაცემის წლებში (დაწყებული IV საუკ. შუახანებიდან).

კოლეგიებს ჰყავდათ თავმჯდომარე, კოლეგიის ყველა დანარჩენ წევრს პრინციპულად თანასწორი მდგომარეობა ეკავა.

გ) სხვადასხვა თანამდებობით პირთა შორის, როგორც წესი, უშუალო იერარქიული დაქვემდებარება არ იყო. მაგრამ იგი არსებობდა სამხედრო მმართველობის დარგში.

დ) ყველა თანამდებობითი პირი ა ნ გ ა რ ი შ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყო.

თვითეული პრიტანიის პირველ კრებაში ისმებოდა კითხვა, კარგად ასრულებენ თუ არა თანამდებობის პირნი თავიანთ მოვალეობას. ხდებოდა თანამდებობის პირთა ეგრეთწოდებული ეპიქეიროტონია, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ან მათი დამტკიცება თანამდებობაში, ან მათი მოხსნა და სამართალში მიცემა.

ყველა თანამდებობითს პირს სამსახურის ვადის გათავებისას უნდა ჩაებარებინა თავისი საქმიანობის ანგარიში და, უმთავრესად, ფულადი ანგარიში.

ფულად ანგარიშებს იბარებდნენ 10 ლოგისტის კოლეგია და მათი დამხმარე სინეგორთა კოლეგია, სხვა საკითხებზე ანგარიშს იბარებდა ევფინების კოლეგია. ყოველ მოქალაქეს შეეძლო აღეძრა ბრალდება თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მიეთითებინა მათ მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე.

ლოგისტების შემდეგ ანგარიშს ამოწმებდა სასამართლო, რომელსაც უკანასკნელი სიტყვა რჩებოდა ამ საქმეში. ანგარიშის დამტკიცებამდე მოქალაქე, რომელსაც თანამდებობა ეკავა, არ შეიძლე-

ბოდა სხვა თანამდებობაზე ყოფილიყო არჩეული, მას არ შეეძლო აგრეთვე სახელმწიფოს ფარგლებიდან გასულიყო და უფლება არა ჰქონდა თავისი ქონება მოეხმარა.

4. თანამდებობის პირთა განსაკუთრებული უფლებანი. ყველა თანამდებობითს პირს უფლება ჰქონდა დაედო ჯარიმა კანონით დაწესებული ოდენობით კანონებისადმი და თანამდებობის პირთა განკარგულებებისადმი დაუმორჩილებლობისათვის მათი კომპეტენციის ფარგლებში. უფრო სასტიკი სასჯელის დასადებად მათ შეეძლოთ დამნაშავენი მიეცათ ნაფიც მსაჯულთა სამართალში; სასამართლოს ამ შემთხვევებში თვითონ ისინი თავმჯდომარეობდნენ.

სამსახურებრივი თანამდებობის შესრულებისას თანამდებობის პირნი თავზე ატარებდნენ თავიანთი ხელისუფლების სიმბოლოს — ტვიას გვირგვინს. მათ ეკუთვნოდა აგრეთვე ზოგიერთი საპატიო უფლება, მაგალითად, ზვარაკის შეწირვისას საუკეთესო ნაჭრების მიღების, თეატრში საპატიო ადგილების დაკავების უფლება.

ბ. ცალკეული თანამდებობანი

5. არქონტები. უმაღლესი თანამდებობის პირნი ათენში კლისთენის რეფორმამდე (509 წ.) იყვნენ ცხრა არქონტი. შემდეგ მათ თავიანთი წინანდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს, და ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოს მმართველობაში სტრატეგების ხელში გადავიდა. არქონტების კომპეტენცია საბოლოო ანგარიშით განისაზღვრა უმთავრესად სასამართლოებში (ზოგჯერ სახალხო კრებებში) თავმჯდომარეობით და რელიგიური კულტის დარგში ზოგიერთი მოვალეობის შესრულებით. როგორც ერთიანი კოლეგია არქონტები იშვიათად გამოდიოდნენ; ისინი ერთად თავმჯდომარეობდნენ სახალხო კრებაში თანამდებობის პირთა ოსტრაკიზმისა და ეპიქეიროტონიის დროს (იხ. ზემოთ), ერთად ასრულებდნენ ზოგიერთ სამოსამართლო მოქმედებას; დანარჩენში ცალ-ცალკე მოქმედებდნენ არქონტი-ეპონიმი, ბაზილევსი, პოლემარქი და ექვსი ფესმოფეტი. არქონტებს თავდაპირველად არეოპაგი ირჩევდა; სოლონის დროს იწყეს მათი დასახელება წილის ყრით ფილების მიერ წამოყენებული 40 კანდიტატის შემადგენლობიდან; არჩევნების მოკლე ხნით აღდგენის შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა არქონტების წილის ყრით არჩევა.

პირველი არქონტი პირდაპირ არქონტად ან არქონტ—ეპონიმად იწოდებოდა. მისი სახელით აღინიშნებოდა წელი, რომლის განმავლობაშიც იგი თავის მოვალეობას ასრულებდა.

მის კომპეტენციას შეადგენდა ზოგიერთი ოჯახური საქმის წინასწარი განხილვა, რომლებსაც იგი საბოლოოდ გადასაწყვეტად სასამართლოში ჰგზავნიდა. ამას ეკუთვნოდა ისეთი საქმეები, როგორიცაა შვილების ცუდი მოპყრობა მშობლებისადმი, ცუდი მოპყრობა ობლებისადმი, ცუდი მოპყრობა მემკვიდრე ქალისადმი, მევახშეობა, მეურვეობა, დავა ქონების გაყოფის გამო, საქმეები მემკვიდრეობისა და მემკვიდრე ქალების შესახებ. არქონტს ეკისრებოდა აგრეთვე საერთო მზრუნველობა ობლებისა და ფეხმძიმე ქვრივებისათვის. ამასთან ერთად არქონტს უნდა ეზრუნა ზოგიერთი დღესასწაულის მოწყობისა და ქორეგების დანიშვნისათვის, (იხ. ქვემოთ, გვ. 261,) აგრეთვე ყველა იმ დავის გადაწყვეტისათვის, რომელიც წარმოიშობოდა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით საელჩოებისა და გუნდების წმინდა ადგილებში გაგზავნის შესახებ (კუნძულ დელოსზე და სხვაგან). დღესასწაულზე იგი ხელმძღვანელობდა შეჯიბრებასა და მსვლელობას. არქონტი თავმჯდომარეობდა სასამართლოში იმ საქმეთა განხილვისას, რომლებიც მის კომპეტენციაში შედიოდა.

მეორე არქონტი, ბ ა ზ ი ლ ე ვ ს ი, გვარისა და ტომის ბაზილევსების მემკვიდრე, ახორციელებდა რელიგიურ კულტის ზედამხედველობას. იგი განაგებდა მისტერიებს და სხვა დღესასწაულებს და ზოგიერთ დღესასწაულთან დაკავშირებულ შეჯიბრებათა მოწყობას. იგი თავმჯდომარეობდა სასამართლოს ისეთ საქმეთა განხილვისას, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კულტის შესრულებასთან, მაგალითად, ურჯულობის გამო აღძრულ საქმეებს, დავას ჭურუმობის გამო და სხვ. იგი იყო აგრეთვე აეროპაგის თავმჯდომარე.

პ ო ლ ე მ ა რ ქ ი არის თავდაპირველად სამხედრო წინამძღოლი. V საუკუნეში მისი წინანდელი სამხედრო ფუნქციებიდან მხოლოდ სუსტი კვალი დარჩა, იგი მსხვერპლს სწირავდა ომის ღვთაებათა — არტემიდა – მონადირისა და ენიალის პატივსაცემად და აწყობდა შეჯიბრებებს ომში დაღუპულთა პატივსაცემად მათ საფლავზე. დანარჩენში მისი კომპეტენცია მოიცავდა მეტეკების (იხ. § 61, პ. 2) და სხვა უცხოელების საქმეებს.

მეტეკებისათვის პოლემარქი იგივე იყო, რაც არქონტი იყო ათენის მოქალაქეთათვის: მის კომპეტენციაში შედიოდა მეტეკების ობოლთა დაცვა და მათი მემკვიდრეობის საქმეთა განხილვა. იგი განაგებდა მეტეკების მიერ მოქალაქეებთან ატეხილი დავის საქმეებს. იგი თავმჯდომარეობდა სასამართლოს, როცა განიხილავდნენ საჩივრებს იმის გამო, რომ გააზატებულმა პირებმა ყოფილი პატრონების მიმართ თავიანთი ვალდებულებანი არ შეასრულეს, იმ მეტეკების საქმეებს, რომლებიც პროსტატის მფარველობით ვერ სარგებლობდნენ (იხ. § 61, ბ. 2).

დანარჩენი ექვსი არქონტი ფ ე ს მ ო ფ ე ტ ე ბ ი ს კოლეგიას შეადგენდა. ისინი იყვნენ სასამართლოს თანამდებობითი პირნი, ისინი ნიშნავდნენ სასამართლოს სხდომების დღეებს, შეადგენდნენ მოსამართლეთა კოლეგიებს. ისინი თავმჯდომარეობდნენ ისეთ დიდმნიშვნელოვან პროცესებში, როგორიც იყო გრაფე პარანომონი, ეისანგელია (სახელმწიფო დანაშაულთა საქმეები); ისინი თავმჯდომარეობდნენ თანამდებობის პირთა დოკიმასიის დროს და სტრატეგების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვისას, აგრეთვე ბევრი სხვა „graphat" (იხ. ქვემოთ) განხილვისას, მათ დაკისრებული ჰქონდათ მოვალეობა — ყოველწლიურად შეემოწმებინათ მოქმედი კანონები და წარედგინათ სახალხო კრებისათვის წინადადებანი, რომელთა მიზანი უნდა ყოფილიყო ხარვეზებისა და წინააღმდეგობათა თავიდან აცილება ამ კანონებში.

6. სტრატეგები და სამხედრო მმართველობა. სამხედრო მმართველობას მეთაურობდა ათი სტრატეგი, რომლებმაც, მხედართუფროსთა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს თანამდებობით პირთა როლი მოიპოვეს. ყველა სტრატეგს თანასწორი მდგომარეობა ეკავა და თანაბარი უფლებები ჰქონდა. მაგრამ სახალხო კრება განსაზღვრავდა, თუ სახელდობრ რომელ სტრატეგთაგანს და რამდენს უნდა ესარდლნა ლაშქრობაში, და ხშირად ერთ სტრატეგთაგანს ავალებდა არმიის უმაღლეს სარდლობას. მოხდებოდა აგრეთვე, რომ ერთს ან რამდენიმე სტრატეგს საგანგებო წესით გადასცემდნენ მთელ ძალაუფლებას და იმის უფლებას, რომ განეგოთ სახელმწიფოს საქმეები ფართო მასშტაბით, საბჭოს და სახალხო კრების დამოუკიდებლად. ასეთები იყვნენ სტრატეგი — ავტოკრატორები.

მაგრამ შემდეგში, IV საუკუნის შუახანებიდან, ყოველ სტრატეგს თავისი კომპეტენცია ეძლეოდა, და საქმეები მათ შორის სა-

ხალხო კრების ხმის-მიცემით ნაწილდებოდა. ერთ-ერთ მათგანს გადაეცემოდა გოპლიტების (მძიმედშეიარაღებული მხედრების) სარდლობა, მეორეს — ქვეყნის დაცვა და მის ფარგლებში ომის წარმოება, ორს ნიშნავდნენ ათენის ნავსადგურ პირეიში, ერთს ნიშნავდნენ სამხედრო ხომალდთა აგების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად (ხომალდების — ტრიერების აგების მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა მდიდარ მოქალაქეებს), დანარჩენებს სხვა დანიშვნებს აძლევდნენ გარემოებათა მიხედვით. როგორც არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელები, სტრატეგები დიდ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა წარმართვაში, სდებდნენ ხელშეკრულებებს დროებითი ზავის შესახებ და სხვა ხელშეკრულებათა პროექტებს მოახსენებდნენ საბჭოსა და სახალხო კრებას. მძიმედშეიარაღებული ქვეითი ჯარის სარდლობისათვის ირჩევდნენ 10 ტაქსიარქს, ცხენოსანი ჯარის სარდლობისათვის — ორ გიპარქს და 10 ფილარხს.

7. **კოლაკრეტები, აპოდექტები და ფინანსების მმართველობა.** თანამდებობითი პირებიდან, რომლებიც ფინანსებს განაგებდნენ, პირველ ადგილზე იყვნენ კ ო ლ ა კ რ ე ტ ე ბ ი და ა პ ო დ ე ქ ტ ე ბ ი. კლისთენის რეფორმებამდე კოლაკრეტები მთელ სახელმწიფო მეურნეობას განაგებდნენ. შემდეგ, როცა აპოდექტების კოლეგია შეიქმნა, კოლაკრეტების კომპეტენცია მნიშვნელოვნად შეიკვეცა, და ისინი უკვე მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფო ხარჯს განაგებდნენ (კულტის ხარჯები, პრიტანების შესანახი, გელიპსტებისათვის ჯამაგირის გასაცემი ხარჯები). IV საუკუნეში ევკლიდის არქონტობის დროს კოლაკრატები სავსებით გაქრნენ.

აპოდექტები ათენის მთავარი ხაზინადრები იყვნენ. ისინი იღებდნენ სახელმწიფო ხაზინისათვის განკუთვნილ ყველა გადასახდელს, გარდა სასამართლოს შემოსავლისა, რაც კოლაკრეტების ხელში შედიოდა, აწარმოებდნენ შემოსავლის წიგნს და ხაზინიდან თანამდებობის პირებს აძლევდნენ ფულს მათი სამმართველო ხარჯებისათვის. ისინივე განაგებდნენ დავას გამოსაღებთა გამო. უფრო პატარა საქმეებს, 10 დრაჰამდე თანხისას, ისინი დამოუკიდებლად განიხილავდნენ, ხოლო დანარჩენ საქმეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს — გელიეას გადასცემდნენ. IV საუკუნის დამლევს მოკლე ხნით ჩნდება სახელმწიფო ხაზინადრის ერთპიროვნული თანამდებობა, და მის ხელში გადადის აღნიშნული აპოდექტების ფუნ-

ქციები. მაგრამ შემდეგ, III საუკუნეში, ერთპიროვნული ხაზინადრის ნაცვლად კვლავ კოლეგია იქმნება.

IV საუკუნის შუახანებში შეიქმნა სალარო ს ა თ ე ა ტ რ ო ფულის გასანაწილებლად, და ამ სალაროს გამგებლობა ხაზინადართა განსაკუთრებულ კოლეგიას დაეკისრა. სათეატრო ფულის გასაცემად იხმარებოდა სახელმწიფო სახსრების ნაშთები, რაც წინათ სამხედრო საჭიროებას ხმარდებოდა.

IV საუკუნის მეორე ნახევარში ამ ნაშთებს პირველ რიგში კვლავ სამხედრო საჭიროებაზე ხარჯავდნენ, რის გამო, სათეატრო სალაროს ნაცვლად, განსაკუთრებული სამხედრო სალარო შეიქმნა.

ქალაქერთ ათენას სალაროს და საგანძურებს ათენის საღვთო საგანძურთა 10 ხაზინადარი განაგებდა. ეს სალარო განსხვავდებოდა სახელმწიფო სალაროსაგან, მაგრამ იქიდან ფართოდ იღებდნენ ფულს სახელმწიფო საჭიროებისათვის სესხთა წესით. იყვნენ აგრეთვე სხვა ღმერთების ხაზინადრები, სხვა ტაძრების სიმდიდრეთა შემნახველები.

ათენის საზღვაო კავშირის შექმნის შემდეგ, მოკავშირეთაგან შესატანის გადასახდევინებლად და საკავშირო ხაზინის შესანახად, აგრეთვე იქიდან ფულის გასაცემად, ირჩევდნენ 10 ელენოტამის.

8. **სხვა თანამდებობითი პირნი.** არსებობდნენ განსაკუთრებული თანამდებობითი პირნი, ეგრეთ წოდებული პ ო ლ ე ტ ე ბ ი, რომლებიც განაგებდნენ სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო შემოსავლის იჯარით და ნარდად გაცემას, კონფისკაციაქმნილი ქონების გაყიდვას, საზოგადოებრივი სამუშაოთა საწარმოებლად საჯარო ვაჭრობის მოწყობას და სხვ.

ლ ო გ ი ს ტ ე ბ ი და ე ვ ფ ი ნ ე ბ ი იბარებდნენ თანამდებობის პირთა ანგარიშებს, ხოლო ბოროტმოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში აღძრავდნენ სასამართლო ბრალდებას.

ქუჩებში წესრიგისა და ქალაქის კეთილმოწყობის მეთვალყურეობა ეკისრებოდა ქალაქის ზედამხედველებს — ა ს ტ ი ნ ო მ ა ქ ე ბ ს. ისინივე ახორციელებდნენ მოხეტიალე მსახიობთა ზედამხედველობას და თვალყურს ადევნებდნენ ზნეობას.

ბაზრების ზედამხედველობა ბაზრის ზედამხედველების—ა გ ო რ ა ნ ო მ ე ბ ი ს ამოცანას შეადგენდა. ისინი თვალყურს ადევნებ-

დნენ ბაზარზე წესრიგის დაცვას, საბაზრო ვაჭრობას, უცხოელების მიერ სპეციალური ბაჟების შემოტანას, რაც მათ უნდა გადაეხადათ ვაჭრობის წარმოებისათვის. პურის ვაჭრობას მეთვალყურეობას უწევდნენ განსაკუთრებული თანამდებობითი პირნი — ს ი ტ ო ფ ი ლ ა კ ე ბ ი, რომლებსაც, სხვათა შორის, თვალყური უნდა ედევნებინათ პურის ნიხრის დაცვისათვის. მ ე ტ რ ო ნ ო მ ე ბ ი თვალყურს ადევნებდნენ საზომ-სასწორის სისწორეს. ნავსადგურში საბითუმო ვაჭრობის სამეთვალყურეოდ არსებობდნენ განსაკუთრებული სანავსადგურო ზედამხედველები, ხოლო გემსაშენებისათვის ზედამხედველობის გასაწევად — გემსაშენთა განსაკუთრებული ზედამხედველები.

საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობად, რომელთა საერთო მეთვალყურეობას ხუთასის საბჭო ახორციელებდა, არსებობდნენ თანამდებობის პირთა სპეციალური კომისიები; ისინი მოწოდებული იყვნენ რიგზე შეენახათ: ერთნი — საქვეყნო გზები, მეორენი — წყაროები, მესამენი — სალოცავები და სხვ.

იყვნენ თანამდებობის პირნი, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდობის სწავლებას, უმთავრესად მის სამხედრო მომზადებას. ყოველი ფილიდან ირჩევდნენ ფილის სამ წევრს 40 წლისაზე მეტი ასაკისა — ე ფ ე ბ ე ბ ი ს მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ე ბ ს (იხ. ზემოთ, § 53,1.), მათ შორის ყოველი ფილიდან ირჩევდნენ თითო ს ო ფ რ ო ნ ი ს ტ ს და, დასასრულ, ყველა ათენელიდან ეფებების სწავლების საერთო ხელმძღვანელობისათვის ირჩევდნენ ერთ კ ო ს მ ე ტ ს. ირჩევდნენ აგრეთვე ორ პ ე დ ო ტ რ ი ბ ს (ტანთვარჯიშობის მასწავლებლებს) და მასწავლებლებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ შეესწავლებინათ ეფებებისათვის სხვადასხვასახის სამხედრო ხელოვნება.

IV საუკუნის დამლევს შეიქმნა გ ი ნ ე კ ო ნ ო მ ე ბ ი ს თანამდებობა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ ქალთა ყოფაქცევისათვის და ლხინისა და კრებებისათვის, რაც იმართებოდა კერძო სახლებში სხვადასხვა შემთხვევის გამო.

დასასრულ, ცოტანი როდი იყვნენ თანამდებობითი პირნი, რომელნიც პირველ ორ არქონტთან ერთად განაგებდნენ კულტის საქმეებს. ასეთები იყვნენ სხვადასხვა მზრუნველნი (epimeletai), რომლებიც არქონტებს ეხმარებოდნენ ელევსინური მისტერიებისა და დიონისურ დღესასწაულთა მოწყობაში, აფლოფეტები, რომლებიც განაგებდნენ პანაფინების დღესასწაულებზე პროცესიების

მოწყობას და სამუსიკო და სატანთვარჯიშო შეჯიბრებათა მოწყობას, იეროპოიები, რომლებიც განაგებდნენ მსხვერპლის მიტანას და რელიგიურ კულტის სხვა მხარეებს.

§ 54. არეოპაგი

V საუკუნის შუახანებამდე არეოპაგი იყო ათენის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანო, რომელიც კონტროლს უწევდა თანამდებობის პირთა მუშაობას და სახალხო კრების მოღვაწეობას. ეფიალტის რეფორმის შემდეგ (462 წ.) არეოპაგმა დაჰკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და უმთავრესად სასამართლო დაწესებულების ფუნქციები შეინარჩუნა.

არეოპაგი შესდგებოდა არქონტებისა და იმ ყოფილი არქონტებისაგან, რომლებმაც დამაკმაყოფილებელი ანგარიში ჩააბარეს თავიანთი წლიური მოღვაწეობის შესახებ და დოკიმასია გაიარეს.

არეოპაგის წევრები მთელსიცოცხლივ ინიშნებოდნენ, მაგრამ მათ, ალბათ, ყოველწლიურად უნდა ჩაებარებინათ ანგარიში თავიანთი მოღვაწეობის შესახებ .სხდომები არეის გორაკზე იმართებოდა და, როგორც სჩანს, დახურული იყო. არეოპაგიტების სასამართალია არქონტი-ბაზილევსი თავმჯდომარეობდა.

სასამართლო საქმეებიდან არეოპაგის კომპეტენციას ეფიალტის რეფორმის შემდეგ ეკუთვნოდა მხოლოდ ისეთი საქმეები, როგორიც იყო წინასწარგანზრახული მკვლელობა, ჭრილობათა მიყენება ან დასახიჩრება სიცოცხლის მოსპობის მიზნით, ცეცხლწაკიდება და მოწამლვა, რომელსაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა.

ამასთან ერთად არეოპაგი ახორციელებდა საღვთო ზეთის ხეების ზედამხედველობას, აგრეთვე ზნეჩვეულებათა მეთვალყურეობას. სახალხო კრება მას ზოგჯერ აკისრებდა სახელმწიფო დანაშაულთა გამოძიებას, რომლის შედეგებს არეოპაგი მოახსენებდა სახალხო კრებას, რის შემდეგ საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში — გელიეაში შედიოდა.

არეოპაგის კომპეტენციამ იწყო ზრდა ქერონეასთან მომხდარი ბრძოლის (338 წ.) შემდეგ, როცა მას დაევალა გაესამართლებინა ყველა, ვინც კი სამშობლო ბედის ანაბარა მიატოვა; და ეს კომპეტენცია კიდევ უფრო გაიზარდა შემდეგ, რომის ბატონობის პერიოდში.

§ 55. გელიეა

გელიეა — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო—შესდგებოდა 6000 წევრისაგან (გელიასტისაგან), რომლებსაც კენჭისყრით ყოველწლიურად ირჩევდნენ 30 წლის ასაკმიღწეულ მოქალაქეთა რიცხვიდან, 60 კაცს თითო ფილაზე.

გელიეა იყოფოდა 10 კოლეგიად — დიკასტერიად; თვითეულ კოლეგიაში 500 წევრი შედიოდა (ჩვეულებრივ სამოსამართლო კოლეგია 501 წევრის შემადგენლობით ინიშნებოდა). ზოგ შემთხვევაში ასამართლებდნენ ნაკლები შემადგენლობის კოლეგიები, ზოგჯერ, პირიქით, ორი თუ რამდენიმე კოლეგია ერთიანდებოდა.

თავიანთი მოვალეობის შესრულებას რომ იწყებდნენ, გელიასტები საზეიმო ფიცს სდებდნენ — კანონის მიხედვით გაესამართლებინათ და თანაბრად მოესმინათ ორივე მხარის სიტყვები. იმ საქმეებს, რომლებიც ამა თუ იმ შემადგენლობას უნდა განეხილა, განსაზღვრავდნენ დილით იმ დღეს, როცა სასამართლოს სხდომა უნდა შემდგარიყო. ამას, როგორც სჩანს, იმისთვის შვრებოდნენ, რომ გაეძნელებინათ დაინტერესებულ პირთა მხრივ მოსამართლეებზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

გელიეა განიხილავდა სხვა სამოსამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებებზე შემოსულ საჩივრებს და პირველი ინსტანცია იყო მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე, მათ შორის სახელმწიფო და თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეებზე.

გელიეა ახორციელებდა აგრეთვე თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლს (თანამდებობის პირთა დოკიმასია და მათი ანგარიშების დამტკიცება).

დასასრულ, გელიეა მონაწილეობას იღებდა კანონმდებლობაშიც: როგორც დავინახეთ, მას ეკუთვნოდა სახალხო კრების დადგენილებათა საბოლოო დამტკიცების უფლება.

სხვა სამოსამართლო ორგანოებზე, მათ შემადგენლობასა და კომპეტენციაზე იხ. ქვემოთ, § 67.

თავი X

ათენის დემოკრატიის კრიზისი და დაცემა

§ 56. პირველი ოლიგარქიული გადატრიალება (411 წ.)

1. ოთხასის საბჭოს მმართველობა. 431 წელს დაიწყო პელოპონესის ომი — ათენისა და ათენის საზღვაო კავშირის ქალაქთა შინაბრძოლა სპარტასთან და ბერძნული პოლისების მეორე დიდი გაერთიანების — პელოპონესის კავშირის ქალაქებთან.

ომი დიდხანს სწარმოებდა ცვალებადი წარმატებით და ბევრ ადგილას მას თან ახლდა პარტიების გააფთრებული შინაური ბრძოლა. თავი იჩინა ათენის საზღვაო კავშირის მთელმა უმტკიცობამ. არისტოკრატები ისწრაფვიან გასწყვიტონ კავშირი ათენთან, გადავიდნენ სპარტის მხარეზე და აწყობენ აჯანყებებს, რომლებსაც სასტიკად ახშობენ ათენი და დემოკრატიის ადგილობრივი მომხრენი (მიტილენი, კორკირა).

ბრძოლა მონათმფლობელი კლასის სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის ომის დროს უკიდურესობამდე მწვავდება.

მიწათმფლობელი დიდკაცობა, ომით უკმაყოფილო, დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილი, ერთიანდება განსაკუთრებულ კავშირებად, ამხანაგობებად — „გეტერიებად", სადაც ირაზმებიან არსებული დემოკრატიული წყობილებისადმი მტრული ძალები. გადმოგვცემენ, რომ ამ გეტერიების წევრები ასეთ ფიცს სდებდნენ: „ხალხის მტერი ვიქნები და ზიანს მივაყენებ მას, რითაც კი შემიძლია"-ო.

415—413 წლებში ათენელებმა დიდი დამარცხება განიცადეს პელეპონესის ომში. მოწყობილ იქნა ლაშქრობა სიცილიის ნაპირებისაკენ, რომელიც პელოპონესს პურით ამარაგებდა და სადაც მდებარეობდა სპარტისადმი მეგობრულად განწყობილი ბერძენთა კოლონიები. ფლოტმა გადამწყვეტი დამარცხება განიცადა, ათენელები ხმელეთზეც დამარცხდნენ. დამარცხებას თან სდევდა დიდძალი მსხვერპლი, ფლოტის დიდი ზარალი, დიდძალი ფულადი და მატერიალური რესურსების დაღუპვა.

სიცილიის ექსპედიციის განადგურება ათენის დემოკრატიის მარცხი იყო. ამიტომ მისი მტრები თავს წამოჰყოფენ, შეტევაზე გადადიან, და სიცილიის კატასტროფას შედეგად მოჰყვა ოლიგარქიული გადატრიალება ათენში, რაც მოხდა 411 წელს. შეიქმნა 13

პირისაგან შემდგარი კომისია ახალი კონსტიტუციის შესადგენად. დანიშნული ვადისათვის კომისიას კონსტიტუციის არავითარი პროექტი არ შეუდგენია, სახელმწიფოს ახალი წესწყობილების არავითარი ახალი პროექტი არ წარმოუდგენია, კომისიის წევრებმა მოითხოვეს მხოლოდ გაეუქმებინათ ათენში არსებული აკრძალვა— წამოყენებული ყოფილიყო საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ მიმართული წინადადებანი. ამან შესაძლებელი გახადა გაეუქმებინათ მეტწილი არსებული თანამდებობანი, შეეწყვიტათ ჯამაგირის ყოველგვარი გაცემა და სხვა თანხების გაცემა და შეექმნათ სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანო — ოთხასის საბჭო, რომლის ხელშიც გადავიდა ათენის დემოკრატიის ყველა წინათ არსებული ორგანოს უფლებამოსილობა.

ოთხასის საბჭო დესპოტურად, ტერორის მეთოდებით მართავდა; დაიწყო დაპატიმრებანი, სიკვდილით დასჯა, ქონების კონფისკაცია. ოთხასის საბჭოს საქმიანობას არავითარი კონტროლი არ ეწეოდა, და მისი უფლებამოსილობის ფარგლები არავითარი კანონით არ ყოფილა განსაზღვრული: გადატრიალება იმან გააადვილა, რომ მეზღვაურები — დემოკრატიის დასაყრდენი — ომში იყვნენ, ხოლო ხალხის წინამძღოლები, დემოსის წინამძღოლები, მასების მოთხოვნებით დაშინებულნი, შემწყნარებლურად მოეკიდნენ დემოკრატიის მტრების გამოსვლებს და არ მოაწყეს საკმაო წინააღმდეგობა.

მაგრამ ოლიგარქიულმა წყობილებამ ათენში დიდხანს ვერ გასძლო, სულ ოთხ თვემდე იარსება. თავი იჩინა უკმაყოფილებამ არმიაში. ამავე დროს ოლიგარქიული მთავრობის მომხრეთა რიგებში ხდება გათიშვა: გამოიყოფა ზომიერთა ჯგუფი ფერამენის მეთაურობით; ეს ჯგუფი მხარს უჭერს ცენზიან დემოკრატიას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს საშუალო წრეები და მიიზიდოს შეძლებული გლეხობის სიმპატიები.

ოთხასის მთავრობის საგარეო პოლიტიკა მარცხიანი იყო: მთავრობამ ავტონომია მიანიჭა ცალკეულ მოკავშირე ქალაქებს, მაგრამ ამ ქალაქებმა ავტონომიის გამოყენება იწყეს იმისათვის, რომ ათენთან დადებული კავშირიდან გასულიყვნენ და სპარტას დაკავშირებოდნენ.

2. ფერამენის კონსტიტუცია. სამხედრო დამარცხებათა და მოკავშირე ევბეის ჩამოშორების შედეგად ოთხასის მთავრობა დამხობილ იქნა და სახალხო კრებამ ფერამენის კონსტიტუცია მიიღო.

ამ კონსტიტუციით პოლიტიკური უფლებები ეძლეოდა ათენის ხუთ ათას ყველაზე უფრო შეძლებულ მოქალაქეს. გასამრჯელო, რაც ეძლეოდათ თანამდებობათა დაკავებისა და საზოგადოებრივ ვალდებულთა შესრულებისათვის, უქმდებოდა. ამრიგად, ფერამენის კონსტიტუცია ცენზიანი ზომიერი დემოკრატია იყო. „მე ვგმობ,—ამბობდა ფერამენი,—იმ უკიდურესი სახის დემოკრატიას, სადაც საქმე იქამდე მიდის, რომ მონები და სხვა ღარიბი მოქალაქენი, რომლებიც მზად არიან სამშობლო ერთ დრაჰმად გაჰყიდონ, მონაწილეობას იღებენ მმართველობაში, მაგრამ წინააღმდეგი ვარ აგრეთვე ოლიგარქიის, რომელშიც თითო-ოროლა ძლიერი ადამიანები ავიწროებენ დანარჩენ მოქალაქეებს. მე ყოველთვის მიმაჩნდა საუკეთესოდ ის წესწყობილება, სადაც სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან მხედრები და მძიმედშეიარაღებული ქვეითი ჯარი (გოპლიტები).“

ფერამენის კონსტიტუციით, ალბათ, ოთხასის საბჭოს ნაცვლად აღდგენილ იქნა ხუთასის საბჭო. ისტორიკოსი ფუკიდიდე იუწყება, რომ, შეუქმნიათ ნომოფეტების კომისია, რომელსაც წინასწარ უნდა განეხილა ყველა საკანონმდებლო წინადადებანი არსებულ კანონებთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით. ფუკიდიდე, რომელიც ამ კონსტიტუციის თაყვანისმცემელია, მას „ოლიგარქიული და დემოკრატიული ელემენტების გონივრულ შეზავებას“ უწოდებს.

მაგრამ ფერამენის მიერ შემოთავაზებულ სახელმწიფო წესწყობილებას მტკიცე სოციალური ნიადაგი არ გააჩნდა, რადგან „საშუალო“ კლასი, რომელიც სოლონის დროს არსებობდა, უკვე ფენებად დაიყო, და მას სახელმწიფოში გავლენა არა ჰქონდა. ქონებრივი დაპირისპირებანი მწვავდებოდა, და ათენის საზოგადოებაში თავს იჩენდა, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი მდიდარი მონათმფლობელებისა და, მეორე მხრივ, გაჩანაგებული გლეხობის და დაქცევის გზაზე შემდგარი ხელოსნების მასის ინტერესთა მკვეთრი წინააღმდეგობა.

3. დემოკრატიის აღდგენა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ძალიან მალე დადგა „ზომიერი“ კონსტიტუციის დასასრული და აღდგენილ იქნა დემოკრატია. დაიწყო სამოსამართლო დევნა ოთხასის მთავრობის წევრებისა და იმათი, ვისაც ამ მთავრობის დროს სახელმწიფო თანამდებობანი ეკავა. ძირითადად აღდგენილ იქნა ის კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიულ ათენში არსებობდა, შე-

მოიღეს მხოლოდ ზოგიერთი არაარსებითი ცვლილებანი, შეინარჩუნეს ნომოფეტების კომისია, მაგრამ მისი წევრების სახელწოდება სინგრაფეების სახელწოდებით შესცვალეს.

რადგან ოლიგარქიის აღდგენისა ეშინოდათ, მიიღეს დემოფანტის წინადადება, რომ ყველა, ვინც კი მონაწილეობას მიიღებს დემოკრატიის მოსპობაში ან დაიკავებს თანამდებობას მისი მოსპობის შემდეგ, ათენელთა მტრად ცხადდება და სიკვდილით დაისჯება, ხოლო მისი ქონება კონფისკაციაქმნილი იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ. დადგენილ იქნა, რომ დემოკრატიის მტრის მკვლელი უდანაშაულოდ იქნება მიჩნეული და მოკლულის ქონების ნახევარსაც კი მიიღებს. უცხოელს, რომელმაც მოჰკლა დემოკრატიის მტერი ფრინიქი, ათენის მოქალაქეობის უფლებები მიანიჭეს.

აღდგენილ იქნა ათენის დემოკრატიის სასამართლოს წევრებისა და თანამდებობის პირთათვის გასამრჯელოს მიცემა. გარდა ამისა, დაიწყეს სადღე-ღამისო ულუფის მიცემა ხელმოკლე მოქალაქეებისათვის დღეში ორი ობოლოს ოდენობით (შემდეგში გადიდებულ იქნა სამ ობოლამდე).

§ 57. მეორე ოლიგარქიული გადატრიალება (404 წ.) ოცდაათის მმართველობა

საომარი ამბების მსვლელობას, ათენის ცალკეულ გამარჯვებათა მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით შედეგად მოჰყვა მისი დამარცხება, რასაც ხელი შეუწყო სპარსეთის მეფის მიერ სპარტისათვის აღმოჩენილმა დახმარებამ. 405 წელს განადგურებულ იქნა ათენის ფლოტი, და მოხდა ათენის საბოლოო კაპიტულაცია.

ათენის დამარცხებას პელოპონესის ომში შედეგად მოჰყვა მეორე ოლიგარქიული გადატრიალება (404 წ.), რომელიც ბევრ რამეში მოგვაგონებს პირველ გადატრიალებას. ამჯერად დემოკრატიის მტრების საქმე გააადვილა იმან, რომ ისინი სპარტის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. სპარტის მთავრობა უგულებელჰყოფდა ათენის დემოკრატიას და მოლაპარაკებას აწარმოებდა რეაქციული კლუბების წევრებთან.

გადატრიალება იმით დაიწყო, რომ რეაქციულმა კლუბებმა (გეტერიებმა) თავიანთი წრიდან გამოჰყვეს ხუთი ეფორისაგან შემდგარი კომისია. შემდეგ არჩეულ იქნა კომისია ახალი სახელმწიფო წყობილების შესახებ კანონების გამოსაცემად. ისევე, როგორც

პირველი ოლიგარქიული გადატრიალების დროს იყო, ამ კომისიას არავითარი ახალი კონსტიტუცია არ შეუმუშავებია. მისმა წევრებმა მთელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და იწყეს ქვეყნის მართვა როგორც სახელმწიფოს უზენაესმა ორგანომ. პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ათას ყველაზე მდიდარ მოქალაქეს მიენიჭა, ამ ათასიდან შეარჩიეს ხუთასი კაცი და ამნაირად შეადგინეს ხუთასის ახალი საბჭო. სახალხო სასამართლო — გელიეა, დემოკრატიის ეს დასაყრდენი, მოსპობილ იქნა, და სამოსამართლო ფუნქციები მთლიანად ხუთასის საბჭოს გადაეცა.

როგორც არისტოტელე იუწყება, ოცდაათის მმართველობა პირველ ხანებში ზომიერებას იჩენდა მოქალაქეთა მიმართ, მაგრამ როცა მმართველებმა თავიანთი ძალაუფლება განამტკიცეს, „ისინი აღარ ინდობდნენ არც ერთ მოქალაქეს, ჰკლავდნენ ყველას, ვინც კი გამოირჩეოდა ქონებრივი მდგომარეობით ან წარმოშობით ან სარგებლობდა პატივისცემით. ასე იქცეოდნენ ისინი და ამგვარად ცდილობდნენ შეუმჩნევლად მოეცილებინათ საშიში ელემენტები და დაეტაცათ მათი ქონება“ („ათენის პოლიტია“, 35, 3). ამრიგად, ოცდაათი ტირანი ტეროორისტულად მართავდა: დაპატიმრება, ქონების კონფისკაცია, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. რეაქციონერების ბელადი კრიტი უტიფრად ამბობდა: „ჩვენ კაპიტალი გვინდა შევიძინოთ“. საკუთარი უშიშროების მიზნით ოცდაათის მმართველობამ დახმარებისათვის სპარტას მიმართა, რომელმაც მისცა გარნიზონი, რაც მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვდა. ამან გააძლიერა მისწრაფება ედევნათ მდიდარი მეტეკები, განურჩევლად მოეხდინათ ქონების კონფისკაცია.

ძალიან მალე დაიწყო ოცდაათის მმართველობისათვის წინააღმდეგობის გაწევა როგორც დემოკრატიულად განწყობილი ფართო მასების მხრივ, ისე ოლიგარქიული პარტიის ზომიერი წრეების მხრივ. დემოკრატიის მტრებს შორის გათიშვა იწყება. ფერამენი ამჯერადაც გამოდის ზომიერთა ხელმძღვანელად ოცდაათის მთავრობის წევრთა შორის. იგი საშუალო კლასის ინტერესებს იცავს და ისწრაფვის დაამყაროს ცენზიანი ზომიერი დემოკრატია. მისი გამოსვლა მარცხით თავდება. ოლიგარხიის უკიდურესი მომხრეები მიაღწევენ იმას, რომ ფერამენს სიკვდილით დასჯიან. მაგრამ შემდეგში ოლიგარქიული მთავრობა დემოკრატიის მომხრეთა გადამწყვეტი შემოტევის წინაშე აღმოჩნდა. ათენიდან გაქცეულმა ოცდაათის მთავრობის მოწინააღმდეგეებმა შეიარაღებული რაზმები შეა-

დგინეს და იწყეს შეტევა ათენზე. ოცდაათი ტირანი და მათი მოშ-ხრენი იძულებული გახდნენ ელევსინს გაქცეულიყვნენ. პირეიში დემოკრატია განმტკიცდა, ხოლო ათენში ბატონობა ზომიერთა ხელში გადავიდა. სპარტის შუამავლობამ ბოლო მოუღო პარტიე-ბის ამ შეიარაღებულ ბრძოლას, რის შედეგადაც ათენში აღდგე-ნილ იქნა იქ დიდი ხნიდან არსებული დემოკრატია.

§ 58. ათენის დემოკრატიის დაცემა

პელოპონესის ომის შედეგად ათენის ხაზინა დაცალიერდა. ათენი იძულებული იყო სპარტისათვის დიდძალი სამხედრო კონ-ტრიბუცია გადაეხადა. ათენის დამარცხებას შედეგად მოჰყვა აგრე-თვე ათენის საზღვაო კავშირის მოსპობა, ეს კი სახელმწიფო შემო-სავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი წყაროს დაკარგვას ნიშნავდა. ომით გაჩანაგებული გლეხობა მძიმე აგრარულმა კრიზისმა მოი-ცვა; დაეცა ათენის ვაჭრობა, დაიმსხვრა ათენის საზღვაო ძლიე-რება. ჰეგემონია სპარტის ხელში გადავიდა, რომელიც ყველგან ამ-კვიდრებს ოლიგარქიულ წყობილებას და მის დასაცავად ბევრ ადგილას თავის გარნიზონებს აყენებს.

ათენმა მხოლოდ 378/377 წელს შესძლო აღედგინა ათენის საზღვაო კავშირი. მაგრამ ახალი კავშირი არსებითად განსხვავდე-ბოდა წინანდელისაგან: ათენი ამ კავშირში აღარ თამაშობდა იმ როლს, რომელიც მას წინათ ეკუთვნოდა. ათენს ახლა არ შეეძლო საკუთარი საჭიროებისათვის დაეხარჯა მოკავშირე ქალაქებისაგან შემოსული სახსრები. მოკავშირენი იხდიდნენ არა ფეროსს, არამედ სინტაქსისს, რაც ფსონს ნიშნავდა. კავშირის საქმეებს მართავდა სა-კავშირო საბჭო, რომელიც კავშირში შემავალი ყველა ქალაქის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. მართალია, საკავშირო საბ-ჭოს გადაწყვეტილებანი ათენის ორგანოების (ხუთასის საბჭოს და სახალხო კრების) დასამტკიცებლად შედიოდა, მაგრამ ეს არ გავდა იმ სრულიად უუფლებო მდგომარეობას, რომელიც „მოკავშირეთა“ ხვედრს შეადგენდა წინანდელ საზღვაო კავშირში. ამასთან ერთად დასტურდებოდა კავშირის ყოველი წევრის უფლება — დაემყარე-ბინა შინ ყოველგვარი სახელმწიფო წესწყობილება, და იკრძალე-ბოდა სხვა ქალაქების ყოველგვარი ჩარევა მის საშინაო საქმეებში; იკრძალებოდა აგრეთვე გარნიზონების ჩაყენება ან მმართველთა დანიშვნა მოკავშირეთა ქალაქებში. ათენს, აგრეთვე ათენის მოქა-

ლაქეებს ეკრძალებოდათ შეეძინათ მოკავშირეთა ტერიტორიაზე სახლები ან მიწის ნაკვეთები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ათენი ახლა მოკავშირე ქალაქების ტერიტორიაზე ვეღარ შექმნიდა თავის მოქალაქეთა ახალშენებს — კლერუქიებს.

საზღვაო კავშირის აღდგენის მიუხედავად, ათენი დაქვეითების მდგომარეობაში რჩება. ათენის საზოგადოებას IV საუკუნეში მწვავე კრიზისი მოიცავს. ატიკის მოსახლეობა აკლებულია ხანგრძლივი ომებით, ხოლო ათენის სალაროს სახსრების სიმცირე ხელს უშლის ფულის წინანდელი დარიგების და ქალაქის ღარიბლატაკთა დახმარების წინანდელი პოლიტიკის განხორციელებას. იმათი რიცხვი, ვინც სახელმწიფო ულუფას საჭიროებს, განუწყვეტლივ იზრდება, ათენის ხაზინას კი არ ძალუძს დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნები. გლეხობას მწვავე აგრარული კრიზისი ახრჩობს. გლეხები ჩანაგდებიან, თავს ანებებენ თავიანთი მიწის ნაკვეთებს, ჰყიდიან მათ სპეკულანტ-მევახშეებზე, ხდება მონათმფლობელური საზოგადოების ყველა წინააღმდეგობის გამწვავება. არნახული სიმკვეთრით იჩენს თავს სიმდიდრისა და სიღარიბის დაპირისპირება, ერთთა ფუფუნება და აღვირახსნილი მისწრაფება გამორჩობისა იზრდება მეორეთა გაღატაკებისა და დაქცევის გვერდით. ფილოსოფოსი პლატონი ამბობს — ქალაქი თითქოს ორი ქალაქისაგან შესდგება — მდიდართა ქალაქისაგან და ღარიბთა ქალაქისაგან, სწარმოებს ყველას ომი ყველას წინააღმდეგო.

§ 59. მაკედონიის მონარქია და ბერძენთა პოლისების აღსასრული

ხანგრძლივი ბრძოლით დასუსტებული ბერძნული ქალაქები IV საუკუნის მეორე ნახევარში აწყდებიან ახალ საშიშროებას: აღმავლობის გზით მიდის და ძალას იძენს ბერძნული ტომებით დასახლებულ ქვეყანათა შორის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა — მაკედონია. IV საუკუნეში აქ იწყებს განვითარებას ფულადი მეურნეობა და მონათმფლობელური სისტემა, და მანამდე ცოტა ხნით ადრე გაერთიანებული მაკედონია ამჟღავნებს მისწრაფებას — გაფართოოს სახელმწიფოს საზღვრები როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით. ათენში იქმნება პარტია, რომელიც თანაუგრძნობს მაკედონიას და მზად არის სცნოს მაკედონიის მეფის ჰეგემონია ბერძენთა სამყაროში. ამ პარტიას ეკედლებიან უმთავრესად მონათ-

მფლობელი კლასის რეაქციული წრეები. ათენის დემოკრატიის დამცველნი დემოსთენის მეთაურობით ჰქმნიან მაკედონელთა განზრახვებისადმი მტრულ, ანტიმაკედონურ პარტიას, რომელიც ქადაგებს მაკედონელთა მოძალებისადმი წინააღმდეგობის მოწყობას და ამოცანად ისახავს დაიცვას ათენის დამოუკიდებლობა და ათენის დემოკრატიული წყობილება მაკედონიის მეფის შესაძლო ხელყოფისაგან.

338 წელს ქერონეასთან მომხდარ ბრძოლაში ბერძენთა ჯარები დაამარცხა მაკედონიის არმიამ, და ამით დასაბამი მიეცა მაკედონიის მონარქიის ბატონობას მთელ ელადაზე.

მაკედონიის მეფე ალექსანდრეს მიერ აღმოსავლეთისაკენ 334 წელს დაწყებულ გრანდიოზულ ლაშქრობებს შედეგად მოჰყვა სპარსეთის მონარქიის დამორჩილება და უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობა, რომლებიც ეკუთვნოდა როგორც სპარსეთს, ისე სპარსეთის მეზობელ მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებს. შეიქმნა ვეებერთელა მაკედონიის მონარქია, რომელმაც თავის შემადგენლობაში გააერთიანა თითქმის მთელი მაშინდელი კულტურული სამყარო. ათენის სახელმწიფომ ამიერიდან შესწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა. მისი ტერიტორია შედის ჯერ ალექსანდრეს იმპერიის შემადგენლობაში, შემდეგ ერთ-ერთ იმ სახელმწიფოთაგანის შემადგენლობაში, რომლებიც წარმოიშვნენ ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შედეგად, და, დასასრულ, ათენის ტერიტორია (ატიკა) ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში, რომის მიერ განხორციელებულ დაპყრობათა შედეგად, რომის პროვინციის ნაწილი ხდება.

კრიზისი, რასაც საბერძნეთის მონათმფლობელური საზოგადოება განიცდიდა, იმით დაბოლოვდა, რომ შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებით დასუსტებული საზოგადოება დაიპყრო მეორე, უფრო ძლიერმა მონათმფლობელურმა საზოგადოებამ. ენგელსი ამბობს: „იქ, სადაც მონობა წარმოების გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, იქ შრომა ხდება მონურ საქმიანობად, ე. ი. ისეთ რამედ, რაც სახელს უტეხს თავისუფალ ადამიანებს. ამის მეოხებით იკეტება გამოსავალი წარმოების ამგვარი წესიდან იმ დროს, როცა, მეორე მხრივ, საჭიროა მისი მოსპობა, ვინაიდან წარმოების განვითარებისათვის მონობა დაბრკოლებას წარმოადგენს. მონობაზე დაფუძნებული ყოველი წარმოება და მასზე დამყარებული ყოველი საზოგადოება იღუპება ამ წინააღმდეგობის გამო. იგი უმეტეს შემ-

თხვევებში გადაიჭრება იმით, რომ დაღუპვის პროცესში მყოფ საზოგადოებას ძალდატანებით იმორჩილებს მეორე, უფრო ძლიერი საზოგადოება (საბერძნეთი დაიმორჩილა მაკედონიამ, შემდეგ კი რომმა). მანამდე, სანამ ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, მონურ შრომას ეფუძნებიან, მხოლოდ ცენტრის გადანაცვლება ხდება, და მთელი პროცესი უფრო მაღალ საფეხურზე მეორდება, ვიდრე, დასასრულ, რომი არ დაიპყრო ხალხმა, რომელმაც მონობის ნაცვლად წარმოების ახალი წესი შემოიღო"[1].

თავი XI

ათენის სამართალი

§ 60. სამართლის წყაროები

ათენის სამართლის უძველეს წყაროს ა დ ა თ ი* წარმოადგენს. არეოპაგი თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა ძველებური ადათებით, — პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მომდინარე ადათებს შეუგუებდა კლასობრივი საზოგადოების პირობებს თავისი ახსნა-განმარტების (exegetai) საშუალებით.

621 წელს არქონტმა დრაკონტმა პირველად გამოსცა კ ა ნ ო ნ ე ბ ი. სამართლის ეს პირველი დაწერილი ნორმები, როგორც სჩანს, სხვა არა იყო რა, თუ არა ადათების ჩანაწერი, როგორც ეს ადათები სასამართლო პრაქტიკით გამოიხატა, რის გამო დრაკონტს წყაროებში ფესმოფეტი ეწოდება, სოლონისაგან განსხვავებით, რომელსაც კანონმდებელი ეწოდება (nomothetes).

სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ გვაროვნული წყობილების ძველ ადათებს ამახინჯებენ და გარდაქმნიან გაბატონებული კლასის ინტერესთა შესაბამისად. სასამართლო მესაკუთრეთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მათთვის სასურველ შინაარსს სდებდა გვაროვნული საზოგადოების ძველ ადათთა ადგილას აღმოცენებული ახალი „საადათო" სამართლის ნორმებში. დაწერილი სამართლის უქონლობა შესაძლებლობას ჰქმნის ევპატრიდების უალრესად ფართო თვითნებობისათვის. დრაკონტის კანონები, შესაძლოა, ქალაქის წრეების როლის გაძლიერების შედეგი იყო; ეს წრეები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, შექმნილი ყოფილიყო წერილო-

---

[1] Э н г е л ь с, Диалектика природы (М а р к с и Э н г е л ь с, соч., т. XIV, стр. 450).

* იხ. ჩვენი შენიშვნა გვ. 47. ქართ. თარგმ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს შენიშვნა.

ბითი სამართალი, რომელიც შესძლებდა რამდენადმე მაინც შეეზღუდა ევპატრიდების თვითნებობა, რომლებიც სამართალს თავის მონოპოლიად რაცხდნენ. ამ კანონებს ჩვენამდე არ მოუღწევია, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მკვლელობას ეხება. პლუტარქი იუწყება, რომ დრაკონტის კანონები განთქმული იყვნენ თავისი სისასტიკით. იგი ამბობს: „ამ კანონებით თითქმის ყველა დამნაშავისათვის დანიშნული იყო ერთი სასჯელი — სიკვდილი, ასე რომ უქმად ყოფნაში ბრალდებულსაც სიკვდილით სჯიდნენ, ბოსტნეულის თუ ხილის ქურდობაში დაჭერილებსაც მკრეხელებისა და მკვლელების თანაბრად სჯიდნენ. ამიტომ დემადი[1] შემდეგ ამბობდა, დრაკონტმა თავისი კანონები სისხლით დასწერა, და არა მელნითო“ (სოლონი, 17).

სინამდვილეში კი დრაკონტის კანონებით, რამდენადაც ჩვენ ვიცით, გარდა სიკვდილით დასჯისა, სხვა სასჯელიც იყო დაწესებული, მაგალითად, დაჯარიმება (რაც ხარებით გამოიანგარიშებოდა), პატივის აყრა. გარდა ამისა, დრაკონტმა დაადგინა განსხვავება განზრახულ და განუზრახველ მკვლელობას შორის. განუზრახველი მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავეს შეეძლო სიკვდილით დასჯისათვის თავი დაეღწია საზღვარგარეთ გადახვეწით ან მოკლულის ნათესავებისაგან საზღაურით თავის გამოსყიდვით. განუზრახველი მკვლელობის საქმეთა განსახილველად დრაკონტს შეუქმნია ე ფ ე ტ ე ბ ი ს განსაკუთრებული კოლეგია (იხ. § 67,1, ბ), მაშინ როცა განზრახულ მკვლელობათა საქმეები არეოპაგში ირჩეოდა.

VI საუკუნის დამდეგს ათენში ფართო კანონმდებლობა განახორციელა სოლონმა. ეს კანონები დაწერილი იყო 16 კირბაზე — თეთრად შეღებილ მბრუნავ ხის დაფებზე. ჩვენამდე ამ კანონებსაც არ მოუღწევია. ის, რაც ცნობილია სოლონის კანონების შესახებ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სოლონი ითვალისწინებდა განმტკიცების პროცესში მყოფი კერძო საკუთრების ინტერესებს და თავისი კანონებით ხელს უწყობდა ხელობისა და ვაჭრობის განვითარებას ათენში. ასე, სოლონმა პირველმა დაუშვა ანდერძის დატოვება იმათთვის, ვისაც კანონიერი ვაჟიშვილები არა ჰყავდა, მან დაუშვა აგრეთვე ბოძება შემდეგი საგულისხმო დათქმით: „უკეთუ არ მოქმედებდა ავადმყოფობის მდგომარეობაში, არ ყო-

[1] ბერძენი ორატორი IV საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ფილა სამსალათი მოჯადოებული, არ ყოფილა ბორკილებგაყრილი ან არ ყოფილა იძულებული, ანდა არ იმყოფებოდა ქალის გავლენაში". მან შემოიღო ახალი მონეტა: ეგეოსურის ნაცვლად ევბეისა, ასე რომ ვერცხლის იმავე რაოდენობიდან, რომლისაგან წინათ 73 დრაჰმა თანხის მონეტებს სჭრიდნენ, ახლა 100 დრაჰმის მონეტებს აკეთებდნენ. სოლონმა ნება დართო ქვეყნის მოსავლიდან უცხოელებისათვის მხოლოდ ზეთის ხილი მიეყიდნათ, სოფლის მეურნეობის ყველა დანარჩენი პროდუქტის საზღვარგარეთ გატანა აკრძალა. სოლონი თავისი კანონებით მფარველობას უწევდა ხელობის განვითარებას. მან დააწესა, რომ ვაჟიშვილი ვალდებული არ არის არჩინოს მამა, თუ მამას მისთვის არავითარი ხელობა არ უსწავლებია. არეოპაგს მან დაავალა თვალყური ედევნებინა იმისათვის, თუ ვინ საიდან იღებს არსებობის საშუალებას, და დაესაჯა ისინი, ვინც არავითარ მოსაქმეობას არ ეწევა.

V — IV საუკუნეებში კანონები სამართლის მთავარი წყარო ხდება ათენში. კანონებად ითვლება სახალხო კრებების დადგენილებანი, რომლებიც რაიმე ზოგად დებულებებს შეიცავენ. მათგან განსხვავდება ფ ს ე ფ ი ზ მ ე ბ ი, რომლებიც რომელიმე ცალკე პირებს, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებსა და საგნებს ეხება.

საერთოდ ბერძენთა სახელმწიფოების და განსაკუთრებით ათენის საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ამ პერიოდს (VI—IV საუკ.) განეკუთვნება, მეტწილად არ მოულწევია ჩვენამდე. მაგრამ დიდძალ დოკუმენტალურ მასალაში, რაც მეცნიერებას მოეპოვება (ლითონებისა და ქვების წარწერები), ცოტა როდია ისეთი დოკუმენტები, რომლებსაც იურიდიული შინაარსი აქვთ: კანონთა, სხვადასხვა დადგენილებათა ტექსტები, აქტები, გარიგებანი და სხვ.

უძველესი საკანონმდებლო ძეგლებიდან ჩვენამდე მთლიანად მოაღწია ქალაქ გორტინის კანონებმა, ეგრეთ წოდებულმა „გორტინის კანონებმა" ანუ „გორტინის სამართალმა". ეს კანონები, როგორც სჩანს, V საუკუნეს განეკუთვნება და ყოველმხრივ აწესრიგებენ კრეტოს კუნძულზე მდებარე ერთ-ერთი ქალაქის ცხოვრებას. ჩვენ ვერ შევჩერდებით მათს განხილვაზე, რადგან ჩვენს ამოცანას ვფარგლავთ საბერძნეთის ორი სახელმწიფოს — სპარტისა და ათენის სამართლის შესწავლით.

ძველ-ბერძნულ სამართლის შესახებ ჩვენი ცოდნის წყაროს, გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტალური მასალისა, წარმოადგენს აგრეთვე ცნობები, რომლებიც მოეპოვება სხვადასხვა ბერძენ მწე-

რალს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორატორების — დემოსთენის, ლისიუსის, ისოკრატის, ესქინის და სხვათა თხზულებანი (სიტყვები). დიდმნიშვნელოვან, თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს ბერძნული სამართლის შესახებ შეიცავს აგრეთვე ფილოსოფოსების — პლატონის, არისტოტელეს, ტეოფრასტის თხზულებანი, აგრეთვე ისტორიკოსების — ჰეროდოტეს, ფუკიდიდის, ქსენოფანტის, პლუტარქის, პოლიბის და სხვათა თხზულებანი. ბერძნულ სამართალზე მცირე ცნობებს როდი იძლევიან მერმინდელი ბერძენი მწერლები (II—IV საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვიდან), რომლებიც ადგენდნენ სიტყვარებს (ლექსიკონებს), კრებულებს და სხვ. (გარპოკრატიონი, პოლიდევკი, ფოტი, სვიდა და სხვ.).

§ 61. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა

ათენის საზოგადოების ძირითადი კლასები იყვნენ მონები და თავისუფალი მოქალაქენი. თავისუფალნი იყოფოდნენ სრულუფლებიან მოქალაქეებად და უფლებაშეზღუდულ მეტეკებად (უცხოელები). მეტეკებთან გათანაბრებული იყვნენ აგრეთვე გაზატებულნი.

1. მოქალაქენი. ათენის მოქალაქეთა უფლებებით მხოლოდ ის პირნი სარგებლობდნენ, რომელთა როგორც მამა, ისე დედა ათენის მოქალაქენი იყვნენ. თვრამეტი წლის ასაკის მიღწევისას ისინი ჩაირიცხებოდნენ დემის წევრების — დემოტების სიებში.

ჩარიცხვა ხდებოდა დემოტების საერთო კრებაზე, სადაც დოკიმასიის საშუალებით ამოწმებდნენ, მიაღწია თუ არა პრეტენდენტმა დაწესებულ ასაკს და მართლაც წარმოსდგება იგი თავისუფალი ათენელებისაგან და კანონიერი ქორწინების შედეგად დაიბადა თუ არა, ჩარიცხვაზე უარისთქმისას მას უფლება ენიჭებოდა გაესაჩივრებინა ეს დადგენილება სასამართლოში, და თუ სასამართლო დაადასტურებდა იმ დადგენილების სისწორეს, რომელიც მას არათავისუფალ პირად სცნობდა და ამ საბუთით უარჰყოფდა მის თხოვნას, მას მონად გაჰყიდდნენ. ხოლო თუ იგი სასამართლოში საქმეს მოიგებდა, იგი უნდა ჩაერიცხათ მოქალაქეთა სიებში.

ათენის მოქალაქენი სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით, ე. ი. სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლებით, უფლებით —არჩეული ყოფილიყვნენ სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის

ხუთასის საბჭოს წევრის თანამდებობაზე, აგრეთვე სამოსამართლო თანამდებობებზე. ათენის მოქალაქეობა იძლეოდა აგრეთვე უფლებას — მიეღოთ სხვადასხვაგვარი დახმარება სახელმწიფოსაგან, წილი რგებოდათ იმ საშუალებებიდან, რომლებსაც სახელმწიფო არიგებდა ხოლმე. სამოქალაქო უფლებათა ერთობლიობა შეადგენდა მოქალაქის ღირსებას (time) ცალკეული მოქალაქენი შეიძლებოდა შეზღუდულნი ყოფილიყვნენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებში სასამართლოს განაჩენით სხვადასხვა დანაშაულისათვის, ე. ი. შეიძლებოდა ღირსებაახდილნი ყოფილიყვნენ (atimia).

თვალსაჩინო დამსახურებისათვის ზოგიერთ მოქალაქეს სახალხო კრების დადგენილებით ეძლეოდა განსაკუთრებული შეღავათები და საპატიო უფლებები, როგორიც იყო, მაგალითად, ლიტურგიებისაგან (იხ. ქვემოთ) განთავისუფლება, საპატიო ადგილების დათმობა დღესასწაულებსა და კრებებზე, საპატიო გვირგვინის ტარების უფლება და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეს აჯილდოებდნენ სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ერთჯერადი თუ მუდმივი გამასპინძლებით ხუთასის საბჭოს შენობაში.

მოქალაქენი თვრამეტი წლიდან სამოცი წლის ასაკამდე სამხედრო ვალდებულებად ითვლებოდნენ; ომის შემთხვევაში მათ გარკვეული წესით არმიაში გაიწვევდნენ. სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალი იყვნენ ხუთასის საბჭოს წევრები, თანამდებობის პირნი და, გარდა ამისა, გემთპატრონნი და სახელმწიფო იჯარადარნი. პირველი ორი ჯგუფის მოქალაქეებს უნდა ემსახურნათ ცხენოსან ჯარში ან მძიმედშეიარაღებულ ქვეითს ჯარში (გოპლიტები), მესამე ჯგუფის მოქალაქეებს — მხოლოდ მძიმედშეიარაღებულ ქვეითს ჯარში; ფეტები მსახურობდნენ მსუბუქადშეიარაღებულ ქვეითს ჯარში ან მეზღვაურებად ფლოტში. მონებსა და მეტეკებს სამხედრო სამსახურში მხოლოდ გამონაკლისის სახით იწვევდნენ.

18-დან 20-მდე წლის ასაკის ყველა მოქალაქე ვალდებული იყო გაევლო სამხედრო სწავლა საამისოდ არჩეულ თანამდებობით პირთა ხელმძღვანელობით (იხ. ზემოთ, გვ. 245).

მდიდარ მოქალაქეებს (აგრეთვე მდიდარ მეტეკებს) დაკისრებული ჰქონდათ სხვადასხვაგვარი ვალდებულება სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც ხშირად დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ხარჯებთან, ეგრეთ წოდებული ლ ი ტ უ რ გ ი ე ბ ი. რაც უფრო მდი-

დარი იყო მოქალაქე, მით უფრო მნიშვნელოვანი ლიტურგიები დაეკისრებოდა მას. მაგრამ არავინ იყო ვალდებული ორ წელს ზედიზედ შეესრულებინა ლიტურგიები, აგრეთვე არ შეიძლებოდა ვინმესთვის წლის განმავლობაში ერთ ლიტურგიაზე მეტი დაეკისრებინათ. თუ ვინმე მიიჩნევდა, რომ მას ლიტურგია უმართებულოდ დააკისრეს და რომ არის უფრო მდიდარი მოქალაქე, რომელსაც იგი უნდა დაეკისროს, მას შეეძლო ეს ლიტურგია ამ მოქალაქისათვის შეეთავაზებინა, ხოლო თუ იგი უარს იტყოდა, მოეთხოვა, რომ ქონება ერთმანეთისათვის გაეცვალათ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს, თუ ვის უნდა დაკისრებოდა ლიტურგია, სასამართლო გადაწყვეტდა.

მდიდარი მონათმფლობელნი, რათა მოეპოვებინათ გავლენა პოლიტიკურ საქმეებში ან თავმომწონეობის მოტივებით ზოგჯერ თვითონ კისრულობდნენ ლიტურგიის შესრულებას. როგორც, დემოსთენის[1] ერთ-ერთი სიტყვიდან სჩანს, ყოველწლიურად საშუალოდ 60-მდე მოქალაქე ასრულებდა ლიტურგიებს.

განასხვავებდნენ „წრიულ“ ლიტურგიებს (რომლებიც ყოველწლიურად მეორდებოდა) და საგანგებო ლიტურგიებს. პირველთა რიცხვს ეკუთვნოდა ქ ო რ ე გ ი ე ბ ი (ლიტურგიებს შორის ყველაზე უფრო სამძიმო), ე. ი. სხვადასხვა დღესასწაულის დროს სამუსიკო შეჯიბრებათა მოწყობის და მომღერალთა გუნდების შენახვის ხარჯთა დაკისრება; გ ი მ ნ ა ს ი ა რ ქ ი ე ბ ი, ე. ი. ზოგიერთი დღესასწაულის დროს სატანთვარჯიშო თამაშობათა მონაწილე ტანთმოვარჯიშეების შესანახი ხარჯების დაკისრება, ზოგიერთი დღესასწაულის დროს თავისი ფილის ყველა მოქალაქეთა გამასპინძლება და სხვ.

საგანგებო ლიტურგიებიდან უნდა აღინიშნოს, როგორც განსაკუთრებით სამძიმო, ტ რ ი ე რ ა რ ქ ი ა — ხომალდის აღჭურვის მოვალეობა. ტრიერარქს სახელმწიფოსაგან ეძლეოდა ხომალდის მზამზარეული ჩონჩხი, რომელიც მას უნდა აღეკაზმა და მოემარაგებინა ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო ხომალდის ნაოსნობისათვის. მაგრამ ტრიერარხს ეკისრებოდა ხომალდის უფროსობა ერთი წლის განმავლობაში, ასე რომ იგი ხშირად იძენდა შესაძლებლობას თავისი მდგომარეობა გამოეყენებინა ზღვისიქეთურ ნაოსნობასთან დაკავშირებული სარგებლობის მისაღებად.

---

[1] ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის სახელგანთქმული ბერძენი ორატორი.

2. მეტეკები. მეტეკები ანუ მეტოიკები უცხოელები იყვნენ, რომლებიც ათენსა და ატიკაში მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ დროს ცხოვრობდნენ; ისინი ცხოვრობდნენ ერთად, მოქალაქეთა გვერდით, საიდანაც წარმოსდგება თვით სახელწოდება მეტეკი. ესენი ჩვეულებრივ იყვნენ სხვა ბერძნული ქალაქების მცხოვრებნი, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი ვადით სახლდებოდნენ ან მუდმივად ცხოვრობდნენ ათენში. ათენში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად, მისი პოლიტიკური ძლიერების ზრდასთან ერთად სწრაფად მატულობდა უცხოელთა რიცხვი ათენში: მეტეკების რიცხვი ათენის სახელმწიფოში ერთ დროს 10-ათას კაცს აღემატებოდა. სახელმწიფო მფარველობდა ხელოსნობას და ამ მიზნით ერთ დროს ხელს უწყობდა მეტეკების მოზიდვას ათენში.

მოქალაქეობის უფლებით მეტეკები არ სარგებლობდნენ: მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებაშიც და სასამართლოშიც, არ შეეძლოთ დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობანი. მეტეკებს უფლება არა ჰქონდათ შეეძინათ უძრავი ქონება, ხოლო თუ მათ ამას ნებას დართავდნენ, სახლის ღირებულება არ უნდა აღმატებოდა 2 ათას დრაჰმას, მიწის ნაკვეთის ღირებულება კი — 12 ათას დრაჰმას. მეტეკების ქორწინება ათენის მოქალაქეებთან კანონიერად არ ითვლებოდა, ხოლო ამ ქორწინებიდან წარმომდგარ შვილებს 451 წლის კანონის შემდეგ მოქალაქეობის უფლებები არა ჰქონდათ. მეტეკებს ყველგან შეეძლოთ ცხოვრება, სადაც სურდათ; უცხოელთათვის განკუთვნილი უბანი ათენში არა ყოფილა. ყოველ უცხოელს — მეტეკს უნდა აერჩია პ რ ო ს ტ ა ტ ი, „შუამდგომელი“. პროსტატის როლი მთლად ნათელი არ არის, მაგრამ, როგორც სჩანს, იგი შუამავალი იყო მეტეკსა და მთავრობის დაწესებულებათა შორის, აგრეთვე დემის წარმომადგენელი იყო, როცა მეტეკი რომელიმე დემში მცხოვრებ პირთა სიაში შეჰქონდათ. მეტეკებს ახდევინებდნენ განსაკუთრებულ გადასახადს, ეგრეთწოდებულ მეტეკიონს. გარდა ამისა, მეტეკები მონაწილეობდნენ აგრეთვე ყველა სხვა დაბეგვრაში და ასრულებდნენ სხვა ვალდებულებებს, გარდა ხომალდების აგების ვალდებულება — ტრიერისა. მათ იწვევდნენ სამხედრო სამსახურშიც.

მეტეკების მოსაქმეობა და მათი ქონებრივი მდგომარეობა მეტად სხვადასხვანაირი იყო; მათ შორის იყვნენ წვრილი ხელოსნებიც და დიდ სახელოსნოთა პატრონებიც, იყვნენ ვაჭრები, ბანკი-

რები, იყვნენ თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლები — მხატვრები, ორატორები. ზოგიერთი მეტეკი მნიშვნელოვანი ქონების პატრონი იყო, როგორც, მაგალითად, ვიღაც კეფალი, რომელსაც რამდენიმე სახლი და ფარების დიდი სახელოსნო ეკუთვნოდა.

ცალკეული მეტეკები მათ მიერ გაწეული სამსახურისათვის ან მათი სიმდიდრისადმი პატივისცემის ნიშნად განსაკუთრებულ, პრივილეგიურ მდგომარეობას იძენდნენ, თავისუფლდებოდნენ განსაკუთრებული ხარკის გადახდის მოვალეობისაგან და უფლებას მოიპოვებდნენ შეეძინათ სახლი და მიწა ატიკაში, კანონიერად დაქორწინებულიყვნენ ათინელ მოქალაქეებთან (epigamia), აგრეთვე უშუალოდ, პროსტატის დაუხმარებლად, მიემართათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის. ეს მეტეკები იწოდებოდნენ თანაბარვალდებულ პირებად (იზოტელეისი), ხოლო მათმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ ი ზ ო ტ ე ლ ი ი ს სახელწოდება მიიღო.

უცხოელებს, რომლებსაც თავიანთ სამშობლოში რაიმე განსაკუთრებული დამსახურება გაეწიათ ათენელებისათვის, პ რ ო ქ ს ე ნ ი ს წოდება ენიჭებოდათ. ათენში ყოფნის დროს პროქსენებს სხვადასხვაგვარი უპირატესობანი და პრივილეგიები ეძლეოდათ: მათ შეეძლოთ სახალხო კრებებს დასწრებოდნენ, შეეძლოთ შეეძინათ უძრავი ქონება, ზოგჯერ თავისუფლდებოდნენ ბაჟისაგან, ეკავათ საპატიო ადგილები თეატრში, მათ ყოველნაირად უწყობდნენ ხელს, თუ რაიმე ესაჭიროებოდათ.

მეტეკებს თავისი მდომარეობით უთანაბრდებოდნენ გააზატებულ პირთ. მეტეკების მსგავსად მათ ჰყავდათ პროსტატი, რომელიც იყო მათი ყოფილი პატრონი, ისინი იმავე განსაკუთრებულ გამოსაღებს იხდიდნენ (მეტეკიონი და სხვ.).

3. მონები. მონების რიცხვი ათენში, ძველი წყაროების მიხედვით, მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს. ასე, აფინეის ცნობებით, ათენში იყო 400.000-ზდე მონა 21.000 მოქალაქეზე და 10.000 მეტეკზე, კორინთში—600.000 მონა, ეგინაში — 470.000. უახლეს ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ეს ციფრები არასარწმუნოდ და გაზვიადებულად მიაჩნიათ. მაგრამ ისინიც შესაძლებლად სთვლიან, რომ მონების რიცხვი ან უდრიდა ან აღემატებოდა თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს.

განირჩეოდნენ კერძო პირთა მონები და სახელმწიფო მონები; ამ უკანასკნელთ თავიანთი მეურნეობა ჰქონდათ, შეეძლოთ შეეძი-

ნათ საკუთრება და ამიტომ ისინი ხშირად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე კერძო პირთა მონები. სახელმწიფო მონებისაგან ათენში შედგენილი იყო პოლიციელთა რაზმი, რომელიც იცავდა წესრიგს სახალხო კრებაში, სასამართლოებში, საზოგადოებრივ ადგილებში. „თავისუფალ ათინელს პოლიციაში სამსახური ისე დამამცირებლად მიაჩნდა, რომ ერჩია იგი შეიარაღებულ მონას დაეჭირა, ვიდრე თვით ჩაედინა ასეთი სამარცხვინო საქციელი“[1]. სახელმწიფო მონების წრიდან იყვანდნენ საპატიმროს მოსამსახურეებს, სასამართლოს განაჩენის აღმასრულებლებს, მწერავებს.

მონებს ყოველ შეძლებულ სახლში შეხვდებოდით. პლატონის სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეძლებულ შინაურ მეურნეობაში ორმოცდაათამდე მონა მუშაობდა, რომლებიც სულ სხვადასხვანაირ მოვალეობას ასრულებდნენ. მონები იყვნენ მოურავები, ხაზინადრები, პედაგოგები, ექიმები და სხვ. იყვნენ კერძო პირთა მონები, რომლებიც თავიანთი ბატონებისაგან განცალკევებით ცხოვრობდნენ, ხელობას ეწეოდნენ და თავიანთ პატრონებს მხოლოდ შეპირობებულ ღალას უხდიდნენ.

მონურ შრომას ათენში ფართოდ იყენებდნენ არა მარტო შინაური მომსახურებისათვის და სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობაშიც. მონები შრომობდნენ სახელოსნოებში, რომლებიც პროდუქციას ამზადებდნენ ბაზარზე გასაყიდად, ზოგჯერ საზღვარგარეთ გასატანად. ათენში არსებობდა სამეურნეო ნაკეთობის, ფარის, ჩანგის, ლამპის, საწოლის სახელოსნოები და ა. შ. მონები მუშაობდნენ სამადნოებში, ქვისსამტეხლოებში, სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში. მონურ შრომაზე დაფუძნებულ სახელოსნოებში ზოგჯერ ასობით და მეტი მონა მუშაობდა. ასე, ლისიუსის ფარების სახელოსნოში მუშაობდა 120 მონა, პასიონის სახელოსნოში — არანაკლებ 100 მონისა. ზოგჯერ მონათმფლობელებს მონები ჰყავდათ გასაქირავებლად. ასე, მაგალითად, ნიკიუსი მადნებში სამუშაოდ აქირავებდა ათას მონას.

მონების სიიაფისა და დიდი რაოდენობის პირობებში შეიძლებოდა შერიგებოდნენ მონური შრომის მცირე ნაყოფიერებას და არ არსებობდა ტექნიკურ გაუმჯობესებათა შეტანის მოთხოვნილება. მარქსი აღნიშნავს, რომ მონის მიერ მანქანისადმი ცუდად მოპყ-

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 120.

რობა და მისი გაფუჭება აუცილებლად იწვევს წარმოების მონათმფლობელური წესის დროს შრომის უაღრესად ტლანქი, უაღრესად მოუხეშავი იარაღების ხმარებას, რადგან თავისი მოუხეშავობის გამო ეს იარაღები ნაკლებად ფუჭდებაო. წარმოებაში ხმარობენ ხელის წისქვილებს, ჯოხით ტკეპნიან და ხელით სჩეჩენ მატყლს. ყველა ტექნიკური მიღწევა იმით განისაზღვრება, რომ იყენებენ მექანიკურ ძრავებს და სამარჯვებს (ბერკეტები, ბლოკები, კბილოვანი თვლები).

მონობის წყაროები ათენში იყო: სამხედრო ტყვეობა, საზღვარგარეთ შესყიდვა, მონებისაგან დაბადება. ვალში დამონება გაუქმებულ იქნა სოლონის მიერ VI საუკუნის დამდეგს.

მონა თავისი ბატონის საკუთრებას შეადგენდა; იგი ნივთი იყო, და არა პირი. ამიტომ მას არ შეეძლო საკუთრების შეძენა. ყველაფერი, რის დაზოგვას და შოვნას ის მოახერხებდა, ნამდვილი რომ ითქვას, მისი ბატონის საკუთრებას შეადგენდა. მხოლოდ სახელმწიფო მონებს ჰქონდათ უფლება შეეძინათ საკუთრება და თავისუფლად მოეხმარათ იგი. თუ მონის ჯანმრთელობას დააზიანებდნენ, ამისათვის საზღაურს მონის პატრონი იღებდა. იგივე აგებდა პასუხს იმ ზიანისათვის, რასაც მისი მონა მესამე პირს მიაყენებდა, მაგრამ შეეძლო თავი დაეღწია ამ პასუხისმგებლობისაგან, თუ დაზარალებულს თავის მონას დაუთმობდა.

ბატონის სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში მონას შეეძლო გაქცეულიყო ისეთ ადგილებში, რომლებიც მათთვის თავშესაფარებად იყო გამოცხადებული, სახელდობრ ტეზეის ტაძარში და ერინიების საკურთხეველთან არეოპაგში, და მოეთხოვა, რომ იგი სხვა პატრონისათვის გადაეცათ. სიკვდილით დასჯას მონას მხოლოდ სასამართლოს განაჩენით განუწესებდნენ. ბატონს შეეძლო მხოლოდ გაემათრახებინა იგი. მაგრამ პრაქტიკაში ბატონის მიერ მონის მოკვლა, რა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა ბატონის დასჯას. სხვისი მონის მოკვლას თან სდევდა მოვალეობა — გადაეხადათ ჯარიმა მისი ბატონისათვის.

სასამართლოში მონას არ შეეძლო დამოუკიდებლად გამოსულიყო. საჭირო იყო მისი ბატონის შუამდგომლობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მონა შეიტანდა საჩივარს რაიმე საერთო—საშიში ან სახელმწიფოსათვის სახიფათო ქმედობის გამო, შეეძლო მას დამოუკიდებლად გამოსულიყო არა მარტო გარეშე პირთა წინააღ-

ნათ საკუთრება და ამიტომ ისინი ხშირად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე კერძო პირთა მონები. სახელმწიფო მონებისაგან ათენში შედგენილი იყო პოლიციელთა რაზმი, რომელიც იცავდა წესრიგს სახალხო კრებაში, სასამართლოებში, საზოგადოებრივ ადგილებში. „თავისუფალ ათინელს პოლიციაში სამსახური ისე დამამცირებლად მიაჩნდა, რომ ერჩია იგი შეიარაღებულ მონას დაეჭირა, ვიდრე თვით ჩაედინა ასეთი სამარცხვინო საქციელი“[1]. სახელმწიფო მონების წრიდან იყვანდნენ საპატიმროს მოსამსახურეებს, სასამართლოს განაჩენის აღმასრულებლებს, მწერავებს.

მონებს ყოველ შეძლებულ სახლში შეხვდებოდით. პლატონის სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეძლებულ შინაურ მეურნეობაში ორმოცდაათამდე მონა მუშაობდა, რომლებიც სულ სხვადასხვანაირ მოვალეობას ასრულებდნენ. მონები იყვნენ მოურავები, ხაზინადრები, პედაგოგები, ექიმები და სხვ. იყვნენ კერძო პირთა მონები, რომლებიც თავიანთი ბატონებისაგან განცალკევებით ცხოვრობდნენ, ხელობას ეწეოდნენ და თავიანთ პატრონებს მხოლოდ შეპირობებულ ღალას უხდიდნენ.

მონურ შრომას ათენში ფართოდ იყენებდნენ არა მარტო შინაური მომსახურებისათვის და სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობაშიც. მონები შრომობდნენ სახელოსნოებში, რომლებიც პროდუქციას ამზადებდნენ ბაზარზე გასაყიდად, ზოგჯერ საზღვარგარეთ გასატანად. ათენში არსებობდა სამეურნეო ნაკეთობის, ფარის, ჩანგის, ლამპის, საწოლის სახელოსნოები და ა. შ. მონები მუშაობდნენ სამადნოებში, ქვისსამტეხლოებში, სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში. მონურ შრომაზე დაფუძნებულ სახელოსნოებში ზოგჯერ ასობით და მეტი მონა მუშაობდა. ასე, ლისიუსის ფარების სახელოსნოში მუშაობდა 120 მონა, პასიონის სახელოსნოში — არანაკლებ 100 მონისა. ზოგჯერ მონათმფლობელებს მონები ჰყავდათ გასაქირავებლად. ასე, მაგალითად, ნიკიუსი მადნებში სამუშაოდ აქირავებდა ათას მონას.

მონების სიიაფისა და დიდი რაოდენობის პირობებში შეიძლებოდა შერიგებოდნენ მონური შრომის მცირე ნაყოფიერებას და არ არსებობდა ტექნიკურ გაუმჯობესებათა შეტანის მოთხოვნილება. მარქსი აღნიშნავს, რომ მონის მიერ მანქანისადმი ცუდად მოპყ-

---

[1] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 120.

რობა და მისი გაფუჭება აუცილებლად იწვევს წარმოების მონათმფლობელური წესის დროს შრომის უაღრესად ტლანქი, უაღრესად მოუხეშავი იარაღების ხმარებას, რადგან თავისი მოუხეშავობის გამო ეს იარაღები ნაკლებად ფუჭდებაო. წარმოებაში ხმარობენ ხელის წისქვილებს, ჯოხით ტკეპნიან და ხელით სჩეჩენ მატყლს. ყველა ტექნიკური მიღწევა იმით განისაზღვრება, რომ იყენებენ მექანიკურ ძრავებს და სამარჯვებს (ბერკეტები, ბლოკები, კბილოვანი თვლები).

მონობის წყაროები ათენში იყო: სამხედრო ტყვეობა, საზღვარგარეთ შესყიდვა, მონებისაგან დაბადება. ვალში დამონება გაუქმებულ იქნა სოლონის მიერ VI საუკუნის დამდეგს.

მონა თავისი ბატონის საკუთრებას შეადგენდა; იგი ნივთი იყო, და არა პირი. ამიტომ მას არ შეეძლო საკუთრების შეძენა. ყველაფერი, რის დაზოგვას და შოვნას ის მოახერხებდა, ნამდვილი რომ ითქვას, მისი ბატონის საკუთრებას შეადგენდა. მხოლოდ სახელმწიფო მონებს ჰქონდათ უფლება შეეძინათ საკუთრება და თავისუფლად მოეხმარათ იგი. თუ მონის ჯანმრთელობას დააზიანებდნენ, ამისათვის საზღაურს მონის პატრონი იღებდა. იგივე აგებდა პასუხს იმ ზიანისათვის, რასაც მისი მონა მესამე პირს მიაყენებდა, მაგრამ შეეძლო თავი დაეღწია ამ პასუხისმგებლობისაგან, თუ დაზარალებულს თავის მონას დაუთმობდა.

ბატონის სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში მონას შეეძლო გაქცეულიყო ისეთ ადგილებში, რომლებიც მათთვის თავშესაფარებად იყო გამოცხადებული, სახელდობრ ტეზეის ტაძარში და ერინიების საკურთხეველთან არეოპაგში, და მოეთხოვა, რომ იგი სხვა პატრონისათვის გადაეცათ. სიკვდილით დასჯას მონას მხოლოდ სასამართლოს განაჩენით განუწესებდნენ. ბატონს შეეძლო მხოლოდ გაემათრახებინა იგი. მაგრამ პრაქტიკაში ბატონის მიერ მონის მოკვლა, რა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა ბატონის დასჯას. სხვისი მონის მოკვლას თან სდევდა მოვალეობა — გადაეხადათ ჯარიმა მისი ბატონისათვის.

სასამართლოში მონას არ შეეძლო დამოუკიდებლად გამოსულიყო. საჭირო იყო მისი ბატონის შუამდგომლობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მონა შეიტანდა საჩივარს რაიმე საერთო—საშიში ან სახელმწიფოსათვის სახიფათო ქმედობის გამო, შეეძლო მას დამოუკიდებლად გამოსულიყო არა მარტო გარეშე პირთა წინააღ-

მდეგ, არამედ თავისი პატრონის წინააღმდეგაც კი. იმ შემთხვევებში, როცა მონის დასმენა დადასტურდებოდა, დაჯილდოების სახით შეიძლებოდა მისთვის თავისუფლება ებოძებინათ.

§ 62. საკუთრების უფლება

კერძო საკუთრება ათენში V—IV საუკუნეებში უკვე მნიშვნელოვნად განვითარდა. მაგრამ კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ატარებს იმის ნიშნებს, რომ იგი კოლექტიური თემური საკუთრებიდან წარმოიშვა. ჯერ კიდევ არ შექმნილიყო წარმოდგენა კერძო მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებებზე, როგორც არის რომის dominium ex jure Quiritium.

ტერმინიც კი არ არის, რომელიც ამ უფლებებს გამოხატავდეს და მთლიანად შეესაბამებოდეს რომაულ dominium—საკუთრებას. ცნება ousia ნიშნავს იმ ქონებას, ნივთის, დოვლათის საკუთრებას, რასაც მესაკუთრე ფლობს და არა საკუთრების უფლებას.

კერძო საკუთრება მიჩნეული იყო სახელმწიფოს მიერ ბოძებულად. ტყუილად კი არ იყო, რომ არქონტი ყოველწლიურად, როცა თანამდებობის შესრულებას იწყებდა, აცხადებდა, რომ იგი ყოველ მოქალაქეს უნარჩუნებს იმ საკუთრებას, რომელიც მას ეკუთვნის. ტყუილად კი არ იყო, რომ ადგილ-მამულები ატიკაში ისევ იწოდებოდნენ და განიხილებოდნენ kleros—წილად, რაც ასახავდა უკვე დიდიხნიდან წარსულს ჩაბარებულ თემურ წესწყობილებას, ხოლო კოლონისტები, რომლებსაც სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მიწები ეძლეოდათ, კლერუქებად იწოდებოდნენ.

კერძო მესაკუთრენი მნიშვნელოვანი ბეგარით იყვნენ დაბეგრილნი სახელმწიფოს სასარგებლოდ (ლიტურგიები, ქორემიები და სხვ.), რაც ნიშნავდა კერძო საკუთრების შეზღუდვას მონათმფლობელთა მთელი კოლექტივის ინტერესებისათვის. ქონების ხშირი კონფისკაცია და ექსპროპრიაცია აგრეთვე მოწმობს, რომ მესაკუთრის უფლებებს შედარებითი და პირობითი მნიშვნელობა ჰქონდათ.

თვითონ მიწის ოკუპაცია საბერძნეთში არასოდეს არ ასრულებდა კერძო საკუთრების წყაროს იმ როლს, როგორიც მას რომში ეკუთვნოდა.

საკუთრების უფლებას რამდენიმე სარჩელით იცავდნენ. პირველ ინსტანციაში სარჩელს წარადგენდნენ მიწის ნაკვეთის ან სახლის შემოსავლის შესახებ, რომელსაც ნაკვეთის ან სახლის პატრონი

მოითხოვდა. მეორე ინსტანციაში წარადგენდნენ სარჩელს საკუთრების შესახებ—dike ousias. აქ მოსარჩლე ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი უფლება, დაედგინა ტიტული, რომელსაც ეფუძნება მისი მოთხოვნა მისი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ.

სავალდებულო იყო თუ არა მესაკუთრისათვის დაეწყო სარჩელით შემოსავლის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გადასულიყო თვითონ დავაზე ნივთის მიმართ უფლების გამო, ეს სადავოა. შესაძლოა, რომ პირველ სარჩელში დამტკიცება მესარჩელისათვის უფრო ადვილი იყო, აქ მას შეეძლო მოწმეთა ჩვენებას დასჯერებოდა; პირიქით, მისი დამტკიცება გაცილებით უფრო რთული იყო dike ousias დროს. ამიტომ იწყებდნენ პირველი სარჩელით. მაგრამ შესაძლოა, რომ მესაკუთრისათვის სავალდებულო ყოფილიყოს თანმიმდევრობა სასამართლო დაცვის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების დროს. დასასრულ, მესაკუთრის წინაშე გადაშლილი იყო კიდევ მესამე შესაძლებლობა: მას შეეძლო დარღვეული მფლობელობის გამო დავა დაეწყო განსაკუთრებული სარჩელის წესით, რომელსაც, მესარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარისთქმის გარდა, შედეგად მოსდევდა წაგებული მხარის დაჯარიმება სახელმწიფოს სასარგებლოდ (dike exoules). ამგვარი სარჩელი შეეძლო წარედგინა, მაგალითად, ყანის მესაკუთრეს, თუ ვინმე ხელს უშლიდა მას ესარგებლნა მოსავლით, ან მონის მესაკუთრეს, რომელიც მონას არ ფლობდა, მაგრამ რომელსაც სურდა დაემტკიცებინა თავისი უფლება მონაზე და გამოეთხოვა იგი თავის ფლობაში.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ, ათენის სამართლის ისეთი ავტორიტეტული მკვლევარის აზრით, როგორიც არის ლ უ დ ო ვ ი კ ბ ო შ ე, dike exoules-სათვის მხოლოდ იმ შემთხვევებში შეეძლოთ მიემართნათ, როცა საქმეზე უკვე გამოტანილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, ე. ი. ეს სარჩელი წარმოადგენდა რომაულ actio judicati-ს მსგავს რამეს, ე. ი. სარჩელს გადაწყვეტილების შესრულების გამო, თუ ეს გადაწყვეტილება მოპასუხეს ნებაყოფლობით არ შეუსრულებია.

§ 63. სავალდებულებო სამართალი

არისტოტელე „ნიკომაქის ეთიკაში“ განასხვავებს ორი სახის ვალდებულებას (synallagmata) თავისუფალსა (ekousia) და არათავისუფალს (akousia), ამასთან მას მხედველობაში აქვს ვალდებულებათა ორი სხვადასხვა წყარო: ა) ხელშეკრულებანი და ბ) დელიქტები.

ა. სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

ზოგადი დებულებანი

ხელშეკრულების ცნებას არისტოტელე განმარტავს „რეტორიკაში“ (1,15), სადაც აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს თითქოს სპეციალურ კანონს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მხარეებს.

ხელშეკრულებათა რიცხვი განუსაზღვრელი იყო. ყოველგვარი შინაარსის ყოველი შეთანხმება შეიძლებოდა სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველი გამხდარიყო. ხელშეკრულების აღსანიშნავად ყველაზე უფრო იხმარებოდა გამოთქმა synallagma.

1. ხელშეკრულებათა ფორმა. ხელშეკრულებათა ნამდვილობისათვის არავითარი ფორმა არ არსებობდა, საჭიროდ ითვლებოდა მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. მაგრამ გარიგების დამტკიცების გასაადვილებლად უფრო ხშირად წერილობითს ფორმას მიმართავდნენ. წერილობითს ხელშეკრულებათა შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ syngraphai ხელშეკრულებებს, რომლებსაც თითქოს საჯარო-სამართლებრივი ხასიათი ჰქონდათ და დამამტკიცებელი ძალა გააჩნდათ. მერმინდელ დროს ეკუთვნის cheirographa რომლებიც syngraphai-საგან, რამდენადაც შესაძლებელია დავასკვნათ, იმით განირჩეოდნენ, რომ ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ ორი მხარის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს (როგორც, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, დაქირავების დროს) და ორივე მხარეს აკისრებდნენ ვალდებულებებს, იმ დროს როცა cheirographon არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ვალდებულებებს მხოლოდ ერთ მხარეს აკისრებს და ამიტომ მხოლოდ ერთი მხარის მიერ არის ხელმოწერილი (როგორც, მაგ., სესხის დროს).

ფორმალიზმი, როგორც სჩანს, შედარებით ადრე გამქრალა ათენის სამართლიდან, თუმცა იგი, უეჭველია, ახასიათებდა ამ სამართალს მისი განვითარების ადრეულ სტადიებზე. ყოველ შემთხვევაში, ხელშეკრულებანი, რომლებსაც სდებდნენ ჰომეროსის დროის საბერძნეთში, ე. ი. სახელმწიფოს წარმოშობის წინა ხანებში, მთლად გამსჭვალულია ფორმის წინაშე, საკრამენტალური სიტყვების წინაშე ქედის მოხრით, როგორც ეს შეგვიძლია დავინახოთ „ოდისეას“ ცნობილი ადგილიდან, სადაც პოსეიდონი კისრულობს არეის თავდებობას („ოდისეა“, VIII.).

2. სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფა. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა სოლონის რეფორმამდე იწვევდა მოვალის პირად პასუხისმგებლობას: მას სავალო კაბალა ემუქრებოდა. სოლონმა მონად გადაქცევა მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის შეინარჩუნა, როცა საზღვარგარეთული მონობისაგან გამოსყიდული მოქალაქე ვადაზე არ იხდიდა ფულს, რაც მისთვის გამოსასყიდად სესხად მიეცათ.

სოლონის რეფორმის შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებებად რჩება ბე, გირავნობა, თავდებობა. ზოგჯერ ხელშეკრულებაში შეიტანდნენ პირობას, რომელიც ითვალისწინებდა ფულადს ჯარიმას ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, აგრეთვე პირობას, რომელიც შეიცავდა მოვალის თანხმობას, რომ იგი ვალს გადაიხდიდა იმ წესით, რა წესითაც სრულდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებანი (kathaper ek dikes).

ბე (ბერძნულად arrabon) ეწოდება თანხას, რასაც იხდიან შეთანხმების დადებისას ან მის შემდეგ მომავალ გადასახდელთა ანგარიშში და მოხდენილი გარიგების დასადასტურებლად. ამასთან ერთად ბე იწვევს არახელსაყრელ შედეგებს (ბეს ჰკარგავს ერთი მხარე, ორმაგად აბრუნებს მეორე მხარე) იმ შემთხვევაში, თუ მხარე ხელშეკრულებას გადაუხვევს. თუმცა ბე უზრუნველჰყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, მაგრამ იგი ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს გადაუხვიოს ხელშეკრულებას, თუ იგი ბეზე ხელს აიღებს. ათენში ეს უფლება მხოლოდ მყიდველს ეკუთვნოდა, და არა გამყიდველს. ბეს გამოყენება საბერძნეთში ცნობილი იყო მეტად შორეულ წარსულში. ფილოსოფოს თალესზე, რომელიც VII—VI საუკუნეში ცხოვრობდა ბერძენთა კოლონიამილეთში, ამბობენ, მან ასტრონომიული მონაცემებით გაითვალისწინა ზეთისხილის დიდი მოსავალი, იჯარით აიღო ზეთუნის ზეთის გამმოსამუშავებელი ყველა წნეხი და, რადგან მისი სახსრები საკმარისი არ იყო, რომ მთელი საიჯარო ფასი წინასწარ გადაეხადა, ყველა შემთხვევაში ბეს გადახდას დასჯერდაო. ზეთისხილის დიდმა მოსავალმა მას საშუალება მისცა მისთვის შექმნილი მონოპოლიიდან დიდი სარგებლობა მიეღო.

ვალდებულების უზრუნველსაყოფად მიმართავდნენ აგრეთვე თავდებობას. მესამე პირნი კისრულობდნენ თავდებობას მოვალის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამ ვალდებულე-

ბათა შეუსრულებლობისას იქმნებოდა თავდებთა დამატებითი პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. თავდებობას მიმართავდნენ იმ დროიდან, როგორც კი დაიწყო სამართლებრივ ურთიერთობათა საწყისების ჩამოყალიბება. ყოველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავდებობაზე ლაპარაკია ჯერ კიდევ „ოდისეაში“.

საგირავნო სამართალმა ფართო განვითარება ჰპოვა ძველ საბერძნეთში მევახშეობასთან ერთად, რომელიც ამ სამართალს ასაზრდოებდა. მოძრავი ნივთები მათი დაგირავების შემთხვევაში გადაიცემოდა კრედიტორის მფლობელობაში, რომელიც ინარჩუნებდა მათ ვალის გადახდამდე, ხოლო მოვალის ვალაუვალობის შემთხვევაში გაჰყიდდა თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთ გირავნობას ეწოდებოდა—enéchyron. რაც შეეხება უძრავი ქონების დაგირავებას, აქ ძველთაგან შემოღებული იყო ეგრეთწოდებული hypotheca, ე. ი. მიწის დაგირავება იმ საფუძველზე, რომ მიწა მოვალის მფლობელობაში რჩებოდა და კრედიტორს უფლება ენიჭებოდა თავისი შეხედულებისამებრ მოეხმარა მიწა, თუ ვალი ვადაზე არ იქნებოდა გადახდილი. მოვალე განაგრძობს მიწის ფლობას და მოხმარებას, მაგრამ მას უფლება არა აქვს მიჰყიდოს იგი მესამე პირს უკვე სოლონის დროს. ენგელსი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო ათინელი გლეხი სოლონის რეფორმის წინა ხანებში, და სწერს: „ამიტომ კეთილშობილთა ფულის მეურნეობამ, რომელიც თანდათან უფრო ფართოვდებოდა, შეიმუშავა ახალი საადათო სამართალი, რომელიც კრედიტორს მხარს უჭერდა მოვალის წინააღმდეგ და აკანონებდა წვრილი გლეხის ექსპლოატაციას ფულის მქონე ადამიანების მიერ. ატტიკის თითქმის ყოველ ყანაში ბოძი იდგა წარწერითურთ, მამული ამა და ამ პირს აქვს დაგირავებული ამა და ამ თანხაშიო. თუ ასეთი წარწერა არ არსებობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მიწა, უმეტეს შემთხვევაში, უკვე გაყიდული იყო ჰიპოტეკის ან პროცენტების გადაუხდელობისათვის და კეთილშობილი მევახშის საკუთრებას წარმოადგენდა...“[1].

მაგრამ თუ კრედიტორს შეეძლო დაგირავებულ მიწას თავისი სურვილისამებრ მოპყრობოდა, მოვალეს, პირიქით, უფლება არ ჰქონდა დაგირავებული მიწა ვალის გადახდამდე გაეყიდა.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და [illegible]ელმწიფოს წარმოშობა, გვ. 112—113.

ბ. ცალკეული ხელშეკრულებანი

1. ყიდვა-გაყიდვა. ხელშეკრულება იდებოდა მხარეთა უბრალო არაფორმალური შეთანხმების ძალით. ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო მოძრავი ნივთები, არამედ სხვადასხვა უძრავი ქონებაც — ყანა, სახლი, ბაღი. ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენდნენ აგრეთვე მონები. თავისუფალ ადამიანთა მონებად გაყიდვა სოლონის რეფორმის შემდეგ შეუძლებელი იყო.

სხვისი ნივთების გაყიდვა ძალადაკარგულად ითვლებოდა; გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ქონების გასხვისება, რასაც ფისკის აგენტები ახდენდნენ. ამ შემთხვევაში გაყიდვა თავის ძალას ინარჩუნებდა, თუნდაც გაყიდული ყოფილიყო ისეთი ნივთი, რომელიც გასასხვისებელ ნივთთა სიაში არ იყო შესატანი.

ყიდვა-გაყიდვის აუცილებელ პირობად ითვლებოდა ფასი. ფასი შეიძლებოდა გამოხატული ყოფილიყო არა მარტო ფულით, არამედ რაიმე პროდუქტითაც.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ათენში უშუალოდ, განსაკუთრებულ ფორმალობათა განუხორციელებლად, იწვევდა გასაყიდი ნივთის საკუთრების უფლების გადასვლას. მაგრამ საკუთრების უფლების გადასვლის წინასწარი პირობა იყო ნაყიდობის ფასის გადახდა. თუ ნივთი ნაყიდობის ფასის მთლიანად მიღებამდე იყო გადაცემული, გამყიდველს მყიდველის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეეძლო უკან მოეთხოვა გაყიდული ნივთი. ამრიგად, გამყიდველი ანგარიშის სრულად გასტუმრებამდე ამ ნივთის მესაკუთრე რჩებოდა.

მიუხედავად ამისა, მყიდველი ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკს სწევდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, იმ შემთხვევაშიც კი, ნივთის ფასი კიდევაც რომ არ ყოფილიყო დაუყოვნებლივ გადახდილი.

მყიდველის მოვალეობას შეადგენდა გადაეხადა ნივთის შეპირობებული ფასი. ქაროონდის კანონებით (ბერძენთა კოლონია კატანი), მყიდველს ნივთის ღირებულება მისი მიღებისას მთლიანად უნდა გადაეხადა. ათენის სამართლის მიხედვით, გამყიდველს შეეძლო ნისიად მიეცა ნივთი მყიდველისათვის; მაგრამ თუ იგი ნივთს ისე გადასცემდა, რომ მისი ღირებულება მთლიანად არ იყო გადახდილი, გამყიდველი ინარჩუნებდა ამ ნივთის საკუთრების უფლებას ან, ყოველ შემთხვევაში, საგირავნო უფლებას.

თავის მხრივ გამყიდველი ვალდებული იყო მყიდველისათვის ნივთი მთელი მისი ხელსაწყოებითურთ გადაეცა და გარანტირებულეყო მყიდველი მესამე პირის მიერ ნივთის ყოველგვარი ჩამორთმევისაგან (ევიქცია).

დაწესებული იყო თუ არა ზოგადი ფორმით გამყიდველის პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთის ნაკლულოვანებათათვის, სადავო რჩება. ცნობილია, რომ არსებობდა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ავადმყოფი მონის გაყიდვის შემთხვევაში და რომელიც მყიდველს უფლებას აძლევდა მოეთხოვა გარიგების დარღვევა მოკლე ვადაში (წლიური ვადა ეპილეფსიის შემთხვევაში და ექვსი თვის ვადა — სხვა სნეულებათათვის). ამ კანონს გვაუწყებს როგორც პლატონი „კანონებში", ისე სხვა წყაროები.

ყიდვა-გაყიდვა ფართოდ გავრცელებული გარიგება იყო ათენში, თუ მხედველობაში მივიღებთ ვაჭრობის განვითარების მნიშვნელოვან დონეს ძველ საბერძნეთში. ამ გარიგებათა ეკონომიური შინაარსი მეტად სხვადასხვანაირი იყო. ქუჩებსა და ბაზრებში გამართულ საცალო ვაჭრობასთან ერთად, რასაც თვითონ მწარმოებლები ეწეოდნენ (ხელოსნები, მებაღეები, მეთევზეები და ა. შ.), არსებობდა საბითუმო ვაჭრობა შემსყიდველებისა, რომლებიც ხელოსანთა ნაწარმს გასაყიდად იძენდნენ ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ, აგრეთვე ვაჭრობა ისეთი მოვაჭრეებისა, რომლებიც საზღვარგარეთ ყიდულობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და ხელობის ნაწარმთ და შემოიტანდნენ ათენში.

ერთი ბერძენი ავტორი ამის შესაბამისად განასხვავებს ხუთი სახის ვაჭრებს, რომელთაგან თვითეულ ჯგუფს თავისი სახელწოდება აქვს. ათენის ქუჩებში დატარებით ჰყიდდნენ ვარდს, ბოლოკს, ცერცვს, ზეთისხილს, თევზს და ა. შ. დუქნებში ფეიქრები, პურის მცხობელნი, მეწაღეები, მზარეულები ჰყიდდნენ თავიანთ ნაწარმს. საწვრილმანო დუქნებში ჰყიდდნენ ღვინოს, სანთელს, ძმარს, ნიორს და სხვ.

ბაზარში ვაჭრობა განსაზღვრულ რეგლამენტაციას ემორჩილებოდა. უცხოელებს ნებადართული არა ჰქონდათ ბაზარში ევაჭრნათ. თვალყურს ადევნებდნენ მარცვლის ხარისხსა და ფასს, გამომცხვარი პურის ხარისხსა და წონას.

2. ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი იყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთები. აქირავებდნენ პირუტყვს, მონებს, გემებს, მიწას, სახლებს. პირუტყვის გაქირავება საბაბი

შეიქნა თქმულებისა — „სახედრის ჩრდილი ეძიეო“. ათენში გავრცელებული იყო სახედრის ერთი პატრონის ამბავი: სახედარი გააქირავა და განსაკუთრებული საზღაური მოითხოვა მისგან მოფენილ ჩრდილში, რომლითაც დამქირავებელი სარგებლობდაო. ათენში განსაკუთრებით გავრცელებული იყო სახლების იჯარა, მით უფრო, რომ მეტეკებს ჩვეულებრივ უფლება არა ჰქონდათ საკუთრებად შეეძინათ სახლები და ისინი იძულებული ხდებოდნენ დაქირავებულ სადგომებში ეცხოვრნათ.

იყო გარიგება, რომლითაც გაქირავებულ იქნა მთელი საწარმო, სახელდობრ ბანკი (პასიონმა ბანკი იჯარით მისცა გააზატებულ ფორმიონს). ვხვდებით აგრეთვე ხელშეკრულებებს, რომლებიც განაპირობებდნენ მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაქირავებას.

ქირავნობის ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მსგავსად არავითარ განსაკუთრებულ ფორმას არ საჭიროებდა. უძრავი ქონების გაქირავებისას, როგორც სჩანს, მიღებული იყო წერილობით ხელშეკრულებათა შედგენა. ფორმალობანი დაწესებული იყო ქირავნობის ხელშეკრულებებისათვის, რომლებსაც სდებდნენ სხვადასხვა კოლექტივები — ორგანიზაციები.

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებლის სარგებლობაში გადასცეს ნივთი ხელშეკრულებით დაწესებული ვადით. მან გარანტირებულ უნდა ჰყოს დამქირავებელი ნივთის ყოველგვარი ევიქციისაგან. რათა შეუძლებელი ყოფილიყო გამქირავებლის მიერ ნივთის გაყიდვა, დამქირავებელნი ცდილობენ, რომ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას დათქმა, რომელიც გამქირავებელს უკრძალავს გაჰყიდოს ნივთი ქირავნობის ვადის გასვლამდე. თუმცა ეს დათქმა ნივთის პატრონს შესაძლებლობას არ უსპობდა გაესხვისებინა იგი, მაინც ემუქრებოდა მას ამ შემთხვევაში blábes—სარჩელით ყველა აქედან გამომდინარე შედეგითურთ (იხ. გვ. 279—280). მესამე პირთა წინააღმდეგ, რომლებიც იჯარადარს ხელს შეუშლიდნენ ესარგებლნა ხელშეკრულებით მიღებული ქონებით, იჯარადარს შეეძლო თვითონ უშუალოდ დაეცვა თავი,—ჯარიმა გადაეხდევინებინა თავისი უფლებების დამრღვეველთათვის.

დამქირავებლის მთავარი მოვალეობა იყო თავის დროზე შეეტანა ქირა. ყანის, ბაღის, სახლის სარგებლობის ქირა საკმაოდ მაღალი იყო და 7—8,5% აღწევდა. ტყუილად კი არ იყო, რომ ქსე-

ნოფანტეს სახლის აგება შომგებიან საქმედ მიაჩნდა. როგორც წესი, საიჯარო ქირა ფულად შეჰქონდათ. სოფლის მეურნეობაში შეხვდებოდით ქირავნობის ხელშეკრულებებს, რომლებიც ქირის ნატურით გასტუმრებას უშვებდნენ.

თუ ქირა წესიერად არ შემოვიდოდა, კანონი მესაკუთრეთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა და სახლის პატრონს უფლებას ანიჭებდა გაესახლებინა მდგმურები. სტობეი[1] მოგვითხრობს, რომ სახლის პატრონს, მდგმურების გასახლებისათვის რომ მიეღწია, უფლება ჰქონდა მოეხსნა კარები, დაეშალა სახლის სახურავი, დაეხურა ჭა.

დამქირავებელი დაქირავებულ ნივთს ისე უნდა მოპყრობოდა, როგორც კარგი, მზრუნველი სახლის პატრონი. ხელშეკრულებაში ხშირად დაზუსტებული იყო მისი ეს მოვალეობა. დამქირავებელს ნივთი ქირავნობის ვადის გასვლისას წესივრულ მდგომარეობაში უნდა დაებრუნებინა.

უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ჩვეულებრივი ვადა სოფლად იყო ათი წელი, იყო უფრო ხანგრძლივი ვადებიც.

3. პირადი ქირავნობა და სანარდო სამუშაო. დაქირავებული შრომა უმნიშვნელო როლს ასრულებდა ათენის მეურნეობაში, რადგან ძირითადად მონების შრომას იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, პირადი ქირავნობის ხელშეკრულებანი ათენში იდებოდა როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე სხვადასხვა საშინაო და სხვაგვარი მომსახურებისათვის ქალაქად, აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოთა შესასრულებლად. ატიკის გლეხები და ათენელი ხელოსნები ვერ უძლებდნენ კონკურენციას მონათმფლობელებთან, რომლებიც მონების იაფ შრომას იყენებდნენ; ისინი ჩანაგდებოდნენ და იძულებული ხდებოდნენ სხვებისათვის გაეწიათ მომსახურეობა — ერთნი მოჯამაგირეებად დგებოდნენ, მეორენი—დაქირავებულ მუშაკებად. დაქირავებული მუშაკები შრომობდნენ ხომალდების აგებაზე, სხვადასხვაგვარ სახელოსნოებში, არმიასა და ფლოტში.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდებოდა ნარდი სამუშაო—ergolabeia. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ სამუშაოთა ნარდად შესრულებას. წარწერებიდან ცნობილია ნარდი სამუშაოს ხელშეკრულებანი, რომლებსაც სდებდნენ წყალსადინარი არხის გასაყვანად, ჭაობების

---

[1] VI საუკ. ჩ/წ

ამოსაშრობად, ტაძრის რემონტისა და შენების მოთავებისათვის და სხვ. სანარდო სამუშაოს წარმოადგენდა აგრეთვე მონის გაწრთვნის ხელშეკრულება და სხვ.

4. მინათხოვრება. ათენის სამართლისათვის ცნობილი იყო მინათხოვრების ხელშეკრულება, ე. ი. ნივთის უსასყიდლოდ სარგებლობაში მიცემის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებას ეწოდება chisis. წყაროებში ასეთი ხელშეკრულების მაგალითია დემოსთენის მიერ ტიმოთეს წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვაში მოთხრობილი შემთხვევა, როცა ხსენებულმა მხედართუფროსმა, რათა თავის სტუმრებს კარგად გამასპინძლებოდა, ბანკირ პასიონისაგან ინათხოვრა ხალიჩები, საბნები და ვერცხლის დოქები. მინათხოვრების ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი ნივთებიც. ასე, მოყვანილ მაგალითში პასიონმა შეცდომით მისცა არა თავისი, არამედ სხვისი დოქები, რომლებიც მას შესანახად ჰქონდა მიბარებული.

მინათხოვრების ხელშეკრულებით ნივთის მოხმარება, ქირავნობისაგან განსხვავებით, უსასყიდლოდ ხდებოდა.

5. სესხი. სესხის ხელშეკრულების საგანს შეადგენდნენ ნივთები, რომლებიც განისაზღვრებიან არა ინდივიდუალური, არამედ გვარეობითი ნიშანთვისებებით, ე. ი. წონით, რიცხვით, ზომით, მაგალითად, განსაზღვრული ხარისხის განსაზღვრული რაოდენობა ფქვილი, გარკვეული ჯიშის ამდენი და ამდენი ცხვარი და სხვ. ფული ასეთი ხელშეკრულების ჩვეულებრივ საგანს წარმოადგენს.

სესხის ხელშეკრულება ფართო გავრცელებას ჰპოულობს ათენში. ისოკრატისა და დემოსთენის სიტყვებში სესხი არაერთხელაა მოხსენიებული. ლისის სიტყვები, სპეციალურად სესხისადმი მიძღვნილი, სამწუხაროდ, დაკარგულია.

როგორც წესი, სესხს აძლევდნენ იმ პირობით, რომ პროცენტი გადაეხადათ. მაგრამ არსებობდა უპროცენტო სესხიც (àtokon chréos). თუმცა პროცენტების გადახდევინებისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას ვხვდებით ისეთი ბერძენი მოაზროვნეების შრომებში, როგორიც არიან პლატონი („კანონები", V, 742) და არისტოტელე („პოლიტიკა", I, 3), მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ფართოდ ვერ გავრცელებულა.

პირიქით, მევახშეობამ მაღალ განვითარებას მიაღწია ძველ საბერძნეთში და განსაკუთრებით ათენში.

VII—VI საუკუნეებში, სოლონის რეფორმამდე, ფართოდ მიმართავდნენ საკრედიტო ოპერაციებს სოფლად, რაც თავისუფალ გლეხთა დაკაბალებას იწვევდა. სოლონის რეფორმას სოფლად საკახშო ოპერაციები არ მოუსპია. მართალია, ეს ოპერაციები ახლა კაბალას არ იწვევენ, მაგრამ გლეხს აჩანაგებენ და მას მიწის ნაკვეთს აკარგვინებენ. ქალაქადაც მევახშეობა დიდადაა გავრცელებული. IV საუკუნეში ჩნდებიან სპეციალური ზარაფები, მეწარმენი, რომლებიც საკრედიტო ოპერაციებს ეწევიან, ეგრეთწოდებული „ტრაპეზიტები", სიტყვისაგან „ტრაპეზა" — მაგიდა (ანალოგიურად იტალიურისა — „banco", საიდანაც წარმოსდგა სიტყვა „ბანკირი").

მევახშეობას ეწევიან ტაძრებიც. ასე, ერთი წარწერა გვაძლევს წარმოდგენას, თუ რა ფართო ხასიათი ჰქონდა კუნძულ დელოსზე არსებული აპოლონის ტაძრის საკრედიტო ოპერაციებს.

სესხის ხელშეკრულება არავითარ ფორმალობას არ მოითხოვდა. იგი შეიძლებოდა დადებულიყო სიტყვიერად და უმოწმეებოდაც კი. მაგრამ, ხელშეკრულების დადებისა და ფულის გადაცემისას ჩვეულებრივ ისწრებდნენ მოწმეებს, ხოლო ზოგჯერ სესხის შესახებ ადგენენ აგრეთვე წერილობითს დოკუმენტს — syngraphe.

ქალი სესხის ხელშეკრულებას ვერ დასდებდა ვერც როგორც გამსესხებელი და ვერც როგორც მსესხებელი, თუ ამაზე თანახმა არ იყო მისი kyrios (იხ. გვ. 280).

სესხად აღებული ვადაზე უნდა დაებრუნებინათ. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შესაძლებლობა ეძლეოდა დაეცვა თავისი ინტერესები მთელი რიგი სხვადასხვანაირი საშუალებით.

ფულის პროცენტებით გაცემა ძველ საბერძნეთში ფართოდ იყო გავრცელებული. ამასთან პროცენტების ოდენობა არსად არ იზღუდებოდა. ათენში პროცენტთა ოდენობის დაწესების თავისუფლება დაშვებული იყო სოლონის კანონებით. სინამდვილეში ვერ შეხვდებოდით ისეთ სესხს, რომელიც წელიწადში ათ პროცენტზე ნაკლებად ყოფილიყოს გაცემული. ნორმალურად ითვლებოდა 12—18% გადახდევინება წელიწადში; მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში პროცენტების ოდენობა მატულობდა 22½ და 30-მდეც კი წელიწადში. პროცენტების ვადაზე გადახდის დაყოვნებისას დაიშვებოდა პროცენტებზე პროცენტების დარიცხვა.

6. ნივთების შენახვა (მინაბარი). ამ ხელშეკრულების (parakatathéke) შესახებ მითითებებს ვპოულობთ პლატონის, არისტოტე-

ლეს, ლისიუსის ნაშრომებში. შინათხოვრებისაგან განსხვავებით ნივთი მინაბარის დროს გადაიცემა არა სახმარებლად, არამედ შესანახად. ნივთის მიმღები მხარე ვალდებულია შეინახოს იგი და დაუბრუნოს პატრონს მისი პირველი მოთხოვნისთანავე. ნივთის დაბრუნებაზე უარისთქმა უნამუსო საქციელად ითვლებოდა, მაგრამ არ იწვევდა იმ პირის პასუხისმგებლობას, რომელსაც ნივთი შესანახად მიიღო. დაზარალებულს შეეძლო წარედგინა სარჩელი—dike parakatathèke ნივთის მიმღებ პირს, თავის მხრივ, შეეძლო სარჩელის საშუალებებით მოეთხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან ნივთის შენახვასთან დაკავშირებით გასწია.

ნივთის შენახვის ხელშეკრულების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა ფულის გადაცემა ბანკირებისათვის („ტრაპეზიტებისათვის"), რაც ბანკირებს უფლებას ანიჭებდა გამოეყენებინათ ეს ფული და, მაშასადამე, დაებრუნებინათ სხვა მონეტა, და არა ის მონეტა, რომელიც შესანახად იყო მიბარებული. ეს ხელშეკრულება, უეჭველია, ისე უახლოვდება სესხს, რომ მისგან ვერც კი განასხვავებ, მაგრამ ათენში, როგორც ძეგლები მოწმობენ, ეს ხელშეკრულება განიხილებოდა როგორც მინაბარის ხელშეკრულება—parakatathéke. ეს ნაირსახეობაა სწორედ იმ ი რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ი მინაბარისა, რომელზედაც უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ, როცა ძველი ბაბილონის სახელშეკრულებო სამართალს შევეხეთ.

ტრაპეზიტები თავიანთი კლიენტების ანაბარებით სარგებლობდნენ იმისათვის, რომ დაეფინანსებინათ ვაჭრები, რომლებიც აპირებდნენ დაექირავებინათ გემი ან შეესყიდათ საქონელი ზღვისიქითური ვაჭრობისათვის. რაც შეეხება მეანაბარეებს, ისინი, თავიანთ ანაბარებში კუთვნილი მცირე პროცენტის გარდა, კიდევ ზოგიერთ სხვაგვარ სარგებლობას იღებდნენ ტრაპეზიტებისათვის ფულის მიცემით: ისინი ტრაპეზიტებს აკისრებდნენ ანგარიში გაეწიერებინათ მათი კრედიტორებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თავს იზღვევდნენ გაქურდვისა ან გაძარცვისაგან.

7. ამხანაგობის ხელშეკრულება. ათენში ფართოდ იყო გავრცელებული მოქალაქეთა სულ სხვადასხვაგვარი გაერთიანებანი (kcinoniai). ამ გაერთიანებათა თავისუფლება, გაის მოწმობით, ჯერ კიდევ სოლონის კანონებით იქნა აღიარებული. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც წესი, წერილობითი აქტით ფორმდებოდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით ხელშეკრულების მონაწილეებს ანაბარები შეჰქონდათ ამხანაგობის საერთო ქონების შესაქმნე-

ლად. ამხანაგები ერთიმეორის წინაშე პასუხისმგებელნი იყვნენ იმ ზარალისათვის, რასაც საქმის ბოროტგანზრახული ან დაუდევარი გაძღოლა გამოიწვევდა. მაგრამ პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ალბათ, შერბილებული იყო. ყოველ შემთხვევაში, არისტოტელე „ნიკომაქის ეთიკაში“ სწერს, ამხანაგობაში ყოველ-გვარი ურთიერთობა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც მეგობრებს აქვთ: „en koinonia gar he philia“ („ეთიკა“, VIII, II).

ამხანაგობანი ათენში სარგებლობდნენ უფლებით—შეეძინათ თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით უძრავი და სხვაგვარი ქონება.

შემოსავალი და ზარალი ამხანაგობის წევრებს შორის იყოფოდა ხელშეკრულების პირობების თანახმად, ხოლო თუ ასეთი პირობები არ იყო, — მათი შენატანის ღირებულების პროპორციულად. ყოველ შემთხვევაში, არისტოტელე იუწყება, რომ ასეთი წესი მიღებული იყო იმ ამხანაგობებში, რომლებშიც მონაწილენი თავიანთ კაპიტალებს აერთიანებდნენ („ნიკომაქის ეთიკა“, VIII, 16).

ათენში არსებულ სხვადასხვა გაერთიანებათა შორის აღვნიშნავთ ამხანაგობებს, რომლებიც შექმნილი იყო საერთო ძალებით ღრეობათა, ეგრეთწოდებული „ერანოსის“ მოსაწყობად. „ერანისტების“ გაერთიანებანი თავიანთ განსაკუთრებულ ქონებას ჰფლობდნენ და წარმოადგენდნენ თავისებურ კლუბებს, რომლებიც მეგობრებსა და თანამოაზრეებს აერთიანებდნენ. ათენში არსებობდნენ აგრეთვე თანამესუფრეთა (სისიტიების) საზოგადოებანი, რომელთა წევრები ერთად საზრდოობის მოსაწყობად ერთიანდებოდნენ (ჩვეულებრივ უცოლონი, ქვრივნი). იყო რელიგიური მიზნებისათვის განკუთვნილი ამხანაგობანი. არსებობდნენ აგრეთვე ამხანაგობანი, რომელთა დანიშნულება იყო ურთიერთდახმარება დაკრძალვის მოწყობისას. აღვნიშნავთ აგრეთვე იმ პოეტთა, მსახიობთა და მუსიკოსთა ამხანაგობებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ღმერთ დიონისის პატივსაცემად მოწყობილ დღესასწაულობაში; ეს ამხანაგობანი შეიქმნა IV საუკუნეში. ათენის სამეურნეო ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ მრავალრიცხოვანი სხვადასხვაგვარი ამხანაგობანი —მეხომალდეთა, ბანკირთა და სხვა.

ბერძნული სავალდებულებო სამართლისათვის ცნობილი იყო აგრეთვე მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ი ს ა და ს ა კ ო მ ი ს ი ო ხელშეკრულებანი.

8. დელიქტებიდან გამომდინარე ვალდებულებანი

ძველ-ბერძნულ სამართალში, ისევე როგორც ძველ-რომაულში, ნებადაურთველი მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებდა პიროვნებას ან მოქალაქის ქონებას, მთელ რიგ შემთხვევებში იწვევდა არა სასჯელს, არამედ ჯარიმას დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ჯარიმა თავისი ოდენობით ხშირად აღემატებოდა დელიქტით მიყენებულ ზიანს, ასე რომ დელიქტები თითქოს საფუძველს წარმოადგენდნენ დამნაშავის დასასჯელად დაზარალებულის ინიციატივითა და ინტერესებისათვის.

ქონებისათვის მიყენებული ყოველგვარი ზარალი საფუძველს იძლეოდა dike blàbes სარჩელის წასაყენებლად. ამ სარჩელს წაუყენებდნენ, მაგალითად, მეზობელს, რომლის მიზეზითაც ყანა წყლით წაილეკებოდა. აღნიშნულ სარჩელს წაუყენებდნენ იმას, ვინც სხვის ტანისამოსს დახევდა ან სხვის ქონებას დააზიანებდა. ამ სარჩელით იმუქრებოდა, მაგალითად, არისტოფანის კომედია „კრაზანებში“ მეფუნთუშე, რომელსაც გამვლელმა დაუდევრობით პურიანი კალათი გადაუყირავა. დემოსთენის სიტყვები ამ სარჩელის გამოყენების სხვა მაგალითებსაც შეიცავენ, როგორიცაა, მაგალითად, სარჩელი ზარალის გამო, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოპასუხის მიზეზით ჩაიშალა ხელსაყრელი საზღვაო ოპერაცია, ან სარჩელი ზარალის გამო, რაც გამოწვეულია მეურვის მიერ თავის მოვალეობათა ცუდად შესრულებით.

ოჯახის მამა პასუხს აგებდა მისი შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის, პატრონი — მისი მონის მიერ მიყენებული ზიანისათვის. მაგრამ მონის პატრონს შეეძლო პასუხისმგებლობისათვის თავი დაეღწია, თუ იგი დაზარალებულს გადასცემდა ზიანის მიყენებაში დამნაშავე მონას. ცხოველის პატრონი პასუხს აგებდა ამ ცხოველის მიერ მიყენებული ზარალისათვის, მაგრამ აგრეთვე შეეძლო თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა, დაზარალებულისათვის ცხოველის გადაცემით.

შეიძლებოდა თუ არა dike blàbes გამოყენება ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების მოსათხოვნად? ამ საკითხზე სხვადასხვა აზრისა არიან. სამართლის ისტორიკოსებს შორის ზოგიერთნი ამ კითხვას დადებითად უპასუ-

ხებენ და ფიქრობენ, რომ სარჩელი dike blàbes ვრცელდებოდა აგრეთვე ხელშეკრულებათა შესრულების მოთხოვნებზე ან მათი შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე.

მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი blabes სარჩელის გამოყენების შემთხვევაში, მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებით განისაზღვრებოდა, მაშინ როცა დელიქტურ ვალდებულებათა დროს ზოგიერთ შემთხვევაში, სახელდობრ თუ ზიანის მიმყენებლის მოქმედება განზრახ ან სავსებით შეგნებულად იყო ჩადენილი, დაზარალებულს შეეძლო მოეთხოვა ორმაგად გადაეხადათ მისთვის ზარალის თანხა, ე. ი., არსებითად, შეეძლო ჯარიმა მოეთხოვა.

ზიანი, მიყენებული არა ქონებისათვის, არამედ პიროვნებისათვის, სხვა სარჩელთა და საჩივართა საფუძველს წარმოადგენდა. ამას ეკუთვნის მოქმედებით შეურაცხყოფა, ცემა, სხვადასხვაგვარი ძალადობა. აქ საქმე უფრო დანაშაულს ეხება, ვიდრე ქონებრივი ხასიათის დათმობას, რაც ვალდებულების საგანს შეადგენს.

§ 64. ქორწინება და ოჯახი

დაქორწინება სავალდებულოდ ითვლებოდა ათენში. პლატონი ლაპარაკობს კანონზე, რომელიც მოქალაქეებს დაქორწინებას ავალდებულებდა („ლხინი", 192a). მაგრამ უქორწინობა არავითარ სასჯელს არ იწვევდა; იგი მხოლოდ უბედურებად ან ურჯულობად იყო მიჩნეული, რამდენადაც უქორწინობა აუცილებლად იწვევდა წინაპართა კულტის შეწყვეტას.

არქონტ-ბაზილევსის და სტრატეგების თანამდებობაზე მხოლოდ ცოლიანი მოქალაქენი შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ.

ჰომიროსის ეპოქაში დაქორწინება შესყიდვით ხდებოდა. სასძლოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ერთმანეთთან სდებდნენ ქალიშვილის მამა და საქმრო. ქალიშვილის მამა ან პირი, რომელიც მამის მაგიერი იყო (kyrios) საქმროსაგან იღებდა პირუტყვს და სხვა ძვირფას საგნებს (hedna), ხოლო მამა თავის მხრივ საჩუქარს მიართმევდა საქმროს (მეილია). ასე, „ოდისეაში" აფროდიტეს ქმარი გეფესტი, ცოლის ორგულობაში რომ დარწმუნდება, ზევსისაგან მოითხოვს „ჰედნას" დაბრუნებას.

ქორწინებამ ათენში მერეც შეინარჩუნა იმის ნიშნები, რომ იგი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან წარმოიშვა. ქალი ქორწინების ხელშეკრულებაში პასიურ როლს, უფრო ხელშეკრულების

ობიექტის როლს ასრულებს, ვიდრე ერთ-ერთი მხარისას. საქმრო ქორწინების ხელშეკრულებას სდებს არა სასძლოსთან, არამედ ოჯახის მეთაურთან (kyrios) მამასთან ან სხვა ნათესავთან, რომლის მეურვეობაში სასძლო იმყოფება. სასძლოს საფასური — „ჰედნა“ — ისევ რჩება ხელშეკრულების აუცილებელ პირობად, თუმცა შესაძლოა, რომ მას ახლა მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდეს.

მზითევის დაწესება მამისათვის სავალდებულო არ იყო; თუ ქალიშვილს მისი ძმა გაათხოვებდა, იგი ვალდებული იყო მისთვის მზითევი მიეცა. ქმარი განაგებდა მზითევად მიღებულ ქონებას, რომელიც მას მთლიანად უნდა შეენახა ქორწინებაში შობილი შვილებისათვის.

განირჩეოდა დაქორწინების ორი ფორმა: ა) engiesis—საქმროს ჩვეულებრივი ხელშეკრულება სასძლოს kyrios-თან და ბ) epidikasia—დაქორწინება თანამდებობის პირთა ან სასამართლოს წინაშე. უკანასკნელ ფორმას მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავდნენ: როცა ათხოვებდნენ მემკვიდრე ქალიშვილს, სხვა პირის მიერ შვილად აყვანილ ქალიშვილს ან როცა შვილობილი ირთავდა ცოლს.

ათენის ოჯახი მონოგამიური ოჯახი იყო. ქალს მასში დაქვემდებარებული, დამცირებული მდგომარეობა ეკავა. მაგრამ სინამდვილეში ოჯახი მხოლოდ ქალისათვის იყო მონოგამიური. მამაკაცს „ამას გარდა ხშირად მხევლები ჰყავდა თავის განკარგულებაში, ხოლო ათენის აყვავების პერიოდში ფართოდ გავრცელებული იყო პროსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფოც მფარველობდა“ (ენგელსი). მაგრამ მამაკაცის კავშირს სხვა ქალებთან, გარდა ცოლისა, არავითარი იურიდიული შედეგი არ მოსდევდა. მამაკაცის თანამეცხედრეობა სხვა ქალთან, ზოგიერთ მეცნიერთა აზრის წინააღმდეგ (ჟიდი, ბუერმანი), არც ამ ქალს, არც მის შვილებს არავითარ კანონიერ მდგომარეობას არ აძლევდა.

ქალის პირადი მდგომარეობა ქორწინებაში იმით განისაზღვრებოდა, რომ მამამისის ან სხვა kyrios-ის ძალაუფლების გვერდით მის მიმართ ქმრის ძალაუფლება ჩნდება, ასე რომ ერთსა და იმავე დროს როგორც ერთის, ისე მეორის ძალაუფლება მოქმედებს.

ათენელი ქალის მდგომარეობა ქმრისადმი დამორჩილებით და განმარტოებულობით ხასიათდებოდა. მონოგამიური ოჯახი ბერძნებში, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი თავისი სიმ-

კაცრით"[1] გვევლინება. ქალები შინ განცალკევებულ სადგომში ცხოვრობდნენ, სადაც შესვლა მამაკაცებისათვის აკრძალული იყო. სახლიდან ქალები მხევლების თანხლებით გამოდიოდნენ, შინაც ისინი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. გათხოვილი ქალის ინტერესები ოჯახური საქმეების ვიწრო სფეროთი, მეურნეობისათვის ზრუნვით და მხევლების მართვით იფარგლებოდა. ენგელსი ამბობს: „ევრიპიდე ქალს oicurema-დ, საოჯახო ნივთად სთვლის (ეს სიტყვა საშუალო სქესისაა); ათენელის შეხედულებით იგი ბავშვების გამჩენი და მთავარი შინამოსამსახურე იყო და მეტი არაფერი"[2].

გაყრა მამაკაცისათვის თავისუფალი იყო, ქმარს ყოველ დროს შეეძლო ცოლი გაეშვა. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო დაებრუნებინა ცოლისათვის მისი მზითევი, თუკი გაყრა ცოლის ღალატით არ იყო გამოწვეული. ამასთან არავითარი ფორმალობა და, კერძოდ, არავითარი მიმართვა თანამდებობის პირისადმი არ იყო საჭირო. სხვანაირად იყო საქმე, როცა გაყრა ცოლის სურვილით ხდებოდა. ცოლს არქონტისათვის წერილობითი განცხადებით უნდა მიემართა, სადაც გაყრის საბუთები უნდა ყოფილიყო მოყვანილი. ეს, ქალის დამოკიდებული მდგომარეობის გამო, ზოგჯერ როდი იყო მისთვის ადვილი საქმე. პლუტარქი ალკივიადეს ბიოგრაფიაში მოგვითხრობს, როცა ალკივიადეს ცოლმა გიპარეტამ, რომელიც თავისი ქმრის უწესრიგო ცხოვრებით უკმაყოფილო იყო, გადასწყვიტა არქონტისათვის მიემართა და გაყრა ეთხოვა, იგი ალკივიადემ მოედანზე შეიპყრო და შინ დააბრუნა. მართალია, გაყრის საქმე ცოლის მაგივრად შეეძლო მამამისს აღეძრა და მოეთხოვა ქალიშვილის თავის სახლში დაბრუნება, თუ მას ქმარი ცუდად ეპყრობოდა.

წყაროები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ქმარს არათუ შეეძლო ყოველ დროს შეეწყვიტა თავისი ცოლქმრობა, არამედ შეეძლო თავისი ცოლი სხვაზედაც კი გაეთხოვებინა. ასე, პლუტარქი მოგვითხრობს, რომ პერიკლემ თავისი ცოლი სხვა პირს გადასცა, მართალია, ამ ახალ ქორწინებაზე მისი თანხმობით. ბანკირმა სოკრატემ თავისი ცოლი გააზატებულ სატირზე გაათხოვა.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 63.

[2] იქვე, გვ. 64.

მამის მშობლური ძალაუფლება თავდაპირველად მეტად ფართო იყო: მამას სიკვდილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდა თავისი შვილების მიმართ. სოლონამდე რჩებოდა მამის უფლება მონებად გაეყიდა თავისი შვილები. სოლონმა სცნო მამის უფლება გაეძევებინა შვილი მამის არასაკმაო პატივისცემისათვის.

მაგრამ დროთა ვითარებაში მამის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შერბილდა, ასე რომ V საუკუნეში ოჯახის პირველყოფილი შეუზღუდავი ძალაუფლებისაგან ათენში ცოტა-ღა იყო დარჩენილი. მამას უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ბავშვზე მისი დაბადების პირველ დღეებში, თუ იგი თავისად არ მიაჩნდა. მოქალაქეს, რომელსაც ბავშვის აღსაზრდელად სახსრები არ გააჩნდა, შეეძლო იგი ხელისუფალთათვის გადაეცა სახელმწიფო ხარჯზე აღსაზრდელად. მამას შეეძლო უარი ეთქვა შვილზე და წაერთმია მისთვის მემკვიდრეობა, თუ შვილი მამას ცუდად ეპყრობოდა. მამას შეეძლო თავისი ქალიშვილი გაეთხოვებინა იმაზე, ვისაც იგი მოისურვებდა, და შეეძლო ანდერძშიც კი აღენიშნა, თუ ვისზე უნდა გათხოვილიყო მისი ქალიშვილი.

შვილებს პატივისცემა და მორჩილება უნდა გამოეჩინათ თავიანთი მშობლებისადმი. გარდა ამისა, შვილს უნდა ერჩინა სიღარიბეში ჩავარდნილი თავისი მშობლები. ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას შეეძლო გამოეწვია შვილის გამტყუნება სასამართლოს წინაშე მშობლებისადმი ცუდად მოპყრობაში.

§ 65. მემკვიდრეობითი სამართალი

თუ გარდაცვლილი ანდერძს არ დასტოვებდა, დამემკვიდრება კანონის მიხედვით ხდებოდა. დამემკვიდრების წესი შემდეგი იყო. პირველ რიგში მემკვიდრენი ხდებოდნენ გარდაცვლილის ვაჟიშვილები. ქალიშვილი მემკვიდრედ არ ითვლებოდა იმ შემთხვევაში, როცა ვაჟიშვილი იყო. მას შეეძლო მხოლოდ იმის ვარაუდი ჰქონოდა, რომ გათხოვებისას თავისი ძმისაგან მზითევს მიიღებდა. ვაჟიშვილებს შორის მემკვიდრეობა თანაბრად იყოფოდა. ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვებს მამის ქონების დამემკვიდრების უფლება არა ჰქონდათ; კანონი ნებას რთავდა მათთვის ანდერძით დაეტოვებინათ არა უმეტეს ერთი ათასი დრაჰმისა.

თუ გარდაცვლილს პირდაპირი მემკვიდრენი არა ჰყავდა, მის ქონებას დაემკვიდრებოდნენ გვერდითი ნათესავები, პირველ რიგში

—ძმები და ძმისწულები (თუ ასეთები არ იყვნენ — დები და ძმისწული ქალები), მეორე რიგში — ბიძები, ბიძაშვილები და მათი შვილები და ა. შ.

შვილები მამის სიკვდილის შემთხვევაში გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილ ქონებას ისე ეუფლებოდნენ, რომ საჭირო არ იყო დაუფლების რაიმე ფორმალობის შესრულება, ე. ი. სასამართლოს ან ადმინისტრაციის ორგანოს რაიმე დადგენილების გამოუტანლად. გვერდითს ნათესავებს მემკვიდრეობის უფლებებში დასამტკიცებლად სასამართლოსათვის უნდა მიემართნათ სარჩელით (epidikasia).

ანდერძით დამემკვიდრება ათენში სოლონის დროიდან ჩნდება. ანდერძის ნამდვილობისათვის საჭირო იყო, რათა მოანდერძე საღ გონებაზე ყოფილიყო და რათა მას ფიზიკური თუ ფსიქიური იძულება არ განეცადა. სოლონის კანონით ანდერძის დატოვება მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც მამრობითი სქესის კანონიერი შვილები არა ჰყავდა. გარდა ამისა, ანდერძის დატოვება არ შეეძლოთ არასრულწლოვანებს და ქალებს. შვილობილსაც არ ჰქონდა თავისი ქონების გაანდერძების უფლება, რადგან, თუ მას ჩამომავლობა არ გააჩნდა, მისი ქონება მშვილებელის ოჯახის ხელში გადადიოდა. დასასრულ, პირებს, რომლებსაც ეკავათ საზოგადოებრივი სახსრების გამგებლობასთან დაკავშირებული თანამდებობანი, არ შეეძლოთ მანამდე დაეტოვებინათ ანდერძი, სანამ მათი თანამდებობრივი ანგარიშები არ იქნებოდა დამტკიცებული. თუ მოანდერძეს მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მას შეეძლო თავისი ქონება სხვა პირისათვის ეანდერძებინა, ოღონდ იმ პირობით, რომ მემკვიდრეს მისი ქალიშვილი შეერთო ცოლად. თუკი მოანდერძეს რამდენიმე ქალიშვილი ჰყავდა, მას შეეძლო მემკვიდრე დაენიშნა და მისზე მიეთხოვებინა ერთ-ერთი ქალიშვილი, მაგრამ ამასთან ერთად დაეკისრებინა მისთვის ვალდებულება, რომ დანარჩენ ქალიშვილებს გაათხოვებდა და ყველას მზითევს მისცემდა.

ერთადერთ მემკვიდრე ქალიშვილს „ეპიკლეროსი“ ეწოდებოდა. კანონი მას დიდ ყურადღებას უთმობდა და მზრუნველობას იჩენდა მასზე. თუ მამა მას ანდერძით საქმროს არ დაუნიშნავდა, მისთვის ქმრის გამონახვის მოვალეობა არქონტს ეკისრებოდა. ამ ქალიშვილის ცოლად შერთვის უფლება პირველ რიგში, როგორც ეტყობა, მის მამის მხრით ნათესავებს ეკუთვნოდა.

§ 66. დანაშაული და სასჯელი

ათენის სამართალი დანაშაულისა და სასჯელის საკითხებში გვაროვნული წყობილების საკმაოდ ბევრ გადმონაშთს ინარჩუნებდა. ეს თავს იჩენდა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მკვლელობა განიხილებოდა როგორც ისეთი საქმე, რომელიც მოკლულის ნათესავებს აინტერესებდათ, და არა სახელმწიფოს ორგანოებს. სავსებით დასაშვებად ითვლებოდა მოკლულის ნათესავთა გარიგება მკვლელთან მკვლელობის ანაზღაურების შესახებ. თუ მოკლულს უახლოესი ნათესავები არა ჰყავდა, ამ საზღაურს იღებდა იმ გვარის 10 წევრი, რომელსაც მოკლული ეკუთვნოდა. იმ შემთხვევებში, როცა ნათესავები დევნას აღძრავდნენ მკვლელის წინააღმდეგ, მათი სარჩელი კერძო დევნის (dike) ხასიათს ატარებდა, და არა ისეთი ბრალდებისას, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეხებოდა (draphe). მკვლელს შეეძლო აგრეთვე თავიდან აეცილებინა სასჯელი, თუ ნებაყოფილობით გადაიხვეწებოდა. მაგრამ უკან დაბრუნების შემთხვევაში იგი კანონგარეშე მდგომად ითვლებოდა და შეეძლოთ დაუსჯელად მოეკლათ.

არქაულ გადმონაშთს წარმოადგენდა აგრეთვე შეურაცხყოფილი ქმრის უფლება — მოეკლა ცოლის საყვარელი, რომელსაც იგი დანაშაულზე წაასწრებდა. დასასრულ, თვითონ განსხვავება სისხლის სამართლის ბრალდების ორი ფორმისა—dike და graphe უფრო ადვილად აიხსნება იმით, რომ ათენის სახელმწიფო უშუალოდ გვაროვნული საზოგადოებიდან წარმოსდგა. ორივე შემთხვევაში ბრალდებას დაზარალებული აღძრავდნენ და იცავდნენ. მაგრამ dikai-ს დროს ბრალდებული ზარალის ანაზღაურებას ან ჯარიმას სარჩლობდა, და მხოლოდ graphai-ის დროს ეხებოდა საქმე საკუთრივ დამნაშავის დასჯას.

dikai-ის ეკუთვნოდა მეტად სერიოზული უფლების დარღვევანი, ისეთები, როგორიცაა მკვლელობა, ქალიშვილის მოტაცება, მოწამლვა, ცეცხლისწაკიდება. ისინი ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პერიოდში გახდნენ კომპოზიციების საგნად, და ის სანქცია, რომელიც ჯერ კიდევ გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის დროს შეიქმნა, სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც შერჩა პიროვნების ამ ხელჰყოფას.

დაზარალებულს მთელ რიგ შემთხვევებში საშუალება ეძლევა აირჩიოს ან dike ან graphe. მას შეუძლია საჩივრის ამა თუ იმ ფორმაზე შეჩერდეს, იმის მიხედვით, ამჯობინებს იგი ზარალის

ანაზღაურების სარჩლობას, თუ დამნაშავის დასჯას. ასე, დემოსთენის ერთ-ერთი სიტყვიდან (L. IV, I) ჩვენ ვტყობილობთ, რომ ვიღაც მომჩივანი, მოქმედებით შეურაცხყოფილი და გაძარცული, ამჯობინებს მხოლოდ ზარალის ანაზღაურების სარჩლობას, და არა შეურაცხმყოფელის დასჯას.

სასჯელი ათენში შემდეგი იყო. ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა დროს, როგორიცაა წინასწარგანზრახული მკვლელობა, სახელმწიფო ღალატი, უღვთოობა, სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული, ამასთან მსჯავრდადებულს უფლება ენიჭებოდა განაჩენი საწამლავის მიღებით მოეყვანა სისრულეში. ზოგჯერ ამავე მიზნით მას ასარჩევად აძლევდნენ მახვილსა და თოკს. ასე ეპყრობოდნენ პროფესიონალ ავაზაკებსა და მძარცველებს (kakourgoi), რომლებიც თითქოს კანონგარეშე მდგომებად ითვლებოდნენ. სასჯელი მონებისა და თავისუფალთათვის ერთნაირი არ იყო. იმ შემთხვევებში, როცა თავისუფალი მოქალაქე მცირეოდენი ჯარიმით დააღწევდა თავს, მონას გაჯოხავდნენ. გაჯოხვა მხოლოდ მონებისათვის იყო დაწესებული. თავისუფალთა ჩვეულებრივი სასჯელი იყო ჯარიმა და კონფისკაცია. დაპატიმრებას მიმართავდნენ მხოლოდ როგორც აღკვეთის ღონისძიებას გაქცევის თავიდან აცილების მიზნით.

სასჯელის სახით ფართოდ მიმართავდნენ ღირსების აყრას — ა ტ ი მ ი ა ს, რაც მდგომარეობდა ზოგიერთი პოლიტიკური უფლების აყრაში და რასაც ზოგ შემთხვევაში თან სდევდა ქონების კონფისკაცია.

განასხვავებდნენ სამოქალაქო უფლებათა სრულ აყრას და ცალკეულ უფლებათა აყრას. უფლება სრული აყრისას მსჯავრდადებულს არ შეეძლო რაიმე საზოგადოებრივი თანამდებობა დაეკავებინა,—არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში, არ შეეძლო ტაძრებში და დღესასწაულებზე ევლო, არ შეეძლო სასამართლოსათვის მიემართა. სხვა შემთხვევებში ატიმია იწვევდა მხოლოდ ცალკეულ უფლებათა აყრას, მაგალითად, ქურუმის თანამდებობათა დაკავების უფლების, სახალხო კრებაში გამოსვლის უფლების, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების აყრას და სხვ.

ანდოკიდე აღნიშნავს მოქალაქეთა სამ კატეგორიას, რომელთა მიმართ ათენში ატიმიას იყენებდნენ; ესენი იყვნენ: მოქალაქენი, რომელნიც სახელმწიფოს წინაშე დავალიანებულიყვნენ და რომელთაც თავიანთი ვალი ნებაყოფლობით არ გაესტუმრებიათ; პირნი, რომლებისათვის სამარცხვინო განაჩენი გამოუტანიათ, მაგალითად,

ქურდობისათვის, პროსტიტუციისათვის და სხვ.; მოქალაქენი, რომლებსაც რაიმე განსაკუთრებული უფლება ჰქონდათ აყრილი, მაგალითად, ის პირნი, რომელნიც ბოროტად იყენებდნენ ბრალდების აღძვრის უფლებას.

ფართოდ მიმართავდნენ აგრეთვე ჯარიმებსა და კონფისკაციებს. კონფისკაცია ჩვეულებრივ დაერთვოდა დამატებითი სასჯელის სახით სიკვდილით დასჯას.

შევჩერდეთ ახლა ცალკეულ დანაშაულებზე. ათენის დასჯითი პოლიტიკაში დიდი ადგილი ეკავა სახელმწიფო დანაშაულთ, როგორიცაა: სახელმწიფო ღალატი, ხალხის მოტყუება, ღმერთების შეურაცხყოფა, სახალხო კრებაში კანონსაწინააღმდეგო წინადადებათა შეტანა და სხვ. ღალატი, რომლის ცნებაშიც არსებული წყობილების ხელყოფაც შედიოდა, საფუძველს იძლეოდა დევნის ორი ფორმისათვის: katalysis tou demou და eisangelia. ამ უკანასკნელ ფორმას იმ შემთხვევებში მიმართავდნენ, როცა დამნაშავის მოქმედება სერიოზულ საფრთხეს ჰქმნიდა სახელმწიფოსათვის. ეისანგელიის დროს ჩვეულებრივი სასჯელი იყო სიკვდილით დასჯა. 411 წელს ოთხასის ოლიგარხიული მთავრობის დამხობის შემდეგ მიღებულ იქნა დემოფანტის პსეფიზმა, რომლის თანახმადაც ყველა, ვინც ხელს შეუწყობს დემოკრატიის მოსპობას ან მისი მოსპობის შემდეგ თანამდებობას დაიკავებს, ათენელთა მტრად ცხადდება და სიკვდილით ისჯება სახელმწიფოს და ქალლმერთ ათინას ტაძრის სასარგებლოდ ქონების კონფისკაციითურთ.

ხალხის „მოტყუებასაც“, რაც სახალხო კრებაში ორატორის „უპატიოსნო“ ქცევით გამოიხატებოდა, აგრეთვე შეეძლო გამოეწვია პროცესი სახელმწიფო ღალატის ეისანგელიის გამო. ასე, მილტიადეს კუნძულ პაროსზე წარუმართებელი ლაშქრობის შემდეგ ბრალად დასდეს ხალხის მოტყუება და მიუსაჯეს დიდი ჯარიმის გადახდევინება.

ღმერთების შეურაცხყოფა, უღვთოობა, ურჯულობა მძიმე სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა, რადგან რელიგიური იდეოლოგია და კულტი ძველ საბერძნეთში უაღრესად მჭიდროდ იყო სახელმწიფოსთან დაკავშირებული. რელიგია სახელმწიფო ხასიათს ატარებდა. ამიტომ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ჯერ-ერთი, სარწმუნოების შერყვნა, ნაციონალური ღმერთებისადმი სამსახურისაგან გადახვევა (მაგალითად გამოდგება სოკრატესადმი წაყენე-

ბული ბრალდება, რასაც სიკვდილით დასჯა მოჰყვა) და, მეორეც, ღმერთების საკუთრების ხელყოფა, ე. ი. ტაძრის ქონების მოპარვა ან მითვისება.

მძიმე დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე სახალხო კრებაში კანონსაწინააღმდეგო წინადადებათა შეტანა (იხ. ზემოთ, თავში „ათენის სახელმწიფო წყობილება"). graphe paranomon პროცესში ბრალის დადებას შეიძლებოდა გამოეწვია არა მარტო დაჯარიმება, არამედ დემოკრატიული წყობილების ხელყოფის გამსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში — სიკვდილით დასჯაც. პოლიტიკურ დანაშაულთა საქმეებზე ყალბი დასმენა საფუძველს იძლეოდა დამსმენი სამართალში მიეცათ სიკოფანტიაში ბრალდების გამო.

ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულნი ზოგიერთ შემთხვევაში იდევნებოდა კერძო ბრალდების წესით, ზოგ შემთხვევაში კი — ისეთი ბრალდების წესით, რომელიც სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა, — graphe. დანაშაულად ითვლებოდა შვილების ცუდი მოპყრობა მშობლებისადმი, მეურვისა—ობლებისადმი, ნათესავისა — მემკვიდრე ქალიშვილებისადმი. ამასთან, აღნიშნულ პირთა ქონებისათვის მიყენებული ზარალი უთანაბრდებოდა პიროვნებისადმი ცუდად მოპყრობას და აგრეთვე საფუძველს იძლეოდა სათანადო ბრალდების წასაყენებლად (kàkosis).

დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე დაუდევარი დამოკიდებულება ოჯახური ინტერესებისადმი, თუ ეს მთელ ოჯახს მატერიალურ ზარალს აყენებდა.

ცოლის ღალატი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქმარს უფლებას აძლევდა ადგილზე მოეკლა დამნაშავე. თუ ქმარი დამნაშავეს არ გაუსწორდებოდა, დამნაშავის წინააღმდეგ შეიძლებოდა აღძრული ყოფილიყო ბრალდება—graphe moicheias. მაგრამ თუ ეს ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა და ქმარი უდანაშაულო კაცს დააკავებდა, შესაძლებელი იყო შემხვედრი ბრალდება პასუხისმგებლობაში უსაფუძვლოდ მიცემის გამო. სისხლის სამართლის წესით დევნა იყო აგრეთვე დაწესებული ქალიშვილის მოტაცებისათვის, ამასთან მომჩივანს საშუალება ეძლეოდა აერჩია ამ შემთხვევაში dike თუ graphe. საჯარო სარჩელი graphe გათვალისწინებული იყო აგრეთვე მაჭანკლობისათვის.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან, გარდა მკვლელობისა, გათვალისწინებული იყო პიროვნების სხვა ხელყო-

ფაც: გარტყმა, ლანძღვა-გინება, ცილისწამება, შეურაცხყოფა და ა. შ. წინასწარგანზრახული შეურაცხყოფა საფუძველს იძლეოდა graphe წესით ბრალის დადებისათვის.

ქურდობისას სხვადასხვანაირი სასჯელი წესდებოდა იმის მიხედვით, წაუსწრეს თუ არა ქურდს დანაშაულის ადგილზე. თუ ქურდს დანაშაულის ადგილზე წაუსწრეს, იგი შეეძლოთ შეეპყროთ და დაემწყვდიათ, ხოლო ღამის ქურდი ამ შემთხვევაში კიდევაც შეიძლებოდა მოეკლათ. თუ დევნისას ქურდი დაიმალებოდა მეზობლად მდებარე სახლში, შეიძლებოდა ამ სახლის გაჩხრეკა. თუკი ქურდი მიმალვას მოახერხებდა და ბრალდება ქურდობის მომენტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ აღიძრებოდა, დანაშაული graphe-ს საფუძვლად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ ქურდობა ჩადენილ იქნა ბაზარში, აბანოში ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ადგილას. სხვა შემთხვევებში წაუყენებდნენ dike klopes სარჩელს, რომელიც დამნაშავეს დაჯარიმებას ემუქრებოდა მოპარული ნივთის ორმაგ ღირებულებაზე არა უმეტესი თანხით.

§ 67. სასამართლო და პროცესი

I. სასამართლო წყობილება. ათენის სახელმწიფოს უძველესი სასამართლო ორგანო იყო არეოპაგი. შემდეგში შეიქმნა ეფეტების სასამართლო. კიდევ უფრო გვიან, სოლონის დროს, შექმნეს გ ე ლ ი ე ა — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. პიზისტრატის დროს წვრილმან საქმეების გასარჩევად შემოიღეს დ ე მ ე ბ ი ს მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე თ ა ინსტიტუტი, რაც ტირანიის დამხობის შემდეგ მოსპეს და მერე აღადგინეს 30-ის კოლეგიის (უფრო გვიან — ო რ მ ო ც ი ს კ ო ლ ე გ ი ი ს) სახით. გარდა ამისა, სამოქალაქო საქმეებისათვის არსებობდა დ ი ე ტ ე ტ ე ბ ი ს — ოფიციალურად დანიშნული მედიატორეების სასამართლო. არსებობდა აგრეთვე სასამართლოები, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილი იყვნენ საქმეთა ცალკეული კატეგორიებისათვის, მაგალითად, სამადნოების საქმეთა სასამართლოები, ზღვისიქითური ვაჭრობის საქმეთა სასამართლოები, მისტერიების შესრულების წესის დარღვევის საქმეთა სასამართლოები და სხვ.

შევჩერდეთ ცალკე თვითეული სამოსამართლო ორგანოს წყობილებასა და კომპეტენციაზე.

ა) ა რ ე ო პ ა გ ი არჩევდა წინასწარგანზრახულ მკვლელობის, მოწამლვის, ცეცხლწაკიდების საქმეებს. მკვლელობა ღმერთების გულისწყრომის გამომწვევ საქმედ ითვლებოდა, ამიტომ მკვლელის დასჯას რელიგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. აი რატომ იყო, რომ მოკლულის დაკრძალვის შემდეგ მოკლულის უახლოესი ნათესავი საჩივრით მიმართავდა არქონტ-ბაზილევსს, რომლის გამგებლობაში იყო რელიგიური მნიშვნელობის საქმეები. არქონტ-ბაზილევსი განსაზღვრავდა, თუ სახელდობრ რა სასამართლოს განსჯადობისაა მოცემული საქმე (არეოპაგის, ეფეტების სასამართლოსი, გელიეასი), და ახდენდა წინასწარ გამოძიებას. არეოპაგში შესულ საქმეებს ცისქვეშ ისმენდნენ, რათა დამსწრენი არ წაბილწულიყვნენ მკვლელთან ერთ ჭერქვეშ ყოფნით. ბრალმდებელი და ბრალდებული იდგნენ ორ გაუთლელ ქვაზე, რომელთაგან ერთს ეწოდებოდა შეუწყნარებლობის ქვა, ხოლო მეორეს—შეურაცხყოფის ქვა. მკვლელს ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ შეეძლო უცხოეთში გადახვეწილიყო და ამ გზით თავი დაეღწია მსჯავრდადებისაგან. წინასწარგანზრახული მკვლელობისათვის ჩვეულებრივი სასჯელი იყო სიკვდილით დასჯა, ხოლო ჭრილობის წინასწარ — განზრახვით მიყენებისათვის — გაძევება და ქონების კონფისკაცია. თუ არეოპაგის წევრთა ხმები თანასწორად გაიყოფოდა, ბრალდებული გამართლებულად ითვლებოდა.

ბ) ე ფ ე ტ ე ბ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო არჩევდა წინასწარგანუზრახველი მკვლელობის, მკვლელობისა ან დასახიჩრებისადმი წაქეზების საქმეებს და მეტეკების მკვლელობის საქმეებს. ამ საქმეებს იგი არჩევდა პალადას ტაძართან არსებულ დარბაზში. გარდა ამისა, იგი (სხვა ადგილას, აპოლონის ტაძართან) განიხილავდა ისეთი მკვლელობის საქმეებს, როცა ბრალდებული აცხადებდა, რომ მან ჩაიდინა კანონით ნებადართული მკვლელობა (მკვლელობა თავდაცვის დროს, დანაშაულის ადგილზე წასწრებული ქურდის მკვლელობა, ცოლის საყვარლის მკვლელობა და სხვ.), ან უცაბედი მკვლელობა. იგივე სასამართლო (ზეის ნავსადგურის ახლოს) არჩევდა იმათ საქმეებს, ვისაც, წინასწარ განუზრახველი მკვლელობისათვის ათენიდან გაძევებულს, კვლავ ჩაედინა მკვლელობა. ამ შემთხვევაში ბრალდებულს, რაკი მას უფლება არა ჰქონდა ათენის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფეხი შემოედგა, ნავში ჩასვამდნენ, რომელიც ნაპირს მოადგებოდა, ხოლო მოსამართლენი ზედ ზღვის ნაპირთან სხდებოდნენ. იგივე სასამართლო განიხილავდა აგრეთვე

შემთხვევებს, როცა სიკვდილს იწვევდნენ ცხოველები და უსულო საგნები, მაგალითად, რაიმე მძიმე-საგანი, რომელიც ვინმეს მიერ განუზრახველად თავს დაეცემოდა დაზარალებულს. ამ საგნებს, აგრეთვე ცხოველებს, რომლებიც ადამიანის სიკვდილს გამოიწვევდნენ, ატიკის ფარგლებიდან გაატანდნენ თუ გაიყვანდნენ.

გ) სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად არსებობდა კიდევ თ ე რ თ მ ე ტ ი ს კ ო ლ ე გ ი ა. მისი ქვემდებარე იყო ავაზაკების, ღამის ქურდების, ჯიბგირების მოქალაქეთა მომტაცებლების და საზოგადოების სხვა დანაშაულებრივი ელემენტების საქმეები (kakourgoi).

თავდაპირველად თერთმეტის კოლეგია თვითონ ასამართლებდა ამ პირებს, შემდეგში იგი სიკვდილს მიუსჯიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე გამოტყდებოდა, სხვა შემთხვევებში კი საქმეს განსახილველად რომელიმე სასამართლოს გადასცემდა. კოლეგია ახორციელებდა აგრეთვე საპატიმროთა ზედამხედველობას და თვალყურს ადევნებდა იმას, რომ სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი დამნაშავისათვის პატიმრობის მისჯის განაჩენი, აგრეთვე სიკვდილის განაჩენი.

დ) ქონებრივი დავის საქმეებს უმთავრესად განიხილავდნენ დ ი ე ტ ე ტ ე ბ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი და „ ო რ მ ო ც ი კ ა ც ი ს“ სასამართლოში.

ათ დრაჰმაზე არა უმეტესი თანხის გამო ატეხილ წვრილმან საქმეებს საბოლოოდ განიხილავდა „ორმოცი კაცის“ სასამართლო (tettarakonti), რომელიც, როგორც ზევითაც აღინიშნა, „დემების მოსამართლეებისაგან“ წარმოსდგებოდა. ათ დრაჰმაზე მეტი თანხის, ე. ი. მეტწილი ქონებრივი დავის საქმეებზე პირველ ინსტანციად გვევლინება დიეტეტების სასამართლო. აპელაცია მის გადაწყვეტილებათა გამო გელიეაში შეჰქონდათ. მოსარჩელეს შეეძლო საქმე უშუალოდ გელეიაშიც დაეწყო, მაგრამ უხერხულად მიაჩნდათ გელიეასათვის მიემართათ, თუ თავის საქმეს თავდაპირველად დიეტეტების განსახილველად არ შეიტანდნენ. ამასთან დიეტეტების სამსჯავრო ნაკლებ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გელიასტების სამსჯავრო.

საქმეები, რომელთა განხილვაც ერთი თვის ვადაში უნდა დამთავრებულიყო, განსაკუთრებული „მომხსენებლებისა“ (eisagogeis) და აპოდექტების გასარჩევად შედიოდა. ასეთ ვადიან „თვიურ“ სადავო საქმეებად, როგორც არისტოტელე იუწყება („ათენის პოლი-

ტია", 52, 2), ითვლებოდა მზითევის დაბრუნების საქმეები, პროცესტიანი სესხის ან სახელოსნოს მოსაწყობი სესხის საქმეები, საზოგადოებათა და ამხანაგობათა საქმეები, დავა ტრიერხარიებზე და ზოგიერთი სხვა საქმე. აპოდექტები ერთი თვის ვადაში გაარჩევდნენ იჯარადართა მიერ და მათ წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს.

ვ) დასასრულ, ათენში უმნიშვნელოვანესი სასამართლო ორგანო იყო გ ე ლ ი ე ა (იხ. ზემოთ, § 55). გელიეა იყო პირველი ინსტანცია უმნიშვნელოვანეს სამოსამართლო საქმეთა გამო და სააპელაციო ინსტანცია სხვა სამოსამართლო დაწესებულებათა მიერ გადაწყვეტილ საქმეებზე.

2. სასამართლოს წარმოება. სასამართლო საქმეების დაწყება ათენის მხოლოდ სრულუფლებიან მოქალაქეებს შეეძლოთ. ქალისა და არასრულწლოვანის მაგივრად მოქმედებდა kyrios-ი, მეტეკის მაგივრად — მისი პროსტატი, მონის მაგივრად — მისი ბატონი.

უკვე აღნიშნული იყო, რომ ათენში განასხვავებდნენ ორნაირ სასამართლო საქმეებს: ა) dike და ბ) graphe. dike პროცესი იწყებოდა დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის kyrios-ის და სხვათა განცხადებით. graphe პროცესი იწყებოდა ყოველი სრულუფლებიანი მოქალაქის განცხადებით, დამოუკიდებლად იმისა, შელახული იყო თუ არა მისი პირადი ინტერესები.

dike—პროცესის დამწყებს შეეძლო იგი შეეწყვიტა და საქმე გადაწყვეტილების გამოტანამდე არ მიეყვანა.

graphe—პროცესის დამწყებს საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას 1000 დრაჰმით დაჯარიმება ემუქრებოდა. საქმის მოგების შემთხვევაში იგი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არავითარ მატერიალურ სარგებლობას არ ნახულობდა. წაგების შემთხვევაში 1000 დრაჰმით ჯარიმდებოდა, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მის სასარგებლოდ მოსამართლეთა $^1/_5$ ნაკლები მისცემდა ხმას. dike—პროცესის დროს საქმის დამწყებს სამოსამართლო გადასახადი უნდა შეეტანა, graphe—პროცესის, როგორც საერთო წესი, არავითარი გადასახადი არ იყო დაწესებული.

graphe—პროცესის დროს საქმის დამწყებს მატერიალური სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მიეღო, თუ იგი სახელმწიფოს საფინანსო უფლებათა დარღვევას უჩიოდა; გადასახადის, ბაჟის გადაუხდელობას, პურის ვაჭრობის წესების დარღვევას ან არაკეთილსინდისიერ მეურვეობას. ამ შემთხვევაში მომჩი-

ვანს ეძლეოდა კონფისკებული ქონების ნაწილი ან დამნაშავისათვის დადებული ჯარიმის ნაწილი. ესევე ხდებოდა, იმ საჩივრების მიმართაც, რომლებიც ეხებოდა ვინმეს მიერ სახელმწიფო ქონებით უკანონო სარგებლობას.

ეს სარგებლობა, რაც ბრალმდებლებისათვის ზოგიერთი სახის პროცესებში იქმნებოდა, ცალკეულ ათენელებს აქეზებდა სპეციალურად მიეყოთ ხელი დასმენისათვის, ასე რომ გაჩნდა პროფესიონალი დამსმენების — ს ი კ ო ფ ა ნ ტ ე ბ ი ს განსაკუთრებული ჯგუფი, რომელნიც ამხილებდნენ სხვადასხვა ბოროტმოქმედებას, მაგრამ ამასთან ერთად ხშირად არ ერიდებოდნენ არაკეთილსინდისიერ ბრალდებას. სიკოფანტების გამომძალველობა ბრალდების აღძვრის დამუქრებით დანაშაულად ითვლებოდა და სიკოფანტზე საჩივრის შეტანის და მის წინააღმდეგ პროცესის დაწყების საფუძველს იძლეოდა.

ბრალდებულს ან მოპასუხეს სასამართლოში გამოუძახებდნენ არა სახელმწიფოს ორგანოები, არამედ თვითონ ბრალმდებელი (მოსარჩელე); იგი მოწმეთა დასწრებით მოუწოდებდა ბრალდებულს ან მოპასუხეს დანიშნულ დღესა და საათს გამოცხადებულიყო სასამართლოში უფრო ზუსტად — იმ თანამდებობით პირთან, რომელსაც საქმისათვის მსვლელობა უნდა მიეცა. გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე დაუსწრებლად გაირჩეოდა.

თანამდებობის პირი, რომელიც საჩივარს მიიღებდა, უწინარეს ყოვლისა თვითონ მოახდენდა საქმის გამოძიებას — anakrisis. ამასთან ბრალდებულს (ან მოპასუხეს) უფლება ჰქონდა წარედგინა თავისი წერილობითი მოსაზრებანი ბრალმდებლის (მოსარჩელის) განცხადების წინააღმდეგ, ეგრეთ წოდებული paragraphe. საქმის გამოძიება სწორედ ამ მოსაზრებათა განხილვით იწყებოდა, თუ ეს მოსაზრებანი წარდგენილი იყო. მოპასუხეს შეეძლო მიეთითებინა, რომ მისი საქმე უკვე ერთხელ გაირჩა წინათ, ან რომ მოსარჩელის პრეტენზია გაბათილებულია ხანდაზმულობით, ან რომ საქმე დაწყებულია არა სათანადო წესით, ან არა იმ თანამდებობით პირთან, რომელთანაც უნდა დაწყებულიყო. თუ პროტესტი საფუძვლიანად იქნებოდა მიჩნეული, საქმე პროტესტის განხილვის შემდეგ შეწყდებოდა.

ხოლო თუ ბრალდებული (მოპასუხე) paragraphe-ს არ წარადგენდა, მოსამართლე საქმის არსებითად გამოძიებას შეუდგებოდა. მხარეები წარადგენდნენ საქმის გამო საჭირო ყველა საბუთს.

დოკუმენტებს, მოწმეთა ჩვენებას და სხვ., ფიცით ადასტურებდნენ თავიანთ მტკიცებას. მოწმეებად შეეძლოთ გამოსვლა არა მარტო თავისუფალ მოქალაქეებს, არამედ მონებსაც. მაგრამ მონებს, როგორც წესი, აწამებდნენ და ისე დაკითხავდნენ (გაშოლტვა, კიბეზე ჩამოკიდება, ცხვირში ძმრის შესხმა და სხვ.); წამება მხარეთა დასწრებით ხდებოდა. ქალებსა და არასრულწლოვანებს მოწმის ჩვენების მიცემა არ შეეძლოთ.

წინასწარი გამოძიების (ანაკრიზისის) დამთავრებისას ყველა საბუთს, მათ შორის მოწმეთა ჩვენების ჩანაწერს, სპილენძის ან თიხის განსაკუთრებულ ჭურჭლებში (ეხინები) მოათავსებდნენ და მათ დალუქავდნენ, რის შემდეგ ახალი საბუთების წარდგენა უკვე არ შეიძლებოდა, და საქმის შემდგომი განხილვისას შეიძლებოდა მხოლოდ იმ საბუთების დამოწმება, რომლებიც ეხინაში იყო მოთავსებული.

ანაკრიზისის დამთავრების შემდეგ სასამართლო სხდომის დღე დაინიშნებოდა. სასამართლოს სხდომაზე მდივანი გამოაქვეყნებდა ბრალმდებლის (მოსარჩელის) საჩივარს და მეორე მხარის საპასუხო მოსაზრებებს. შემდეგ მხარეები სიტყვებს წარმოსთქვამდნენ. სიტყვებისათვის მეტწილ შემთხვევებში გარკვეული დრო ინიშნებოდა, რომელიც წყლის განსაკუთრებული საათით (კლეპსიდრა) გამოიანგარიშებოდა. ორივე მხარეს თანაბარი დრო ეძლეოდა, ამასთან იმ დროის განმავლობაში, როცა კანონებს და დოკუმენტებს კითხულობდნენ ან მოწმეთა ჩვენებას აქვეყნებდნენ, კლეპსიდრას გააჩერებდნენ. ორატორებს ჩვეულებად ჰქონდათ შეეწყვიტათ თავიანთი სიტყვა დოკუმენტების, მოწმეთა ჩვენების გამოსაქვეყნებლად, ან სასამართლოში მყოფი მოწმეებისადმი მისამართად. მიღებული იყო ჩვეულებად მოსამართლეებზე ზეგავლენა მოეხდინათ მხარეებისათვის მისაწვდომი ყველა საშუალებით, სასამართლოს სხდომაზე მოეყვანათ მშობლები, ცოლები და ბავშვები, რომლებსაც თავიანთი თხოვნითა და ტირილით ზეგავლენა უნდა მოეხდინათ მოსამართლეებზე, თუმცაღა ეს აკრძალული იყო კანონით.

სასამართლოს სხდომა თავდებოდა ფარული ხმისმიცემით, რომლის საშუალებითაც მოსამართლეებს გადაწყვეტილება გამოჰქონდათ. ხმისმიცემა ხდებოდა მოსამართლეების ერთმანეთთან წინასწარ მოუთათბირებლად თეთრი და შავი კენჭების საშუალებით. ხმების თანასწორობისას, რომელიც შეიძლებოდა გამოსულიყო, თუ

მოსამართლე ხმისმიცემისაგან თავს შეიკავებდა (ე. ი. ორივე კენჭს ერთსა და იმავე ჭურჭელში ჩააგდებდა), ბრალდებული გამართლებულად ითვლებოდა.

რადგან სასჯელი კანონით ყველა საქმის გამო კი არ იყო გათვალისწინებული, ხშირად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ხდებოდა ხმის მიცემა სასჯელის ზომის შესახებ. წინადადებათა შეტანა შეეძლო როგორც ბრალმდებელს, ისე ბრალდებულს. სოკრატეს ცნობილ პროცესში, როცა მას წინადადება მისცეს თვითონ დაენიშნა სასჯელი, სოკრატემ გამომწვევი ტონით იწყო ლაშარაკი სახელმწიფოს წინაშე თავის დამსახურებაზე, რისთვისაც ღირსი ვარ საპატიო სადილი მივიღო პრიტანეაშიო. იგი უკიდურეს შემთხვევაში თანხმდებოდა შედარებით მცირე ჯარიმა გადაეხადა. მოსამართლეებმა ბრალმდებლის მიერ მოთხოვნილ სასჯელს დაუჭირეს მხარი და სოკრატეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განაჩენზე დაიშვებოდა აპელაცია (efesis) გელიეასადმი. გელიეასადმი შეეძლოთ აპელაციით მიემართათ სახალხო კრების გადაწყვეტილებათა გამოც კი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებდა. გელიეას გადაწყვეტილებანი საბოლოო იყო და მათი გასაჩივრება არ შეიძლებოდა. მათი გადასინჯვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ მსჯავრდადებული მოახერხებდა ახალი პროცესის აღძვრის გზით დაემტკიცებინა, რომ მოწმეთა ნახევარზე მეტმა ყალბი ჩვენება მისცა, ან თუ გამოააშკარავდებოდა, რომ იგი სასამართლოში არ ყოფილა გამოძახილი ან საპატიო მიზეზით არ გამოცხადებულა.

გადაწყვეტილების შესასრულებლად მოპასუხეს ვადას უნიშნავდნენ. ამ ვადაში გადაუხდელობისას მოსარჩელეს შეეძლო ხელთეგდო მოვალის ქონება, ხოლო თუ იგი ამასთან წინააღმდეგობას წააწყდებოდა, დაიწყებდა პროცესს გადაწყვეტილების შესრულების შესახებ (dike exoúles). თუ ამ პროცესს მოპასუხე წააგებდა, მას ხაზინის სასარგებლოდ დაედებოდა ჯარიმა, რომელიც სარჩელის თანხას უდრიდა.

თუ საქმეზე ფულადი ჯარიმის გადახდევინება დაწესდებოდა, მსჯავრდადებულს ეძლეოდა ვადა, რომლის გასვლის შემდეგ დამნაშავეს ჯარიმის გადაუხდელობისას ატიმიას მიუსჯიდნენ და პირადად შეიპყრობდნენ, თუ იგი სამ თავმდებს არ წარადგენდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯარიმა ორკეცდებოდა და, გარდა ამისა, სახელმწიფოს შეეძლო მსჯავრდადებულის ქონების კონფისკაცია მოეხდინა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

წინასიტყვაობა 3

შესავალი

მონათმფლობელური სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა

§ 1. პირველყოფილი თემური წყობილება და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები 12
§ 2. პირველყოფილი ჯოგი—ველურობის ქვედა საფეხური 15
§ 3. მეთევზეთა და მონადირეთა თემები ველურობის საშუალო საფეხურზე 16
§ 4. გვარის წარმოშობა 21
§ 5. გვარის განვითარება ველურობის ზედა საფეხურზე და ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე 24
§ 6. გვაროვნული საზოგადოებრივი წესწყობილების თავისებურებანი . . 27
§ 7. პატრიარქალური გვარი და პატრიარქალური ოჯახი 34
§ 8. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა და მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა 38
§ 9. მონათმფლობელური სამართლის წარმოშობა 45

ქარი პირველი

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო და სამ ართალი

თ ა ვ ი I. შესავალი შენიშვნები

§ 10. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების წრე 51
§ 11. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამახასიათებელი თავისებურებანი 54
§ 12. შემდგომი გადმოცემის საგანი—ეგვიპტე და ბაბილონი 54

თ ა ვ ი II. ძველი ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი

§ 13. ძველი ეგვიპტის შესახები ისტორიული ცნობების წყაროები . . . 55
§ 14. სოციალურ-ეკონომიური პირობები 56
§ 15. ეგვიპტის სახელმწიფოს განვითარების მსვლელობა 61
§ 16. ძველი ეგვიპტის სახელმწიფო წყობილება 71
§ 17. ძველი ეგვიპტის სამართალი. სამართლის წყაროები 81

§ 18. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა . 82
§ 19. საკუთრების უფლება 84
§ 20 სავალდებულებო სამართალი 86
§ 21. საქორწინო-საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი 89
§ 22. ძველი ეგვიპტის სისხლის სამართალი 91
§ 23. სასამართლო და პროცესი 93

თ ა ვ ი III. ძველი ბაბილონის სახელმწიფო

§ 24. ძველი აღმოსავლეთის შესახები ისტორიული ცნობების წყაროები . 94
§ 25. ბაბილონის სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება (მეფე ჰამურაბამდე) 95
§ 26. III—II ათასეული წლების ბაბილონის საზოგადოების საერთო დახასიათება 105
§ 27. სახელმწიფო წყობილება 107
§ 28. ბაბილონის სახელმწიფოს მერმინდელი ბედი 111

თ ა ვ ი IV. ძველი ბაბილონის სამართალი

§ 29. სამართლის წყაროები 114
§ 30. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა 119
§ 31. საკუთრების უფლება 125
§ 32. სავალდებულებო სამართალი 131
§ 33. ქორწინება და ოჯახი 153
§ 34. მემკვიდრეობითი სამართალი 159
§ 35. დანაშაული და სასჯელი 162
§ 36. სასამართლო და პროცესი 172

კარი მეორე

ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი

თ ა ვ ი V. შესავალი შენიშვნები

§ 37. გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები 180
§ 38. საბერძნეთის სახელმწიფო—მონათმფლობელური „პოლისი“ 181

თ ა ვ ი VI ჰომეროსის საბერძნეთი და პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლა

§ 39. გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფანი და სისხლის აღების ადათი ჰომეროსის დროის ბერძნებთან 183
§ 40. შრომის დანაწილება და კლასობრივი დაყოფანი 185
§ 41. ჰომეროსის დროის ბერძენთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია . . . 188

თ ა ვ ი VII. სპარტის სახელმწიფო წყობილება და სამართალი

§ 42. სპარტის სახელმწიფოს წარმოშობა 192
§ 43. სპარტის სახელმწიფო წყობილება 194

§ 44. სპარტის სამართლის ძირითადი თვისებანი 201
§ 45. სპარტის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებანი IV—III საუკუნეებში 208

თავი VIII. ათენის დემოკრატიის წარმოშობა და განვითარება VI—V საუკუნეებში (პელოპონესის ომამდე)

§ 46. ათენის სახელმწიფოს წარმოშობა. პირველი ეტაპები 211
§ 47. სოლონის რეფორმები 213
§ 48. პიზისტრატისა და პიზისტრატიდების ტირანია 218
§ 49. კლისთენის რეფორმები 219
§ 50. ათენის დემოკრატიის განვითარება V საუკუნეში 221

თავი IX. ათენის სახელმწიფო წყობილება V—IV საუკუნეებში

§ 51. საბჭო—ბულე 225
§ 52. სახალხო კრება 229
§ 53. თანამდებობის პირნი 236
§ 54. არეოპაგი 246
§ 55. გელიეა 247

თავი X. ათენის დემოკრატიის კრიზისები და დაცემა

§ 56. პირველი ოლიგარქიული გადატრიალება (411 წ.). 248
§ 57. მეორე ოლიგარქიული გადატრიალება (404 წ.) ოცდაათის მმართველობა 251
§ 58. ათენის დემოკრატიის დაცემა 253
§ 59. მაკედონიის მონარქია და ბერძენთა პოლისების აღსასრული 254

თავი XI. ათენის სამართალი

§ 60. სამართლის წყაროები 256
§ 61. მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების უფლებრივი მდგომარეობა . 259
§ 62. საკუთრების უფლება 266
§ 63. სავალდებულებო სამართალი 267
§ 64. ქორწინება და ოჯახი 280
§ 65. მემკვიდრეობითი სამართალი 283
§ 66. დანაშაული და სასჯელი 285
§ 67. სასამართლო და პროცესი 289

რედაქტორი **ი. ტალახაძე** მთარგმნელი **გ. კვარაცხელია**

გადაეცა წარმოებას 19/III 46 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII 46 წ.
ტირაჟი 5000. უე 02973. სასტამბო თაბახი 18,75. სააღრიცხვო-საგამომც — 18,47.
საავტორო—18. გამომცემლობის შეკვეთა № 6. სტამბის შეკვეთა № 66.

სტალინის სახელობის თსუ გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, მარის ქ., 1.

ᲫᲐᲚᲘᲡ 20 ᲞᲐᲒ.

С. Ф. КЕЧЕКЬЯН

ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА

Часть I. Древний мир

(на грузинском языке)

ИЗДАТЕЛЬСТВО ТГУ
имени СТАЛИНА
Тбилиси — 1946